გაეროს განვითარების პროგრამის პროექტები "საქართველოს იმერეთის მხარის დემოკრატიული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა" და "საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება"

სამაგიდო წიგნი

ნორმატიული აქტების კრებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოხელეთათვის

მეორე გამოცემა

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის
სერია "მოხელე და კანონმდებლობა"

მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტებმა
"საქართველოს იმერეთის მხარის დემოკრატიული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა" - UNDP/GEO/00012708 და
"საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება" - UNDP/GEO/00036279

სერიის მომზადებაში მონაწილეობდა ავტორთა კოლექტივი –
გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები:
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კახა დემეტრაშვილი,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა გურგენიძე,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ხადური,
მანანა სალუქვაძე, ნოდარ ნაფეტვარიძე, დავით გოგიჩაიშვილი,
ზაზა ჩაგანავა, მიხეილ გვარჯალაძე, დავით ჯაიანი

სამაგიდო წიგნის თანაავტორები:
ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის
რეფორმის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნაიშვილი

ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის
ცენტრის დირექტორი დავით ჭიჭინაძე და ცენტრის ექსპერტები ალექსანდრე
სვანიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი კობახიძე, დავით ზარდიაშვილი

თბილისი, 0179, თაქთაქიშვილის ქ. 11, ოფისი 2

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ოფისი
ტელ.: 253166, 253167, 253203
E-mail: ncteam@cims.ge
Internet: www.undp.org.ge; www.parliament.ge; www.imereti.ge; www.cims.ge
© 2007 წლის მაისი

წინასიტყვაობა

"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა დაწესებულებებისთვის განხორციელებული პროექტების ეგიდით. ასეთი ბროშურების გამოცემის ინიციატორი და განმახორციელებელია ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფი (UNDP Georgia - NCTeam), რომელმაც, ამ პუბლიკაციათა შორის, 1998-2006 წლებში მოამზადა და გამოსცა:

- ინფორმაციისა და მართვის სისტემა. პრაქტიკული სახელმძღვანელო (სამი გამოცემა)
- სახელმწიფო მართვის სრულყოფის საკითხები: მეთოდოლოგიური მიდგომები და რეკომენდაციები. მეთოდური სახელმძღვანელო (ორი გამოცემა)
- პერსონალის მართვა: მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები
- პერსონალის მართვა. მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო
- მოხელის სამაგიდო ლექსიკონი
- თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი (ორი გამოცემა)

"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერიით "რჩევები მოხელეთათვის" გამოიცა ქვემოთ ჩამოთვლილი ბროშურები მენეჯმენტის, ახალი ტექნოლოგიების, პერსონალის მართვისა და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების შემდეგ აქტუალურ საკითხზე:

- თანამშრომელთა მართვა
- საუბრის წარმართვა
- ლიდერობის მიღწევა
- საჯარო გამოსვლების მომზადება და ჩატარება
- საქმიანი ეტიკეტი
- საქმიანი მიმოწერა
- დროის მართვა
- თვითმენეჯმენტი
- ინტერნეტი დამწყებთათვის
- ინტერნეტის პრაქტიკული გამოყენება
- კონფლიქტების მართვა
- საქმისწარმოება საჯარო დაწესებულებებში

"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" ახალი *სერიით "დამხმარე სახელმძღვანელო მოხელეთათვის"*, 2005-2006 წლის განმავლობაში გამოიცა შემდეგი მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ლექციათა კურსები და ბროშურები:

- პერსონალური კომპიუტერი დამწყებთათვის
- საზოგადოებასთან ურთიერთობა
- მენეჯმენტი
- ელექტრონული მთავრობა
- საქმისწარმოება საჯარო დაწესებულებებში
- საერთაშორისო სამართალი
- ევროინტეგრაცია და საქართველო
- მოქალაქეებთან კომუნიკაციის პრინციპები
- საქმისწარმოება. საუწყებო არქივი
- ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები. საერთაშორისო სტანდარტები
- ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო საატესტაციო კომისია: ტესტები
- აღრიცხვა და გადასახადები
- ფინანსური კონტროლის საფუძვლები
- საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი საჯარო სექტორში

- ფინანსური მენეჯმენტი
- ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის პრობლემები საქართველოში
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი

  და სხვ.

2004-2006 წლებში დაიწყო ახალ გამოცემათა სერიის მომზადება და დაბეჭდვა – *"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია "მოხელე და კანონმდებლობა"*; ეს, სამაგიდო წიგნის ფორმატის, კრებულები სპეციალიზებულია შემდეგი სახელმწიფო სტრუქტურების რეალურ და პრაგმატულ მოთხოვნათა შესაბამისად: საქართველოს პარლამენტი, კონტროლის პალატა, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები; ეს კრებულებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა (ორი გამოცემა)
- ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის და დაბეგვრის კონტროლის ღონისძიებები
- ნორმატიული აქტების კრებული საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სამეწარმეო რეესტრის წარმოება
- ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ
- ინსტრუქცია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ
- საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი
- საკანონმდებლო პროცესი
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (სამი გამოცემა)
- საქართველოს კანონთა ნუსხა
- საქართველოს კონსტიტუცია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ
- განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის
- სამაგიდო წიგნი-კრებული:
  - ნორმატიული აქტების კრებული პარლამენტის წევრთა და აპარატის მოხელეთათვის (სამი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული სამოქალაქო რეესტრის მოხელეთათვის
  - ნორმატიული აქტების კრებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მოხელეთათვის
  - ნორმატიული აქტების კრებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოხელეთათვის
  - ნორმატიული აქტების კრებული კონტროლის პალატის მოხელეთათვის (სამი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის: ნაწილი I (ორი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის: ნაწილი II (ორი გამოცემა)
  - საგადასახადო კანონმდებლობის ნორმატიული აქტების კრებული (ორი გამოცემა)
  - საქართველოს საგადასახადო კოდექსი. საქართველოს საბაჟო კოდექსი. საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფის შესახებ
  - კოდექსთა კრებული: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

"მოხელე და კანონმდებლობის" სერიის წინამდებარე კრებული, უპირველესად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვისაა განკუთვნილი; ის შედგება 8 თავისაგან, რომლელთაგან გესურს გამოვყოთ შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს კონსტიტუცია; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია; საქართველოს საკონსტიტუციო კანონი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ"; საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; საქართველოს კანონი "პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 11 აგვისტოს №318 ბრძანებულება "საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ", რომელსაც თან ერთვის "საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულება"; საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ"; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს კანონი "საბიუჯეტო სისტემის შესახებ"; საქართველოს კანონი "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ"; საქართველოს პარლამენტის მიერ 2004წ. 26 ოქტომბერს რატიფიცირებული ევროპული ქარტია "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" (15.10.1985წ.) და სხვ.

ეს კრებული, ბუნებრივია, სათანადო დახმარებას გაუწევს ხელისუფლების დანარჩენი შტოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მეტ-ნაკლები ინტერესი ან შეხება აქვს ამ სფეროსთან.

გაეროს განვითარების პროგრამის ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა გუნდს განზრახული აქვს მომავალშიც გააგრძელოს ანალოგიური (მეთოდოლოგიური, მეთოდური, დიდაქტიკური, სახელმძღვანელო, პრაქტიკული, საინსტრუქციო, საცნობარო, ლექსიკოგრაფიული და სხვა სახის) პუბლიკაციები როგორც სახელმწიფო (დემოკრატიული) მმართველობის, ისე ზოგადად, მართვის აქტუალურ საკითხებზე.

შინაარსი

თავი I
საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი კანონები

საქართველოს კონსტიტუცია 10

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია 39

საქართველოს საკონსტიტუციო კანონი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ 57

თავი II
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეთა საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ორგანული კანონი
ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ 64

საქართველოს კანონი
საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ 91

საქართველოს კანონი
პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ 114

საქართველოს კანონი
ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ 117

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 11 აგვისტოს N318 ბრძანებულება
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ 122

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 21 დეკემბრის N703 ბრძანებულება
ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის დებულების დამტკიცების შესახებ 126

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 17 მარტის N84 ბრძანებულება
ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების დებულების შესახებ 146

თავი III

ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელური აქტები

შესავალი....149

თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)....150

თვითმმართველი ერთეულის გამგეობის დებულება....192

თვითმმართველი ერთეულის აპარატის დებულება....210

გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულება....217

თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს აპარატის (გამგეობის, მერიის) შინაგანაწესი....222

"———" მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკრებულოს ფრაქცია "————"-ის წესდება....224

დებულება

თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდის შესახებ....230

თავი IV

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეთა საჯარო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი

საჯარო სამსახურის შესახებ 234

საქართველოს კანონი

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 264

საქართველოს კანონი

ნორმატიული აქტების შესახებ 272

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 299

აქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 346

საქართველოს კანონი

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ 367

საქართველოს კანონი

სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ....380

საქართველოს კანონი <u>ამონარიდი</u>

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ 382

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის N174 ბრძანებულება

საკონკურსო-სასატესტაციო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ 384

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის N173 ბრძანებულება
მოხელეთა რეზერვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.....386
საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება
"საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ 388
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 25 ივლისის N158 ბრძანებულება
"ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 440

თავი V

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციურ დატვირთვასთან შემხებლობაში მყოფი ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი
საქართველოს შრომის კოდექსი 451
საქართველოს კანონი
საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ 466
საქართველოს კანონი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ 477
საქართველოს კანონი
სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ.....482
საქართველოს კანონი
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ.....491
საქართველოს კანონი
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ.....498

თავი VI

საბიუჯეტო, საფინანსო და ქონებრივი ურთიერთობების მარეგულამენტირებელი ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ 500
საქართველოს კანონი
საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ.....516

საქართველოს კანონი
ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ 524
საქართველოს კანონი
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ 528
საქართველოს კანონი
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ.....533
საქართველოს კანონი
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 543

თავი VII

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნები

საქართველოს ორგანული კანონი *ამონარიდი*
საქართველოს საარჩევნო კოდექსი 558

თავი VIII

საერთაშორისო აქტები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

ევროპული ქარტია ადგილობრივი
თვითმმართველობის შესახებ 647

თავი I

საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი კანონები

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყეევი ნებაა დაამკვიდროს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა სალსებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფსაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრიეი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა "საქართველო".

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრიეი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრიეი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ. 5)

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და მაკის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და საგარეო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვეო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; საავიაციო ფლოტი; გემთა ალმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაგებენები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ;

პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;

ჟ) საავიაციო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-IIს – სსმI, 2000წ, №15, მუხ.36)

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-Iს – სსმI, 2002წ, №28, მუხ. 128)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ. 46)

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-IIს – სსმI, 2000 წ, №15, მუხ. 36)

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-Iს – სსმI, 2002წ, №28, მუხ. 128)

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ ივი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-IIს – სსმI, 2001წ, №9, მუხ.33)

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე _ აფხაზური.

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-Iს – სსმI, 2002წ, №28, მუხ. 128)

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-IIს – სსმI, 2001წ, №9, მუხ.33)

მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვ-რებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.48)

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.48)

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. ამოღებულია.
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.48)

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატარეს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწ-ყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გააერცელოს ინფორმაცია,

გამოთქვას და გააერცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.1)

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვიძებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.1)

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველ-ყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების გან-ხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწი-ლეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია მრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება საყალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2003 წ., N23, მუხ.168)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.46)

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამ-ტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა,

როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავერი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული მეშვიდენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განსაზღვრა ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები გარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ. 5)

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავი მესამე

საქართველოს პარლამენტი

მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 49

1. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 100 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)
(საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2005 წ., N8, მუხ.57)

მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში - პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი.

2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც.

2[1]. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

3. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მესამოცე დღეს. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს

პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან მესამოცე დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

3[1]. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა 5 დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა (გააგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას. პარლამენტის შეკრება არ იწვევს პარლამენტის წევრების საპარლამენტო თანამდებობების და ხელფასების აღდგენას. პარლამენტი წყვეტს საქმიანობას ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

(საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2221 – სსმI, 1999წ, №35(42) მუხ. 169)
(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)
(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.44)

მუხლი 51

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

მუხლი 51[1]

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;

ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ. 5)

მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის

დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

(საქართველოს 2004 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N9, მუხ.39)

მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. წინა პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკელოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;

ზ) გარდაიცვალა.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით.

2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალის-წინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-IIს – სსმI, 2000 წ. №15, მუხ. 36)

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-Iს – სსმI, 2002წ. №28, მუხ. 128)

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის მემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს ბიურო შესაბამისი კომიტეტების დასკვნის საფუძველზე განიხილავს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით. დასკვნა წარედგინება პრეზიდენტს და პარლამენტს. ბიურო იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

(საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2005 წ.,N8, მუხ.57)

მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერმინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს თავის მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ. 5)

მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს

და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის სხდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ. 5)

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას - რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ეალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

მუხლი 62

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 63

1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ - კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

5. დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო და საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

მუხლი 64

1. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, საჭიროებულია აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

1[1]. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი.

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-IIს – სსმI, 2001წ, №9, მუხ.33)

მუხლი 67

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

2. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მათივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

3. თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-IIს – სსმI, 2000 წ, №15, მუხ. 36)

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-Iს – სსმI, 2002წ, №28, მუხ. 128)

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ. 5)

მუხლი 68

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

5. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

თავი მეოთხე

საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მედიმედ მხოლოდ ორჯერ.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დაღასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

4. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

5. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური.

6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან თუ მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

9. პრეზიდენტის შორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

10. პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

(საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2224 - სსმ I, 1999წ, №35(42), მუხ. 170)

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.44)

მუხლი 71

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალ-არჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:

"მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი სალსისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის".

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ყარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ა[1]) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე;

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვისა და მინაგან საქმეთა მინისტრები;

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;

ე) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე;

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის,

სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

ჟ) **ამოღებულია.**

რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას;

ს) 51[1] მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6. პრეზიდენტი ასორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-IIს – სსმI, 2001წ, №9, მუხ.33)

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

(საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.1)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.44)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.47)

მუხლი 74

1.საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩეველის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე სიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამ-დებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

მუხლი 76

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" და „ი" ქვეპუნქტებითა და 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ასევე დაითხოვოს პარლამენტი.

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 76[1]

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორის კანდიდატურას. საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 77

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის აპარატი. საქართველოს პრეზიდენტის აპარატის უფროსს თანამდებობაზე სიშნავს და ათავისუფლებს, აპარატის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

თავი მეოთხე[1]

საქართველოს მთავრობა

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები). პრემიერ-მინისტრი მთავრობის ერთ-ერთ წევრს აკისრებს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულებას. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

3. მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით, რომლის პროექტსაც პარლამენტს წარუდგენს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

6. მთავრობა უფლებამოსილია გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით.

7. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში მთავრობის წევრების დანიშვნისთანავე.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 79

1. მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციასა და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

3. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

4. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს — ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.

5. პრემიერ მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

6. პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანა-მდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს.

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 80

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მასვე შეუძლია დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის დანიშვნამდე.

2. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში – მთავრობის წევრობის კანდიდატურებს. ამ პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

3. პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მთავრობის წევრები უნდა დაინიშნონ ნდობის გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში. პარლამენტი უფლებამოსილია ნდობა არ გამოუცხადოს მთავრობის შემადგენლობას და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. პრეზიდენტის მიერ აცილების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში დაუშვებელია აცილებული პირის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშვნა მთავრობის გათავისუფლებული ან გადამდგარი წევრის ნაცვლად.

4. თუ მთავრობის შემადგენლობამ და მისმა სამთავრობო პროგრამამ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას. პარლამენტი ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურას.

5. თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ მემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 81

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სრული შემადგენლობის უმრავლესობით. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძერის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კელავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. 51[1] მუხლის „ა" _ „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას უნდობლობის გამოცხადების შესახებ განმეორებითი კენჭისყრა უნდა გაიმართოს ამ გარემოებების ამოწურვიდან 15 დღეში.

2. პარლამენტი უფლებამოსილია დადგენილებით აღძრას მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების საკითხი. თუ დადგენილების მიღებიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას. თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, მთავრობის უნდობლობის საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმაკლობაში დაუშვებელია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მთავრობის გადაყენების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი არ არის მთავრობის მომდევნო შემადგენლობაში დანიშნოს იგივე პირი პრემიერ-მინისტრად ან წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის იგივე კანდიდატურა.

4. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დასვას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახდო კოდექსის და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი მთავრობას ნდობას არ

გამოუცხადებს, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის განმავლობაში გადაადგენს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

5. ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით კენჭისყრა უნდა გაიმართოს საკითხის დასმიდან 15 დღის განმავლობაში. ამ ვადაში კენჭისყრის ჩაუტარებლობა ნიშნავს ნდობის გამოცხადებას.

6. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისას შესაბამისი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძერა.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 81[1]

1. პარლამენტის მიერ მთავრობისა და მისი სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას.

2. პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 81[2]

1. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და სამოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას.

3. სახელმწიფო მინისტრი ინიშნება კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

4. მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დააფუძნოს საწარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. მთავრობის წევრი უფლებამოსილია გადადგეს თანამდებობიდან.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

თავი მეხუთე

სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82

1.სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 83

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

2. მართლმსაჯულებას ასორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა დადგენილია ორგანული კანონით.

3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.

4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.44)

მუხლი 84

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 85

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მუხლი 86

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა მერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

(საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.2)

მუხლი 86[1]

1. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3, მუხ.44)

მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მუხლი 88

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

(საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.2)

მუხლი 89

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქარ-თველოს პრემიდენტის, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომად-გენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

ვ') ისილავს დავას "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

8) ასორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260 – სსმI, 2000 წ, №15, მუხ. 36);

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-IIს – სსმI, 2001წ, №9, მუხ.33)

(საქართველოს 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი №306-რს – სსმI, 2004წ, №16, მუხ.54)

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-Iს – სსმI, 2002წ, №28, მუხ. 128)

(საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.2)

მუხლი 90

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი საკასაციო სასამართლო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელნი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

(საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2006 წ., N1, მუხ.2)

მუხლი 91

ამოღებულია

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

თავი მეექვსე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს,რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

2. მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს

მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. კონსტიტუციის 51[1] მუხლის „ა" _ „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადამი სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკი-ცებლობისას სახელმწიფო ბიუჯეტს დეკრეტით ამტკიცებს პრეზიდენტი.

4. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

5. პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

6. თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

7. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

8. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 94

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს აწესებს მხოლოდ კანონი.

3. გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

მუხლი 95

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქარ-თველოს ეროვნული ბანკი.

2.საქართველოს ეროვნული ბანკი მეთვალყეობს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის

უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

მუხლი 97

1. სახელმწიფო სასესრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

თავი მეშვიდე

სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით _ პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

2.ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 100

1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2004 წ., N2, მუხ.5)

მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას აწესებს კანონი.

თავი მერვე

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) პრეზიდენტს;

ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მეცხრე

გარდამავალი დებულებები

მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 104[1]

1. კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი და 58-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისთანავე.

2. 2004 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მისი შემადგენლობა, აგრეთვე ფრაქციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამ პარლამენტის არჩევნების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. 2004 წელს არჩეული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

(საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2005 წ., N8, მუხ.57)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი - სსმ I, 2007 წ., N3,მუხ.44)

მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.

3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშია.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცელილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

საქართველოს სახელმწიფოს
მეთაური **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი, 1995 წლი 24 აგვისტო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება:

- დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები; არ დაუშვან ძალადობა და სამოქალაქო დაპირისპირება, ხელი შეუწყონ სრულიად საქართველოში მშვიდობის დამყარებას და განმტკიცებას; დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას და დამკვიდრებას, რათა საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო მაღალ განვითარებულ სახელმწიფოთა შორის.

- უმთავრეს მიზნად დაისახონ ეროვნული მეურნეობის, ტრადიციული და ახალი დარგების, უახლესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვა, ხელოვნების, მედიცინის განვითარება, რათა უზრუნველყონ ადამიანის ცხოვრების მაღალი დონე, მაღალკვალიფიციური, ინტელექტუალური ახალგაზრდა თაობების - ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ღირსეული ცვლის აღზრდა.

ხელმძღვანელობენ რა საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით დეკლარირებული ძირითადი პრინციპებით, ადამიანის უფლებების დაცვის, ხელისუფლების დანაწილების, დემოკრატიული მმართველობის შესახებ და საყოველთაოდ აღიარებული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებით, გამოხატავენ რწმენას, რომ

- საქართველოში შეიქმნება ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც განუხრელად დაიცავს საკუთარი ქვეყნის, მოსახლეობის ინტერესებს, აღდგება მტკიცე ერთობა განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და ერთიანი ძალისხმევით;

- განამტკიცებს და განავითარებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ მაღალ-ზნეობრივ ტრადიციებს, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძვლის, საქართველოს ისტორიული რეგიონების სწრაფ განვითარებასა და მათ ურყევ ერთიანობას;

- დაამკვიდრებს და დაიცავს საქართველოს ისტორიულ ადგილს კავკასიაში, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ხელს შეუწყობს გეოსტრატეგიული ინტერესების ოპტიმალურად დაბალანსებას, დაგმობს დაპირისპირებისა და იზოლაციონიზმის ნებისმიერ ფორმას, დაიცავს საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, პატივს სცემს და უცილობლად შეასრულებს თავის მიერვე აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებებს;

- აღიარებს და დაიცავს საქართველოს, პირველი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით აღიარებული და საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული სახელმწიფო მოწყობის მქონე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს, ხელს შეუწყობს მის შეუფერხებელ განვითარებას, განუხრელად უზრუნველყოფს მის სრულფასოვან წარმომადგენლობით მონაწილეობას სახელმწიფოს მართვის საკითხებში, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქენი, მტკიცედ მდგარნი წარსულისა და მომავალს შორის, აცნობიერებენ რა მაღალ პასუხისმგებლობას საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების, მისი მრავალათასწლოვანი ისტორიის, სახელოვან წინაპართა, დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე, საქვეყნოდ აცხადებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

კარი პირველი

თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მოწყობის ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. ხელისუფლების განხორციელების პრინციპები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების წყაროს ხალხი წარმოადგენს.

4. ხალხი ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოების მეშვეობით.

5. მთავრობის ყველა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

დ) განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნა და მართვა, კულტურის ძეგლების დაცვა;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები და მუზეუმები;

ვ) კულტურა და სპორტი;

ზ) ტურიზმი და კურორტები;

თ) ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობა და ურბანული განვითარება;

ი) ადგილობრივი მშენებლობის საავტომობილო გზები და სხვა კომუნიკაციები;

კ) სანიტარია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა;

ლ) სოფლის მეურნეობა და სამონადირეო საქმე;

მ) სურსათი და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი;

ნ) ბაზრობები, ბაზრები და გამოფენები;

ო) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლების ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი;

პ) საქართველოს კანონებით განსაზღვარული ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

ჟ) აჭარის ავტონომიური რესპუბლკის ქონების მართვა და განკარგვა;

რ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქიეო სამსახური;

ს) სატყეო მეურნეობის მართვა;

ტ) სახანძრო დაცვა;

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ აწესრიგებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხს, მისი მოწესრიგება შეუძლია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ნორმატიული აქტით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძვლები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეს კონსტიტუცია.

2. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონმდებლობა შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ორგანულ კანონებსა და კანონებს.

მუხლი 4. ამოღებულია (30. 07. 2004 წელი).

თავი II

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები

მუხლი 5. ქალაქები, რაიონები და დაბები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედის ქალაქი ბათუმი და ქობულეთი; რაიონები: ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევის, ხულოს; დაბები: მახინჯაური, ჩაქვი, ოჩხამური, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განსაზღვრავს და წყვეტს თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებს.

მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

2. ბათუმის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს ტერიტორიას 2004 წლის 1 იელისისათვის (კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" მიღების დღისათვის) არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა დასაშვებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის ინიციატიის საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს ორგანული კანონით.

თავი III

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოები

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს გერბი, რომლის ფორმა, აღწერილობა და გამოყენების წესი განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბში გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო გერბის ელემენტები.

მუხლი 9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა, რომელიც განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა არის მართკუთხა ქსოვილი, რომელსაც გაკვეთს შვიდი ჰორიზონტალური ზოლი: 1-3-5-7 ლაჟვარდის ფერი, ხოლო 2-4-6- ზოლი თეთრი ფერის. დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა ზომით საქართველოს სახელმწიფო დროშის სამი მეხუთედია.

მუხლი 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოფიციალური ღონისძიების ჩატარებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლიკებთან (დროშასა და გერბთან) ერთად გამოიფინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა და გერბი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას აღიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშაც.

თავი IV ამოღებულია (30.07.2004 წელი).

სახელმწიფო და პიროვნება, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 11. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 12. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 13. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 14. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 15. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 16. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 17. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 18. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 19. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 20. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 21. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 22. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 23. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 24. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 25. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 26. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 27. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 28. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 29. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 30. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 31. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 32. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 33. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

თავი V ამოღებულია (30.07.2004 წელი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველი

მუხლი 34. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 35. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

კარი მეორე

უმაღლესი საბჭო

თავი VI

უმაღლესი საბჭოს სტატუსი, არჩევა და წევრები

მუხლი 36. უმაღლესი საბჭოს სტატუსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 37. უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და არჩევის წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 დეპუტატისაგან.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ.

3. უმაღლესი საბჭოს არჩევის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ".

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს საქართველოს ორგანული კანონით.დადგენილი წესით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 38. საარჩევნო ცენზი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 23 წლის ასაკიდან. (22.05.2004 საკ. მაც. N6)

მუხლი 39. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსი

1. უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. უზრუნველყოფილია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები, უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

3. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ხელის შემლა ისჯება კანონით.

4. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება უმაღლესი საბჭოს წევრს უსარჩუნდება მისი უფლება-მოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას უმაღლესი საბჭოს თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შესეღულებებისათვის.

მუხლი 40. უმაღლესი საბჭოს წევრის სამსახურებრივი შეუთავსებლობა

1. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავ-დროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუ-თავსებლობის სხვა შემთხვევებს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ".

მუხლი 41. უმაღლესი საბჭოს წევრის გარანტიები

1. უმაღლესი საბჭოს წევრის დამოუკიდებელი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ეძლევა ანაზღაურება და უწესდება კანონით განსაზღვ-რული შეღავათები.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, თანამდებობის პირს და მიიღოს მისგან წერილობითი პასუხი (09.05.2004 საკ. მაც. № 4).

მუხლი 42. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს და წყვეტს უმაღლესი საბჭო.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცელილად;

დ) დაიკავა უმაღლესი საბჭოს სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუ-თავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით 2 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს მუშაობაში;

ზ) გარდაიცვალა.

თავი VII
უმაღლესი საბჭო

მუხლი 43. უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა

1. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის დღეს ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება, თუ დადასტურებული იქნება უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

2. უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომას უძღვება უხუცესი დეპუტატი.

3. უმაღლესი საბჭო, პირველ სხდომაზე, თავისი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ორ მოადგილეს.

მუხლი 44. უმაღლესი საბჭოს ბიურო, კომიტეტები და ფრაქციები

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო, რომლის

შემადგენლობაში შედიან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები. ბიუროს უფლებამოსილებანი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

2. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლეს საბჭოში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

3. უმაღლესი საბჭოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ უმაღლესი საბჭოს ფრაქციებში, ფრაქციის წევრთა რაოდენობა, ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით. (05.07.2004 საკ. მაც. `9)

მუხლი 45. უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება

1. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციური კანონით ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული საკითხები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:

ა) იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე, ასევე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

გ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების შემოსაელებს და ხარჯვას;

დ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და მთავრობის შემადგენლობას მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით;

ე) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ვ) კონტროლს აწესებს მის მიერ მიღებულ ნორმატიული აქტების აღსრულებაზე;

ზ) ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, მის ორ მოადგილეს, კომიტეტების თავმჯდომარეებს, ამტკიცებს კომიტეტების შემადგენლობასა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებას მის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების გათავისუფლების შესახებ;

ი) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის კონსტიტუციასა და კანონებთან;

კ) კანონით დადგენილი წესის მიხედვით მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ფორმირებაში;

ლ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანხმობას აძლევს თანამდებობის პირების დანიშვნაზე;

მ) ახორციელებს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 46. უმაღლესი საბჭოს მუშაობის წესი და საჯაროობა

1. უმაღლესი საბჭოს სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით უმაღლეს საბჭოს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ეალდებულია, დაესწროს უმაღლესი საბჭოსა და მისი კომიტეტის სხდომებს.

3. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. უმაღლესი საბჭო თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის მეორე საშაბათის და ისურება დეკემბრის მეორე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის მეორე საშაბათის და ისურება იანვისის მეორე პარასკევს.

5. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს მთავრობის თავმჯდომარეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით და საკუთარი ინიციატივით. სხდომა გარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და ისურება მისი ამოწურვისთანავე.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შიდა ორგანიზაცია, პროცედურები და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და უმაღლესი საბჭოს შიერ შიღებული რეგლამენტით.

მუხლი 47. საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტები

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს;

ბ) უმაღლესი საბჭოს წევრს;

გ) უმაღლესი საბჭოს კომიტეტს;

დ) უმაღლესი საბჭოს ფრაქციას;

ე) არანაკლებ 2000 ამომრჩეველს.

2. მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს კანონპროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო პროცესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს საკანონმდებლო აქტები დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი, კომიტეტი, ფრაქცია არის უფლებამოსილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანის შესახებ პროექტი.

5. მთავრობის თავმჯდომარის მოთხოვნით მის წარდგენილ კანონპროექტს უმაღლესი საბჭო განიხილავს რიგგარეშე.

მუხლი 47[1]. უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობა

1. უმაღლეს საბჭოში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

2. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედი.

3. უმაღლესი საბჭოს მიერ დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს აქტების დამტკიცებისათვის საჭიროა ამ აქტის მიღებისათვის კონსტიტუციის დადგენილი სმების რაოდენობა.

4. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მისაღებად საჭიროა უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

მუხლი 47[2]. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტების ძალაში შესვლა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა მთავრობის თავმჯდომარეს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს იმავე ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

3. მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 5 დღის ვადაში.

4. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა რაოდენობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირველადი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა.

5. თუ მთავრობის თავმჯდომარემ დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

6. კანონი, ძალაში შედის მისი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანომი გამოქვეყნებიდან მეათე დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 48. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეწყვეტა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება წყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ან\დაიგი ვერ ახორციელებს კონსტიტუციური კანონით ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუ-ბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება მისი დათხოვნიდან არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 90 დღისა. თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები ტარდება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 49. დროებითი საპრეზიდენტო საბჭო

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭო, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

2. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს უფლებამოსილება წყდება აჭარის ავტონომიური რესპუ-ბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.

3. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებული აქტი ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას მისი უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვის ვადაში. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებულ აქტს, ეს აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.

თავი VIII ამოღებულია
(09.05.2004 წელი საკ. მაც. N4)

მუხლი 50. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 51. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 52. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 53. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 54. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 55. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

თავი IX ამოღებულია
(09.05.2004 წელი საკ. მაც. N4)

მუხლი 56. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 57. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 58. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

თავი X ამოღებულია
(09.05.2004 წელი საკ. მაც. N4)

მუხლი 59. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 60. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 61. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

თავი XI
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 62. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

მუხლი 63. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4)

კარი მესამე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 64. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს და ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუ-ბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტ-რებისაგან.

მუხლი 65. მთავრობის ანგარიშვალდებულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მუხლი 66. მთავრობის უფლებამოსილება

1. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. მთავრობა თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს სამოქმედო პროგრამით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სამთავრობო პროგრამის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს. სამოქმედო პროგრამას ნღობას უცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

3. მთავრობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებული ყველა ის საკითხი, რომელიც არ შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 67. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება ასევე უწყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადადგომისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული და მისი ადმინისტრაცია.

მუხლი 68. მთავრობის კომპეტენცია

მთავრობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა კონსტიტუციებისა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში:

ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებასა და სტურქტურას;

გ) ამტკიცებს ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და მომზადების მიზნით შექმნილი მთავრობის სათათბირო ორგანოების დებულებებს;

დ) უფლებამოსილია ერთი თვის ვადით შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგეობის (მერიის) და გამგებლის (მერის) სამართლებრივი აქტები;

ე) ამტკიცებს მთავრობის აპარატის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო განრიგს;

ვ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების სამართლებრივი აქტები;

ზ) შეიმუშავებს მთავრობის სამოქმედო პროგრამას, რომელსაც ნდობას უცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;

თ) შეიმუშავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური საკითხების კომიტეტთან ძირითადი პარამეტრების შეთანხმების შემდეგ;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს კვარტალში ერთხელ წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

კ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეწარმეო-ეკონომიკური

საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

ლ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას;

მ) უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

ნ) შეიმუშავებს შესაბამის სპეციალურ პროგრამებს უმუშევრობის შემცირების მიზნით და უზრუნველყოფს მის განხორციელებას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში;

ო) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, აგრეთვე კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების მართვას, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მოვლა-პატრონობას;

პ) მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტაში;

ჟ) უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის სააეტომობილო გზების მოვლა-პატრონობისა და სხვა კომუნიკაციების განვითარების ხელშეწყობას;

რ) ხელს უწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობასა და ურბანულ განვითარებას;

ს) ქმნის სათანადო პირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმისა და სპორტის განვითარებისათვის;

ტ) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვას, სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

უ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე კონტროლს;

ფ) უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას;

ქ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქივო სამსახურის მართვას;

ღ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 69. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი მას თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯომარის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში იგი დადგენილი შეთანხმების პროცედურის განხორციელების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომიაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

მუხლი 70. მთავრობის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა და დამტკიცება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს შესაბამისი

სამთავრობო დაწესებულების (დაწესებულებების) ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამ მუხლით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას.

მუხლი 70[1]. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელებისას

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შემთხვევაში, პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

თავი XII ამოღებულია (30.07.2004 წელი).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მუხლი 71. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 72. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

თავი XIII ამოღებულია (30.07.2004 წელი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონთაშორისი ურთიერთობები

მუხლი 73. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 74. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

კარი მეოთხე ამოღებულია (30.07.2004 წელი).

სასამართლო ხელისუფლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

თავი XIV ამოღებულია (30.07.2004 წელი).

საერთო სასამართლოები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მუხლი 75. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 76. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4).

მუხლი 77. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4).

თავი XV ამოღებულია (09.05. 2004 წელი საკ. მაც. N4).

მუხლი 78. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4).

მუხლი 79. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4).

მუხლი 80. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4).

თავი XVI ამოღებული (30.07. 2004 წელი).

მუხლი 81. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

მუხლი 82. ამოღებულია (09.05. 2004 საკ. მაც. N4).

მუხლი 83. ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

კარი მეხუთე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსები და კონტროლი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

მუხლი 84. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ყოველწლიურად იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს ბიუჯეტის შესახებ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტს უმაღლეს საბჭოს წარუდგენს არაუგვიანეს ორი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფლებაჰოსილია მოთხოვოს უმაღლეს საბჭოს დამატებითი ხარჯის გაღება, მხოლოდ იმ პირობით, თუ მიუთითებს ბიუჯეტში შემოსვლების ახალ წყაროს.

5. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

6. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონის პროექტი ბიუჯეტის შესახებ, ის უბრუნდება მთავრობას შენიშვნებით. მთავრობა ორი კვირის ვადაში შესაბამისი ცვლილებებით ხელახლა წარუდგენს უმაღლეს საბჭოს კანონპროექტს ბიუჯეტის შესახებ.

7. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოახერხა ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.

მუხლი 85. საბიუჯეტო სისტემა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განკარგავს მის მიერ შემოღებული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფით მიღებულ შემოსავლებს.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს კანონის საფუძველზე შესაძლებელია გადაეცეს სახელმწიფო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილი, ასევე სპეციალური დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ქონება, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 86. (ამოღებულია 09.05.2004. საკ.მაც. N4)

თავი XVIII ამოღებულია 09.05.2004. საკ.მაც. N4)

მუხლი 87. ამოღებულია (09.05.2004. საკ.მაც. N4)

მუხლი 88. ამოღებულია (09.05.2004. საკ.მაც. N4)

მუხლი 89. ამოღებულია (09.05.2004. საკ.მაც. N4)

კარი მეექვსე ამოღებულია (30.07.2004 წელი).
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების სათათბირო ორგანოები

თავი XIX ამოღებულია (30.07.2004 წელი).
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭო

მუხლი 90. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

მუხლი 91. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

მუხლი 92. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

თავი XX ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

მუხლი 93. ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

მუხლი 94. ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

თავი XXI ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

მუხლი 95. ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

მუხლი 96. ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

მუხლი 97. ამოღებულია (06.05. 2004. საკ. მაც. N3).

კარი მეშვიდე
ადგილობრივი თვითმმართველობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

თავი XXII
ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მუხლი 98. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შემაჯალ ქალაქში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, თემებსა და სოფლებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უფლება გარანტირებულია.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მემავალ ქალაქებსა და რაიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმები, მათი შექმნის წესი, უფლებამოსილება, განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით და მათ საფუძველზე მიღებულ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 99. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მემავალ ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, თემებსა და სოფლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო იქმნება კანონით განსაზღვრული ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების საფუძველზე.

2. საკრებულოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.

3. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

მუხლი 100. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პრინციპები

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეუვალი უფლებაა.

2. ადგილობრივი თვითმმართველობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მოწესრიგებას.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შესაძლებელია დაეკისროთ ცალკეული სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება მხოლოდ ამ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯების ერთდროული ანაზღაურებით.

თავი XXIII

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მუხლი 101. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათი შექმნის წესი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ქმნიან შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებს.

2. ქალაქების მერები და რაიონების გამგებლები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შემთხვევაში - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის წარდგინებით. დაბის, თემისა და სოფლის გამგებელები თანამდებობაზე აირჩევიან კანონით განსაზღვრული წესითა და ვადით. (30.07.2004).

მუხლი 102. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოსილებები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ საკრებულოსა და გამგებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, შეიმუშავებენ ადგილობრივი ბიუჯეტისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროექტებს, უზრუნველყოფენ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესრულებას; ახორციელებენ სხვა სახის საქმიანობას თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ამოღებულია (09.05.2004. საკ. მაც. N4).

თავი XXIV ამოღებულია (30.07.2004 წელი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კრება

მუხლი 103. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

მუხლი 104. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

კარი მერვე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება, მოქმედება და მისი შეცვლის წესი

თავი XXV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება, მოქმედება, მასში ცვლილებების შეტანა და გადასინჯვა

მუხლი 106. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე.

მუხლი 107. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და გადასინჯვა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა დასან დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ კონსტიტუციური კანონის სახით.

2. კონსტიტუციის მთლიანი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვთ:

ა) მთავრობის თავმჯდომარეს;

ბ) უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 20 000 ამომრჩეველს.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

4. უმაღლეს საბჭოში კონსტიტუციის კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

5. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

6. კონსტიტუციის 47^2-ე მუხლის შესაბამისად კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს და აქვეყნებს მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 107^1. კონსტიტუციის გადასინჯვა პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის დროს

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შემთხვევაში კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ორგანოს მიერ, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციებს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვა მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ორგანოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ორგანოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

4. ამ მუხლით დადგენილი წესით მიღებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონს ხელს აწერს, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

თავი XXVI ამოღებულია (30.07. 2004 წელი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ადგილი საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში

მუხლი 108. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

მუხლი 109. ამოღებულია (30.07.2004 წელი).

თავი XXVII

კონსტიტუციის გარდამავალი დებულებები

მუხლი 110. ამოღებულია (09.05.2004. საკ. მაც. N4).

მუხლი 111. სამართლებრივი აქტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების პარლამენტის მიერ დამტკიცებისა და ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც ამ კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. ამ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების ძალში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფენ შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების მიღებამდე მიღებულ/გამოცემული ნორ-მატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას და რეგისტრაციას.

მუხლი 112. არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით. (06.05.2004. საკ. მაც. N3).

მუხლი 113. კონსტიტუციის საჯაროობა

შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ეს კონსტიტუცია ღიად უნდა ინახებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

მუხლი 114. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მომზადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით ქმნის საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც 2004 წლის ბოლომდე უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადებას.

საქართველოს საკონსტიტუციო კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ

მუხლი 1

1. ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ სტატუსს, ხელისუფლების განხორციელების ძირითად ფორმებსა და პრინციპებს, უფლებამოსილებებსა და მათი განხორციელების წესს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

მუხლი 2

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ და ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ხელისუფლების ორგანოების შექმნა.

მუხლი 3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

მუხლი 4

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს ტერიტორიას ამ კანონის მიღების დღისათვის არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა დასაშვებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის ინიციატივის საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს ორგანული კანონით.

მუხლი 5

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა და გერბი, რომლებიც განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშასა და გერბში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშისა და გერბის ელემენტები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა ზომით საქართველოს სახელმწიფო დროშის სამი მეხუთედი უნდა იყოს.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოფიციალური ღონისძიების ჩატარებისას სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებთან (დროშასა და გერბთან) ერთად გამოიფინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა და გერბი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას აღიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშაც.

მუხლი 6

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძველია საქართველოს კონტიტუცია, ეს კანონი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

2. ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად არ განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, წესრიგდება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით.

3. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირება.

მუხლი 7

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

დ) განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნა და მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები და მუზეუმები;

ვ) ტურიზმი, კულტურა და სპორტი;

ზ) ადგილობრიკი მნიმვნელობის მშენებლობა და ურბანული განვითარება;

თ) ადგილობრიკი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სხვა კომუნიკაციები;

ი) სანიტარია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა;

კ) სოფლის მეურნეობა და სამონადირეო საქმე;

ლ) სურსათი და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი;

მ) ბაზრობები, ბაზრები და გამოფენები;

ნ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლების ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი;

ო) საქართველოს კანონებით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

პ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ჟ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქივო სამსახური;

რ) საგყეო მეურნეობის მართვა;

ს) სასანძრო დაცვა.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ აწესრიგებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხს, მისი მოწესრიგება შეუძლია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ნორმატიული აქტით.

მუხლი 8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 9

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება, დაადგინოს ისეთი შეზღუდვები ან მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელს შეუშლის მოქალაქის, საქონლის, მომსახურების ან კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის გავლით.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება, ნორმატიული აქტით მოაწესრიგოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული საკითხები.

მუხლი 10

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით არჩეული არა უმეტეს 21 დეპუტატისგან. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის წესი და მათი რაოდენობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით. (27.12.2006 N4134)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. (27.12.2006 N4134)

მუხლი 11

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება წყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე.

მუხლი 12

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ან/და იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭო, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს უფლებამოსილება წყდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.

4. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებული აქტი ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას მისი უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვის ვადაში. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებულ აქტს, ეს აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება მისი დათხოვნიდან არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 90 დღისა. თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები ტარდება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 13

1. დაუშვებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შიდა ორგანიზაცია, პროცედურები და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რეგლამენტით.

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, დადგენილების საფუძველზე, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აქტის გაუქმება, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს კანონებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 14

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:

ა) იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს ამ კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე, ასევე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

გ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას;

დ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით;

ე) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ვ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა უმრავლესობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო პროცესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 15

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

5. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 16

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება ასევე უწყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადადგომისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული და მისი ადმინისტრაცია.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

მუხლი 17

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, ხოლო თუ ფრაქციები არ არის შექმნილი – ერთპიროვნულად, მას თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა. (27.12.2006 N4134)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში იგი ამ კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეთანხმების პროცედურის განხორციელების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით.

4. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

მუხლი 18

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:

ა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას;

ბ) ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას;

გ) უფლებამოსილია გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აქტი;

დ) უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი;

ე) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობებით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებას;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

ზ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 19

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თუ:

ა) მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

ბ) იგი ვერ ახორციელებს ამ კანონით ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი გარემოების აღმოფხვრიდან 1 თვის განმავლობაში, სოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მას თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. (27.12.2006 N4134)

მუხლი 20

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შექმნა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ სფეროებში:

ა) ეკონომიკა, ფინანსები და ტურიზმი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

გ) განათლება, კულტურა და სპორტი;

დ) სოფლის მეურნეობა.

2. აკრძალულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს ან სხვა განსამხედროებული ორგანოს შექმნა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის კანდიდატურას საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ამ კანონით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 21

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს სამთავრობო დაწესებულებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს სტატუსი, სტრუქტურა, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული

ქვედანაყოფი, რომლის განლაგების, გადაადგილებისა და გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 22

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში სარგებლობს ფინანსური ავტონომიით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განკარგავს მის მიერ შემოღებული აღგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფით მიღებულ შემოსავლებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს კანონის საფუძველზე შესაძლებელია გადაეცეს სახელმწიფო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილი, ასევე სპეციალური დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ქონება, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 23

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით და ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე.

მუხლი 24

საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში გადაწყვიტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები ამ კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობისათვის მიკუთვნებული საკითხებისა და საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებული საკითხების გათვალისწინებით.

მუხლი 24[1]

ამ კანონის ამოქმედების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები გაიმართება 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე. არჩევნების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი. (27.12.2006 N4134)

მუხლი 25

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2004 წლის 1 ივლისი.
N 305 – რს

თავი II
ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მოხელეთა საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ორგანული კანონი
ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძველებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობა – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;

ბ) თვითმმართველი ერთეული – დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირია;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა/მერია) ორგანოები;

დ) დასახლება – მოსახლეობის განსახლების პირველადი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰყავს მუდმივი მცხოვრებლები, აქვს ფუნქციონალური ინფრასტრუქტურა და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასახლება შედის თვითმმართველი ერთეულის შემადგენლობაში ან თვითმმართველი ერთეულია. დასახლების კატეგორიებია:

დ.ა) სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები ან/და რომლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

დ.ბ) დაბა – არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს, ამასთანავე, არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი;

დ.გ) ქალაქი – არანაკლებ 5000 მოსახლისაგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომელსაც აქვს საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა. ქალაქებს, მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებიდან და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სტატუსი;

ე) მუნიციპალიტეტი – დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი;

ვ) თვითმმართველი ქალაქი – ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი;

ზ) ადმინისტრაციული ერთეული – თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანო. ადმინისტრაციული ერთეულებია:

ზ.ა) დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი);

ზ.ბ) დასახლებათა გაერთიანება (თემი);

ზ.გ) დასახლების ნაწილი (უბანი);

თ) ექსკლუზიური უფლებამოსილება – თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით;

ი) დელეგირებული უფლებამოსილება – სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით, კანონის თანახმად ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს;

კ) ნებაყოფლობითი უფლებამოსილება – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

მუხლი 2. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელება

1. საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ:

ა) აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ამ კანონით და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, თუ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან;

დ) წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა;

ე) მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს;

ვ) განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 3. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

2. ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების წესი და თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი განისაზღვრება „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით.

3. მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამატებითი უფლებამოსილებანი და თავისებურებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი, ამ კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 4. სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულება თვითმმართველობის სფეროში

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის საჭირო, მესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და მატერიალურ-ფინანსური პირობების შექმნას და ხელს უწყობენ საქართველოს მოქალაქეებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელებაში.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება ამ კანონით დადგენილ უფლებამოსილებებს, მოთხოვნის შემთხვევაში გამართონ წინასწარი კონსულტაციები იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც აერთიანებენ ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების ნახევარზე მეტს. *(14.12.2006 N3991)*

3. თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენელთა ოფიციალური მიმართვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი, რომელიც შეეხება თვითმმართველობის ინტერესებს, განხილული უნდა იქნეს არსებითად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

4. სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

ა) ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება და განხორციელება;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონით დადგენილი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

დ) მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების დადგენა და უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ურთიერთობის რეგულირება; გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრა და უზრუნველყოფა;

ვ) თვითმმართველი ერთეულებისათვის იმ დამატებითი ხარჯების კომპენსაცია, რომლებიც გაწეული იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებების შედეგად;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

თ) თვითმმართველი ერთეულისა და დასახლებების შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესების დადგენა და თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაცია;

ი) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის უზრუნველყოფა და დაცვა;

კ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაზე საქართველოს მოქალაქეთა კანონით დადგენილი უფლებების რეგულირება და დაცვა;

ლ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების წესის განსაზღვრა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დაცვა;

მ) მაღალმთიან რეგიონებსა და კანონით განსაზღვრულ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების თავისებურებების საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) საქართველოს მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში;

გ) საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე;

ე) საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;

თ) სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულს შორის, აგრეთვე თვითმმართველ ერთეულებს შორის ურთიერთობათა დაფუძნება დახმარებასა და თანამშრომლობაზე, საერთო პრობლემების ერთობლივად ნებაყოფლობით გადაჭრაზე;

ი) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნა;

კ) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის დავის სასამართლო წესით გადაწყვეტა;

ლ) ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

მუხლი 6. თვითმმართველი ერთეულების უფლება ერთობლივი სამსახურების შექმნაზე

ურთიერთმოსაზღვრე თვითმმართველ ერთეულებს კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საკრებულოს თანხმობით უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ხელშეკრულების საფუძველზე შექმნან საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველმყოფი ერთობლივი სამსახურები, რომლებსაც გადასცემენ მათ უფლებამოსილებაში არსებულ ცალკეულ ერთგვაროვან ფუნქციებს და ამ ფუნქციათა შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს.

მუხლი 7. თვითმმართველ ერთეულთა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები *(14.12.2006 N3991)*

1. თვითმმართველ ერთეულებს თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნან გაერთიანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან გამართონ კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან თვითმმართველი ერთეულების სახელით, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში.

3. თვითმმართველ ერთეულთა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლონ თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან) ან/და გაერთიანდნენ ასეთ კავშირებში (ასოციაციებში).

მუხლი 8. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები

1. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით თვითმმართველ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს გერბი, დროშა და სხვა სიმბოლოები.

2. თვითმმართველი ერთეულის გერბს, დროშას და სხვა სიმბოლოებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის თანხმობით ადგენს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სახელმწიფო რეგისტრაციას.

3. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.

თავი II

თვითმმართველი ერთეული

მუხლი 10. თვითმმართველი ერთეულის სტატუსი

1. თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი, საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.

2. დასახლების ან დასახლებათა ერთობლიობის თვითმმართველი ერთეულის სტატუსს საქართველოს მთავრობის წარდგინებით დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 11. თვითმმართველი ერთეულის შექმნა და გაუქმება

1. თვითმმართველი ერთეულის შექმნის საფუძველია:

ა) თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულად;

ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე თვითმმართველი ერთეულის გაერთიანება ერთ თვითმმართველ ერთეულად.

2. თვითმმართველი ერთეულის გაუქმების საფუძველია:

ა) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე თვითმმართველი ერთეულის გაერთიანება ერთ თვითმმართველ ერთეულად;

ბ) თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულად.

3. საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით, თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) ან მოსახლეობასთან კონსულტაციის ან თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოს (საკრებულოების) წარდგინების საფუძველზე მიმართავს საქართველოს პარლამენტს თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით.

4. თვითმმართველი ერთეულის გაყოფის გზით ახალი თვითმმართველი ერთეულის შექმნის შემთხვევაში წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) თვითმმართველი ერთეულის გაყოფის საჭიროების დასაბუთება;

ბ) გაყოფის შედეგად შესაქმნელ თითოეულ თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების და მოსახლეთა რიცხოვნობა;

გ) გაყოფის შედეგად შესაქმნელი თითოეული თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

დ) თვითმმართველი ერთეულის გაყოფის თაობაზე გასაყოფი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;

ე) გაყოფის შედეგად შესაქმნელი თითოეული თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი შესაბამისობა ადმინისტრაციული ცენტრისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;

ვ) ახალშექმნილ თვითმმართველ ერთეულებზე ფინანსური და სხვა სახის უფლება-მოვალეობებისა და ქონების განაწილების წესი.

5. ორი ან მეტი თვითმმართველი ერთეულის ერთ თვითმმართველ ერთეულად გაერთიანების შემთხვევაში წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) თვითმმართველი ერთეულების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;

ბ) გაერთიანების შედეგად შესაქმნელ თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების და მოსახლეთა რიცხოვნობა;

გ) გაერთიანების შედეგად შესაქმნელი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი;

დ) თვითმმართველი ერთეულების გაერთიანების თაობაზე გაერთიანების მსურველი თითოეული თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;

ე) გაერთიანების შედეგად შესაქმნელი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

6. თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე.

7. თვითმმართველი ერთეულის შექმნის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს და შესაბამის

თვითმმართველ ერთეულში არჩევნები ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან ერთად. *(10.11.2006. N3680)*

მუხლი 12. თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა

1. საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით, თვითმმართველი ერთეულების საკრებულოებთან ან მოსახლეობასთან კონსულტაციის ან თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების წარდგინების საფუძველზე მიმართავს საქართველოს პარლამენტს თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცელის შესახებ წარდგინებით. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

2. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღერების შეცელის შესახებ წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღერების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღერების შეცელის თაობაზე თვითმმართველი ერთეულების მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;

გ) თვითმმართველი ერთეულების ახალი ადმინისტრაციული საზღერები და სქემატური რუკა.

მუხლი 13. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია

1. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციას სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2. თვითმმართველი ერთეულის სარეგისტრაციო მონაცემებია:

ა) თვითმმართველი ერთეულის დასახელება;

ბ) თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებები;

გ) თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

მუხლი 14. თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ დავის გადაწყვეტის წესი

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღერების შეცვლის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებანი

მუხლი 15. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეები

1. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეებია:

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილებები;

ბ) დელეგირებული უფლებამოსილებები;

გ) ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები.

2. თვითმმართველი ერთეული ექსკლუზიურ, დელეგირებულ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს ახორციელებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილებანი, სტრუქტურა და საქმიანობის წესი ამ კანონის შესაბამისად განისაზღერება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და გამგეობის (მერიის) დებულებით.

მუხლი 16. თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები

1. თვითმმართველი ერთეული ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონით.

2. თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებებია:

ა) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;

ბ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

გ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

ე) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ვ) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, საეაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;

თ) კანონით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა;

ი) ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირება;

კ) გარე ვაჭრობის რეგულირება;

ლ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

მ) საბინაო-კომუნალური მომსახურების ტარიფის, მომსახურების წესების დადგენა; ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა, დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, განათება, წყალმომარაგების, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

ნ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;

ო) სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებები და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა;

პ) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება; *(14.12.2006 N3991)*

ჟ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული მოწყობა;

რ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება;

ს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება;

ტ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

უ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ფ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ქ) ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება;

ღ) ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია.

3. დაუშვებელია თვითმმართველი ერთეულის მიერ ექსკლუზიური ან ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების იმგვარი გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს საკანონმდებლო აქტის მოთხოვნათა დარღვევა, თვითმმართველ ერთეულებს შორის თავისუფალი

ეაჭრობის შეზღუდვა, ან საფრთხე შეუქმნას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას.

მუხლი 17. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები

1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას თვითმმართველ ერთეულსა და შესაბამის სამსახურებს ზედამხედველობას უწევს კანონით ან შესაბამისი ხელშეკრულებით უფლებამოსილი სახელმწიფო მმართველობის ორგანო.

მუხლი 18. თვითმმართველი ერთეულის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები

თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით მიიღოს სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

თავი IV

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები

მუხლი 19. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობა (მერია).

მუხლი 20. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები არიან:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რომლებსაც ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო საკუთარი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

ბ) საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები, რომლებსაც ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო საკუთარი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

გ) საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები;

დ) მუნიციპალიტეტის გამგებელი და თვითმმართველი ქალაქის მერი, რომლებსაც ირჩევს საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით; გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი); 80); *(10.11.2006. N3680)*

ე) გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი);

ვ) გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).

თავი V

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი

მუხლი 21. საკრებულო

1. საკრებულო შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

2. თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამის ქალაქში პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული ათი და მაჟორიტარული წესით არჩეული ხუთი წევრით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამის მუნიციპალიტეტში შემავალი ყოველი თემიდან მაჟორიტარული წესით არჩეული თითო წევრით და მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული ათი წევრით.

4. საკრებულოს არჩევის წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი".

მუხლი 22. საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილება

1. საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

ბ) საკრებულოს კომისიების შექმნა, კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა, კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

გ) საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა და გაუქმება, სამუშაო ჯგუფების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილებების მიღება;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ვ) გამგებლის (მერის) არჩევა, მისი შრომის ანაზღაურების პირობებისა და ოდენობის განსაზღვრა;

ზ) თემის (თვითმმართველი ქალაქის უბნის) შექმნა და გაუქმება;

თ) საკრებულოს აპარატის, გამგეობის (მერიის) სტრუქტურის დამტკიცება;

ი) საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), საკრებულოს აპარატის, გამგეობის (მერიის) და მათი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში საკრებულოს თანამდებობის პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა მოხელეებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრა; *(10.11.2006. N3680)*

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი სამსახურებისა და იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

მ) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში თანხმობის მიცემა თვითმმართველი ერთეულის სახელით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადებაზე;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში, გამგებლის (მერის) წარდგინებით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

ო) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი;

პ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება;

ჟ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

რ) ადგილობრივი სამეწარმეო გადაზიდვების, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენა;

ს) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწის, ტყის და წყლის რესურსების მართვის წესის განსაზღვრა;

ტ) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

უ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საბინაო-კომუნალური მომსახურების ტარიფის, მომსახურების წესების დადგენა;

ფ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება;

ქ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და მიდასახელ-მწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ღ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ყ) ადგილობრივი შესყიდვების დაგეგმვა;

შ) ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია;

ჩ) საქართველოს მთავრობის ნებართვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სესხის ან გრანტის აღება;

ც) გამგებლისთვის (მერისთვის) თანხმობის მიცემა ისეთი ტარიფების დადებაზე, რომელთა ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;

ძ) ამ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული საკრებულოს უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს.

მუხლი 23. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა და შეკრება

1. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა იმართება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დღეს ნიშნავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულო მუშაობას შეუდგება, თუ შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

2. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას სსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომებს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.

3. ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.

4. თუ იმ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ნაკლებია, საკრებულოს სხდომა წყდება. ახალარჩეული საკრებულოს მომდევნო სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იმ დღიდან 10 დღის განმავლობაში, როდესაც შესაძლებელი გახდება საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედამდე შესავსებად.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა საკრებულოს წევრთა შესაბამისი რაოდენობის უფლებამოსილების ცნობა, ინიშნება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 24. საკრებულოს სხდომის მუშაობის ორგანიზება

1. საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით;

ბ) გამგებლის (მერის) წინადადებით;

ე) საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით;

დ) საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;

ე) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 3%-ის მოთხოვნით.

3. საკრებულოს რიგგარეშე სხდომას მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან 1 კვირის ვადაში იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის ამ ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს. საკრებულოს წევრთა გაფრთხილებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ინიციატორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარე. რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს დამსწრეთაგან უსუფლესი წევრი.

4. საკრებულოს მუშაობის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით).

მუხლი 25. საკრებულოში საკითხების განხილვის წესი

1. საკრებულოს სხდომას, როგორც წესი, წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საკრებულოს სხდომა ღიაა.

4. საკრებულოს სხდომა დახურულად ცხადდება საკრებულოს განკარგულებით, თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

მუხლი 26. საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრის წესი

1. საკრებულოს სხდომაზე მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები, როგორც წესი, ღია კენჭისყრით წყდება. *(10.11.2006. N3680)*

2. საკრებულოს გადაწყვეტილებები (დადგენილებები და განკარგულებები) მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

3. საკრებულოს წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემის უფლების სხვისთვის გადაცემა.

მუხლი 27. საკრებულოს სხდომის ოქმი

1. საკრებულოს სხდომის ოქმში აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრეთა გვარები, განსახილველი და განხილული საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე დამსწრეთა განსაკუთრებული მოსაგრებები.

2. საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

3. საკრებულოს სხდომის ოქმი უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 28. საკრებულოს კომისიები

1. საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამკეთების (მერიის) და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით იქმნება არა უმეტეს 5 კომისიისა. *(10.11.2006. N3680)*

2. საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები აირჩევიან საკრებულოს წევრთაგან. კომისიების წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის დაცვით, ამტკიცებს საკრებულო. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი. კომისიის თავმჯდომარის მიერ საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულნი იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

3. საკრებულოს კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 29. დროებითი სამუშაო ჯგუფი

1. ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით საკრებულო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს და თავმჯდომარეს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო.

მუხლი 30. საკრებულოს ბიურო

1. საკრებულოს ბიურო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან.

2. საკრებულოს ბიურო:

ა) ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, ასევე საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;

ბ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას; ამტკიცებს სამუშაო ჯგუფების დებულებებს;

გ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს;

დ) კონკურსის წესით შეარჩევს და საკრებულოს წარუდგენს გამგებლის (მერის) კანდიდატურას;

ე) ისმენს გამგებლის (მერის), საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

ვ) ახორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 31. საკრებულოს ფრაქცია

1. საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საკრებულოს ფრაქციაში. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით).

2. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები.

3. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ 1 ფრაქციაში.

4. ფრაქციის ჩამოყალიბება შესაძლებელია როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე.

5. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით.

მუხლი 32. საკრებულოს წევრის სტატუსი

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

2. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

3. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად. საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს 1, მაგრამ არა უმეტეს 2 კომისიის შემადგენლობაში მაინც.

4. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს შემდეგი თანამდებობის პირების საქმიანობა:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;

დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.

5. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში;

ვ) დაინიშნა ან არჩეულ/დამტკიცებულ იქნა ამ მუხლით გათვალისწინებულ, საკრებულოს წევრისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე;

ზ) გარდაიცვალა.

6. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს:

ა) იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ბ) იმუშაოს სასამართლო ხელისუფლების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ორგანოებში;

გ) იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;

დ) იმუშაოს თვითმმართველი ერთეულის გამგეობაში (მერიაში);

ე) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის საწარმოების მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვ.), აგრეთვე შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე.

ვ) იმუშაოს საკრებულოს აპარატში. *(10.11.2006. N3680)*

7. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მემთხვევისა, საკრებულო იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე.

8. საკრებულოს წევრს ამ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის ან არჩევის/დამტკიცების შესახებ შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

9. თუ საკრებულოს წევრი არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს ერთ-ერთი კომისია საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს და თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

10. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი განაცხადოს საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს.

მუხლი 33. საკრებულოს თავმჯდომარე

1. საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელი, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედს.

2. საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) ახორციელებს საკრებულოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;

ბ) ხელს აწერს საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

გ) ხელს აწერს საკრებულოს დადგენილებებს და განკარგულებებს, მისი სხდომების ოქმებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს; წარმოადგენს და მოქმედებს თვითმმართველი ერთეულის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ახორციელებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

დ) საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტების მომზადებას და დამტკიცებული პროგრამების (ბიუჯეტის) შესრულებას;

ე) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს საკრებულოს სხდომებს;

ვ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი პროცედურების დაცვას;

ზ) ადგენს განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსველელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

თ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ი) თავმჯდომარეობს საკრებულოს ბიუროს სხდომებს;

კ) თანამდებობაზე ნიმნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

მ) ხელს უწყობს ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

3. საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

4. საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საკრებულომ ვერ შეძლო საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება, დაუშვებელია მომდევნო 3 თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის ხელმეორედ დაწყება.

6. თუ საკრებულოს სრული შემადგენლობის ერთმა მესამედმა ვერ შეძლო საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის დაწყება, მათ აღნიშნული უფლების განხორციელება არ შეუძლიათ მომდევნო 3 თვის განმავლობაში.

7. საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით. საკრებულოს თავმჯდომარის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, დამტკიცების ან არჩევის შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

მუხლი 34. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

1. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს.

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გადაყენებისას.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამ-დებობიდან. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, ბიურომ, საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

5. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, დამტკიცების ან არჩევის შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება.

მუხლი 35. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

1. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედს.

2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს, სხნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და კომისიის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს;

ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;

ზ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. საკრებულოს კომისის თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, ბიურომ, საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ორმა მესამედმა. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, დამტკიცების ან არჩევის შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

მუხლი 36. ფრაქციის თავმჯდომარე

1. საკრებულოს ფრაქციას ხელმძღვანელობს ფრაქციის თავმჯდომარე, რომლის არჩევის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

2. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 37. საკრებულოს აპარატი

1. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

2. საკრებულოს აპარატის სტრუქტურას და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებს ამტკიცებს საკრებულო.

3. საკრებულოს აპარატის უფროსს და აპარატის მოსამსახურეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

თავი VI

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა და უფლებამოსილებანი

მუხლი 38. გამგეობა (მერია)

1. გამგეობა (მერია) აღასრულებს საკრებულოს გადაწყვეტილებებს.
2. გამგეობა (მერია) შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან.
3. გამგეობის (მერიის) საქმიანობას უძღვება გამგებელი (მერი).
4. გამგეობის (მერიის) სტრუქტურას გამგებლის (მერის) წარდგენით ამტკიცებს საკრებულო.
5. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით აღასრულებენ საკრებულოს და გამგებლის (მერის) გადაწყვეტილებებს.
6. თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს გადაწყვეტილებით იქმნება გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოები.
7. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებანი განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომლებსაც გამგებლის (მერის) წარდგენით ამტკიცებს საკრებულო.
8. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).

მუხლი 39. გამგებლის (მერის) არჩევის წესი და უფლებამოსილებები

1. გამგებელი (მერი) არის აღგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც ირჩევს საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თავისი უფლებამოსილების ვადით.
2. გამგებლის (მერის) კანდიდატურა შეირჩევა კონკურსის წესით. გამგებლის (მერის) თანამდებობაზე ვაკანსიის წარმოშობიდან ან თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის დასმიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში საკრებულოს ბიურო იღებს განცხადებებს. ბიურო მიღებული განცხადებებიდან არჩევს კვალიფიციურ კანდიდატებს და წარუდგენს საკრებულოს. გამგებელი (მერი) არჩეულად ჩაითვლება, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
3. გამგებლის (მერის) შრომის ანაზღაურების პირობებს და ოდენობას განსაზღვრავს საკრებულო.
4. გამგებელი (მერი):

ა) განსაზღვრავს გამგეობის (მერიის) საქმიანობის მიმართულებებს, კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის (მერიის) დებულებასა და სტრუქტურას, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებებს;

გ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს;

დ) ყოველწლიურად ამზადებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს; უფლებამოსილია დამტკიცებულ ბიუჯეტში ცელილებების შეუტანლად გადაანაწილოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნება ერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის წლიური ბიუჯეტით ამ ორგანიზაციისათვის დამტკიცებული ასიგნების 10%-ის ფარგლებში;

ე) ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა შორის, აძლევს დავალებებს და ისმენს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) აპტაკიცებს გამგეობის (მერიის) შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს და მოსამსახურეთა მორის ფუნქციების განაწილებას;

ზ) საკრებულოს წარუდგენს გამგეობის (მერიის) ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) საკრებულოს სამუშაო გეგმებისა და სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას; განსახილველად წარადგენს გამგეობის (მერიის) მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ი) გამგეობის (მერიის) საქმიანობისათვის პასუხისმგებელია საკრებულოს წინაშე;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოსელეების წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ლ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებას საკრებულოს მიერ განსაზღვრული წესით;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

ნ) ასორციელებს გამგეობის (მერიის) დებულებით და საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. გამგებელი (მერი) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

6. გამგებლის (მერის) არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან განთავისუფლებისას გამგებლის (მერის) მოვალეობას ასრულებს გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნისას – მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე ან მოადგილე ვერ ახორციელებს გამგებლის (მერის) უფლებამოსილებას, გამგებლის (მერის) მოვალეობას ითავსებს საკრებულოს თავმჯდომარე. *(10.11.2006. N3680)*

7. საკრებულოს წევრს ეკრძალება გამგებლის (მერის) საქმიანობაში ჩარევა პერსონალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 40. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტა და თანამდებობიდან განთავისუფლება

1. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტისა და თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესელა;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ე) გარდაცვალება;

ვ) საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადება ამ მუხლის მე-3–მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

2. გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტასა და თანამდებობიდან განთავისუფლებას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საკრებულო იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე.

3. საკრებულოს წინაშე უნდობლობის მოტივით გამგებლის (მერის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის დასმის უფლება აქვს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის დასმა დაუშვებელია გამგებლის (მერის) თანამდებობაზე არჩევიდან პირველი სამი თვის და საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ბოლო სამი თვის განმავლობაში. გამგებლის (მერის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგში შეიტანება რიგგარეშედ, ხოლო აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრა ტარდება საკითხის დასმიდან არა უადრეს 1 თვისა.

4. გამგებლის (მერის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის დასმიდან კენჭისყრამდე საკრებულო ამ კანონით დადგენილი წესით ასახელებს გამგებლის (მერის) ახალ კანდიდატურას.

5. თუ გამგებლის (მერის) თანამდებობაზე დასახელდა რამდენიმე კანდიდატურა, მათ კენჭი ერთად ეყრება. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხმებს.

6. გამგებელი (მერი) თანამდებობიდან განთავისუფლებულად ჩაითვლება და უფლებამოსილება უწყდება, თუ საკრებულო აირჩევს ახალ გამგებელს (მერს).

7. თუ გამგებლის (მერის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის დასმიდან 1 თვის განმავლობაში ვერ დასახელდა გამგებლის (მერის) ახალი კანდიდატურა ან ვერ აირჩა ახალი გამგებელი (მერი), დაუშვებელია გამგებლის (მერის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის განმეორებით დასმა აღნიშნული საკითხის დასმის დღიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

8. გამგებელი (მერი) პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულად ჩაითვლება განცხადების ჩაბარების დღიდან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9. ამ მუხლის მე-3–მე-7 პუნქტების გარდა, უფლებამოსილების სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულო ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს ახალ გამგებელს (მერს) 1 თვის ვადაში.

მუხლი 41. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). გამგებლის (მერის) განთავისუფლება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის განთავისუფლების საფუძველია.

2. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ ერთეულის მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა შორის;

გ) გამგებელს (მერს) წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს; სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ე) გამგებელს (მერს) წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) გამგებელს (მერს) პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ანგარიშვალდებულია გამგებლის (მერის) წინაშე.

3. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი (მერი).

მუხლი 42. გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი

1. გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული (შემდგომში – რწმუნებული) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, 1 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).

2. რწმუნებული საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თვითმმართველ ერთეულში შემავალ დასახლებაში (დასახლებათა ჯგუფში ან დასახლების ნაწილში).

3. რწმუნებული:

ა) წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირს;

ე) ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს (მერს) წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ფ) გამგებელს (მერს) წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ქ) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას, აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მოსახლეობისათვის გაცნობას;

ღ) ორგანიზებას უწევს მოსახლეობის გამოკითხვის და სასალსო განხილვების ჩატარებას;

ყ) ანგარიშვალდებულია გამგებლის (მერის) წინაშე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი (მერი).

თავი VII

ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტები

მუხლი 43. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტია საკრებულოს დადგენილება. საკრებულოს დადგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დებულებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება;

ბ) საკრებულოს განკარგულება;

ე) გამგებლის (მერის) ბრძანება.

4. სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დებულებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 44. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა შეჩერება და გაუქმება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებანი შეიძლება შეცვალოს მხოლოდ ამ გადაწყვეტილებათა მიმღებმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა.

2. საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მისივე გადაწყვეტილებით ან სასამართლო წესით.

3. იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებმაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადასცეს თავიანთ გამგებლობაში არსებული ცალკეული უფლებამოსილებები, შეუძლიათ შეაჩერონ ან/და გააუქმონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

4. გამგებლის (მერის) სამართლებრივი აქტების შეჩერებისა და გაუქმების უფლება აქვს საკრებულოს, აგრეთვე სასამართლოს –საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VIII

თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლები

მუხლი 45. თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური საფუძვლები

თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკურ საფუძველებს ქმნის თვითმმართველი ერთეულის ქონება და ფინანსები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ის ქონება, რომელიც მართვის უფლებით გადაცემული აქვს თვითმმართველ ერთეულს, აგრეთვე კანონით დადგენილი სხვა ქონება, რომელიც გათვალისწინებულია თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 46. თვითმმართველი ერთეულის ქონება

1. თვითმმართველი ერთეულის ქონებას განეკუთვნება ქონება, რომელიც სახელმწიფოს მიერ გადაცემულია თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, ან რომელიც თვითმმართველი ერთეულის მიერ შექმნილი ან შეძენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. თვითმმართველი ერთეულები საკუთრების უფლების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან. დაუშვებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარევა თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, მართვისა და განკარგვის საკითხებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობისა და განკარგვის, მისით სარგებლობის დროს ეალდებულნი არიან დაიცვან თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.

4. თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის წესი, წყაროები და კატეგორიები, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 47. მიწა და ბუნებრივი რესურსები

თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია:

ა). თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივნები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

ბ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მიმაგრებული მიწა;

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

გ.ა) პირუტყვის გადასარეკი ტრასებისა;

გ.ბ) 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა;

გ.გ) დაცული ტერიტორიების მიწისა;

გ.დ) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწისა;

გ.ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისა;

გ.ვ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწისა;

გ.ზ) წყლის ფონდის მიწისა;

გ.თ) კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა;

გ.ი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა, რომელიც ექვემდებარება პრივატიზებას „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

დ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსები.

მუხლი 48. ადგილობრივი შესყიდვა

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში ადგენენ საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის წესებს, დებენ ხელშეკრულებებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, აკონტროლებენ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და მომსახურების გაწევის დადგენილი წესების დაცვას.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის მიზნით შექმნას კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი. *(10.11.2006. N3680)*

მუხლი 49. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი პრინციპები

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ძირითადი საფინანსო გეგმა.

2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის, ისე საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისგან.

3. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და განხილვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების წესი განისაზღვრება ამ კანონით, „საბიუჯეტო სისტემის შესახებ" და „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 50. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებია:

ა) ადგილობრივი გადასახადები;

ბ) ადგილობრივი მოსაკრებლები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსავლები;

გ) კაპიტალური შემოსავლები;

დ) გამოთანაბრებითი ტრანსფერი;

ე) სესხი;

ვ) გრანტი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარი სასესხოა: *(29.12.2006 N4330)*

ა) მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები;

ბ) სუბსიდია, სუბვენცია;

გ) დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის მიღებული გრანტი;

დ) დონორებისაგან მიღებული მიზნობრივი შემოსულობები;

ე) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის განკუთვნილი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოსულობები გამოიყენება ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებლად, გარდა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თვითმმართველი ერთეულებისა, რომლებიც აღნიშნულ შემოსულობებს მიმართავენ როგორც დელეგირებული, ისე ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებლად. *(29.12.2006 N4330)*

3. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობას განსაზღვრავს საკრებულო საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ზღვრული განაკვეთების გათვალისწინებით. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და კაპიტალური შემოსავლების ამოღებას – შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები.

4. გამოთანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს გადაეცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით, ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. გამოთანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით.

5. მიზნობრივი ტრანსფერი არის თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა. მიზნობრივი ტრანსფერი გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

6. სპეციალური ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოიყენება ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, კონკრეტული კაპიტალური და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. *(29.12.2006 N4330)*

7. თვითმმართველ ერთეულს შეუძლია აიღოს სესხი ან გრანტი მხოლოდ საქართველოს მთავრობისაგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გრდის თვითმმართველი ერთეულის ხარჯებს ან ამცირებს მის შემოსავალს, კომპენსირებული უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ.

მუხლი 51. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯები

1. თვითმმართველ ერთეულს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია სპეციალური ტრანსფერის, მიზნობრივი ტრანსფერის, აგრეთვე მიზნობრივი სუბვენციებისა და მიზნობრივი სუბსიდიების გარდა დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ყველა სხვა წყაროდან მიღებული შემოსავლები.

2. თვითმმართველი ერთეულები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ამ კანონით დადგენილი ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი პროგრამებისა და ხარჯების მიმართულებებს.

3. ამოღებულია *(10.11.2006. N3680)*

4. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დაფინანსების მიზნით. სარეზერვო ფონდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების 2%-ს. სარეზერვო ფონდის განკარგვის წესს განსაზღვრავს საკრებულო.

5. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, გამოიყენება მომდევნო წელს.

თავი IX

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების გარანტიები

მუხლი 52. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უზრუნველყოფის სისტემა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებების განხორციელების უზრუნველყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან შექმნან კანონით დადგენილი, აუცილებელი საფინანსო-ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი პირობები.

მუხლი 53. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულოობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის.

მუხლი 54. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიმართვების განხილვა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიმართვები სავალდებულოა განსახილველად სახელმწიფო სელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, აგრეთვე იმ იურიდიული პირების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ეს მიმართვები ეგზავნება.

თავი X

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი

მუხლი 55. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლის ფორმები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლის ფორმებია:

ა) სახელმწიფო ზედამხედველობა;

ბ) საფინანსო კონტროლი;

გ) მიდა კონტროლი.

მუხლი 56. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ზომები და წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 57. საფინანსო კონტროლის ფორმები

1. საფინანსო კონტროლის ფორმებია:

ა) აუდიტორული შემოწმება;

ბ) საფინანსო შემოწმება.

2. აუდიტორული შემოწმება არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება, რომელსაც საკრებულოს ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ ატარებს მოწვეული აუდიტორი.

3. აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მათ გააცნობს საკრებულოს. ანგარიშს და დასკვნას აუდიტორი გზავნის საქართველოს კონტროლის პალატაში. აუდიტორის დასკვნა საჯაროდ ქვეყნდება.

4. საფინანსო შემოწმებას ახორციელებს საკრებულოს საფინანსო კომისია სახსრების გამოყენების შემდეგ, მათი მიღება-გამოყენების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენის მიზნით. საფინანსო შემოწმება მოიცავს გაწეული ხარჯების დოკუმენტირების, საფინანსო აღრიცხვისა და ანგარიშგების, კანონთან, უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შესაბამის გადაწყვეტილებასთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საფინანსო სტანდარტებთან შესაბამისობის და სახსრების გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენას.

მუხლი 58. შიდა კონტროლი

1. შიდა კონტროლი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებების, შინაგანაწესების, ინსტრუქციების და სამუშაო პროცესის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების დაცვის კონტროლს.

2. შიდა კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

თავი XI

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა

მუხლი 59. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე დგება მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონების დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 60. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან კანონით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებებით დადგენილი წესით წარუდგინონ მოსახლეობას ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 61. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე დგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თავი XII

საკრებულოს დათხოვნა, საქმიანობის შეჩერება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

მუხლი 62. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება

1. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას. საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის მართვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 63. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, თუ: *(10.11.2006. N3680)*

ა) თვითმმართველი ერთეული გაუქმებულია პარლამენტის დადგენილებით;

ბ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით;

გ) საკრებულომ 2 თვეში ვერ აირჩია საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი (მერი);

დ) საკრებულომ სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებიდან 2 თვეში არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

2. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას.

3. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის მართვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

თავი XIII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 64. თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მინიჭების დროებითი წესი

1. თვითმმართველი ერთეულის სტატუსი ენიჭებათ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ა) საქართველოს იმ ქალაქებს, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში;

ბ) საქართველოს რაიონებს;

გ) ერედვის, ქურთის, თიღვის და აჟარის თემებს.

2. მუნიციპალიტეტის, რომელიც წარმოადგენს დასახლებათა ერთობლიობას, ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისი რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, ხოლო ერედვის, ქურთის, თიღვის და აჟარის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრად – 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისი თემების ადმინისტრაციული ცენტრები.

3. საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი და უფლებამოსილება, ამ კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, განისაზღვრება საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

მუხლი 65. სამართალმემკვიდრეობა

1. მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე.

2. თვითმმართველი ქალაქი არის იმ ქალაქის სამართალმემკვიდრე, რომელიც 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

მუხლი 65[1]. ადგილობრივი მმართველობის ორგანოსა და თვითმმართველი ერთეულის ლიკვიდაცია *(10.11.2006. N3680)*

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგებელი (მერი) ან მისი მოვალეობის შემსრულებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს სალიკვიდაციო აქტებს და ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სხვა სალიკვიდაციო ღონისძიებებს 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

3. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სალიკვიდაციო ღონისძიებებს 2006 წლის 15 დეკემბრიდან ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული საკრებულოს თავმჯდომარე.

4. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

5. საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 1 იანვრამდე მთავრობის დადგენილებით განსაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

წარმოქმნილი დავალიანებების რესტრუქტურიზაციისა და მმართველობის ორგანოების მიერ წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის წესი.

6. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები მათზე დამაგრებული მიწით „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ხელშეკრულების გარეშე საკუთრებაში გადაეცეს შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

7. სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მეთოდური დახმარება დაევალოს საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებს. სალიკვიდაციო ღონისძიებების კოორდინაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განახორციელონ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა.

8. 2007 წლის 1 იანვრამდე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების რეგისტრაციის 5-დღიანი ვადა შეიცვალოს 20-დღიანით.

მუხლი 65². ადგილობრივი თვითმმართველობის დროებითი უფლება-მოსილება *(27.04.2007 N 4688 – Ს)*

1. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანოებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელონ კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებამი გადაცემა.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანოებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით განახორციელონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთების ფართობებისა და საზღვრების დადგენა.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან თვითმმართველი ერთეულისათვის შესაბამისი ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემამდე ის ბიბლიოთეკა, მუზეუმი, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, კლუბი, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო სასწავლებლები, რომლებსაც ფინანსებდა შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანო, დაფინანსდეს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

მუხლი 66. დასახლებათა და თვითმმართველ ერთეულთა ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის დროებითი წესი

1. დასახლებების ადმინისტრაციულ საზღვრებად დგინდება ამ კანონის მიღების დროისათვის დადგენილი ადმინისტრაციული საზღვრები.

2. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრები დგინდება თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების ამ კანონის ამოქმედების დროისათვის არსებული ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით.

3. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას და სარეგისტრაციო მონაცემებს იუსტიციის სამინისტროს წარუდგენს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარე. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია ხდება ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების საფუძველზე. *(10.11.2006. N3680)*

4. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების ამსახველი სქემატური რუკები მომზადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მიერ, არა უგვიანეს 2007 წლის 30 დეკემბრისა. *(10.11.2006. N3680)*

მუხლი 67. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა

1. 2006 წლის 1 სექტემბრამდე მიღებულ იქნეს:

ა) საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ";

ე) საქართველოს კანონი, რომელიც გაითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების პირდაპირი მონაწილეობის ფორმებს.

1¹. 2007 წლის 1 მარტამდე საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანებულებით უზრუნველყოს „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის" დამტკიცება. *(29.12.2006 N4330)*

1². ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 1 მაისამდე მიიღოს დადგენილებები: *(29.12.2006 N4330)*

ა) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სასელმწიფო ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის შესახებ;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, წყლის რესურსების, გზებისა და ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებები და სხვა) განსაზღვრის წესის მესახებ.

1³. ამ კანონის 47-ე მუხლით განსაზღვრული ქონება საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდეს ამ მუხლის 1² პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესების შემუშავების შემდეგ. *(29.12.2006 N4330)*

1⁴. ამ მუხლის 1² პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესების შემუშავებამდე ამ კანონის 47-ე მუხლით განსაზღვრული, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ქონება (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივნები, სკვერები და ა.შ.) საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდეს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად განკარგვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, ამ კანონის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. *(27.04.2007 N 4688 – Ik)*

1⁵. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია თვითმმართველ ერთეულს მისცეს ამ მუხლის 1⁴ პუნქტით განსაზღვრული ქონების სამინისტროს თანხმობის გარეშე განკარგვის უფლება. *(27.04.2007 N 4688 – Ik)*

2. ამ კანონის მიღებიდან 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების ჩატარებამდე უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს კანონმდებლობის ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 67¹ *(29.12.2006 N4330)*

1. ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ითვლება იმ ფიზიკურ პირთა საკუთრებად, რომელთა კანონიერ სარგებლობაშიც იმყოფება ისინი და რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით.

2. ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გამოცხადებულია კერძო საკუთრებად, რეგულირდება „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონით.

3. იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით, რომელთა განკარგვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ამ კანონის ამოქმედებამდე, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

თავი XV დასკვნითი დებულებანი

მუხლი 68. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 64-ე–67-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2006 წლის ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

2. ამ კანონის 64-ე–67-ე მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2005 წლის 16 დეკემბერი.
N 2304 – რს

საქართველოს კანონი
საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსს, თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებას, საქმიანობის წესს და საფინანსო-ეკონომიკურ საფუძვლებს.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს დედაქალაქი და მისი სტატუსი

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

2. დედაქალაქის სტატუსი, ამ კანონის მიხედვით, გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მართვას თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

3. საქართველოს დედაქალაქი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების,საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ეროვნული ბანკის, უცხო ქვეყნების დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების ადგილსამყოფელია.

მუხლი 2. დედაქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები

1. დედაქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები, მათი დადგენისა და შეცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. დედაქალაქის ტერიტორია იყოფა რაიონებად, რომელთა დასახელებებს, რაოდენობასა და საზღვრებს (ქალაქ თბილისის საზღვრებში) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით აღგენს ქალაქ თბილისის საკრებულო. (29.12.2006. N4331)

მუხლი 3. დედაქალაქის მოსახლეობა

დედაქალაქის მოსახლეობას შეადგენენ საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნების მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოვრობენ დედაქალაქში.

მუხლი 4. ქალაქ თბილისში თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისში თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საუძველია

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები. *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

2. ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მერიის მეშვეობით. (29.12.2006. N4331)

3. ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

4. ქალაქ თბილისის მერია (ქალაქ თბილისის მთავრობა, ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობები) წარმოადგენს თვითმმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. (29.12.2006. N4331)

მუხლი 5. ქალაქ თბილისში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) ქალაქ თბილისის მოსახლეობის უფლება, კანონით დადგენილი წესით აირჩიოს წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებლად;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტისას;

გ) საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

დ) კანონმდებლობის დაცვა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა განხორციელებისას;

ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა.

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები მოქმედებენ უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის დაცვით.

მუხლი 6. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილება თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებაში*(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებისათვის ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები: *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოუყოფენ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, უცხო ქვეყნების საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობებს და მიწის ნაკვეთებს;

ბ) ხელს უწყობენ სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო პირობების შექმნას;

გ) მონაწილეობენ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის და სხვა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში და უზრუნველყოფენ მათ განხორციელებას.

2. საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ხელს უწყობენ ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებაში. ამ მიზნით ისინი მონაწილეობენ: *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ა) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის და სხვა სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ობიექტების მშენებლობაში, რეკონსტრუქციასა და მოვლა-პატრონობაში;

ე) კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო სისტემისა და კომუნალური მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში.

3. საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს უთანხმებენ ამ დაწესებულებებისადმი დაქვემდებარებული დარგების პროგრამათა იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებასთან. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 7. თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

1. თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო პროგრამები უინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან მიმსობრიეი ტრანსფერტების ხარჯზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მის გამგებლობაში არსებული ცალკეული ფუნქციების გადაცემა დაიშვება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათთან შეთანხმებით, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური სახსრების გადაცემასთან ერთად. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 8. სახელმწიფოსა და დედაქალაქს შორის კომპეტენციების განაწილება

1. დედაქალაქის კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", ამ კანონით და მათგან გამომდინარე ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით. *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

2. სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები დადგენილია ამ კანონით.

მუხლი 9. სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივი კომპეტენცია

1. სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება:

2. ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია;

ბ) ბუნებათსარგებლობა, გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციე-ლება; ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა;

დ) ურბანისტიკის, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის სტრატეგიული პროგრამების შემუშავება და განხილვა;

ე) განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის საკითხების კოორდინაცია;

ვ) მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია;

ზ) კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების შედეგების ლიკვიდაცია;

თ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქგანვითარების დაფინანსება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხები ურთიერთშეთანხმებით შეიძლება გადანაწილდეს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებსა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს შორის.

3. ის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებისას და არ წესრიგდება ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9[1]. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებებია:

ა) ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;

ბ) ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა;

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის გასინლეა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

ე) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა და მართვა, დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად (კამწეანების, დასვენების, საეკლესიო, სამრეწველო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;(27.04.2007 N 4687 – Ik)

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემა და მიმდინარე მშენებლობებზე ზედამხედველობა;(27.04.2007 N 4687 – Ik)

ი) ადგილობრივი სამგზაურო გადაზიდვების რეგულირება;

კ) გარე ეკონომიკის რეგულირება;

ლ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

მ) ქუჩების დასუფთავების, ნარჩენების მართვის, გარე განათების, წყალმომარაგების, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციისა და სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების წესებისა და ფასის (ტარიფის) განსაზღვრა, ასევე ამ მომსახურებათა განხორციელების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; ავტომანქანათა პარკირების რეგულირება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;(27.04.2007 N 4687 – Ik)

ნ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;

ო) სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა;

პ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის სივრცით-ტერიტორიული მოწყობა;

ჟ) დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება;

რ) მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოება;

ს) საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ტ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

უ) ქუჩების, პროსპექტების (გამზირების), ხეივნების, გზატკეცილების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, ბულვარების, ბაღების, პარკებისა და ხიდების სახელდება და ნუმერაცია.(27.04.2007 N 4687 – Ik)

მუხლი 10. ქალაქ თბილისის სიმბოლოები

1. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით, ქალაქ თბილისს აქვს გერბი, დროშა, ჰიმნი და სხვა სიმბოლოები.

2. ქალაქ თბილისის გერბს, დროშას, ჰიმნს და სხვა სიმბოლოებს ადგენს ქალაქ თბილისის საკრებულო. ისინი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას.

II თავი

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო

(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)

მუხლი 11. ქალაქ თბილისის საკრებულო *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის საკრებულო (შემდგომში – საკრებულო) არის ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც იქმნება შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 25 წევრისგან და ქალაქ თბილისში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 წევრისგან.

2. საკრებულოს არჩევის წესს აწესებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი".

მუხლი 12. საკრებულოს კომპეტენცია

1. საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს ორგანოების დებულებების დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი; *(28.12.2005 N 2563)*

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, მუდმივი და დროებითი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა და გადარჩევა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამაკეთების ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარის, მდივნის, მუდმივი კომისიის თავმჯდომარის და ფრაქციის თავმჯდომარის ყოველთვიური გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა; *(28.12.2005 N 2563)*

გ) საკრებულოს სტრუქტურის დამტკიცება; საკრებულოს კომისიების შექმნა; კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა; *(28.12.2005 N 2563)*

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა; *(28.12.2005 N 2563)*

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის (დედაქალაქისა და მისი რაიონების) ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი; (29.12.2006. N4331)

ვ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი ოდენობების განსაზღვრა და გაუქმება; *(28.12.2005 N 2563)*

ზ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმისა და სხვა მიზნობრივი პროგრამების განხილვა;

ზ[1]) მიწის განკარგვისა და მისი სხვა უფლებით გადაცემის წესის დადგენა;*(27.04.2007 N 4687 – Ik)*

თ) დედაქალაქის ადგილობრივი საკუთრების ფლობის, განკარგვის და მისით სარგებლობის წესების დადგენა; *(28.12.2005 N 2563)*

თ[1]) დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების წესების დადგენა;*(27.04.2007 N 4687 – Ik)*

თ[2]) მიწის ნორმატიული ფასისა და საიჯარო ქირის ოდენობის დადგენა;*(27.04.2007 N 4687 – Ik)*

ი) ქალაქ თბილისის მერის და ქალაქის მთავრობის სხვა თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი; მერის ანგარიშების მოსმენა და შეფასება; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

კ) ქალაქ თბილისის მერის არჩევა; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ლ) ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მ) ქალაქ თბილისის მთავრობის სტრუქტურის დამტკიცება; *(28.12.2005 N 2563)*

ნ) ქალაქ თბილისის მერის და მთავრობის სხვა თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი; მერის ანგარიშების მოსმენა და შეფასება; საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა; *(28.12.2005 N 2563)*

ო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მთავრობისათვის კრედიტის აღებაზე თანხმობის მიცემა ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; *(28.12.2005 N 2563)*

პ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფა და მის საფუძველზე მიწათსარგებლობის წესების დამტკიცება; *(28.12.2005 N 2563)*

ჟ) მერის წარდგინებით ქალაქის რაიონისათვის ან უბნისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება; ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფა; მათთვის სახელწოდების მინიჭება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

რ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის (დედაქალაქისა და მისი რაიონების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების, კეთილმოწყობის და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების განხილვა და დამტკიცება, მათი შესრულების კონტროლი. (29.12.2006. N4331)

ს) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით კომუნალური და სხვა მომსახურების ტარიფების განსაზღვრა კანონით დადგენილი წესით; *(28.12.2005 N 2563)*

ტ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების წესების დადგენა; *(28.12.2005 N 2563)*

ტ[1]) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტომანქანათა პარკირების წესების განსაზღვრა;*(27.04.2007 N 4687 – Ik)*

უ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ენერგო-, გაზ- და წყალმომარაგების საქალაქო სისტემის ორგანიზებისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება; *(28.12.2005 N 2563)*

ფ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის შიდა სარგებლობის გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის გეგმების დამტკიცება;*(28.12.2005 N 2563)*

ქ) შესაბამისი ორგანოების ინფორმაციის მოსმენა სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. *(28.12.2005 N 2563)*

ღ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

ყ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

შ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

ჩ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

ც) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

ძ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

წ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

ჭ) ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ხ) ქალაქ თბილისის გერბის, დროშის, ჰიმნის და სხვა სიმბოლოების დადგენა, მათი გამოყენების წესების განსაზღვრა;

ჯ) ქალაქ თბილისის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების დადგენა;

ჰ) ამ კანონით,საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

ჰ[1]) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი რაიონების შექმნა, სახელდება და მათი საზღვრების დადგენა, ასევე არსებული რაიონების გაერთიანება, დაყოფა, გაუქმება, სახელწოდებების შეცვლა, მათი საზღვრების დადგენა, შესაბამისი რაიონების გამგეობების შექმნა და გაუქმება, რაიონების დაყოფა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად (უბანი, სექტორი, კვარტალი, მიკრორაიონი და ა.შ.) და ამ ტერიტორიული ერთეულების სახელდება. *(27.04.2007 N 4687 – Ik)*

2. ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

3. საკრებულოს აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით უხდობლობა გამოუცხადოს ქალაქის მერს ამ კანონის 22[1] მუხლით დადგენილი წესით. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 13. საკრებულოს თანამდებობები

პირები და მათი უფლებამოსილებანი

1. საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; (29.12.2006. N4331)

გ) საკრებულოს მუდმივ და დროებით კომისიათა თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;

დ) საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები.

2. საკრებულოს წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. თავმჯდომარე ჩაითვლება არჩეულად, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საკრებულოს მუშაობას; ორგანიზებას უწევს საკრებულოს სხდომების მომზადებას; თავმჯდომარეობს საკრებულოს სხდომებს; უზრუნველყოფს სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას; იწვევს და თავმჯდომარეობს საკრებულოს ბიუროს სხდომებს; *(27.04.2007 N 4687 – Ib)*

ბ) წარმოადგენს საკრებულოს ამ კანონითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს მუდმივი და დროებითი კომისიების მუშაობას;

დ) იწვევს საკრებულოს რიგგარეშე სხდომებს;

ე) ხელს აწერს საკრებულოს გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს, განცხადებებს, მიმართვებს და სხვა დოკუმენტებს;

ვ) ასრულებს სხვა მოვალეობებს საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

8) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – განკარგულებას. *(28.12.2005 N 2563)*

4. საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჩაითვლება არჩეულად, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. (29.12.2006. N4331)

5. საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების არჩევის წესი დგინდება საკრებულოს რეგლამენტით.

6. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებისას. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ახორციელებს ფუნქციებს ამ კანონის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს დავალებით, მისი რეგლამენტით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში. (29.12.2006. N4331)

7. ამოღებულია (23.07.99)

8. საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე, მუდმივი კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იღებენ გასამრჯელოს. მათ უფლება არა აქვთ ეკავოთ რაიმე სხვა თანამდებობა, ეწეოდნენ სამეწარმეო ან სხვა საქმიანობას, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა. (29.12.2006. N4331)

9. საკრებულოს სხვა თანამდებობის პირები და წევრები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

მუხლი 14. საკრებულოს სხდომის მუშაობის ორგანიზაცია

1. საკრებულოს ახალი შემადგენლობის პირველ სხდომას იწვევს ქალაქ თბილისის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ორი კვირის ვადაში. საკრებულოს სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.

2. საკრებულოს მორიგ სხდომებს, სამ თვეში ერთხელ მაინც, იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო ამ კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. (29.12.2006. N4331)

3. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) ქალაქ თბილისის მერის წინადადებით; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ასლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

ე) ქალაქ თბილისის არანაკლებ 10 000 ამომრჩეველის მოთხოვნით.

4. საკრებულოს რიგგარეშე სხდომას იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე მისი მოწვევის მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში.

მუხლი 14[1]. საკრებულოს ბიურო (27.04.2007 N 4687 – Ის)

1. საკრებულოს ბიურო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან.

2. საკრებულოს ბიურო:

ა) ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს, აგრეთვე საკრებულოს სამუშაო გეგმებსა და პროექტებს;

ბ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი კომისიების მუშაობას;

ე) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასაგანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი კომისიების დასკვნებს;

დ) ისმენს ქალაქ თბილისის მერის წარმომადგენლის, საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

ე) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს ფრაქციების რეგისტრაციის საკითხებს;

ვ) გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს წევრისა და საკრებულოს დელეგაციის სხვა სახელმწიფოში მივლინების საკითხთან დაკავშირებით, ასევე ნიშნავს საკრებულოს დელეგაციის ხელმძღვანელს;

ზ) ახორციელებს კანონშდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. საკრებულოს ბიუროს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 15. საკრებულოში საკითხების განხილვის წესი

1. საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, თუკი ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

2. საკრებულოს სხდომები ტარდება ღიად და საჯაროდ.

3. საკრებულოს სხდომა დახურულად ცხადდება:

ა) საკრებულოს გადაწყვეტილებით;

ბ) თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალულია ან შეზღუდულია კანონით.

მუხლი 16. საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრის წესი

1. საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები წყდება, როგორც წესი, ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა ტარდება მხოლოდ პერსონალური და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტის დროს.

2. საკრებულოში სამართლებრივი აქტების ინიციირების უფლება აქვთ საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს, ქალაქ თბილისის მერს, აგრეთვე ქალაქ თბილისის არანაკლებ 3000 ამომრჩეველს, შესაბამის პეტიციაზე ხელმოწერით. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

3. ინიციირების უფლების გამოყენება ხდება საკრებულოში შესაბამისი აქტის პროექტის შეტანით.ინიციირების წესით შეტანილი საკითხის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულომ უნდა მიიღოს უახლოეს სხდომაზე.

4. საკრებულოს გადაწყვეტილებები მიიღება მის სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

5. თუ ქალაქ თბილისის მერმა დააბრუნა საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად, საკრებულო ვალდებულია ორი კვირის ვადაში უყაროს კენჭი მერის შენიშვნებს. შენიშვნების მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რომელიც ამ სასის აქტისათვის დადგენილია ამ კანონით. თუ შენიშვნები არ იქნება მიღებული, კენჭი ეყრება საკრებულოს მიერ მერისათვის წარდგენილ

თავდაპირველ ვარიანტს.გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ თავდაპირველ ვარიანტს მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 17. საკრებულოს სხდომის ოქმი

1. საკრებულოს სხდომის ოქმში აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სხდომაზე დამსწრეთა გვარები, განსახილველი და განხილული საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე დამსწრეთა განსაკუთრებული მოსაზრებები.

2. საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. (29.12.2006. N4331)

3. საკრებულოს სხდომის ოქმი უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 18. საკრებულოს კომისიები

1. საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის ხუთ მუდმივმოქმედ კომისიას და საკრებულოს სარევიზიო კომისიას. (15.09.2000)

2. საკრებულო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი კომისიები.

3. საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები აირჩევიან საკრებულოს წევრთაგან. კომისიათა წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

4. საკრებულოს კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. საკრებულოს სარევიზიო კომისია

1. ქალაქ თბილისის აღმასრულებელი ორგანოების საფინანსო საქმიანობის კონტროლის მიზნით საკრებულო საკუთარი შემადგენლობიდან, თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის სარევიზიო კომისიას.

2. სარევიზიო კომისია აკონტროლებს შემოსავლების ამოღების დროულობას და მათ აღრიცხვას, ხარჯების კანონიერებას და ადგილობრივ ბიუჯეტთან შესაბამისობას.

3. სარევიზიო კომისია საკრებულოს სამ თვეში ერთხელ წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებისას სარევიზიო კომისია საკრებულოს წარუდგენს შემოწმების წლიურ ანგარიშს.

მუხლი 20. საკრებულოს წევრის და არჩევითი თანამდებობის პირის სტატუსი

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

2. საკრებულოს წევრს უფლება აქვს: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად; სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს ქალაქ თბილისის მთავრობის, ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობათა სხდომებს; შეკითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, ქალაქ თბილისის მერს, ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელს, ქალაქ თბილისის მთავრობის სხვა წევრებს და მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის შეკითხვას. საკრებულოს წევრის და არჩევითი თანამდებობის პირის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით. (29.12.2006. N4331)

3. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) თუ სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) თუ შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) თუ არასაპატიო მიზეზით ოთხი მოწვევის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში;

ვ) თუ გარდაიცვალა;

ზ) საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

4. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო.

მუხლი 21. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და რიგგარეშე არჩევნები

საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

ა) თუ საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ქალაქ თბილისის მერიის წინადადებით ან უამისოდ;*(27.04.2007 N 4687 – Ის)*

გ) თუ საკრებულომ ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა ბიუჯეტი;

დ) რიგგარეშე არჩევნების შემდეგ ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

თავი III

ქალაქ თბილისის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოები

მუხლი 22. ქალაქ თბილისის მერი

1. ქალაქ თბილისის მერი (შემდგომში – მერი) არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი. მერს ირჩევს ქალაქის საკრებულო თავისი შემადგენლობიდან, საკუთარი უფლებამოსილების ვადით. მერის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს. მერის არჩევის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

2. ქალაქ თბილისის მერად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

3. მერი:

ა) ამოღებულია *(24.02.2004 N 3419)*

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მთავრობის წევრებს, მერიის ადმინისტრაციის უფროსს და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს;*(27.04.2007 N 4687 – Ის)*

გ) ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

დ) უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში, შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად. საკრებულო ვალდებულია ორი კვირის ვადაში უყაროს კენჭი მერის შენიშვნებს. თუ შენიშვნები არ იქნება მიღებული, კენჭი ეყრება საკრებულოს მიერ მერისათვის წარდგენილ თავდაპირველ ვარიანტს. საკრებულოს ნორმატიული აქტები მიღებულად ითვლება და ქვეყნდება საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით, თუ თავდაპირველ ვარიანტს მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

ე) უფლებამოსილია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის"ი" ქვეპუნქტით და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის წინადადებით;

ვ) ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ზ) ამოღებულია *(24.02.2004 N 3419)*

თ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გამგებლების აქტები; *(24.02.2004 N 3419)*

ი) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით თანხმობას აძლევს სამთავრობო დაწესებულებების შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნა-განთავისუფლებაზე; (28.06.2000)

კ) ხელს აწერს მთავრობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს ქალაქ თბილისს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ლ) უფლებამოსილია მიმართოს ქალაქ თბილისის მოსახლეობას;

მ) ანიჭებს ქალაქ თბილისის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს

ო) კოორდინაციას უწევს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას და მათ სამხედრო საავალდებულო სამსახურში გაწვევას; *(21.06.2002 N1537 2003წლის 1 იანვრიდან)*

ო[1]) წყვეტს საქალაქო მნიშვნელობის განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხებს, ამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს; *(28.12.2005 N 2563)*

ო[2]) ამტკიცებს ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს; *(28.12.2005 N 2563)*

ო[3]) ამტკიცებს საქალაქო სამსახურების დებულებებს; *(28.12.2005 N 2563)*

პ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ჟ) უძღვება მთავრობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეებს შორის; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს; მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ქალაქ თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

რ) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

ს) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

ტ) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

4. მერი ვალდებულია საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

5. მერი საკუთარ უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია ქალაქის მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე. მერი ვალდებულია ყოველწლიურად წარდგეს ანგარიშით საკრებულოს წინაშე. ქალაქის საკრებულოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მერი ვალდებულია წარდგეს რიგგარეშე ანგარიშით. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 22[1]. ქალაქის მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. საკრებულო უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს ქალაქის მერს.

2. საკრებულოს წინაშე მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის უფლება აქვს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის 1/3-ს. უნდობლობის საკითხის დასმა დაუშვებელია მერის თანამდებობაზე არჩევიდან პირველი სამი თვის განმავლობაში და საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ბოლო სამი თვის განმავლობაში. მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანება რიგგარეშედ, ხოლო აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრა ტარდება უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმიდან არა უადრეს ერთი და არა უგვიანეს ორი თვისა.

3. ქალაქის მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმიდან კენჭისყრამდე საკრებულოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია დაასახელოს მერის ახალი კანდიდატურა.

4. თუ მერის თანამდებობაზე დასახელდება რამდენიმე კანდიდატი, მათ კენჭი ეყრება ერთად და გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობას.

5. ქალაქის მერის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ საკრებულო აირჩევს ახალ მერს.

6. თუ უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის დღიდან ერთი თვის ეადაში ვერ დასახელდა ახალი მერის კანდიდატურა ან ვერ აირჩა ახალი მერი, დაუშვებელია ქალაქის მერის უნდობლობის საკითხის დასმა უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის დღიდან მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.

7. უნდობლობის გამოცხადების გარდა ქალაქის მერის უფლებამოსილების სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში ქალაქის საკრებულო ირჩევს ახალ მერს ერთი თვის ეადაში.

მუხლი 23. ქალაქის მთავრობა *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში – მთავრობა) არის კოლეგიალური ორგანო, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას, დედაქალაქის ბიუჯეტისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებასა და შესრულებას.

2. მთავრობა მედგება: მერის, მერის მოადგილეებისა და ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისაგან. თბილისის რაიონების გამგებლები თანამდებობრივად შედიან მთავრობის შემადგენლობაში. (29.12.2006. N4331)

3. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და ქალაქ თბილისის მერიის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

4. ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალი კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები ქალაქ თბილისის მთავრობის შემადგენლობაში არ მედიან. *(28.12.2005 N 2563)*

მუხლი 23[1]. მთავრობის უფლებამოსილებანი *(28.12.2005 N 2563)*

მთავრობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;

ბ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;

გ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობების განსაზღვრისა და გაუქმების, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზების შესახებ წინადადებების მომზადება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოსათვის წარსადგენად;

დ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა;

ე) საქალაქო სამსახურების შექმნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, აგრეთვე მათ დაფუძნებაში მონაწილეობა და მათში გაწევრიანება; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შეძენა; ამსანაგობაში მონაწილეობა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი;

ზ) კომუნალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და განვითარება;

თ) დედაქალაქის შიდა სარგებლობის გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ორგანიზება; მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება; საქალაქო არქივის შექმნა;

ი) ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელება.

თ[1]) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის (ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება, შეგროვება, ტრანსპორტირება, გამოყენება, გადამუშავება, სეპარაცია, გაუვნებლება და განთავსება) მომსახურების ორგანიზება; *(24.07.2006 N3499)*

თ[2]) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მიზნით ოპერატორის მერჩევის წესის განსაზღვრა; *(24.07.2006 N3499)*

თ[3]) დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, გარდა დასახლების

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა, დამტკიცება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით; *(27.04.2007 N 4687 – სს)*

თ[4]) ქუჩების, პროსპექტების (გამზირების), ხეივნების, გზატკეცილების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, ბულვარების ნუმერაცია.*(27.04.2007 N 4687 – სს)*

მუხლი 24. ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 25. მერის მოადგილეები *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. მერს ჰყავს პირველი მოადგილე (ეიცე-მერი) და მოადგილეები.

2. მერის მოადგილეები ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს; ამზადებენ და მერს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ საკრებულოს, მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებას.

მუხლი 26. საქალაქო სამსახურები

1. საქალაქო სამსახურები იქმნება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული სოციალურეკონომიკური დარგების მართვის მიზნით.

2. საქალაქო სამსახურების უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით.

3. საქალაქო სამსახურის საქმიანობას უძღვება სამსახურის ხელმძღვანელი. იგი იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მერის, საკრებულოს და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

4. საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია მერის წინაშე. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

5. საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი. *(28.12.2005 N 2563)*

მუხლი 26[1]. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სისტემაში შემავალი ერთეულების საფინანსო კონტროლი და ზედამხედველობა *(28.12.2005 N 2563)*

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სისტემაში შემავალი ერთეულების საფინანსო კონტროლსა და ზედამხედველობას გეგმური ან/და თემატური რევიზიის მეშვეობით ახორციელებს შესაბამისი საქალაქო სამსახური.

მუხლი 27. საკრებულოს აპარატი *(28.12.2005 N 2563)*

1. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის უფროსს საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.

2. საკრებულოს აპარატის დებულებას, სტრუქტურას და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საკრებულო.

3. საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და საკრებულოს აპარატის სხვა თანამშრომლებს – მრჩეველებს და ტექნიკურ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის უფროსი.

4. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით, ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტით და აპარატის დებულებით.

მუხლი 27[1]. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია *(28.12.2005 N 2563)*

1. ქალაქ თბილისის მერიისა და მთავრობის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაცია. მერიის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

2. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და მისი სტრუქტურული ერთეულების –

საჯსახურების მოსაჯსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერიის ადმინისტრაციის უფროსი.*(27.04.2007 N 4687 – ს)*

3. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და სამსახურების დებულებებს ამტკიცებს მერი. *(27.04.2007 N 4687 – ს)*

მუხლი 28. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს.

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული აქტები: საკრებულოს გადაწყვეტილების, მერის ბრძანების, მთავრობის დადგენილების, გამგებლის ბრძანების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ თბილისის მერიის დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

3. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები: საკრებულოსა და მთავრობის დადგენილებების, საკრებულოს თავმჯდომარის, მერის, საკრებულოს აპარატისა და მერიის ადმინისტრაციის უფროსებისა და გამგებლების განკარგულებების, ქალაქის სამსახურების ხელმძღვანელთა ბრძანებების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ თბილისის მერიის დებულებით და სხვა აქტებით. (29.12.2006. N4331)

4. მერი და გამგებელი ნორმატიულ აქტებს გამოსცემენ შესაბამისად მთავრობისა და გამგეობის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ.

5. საკრებულოს, მერის, მთავრობისა და გამგებლის ნორმატიული აქტები ძალაში შედის დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 29. ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობა

1. ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობა (შემდგომში – გამგეობა) შედგება გამგებლის, მისი მოადგილეებისა და რაიონული სამსახურების ხელმძღვანელებისაგან. (29.12.2006. N4331)

2. გამგეობის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერიის დებულებით.

მუხლი 30. ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელი

1. ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელი (შემდგომში – გამგებელი) უძღვება გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფს რაიონის მართვას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას; კოორდინაციას უწევს საკრებულოს, მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

2. რაიონის გამგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი. (29.12.2006. N4331)

3. გამგებელი თანამდებობრივად შედის მთავრობის შემადგენლობაში.

4. გამგებელი:

ა) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის შემადგენლობას;

ბ) მერს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის წევრებს; უფლებამოსილია გამგეობის წევრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება გამგეობის ახალი წევრის დანიშვნამდე;

გ) უძღვება გამგეობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის წევრებს შორის; თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს;

დ) ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

ე) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას (29.12.2006. N4331)

ვ) ხელს აწერს გამგეობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

წარმოადგენს გამგეობას და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს

თ) ხელმძღვანელობს სამხედრო განყოფილების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას და თავმჯდომარეობს გამწვევ კომისიას; *(21.06.2002 N1537 2003წლის 1 იანვრიდან)*

ი) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. გამგებელს აქვს გადადგომის უფლება. რაიონის გამგებელი უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია მერის წინაშე. (29.12.2006. N4331)

მუხლი 31. გამგებლის მოადგილეები

1. გამგებელს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს 3 მოადგილისა.

2. გამგებელი თავის მოადგილეს ნიშნავს მერთან შეთანხმებით.

3. გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს; ამზადებენ და გამგებელს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ გამგებლის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4. გამგებლის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ გამგებელს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, მისი დავალებით გამგებლის მოვალეობებს ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 32. გამგეობის სამსახურები

1. გამგეობის სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უძღვებიან სამეურნეო კომპლექსისა და მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა დარგების საქმიანობას.

2. გამგეობის სამსახურების საქმიანობას ხელმძღვანელობენ სამსახურების უფროსები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი მერთან შეთანხმებით.

3. გამგეობის სამსახურის მუშაობის ორგანიზაცია და კომპეტენცია განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს გამგებელი.

თავი IV

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები

(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)

მუხლი 33. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ეკონომიკურ საფუძველებს ქმნის თბილისის ქონება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ის ქონება, რომელიც მართვის უფლებით გადაცემული აქვს თვითმმართველობას, აგრეთვე კანონით დადგენილი სხვა ქონება, რომელიც გათვალისწინებულია დედაქალაქის მოსახლეობის საჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 34. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაშია:

ა) თბილისის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებული და სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების, დაწესებულებების შენობებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთებისა;

ბ) თბილისის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე დამაგრებული მიწა;

ვ) თბილისის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ კატეგორიის მიწისა, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია;

დ) თბილისის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსები.

2. ქალაქ თბილისის სარგებლობაში შეიძლება იყოს მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე მიწის ნაკვეთები და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საჭიროებისათვის ან მის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებისათვის გადაცემულია ქალაქის სარგებლობაში.

მუხლი 35. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ქონება *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ქონებას განეკუთვნება ქონება, რომელიც სახელმწიფოს მიერ გადაცემულია ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაში, ან რომელიც ქალაქ თბილისის თვითმმართველობის მიერ შექმნილი ან შეძენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაში შეიძლება იყოს: შენობა-ნაგებობები, კომუნალური საბინაო ფონდი და კომუნალური მეურნეობის ობიექტები; სატრანსპორტო საწარმოები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები; განათლების, კულტურის, სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოები, აგრეთვე ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრები, ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.), სპეციალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა ინფორმაცია; სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც აუცილებელია ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების და მის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განსახორციელებლად; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ობიექტები.

3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი საკუთრების ობიექტები შეიძლება მდებარეობდეს ქალაქ თბილისის ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც.

4. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ქონების შექმნის წესი, წყაროები და კატეგორიები, აგრეთვე თბილისისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 36. ქალაქ თბილისის საკუთრების შექმნის საფუძვლები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ქალაქ თბილისის საკუთრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იქმნება:

ა) ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების გადაცემით;

ბ) ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების მიერ ახალი ობიექტების შეძენით ან შექმნით;

გ) ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით გათვალისწინებული ყარიბებების დადების შემთხვევაში, აგრეთვე იმ ხელმილებათა შედეგად, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობა უკავშირებს სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების წარმოშობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 37. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებაში, საექსპორტო ბაზრისა და წარმოების განვითარებაში.

მუხლი 38. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებში *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულოს კომპეტენციას ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებში განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი საკუთრების მართვისა და განკარგვის, ამ საკუთრების შექმნის, შეძენის, იჯარით ან სხვა ფორმით სარგებლობაში გადაცემის და გასხვისების წესების დადგენა;

ბ) ისტორიულ-კულტურული ობიექტების გამოყენებისა და დაცვის წესების დადგენა;

გ) თბილისის ტერიტორიაზე არსებული მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მათი დაცვისა და კონტროლის წესების განსაზღვრა;

დ) მთავრობის წარდგინებით ადგილობრივი საკუთრების იმ ობიექტების განსაზღვრა, რომელთა გასხვისებაც არ შეიძლება;

ე) მთავრობის წარდგინებით ადგილობრივი საკუთრების ობიექტებით სარგებლობის საფასურის ოდენობის განსაზღვრა;

ვ) მიწის საიჯარო ქირის ოდენობის დადგენა, მისი გაანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრა;

ზ) მთავრობის წარდგინებით დედაქალაქის ტერიტორიული ზონების ჩამონათვალისა და მათი საზღვრების დამტკიცება.

2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციას ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებში განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი საკუთრების ობიექტების მართვა; ამ ობიექტების დაცვა და მოვლა-პატრონობა;

ბ) ადგილობრივი საკუთრების ობიექტების სარგებლობაში გადაცემა;

გ) ადგილობრივი საკუთრების შექმნა, შეძენა და გასხვისება;

დ) მიწის ნაკვეთების მართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფა;

ვ) მიწათსარგებლობისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმების ამოღება;

ზ) მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების დაცვა;

თ) ქალაქ თბილისის მიწის კადასტრის შედგენა და წარმოება;

ი) სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, აგრეთვე მათ დაფუძნებაში მონაწილეობა და მათში გაწევრიანება; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შეძენა; ამხანაგობაში მონაწილეობა;

კ) მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება.

მუხლი 38[1]. ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა და მართვა (27.04.2007 N 4687 – IIს)

1. ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება განიკარგოს აუქციონის (აუქციონი პირობებით), კონკურსის ან პირდაპირი განკარგვის ფორმით.

2. ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება გაიცეს იჯარის, უზუფრუქტის, აღნაგობის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ხელშეკრულებით.

3. მიწის განკარგვისა და მისი სხვა უფლებით გადაცემის წესს ადგენს საკრებულო მერის წარდგინებით.

4. მიწის განკარგვას აუქციონის (აუქციონი პირობებით), კონკურსის ფორმით ახორციელებს მთავრობა, ხოლო მიწის პირდაპირი განკარგვის საკითხს ქალაქ თბილისის მერიის წარდგინებით წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

5. მიწის ნორმატიულ ფასსა და საიჯარო ქირის ოდენობას წელიწადში ერთხელ, მერის წარდგინებით, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენს საკრებულო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. მიწის განკარგვის დროს (მათ შორის, პირდაპირი განკარგვისას) საწყისი ფასი ან საიჯარო ფასი არ შეიძლება იყოს მიწის ნორმატიულ ფასზე ან საიჯარო ქირის ოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 39. ამოღებულია *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 40. ამოღებულია *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 41. ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

მუხლი 42. ამოღებულია *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 43. ამოღებულია *(28.12.2005 N 2563)*

თავი V

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ფინანსური საფუძვლები

(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)

მუხლი 44. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სისტემა *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სისტემა განისაზღვრება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონებით.

მუხლი 44[1]. ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია ნარჩენების მართვის სფეროში *(24.07.2006 N3499)*

1. ნარჩენების მართვის სფეროში ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურება, რომლის განხორციელება მთავრობას შეუძლია:

ა) უშუალოდ საქალაქო სამსახურის მეშვეობით;

ბ) მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზებით;

გ) ოპერატორის მიერ მომხმარებლებისათვის მომსახურების წესების დადგენით;

დ) ოპერატორსა და მომხმარებელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დადგენით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქ. თბილისის მთავრობის მიერ შერჩეული ოპერატორის მომსახურების მიუღებლობისას მოსახლეობა და ორგანიზაციები ვალდებული არიან, თავად შეარჩიონ ოპერატორი მოქმედი წესების დაცვით.

3. დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების საფასურს ფიზიკური და იურიდიული პირები ანაზღაურებენ მოსაკრებლის, ტარიფის ან მომსახურების საფასურის გადახდით. დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფს და მისი გადახდის წესს აგენს საკრებულო. არ შეიძლება ერთსა და იმავე მომსახურებაზე მოსაკრებლის, ტარიფის ან მომსახურების საფასურის ერთდროულად დაწესება. დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფი არის რეგულირებადი ტარიფი (ფასი).

4. დასახლებული ტერიტორიის დასუფთაევებისათვის მოსაკრებელი და მისი გადახდის წესი დგინდება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ოპერატორის მიერ შეგროვებული ნარჩენები წარმოადგენს ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებას. მომსახურების სხვა ფორმით განხორციელების შემთხვევაში ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებას წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის საკუთრებაში არსებულ ნაგავსაყრელზე (ქ. თბილისის მთავრობის საკუთრებაში არსებულ ნარჩენების საბოლოო განთავსების სხვა ადგილზე) განთავსებული ნარჩენები.

6. ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზებისას ქ. თბილისის მთავრობას უფლება აქვს, თავის საკუთრებაში არსებული ნარჩენები თავის მიერვე დადგენილი წესით გადასცეს ქალაქში მოქმედ ოპერატორს ან სხვა მეწარმეს.

მუხლი 45. ქალაქ თბილისის ბიუჯეტი *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის ბიუჯეტი არის ქალაქ თბილისის თვითმმართველობის შემოსულობების, მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.

2. ქალაქ თბილისის ბიუჯეტი დამოუკიდებელია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და სხვა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისაგან.

3. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს:

ა) საკუთარი შემოსავლები, დადგენილი წესით შემოღებული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახით;

ბ) „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს მორის განაწილების შესახებ" საქართველოს კანონით დამტკიცებული ანარიცხები;

გ) ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების უფლება, დამოუკიდებლად განკარგონ ბიუჯეტის შემოსავალი ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული წესით ჩაერიონ ქალაქ თბილისის საბიუჯეტო უფლებამოსილებაში.

მუხლი 46. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შემოსულობები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებია:

ა) ადგილობრივი გადასახადები;

ბ) ადგილობრივი მოსაკრებლები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსავლები;

გ) კაპიტალური შემოსავლები;

დ) გამოთანაბრებითი ტრანსფერი;

ე) სესხი;

ვ) გრანტი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

2. ქალაქ თბილისის ბიუჯეტში სხვა ბიუჯეტებიდან მოზიდული სახსრებია:

ა) სპეციალური ტრანსფერი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;

გ) მიზნობრივი სუბვენციები და მიზნობრივი სუბსიდიები.

3. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთებს განსაზღვრავს საკრებულო საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და კაპიტალური შემოსავლების ამოღებას – შესაბამისი საქალაქო სამსახურები.

4. ეკონომიკურად ეფექტური ქალაქ თბილისის ბიუჯეტს გადაეცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით, ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. ეკონომიკურად ეფექტური ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით.

5. მიზნობრივი ტრანსფერი არის ქალაქ თბილისის თვითმმართველობისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა. მიზნობრივი ტრანსფერი გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

6. სპეციალური ტრანსფერი ქალაქ თბილისის ბიუჯეტისათვის გამოიყენება ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, კონკრეტული კაპიტალური და სხვა აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად.

7. საქართველოს სახელმწიფო სელისუფლების უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ხარჯებს ან ამცირებს მის შემოსავალს, კომპენსირებული უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ.

მუხლი 47. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის ხარჯები *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია სპეციალური ტრანსფერის, მიზნობრივი ტრანსფერის, აგრეთვე მიზნობრივი სუბვენციებისა და მიზნობრივი სუბსიდიების გარდა დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ყველა სხვა წყაროდან მიღებული შემოსავლები.

2. ბიუჯეტის ხარჯები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ სარჯებად.

3. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული სარჯები არ უნდა აღემატებოდეს თბილისის ბიუჯეტის ხარჯების 10 პროცენტს.

4. კაპიტალური ხარჯები ითვალისწინებს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების საინვესტიციო და საინოვაციო საქმიანობის დაფინანსებას დედაქალაქისა და მისი რაიონების მიხედვით.

5. მიმდინარე ხარჯები ითვალისწინებს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების, რაიონების, სამართალდამცავი სამსახურების საქმიანობის, თბილისის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ სარჯებს, ადგილობრივი მეურნეობის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მომსახურების სხვა სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. (29.12.2006. N4331)

6. ქალაქ თბილისის ბიუჯეტში იქმნება მერის სარეზერვო ფონდი გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების დაფინანსების მიზნით. მერის სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით ანგარიშგების წესი განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით. მერის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა ფონდის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, მერის განკარგულებით, შესაბამისი (საფინანსო) საქალაქო სამსახურის მიერ. სარეზერვო ფონდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის ხარჯების საერთო ოდენობის 2 პროცენტს. სარეზერვო ფონდს განკარგავს მერი.

7. საკრებულოს საჭიროებისათვის ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა, თუ ეს იწვევს საბიუჯეტო ხარჯების ზრდას, ხდება საკრებულოს მოტივირებული შუამდგომლობით, მთავრობის მიერ. დადგენილების მიღებისას მთავრობა მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

8. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, გამოიყენება მომდევნო წელს.".

მუხლი 47[1]. საბიუჯეტო პროცესი *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. საბიუჯეტო პროცესი მოიცავს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების მიერ ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შედგენას, განხილვას, დამტკიცებასა და შესრულებას.

2. მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს. საკრებულოს უფლება არა აქვს მერის თანხმობის გარეშე შეიტანოს ცვლილებები ბიუჯეტის პროექტში.

3. საბიუჯეტო პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტებით.

4. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შესრულებისათვის პასუხისმგებელი არიან მთავრობა და გამგეობები. ბიუჯეტის შესრულებისას მიღებული დამატებითი შემოსავალი, აგრეთვე შემოსაველის გასაავალზე გადამეტება, რომელიც მიღებულია ხარჯების ეკონომიით ან დამატებითი შემოსაველით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რჩება ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში და გამოიყენება მათი შესედულებისამებრ.

მუხლი 47². ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების საკრედიტო უფლებები ***(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)***

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მერიას საკრებულოს თანხმობით უფლება აქვს ისარგებლოს კრედიტებით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მთავრობას უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს მთავრობის კრედიტებით, რომელთა საერთო მოცულობა წლის განმავლობაში არ აღემატება თბილისის მთავრობის შესაბამისი წლის საბიუჯეტო ასიგნებათა 10 პროცენტს.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მთავრობას საკრებულოს თანხმობით უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს მთავრობის კრედიტებით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ოდენობის ზევით.

მუხლი 47³. ქ. თბილისის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება ***(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)***

1. ქ. თბილისის ბიუჯეტით საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს ამ ასიგნებების საერთო მოცულობის 10 პროცენტის ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ლიმიტის ზევით ქ. თბილისის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილება საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ქ. თბილისის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილება შესაძლებელია განხორციელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის ორგანიზაციულ კოდში მოქცეულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ცალკეულ ღონისძიებებსა და პროგრამებს შორის.

მუხლი 47⁴. საფინანსო კონტროლის ფორმები ***(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)***

1. საფინანსო კონტროლის ფორმებია:

ა) აუდიტორული შემოწმება;

ბ) საფინანსო შემოწმება.

2. აუდიტორული შემოწმება არის თვითმმართველობის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება, რომელსაც საკრებულოს ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ, ატარებს მოწვეული აუდიტორი.

3. აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მათ გააცნობს საკრებულოს. ანგარიშს და დასკვნას აუდიტორი გზავნის საქართველოს კონტროლის პალატაში. აუდიტორის დასკვნა საჯაროდ ქვეყნდება.

4. საფინანსო შემოწმებას ახორციელებს საკრებულოს საფინანსო კომისია სახსრების გამოყენების შემდეგ, მათი მიღება-გამოყენების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენის მიზნით. საფინანსო შემოწმება მოიცავს გაწეული ხარჯების დოკუმენტირების, საფინანსო

აღრიცხვისა და ანგარიშგების, კანონთან, უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შესაბამის გადაწყვეტილებასთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საფინანსო სტანდარტებთან შესაბამისობის და სახსრების გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენას.

მუხლი 47[5]. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი *(28.12.2005 N 2563 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

1. საკრებულოს კომპეტენციას საბიუჯეტო სფეროში განეკუთვნება:

ა) ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

ბ) ბიუჯეტის დამტკიცება;

გ) ბიუჯეტის შესრულების შესახებ მერისა და გამგებლების ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

დ) ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;

ე) მთავრობის წარდგინებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება.

2. ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციას საბიუჯეტო სფეროში განეკუთვნება:

ა) ბიუჯეტის პროექტის შედგენა;

ბ) ბიუჯეტის შესრულება;

გ) საკრებულოსათვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიმის წარდგენა.

3. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა შეუძლია საკრებულოს მხოლოდ მერის წარდგინებით. ცვლილებების შეტანა მერის სარეზერვო ფონდიდან თავისუფალი სახსრების ფარგლებში ხდება ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

თავი VI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 48. ნორმატიული აქტები, რომელთა მიღებაც საჭიროა ამ კანონთან დაკავშირებით

ამ კანონთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნეს:

ა) საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

ბ) საქართველოს კანონი "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

გ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სახელმწიფო და ადგილობრივი საკუთრების გამიჯვნის შესახებ;

დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 49. ამოღებულია (29.12.2006. N4331)

მუხლი 49[1]. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ტერიტორიაზე არსებული მიწის გადაცემა *(28.12.2005 N 2563)*

1. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ტერიტორიაზე არსებული მიწის თვითმმართველობისათვის გადაცემის, მიწის მართვის, აგრეთვე მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის საკითხები განისაზღვრება ქალაქ თბილისის თვითმმართველობასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. ხელშეკრულების დადებამდე საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის მიწის გამოყოფისა და მიწის განკარგვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება დაიდოს არა უგვიანეს 2007 წლის 1 ივნისისა.

თავი VI[1] *(28.12.2005 N 2563)*

2006 წლის 1 იანვრის შემდეგ ქალაქ თბილისში ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე ცალკეული საკითხების დროებითი სამართლებრივი რეგულირება

მუხლი 49[2]. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯები

1. ქალაქ თბილისის ბიუჯეტი შეიცავს საშემოსავლო და ხარჯეით ნაწილებს.

2. ბიუჯეტის შემოსაელის ფორმირება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. ბიუჯეტის ხარჯები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად.

4. კაპიტალური ხარჯები ითვალისწინებს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების საინვესტიციო და საინოვაციო საქმიანობის დაფინანსებას დედაქალაქისა და მისი რაიონების მიხედვით.

5. მიმდინარე ხარჯები ითვალისწინებს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების, რაიონების, სამართალდამცავი სამსახურების საქმიანობის, თბილისის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ადგილობრივი მეურნეობის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მომსახურების სხვა სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. (29.12.2006. N4331)

6. ქალაქ თბილისის ბიუჯეტში არსებობს მერის სარეზერვო ფონდი, საიდანაც სახსრები გამოიყოფა ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა მერიის გაუთვალისწინებელი ხარჯები. მერის სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით ანგარიშის წარდგენის წესი განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით. მერის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა ფონდის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, მერის განკარგულებით, შესაბამისი (საფინანსო) საქალაქო სამსახურის მიერ. სარეზერვო ფონდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის ხარჯების საერთო ოდენობის 2 პროცენტს.

7. საკრებულოს საჭიროებისათვის ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა, თუ ეს იწვევს საბიუჯეტო ხარჯების ზრდას, ხდება საკრებულოს მოტივირებული შუამდგომლობით, მთავრობის მიერ. დადგენილების მიღებისას მთავრობა მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 49[3]. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების საკრებულოს უფლებები

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მთავრობას უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს მთავრობის კრედიტებით, რომელია საერთო მოცულობა წლის განმავლობაში არ აღემატება თბილისის მთავრობის შესაბამისი წლის საბიუჯეტო ასიგნებათა 10 პროცენტს.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მთავრობას საკრებულოს თანხმობით უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს მთავრობის კრედიტებით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ოდენობის მეეით.

მუხლი 49[4]. ქ. თბილისის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება

1. ქ. თბილისის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილება საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ქ. თბილისის ბიუჯეტში ცელილებების შეტანის გზით.

2. ქ. თბილისის ბიუჯეტით საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს ამ ასიგნებების საერთო მოცულობის 10 პროცენტის ფარგლებში.

3. ამ მუსლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილება შესაძლებელია განხორციელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციის ორგანიზაციულ კოდში მოქცეულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ცალკეულ ღონისძიებებსა და პროგრამებს შორის.

თავი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 50. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

2. ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნები ჩატარდეს ამ კანონითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 51. ნორმატიული აქტი, რომელიც ძალას კარგავს ამ კანონის ამოქმედებისთანავე

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის N 9 ბრძანებულება" საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის - ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
1998 წლის 20 თებერვალი.
N 1254 - IIს

საქართველოს კანონი

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტისა და "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულებში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ფორმებსა და წესს. *(6.05.2004 N 36)*

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის ცნება

1. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა არის დროებითი, საგანგებო ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან საქართველოს კანონით დადგენილი წესით საკრებულოს იურისდიქციის შეზღუდვის, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას.

2. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება ხდება საქართველოს პრეზიდენტის ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 2. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელება

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნისას;

ბ) საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას;
გ) კანონით დადგენილი წესით საკრებულოს აურჩეველობისას.

მუხლი 3. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ვადა

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უეკიანეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლისა.

თავი II

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვის, საქმიანობის შეჩერების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 4. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს დათხოვის ან მისი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში

1. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს დათხოვნის ან საქმიანობის შეჩერების და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

მუხლი 5. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

1. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია საკრებულოს ქმედუუნარობა _ განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობები.

2. საკრებულოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, თუ:

ა) საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით;

ბ) საკრებულომ (სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის) ორ თვეში ვერ აირჩია აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი;

გ) საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ორ თვეში საკრებულომ არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. საქართველოს პარლამენტის თანხმობით და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში _ შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარდგინებით, პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

მუხლი 6. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს აურჩეველობის შემთხვევაში

"ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების _ საკრებულოების არჩევნების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ ხელახალი არჩევნების შედეგად საკრებულოში არჩეულ იქნა მის წევრთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე ნაკლები, აგრეთვე, თუ "საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის" შესაბამისად თემის გაყოფისას ან თემიდან გამოყოფისას საკრებულოს წევრთა რაოდენობა კანონით დადგენილი წევრთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე ნაკლებია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

მუხლი 6[1]. ავტონომიურ რესპუბლიკაში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება

1. ამ კანონით გათვალისწინებული დებულებები პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღებისა და მოქმედების შესახებ მათი შინაარსის გათვალისწინებით აგრეთვე მოქმედებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შემთხვევაში.

2. თუ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე ექმნება ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს მისი საქმიანობა ან დაითხოვოს იგი და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიღოს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ორგანო. *(6.05.2004 N 36)*

თავი III

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ფორმები და წესი

მუხლი 7. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელება

1. პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას რაიონში შემავალ სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გამგებელი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში _ შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით დანიშნული გამგებელი.

2. რაიონსა და იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული რაიონის (ქალაქის) გამგებელი (მერი), ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში _ შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით დანიშნული რაიონის (ქალაქის) გამგებელი (მერი).

3. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი ასრულებს "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ამ პირის დამატებით უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სათანადო დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში _ შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

4. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში _ აგრეთვე შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

თავი IV

დასკვნითი დებულება

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1999 წლის 9 ივნისი.
N 2069 - IIს

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ

ეს კანონი, საქართველოს კონსტიტუციის, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს (შემდგომში-საკრებულო) წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საკრებულოს წევრი

საკრებულოს წევრი არის 'საკრებულოების არჩევნების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში არჩეული პირი.

მუხლი 2. საკრებულოს წევრის სტატუსი

საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

მუხლი 3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, 'ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 'საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონი, ეს კანონი, საკრებულოს დებულება და სხვა ნორმატიული აქტები.

2. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 4. საკრებულოს წევრის მანდატი

1. საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობების შესრულებისას იგი შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანებების განაწესებითა და დავალებებით.

2. დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

3. თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩეველებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 5. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადა

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საკრებულოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას.

მუხლი 6. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ:

ა) არსებობს საკრებულოს წევრის პირადი განცხადება უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე;

ბ) დაიკავა მის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა;

ე) მის მიმართ კანონიერ ძალაში შეეიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკელოდ დაკარგულად ან გარდაცელილად;

ე) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში, რაც ერთობლივად მოიცავს საკრებულოს სხდომებსა და კომისიებში მუშაობას;

ზ) გარდაიცვალა.

2. გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ იღებს საკრებულო.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე წყდება საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე. საკრებულოს გადაწყვეტილება მიღებიდან ორი კვირის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 7. საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. საკრებულოს წევრი თავის საქმიანობას ასორციელებს საწარმოო და სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს იმავდროულად ეკავოს:

ა) თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ;

ბ) თანამდებობა, რომელზედაც დანიშვნა ან დამტკიცება ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ;

გ) თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ;

დ) საქართველოს პროკურატურის, კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს შტატით გათვალისწინებული თანამდებობა.*(25.05.2006 N 3159)*

3. საკრებულოს წევრს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობა, გარდა სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის გამგებლისა. (30.09.98. N 1612 საკანონმდებლო მაცნე N 2)

4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს შეთავსებით ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით საქმიანობას.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში უჩერდებათ სამსახურებრივი უფლებამოსილება.

მუხლი 8. საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმები

საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია:

ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;

ბ) საკრებულოს ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა;

გ) საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და მათი ინიციირება;

დ) საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებათა შესრულება;

ე) საკრებულოს ფრაქციების, ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

ვ) საკრებულოსადმი დაქვემდებარებულ ორგანოთა ხელმძღვანელებისადმი კითხვით მიმართვა;

ზ) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები.

მუხლი 9. საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან

საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან მოიცავს:

ა) ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას; ბ) მოქალაქეთა მიღებას;

გ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;

დ) სასელმწიფო ხელისუფლების, აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობას;

ე) გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებას;

ვ) ამომრჩეველებთან შეხვედრას სამ თვეში ერთხელ მაინც.

თავი II

საკრებულოს წევრის საქმიანობა

მუხლი 10. ინიციირების უფლება

1. საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით საკრებულოს წევრს უფლება აქვს ინიციირების წესით საკრებულოში:

ა) შეიტანოს საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს წინადადება საკრებულოს გადაწყვეტილების შესახებ;

გ) წარადგინოს წინადადება საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

2. საკრებულო ვალდებულია განიხილოს ინიციირების წესით საკრებულოს სხდომაზე შეტანილი საკითხი.

მუხლი 11. საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის უფლება

1. საკრებულოს წევრი საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა საკითხის განხილვისას სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2. საკრებულოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს საკრებულოს იმ ორგანოების მუშაობაში, რომლის წევრიც არ არის.

3. საკრებულოს წევრს უფლება აქვს საკრებულოს სხდომაზე:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;

გ) მონაწილეობდეს კამათში, შეკითხვით მიმართოს მომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხი და შეაფასოს იგი;

დ) გააცნოს საკრებულოს მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;

ე) გამოთქვას აზრი საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოებისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას აძლევს საკრებულო;

ვ) მონაწილეობა მიიღოს აღგილობრივი ბიუჯეტის, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის, აგრეთვე აღგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვაში;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

4. საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომაზე მისი უფლებამოსილების განხორციელების პროცედურული საკითხები განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

მუხლი 12. საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ფორმირებაში მონაწილეობის უფლება

1. საკრებულოს წევრს უფლება აქვს აირჩიოს საკრებულოს კომისიათა შემადგენლობა ან არჩეულ იქნეს მათში, გაერთიანდეს საკრებულოს ფრაქციაში და გამოვიდეს ამ ორგანოებიდან (გაერთიანებებიდან).

2. საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში საკრებულოს წევრის არჩევისა (შესვლის) და გამოსელის წესები განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

მუხლი 13. უფლებამოსილება კონტროლის სფეროში

საკრებულოს წევრს, საკრებულოს თავმჯდომარის, კომისიის ან ფრაქციის დავალებით, საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით, უფლება აქვს:

ა) დაესწროს გამგეობის (მერიის) სხდომებს, დასვას საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) კითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, გამგეობის (მერიის) წევრს, გამგებელს (მერს), მიიღოს პასუხი. მესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულნი არიან ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის კითხვას. კითხვის ავტორთან ან საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ათი დღით.

გ) შეუფერხებლად შესვლა საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

დ) უშუალოდ მონაწილეობდეს თავის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.

მუხლი 14. უფლება ინფორმაციაზე

1. საკრებულოს წევრს უფლება აქვს:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

ბ) დადგენილი წესით მოსთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) აპარატის განყოფილებებსა და სამსახურებს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა.

2. საკრებულოს წევრი სარგებლობს მასობრივი ინფორმაციის საბიუჯეტო სამუალებებში თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების უპირატესი უფლებით. საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ მასობრივი ინფორმაციის საბიუჯეტო სამუალებებში მიწოდებული მასალები ექვემდებარება საჯაღდებულო გამოქვეყნებას (გავრცელებას), ამასთან ხარჯებს ანაზღაურებს საკრებულო თავისი დებულებით დადგენილი წესით განსაზღერული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 15. საკრებულოს წევრისათვის იურიდიული დახმარებისა და სპეციალური კონსულტაციების გაწევა

საკრებულოს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებული ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან კანონმდებლობით დადგენილი წესით დახმარება გაუწიონ საკრებულოს წევრს მისი საქმიანობისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე საჭიროებისამებრ უზრუნველყონ საკრებულოს წევრი სპეციალისტთა კონსულტაციებით.

მუხლი 16. საკრებულოს წევრის მოვალეობანი

1. საკრებულოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;

ბ) დებულებით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში;

დ) იყოს საკრებულოს ერთი კომისიის მემადგენლობაში მაინც;

ე) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლეობის მემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;

ვ) ამომრჩეველთა მოთხოვნით შეხვდეს მათ და არანაკლებ წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საკრებულოს წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს ან გამგებელს (მერს) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულების ხელის შემშლელი გარემოებების თაობაზე.

თავი III

საკრებულოს წევრის საქმიანობის გარანტიები

მუხლი 17. საკრებულოს წევრის ხელშეუხებლობა

1. ამოღებულია *(23.07.99 N 2335)*

2. დაუშვებელია საკრებულოს წევრის პასუხისგებამი მიცემა თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოში ან მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

3. საკრებულოს წევრს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც საკრებულოს წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება საკრებულოს წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

4. საკრებულოს წევრის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში მას უჩერდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

5. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში საკრებულოს წევრს:

ა) აღუდგება წევრის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი არის და მიეცემა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) თუ გასულია საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი იყო, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება საკრებულოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

მუხლი 18. საკრებულოს წევრის შრომითი გარანტიები

1. საკრებულოს წევრი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ სახაზინო საწარმოდან, დაწესებულებიდან ან ორგანიზაციიდან ან დისციპლინარული წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე საკრებულოს, ხოლო საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში, საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.

2. საკრებულოს წევრს საკრებულოში იმ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, რომელზეც უფლებამოსილება ხორციელდება საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოწყვეტით, უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი აღარ არსებობს - სხვა ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა) იმავე ან მისი თანხმობით სხვა საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ თანამდებობაზე საკრებულოს წევრის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც საკრებულოს წევრი მუშაობდა ამ თანამდებობაზე არჩევამდე.

4. საკრებულოს წევრი საკრებულოს სხდომებში ან მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებათა შესასრულებლად, საკრებულოს თავმჯდომარის ოფიციალური მეტყობინების საფუძველზე შესაბამისი ვადით თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან სამუალო ხელფასის შენარჩუნებით და უნაზღაურდება საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული სარჯები.

თავი IV

პასუხისმგებლობა საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 19. პასუხისმგებლობა საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

საკრებულოს წევრის პასუხისმგებლობა საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით. საკრებულოს წევრის მიერ თავისი უფლებების ვადამეტება ან მათი ბოროტად გამოყენება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. პასუხისმგებლობა საკრებულოს წევრის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლისათვის

საჯარო მოსამსახურეების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ საკრებულოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან მისი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების ხელყოფის, ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებისათვის

საკრებულოს წევრის ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების ხელყოფა, მისი ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედება საკრებულოს წევრის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან მისი ხასიათის შეცვლის მიზნით, ისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V

დასკვნითი დებულება

მუხლი 22. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1998 წლის 26 ივნისი.
N1515 – IIს

საქართველოს პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

N 318 2004 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 ივნისის N 363 ბრძანებულება „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ".

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2004 წლის „ 11 " აგვისტოს
N 318 ბრძანებულებით
დანართი

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის სტატუსი

1. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული (შემდგომში - პრეზიდენტის რწმუნებული) არის საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

2. პრეზიდენტის რწმუნებულს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. პრეზიდენტის რწმუნებული თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

4. პრეზიდენტის რწმუნებული ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

5. პრეზიდენტის რწმუნებული საქართველოს პრეზიდენტს პერიოდულად წარუდგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

თავი II

პრეზიდენტის რწმუნებულის უფლებამოსილება და ფუნქციები

მუხლი 2. პრეზიდენტის რწმუნებულის უფლებამოსილება

1. პრეზიდენტის რწმუნებული უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

ბ) ერთი თვით შეაჩეროს რაიონისა და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგეობის (მთავრობის) და გამგებლის (მერის) გადაწყვეტილებები და დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს ამ გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე;

გ) სახელმწიფო ორგანოებიდან, თანამდებობის პირებისაგან გამოითხოვოს დაკისრებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მასალები, ისარგებლოს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის სახელმწიფოებრივი, მათ შორის სამთავრობო სისტემებით;

დ) დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა; (22.06.2006 N373)

ე) მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ხელი მოაწეროს ოფიციალურ კორესპონდენციას;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებათა და განკარგულებათა შესასრულებლად შექმნას სპეციალური დროებითი კომისიები და სამუშაო ჯგუფები;

ზ[1]) ამ დებულების მე-3 მუხლის "მ[1]" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისას, წარდგინებით დასვას მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის (მათ შორის თანამდებობიდან გათავისუფლების) საკითხი შესაბამისი თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც აკმაყოფილებს პრეზიდენტის რწმუნებულის წარდგინებას ან წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ორ კვირაში წარუდგენს წერილობით დასაბუთებას; (21.02.2007 N126)

თ) განახორციელოს საქართველოს კანონებითა და პრეზიდენტის ბრძანებულებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 3. პრეზიდენტის რწმუნებულის ფუნქციები

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში პრეზიდენტის რწმუნებულის ფუნქციებია:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კოორდინაცია;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, აგრეთვე სამხედრო-სასწავლო შეკრებებისა და სამხედრო მომზადების ორგანიზების ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა; (22.06.2006 N373)

გ) თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსახლეობისა და სატრანსპორტო რესურსების მობილიზება;

ე) შესაბამის ტერიტორიაზე რაიონებს შორის კავშირ-ურთიერთობების გაღრმავების უზრუნველყოფა და საგარეო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება;

ვ) შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება;

ზ) ინვესტიციების მოზიდვა და რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა;

თ) საინფორმაციო სისტემისა და საშუალებების განვითარების, მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნის ორგანიზება;

ი) ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად საჭირო ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;

კ) კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ხელშეწყობა;

ლ) შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;

მ) განცხადებებისა და საჩივრების განხილვა;

მ1. შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ადგილობრივი გადასახადების გადახდევინებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის კოორდინაცია. (21.02.2007 N126)

ნ) საქართველოს კანონებითა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა ცალკეული ამოცანების შესრულება.

მუხლი 4. პრეზიდენტის რწმუნებულის სამართლებრივი აქტი

1. პრეზიდენტის რწმუნებული კანონის საფუძველზე კანონის და საქართველოს პრეზიდენტის აქტების შესასრულებლად გამოსცემს განკარგულებას.

2. პრეზიდენტის რწმუნებულის განკარგულება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა საკანონმდებლო ან პრეზიდენტის ნორმატიული აქტის საფუძველზე, ამ აქტით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

თავი III. პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭო, აპარატი

მუხლი 5. პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭო

1. პრეზიდენტის რწმუნებული უფლებამოსილია შექმნას პრეზიდენტის რწმუნებულის სათათბირო ორგანო - პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: პრეზიდენტის რწმუნებული, პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე და მოადგილეები, პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭოში თავიანთი თანხმობით შეიძლება შეყვანილ იქნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭოს საქმიანობის წესი, წევრთა რიცხოვნობა და პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება პრეზიდენტის რწმუნებულის განკარგულებით.

მუხლი 6. პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე და მოადგილეები

1. პრეზიდენტის რწმუნებულს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

2. პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი პრეზიდენტის რწმუნებულის წარდგინებით.

3. პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე:

ა) წარმართავს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის საქმიანობას;

ბ) პრეზიდენტის რწმუნებულს წარუდგენს წინადადებებს აპარატის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

გ) პრეზიდენტის რწმუნებულის არყოფნისას ასრულებს პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობას;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს პრეზიდენტის რწმუნებულის ცალკეულ დავალებებს.

4. პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეებს თანამდებობაზე სიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტის რწმუნებული საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

5. პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეები პრეზიდენტის რწმუნებულის მიერ განაწილებულ ფუნქციათა შესაბამისად კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას.

6. პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეები:

ა) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებენ და პრეზიდენტის რწმუნებულს წარუდგენენ წინადადებებსა და რეკომენდაციებს კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

ბ) ორგანიზებას უწევენ პრეზიდენტის რწმუნებულის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

გ) კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ასრულებენ პრეზიდენტის რწმუნებულის ცალკეულ დავალებებს.

7. პრეზიდენტის რწმუნებულის ერთ-ერთი მოადგილე პრეზიდენტის რწმუნებულის დავალებით უშუალოდ ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. (22.06.2006 N373)

მუხლი 7. პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი

1. პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი ხელს უწყობს პრეზიდენტის რწმუნებულს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში.

2. პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში იქმნება სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ხელმძღვანელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტის რწმუნებული.

3. პრეზიდენტის რწმუნებულზე, პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილეზე, პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეებზე და აპარატის თანამშრომლებზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.

4. პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.

თავი IV

დასკვნითი დებულებანი

პრეზიდენტის რწმუნებულის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

საქართველოს პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

N 703 1998 წლის 21 დეკემბერი ქ. თბილისი

ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის დებულების დამტკიცების შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად დამტკიცდეს ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის დებულება.

ე. შეევარდნაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
1998 წლის 21 დეკემბრის
N 703 ბრძანებულებით

ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს-მერიის დებულება

მერიის დებულება "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის საქმიანობას, უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და მუშაობის ორგანიზაციას; აწესრიგებს მერიის ურთიერთობას ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოსთან - საკრებულოსთან, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან, დარგობრივ სამსახურებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

კარი I. ზოგადი დებულებანი

თავი I. ადგილობრივი მმართველობა

მუხლი 1. ადგილობრივი მმართველობის ცნება

1. ადგილობრივი მმართველობა არის სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო მნიშვნელობის ადგილობრივი და სახელმწიფო უმაღლესი ორგანოების მიერ დელეგირებული სხვა საკითხების გადაწყვეტას, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

2. ქალაქებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოა მერია, რომელიც იმავდროულად ასრულებს ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას.

მუხლი 2. ადგილობრივი მმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

1. ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის შესახებ", ეს დებულება, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. ქალაქების, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები - მერიები თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს კანონებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილებებისა და ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 3. ადგილობრივი მმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. მერიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ეროვნული ტრადიციების და წეს-ჩვეულებების, ადამიანთა უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო - სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

2. ადგილობრივი მმართველობა ეფუძნება მართვის დეკონცენტრაციას. მერიები კანონით განსაზღვრულ კომპეტენციებს ახორციელებენ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძველზე სუბსიდიარობისა და დელეგირების პრინციპების შესაბამისად.

3. მერიების უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" და ამ დებულებით.

მუხლი 4. ადგილობრივი მმართველობის განხორციელების ტერიტორიული საფუძვლები

1. მერიის უფლებამოსილება სრულიად ეფარება ქალაქის მთელ ტერიტორიაზე.

2. ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები, მათი დადგენისა და შეცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. ადგილობრივი მმართველობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მერიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საქართველოს კანონებისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, სამთავრობო დაწესებულებების, ქალაქის საკრებულოს და ქალაქის მერის აქტების შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანთა უფლებებისა და კანონიერების დაცვის კონტროლი და კოორდინაცია;

გ) ქალაქის ბიუჯეტის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენა და განხორციელება; ქალაქის საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა; ენერგო, გაზის, წყალმომარაგებისა და სამელიორაციო სისტემების ორგანიზაცია, მათი შენახვა და განვითარება; ქალაქის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა; ბუნებათსარგებლობისა და მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა;

დ) გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სანიტარიულ-ეპიდემიური და ვეტერინალური ღონისძიებების გატარება; ბუნების დაცვის განსაკუთრებული მონების განსაზღვრა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი მმართველობის საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნა და განკარგვა; კომუნალური მეურნეობის წარმართვა;

ვ) ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა და განხორციელება;

ზ) მოსახლეობის სოციალური დაცვა და დასაქმება; განათლების, სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმთელობის დაცვის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხების გადაწყვეტა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზება;

თ) კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შედეგების ლიკვიდაცია; სამოქალაქო თავდაცვის ღონისებათა განხორციელების ხელმეწყობა; საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსახლეობისა და საგრანსპორტო რესურსების მობილიზაციის

პომშადება და ჩატარება; ადგილობრივი რესურსების სარჯზე საქართველოს სამხედრო ძალებისათვის სამობილიზაციო სამუშაოთა შესრულება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ხელშეწყობა საპხედრო-სასწავლო შეკრებების, სამხედრო ბომშადების ორგანიზაციისა და სამხედრო ნაწილების სასოფლო-საპეურნეო პროდუქციით ბომარაგების საკითხებში.

თავი II. ადგილობრივი მმართველობის განხორციელების ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები

მუხლი 6. ადგილობრივი მმართველობის განხორციელების ეკონომიკურ-ფინანსური ბაზა

1. ადგილობრივი მმართველობის განხორციელების ეკონომიკურ-ფინანსურ ბაზას შეადგენს: საქალაქო მეურნეობა; ქალაქის ბუნებრივი რესურსები; ქალაქის ადგილობრივი საკუთრება; ქალაქის ბიუჯეტის სახსრები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გამგებლობაში არსებული სხვა ფინანსები.

2. ქალაქის ბუნებრივ რესურსებს შეადგენენ ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა და მისი წიაღი, წყალი და მცენარეული საფარი, რომელიც არ არის გადაცემული კერძო საკუთრებაში. ქალაქის მმართველობის ორგანოების გამგებლობაში შეიძლება იყოს ქალაქის ტერიტორიის ფარგებს გარეთ არსებული მიწის ნაკვეთები და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქის საჭიროებისათვის გადაცემულია ქალაქის მმართველობის ორგანოების მფლობელობაში.

მუხლი 7. საქალაქო მეურნეობა

1. საქალაქო მეურნეობა მოიცავს ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ან ქალაქის საკუთრებაში მყოფ საწარმოებს და ორგანიზაციებს, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები კოორდინაციას უწევენ ადგილობრივ მეურნეობაში მემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, ხელს უწყობენ მათ ფუნქციონირებას.

მუხლი 8. ადგილობრივი მმართველობის საკუთრება

1. ადგილობრივი მმართველობის საკუთრება სახელმწიფო საკუთრების ფორმაა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობს, სარგებლობს და განკარგავს ადგილობრივი მმართველობის ორგანო.

2. სახელმწიფო ცენტრალური და ქალაქის საკუთრების ობიექტების გამიჯვნა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახელმწიფო საკუთრების იმ ობიექტების ნუსხა, რომელიც გადაეცემა ქალაქის მმართველობის ორგანოს საკუთრებაში და/ ან რომელთა მართვაც მერიის კომპეტენციაშია, განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესით.

4. ადგილობრივი მმართველობის საკუთრების შექმნის საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ".

მუხლი 9. ქალაქის ბიუჯეტი

1. ქალაქის ბიუჯეტი არის ქალაქის ფულადი სახსრების მობილიზაციისა და მისი გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა.

2. ქალაქის ბიუჯეტი დამოუკიდებელია საქართველოს სახელმწიფო და სხვა ადმინისტრაციული ერთეულების ბიუჯეტისაგან.

3. ქალაქის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, დადგენილი წესით დამტკიცებული გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული სახელმწიფო გადასახადებიდან მიღებული ანარიცხები და მიზნობრივი ტრანსფერტები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით დამოუკიდებლად ადგენს ქალაქის საკრებულო.

4. ქალაქის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, შესრულებისა და ანგარიშგების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და საკრებულოს დებულებით.

კარი II. ძალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები

თავი I. ქალაქის მერია

მუხლი 10. ქალაქის მერია

ქალაქის მერია არის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო, რომელიც იმავ-ადროულად ასრულებს ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს. ქალაქის მერია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო მნიშვნელობის ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტას, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით სახელმწიფო ინტერესების დაცვას, საკრებულოსა და მერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის - ქალაქის მართვას.

მუხლი 11. ქალაქის მერიის შემადგენლობა

1. მერია შედგება: ქალაქის მერის, მისი პირველი მოადგილის, მოადგილეების, აპარატის უფროსისა და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელებისაგან. მერიის შემადგენლობა განისაზღვრება 7-15 წევრით.

2. მერიის სტრუქტურას და პერსონალურ შემადგენლობას ამ დებულების საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს მერი.

3. მერის პირველ მოადგილეს, მოადგილეებსა და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიმნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

4. აპარატის უფროსს საკრებულოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიმნავს და თანამ-დებობიდან ათავესუფლებს მერი.

მუხლი 12. ქალაქის მერიის უფლებამოსილება

1. ქალაქის მერიის კომპეტენციაშია:

ა) ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება;

ბ) საქართველოს კანონის შესაბამისად, საკრებულოსათვის წინადადებების წარდგენა ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათი ოდენობის დადგენის შესახებ; სხვა ადგილობრივი საფინანსო საკითხების გადაწყვეტა;

გ) ქალაქის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტების შემუშავება, საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის განხორციელება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი მმართველობის საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნა და განკარგვა; კომუნალური მეურნეობის წარმართვა;

ე) ქალაქის განამენიანების გენერალური გეგმის შედგენა და განხორციელება;

ვ) ქალაქის საკუთრების ობიექტების, საქართველოს კანონებითა და მის საფუძველზე საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების გადაწყვეტა;

ზ) ქალაქის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა;

თ) მერის წინადადებით ქალაქის ადგილობრივი სამსახურების შექმნა და გაუქმება;

ი) საკრებულოსათვის წინადადებათა მომზადება ბუნების დაცვის განსაკუთრებული ზონების განსაზღვრის, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და ეკოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

კ) მერისათვის თანხმობის მიცემა ისეთი ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებების დადებაზე, რომელთა ღირებულებაც აღემატება 5000 ლარს;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, საკრებულოსა და მერის აქტებით განსაზღვრული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

2. მერია, მერის ინიციატივით, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და ამ დებულებით მერის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

თავი II. ქალაქის მერი და მისი მოადგილეები

მუხლი 13. ქალაქის მერი

1. ქალაქის მერი არის ქალაქის ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მეთაური.

2. ქალაქის მერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ქალაქის მერი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საკრებულოს წინაშე.

მუხლი 14. მერის ზოგადი კომპეტენცია

მერი :

ა) იწვევს და თავჯდომარეობს მერიის სხდომებს; განსაზღვრავს მერიის სხდომის დღის წესრიგს; წარმართავს მერიის საქმიანობას;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქის მერიის წევრებს: თავის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელებს; ანაწილებს ფუნქციებს მერიის წევრებს შორის;

გ) საკრებულოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის უფროსს; აპარატის უროსის წარდგინებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიმნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს; აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან;

დ) ამ დებულებით განსაზღვრული წესით ამტკიცებს მერიის სტრუქტურას და პერსონალურ შემადგენლობას; ამტკიცებს ქალაქის ადგილობრივი სამსახურების დებულებებს;

ე) იღებს მერიის ან მერიის ცალკეულ წევრთა გადადგომას; უფლებამოსილია მერიის წევრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა მესრულება მერიის ახალი წევრის დამტკიცებამდე ან ახალი მერიის შექმნამდე;

ვ) პერიოდულად ისმენს მერიის წევრებისა და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

ზ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ხელ-მძღვანელთა აქტები;

თ) უფლებამოსილია თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად შექმნას კომისიები, საბჭოები და სხვა საკონსულტაციო ორგანოები; დაამტკიცოს მათი სამოქმედო დებულებები;

ი) უფლებამოსილია მიმართოს საკრებულოს თავჯდომარეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით; საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შეიტანოს დამატებითი საკითხები;

კ) უფლება აქვს საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ კვირაში შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აძლევს საქართველოს სამთავრობო დაწესე-ბულებების შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების დანიშვნა-გათავისუფლების თანხმობას;

მ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაქვემდებარებულ სახაზინო და სხვა ორგა-ნიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ხელმძღვანელებს;

ნ) ხელს აწერს ქალაქის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, წარმოადგენს და მოქმედებს ქალაქის სახელით ოფიციალური ურთიერთობისას; ასრულებს სხვა წარმო-მადგენლობით ფუნქციას;

ო) უზრუნველყოფს საქართველოს კანონებისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების,

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მერიისა და საკრებულოს აქტების შესრულებას;

ა) ხელს აწერს მერიის დადგენილებებს და ფინანსურ დოკუმენტებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს;

ე) ყოველწლიურად წარუდგენს საკრებულოს გაწეული მუშაობის ანგარიშს;

რ) ასორციელებს "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, ამ დებულებით და საქართველოს პრეზიდენტის აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას;

ს) ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საკრებულოს წინაშე.

მუხლი 15. მერის კომპეტენცია ეკონომიკის სფეროში

ეკონომიკის სფეროში მერის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ბიუჯეტის პროექტის მომზადების ხელმძღვანელობა და ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა, წინადადებების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა "ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და ოდენობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად; საგადასახადო სამსახურებთან ერთად საქალაქო და სახელმწიფო გადასახდელების ამოღების კოორდინაცია; საკრებულოსათვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენა;

ბ) ეკონომიკური რეფორმების განხორციელების კოორდინაცია, ამ სფეროში საქართველოს პარლამენტის საქართველოს პრეზიდენტისა და სამთავრობო დაწესებულებათა ხელმძღვანელების აქტების აღსრულების კონტროლი; საკრებულოსათვის შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;

გ) ზედამხედველობა ქალაქის საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის, აღრიცხვის, ინვენტარიზაციის, შეფასების საკითხებისა და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი, საკრებულოსათვის წინადადებების წარდგენა ქალაქის ქონების ფლობის, სარგებლობის, განკარგვის, შექმნის, შეძენისა და გასხვისების წესის თაობაზე; საკრებულოს მიერ დადგენილი წესითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ ობიექტების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების გადაწყვეტა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი მმართველობის საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის, კომუნალური მეურნეობის საკითხების ხელმძღვანელობა;

ე) ქალაქის განაშენიანების გენარალური გეგმის შედგენისა და განხორციელების ზედამხედველობა;

ვ) ქალაქის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზების ხელმძღვანელობა; საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა და საკრებულოსათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;

ზ) ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მეწარმეობის ხელშეწყობის პოლიტიკის განსაზღვრა და საკრებულოსათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;

თ) ქალაქის სახაზინო და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა მართვა; საკრებულოსათვის წინადადებათა წარდგენა საწარმოთა შექმნის, ლიკვიდაციისა ან რეორგანიზაციის თაობაზე;

ი) ქალაქის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მოსახურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კომერციული პროგრამების მომზადების კოორდინაცია, მათი განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ამ მიზნით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებთან და მეწარმეებთან თანამშრომლობის ორგანიზება;

კ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 16. მერის კომპეტენცია სოციალურ სფეროში

სოციალურ სფეროში მერის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგის, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის ხელმძღვანელობა;

ბ) ქალაქის სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებისა და მათი რეალიზაციის კოორდინაცია;

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საქალაქო პროგრამების პროექტების მოამზადება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა; დამტკიცებულ პროგრამათა შესრულების უზრუნველყოფა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხების გადაწყვეტა; ქალაქის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის ობიექტების მოვლა-პატრონობა;

ე) შესაბამის სახელმწიფო სამსახურებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად ჰუმანიტარული დახმარების პროგრამათა შემუშავებისა და მათი განხორციელების ორგანიზების ხელმძღვანელობა;

ვ) ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების ორგანიზების ხელმძღვანელობა;

ზ) შრომის ბაზრის ანალიზის, მოსახლეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების, დასაქმების საქალაქო პროგრამათა შემუშავებისა და მათი განხორციელების ორგანიზების ხელმძღვანელობა;

თ) სოციალურ სფერომი სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესთა ანალიზის, საზოგადოებრივ ინიციატივათა შესწავლის და მათი ხელშეწყობის, სხვადასხვა სოციალური ფონდების ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ორგანიზება;

ი) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელება;

კ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 17. მერის კომპეტენცია კანონიერების, ადამიანთა უფლებების, თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში

კანონიერების, ადამიანთა უფლებების, თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფერომი მერის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კონტროლი და შესაბამის ორგანოთა მიერ ქალაქის ტერიტორიაზე გატარებულ ღონისძიებათა შესახებ პერიოდული ანგარიშის მოსმენა;

ბ) ქალაქის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და საქართველოს პარლამენტის სხვა აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებათა ხელმძღვანელების ნორმატიული აქტების, ქალაქის საკრებულოსა და მერიის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი; ამ მიზნით ქალაქის ტერიტორიაზე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოთხოვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღება;

გ) ქალაქის ტერიტორიაზე ადამიანთა უფლებებისა და კანონიერების დაცვის საკითხების კონტროლი; მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

დ) ქალაქის სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელობა; მოქალაქეთა საეალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების კონტროლი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსახლეობისა და ტრანსპორტის მობილიზაციის უზრუნველყოფა; ადგილობრივი რეზერვებით საქართველოს სამხედრო ძალებისათვის სამობილიზაციო სამუშაოთა შესრულება;

ვ) კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობა; ოპერატიული ღონისძიებათა გატარება მოსახლეობისა და მატერიალურ ფასეულობათა გადასარჩენად;

ზ) საკრებულოსათვის წინადადებების წარდგენა ქალაქის ტერიტორიაზე სანიტარიული ნორმების განსაზღვრის, სანიტარიულ-ეპიდემიური, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 18. მერის უფლებამოსილება საკრებულოში

1. საკრებულოში ქალაქის მერი უფლებამოსილია:

ა) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების როგორც ღია, ისე დახურულ სხდომებში;

ბ) დააყენოს წინადადება საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანის შესახებ;

გ) საკრებულოში დასამტკიცებლად შეიტანოს სამართლებრივი აქტების პროექტები;

დ) ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი საკრებულოში;

ე) რიგგარეშე გამოვიდეს მომხსენებლად ან თანამომხსენებლად საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე ან მოახდინოს საკრებულოში მისი მუდმივი წარმომადგენლის, მერიის წევრის ან სხვა თანამდებობის პირის ამ უფლების დელეგირება;

ვ) საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ კვირაში შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი ხელახლა განსახილველად;

ზ) საკრებულოს წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში;

თ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და საკრებულოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. მერის მიერ დაყენებული საკითხი საკრებულოს სხდომაზე განიხილება პირველ რიგში.

მუხლი 19. მერის გადადგომა

1. მერს აქვს გადადგომის უფლება. თავის უფლებამოსილებას იგი იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

2. მერი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქალაქის ახალი მერის დანიშვნამდე.

3. მერის თანამდებობიდან გადადგომა ან თანამდებობიდან გათავისუფლება იწვევს მერიის გადადგომას. მერიის წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ მერიის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

მუხლი 20. მერის პირველი მოადგილე

1. მერის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს მერიის ეკონომიკურ საქმიანობას, წარმართავს ეკონომიკური რეფორმების ღონისძიებათა კომპლექსურ განხორციელებას; მერის არყოფნის შემთხვევაში ან მისი დავალებით ასრულებს მის უფლებამოსილებას.

2. მერის პირველი მოადგილე ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.

მუხლი 21. ქალაქის მერის მოადგილეები

1. მერის მოადგილეები მერის მიერ ფუნქციათა განაწილების შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობენ მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს;

ბ) ამზადებენ და მერს წარუდგენენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ;

გ) სფეროების მიხედვით კოორდინაციას უწევენ ქალაქის შესაბამისი ადგილობრივი სამსახურების საქმიანობას;

დ) შესაბამისი დარგების მიხედვით ორგანიზაციას უწევენ და აკონტროლებენ მერის, საკრებულოს და მერიის გადაწყვეტილებების შესრულებას;

ე) ასრულებენ მერის ცალკეულ დავალებებს.

2. ქალაქის მერის მოადგილეები ანგარიშვალდებული არიან მერის წინაშე.

თავი III. ქალაქის ადგილობრივი სამსახურები

მუხლი 22. ქალაქის ადგილობრივი სამსახურები

1. ქალაქის ადგილობრივი სამსახურები არიან ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური სფეროების მართვის მიზნით შექმნილი დარგობრივი მმართველობის ორგანოები, რომელთა დაფინანსებაც ხორციელდება ქალაქის ბიუჯეტიდან.

2. ქალაქის ადგილობრივი სამსახურების უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომელსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს მერი.

3. ქალაქის ადგილობრივ სამსახურებს მერის წინადადებით ქმნის და აუქმებს ქალაქის მერია.

მუხლი 23. ქალაქის ეკონომიკური სფეროს ადგილობრივი სამსახურები

ქალაქის ეკონომიკური სფეროს ადგილობრივი სამსახურები უზრუნველყოფენ:

ა) საქართველოს კანონის შესაბამისად ადგილობრივი საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას; ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას და მისი განხორციელების კოორდინაციას, ბიუჯეტის შესაბამისად თანხების მიზნობრივად ხარჯვის კონტროლს, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების საკითხებთან დაკავშირებით წინადადებათა მომზადებას, შესაბამის საგადასახადო სამსახურთან ერთად ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადების ამოღების კოორდინაციას;

ბ) ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას; ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის კოორდინაციას, რისთვისაც შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, წინადადებებს და ცალკეულ პროექტებს ეკონომიკის სისტემური და სტრუქტურული გარდაქმნების თაობაზე;

ახორციელებენ ზედამხედველობას ეკონომიკური რეფორმების სფეროში საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საკრებულოს, მერისა და მერიის აქტების აღსრულებისადმი;

გ) საქალაქო ქონების მართვას, რისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ საქალაქო ქონების აღრიცხვას, რეგისტრაციას, ინვენტარიზაციას და შეფასებას; შეიმუშავებენ წინადადებებს ქონების შეძენის, შექმნის ან მისი გასხვისების და პრივატიზაციის საკითხების შესახებ; ამ ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლს, ამ სფეროში მერიისა და მერის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებას და მათი განხორციელების ზედამხედველობას;

დ) ქალაქის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა შემუშავებასა და მათი გატარების ორგანიზებას, რისთვისაც შეიმუშავებენ ქალაქის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკას; წინადადებებისა და დასკვნების მოზადებას მეწარმეობის განვითარების, კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი რეგულირებისა და ლიცენზირების საკითხების თაობაზე;

ე) შესაბამისი ინფორმაციის დაგროვების, მეწარმეებთან უშუალო კონტაქტების საფუძველზე ქალაქის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული კომერციული პროგრამების ანალიზს; შესაბამისი წინადადებების შემუშავებას და მერიისა და მეწარმეების თანამშრომლობის ხელშეწყობას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 24. ქალაქის სოციალური სფეროს ადგილობრივი სამსახურები

ქალაქის სოციალური სფეროს ადგილობრივი სამსახურები უზრუნველყოფენ:

ა) ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის დაგეგმვასა და მისი განხორციელების ორგანიზებას, რისთვისაც აანალიზებენ სოციალურ სფეროში მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს, ხელს უწყობენ მათ თანამშრომლობასა და საზოგადოებრივ ინიციატივას, სხვადასხვა სოციალური ფონდების ჩამოყალიბებას;

ბ) სოციალური მონიტორინგის წარმოებას, რისთვისაც მოიპოვებენ, ამუშავებენ და აანალიზებენ ინფორმაციას მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ, აღრიცხავენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, აკონტროლებენ სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობას, მისი კორექციის მიზნით საკრებულოსა და მერიისათვის შეიმუშავებენ შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

გ) სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა შემუშავებას; რისთვისაც ამზადებენ ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის ობიექტების) რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების პროგრამებს, ცალკეულ პროექტებს, კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას;

დ) ჰუმანიტარულ პროგრამათა კოორდინაციას, რისთვისაც შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებენ ჰუმანიტარული დახმარების ადგილობრივ პროგრამებს, კოორდინაციას უწევენ მათ განხორციელებას;

მეიმუშაევებენ სოციალური რეაბილიტაციის კონკრეტულ პროექტებს; აკონტროლებენ ამ სფეროში საკრებულოს, მერისა და მერიის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ე) შრომის ბაზრის ანალიზს, მოსახლეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, დასაქმების სახელმწიფო და საქალაქო პროგრამების განხორციელების კოორდინაციას, საზოგადოებრივ სამუშაო ადგილთა აღრიცხვას და უმუშევართა დასაქმებისათვის ხელის შეწყობას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 25. საქალაქო ინფრასტრუქტურის, მიწათსარგებლობისა და კომუნალური სფეროს სამსახურები

1. საქალაქო ინფრასტრუქტურის, მიწათსარგებლობისა და კომუნალური სფეროს სამსახურები უზრუნველყოფენ:

ა) ქალაქის ადგილობრივი მეურნეობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; სახაზინო საწარმოთა შექმნის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და მათ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე წინადადებებისა და დასკვნების მომზადებას; ამ სფეროში მერიის გადაწყვეტილებათა შესრულების კოორდინაციასა და კონტროლს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი მმართველობის საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნასა და განკარგვას; კომუნალური საკითხების გადაწყვეტას;

გ) ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენასა და განხორციელებას;

დ) მიწათსარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაცვას; კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მართვის საკითხების გადაწყვეტას; საკრებულოსა და მერიისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადებას;

ე) საქალაქო ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, ქალაქის შიდა სარგებლობის გზები და სხვა კომუნიკაციები და ა.შ.) მართვას; საკრებულოსა და მერიისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 26. აპარატი

1. აპარატი ახორციელებს საკრებულოს, მერიისა და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების საინფორმაციო, ტექნიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

2. აპარატის საქმიანობას წარმართავს აპარატის უფროსი.

3. აპარატი უზრუნველყოფს:

ა) საკრებულოს, მერიისა და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ინფორმაციულ მომსახურებას; საკრებულოსა და მერიაში შემოსული და გასული ინფორმაციის აღრიცხვას, სელექციას, სისტემატიზაციას და მანქანურ დამუშავებას; ქალაქის ადგილობრივი სამსახურების მიერ დაკავალებათა და გადაწყვეტილებათა დროული შესრულების ინფორმაციულ კონტროლს;

ბ) საკრებულოს, მერიისა და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების ტექნიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას, ოფიციალურ კორესპონდენციათა რეგისტრაციას, შესაბამის სამსახურებში მათ დაგზავნას, საკრებულოსა და მერიის სხდომის, აგრეთვე თათბირის ოქმების წარმოებას და მათ შენახვას;

გ) საკრებულოს, მერიის და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას; ოფიციალური დოკუმენტების სამართლებრივ ექსპერტიზას, საკრებულოს, მერიის და ქალაქის ადგილობრივი სამსახურების იურიდიულ მომსახურებას, მათი კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში და სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან ურთიერთობებისას; საკრებულოსა და მერიის წევრებისათვის იურიდიული კონსულტაციების გაწევას; საკრებულოს, მერიისა და მერის გადაწყვეტილებათა შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

4. აპარატისა და მისი განყოფილებების უფლებამოსილება და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებითა და აპარატის დებულებით, რომელსაც აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს მერი.

5. აპარატის სტრუქტურას, აპარატის უფროსის წარდგინებით განსაზღვრავს და ამტკიცებს საკრებულო.

კარი III. მერიის რეგლამენტი

თავი I. მერიის მუშაობის დაგეგმარება და საერთო ორგანიზაცია

მუხლი 27. საქალაქო ღონისძიებათა გეგმები

მერიის მუშაობის ორგანიზაციულ-დოკუმენტური საფუძველია საქალაქო ღონისძიებათა გეგმები, რომელთაც მერის მითითებების, ქალაქის განვითარების კონცეფციებისა და პროგრამების, აგრეთვე მერიას დაქვემდებარებული ორგანოების სამუშაო გეგმებიდან გამომდინარე შეიმუშავებს აპარატი.

მუხლი 28. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების ამოცანები

საქალაქო ღონისძიებათა გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტას, ეკონომიკური რეფორმების გატარებას, ადგილობრივი მმართველობის სისტემის დემოკრატიზაციას, განათლების, კულტურის სპორტის და სხვა საქალაქო პროგრამების განხორციელებას.

მუხლი 29. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შემუშავების ორგანიზაცია

1. საქალაქო ღონისძიებათა ერთთვიან, კვარტალურ და წლიურ გეგმებს შესაბამის სამსახურებთან ერთად შეიმუშავებს აპარატი.

2. საქალაქო ღონისძიებათა გეგმის მომზადების წესი, ეტაპები, ვადები და მათი შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირები განისაზღვრება ამ დებულებით მერის განკარგულების საფუძველზე.

3. საქალაქო ღონისძიებათა კალენდარული გეგმების შესამუშავებლად დასასგეგმარებელი პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 10 დღისა, ქალაქის აღგილობრივი სამსახურები აპარატს წარუდგენენ საკუთარ სამუშაო გეგმებს.

4 აპარატი განაზოგადებს წარმოდგენილ სამუშაო გეგმებს, ამზადებს საქალაქო ღონისძიებათა გეგმის პროექტს, განმარტებით ბარათს, ათანხმებს პროექტს მერთან და შეაქვს მასში სათანადო ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 30. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება

1. საქალაქო ღონისძიებათა გეგმის პროექტს აპარატის უფროსი დასაგეგმარებელი პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა ორი დღით ადრე დასამტკიცებლად წარუდგენს მერს.

2. საქალაქო ღონისძიებათა გეგმა გამოიცემა მერის ბრძანებით და ეგზავნება შესაბამის დაქვემდებარებულ ორგანოებს.

მუხლი 31. პასუხისმგებლობა საქალაქო ღონისძიებათა გეგმების მომზადებისა და განხორციელებისათვის

საერთო პასუხისმგებლობა საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შედგენისა და მათი განხორციელებისათვის ეკისრებათ აპარატის უფროსს და მერიის წევრებს.

მუხლი 32. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შესრულების კონტროლი

1. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შესრულებას ფუნქციების განაწილების შესაბამისად აკონტროლებენ მერიის წევრები.

2. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შესრულების კონტროლს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

3. საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შესასრულებლად ქალაქის აღგილობრივი სამსახურების საქმიანობა და მუშაობის შედეგები ყოველკვირეულად განიხილება მერიის სხდომებზე ან მერის სამუშაო თათბირებზე.

მუხლი 33. მერის სამუშაო გეგმა

მერის ყოველკვირეული სამუშაო გეგმის შედგენას მერის მითითებების საფუძველზე უზრუნველყოფს აპარატი.

თავი II. მერიის სხდომის ორგანიზაცია

მუხლი 34. მერიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხის მომზადება

1. მერიის სხდომაზე საკითხები, როგორც წესი, განიხილება წინასწარ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით საქალაქო ღონისძიებათა გეგმების შესაბამისად.

2. მერიის წევრები, მერიის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები და ქალაქის აღგილობრივი სამსახურები თავიანთ წინადადებებს მერიის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ წარუდგენენ აპარატის ხელმძღვანელს მომდევნო კვარტლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე და მიუთითებენ განხილვის ვადას.

3. აპარატი შემოსულ წინადადებათა საფუძველზე აგგენს მერიის სხდომებზე განსახილველ საკითხთა წლიური და კვარტალური ნუსხის პროექტებს, აზუსტებს საკითხის განხილვის ვადებს და წარუდგენს მერს.

4. მერიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხის პროექტს ამტკიცებს მერია მერის წარდგინებით.

5. აპარატი აკონტროლებს მერიის სხდომებზე განსახილველ საკითხთა ნუსხის შესრულების მდგომარეობას და ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს მერს შესაბამის ინფორმაციას.

მუხლი 35 მერიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა მომზადება

1. მერიის სხდომაზე განსახილველი საკითხები, როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს მერიის დადგენილების პროექტის ფორმით, რომელსაც თან უნდა ახლდეს მოხსენებითი ბარათი საკითხის არსისა და შემოთავაზებული პროექტის მიღების აუცილებლობის დასაბუთებით.

2. აპარატს და საკითხის შემომტან პირს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მერიის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტის ხარისხის, თანდართული მასალების უტყუარობისა და სისრულისათვის.

3. მოხსენებითი ბარათი ხელმოწერილი უნდა იყოს, ხოლო დადგენილების პროექტი და მათი დანართები - ვიზირებული სამსახურების (განყოფილებების) იმ ხელმძღვანელთა მიერ, რომლებმაც წარმოადგინეს საკითხი განსახილველად, აგრეთვე, უნდა შეთანხმდეს იმ სამსახურებთან (განყოფილებებთან) რომელთაც შეეხებათ (ეეალებათ) ეს დადგენილება. ყველა ხელმოწერა უნდა იყოს გაშიფრული და დათარიღებული.

4. მერიის სხდომაზე განსახილველ პროექტებს თან უნდა ერთვოდეს აპარატის შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული 1-1,5 გვერდიანი საინფორმაციო-ანალიზური ცნობა (ანოტაცია) და თავსართი საცნობარო ფურცელი (პასპორტი).

5. მერიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა პროექტები თანდართულ მასალებთან ერთად უნდა ჩაბარდეს აპარატის უფროსს სხდომამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე.

მუხლი 36. მერიის სხდომის მომზადებისა და გამართვის წესი

1. მერიის სხდომას ამზადებს და სხდომაზე მოწვეულებს რეგისტრაციაში აგარებს აპარატი, რომელიც აგგენს მერიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს და თანდართულ მასალებთან ერთად სხდომამდე სამი დღით ადრე წარუდგენს მერს.

2. მერიის სხდომაზე წარსადგენი დადგენილების პროექტები, როგორც წესი, წინასწარ უნდა განიხილონ მერიის შესაბამისმა განყოფილებებმა და სამსახურებმა.

3. მერიის სხდომაზე დამატებითი საკითხები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მერის მიერ ან მისი თანხმობით.

4. მერია არ განიხილავს საკითხს, თუ შესრულებული არ არის იმავე საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, ყოველი ახალი გადაწყვეტილება ერთსა და იმავე საკითხზე მიიღება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გაუთვალისწინებელ ვარემოებათა წარმოქმნისას.

მუხლი 37. მერიის სხდომები

1. მერიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს მერი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ან მისი დავალებით მერის პირველი მოადგილე.

2. მერიის მორიგი სხდომა მოიწვევა ყოველკვირეულად სამშაბათობით, თუ სხდომის მოწვევის

სხვა დრო არ არის განსაზღვრული მერის დაყალებით. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მერის ინიციატივით.

3. მერიის სხდომებს ესწრებიან მერიის წევრები. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მერიის წევრთა ნახევარი მაინც.

4. როგორც წესი, მერიის სხდომები დახურულია. სხდომაზე დასწრების უფლება აქვს საკრებულოს თავჯდომარეს. მერის მოწვევით სხდომას შეიძლება დაესწროს აგრეთვე სხვა პირები.

5. მერიის სხდომაზე განსახილველი საკითხის გამო, როგორც წესი, მომხსენებელს ეძლევა რეგლამენტი 15 წუთამდე, თანამომხსენებელსა და კამათში გამომსვლელთ 5 წუთამდე, ცნობისათვის - 3 წუთამდე.

6. მერიის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე მერიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში მერს აქვს უპირატესი ხმის უფლება. სხდომაზე საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მოწვეული კომპეტენტური პირები მონაწილეობენ შესაბამისი საკითხების განხილვაში და ამ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

7. მერიის სხდომების გაფორმებულ გადაწყვეტილებებს აპარატის უფროსის ვიზირების შემდეგ ხელს აწერს მერი.

თავი III. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გაფორმების წესი

მუხლი 38. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტები

1. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტებია:

ა) ნორმატიული აქტები: მერიის დადგენილება და მერის ბრძანება;

ბ) ინდივიდუალური აქტები: მერიის დადგენილება და მერის განკარგულება.

2. ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", კანონით "ნორმატიული აქტების შესახებ" და ამ დებულებით.

3. მერის ბრძანება გამოიცემა მერის მიერ მერიის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, ხოლო განკარგულება - ერთპიროვნულად.

4. მერიის დადგენილება მიიღება მერის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად. დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა მერიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

5. მერიისა და მერის ნორმატიული აქტები ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 39. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების ინიციირება

მერისა და მერიის სამართლებრივი აქტები შემუშავდება:

ა) მერის ინიციატივით;

ბ) მერიის წევრის ინიციატივით;

გ) ქალაქის ადგილობრივი სამსახურის ინიციატივით;

დ) საკრებულოს სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

ე) საქალაქო ღონისძიებათა გეგმის საფუძველზე;

მუხლი 40. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების ორგანიზაცია

1. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტს ამზადებს აპარატი ან ქალაქის შესაბამისი ადგილობრივი სამსახური.

2. სამართლებრივი აქტების პროექტები მერსა და მერიას წარედგინებათ შესაბამისად მერისა და მერიის კომპეტენციებში მემავალ სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე.

3. მერიის სხდომაზე მერიის სამართლებრივი აქტების შეტანის მიზანშეწლნილობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მერთან, რაც დასტურდება პროექტზე მერის სათანადო ვიზით.

4. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტი უნდა შეთანხმდეს ყველა იმ

ორგანიზაციასთან, სამსახურთან, დაწესებულებასთან, აგრეთვე თანამდებობის პირთან, რომელთა გამგებლობასაც განეკუთვნება პროექტით გათვალისწინებული საკითხები. პროექტის შემთანხმებელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს პროექტის წარმომდგენი (ინიციატორი).

5. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტების აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმების წესი განისაზღვრება აპარატის დებულებით.

6. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტებს თან უნდა ერთოდეს შეთანხმების ფურცელი. შეთანხმების ფურცელში აისახება პროექტის შემომტანი, პროექტის მომზადებისათვის პასუხიმგებელი პირი და მისი თანამდებობა, შემთანხმებელი პირები და თანამდებობები.

7.პროექტის შეთანხმების ეადა არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს შეთანხმების დასტური, შეუთანხმებლობა, აგრეთვე შეთანხმების ვადის დარღვევის ახსნა-განმარტება უნდა აისახოს შეთანხმების ფურცელში.

8. პროექტის მომზადებისათვის პასუხიმგებელი პირი მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტებს შეთანხმების ფურცელთან და თანდართულ სხვა მასალებთან (წერილები, დასკვნები და სხვ.) ერთად წარუდგენს აპარატს, რომელიც ხუთ დღეში შეისწავლის პროექტის შინაარს, მის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან შესრულების ხარისხს და უზრუნველყოფს შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებას.

მუხლი 41. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების გაფორმება

1. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტები სრულდება შესაბამის ბლანკებზე.

2. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების სათაური უნდა იყოს მოკლე და შეესაბამებოდეს დოკუმენტის შინაარსს.

3. მერისა და მერიის სამართლებრივ აქტებში მითითებული უნდა იქნეს:

ა) შემსრულებელი სამსახურების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ზუსტი სახელწოდებები, მათი ხელმძღვანელების გვარები;

ბ) მესრულების ეადები;

გ) მითითებები შესრულების კონტროლის თაობაზე;

დ) ის სამართლებრივი აქტი (აქტები), რომლის საფუძველზეც გამოიცემა (მიიღება) დოკუმენტი;

ე) მითითებები სხვა სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული პუნქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, თუ ახალი დოკუმენტი გამორიცხავს (არ შეესაბამება) ადრე გამოცემულის (მიღებულის) მოქმედებას.

4. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტები შეიცავს საკონსტიტუციო და საგანმკარგულებლო ნაწილებს. საკონსტიტუციო ნაწილში გადმოიცემა დოკუმენტის გამოცემის (მიღების) მოტივები, მიზნები და ამოცანები, დოკუმენტს შეიძლება არ გააჩნდეს საკონსტიტუციო ნაწილი საგანმკარგულებლო ნაწილი იყოფა არაბული ციფრებით უწყვეტად დანომრილ პუნქტებად (საჭიროებისას, აგრეთვე ანბანურად დანომრილ ქვეპუნქტებად) და გამოიცემა ბრძანებითი ფორმით. საგანმაკარგულებლო ნაწილი იწყება შესაბმისად სიტყვებით: "ბრძანებ" ან "ქალაქის მერია ადგენს".

5. მერისა და მერიის სამართლებრივ აქტებში სამართლებრივი აქტების აღნიშვნისას მიეთითება ასეთი აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი, აქტის ზუსტი და სრული სახელწოდება, მიმღები (გამომცემი) ორგანო.

6. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტებით სხვა დოკუმენტების (დებულების, ინსტრუქციის, გეგმის, ფორმის, კოლეგიალური ორგანოს შემადგენლობის და სხვა.) დამტკიცების ან საგანმკარგულებლო დოკუმენტზე სხვა დოკუმენტების თანდართვისას, თანდართული დოკუმენტები დოკუმენტში აღინიშნება როგორც დანართები. დანართს უნდა ჰქონდეს მისი შინაარსის განმსაზღვრელი სათაური და მითითება საგანმკარგულებლო დოკუმენტის კუთვნილებაზე.

7. მერისა და მერიის სამართლებრივ აქტებში დაუშვებელია ტერმინები შემოკლებული ფორმების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის ტექსტში მითითებულია სათანადო აღნიშვნა ტერმინის შემოკლებული ფორმის შემდგომი გამოყენების თაობაზე.

მუხლი 42. პასუხიმგებლობა მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისათვის

მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების პროექტების შინაარსისა და მესრულების ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის შემომტანს (ინიციატორს).

მუხლი 43. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების გამოცემა (მიღება)

1. მერისა და მერიის სამართალებრივი ექტების პროექტს ამზადებს აპარატი. მერის მიერ ან მერიის სხდომაზე პროექტის შესახებ შენიშვნებისა და წინადადებების გამოთქმის შემთხვევაში პროექტი უბრუნდება აპარატს დამატებით დასამუშავებლად. პროექტის დამატებითი დამუშავება წარმოებს სამი დღის ან შესაბამისად მერის, მერიის მიერ დადგენილ ვადაში.

2. მერისა და მერიის სამართალებრივ აქტებს ხელს აწერს მერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. სამართლებრივი აქტის რეკვიზიტში "ხელმოწერა" აღინიშნება მითითება ხელისმომწერი პირის თანამდებობაზე.

3. ხელმოწერილი სამართლებრივი აქტები გადაეცემა აპარატის უფროსს , რომელიც სამი დღეში უზრუნველყოფს მათ სათანადო გაფორმებას (რეგისტრაციის ნომრისა და თარიღის მითითებით), ასლების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას.

მუხლი 44. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლა

1. მერისა და მერიის ნორმატიული აქტები ძალაში შედის დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე, თუ აქტში სხვა ვადა არ არის მითითებული.

2. მერისა და მერიის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, თუ დოკუმენტში სხვა ვადა არ არის მითითებული.

3. მერიის დადგენილებები და მერის ბრძანებები სავალდებულოა შესასრულებლად დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მყოფი ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

4. მერიის ინდივიდუალური აქტები, მერის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად ამ აქტებით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მუხლი 45. მერისა და მერიის სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლი

მერისა და მერიის სამართალებრივი აქტების აღსრულების კონტროლს აპარატის დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს აპარატის შესაბამისი განყოფილება.

თავი IV. თათბირების გამართვის ორგანიზაცია

მუხლი 46. თათბირების მომზადება და გამართვა

1. მერიაში თათბირებს იწვევს და თავმჯდომარეობს მერი ან მისი დავალებით ერთ-ერთი მოადგილე.

2. თათბირებზე მოიწვევა მონაწილეთა მინიმალურად საჭირო რაოდენობა, ამასთან, მკაცრად განისაზღვრება თათბირის ხანგრძლივობა.

3. თათბირზე პირთა მოწვევის ორგანიზაცია ევალება აპარატის უფროსს. მოსაწვევ პირთა სიას მერს წინასწარ უთანხმებს აპარატის უფროსი შესაბამისი სამსახურებისა და განყოფილებების წარდგინების საფუძველზე.

4. თათბირის გამართვის შესახებ მის მონაწილეებს აცნობინებს აპარატი.

5. გადაწყვეტილებას თათბირის გამართვის ადგილის შესახებ მერთან შეთანხმებით იღებს აპარატის უფროსი, რომელმაც თათბირის სათანადოდ ორგანიზაციის მიზნით, აპარატის მეშვეობით დროულად უნდა გააფრთხილოს ყველა საჭირო სამსახური.

მუხლი 47.მერიის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი

1. მერიაში ყოველი კვირის ორშაბათს იმართება მერიის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი. თათბირის მსვლელობისას ყველა პასუხისმგებელი მუშაკი უნდა იმყოფებოდეს თავის სამუშაო ადგილზე.

2. თათბირის ხანგრძლივობა განისაზღვრება არა უმეტეს 60 წუთისა.

3. თათბირზე პირველ რიგში ინფორმაციით გამოდის აპარატის უფროსი, რომელიც თათბირის მონაწილეებს აცნობს წინა თათბირზე მიღებული დავალებების შესრულების მდგომარეობას.

მუხლი 48. მერიის სხდომების და თათბირების ოქმების გაფორმება

1. მერიის სხდომების და თათბირების ოქმებს სპეციალური ფორმით ბლანკებზე აფორმებს და ხელმოსაწერად აშზადებს აპარატი. ოქმებს ხელს აწერენ მერი და აპარატის უფროსი.

2. აპარატი მერიის სხდომებზე უშენიშვნოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს აფორმებს იმავე ან მეორე დღეს.

3. მერიის სხდომის და თათბირის ოქმი ფორმდება და ინახება აპარატის შესაბამის განყოფილებაში, რომელიც აკონტროლებს საოქმო დავალებათა შესრულებას.

4. მერიის სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) სხდომის დღის წესრიგი;

ბ) სხდომაზე მოწვეულ პირთა ვინაობა და თანამდებობა;

გ) სხდომაზე წარდგენილი მოხსენებები (ოქმის დანართის სახით);

დ) კამათში გამომსველელთა მოთხოვნით, განხილულ საკითხებზე მათი განსაკუთრებული აზრი;

ე) კენჭისყრაზე დასმული საკითხების დასახელება;

ვ) კენჭისყრათა შედეგები;

ზ) მერიის მიერ მიღებული დადგენილებები.

5. მერიის თათბირის ოქმში შეიტანება:

ა) თათბირის გამართვის დრო;

ბ) თათბირის მონაწილეთა შემადგენლობა;

გ) თათბირზე განხილულ საკითხთა ჩამონათელი;

დ) დავალების შინაარსი;

ე) დავალების შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი.

6. მერიის სხდომებისა და თათბირების ოქმები ინომრება კალენდარული წლის მიხედვით. მერიის სხდომების ხელმოწერილი პირი ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს, ხოლო ოქმის ორიგინალი ინახება მერიის აპარატში.

7. თათბირების ოქმები საჭიროებისამებრ ეგზავნებათ მერიის წევრებს და აპარატის ქვედანაყოფების უფროსებს. საჭიროებისამებრ მათ ეგზავნებათ აგრეთვე ამონაწერი მერიის სხდომის ოქმიდან, თუ იგი შეეხება მათ უშუალო საქმიანობას. საოქმო ჩანაწერები ეგზავნებათ აგრეთვე შემსრულებებს სხდომის ოქმიდან ამონაწერის სახით. მერიის გადაწყვეტილებები ეგზავნებათ იმ ადრესატებს, რომლებსაც განსაზღვრავენ მერიის შესაბამისი ქვედანაყოფები.

8. მერიის სხდომებისა და თათბირების ოქმებს დანიშნულებისამებრ აგზავნის აპარატი.

მუხლი 49. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების, პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა

1. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის შესადგენი სამუშაოების ორგანიზაციას მერის დავალებით ახორციელებს ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახური. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სულ ცოტა რვა თვით ადრე.

2. ქალაქის ადგილობრივი სამსახურები და ქვედანაყოფები შესაბამისი დარგების მიხედვით მეთვალყურეობენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ძირითად მიმართულებებს და უზრუნველყოფენ ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის საჭირო ყველა ინფორმაციის შეგროვებას დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან და საწარმოებიდან.

3. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა უნდა მოიცავდეს:

ა) ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული დონის ანალიზს, რაც გულისხმობს ქალაქის დაქვემდებარებაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, შრომითი და სხვა რესურსების, სოციალური ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი (მათ შორის კომუნალური) მომსახურების ობიექტების აღწერას, მათი მოთხოვნილების შეფასებასა და გამოყენების შესაძლებლობათა განსაზღვრას;

ბ) ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს;

ე) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე შესაბამისი დარგების მიხედვით კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმას და მათ ფინანსურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

4. ქალაქის ბიუჯეტის პროექტი დგება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საფუძველზე. ბიუჯეტის პროექტის შედგენა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამასა და ბიუჯეტის პროექტებს ეკონომიკური სამსახური უთანხმებს ქალაქის ყველა სხვა სამსახურს და ასალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სულ ცოტა ხუთი თვით ადრე მაინც წარუდგენს რაიონის გამგეობის სხდომას განსახილველად.

6. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების საბოლოო საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს მერიის სხდომა. პროექტების საბოლოო რედაქციას ხელს აწერს მერი და საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ორმოცდახუთი დღით ადრე წარუდგენს საკრებულოს დასამტკიცებლად.

7. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს აგენს ქალაქის ეკონომიკური სამსახური.

8. ქალაქის სლციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ქალაქის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან სამ თვეში.

კარი IV. მერიის საქმისწარმოების წესი

მუხლი 50. მერიის საქმისწარმოების ზოგადი წესი

1. მერის ბრძანებების, განკარგულებებისა და დავალებების პროექტები კონფიდენციალურია და აპარატის თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამსახურებრივი დოკუმენტების მოვლისა და მათში ასახული ინფორმაციის დაცვისათვის.

2. დოკუმენტის დაკარგვის თაობაზე თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს. ასეთ შეთხვევაში ტარდება სამსახურებრივი მოკვლევა.

3. დოკუმენტის ან მისი ასლის გადაცემა სხვა ორგანიზაციისათვის შეიძლება მხოლოდ ქვედანაყოფის უფროსის ნებართვით.

4. მერიაში შემოსული დოკუმენტების გაცნობა და მათზე მუშაობა ხდება სამსახურებრივ შენობაში.

5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სამსახურებრივი ინფორმაციის გადაცემა ხდება აპარატის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

6. შვებულების, მივლინების ან ავადმყოფობის შემთხვევაში თანამშრომელი მასზე რიცხულ დოკუმენტებს ქვედანაყოფის უფროსის მითითებით გადასცემს სხვა თანამშრომელს. სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში კი ყველა დოკუმენტს აბარებს ქვედანაყოფის უფროსს.

7. აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საქმისწარმოების წესის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქვედანაყოფის უფროსებს. მათ მოვალეობაში შედის უზრუნველყონ:

ა) ქვედანაყოფში შემოსული და ადგილებზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვა მერიის საინფორმაციო ცენტრში;

ბ) ქვედანაყოფის საქმეთა ნომენკლატურის შედგენა;

გ) საქმისწარმოებისათვის საჭირო მასალებით ქვედანაყოფის თანამშრომელთა მომარაგება;

დ) ქვედანაყოფიდან გასული ინფორმაციის გადაგზავნა მერიის საინფორმაციო ცენტრში;

ე) ქვედანაყოფის თანამშრომელთათვის საქმისწარმოების შინაგანაწესის გაცნობა.

8. მერიაში საქმისწარმოების სისტემის ორგანიზაცია, ქვედანაყოფებში დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობა, საინფორმაციო, მეთოდური და ტექნიკური მომსახურება და მერიის სტრუქტურულ ქვაედნანაყოფთა საინფორმაციო ბანკის შექმნა ხორციელდება აპარატის მეშვეობით. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზაციისათვის პასუხსმგებელია აპარატის უფროსი.

მუხლი 51. მერიაში შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია), განაწილება, დამუშავება და გადაგზავნა

1. მერია წერილობით ოფიციალურ კორესპონდენციას იღებს შესაბამისი საფოსტო განყოფილებიდან. კორესპონდენციის და სხვა ინფორმაციის მიღებას ახლოციელებს აგრეთვე მერიის საინფორმაციო ცენტრი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2. აპარატი უზრუნველყოფს ფოსტით შემოსული ოფიციალური კორესპონდენციის მიღებას და მის აღრიცხვას. მიღებული ინფორმაციის კოდიფიცირებას ახორციელებს საინფორმაციო ცენტრი.

3. არასამუშაო საათებში კორესპონდენციის და სხვა ოპერატიული ინფორმაციის მიღებას ახორციელებს მერიის მორიგე, რომელიც ვალდებულია მეორე დილის არა უგვიანეს 10 საათამდე გადასცეს კორესპონდენცია აპარატის შესაბამის განყოფილებას, ხოლო სხვა ინფორმაცია საინფორმაციო ცენტრს. თუ ოპერატიული ინფორმაცია სასწრაფოა, მორიგე მოქმედებს სამსახურებრივი ინსტრუქციის შესაბამისად.

4. აპარატში შემოსული ოფიციალური კორესპონდენციის კონვერტის გახსნისას უნდა შემოწმდეს ადრესატის სისწორე, პაკეტის სიმრთელე. ამის შემდეგ დოკუმენტის პირველ გვერდზე, მარჯვენა კუთხეში დასვამება შტამპი რეგისტრაციის ნომრითა და შემოსვლის თარიღით.

5. გახსნილი კონვერტის მიღების შემთხვევაში დაება აქტი სამ პირად. ერთი პირი ერთვის დოკუმენტს, მეორე ეგზავნება ავტორს, მესამე რჩება აპარატის შესაბამის განყოფილებაში.

6. არასწორი მისამართით გამოგზავნილი კონვერტი უბრუნდება ავტორს.

7. პაკეტები წარწერით - "პირადად" აღირიცხება კონვერტზე აღნიშნული მონაცემებით და ადრესატს გადაეცემა გაუხსნელად.

8. მერიაში მიღებული დოკუმენტი რეგისტრირდება მიღებისთანავე ოფიციალური კორეს-პონდენციის მოძრაობის მიმართულება ავტომატიზებულია და ხორციელდება მერიის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

9. ფოსტით მიღებული ოფიციალური კორესპონდეცია აპარატში რეგისიტრაციის შემდეგ გადაეცემა ადრესატს, რაც ფიქსირდება მერიის საინფორმაციო ცენტრის კომპიუტერში.

10. ელექტრონული ფოსტით მიღებული კორესპონდენცია ან სხვა ინფორმაცია ფიქსირდება საინფორმაციო ცენტრის კომპიუტერში, რეგისტრირდება აპარატის შესაბამის განყოფილებაში ზემოთ აღნიშნული წესით და გადაეცემა ადრესატს.

11. არ რეგისტრირდება სტატისტიკური კრებულები, წიგნები, გაზეთები, ჟურნალები და სხვა პერიოდული გამოცემები, სარეკლამო ცნობები მისალოცი და მოსაწვევი ბარათები.

12. მერიის ან მერის სახელზე მოსული კორესპონდენცია ან სხვა ინფორმაცია რეგისიტრაციის და კომპიუტერში დაფიქსირების შემდგომ აპარატის მეშვეობით და მერის ანდა აპარატის უფროსის რეზოლუციის საფუძველზე დამუშავებისა და წინადადებებისათვის ეგზავნებათ ქალაქის შესაბმის ადგილობრივ სამსახურებს და ქვედანაყოფებს.

13. კორესპონდენციის ან ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ქალაქის ადგილობრივი სამსახური (ქვედანაყოფი) ამზადებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს. გადაწყვეტილების პროექტი დასამუშავებელი კორესპონდენციის მიხედვით შეიძლება იყოს: მერის ბრძანების ან განკარგულების პროექტი. მერიის დადგენილების პროექტი ან შესაბმისი სამსახურის ოფიციალური პასუხი შემოსულ კორესპონდენციაზე

14. გადაწყვეტილების პროექტი ქალაქის ადგილობრივი სამსახურის ან ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ვიზირების შემდეგ ეგზავნება აპარატის იურიდიული სამსახურს (განყოფილებას). იურიდიული სამსახურის (განყოფილების) უფროსის ვიზირების შემდეგ საინფორმაციო ცენტრში ხდება სამსახურის მიერ მომზადებული პროექტის ფიქსირება. მომზადებული პროექტების ნუსხას საინფორმაციო ცენტრის უფროსი ყოველი სამუშაო დღის ბოლოს 17 საათამდე წარუდგენს აპარატის უფროსს. აპარატის უფროსი შესაბამის დამუშავებულ პროექტებს ვიზირების შემდეგ ხელმოსაწერად წარუდგენს მერს ან მასთან შეთანხმებით შეაქვს მერიის სხდომის დღის წესრიგში.

15. მერის ან მერიის სახელით გასულ ოფიციალურ დოკუმენტებს ქალაქის შესაბმისი ადგილობრივი სამსახურის, აპარატის იურიდიული სამსახურის (განყოფილების) უფროსი, აპარატის უფროსის და საჭიროებისამებრ მერიის სხდომაზე განხილვის შემდეგ, ხელს აწერს მერი.

16. ქალაქის ადგილობრივი სამსახურის სახელით გასულ ოფიციალურ დოკუმენტებს იურიდიული სამსახურის უფროსის ვიზირების შემდეგ ხელს აწერს შესაბამისი სამსახურის (ქვედანაყოფის) უფროსი და აპარატის უფროსი.

17. მერის, მერიის და ქალაქის ადგილობრივი სამსახურის სახელით გადასაგზავნი დოკუმენტები იბეჭდება მერიის სპეციალურ ბლანკზე. გადასასზავნი დოკუმენტის ფიქსირება ხდება საინფორმაციო ცენტრში და ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტი ბარდება აპარატს. აპარატის შესაბმისი განყოფილება ახდენს გადასაგზავნი დოკუმენტის რეგისტრაციას და უზრუნველყოფს მის გადაგზავნას დანიშნულებისამებრ.

18. გაგზავნილი დოკუმენტის ასლი საინფორმაციო ცენტრში ფიქსირების შემდეგ შესანახად უბრუნდება შესაბამის სამსახურს.

19. ელექტრონული ფოსტით დოკუმენტის გადაგზავნას უზრუნველყოფს საინფორმაციო ცენტრი.

მუხლი 52. დავალებათა გაფორმება, დოკუმენტებისა და დავალებების შესრულების კონტროლი

1. შემოსულ დოკუმენტებზე ქალაქის ადგილობრივ სამსახურებს დავალებებს რეზოლუციის სახით აძლევს მერი ან მისი პირველი მოადგილე.

2. ქალაქის ადგილობრივი სამსახურების უფროსები რეზოლუციის სახით დოკუმენტის შესასრულებლად დავალებებს აძლევენ მხოლოდ თავიანთი ქვედანაყოფების თანამშრომლებს.

3. მერის დავალებათა პროექტებს ამზადებენ მერის მოადგილეები.

4. დავალებას პროექტზე, თუ მასალა ორ ნაბეჭდ გვერდზე მეტია, უნდა დაერთოს მოკლე ანოტაცია.

5. დავალების პროექტი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მითითებებას სამსახურის (ქვედანაყოფის) უფროსზე, დავალების შინაარსი უნდა იყოს მოკლე და ზუსტად ასახავდეს დავალების არსს. მითითებული უნდა იყოს დავალების შესრულების ვადა. დავალების პროექტს უკეთდება ავტორების ეიზები.

6. დავალების ვიზირებული პროექტი გადაეცემა საინფორმაციო ცენტრს ან აპარატის უფროსს.

7. აპარატის უფროსის ან მერის ხელმოწერილი დავალება შესაბამის დოკუმენტთან ერთად უბრუნდება საინფორმაციო ცენტრს რეგისტრაციისა და გაფორმებისათვის. თუ დავალება გაცემულია შემოსულ დოკუმენტზე, მას დაესმება დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი თარიღად კი დავალებაზე ხელმოწერის დღე.

8. აღრესატებს ეგზავნებათ დავლებისა და შესაბმისი დოკუმენტების ასლები, დედანი ინახება აპარატში.

9. დავალების ასლი გადაეცემა იმ პირს, ვინც მოამზადა დავალების პროექტი, აგრეთვე იმ ორგანიზაციას (მოქალაქეს), ვის მომართვაზე გაიცა დავალება.

10. საკონტროლო დავალებების ასლები ეგზავნება აპარატის უფროსს

11. დავალებების და დოკუმენტების შესრულების კონტროლს ახორციელებენ აპარატის უფროსი, მერის მოადგილეები და შესაბმისი ქვედანაყოფების უფროსები.

12. ქვედანაყოფის უფროსი პირადად განსაზღვრავს შემსრულებელ პირს და აკონტროლებს მოცემული დავალების შესრულების მიმდინარეობას.

13. თუ მერის ან აპარატის უფროსის დავალება გაიცემა რამდენიმე ქვედანაყოფზე, შესრულების კოორდინაციას ახორციელებს ის პირი, ვინც დავალებაში პირველი წერია.

14. წინასწარი განხილვისა და მერისვის ან მისი მოადგილეებისათვის მოსახსენებლად გადაცემულ დოკუმენტებზე წინადადებების მომზადების ვადა განისაზღვრება 1-დან 3 დღემდე; თუ დავალება მოითხოვს საკითხის დამატებით შესწავლას - 10 დღემდე; სხვა დავალებათა შესრულების ვადა შესაბამისი ქვედანაყოფის უფროსთან შეთანხმებით განისაზღვრება საკითხის არსიდან გამომდინარე.

15. თუ დავალების შესრულების ვადის გაგრძელება აუცილებელია, ამის შესახებ ვადის გასვლამდე სულ ცოტა ერთი დღით ადრე უნდა მოხსენდეს აპარატის უფროსს ან უშუალოდ მერს. ვადის გაგრძელება უნდა დაფიქსირდეს.

16. მერიის საინფორმაციო ცენტრის უფროსი ორ კვირაში ერთხელ ამზადებს წერილობით მოხსენებას აპარატის უფროსის სახელზე ადგილობრივი სამსახურების (ქვედანაყოფების) მიერ მიმდინარე დავალებათა შესრულების თაობაზე. აპარატის უფროსი მერიის ან მერის მოთხოვნით ამზადებს სპეციალურ ანტარიმს სამსახურების (ქვედანაყოფების) საქმიანობის შესახებ.

მუხლი 53. მოქალაქეთა წერილების განხილვა და მიღების ორგანიზაცია

1. მერიამი შემოსულ მოქალაქეთა წერილებს რეგისტრაციის შემდეგ აფიქსირებს საინფორმაციო ცენტრი.

2. აპარატი უზრუნველყოფს მოქალაქეთა წერილების გადაცემას შესაბამისი სამსახურებისათვის (ქვედანაყოფებისათვის) რეზოლუციის პროექტთა მოსამზადებლად. მოქალაქეთა წერილების ასლები წინადადებებთან ერთად, განხილვის შემდეგ კი წერილები მათი განხილვის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად უბრუნდება აპარატს.

3. მოქალაქეთა წერილების გადაცემა აპარატის ერთი ქვედანაყოფიდან მეორეში შეიძლება მხოლოდ აპარატის უფროსის ნებართვით, ხოლო ერთი სამსახურიდან მეორეში - მერის ნებართვით.

4. ის წერილები, რომელთა მოხსენებაც მერიის წევრთათვის არ არის საჭირო, აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით ეგზავნება მერიას დაქვემდებარებულ ორგანიზაციას. ამასთან, წერილი არ შეიძლება გადაეგზავნოს იმ ორგანიზაციას ან თანამდებობის პირს, რომელთა მიმართაც ამ წერილით აღძრულია საჩივარი.

5. მოქალაქეთა წერილების გადაგზავნა ხდება სპეციალურ ბლანკზე გაფორმებული თანმხლები წერილით, რომელსაც ხელს აწერს აპარატის უფროსი.

6. რომელიმე ორგანიზაციიდან თანმხლები წერილით გადმოგზავნილი მოქალაქის წერილი განისილება იგივე წესით.

7. წერილი, რომელიც არ მოითხოვს დამატებით შესწავლას, განიხილება 15 დღეში, ხოლო სხვა შემთხვევაში - ერთ თვეში.

8. წერილი შესრულებულად ითვლება, თუ განხილულია მასში დასმული ყველა საკითხი და მოქალაქეს პასუხი გაეცა ზეპირად ან წერილობით.

9. მერიაში მოქალაქეთა მიღებას ორგანიზებას უწევს აპარატი ყოველდღე, უქმე დღეების გარდა. მოქალაქეთა მიღება ექვემდებარება აღრიცხვას. მიღებისას მოქალაქის მიერ დაგოვებული წერილობითი თხოვნა, წინადადება ან საჩივარი განიხილება ჩვეულებრივი წესით.

10. საინფორმაციო ცენტრი კვარტალში ერთხელ აანალიზებს შემოსულ წერილებს რაოდენობრივად და თემატურად, ამზადებს შესაბმის მოხსენებას და წარუდგენს აპარატის უფროსს.

მუხლი 54. მერიის ბეჭდის და შტამპების გამოყენება.

1. მერიას აქვს გერბიანი ბეჭედი, რომელიც გამოიყენება მერის ბრძანებების, განკარგულებების, მერიის დადგენილების, მერიის სხდომის ოქმების, აგრეთვე მერიის ფინასური დოკუმენტების ხელმოწერის დასადასტურებლად. მერიის ბეჭედი ინახება აპარატის უფროსთან.

2. ფინანსურ დოკუმენტებს გერბიანი ბეჭედი დაესმება მხოლოდ ბუღალტრის და მერის ხელმოწერის შემდეგ.

3. გერბიანი ბეჭდის დასმისას ანაბეჭდმა უნდა მოიცვას დოკუმენტის ხელმომწერი პირის თანამდებობის აღნიშნული სიტყვის ნაწილი.

4. მერიაში გამოყენებული შტამპების დამზადება ხდება აპარატის უფროსის მითითებით. შტამპების რეგისტრაციას და დარიგებას ორგანიზაციას უწევს აპარატის უფროსი.

5. შესაბმისი ქვედანაყოფების უფროსებს შტამპები ურიგდებათ ხელმოწერით. ისინი პასუხისმგებელი არიან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

კარი V. ბარდამავალი დებულებები

მუხლი 55. მერების შესახებ

"მმართველობის აღგილობრივი ორგანეოების (რაიონების, ქალაქების) გამგეობათა თავმჯდომარეების დანიშვნის დროებითი წესის შესახებ" საქართველოს 1992 წლის 24 დეკემბრის კანონის საფუძველზე დანიშნულმა ქალაქების, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, მერებმა განახორციელონ "აღგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონითა და ამ დებულებით დადგენილი მერის უფლებამოსილებანი.

საქართველოს პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

N 84 2003 წლის 17 მარტი ქ.თბილისი

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების დებულების შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების თანდართული დებულება.

2. ქალაქ თბილისის მერიამ სამხედრო განყოფილების საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა განახორციელოს „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონითა და „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის N685 ბრძანებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ. თევზაძე) უზრუნველყოს რაიონებისა და ქალაქების ყოფილი სამხედრო კომისარიატების (განყოფილებების) 2003 წლის 1 იანვრისათვის არსებულ დავალიანებათა დადგენილი წესით დაფარვა.

4. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (რაიონების, ქალაქების) სამხედრო განყოფილებების სამტატო ერთეულების საერთო რაოდენობა (368 ერთეული), აგრეთვე ამ რაოდენობიდან 2003 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მათთვის გადასაცემი სამტატო ერთეულები (204 ერთეული) და ასიგნებები (102780 ლარი), საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ჭრილში განისაზღვროს თანახმად დანართისა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს წინადა-დებები „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილ ებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. *(19.05.2003 N222)*

5. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (რაიონების, ქალაქების) სამხედრო განყოფილებების შენახვის დანარჩენი ხარჯები დადგენილი წესის შესაბამისად დაფინანსდეს შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან. *(19.05.2003 N222)*

ედუარდ შევარდნაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2003 წლის 17 მარტის
N 84 ბრძანებულებით

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) არის

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო

აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას.

2. განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, ამ დებულებით - დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების გადაწყვეტილებებით და სპეციალური სახელმძღვანელოთი „სამხედრო განყოფილებათა სამსახურებრივი საქმიანობის წარმართვის შესახებ".

3. განყოფილება ფინანსდება რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

4. განყოფილებას აქვს შტამპი, ბეჭედი, ბლანკი განყოფილების სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

II. განყოფილების ძირითადი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი

1. განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისათვის მომზადება და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზაცია;

ბ) უზრუნველყოს ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობა;

გ) გააკონტროლოს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულება;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

2. განყოფილების ძირითადი ფუნქციებია:

ა) ჭაბუკებისა და წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა ზუსტი აღრიცხვა;

ბ) 15 წლის ასაკის ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა;

გ) წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;

დ) გაერთიანებული სამხედრო აკადემიისა და კადეტთა კორპუსისათვის კანდიდატების შერჩევა, მომზადება და გაგზავნა;

ე) საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლი;

ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზაცია და გაწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებში გაგზავნა;

ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანოებთან ერთად შესაბამისი გეგმის მიხედვით წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელება;

თ) აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოქალაქეთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება;

ი) სავალდებულო სამსედრო სამსახურის გავლისათვის თავის ამრიდებელი მოქალაქეების შესახებ მასალების მომზადება და მათი გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის;

კ) სასწავლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი.

3. განყოფილებას უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მეუფერხებლად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ორგანოებიდან, კერძო სტრუქტურებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. შეისწავლოს და დასვას საკითხი რაიონის (ქალაქის) ხელმძღვანელობის წინაშე მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სავალ-დებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;

გ) მოაწყოს თათბირები და შეხვედრები მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესახებ.

4. განყოფილება ვალდებულია:

ა) გააკონტროლოს რაიონის (ქალაქის) სასწავლო დაწე-სებულებებში მოსწავლე-ახალგაზრდობის პირველად სამსედრო აღრიცხვაზე აყვანის მიმდინარეობა; გაუწიოს კონსულტაციები სას-წავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაწყებითი სამხედრო მასწავლებლების შერჩევაში, ჩაუტაროს მათ სასწავლო-მეთოდური მეცადინეობები;

ბ) გამოიკვლიოს მოქალაქის პროფესიულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა სამხედრო სამსახურში მისი ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

გ) მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის სამსახურს დადგენილ ვადებში წარუდგინოს ინფორმაცია და ანგარიში მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ.

III. განყოფილების საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა

1. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომელსაც ნიმნავს რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით.

2. განყოფილების სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განყოფილების უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.

3. განყოფილების უფროსი:

ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას და პასუხისმგებელია განყოფილების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის;

ბ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს განყოფილების თანამშრომლებს; ანაწილებს ფუნქციებს განყოფილების სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და განყოფილების თანამშრომელთა შორის. აკონტროლებს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

IV. განყოფილების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

განყოფილების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე.

თავი III
ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელური აქტები

შესავალი

მკითხველის წინაშე წარმოდგენილი კრებული აერთიანებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ახალი ორგანული კანონით გათვალისწინებულ და ამ კანონის საფუძველზე შედგენილ სარეკომენდაციო, მოდელურ აქტებს. კერძოდ: საკრებულოს დებულებას (რეგლამენტს), გამგეობის (მერიის) დებულებას, თვითმმართველი ერთეულის აპარატის დებულებას, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს დებულებას, თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდის დებულებას და გამგეობის (მერიის), აგრეთვე აპარატის შინაგანაწესს.

მოდელური აქტები შემუშავებულია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის და ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ექსპერტების: ალექსანდრე სვანიშვილის, თენგიზ მარმანამვილის, ირაკლი კობახიძისა და დავით ზარდიაშვილის მიერ. მოდელური აქტების შემუშავების პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების საქმეთა კომიტეტი.

"ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია" და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, აგრეთვე მათ შესაბამისად მიღებული სხვა საკანონმდებლო აქტები ქმნიან საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების მყარ სამართლებრივ საფუძველს – თვითმმართველი ერთეულების გამსხვილება, ადგილობრივი ორგანოების ახლებური ინსტიტუციური მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი უფლებამოსილებანი, ადგილობრივი საკუთრებისა და საბიუჯეტო დამოუკიდებლობის კანონით შექმნილი გარანტიები, ცენტრალურ ხელისუფლებასთან სხვაგვარად განსაზღვრული ურთიერთობები ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის წარმატებული განვითარების საწინდარია. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზის შექმნა მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით არ ამოიწურება. მეტიც: კანონთა იმპლიმენტაციის ბედი არსებითად არის დამოკიდებული 2006 წლის 5 ოქტომბერს არჩეულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, უპირველეს ყოვლისა – ამ ორგანოების მიერ იმ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რომლებმაც ხორცი უნდა შეასხან და რეალურ პრაქტიკაში დაამკვიდრონ კანონით მხოლოდ ზოგადად განსაზღვრული ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი სამსახურების სტრუქტურა, მათი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი, ურთიერთობები მოქალაქეებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, ურთიერთდამოკიდებულება წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის და სხვ. სწორედ ადგილობრივი ორგანოების ხელშია კანონით ფორმალურად განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაცოცხლება: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ფუნქციების რეალური განხორციელება, ადგილობრივი სამსახურების შექმნა და მათი ქმედითობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვა, ადგილობრივი ქონებისა და საბიუჯეტო პროცესების ეფექტიანი მართვა და სხვ. ეს ყველაფერი კანონით შემოთავაზებული ,,თამაშის წესების" - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების რეალური სტრუქტურის, გადაწყვეტილებათა მიღების მოქმედი პროცედურების, ცოცხალი ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერთობების პრაქტიკული განხორციელებით უნდა დაიწყოს, რაც უწინარესად ნიშნავს ადგილობრივი ორგანოების მიერ შესაბამისი ,,სადამფუძნებლო" სამართლებრივი აქტების – საკრებულოს რეგლამენტის, აღმასრულებელი ორგანოსა და ადგილობრივი სამსახურების, აპარატის დებულებათა მიღებას. ეს აქტები მიიღება კანონის საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობით, დამოუკიდებლად, ეინმეს მხრიე ყოველგვარი წინასწარი ჩარევის გარეშე. ასეთი ჩარევა დასაშვები იქნება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში – თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა, რაც სასამართლომ უნდა დაადგინოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს, რომ კრებულში თავმოყრილი აქტები ზედმიწევნით სარეკომედაციო ხასიათის პროექტებს წარმოადგენს. მათი უპირველესი მიზანია ტექსიკური დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ორგანოებს და ამით გაუადვილონ მათ კანონით

ეათვალისწინებული აქტების შემუშავება. წარმოდგენილი დოკუმენტები სათელ წარმოდგენას ქმნის მისაღები აქტების აუებულებასა და მათი შინაარსის სტრუქტურაზე. პროექტები დამუშაებულია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მაგრამ ისინი მხოლოდ მოდელური ბუნებისანი არიან – კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტი (სამართლებრივი აქტის პროექტი) შედგენილ და მიღებულ უნდა იქნეს უფლებამოსილი ადგილობრივი სამსახურებისა და ორგანოების მიერ.

კრებული განკუთვნილია საკრებულოს წევრებისათვის, ადგილობრივი სამსახურების მოხელეთათვის და საერთოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)

ეს დებულება (რეგლამენტი), "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს უფლებამოსილებას, სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საკრებულო

1. საკრებულო არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის განვითარების ძირითად მიმართულებებს, აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირთა საქმიანობას, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე.

2. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის – "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

3. საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ საკრებულოს შემადგენლობამი არჩეულია საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.

მუხლი 2. საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", 'ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია", საქართველოს საკანონმდებლო აქტები და ეს დებულება (რეგლამენტი).

2. საკრებულოს საქმიანობასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც არ არის დარეგულირებული საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით), წყვეტს საკრებულო.

მუხლი 3. საკრებულოს უფლებამოსილება

1. საკრებულოს უფლებამოსილება განისაზღერება საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ".

2. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საკრებულო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საერთო ადმინისტრირების, საფინანსო-ეკონომიკურ, სოციალურ, საყოფაცხოვრებო-კომუნალურ, მიწათსარგებლობის, დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის, აღრიცხვისა და ინფორმაციის სფეროებში.

3. საერთო ადმინისტრირების სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეების და გამგებლის (მერის) არჩევა და გადარჩევა;

ბ) საკრებულოს კომისიების და დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა და გაუქმება, მათი პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

გ) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;

დ) თვითმმართველი ერთეულის დაყოფა აღმინისტრაციულ ერთეულებად (თემებად, უბნებად);

ე) საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), საკრებულოს აპარატის, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების, გამგეობის (მერიის) რწმუნებულების) დებულებათა დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ვ) საკრებულოს აპარატის, გამგეობის (მერიის) სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში აღგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;

თ) აღგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის შექმნა;

ი) თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დამტკიცება;

კ) ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია;

ლ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

მ) კონტროლი აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) გამგებლის (მერის) წარდგინებით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა, მისი დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

ბ) აღგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრა საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

გ) სარეზერვო ფონდის შექმნა და მისი განკარგვის წესების დადგენა;

დ) საქართველოს მთავრობის ნებართვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სესხის ან გრანტის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი ხელშეკრულების დამტკიცება;

ე) მუნიციპალური ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;

ვ) გამგებლისთვის (მერისთვის) თანხმობის მიცემა ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;

ზ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების დამტკიცება;

თ) თვითმმართველი ერთეულის განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება;

ი) გადაწყვეტილების მიღება იმ პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, რომლებიც შეეხება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

კ) აღგილობრივი შესყიდვების გეგმების დამტკიცება; აღგილობრივი შესყიდვის წესების დადგენა;

ლ) თვითმმართველი ერთეულის ქონების შეძენის, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესების დადგენა;

მ) იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება;

ნ) თვითმმართველი ერთეულის გასასხვისებელი ქონების ნუსხის პროექტის განხილვა და დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის პროგრამების და ამ პროგრამების შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ო) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

5. სოციალურ სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;

ბ) ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიური მომსახურების მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;

გ) მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და უმუშევართა დასმარების მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;

დ) გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსასურების სახეების დაფინანსების შესახებ;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების წესებისა და პირობების დადგენა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

6. საყოფაცხოვრებო-კომუნალურ სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ვაჭრობის და საყოფაცხოერებო მომსახურების წესების დამტკიცება;

ბ) კანონით დადგენილ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღება სავაჭრო და საყოფაცხოერებო ობიექტების მშენებლობის და ბაზრობების ორგანიზების შესახებ;

გ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდისა და კომუნალური მეურნეობის მართვის წესების დამტკიცება;

დ) საბინაო-კომუნალური მომსახურების წესების და მუშაობის რეჟიმის დადგენა;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

7. მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკეეთის გაცემის წესების დამტკიცება;

ბ) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (ისტორიულ-კულტურულ, გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალურ ზონებად) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

გ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის, მიწის იჯარის ღირებულებისა და მიწის გადასახადის ოდენობის, მისი გაანგარიშებისა და გადახდის წესების დადგენა;

დ) გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სარგებლობის შესახებ;

ე) ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

8. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა;

ბ) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;

დ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

9. ტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება;

ბ) მუნიციპალური (საქალაქო) ტრანსპორტით მომსახურების წესების დამტკიცება;

გ) საგრანსპორტო სისტემის განვითარების ადგილობრივი პროგრამების დამტკიცება;

დ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

10. აღრიცხვისა და ინფორმატიკის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის კონცეფციისა და პროგრამის დამტკიცება;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ერთიან საინფორმაციო სივრცეში კორპორატიული და უწყებრივი საინფორმაციო რესურსების ინტეგრირების მონაცემთა დაცვის და უშიშროების პირობების დადგენა;

გ) ინფორმაციის ურთიერთქმედების რეგლამენტირება და შესაბამისი სტანდარტების დადგენა;

დ) საინფორმაციო პროექტების დაფინანსების მიზნით შესაბამისი საკრედიტო-საფინანსო, საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება;

ე) საინფორმაციო სისტემის, ქსელის, ბაზების, მონაცემთა ბანკების გამოყენების წესების დადგენა;

ვ) ადგილობრივი ქონების, დოკუმენტების, უფლებების აღრიცხვის წესების დადგენა;

ზ) ადგილობრივი არქივის მართვისა და არქივით სარგებლობის წესების დადგენა;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 4. საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება: საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის და ამ დებულების (რეგლამენტის) შესრულება და დაცვა;

ბ) საჯაროობა;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა;

დ) საკითხების კოლეგიური და თავისუფალი განხილვა-გადაწყვეტა;

ე) დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრულ ადგილობრივ საკითხთა გადაწყვეტაში;

ვ) კანონით დადგენილი ფუნქციების განხორციელებაზე დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა;

ზ) წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა;

ზ) თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება;

თ) თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველყოფა;

ი) ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე.

მუხლი 5. საკრებულოს სამუშაო ენა

საკრებულოს სხდომები და საქმისწარმოება მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 6. საკრებულოს ადგილსამყოფელი

1. საკრებულოს ადგილსამყოფელია ქალაქი (დაბა) N. ქუჩა # —

2. საკრებულოს ადგილსამყოფელის დროებითი შეცვლა სხდომის ჩატარების მიზნით დაიშვება საკრებულოს ან საკრებულოს თავმჯდომარის გასკარგულებით, ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით.

2. საკრებულოს შენობაზე აღმართული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა. საკრებულოს შენობაში საქართველოს სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. საკრებულოს მუშაობის საერთო წესი

1. საკრებულოს მორიგი სხდომები, 'ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ– საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით, მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც, როგორც წესი, ყოველი თვის პირველ ორშაბათს, ხოლო თუ ორშაბათი არასამუშაო დღეა – მომდევნო სამუშაო დღეს.

2. საკრებულოს მორიგი სხდომების რაოდენობა დაკავშირებულია საკრებულოს მორიგი სხდომების დღის წესრიგის საკითხთა რაოდენობაზე და ეფუძნება უწყვეტობის პრინციპს – საკრებულოს სხდომებზე დაწყებული საკითხის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს საკრებულოს შემდგომ მორიგ სხდომებზე.

3. საკრებულოს საქმიანობა მოიცავს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და ფრაქციების სხდომებს.

4. საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები (საკრებულოს დადგენილება, საკრებულოს განკარგულება, მიმართვა, განცხადება, დავალება, რეკომენდაცია, აგრეთვე ცნობის სახით მიიღოს ინფორმაცია და სხვა) მხოლოდ საკრებულოს სხდომებზე.

5. საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის სასევარზე მეტი.

6. საკრებულოს გადაწყვეტილებები, როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სახის, მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ საქართველოს კანონით ან ამ დებულებით (რეგლამენტით) სხვა წესი არ არის დადგენილი.

მუხლი 8. საკრებულოს სხდომათა დარბაზი

1. საკრებულოს სხდომათა დარბაზში უნდა იყოს მოწყობილი პრეზიდიუმი, სადაც ადგილს იკავებს საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე. სხდომის თავმჯდომარე პრეზიდიუმში იკავებს ცენტრალურ ადგილს.

2. პრეზიდიუმთან უნდა მოეწყოს ერთი ტრიბუნა გამომსვლელთათვის.

3. საკრებულოს სხდომათა დარბაზში ცალ-ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი ადგილები თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირთათვის, საკრებულოში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისა და საკრებულოში მოწვეული პირებისათვის.

4. საკრებულოს წევრები სხდომათა დარბაზში იკავებენ მხოლოდ მათთვის პერსონალურად გამოყოფილ ადგილს.

5. საკრებულოს სხდომათა დარბაზში დაუშვებელია შეიარაღებული პირის ყოფნა და მობილური ტელეფონებით სარგებლობა.

მუხლი 9. საკრებულოს სხდომაზე დასწრების წესი

1. საკრებულოს ღია სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ გამგებელს (მერს), გამგეობის (მერიის) სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელებს, საკრებულოს აპარატის და საკრებულოს ფრაქციების თანამშრომლებს, საკრებულოში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის სამუალებების წარმომადგენლებს.

2. პირები, რომლებიც მოწვეულნი არიან საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, საკრებულოს დარბაზში შემოდიან საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის მოწვევით და ტოვებენ დარბაზს შესაბამისი საკითხის განხილვის დამთავრებისთანავე.

3. საკრებულოს დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ გამგებელს (მერს) და ამ სხდომაზე სპეციალურად მოწვეულ პირებს. საკრებულოს დახურულ სხდომაზე საკითხის განხილვისას სხდომათა დარბაზის კარი იკეტება.

4. საკრებულოს როგორც ღია, ისე დახურულ სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ: საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს.

5. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე პირებს უფლება არ აქვთ დაიკავონ საკრებულოს წევრისათვის გამოყოფილი ადგილები.

6. საკრებულოს სხდომის დროს საკრებულოს წევრები და მოწვეული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ დებულებით დადგენილი წესი და საკრებულოს წევრის ეთიკის ნორმები.

მუხლი 10. საკრებულოს სხდომების ტრანსლაცია

1. საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოეწყოს საკრებულოს ღია სხდომების რადიოტრანსლაცია და/ან ტელეტრანსლაცია, აგრეთვე ტრანსლაცია ინტერნეტის მეშვეობით.

2. საკრებულოს სხდომის ტრანსლაციას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 11. საკრებულოს "ღია კარის" სხდომა

1. ყოველი მორიგი სხდომების ბოლო დღის პირველ ნახევარში ტარდება საკრებულოს "ღია კარის" სხდომა.

2. საკრებულოს "ღია კარის" სხდომაზე საკრებულოს წევრები ისმენენ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა გამოსვლებს.

3. "ღია კარის" სხდომაში მონაწილეობის მისაღებად თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა განცხადებით უნდა მიმართოს საკრებულოს აპარატს ღია სხდომის ჩატარებამდე სამი ღღით ადრე მაინც.

4. საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს შემოსულ განცხადებებს და განმცხადებლებთან შეთანხმებით ადგენს "ღია კარის" სხდომაზე გამომსელელთა სიას.

5. "ღია კარის" სხდომის მონაწილეთა რიგითობა განისაზღვრება განცხადების შემოტანის რიგის მიხედვით.

6. "ღია კარის" სხდომის მონაწილე ყველა პირს ეძლევა გამოსელისათვის არა უმეტეს 5 წუთი.

7. "ღია კარის" სხდომაზე დასმულ საკითხებზე დებატები არ იმართება. "ღია კარის" სხდომაზე გამომსელელი ამომრჩეველისთვის დამუსტებისათვის კითხვის დასმის უფლება აქვს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეს.

8. საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს "ღია კარის" სხდომის ოქმის შედგენას, სხდომაზე დასმული საკითხების აღრიცხვას და წარუდგენს შესაბამის მასალებს საკრებულოს ბიუროს, რომელიც უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი საკითხების შესაბამისი კომისიისათვის ან/და გამგებლისათვის (მერისათვის) განსახილველად გადაცემის შესახებ.

9. საკრებულოს აპარატი აცნობებს "ღია კარის" სხდომაზე მონაწილე პირს მის მიერ დასმული საკითხის განხილვის მიმდინარეობის შესახებ და აკონტროლებს დასმული საკითხის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადაწყვეტას.

მუხლი 12. საკრებულოს დარბაზში ღონისძიებების ჩატარების წესი

1. საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის ან საკრებულოს ფრაქციის ინიციატივით საკრებულოს დარბაზში შეიძლება მოეწყოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები და საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

2. საკრებულოს დარბაზში ღონისძიების ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე.

თავი II. საკრებულოს წევრი

მუხლი 13. საკრებულოს წევრის სტატუსი

1. საკრებულოს წევრი არის საქართველოს ორგანული კანონის – "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომი არჩეული პირი.

2. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით მისი უფლებამოსილების ცნობიდან და მთავრდება ახლადარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ხორციელდება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით.

4. საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობის შესრულებისას იგი არ არის შეზღუდული ამომრჩეველებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანებების განაწესებითა და დავალებებით. თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩეველთან მუშაობის ვალდებულებისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან.

5. საკრებულოს წევრი უფლება-მოვალეობებს ახორციელებს უშუალოდ. დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

6. საკრებულოს წევრის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესს და გარანტიებს, განისაზღვრება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონით და ამ დებულებით.

მუხლი 14. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა და უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება საკრებულოს მიერ შესაბამისი საარჩევნო კომისიის წარდგინებისა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის (ხოლო მუდმივი კომისიის შექმნამდე – დროებითი სამანდატო კომისიის) დასკვნის საფუძველზე.

2. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, როგორც წესი, ფარული კენჭისყრით. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, თუ არავინაა წინააღმდეგი, შეიძლება გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ღია კენჭისყრითაც.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

4. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ:

ა) უფლებამოსილება მოესსნა პირადი განცხადებით;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში;

ვ) დაინიშნა ან არჩეულ/დამტკიცებულ იქნა კანონით დადგენილ საკრებულოს წევრისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე;

ზ) გარდაიცვალა.

5. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

6. საკრებულო, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის წარდგინების (დასკვნის) საფუძველზე.

7. საკრებულო საკრებულოს წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ა", "ბ", "გ", "დ", "ვ" და "ზ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე. ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია არკვევს საკრებულოს წევრის გაცდენის მიზეზებს და თუ დადასტურდა, რომ გაცდენები არასაპატიოა, საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნას, რომელსაც საკრებულო იღებს ფარული კენჭისყრით.

8. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 15. საკრებულოს წევრის მოვალეობები

1. საკრებულოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობა და ეს დებულება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებში და საკრებულოს კომისიების მუშაობაში;

გ) ამ დებულებით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს;

დ) იყოს საკრებულოს ერთი, მაგრამ არა უმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში;

ე) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;

ვ) არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა პირადი ინტერესებისათვის;

ზ) დაიცვას ამ დებულებითა და "საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსით" დადგენილი ქცევის სტანდარტები;

თ) არანაკლებ წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში ამომრჩეველებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი განაცხადოს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს.

3. საკრებულოს წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ.

მუხლი 16. საკრებულოს წევრის უფლებები

1. საკრებულოს წევრი უფლებამოსილია საკრებულოს სხდომაზე ან საკრებულოს კომისიაში ამ დებულებით დადგენილი წესით:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს; მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

დ) გააცნოს საკრებულოს (საკრებულოს კომისიას) მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;

ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსელის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები საკრებულოს (საკრებულოს კომისიის) სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

ვ) გამოთქვას აზრი საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;

ზ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების და საკრებულოს იმ კომისიების მუშაობაში, რომლის წევრიც ის არ არის;

თ) კითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს და თანამდებობის პირებს; უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში; მიიღოს და შეაფასოს გაცემული პასუხები;

კ) ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა;

ლ) ამ დებულებით დადგენილი წესით მოსთხოვოს საკრებულოს აპარატს სათანადო ინფორმაცია და მისი სამართლებრივი თუ ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა.

2. საკრებულოს წევრს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით უფლება აქვს არჩეულ, დანიშნულ ან წარდგენილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობებზე, საკრებულოს კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან, სტრუქტურული ერთეულებიდან და გაერთიანებებიდან.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს საკრებულოს წევრი.

მუხლი 17. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

1. საკრებულოს წევრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების გათვალისწინებით, საკრებულოს მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან უნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები:

ა) ტრანსპორტით მგზავრობისათვის;

ბ) სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის;

გ) კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობისათვის, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებისათვის;

დ) ამომრჩეველებთან შეხვედრისათვის;

ე) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ექსპერტიზისათვის.

2. საკრებულოს წევრის სამეელინებო ხარჯების ანამღაურების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III. საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე

მუხლი 18. საკრებულოს თავმჯდომარე

1. საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სელმძღვანელი, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) ასორციელებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;

ბ) უძღვება საკრებულოს მუშაობას, საერთო სელმძღვანელობას უწევს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას;

გ) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და დახურულად აცხადებს საკრებულოს სხდომებს, (მათ მორის რიგგარეშე სხდომებს);

ბ) უძღვება სხდომებზე საკითხების განხილვას;

ე) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

დ) ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, ამ დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსელელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

ე) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ვ) ამტკიცებს საკრებულოს სხდომაზე მოსაწვევ პირთა სიას;

ზ) იწვევს და თავმჯდომარეობს ბიუროს სხდომებს;

თ) საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების და ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტების მომზადებას და დამტკიცებულ პროგრამათა (ბიუჯეტის) შესრულების მიმდინარეობას;

ი) საერთო კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების მუშაობას;

კ) უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს წევრთა უფლებების დაცვას;

ლ) აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი მოვალეობების შესრულებას;

მ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; დებს და აუქმებს მათთან ხელშეკრულებებს; საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიებში მოწვეულ პირთა საქმიანობას;

ნ) ხელს აწერს საკრებულოს დადგენილებებს, განკარგულებებსა და სხდომის ოქმებს, საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს; წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს და მოქმედებს თვითმმართველი ერთეულის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ახორციელებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ო) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის უფროსს და აპარატის მოსამსახურეებს;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 19. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

1. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, ამ დებულებით დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში

ან მისი თანამდებობიდან გადაყენებისას; ახორციელებს საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიცემულ სხვა დავალებებს.

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იმავდროულად არ შეიძლება იყოს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე.

თავი IV. საკრებულოს ბიურო

მუხლი 20. საკრებულოს ბიუროს შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზების მიზნით საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით იქმნება საკრებულოს ბიურო.

2. საკრებულოს ბიურო:

ა) ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, აგრეთვე საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე;

ბ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას; ამტკიცებს სამუშაო ჯგუფების დებულებებს; საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმებს;

გ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების დასკვნებს, რეკომენდაციებს და წინადადებებს;

დ) კონკურსის წესით შეარჩევს და საკრებულოს წარუდგენს გამგეობლის (მერის) კანდიდატურას;

ე) განიხილავს საკრებულოს კომისიების დასკვნებს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელსაც ირჩევს, ნიმნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;

ვ) ისმენს გამგეობლის (მერის), საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 21. ბიუროს სხდომა

1. საკრებულოს ბიუროს სხდომებს იწვევს და უძღვება საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს ბიუროს სხდომები იმართება თვეში ორჯერ მაინც. ბიუროს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით, კომისიის ან ფრაქციის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. საკრებულოს ბიუროს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ბიუროს წევრთა სრითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე მიიღება ბიუროს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

3. საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მისი წევრის დასწრება სავალდებულოა. საპატიო მიზეზით ბიუროს სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე ხმის იმავე უფლებით შეიძლება შეცვალოს მისმა მოადგილემ, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე – მისმა მოადგილემ ან ფრაქციის წევრმა სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

4. საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს ადგენს საკრებულოს თავმჯდომარე. ბიუროს წევრთა წინადადებით დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები. დღის წესრიგს და მასში ცვლილებების შეტანას ამტკიცებს ბიურო დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

5. საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. ბიუროს გადაწყვეტილებით ცალკეულ საკითხებზე შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.

6. საკრებულოს ბიურო განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით იღებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს, ხოლო ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით – გადაწყვეტილებებს.

მუხლი 22. ბიუროს მუშაობის წესი

1. საკრებულოს ბიუროს სხდომები საჯაროა. ბიუროს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება გამოცხადდეს დახურულად ბიუროს წევრთა სრითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით,

თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გასმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით. ბიუროს დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვს გამგებელს (მერს), აგრეთვე ამ სხდომაზე სპეციალურად მოწვეულ პირებს.

2. ბიუროს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ გამგებელი (მერი), დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეები, საკრებულოს წევრები, საკრებულოს აპარატის უფროსი

3. ბიუროს სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ბიუროს წევრებს, აგრეთვე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილე პირებს. კამათი შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მაშინ, როცა ბიუროს ყველა წევრს მიეცემა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

4. ბიუროს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ბიუროს გადაწყვეტილებას, უფლება აქვს თავისი მოსაზრება შეიტანოს ბიუროს სხდომის ოქმში.

5. საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საკრებულოს ეცნობება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

6. საკრებულოს ბიუროს სხდომის მუშაობაზე ერცელდება საკრებულოს სხდომის მუშაობის წესები.

მუხლი 23. საკრებულოს ბიუროს ოქმი და მისი საქმიანობის უზრუნველყოფა

1. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებები ფორმდება ბიუროს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე. საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმის ასლები ეგზავნება საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს, დროებით სამუშაო ჯგუფებს და გამგებელს (მერს).

2. საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ისა, უფლება აქვს გააუქმოს საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებები ან ცვლილებები შეიტანოს მათში.

3. საკრებულოს ბიუროს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

თავი V. საკრებულოს კომისიები და დროებითი სამუშაო ჯგუფები

მუხლი 24. საკრებულოს კომისიის შექმნა

1. საკრებულოს კომისიები იქმნება საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით.

2. საკრებულოს კომისიები იქმნება საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

3. საკრებულოს კომისიების რაოდენობა, დასახელება და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ დებულებით.

4. საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს ან საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3-ს უფლება აქვთ სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენონ ახალი კომისიის შექმნის, არსებული კომისიის გაუქმების ან კომისიათა გაერთიანების საკითხი. საკრებულოს მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დებულების შესაბამის მუხლში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის გზით, დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის დადგენილი წესით.

5. საკრებულოს კომისიები იქმნება მხოლოდ საკრებულოს წევრთაგან. საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არ შეიძლება იყვნენ საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში.

6. საკრებულოს წევრი, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილისა, ვალდებულია იყოს ერთი, მაგრამ არა უმეტეს ორი კომისიის წევრი.

7. საკრებულოს კომისია იქმნება საკრებულოს არა ნაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს საკრებულოს სხვა კომისიის თავმჯდომარეც.

8. საკრებულოს კომისიის შემადგენლობას და მასში ცვლილებების შეტანას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო. საკრებულოს კომისია იქმნება საკრებულოს ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის დაცვით.

მუხლი 25. საკრებულოს კომისიები

1. საკრებულოს კომისიებია:

ა) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

დ) ეკონომიკურ საკითხთა კომისია;

ე) აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისია;

ვ) სოციალურ საკითხთა კომისია;

ზ) ინფრასტრუქტურის კომისია.

2. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნათა დაცვას; ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს წევრის იმუნიტეტის, უფლებამოსილების შეწყვეტის და უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ.

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განიხილავს გამგებლის (მერის) მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს; შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს საკრებულოს; წინასწარ განიხილავს და დასკვნას აძლევს საკრებულოში განსახილველად შემოტანილ საფინანსო ხასიათის პროექტებს. აკონტროლებს შემოსავლების ამოღების ღროულობას და მათ აღრიცხვას, ხარჯების კანონიერებასა და ადგილობრივ ბიუჯეტთან მათ შესაბამისობას; ამ მიზნით კომისია სამ თვეში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს, ხოლო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებისას საკრებულოს წარუდგენს შემოწმების წლიურ ანგარიშს.

4. ეკონომიკურ საკითხთა კომისია განიხილავს გამგებლის (მერის) მიერ წარმოდგენილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს; შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს და დასკვნას წარუდგენს საკრებულოს განსახილველად; წინასწარ განიხილავს და დასკვნას აძლევს საკრებულოში განსახილველად შემოტანილ ეკონომიკური ხასიათის პროექტებს.

5. აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისია განიხილავს მიწათსარგებლობის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და გარემოს დაცვის საკითხებზე შემოტანილ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებსა და დასკვნებს.

6. სოციალურ საკითხთა კომისია განიხილავს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, მოსახლეობის სოციალური დაცვის და დასაქმების საკითხებზე შემოტანილ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებსა და დასკვნებს.

7. ინფრასტრუქტურის კომისია განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და შესაბამისი სამსახურების შექმნისა და მართვის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ტურიზმისა და რეკრეაციის საკითხებზე შემოტანილ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებსა და დასკვნებს.

მუხლი 26. საკრებულოს კომისიათა უფლებამოსილება

1. საკრებულოს კომისია:

ა) სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს და წარუდგენს მათ საკრებულოს ბიუროს;

ბ) წინასწარ განიხილავს საკრებულოში შემოტანილ, მის სფეროს მიკუთვნებულ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს; ამზადებს დასკვნებს და მონაწილეობს მათ განხილვაში;

გ) ისმენს საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

დ) განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო და დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს;

ე) განიხილავს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ბიუჯეტის პროექტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;

ვ) აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

ზ) ასორციელებს სხვა უფლებამოსილებებს საკრებულოს დავალებით.

2. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

2. საკრებულოს კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს და კომისიის სამუშაო გეგმებს ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 27. კომისიის თავმჯდომარე და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

1. კომისიის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ირჩევს საკრებულო, ხოლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს – შესაბამისი კომისია თავისი შემადგენლობიდან. კომისიის თავმჯდომარის და კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და გადარჩევა ხდება ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას;

ბ) არის კომისიის წარმომადგენელი, გამოდის კომისიის სახელით საკრებულოში და მის ფარგლებს გარეთ;

გ) აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს;

დ) კომისიის სხდომაში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს;

ე) აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ვ) საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ზ) ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და კომისიის სხდომის ოქმებს;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში; კომისიის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 28. კომისიის სხდომა

1. საკრებულოს კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ არჩეულია კომისიის თავმჯდომარე და კომისიის სამი წევრი მაინც.

2. საკრებულოს კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებულ შემთხვევებში – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის სხდომები იმართება დადგენილი გრაფიკის მიხედვით, თვეში ერთხელ მაინც, კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად.

3. კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საკრებულოს თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის წევრთა 1/3-ის ინიციატივით. საკრებულოს სხდომების დროს კომისია შეიძლება შეიკრიბოს საკრებულოს დავალებით, ცალკეულ საკითხთა სასწრაფოდ განხილვის მიზნით.

4. კომისიის სხდომის დღის წესრიგს აგენს კომისიის თავმჯდომარე გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომისია წინასწარ მიიღებს გადაწყვეტილებას დღის წესრიგის შესახებ. კომისიის წევრთა წინადადებით დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები. დღის წესრიგს და მასში ცვლილებების შეტანას ამტკიცებს კომისია დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

5. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს ბიუროს ან შესამაბისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს კომისიების ერთობლივი სხდომა.

მუხლი 29. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება

1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. თუ საკითხს რამდენიმე კომისია იხილავს, ერთობლივ სხდომაზე კენჭისყრა თითოეული კომისიისათვის ცალ-ცალკე ტარდება.

2. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. კომისიის გადაწყვეტილებით ცალკეულ საკითხზე შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.

2. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით იღებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს, ხოლო ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით – გადაწყვეტილებებს.

მუხლი 30. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის სხდომა საჯაროა. კომისის სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება გამოცხადდეს დახურულად კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თუ

სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გასმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

2. კომისიის დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს, გამგებელს (მერს), კომისიაში სამუშაოდ მოწვეულ, აგრეთვე ამ სხდომაზე სპეციალურად მოწვეულ პირებს.

3. კომისიას უფლება აქვს მის მიერ განსახილველი საკითხების მოსამზადებლად გამგეობის (მერიის) შესაბამისი სამსახურების, სამეცნიერო დაწესებულებების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან კონკრეტულ საკითხთა მოსამზადებელად შექმნას კომისიის სამუშაო ჯგუფები.

4. კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვისას წინადადებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ კომისიის წევრებს. წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ კენჭისყრაზე შეიძლება დადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომისიაში შემავალი ყველა ფრაქციის წარმომადგენელს აზრის გამოთქმის მესაძლებლობა მიეცემა.

5. კომისიებმა მათთვის განსახილველად გადაცემული ნორმატიული აქტის პროექტებზე მოხსენება უნდა წარადგინონ საკრებულოს მიერ დაწესებულ ვადაში. თუ ვადა დაწესებული არ არის, კომისი-ისათვის ნორმატიული აქტის პროექტის გადაცემიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ კომისია ვალდებულია საკრებულოს სხდომაზე გამოვიდეს მოხსენებით აღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ.

6. თუ კომისიაში გადაცემული რამდენიმე პროექტი ეხება ერთსა და იმავე საკითხს, კომისია წყვეტს, რომელ მათგანს გაუწიოს რეკომენდაცია როგორც ძირითად პროექტს. დანარჩენ ნორმატიული აქტის პროექტებზე ცალკე გადაწყვეტილების გამოტანა არ ხდება. თუ კომისიაში ერთ-ერთი წევრი მაინც მოითხოვს სხვა რომელიმე ნორმატიული აქტის პროექტის ძირითად პროექტად მიჩნევას, საკითხი წყდება კენჭისყრით.

7. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს თავისი მოსაზრება შეიტანოს კომისიის სხდომის ოქმში და საკრებულოს სხდომაზე მოითხოვოს მისი გაცნობა ან თანამომხსენებლად გამოსვლა. კომისიის წევრის ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

8. საკრებულოს სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე კომისიის დასკვნის გამოსატანად ნიშნავს ერთ ან რამდენიმე მომხსენებელს.

9. კომისიის მოხსენებები საკრებულოს ბიუროს წარედგინება წერილობითი სახით. მოხსენებაში აღნიშნული უნდა იყოს კომისიის დასკვნა შესაბამის საკითხზე და ამ საკითხის გადაჭრის რეკომენდაცია. მოხსენებაში აღინიშნება კომისიის წევრთა უმცირესობის აზრიც და ამ საკითხზე კომისიის თვალსაზრისი.

10. თუ კომისიის მუშაობის წესი არ ითვალისწინებს განსხვავებებს, კომისიის სხდომის მუშაობაზე ვრცელდება საკრებულოს სხდომის მუშაობის წესები.

მუხლი 31. კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფა

1. კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

2. კომისიასთან კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო საბჭოები. საბჭოების შემადგენლობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს კომისია. საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე. საკონსულტაციო საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს საკრებულოს კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს კომისიისა და საკონსულტაციო საბჭოს (საბჭოების) ერთობლივი სხდომა.

3. კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად საკრებულოს ბიუროს მიერ განსაზღვრული კვოტების ფარგლებში, კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს თავმჯდომარე არა უმეტეს 6 თვის ვადით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე კომისიაში სამუშაოდ იწვევს ექსპერტ-კონსულტანტებს.

მუხლი 32. კომისიის სხდომის ოქმი

კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის დღის წესრიგის საკითხები, ყველა წამოყენებული წინადადება, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის სხდომათა ოქმები გადაეცემა საკრებულოს თავმჯდომარეს. სხდომათა ოქმს თან უნდა დაერთოს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა და სხდომაში მონაწილე სხვა პირთა სია.

მუხლი 33. საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი

1. საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფები იქმნება:

ა) ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით;

ბ) საკრებულოს მიერ განსახილველ საკითხზე წარმოშობილ აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრისა და ფრაქციების პოზიციების შეჯერების მიზნით (ინტერფრაქციული ჯგუფი).

3. საკრებულოს გადაწყვეტილებაში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ მითითებული უნდა იყოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი, გამოსაკვლევ საკითხთა წრე, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და წევრთა რაოდენობა.

4. დროებითი სამუშაო ჯგუფი იქმნება მხოლოდ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და უქმდება ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით და შემთხვევებში.

5. დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულებას შეიმუშავებს დროებითი სამუშაო ჯგუფი და ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

6. საკრებულოს შეუძლია დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებისა და საკითხის შესწავლის შეწყვეტის ან დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის შეცვლის შესახებ.

7. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

8. უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დროებითი სამუშაო ჯგუფი ვალდებულია წარმოადგინოს გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა განსახილველ საკითხზე. საკრებულო უახლოეს სხდომაზე ისმენს დროებითი სამუშაო ჯგუფის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ საკრებულო უფლებამოსილებას შეუწყვეტს დროებით სამუშაო ჯგუფს, ამასთან, საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით საკრებულო უფლებამოსილია ამ დებულებით დადგენილი წესით იმავე საკითხზე შექმნას ახალი დროებითი სამუშაო ჯგუფი ძველი ჯგუფისგან განსხვავებული (არა ნაკლებ 1/3-ით) შემადგენლობით.

9. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს და თავმჯდომარეს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო, ხოლო ინტერფრაქციული დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს ირჩევენ საკრებულოს შესაბამისი ფრაქციები თანაბარი წარმომადგენლობით. ინტერ-ფრაქციული დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება იყოს საკრებულოს თავმჯდომარე.

10. დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და გაღარჩევა, დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩატარების, სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების, ჯგუფის მუშაობის, მისი საქმიანობის უზრუნველყოფისა და ოქმის შედგენის წესი განისაზღვრება ამ დებულებით (რეგლამენტით) საკრებულოს კომისიისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 34. საკრებულოს ფრაქციის დაფუძნება და რეგისტრაცია

1. საკრებულოს ფრაქცია წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება საკრებულოში მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

2. ერთი პარტიის წევრებმა შეიძლება შექმნან მხოლოდ ერთი ფრაქცია. პარტიის წევრს, თუ მისი პარტიის წევრებმა შექმნეს ფრაქცია, უფლება არ აქვს შევიდეს სხვა ფრაქციაში.

3. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

4. საკრებულოს ფრაქციაში არ უნდა იყოს საკრებულოს იმ სამ წევრზე ნაკლები, რომელთა უფლებამოსილება ცნობილია საკრებულოს მიერ.

5. ფრაქციათა შექმნის საფუძველია საკრებულოს წევრთა პარტიულობა და პოლიტიკური შეხედულებანი. დაუშვებელია ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო ნიშნით (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ფრაქციებად გაერთიანება. ფრაქციას აქვს სახელწოდება.

6. ფრაქციას უნდა გააჩნდეს წესდება, რომელშიც განისაზღვრება ფრაქციის შექმნისა და მის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესი, ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევის წესი და კომპეტენცია, ფრაქციის წევრთა უფლებამოსილება, ფრაქციის მიზნები და ამოცანები, წესდების მიღებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა.

7. საკრებულოს წევრს უფლება აქვს ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით გაერთიანდეს ფრაქციაში ან ნებისმიერ დროს, არგუმენტირებული მოტივის გარეშე გავიდეს ფრაქციიდან.

ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით მიიღოს ახალი წევრი ფრაქციაში ან ფრაქციიდან გარიცხოს წევრი.

8. ფრაქციებს რეგისტრაციაში აგარებს საკრებულოს ბიურო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის წარდგინებით. ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭიროა ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა წერილობითი განცხადება. ფრაქციის წევრთა რაოდენობრივი ცვლილებები დაუყოვნებლივ ეცნობება სამანდატო კომისიას.

9. საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუს იძენს მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

10. ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელიც ფრაქციის რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიას. განცხადებაში აღინიშნება ფრაქციის სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, ფრაქციის სხვა თანამდებობის პირთა და ფრაქციის წევრთა ვინაობა. განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს ფრაქციის ყველა წევრის მიერ. განცხადებას თან უნდა დაერთოს ფრაქციის მიერ მიღებული ფრაქციის წესდება.

11. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს დაუყოვნებლივ განიხილავს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია (ხოლო მუდმივი კომისიის შექმნამდე – დროებითი სამანდატო კომისია) და დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს (საკრებულოს ბიუროს ფორმირებამდე, საკრებულოს თავმჯდომარეს). საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნის წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს სხდომას ფრაქციის დაფუძნების შესახებ. საკრებულო საკრებულოს თავმჯდომარის ამ განცხადებას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. მოგვიანებით დაფუძნებული ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად, თუ საკრებულოს ბიურო არ მიიღებს უარყოფით მოტივირებულ გადაწყვეტილებას. ფრაქციას უფლება აქვს საკრებულოს ბიუროს ამ გადაწყვეტილების მარ-თლზომიერების საკითხი დასვას საკრებულოს სხდომაზე. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს საკრებულოს სხდომა განიხილავს რიგგარეშე და გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ისა.

12. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის წესდების ცვლილების, ფრაქციის თანამდებობის პირთა შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხებისა და ეთიკის კომისიას. თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს 3 წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხებისა და ეთიკის კომისია უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

მუხლი 35. საკრებულოს ფრაქციის უფლებები

1. საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს:

ა) გამოხატოს და გააგაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციების კოალიციასთან ან სხვა ფრაქციასთან გაერთიანების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის წესდებასა და დეკლარაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

დ) მიიღოს ფრაქციის წესდება და ცვლილებები შეიტანოს მასში; ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე;

ვ) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;

ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების გამოყენების საკითხები;

თ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს ნორმატიული აქტების პროექტები;

ი) საკრებულოს ყველა კომისიასა და დროებით სამუშაო ჯგუფში შეიყვანოს ფრაქციის ერთი წევრი მაინც;

კ) მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;

ლ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს მიერ შექმნილ ორგანოებს და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

მ) საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავის მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევი, დასანიშნი, დასამტკიცებელი ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;

ნ) წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის თითოსაათიანი მოხსენება;

ო) გამოაქვეყნოს საკუთარი მოსაზრებები და მიმართავს საკრებულოს საინფორმაციო სამუალებებში;

პ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი, გარდა საკრებულოს კომისიის ან დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარისა, ფრაქციის გადაწყვეტილებით წყვეტს საქმიანობას საკრებულოს ორგანოებში მისი ფრაქციიდან გარიცხვის, გასვლის ან ფრაქციის მიერ ამ ორგანოებიდან მისი გამოწვევის შემთხვევაში. ფრაქციას ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს მის მიერ წარდგენილი წევრი ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც წერილობით აცნობებს შესაბამისი კომისიის (დროებითი სამუშაო ჯგუფის) თავმჯდომარეს.

3. ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა საკრებულოს კომისიებში და დროებით სამუშაო ჯგუფებში (გარდა ინტერფრაქციული ჯგუფისა) განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობის პროპორციულად. ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს აგენს საკრებულოს ბიურო. ფრაქციას უფლება აქვს საკრებულოს ბიუროს ამ გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხი დასვას საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოს სხდომა ამ საკითხს განიხილავს რიგგარეშე და იღებს გადაწყვეტილებას სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3-ისა.

4. ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობის შეცვლის შემთხვევაში, საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.

5. ფრაქციის წარმომადგენელს საკრებულოს სხდომაზე გააჩნია სიტყვით გამოსვლის უპირატესი რიგითობა ფრაქციისგარეშე წევრთან შედარებით.

მუხლი 36. ფრაქციის თანამდებობის პირები და საქმიანობის ორგანიზაცია

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

2. ფრაქციის სხდომის პერიოდულობა, სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

3. ფრაქციის სელმძღვანელია ფრაქციის თავმჯდომარე. ფრაქციის თავმჯდომარის და ფრაქციის სხვა თანამდებობის პირების (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის, ფრაქციის მდივნის და სხვ.) უფლებამოსილების, არჩევის, გადარჩევის და ფრაქციის შიდაორგანიზაციული მუშაობის საკითხები განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

4. ფრაქციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს ხელს აწერს ფრაქციის თავმჯდომარე.

მუხლი 37. ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფა

1. საკრებულოს ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული საკრებულოს სარჯებიდან ფრაქციას გამოეყოფა შესაბამისი თანხა; ფრაქციას საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამოეყოფა შესაბამისი ადგილი, ხოლო საკრებულოს შენობაში – სამუშაო ფართი.

2. ფრაქციისათვის თანხის, სხდომათა დარბაზში ადგილისა და სამუშაო ფართის გამოყოფა ხდება ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა პროპორციულად.

3. გამოყოფილი თანხის ფარგლებში ფრაქციას უფლება აქვს აიყვანოს ფრაქციის თანამშრომელი (თანამშრომლები). ფრაქციის თანამშრომელს (თანამშრომლებს) ეადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ფრაქციის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 38. ფრაქციათა კოალიცია

1. ფრაქციებს ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შეუძლიათ შექმნან ფრაქციათა კოალიცია.

2. ფრაქციათა კოალიციას შეიძლება გააჩნდეს წესდება და ერთობლივი საკოორდინაციო ორგანო, რომლის უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება კოალიციის წესდებით.

3. ფრაქციას ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანდეს კოალიციაში ან გავიდეს კოალიციიდან.

4. ფრაქციის ყოფნა ან არყოფნა კოალიციაში გაელენას არ ახდენს მის წარმომადგენლობით კვოტაზე.

თავი VI. საკრებულოს სხდომა

მუხლი 39. საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა

1. ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

2. განცხადება საკრებულოს პირველი სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთებში, მასობრივი ინფორმაციის სხვა სამუალებებში ან სხვა წესით ეცნობებათ საკრებულოს წევრებს სხდომის ჩატარებამდე ორი დღით ადრე მაინც.

მუხლი 40. საკრებულოს პირველი სხდომის გახსნა

1. ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახლადარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული საკრებულოს წევრის დროებითი მოწმობის საფუძველზე ახორციელებს საკრებულოს აპარატი. სხდომაზე დასწრებას საკრებულოს წევრები ადასტურებენ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელის მოწერით.

2. საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს საკრებულოს უხუცესი (სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთაგან ასაკით უფროსი) წევრი.

3. საკრებულოს სხდომის დროებითი თავმჯდომარე საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე წარმართავს საკრებულოს სხდომებს, ხელმძღვანელობს საკრებულოს სხდომის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, ხელს აწერს საკრებულოს სხდომის ოქმს.

4. საკრებულოს პირველი სხდომა საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა;

გ) დროებითი ხმისდამთელელი კომისიის არჩევა;

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დამტკიცება.

მუხლი 41. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება

1. ახლადარჩეული საკრებულო ისმენს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებას არჩევნების შედეგების, არჩევნების ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების მოსმენის შემდეგ საკრებულო ირჩევს დროებით ხმისდამთელელ კომისიას და დროებით სამანდატო კომისიას.

მუხლი 42. საკრებულოს დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის არჩევა

1. საკრებულო სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა ღია კენჭისყრით, სამი წევრის შემადგენლობით, ირჩევს დროებით ხმისდამთელელ კომისიას, რომელიც თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით, ირჩევს დროებითი კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.

2. დროებითი ხმისდამთელელი კომისია ხელმძღვანელობს ბიულეტენების მომზადების, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს, თვალყურს ადევნებს ხმის მიცემის პროცესს და ითვლის ხმებს ღია და ფარული კენჭისყრის დროს.

3. დროებითი ხმისდამთელელი კომისია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკრებულოს მიერ შესაბამისი ფუნქციის მუდმივი კომისიის არჩევამდე.

მუხლი 43. საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა

1. საკრებულო სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა ღია კენჭისყრით, სამი წევრის შემადგენლობით, ირჩევს დროებით სამანდატო კომისიას, რომელიც თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით, ირჩევს დროებითი კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.

2. დროებითი სამანდატო კომისია განიხილავს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების საკითხებს.

3. დროებითი სამანდატო კომისია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკრებულოს მიერ შესაბამისი მუდმივი კომისიის არჩევამდე.

მუხლი 44. საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა

1. საკრებულოს დროებითი ხმისდამთელელი კომისიის და დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დროებით სამანდატო კომისიას გადასცემს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩიერების თაობაზე, განცხადებები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოელენილი ფაქტების შესახებ და სხვ.), რის შემდეგადაც ცხადდება მესვენება. მესვენების დროს ცალკე ოთახში იკრიბება დროებითი სამანდატო კომისია, რომელიც საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით ამოწმებს არჩევნების ჩატარების სისწორეს და შესაბამის დასკვნას მოახსენებს საკრებულოს.

2. საკრებულო დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შესაბამისად საკრებულოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, იღებს დადგენილებას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე სამანდატო დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიის მიხედვით.

3. საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე დადგენილებაში არ შეიტანება იმ პირის გვარი, რომლის არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია სასამართლოში ან რომლის არჩევის კანონიერება სამანდატო დროებითმა კომისიამ საეჭვოდ მიიჩნია. იმ პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რომლის არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია სასამართლოში, საკრებულო განიხილავს, თუ სასამართლომ იგი არჩეულად გამოაცხადა. ხოლო იმ პირის საკითხს, რომლის არჩევის კანონიერება დროებითმა სამანდატო კომისიამ საეჭვოდ მიიჩნია, საკრებულო განიხილავს დროებითი სამანდატო კომისიის მიერ მოწყობილი მოკვლევის შედეგად წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს რიგგარეშე, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. ახლადარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს მიერ ცნობილ იქნა საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება. ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.

5. თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილება ცნო საკრებულომ, საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლებია, საკრებულოს სხდომა წყდება და იგი განახლდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოწვევით იმ დღიდან 10 დღის განმავლობაში, როდესაც დროებითი სამანდატო კომისიის მიერ მოკვლევის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდება საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია საკრებულოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის შესავსებად.

6. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა საკრებულოს წევრთა შესაბამისი რაოდენობის უფლებამოსილების ცნობა, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ინიშნება ხელახალი არჩევნები "საქართველოს საარჩევნო კოდექსით" დადგენილი წესით.

მუხლი 45. საკრებულოს პირველი მოწვევის სხდომებზე განსახილველი საკითხები

1. უფლებამოსილების ცნობის შემდეგ საკრებულოს პირველი მოწვევის სხდომებზე საკითხები განიხილება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

გ) საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს დებულების დამტკიცება;

ე) საკრებულოს დებულების შესაბამისად საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა;

ვ) საკრებულოს აპარატის სტრუქტურისა და დებულების დამტკიცება.

2. საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე საკრებულოს წევრები საკრებულოს დროებით სამანდატო კომისიას წარუდგენენ სათანადო განცხადებასა და დოკუმენტაციას ფრაქციების შექმნის თაობაზე. დროებითი სამანდატო კომისია დასკვნას ფრაქციების შექმნის შესახებ წარუდგენს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გააცნოს სხდომას წარმოდგენილი დასკვნა. დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნას საკრებულო იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე.

3. ფრაქციების შექმნისთანავე საკრებულოს აპარატი შეიმუშავებს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს და გადასცემს დროებით სამანდატო კომისიას. დროებითი სამანდატო კომისია განიხილავს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს. საკრებულო კვოტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს განკარგულების სახით.

2. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომაზე შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკრებულოს ფრაქციების დაფუძნება და რეგისტრაცია. თუ საკრებულოს თავმჯდომარის ხელახალმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, საკრებულოს სხდომა გადაიდება ერთი კვირით. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებს საკრებულოს უხუცესი წევრი, ისე, რომ იგი არ წყვეტს სამეწარმეო ან სამსახურებრივ საქმიანობას.

მუხლი 46. საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევა

1. საკრებულოს მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც, როგორც წესი, ყოველი თვის პირველ ორშაბათს, ხოლო თუ ორშაბათი არასამუშაო დღეა – მომდევნო სამუშაო დღეს. მორიგი სესია არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას, თუ არ იცვლება მისი თარიღი და ჩატარების ადგილი.

2. საკრებულოს წევრებს სხდომის დაწყებამდე ორი დღით ადრე მაინც უნდა ეცნობოს საკრებულოს სხდომის ჩატარების ადგილი, დაწყებისა და დამთავრების თარიღი, დრო და საეარაუდო დღის წესრიგი. საკრებულოს წევრი საკრებულოს მორიგ სხდომაზე ვალდებულია გამოცხადდეს სპეციალური მოწვევის გარეშე.

3. საკრებულო უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით გააგრძელოს, ხოლო დღის წესრიგის საკითხების ამოწურვის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომების ვადამდე დამთავრების ან შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 47. საკრებულოს გამსვლელი სხდომა

1. საკრებულოს სხდომა, როგორც წესი, ტარდება საკრებულოს სხდომის დარბაზში. იმ საკითხების განხილვის მიზნით, რომლებიც შეეხება თვითმმართველ ერთეულში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს, აგრეთვე საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, შეიძლება ჩატარდეს საკრებულოს გამსვლელი სხდომა (სხდომები) თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში.

2. საკრებულოს გამსვლელი სხდომის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო საკრებულოს სხდომაზე ან საკრებულოს ბიურო საკრებულოს მორიგ სხდომებს შორის პერიოდში:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნით;

ბ) საკრებულოს ფრაქციის მოთხოვნით;

გ) თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 3%-ის მოთხოვნით.

3. საკრებულოს გამსველელი სხდომების ჩატარების უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნულ გამგეობის (მერიის) რწმუნებულთან ერთად.

მუხლი 48. საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

2. საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით საკრებულოს აპარატი:

ა) უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის და სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების და სხვა საჭირო ინფორმაციის მომზადებას, გამრავლებას და საკრებულოს წევრებისათვის მათ დროულ მიწოდებას;

ბ) ადგენს მოწვეულ პირთა სიას და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს ამ პირთა გაფრთხილებას;

გ) ახორციელებს საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას;

დ) ეხმარება საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის ოქმის შედგენას, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაფორმებას, გამოქვეყნებას და დაგზავნას.

მუხლი 49. საკრებულოს საქმიანობის დაგეგმვა

1. საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მისედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის პირველ სხდომაზე მეიტანება საკითხი მიმდინარე კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ.

2. საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე.

3. საკრებულოს კვარტალური გეგმიდან გამომდინარე საკრებულოს ბიურო საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების და ფრაქციების წარმომადგენელთა, აგრეთვე გამგებლის (მერის) წინადადებების გათვალისწინებით განსაზღვრავს ყოველთვიური სხდომის დღის წესრიგს. დღის წესრიგში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკრებულოს სხდომაზე ყოველი საკითხის განხილვისათვის განკუთვნილი დრო.

4. საკრებულოს თავმჯდომარე ყოველთვიური (ყოველი მორიგი) სხდომის გახსნისას საკრებულოს მოახსენებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს და მათ თანმიმდევრობას. საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგის საკითხების გადაადგილების ან ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხების ან ერთგვაროვან საკითხებზე კამათის გაერთიანების შესახებ. ამ მიზნით საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს წევრებს აძლევს სამწუთიან სიტყვას.

5. საკრებულოს კომისიას, დროებით სამუშაო ჯგუფს და საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვთ მოითხოვონ დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა ან დღის წესრიგიდან საკითხის ამოღება. ამ საკითხებზე საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის ან ფრაქციის წარმომადგენელს აძლევს ხუთწუთიან სიტყვას. საკრებულოს კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის და ფრაქციის წარმომადგენლის არგუმენტაციის მოსმენის შემდეგ საკრებულო კამათის გარეშე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

6. საკრებულო სხდომაზე რიგგარეშე განიხილავს:

ა) გამგებლის (მერის) მიერ შემოტანილ საკითხს;

ბ) ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფინანსურ საკითხებს;

გ) საკრებულოს დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხს;

დ) საკითხს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესახებ;

ე) უნდობლობის გამოცხადების საკითხს;

ვ) პერსონალურ საკითხებს;

8) საკითხს, რომელიც მიიღება ცნობის ფორმით.

7. საკრებულოს წევრს უფლება აქვს მოითხოვოს განცხადების გაკეთება ისეთ საკითხზე, რომელიც არ შეეხება სხდომის დღის წესრიგს. ასეთი განცხადებისათვის თავმჯდომარე საკრებულოს წევრს სიტყვას აძლევს შესვენების წინ ან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ. კამათი ასეთ განცხადებებთან დაკავშირებით არ იმართება.

8. დღის წესრიგის საკითხები, რომელთა განხილვაც ვერ მოესწრო საკრებულოს მორიგ სხდომაზე, ავტომატურად გადადის შემდგომი თვის სხდომის დღის წესრიგში იმავე თანმიმდევრობით.

მუხლი 50. საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა

1. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით;

ბ) გამგებლის (მერის) წინადადებით;

გ) საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

დ) საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;

ე) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 3%-ის მოთხოვნით.

2. რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნა წერილობითი ფორმით გადაეცემა საკრებულოს თავმჯდომარეს. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთებას, დღის წესრიგს და რიგგარეშე სხდომის ჩატარების თარიღს.

3. საკრებულოს თავმჯდომარე მოთხოვნის წარდგენიდან სამი დღის ვადაში ამ დებულებით დადგენილი წესით აქვეყნებს ცნობას რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ და მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იწვევს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ან მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან სამი დღის ვადაში აქვეყნებს მოტივირებულ უარყოფით პასუხს.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის მოუწვეველობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის თავზე. თუ საკრებულოს თავმჯდომარე ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნებს პასუხს, საკრებულოს აპარატის უფროსი ვალდებულია მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან მეოთხე დღეს გამოაქვეყნოს ცნობა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ და უზრუნველყოს საკრებულოს წევრთა გაფრთხილება. საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს დამსწრე წევრთაგან უხუცესი.

5. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა განიხილავს მხოლოდ რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს. რიგგარეშე სხდომა იხურება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვისთანავე.

6. რიგგარეშე სხდომა უნდა დამთავრდეს მორიგი სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი დღისა. საკრებულოს შეუძლია მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხი (საკითხები), რომლის (რომელთა) განხილვაც ვერ დაასრულა რიგგარეშე სხდომამ.

მუხლი 51. საკრებულოს სხდომის დაწყება

1. საკრებულოს სხდომა იწყება საკრებულოს წევრთა რეგისტრაციით. საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია იწყება სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. საკრებულოს წევრთა ხელახალი რეგისტრაცია ტარდება კენჭისყრის დაწყების წინ.

2. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია დაიწყოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, თუ სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3 მაინც. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარი მაინც.

მუხლი 52. საკრებულოს სხდომაზე სხდომის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი

1. საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში ან მისი დავალებით საკრებულოს სხდომას წარმართავს საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე. საკრებულოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უძღვება სხდომაზე დამსწრე საკრებულოს უხუცესი (ასაკით უფროსი) წევრი.

2. საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე:

ა) აუწყებს საკრებულოს წევრებს საკრებულოს სხდომის გახსნასა და დახურვას;

ბ) უძღვება საკითხების განხილვას;

გ) უზრუნველყოფს ამ დებულების (რეგლამენტის) დაცვას;

დ) ამ დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრული წესით ადგენს კამათში მონაწილეთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

ე) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ვ) ამ დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებულ შემთხვევებში სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, აფრთხილებს ოქმში შეტანით ან ოქმში შეტანის გარეშე, სხდომათა დარბაზს აგოვებინებს საკრებულოს წევრს ან სხდომაზე დამსწრე სხვა პირს;

ზ) ამ დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს სხდომას ან აცხადებს რიგგარეშე შესვენებას ან სხდომას გადადებს მეორე დღისათვის;

თ) საჭიროების შემთხვევაში კენჭს უყრის საკითხს კამათის შეწყვეტისა და მხარეთა მონაწილეობით შემთანხმებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის ან საკონსულტაციო შეხვედრის გამართვის შესახებ;

ი) კენჭისყრაზე დასაყენებელი ვარიანტების სიმრავლის დროს (სამი და მეტი) მათი ორამდე დაყვანის მიზნით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, აწყობს სარეიტინგო კენჭისყრას, თავაზობს ავტორებს ნაკლებად მისაღები წინადადებების მოხსნას;

კ) ხელს აწერს საკრებულოს სხდომის ოქმს და საოქმო გადაწყვეტილებებს.

3. საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე მოვალეა:

ა) უზრუნველყოს ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვა;

ბ) ხელი შეუწყოს ამრის თავისუფალ გამოხატვას და საკითხის სრულყოფილ, ყოველმხრივ განხილვას;

გ) არ გაუკეთოს კომენტარი საკრებულოს წევრის გამოსვლას, არ შეაფასოს საკრებულოს წევრის გამოსვლა; არ უპასუხოს შეკითხვას თუ კითხვა უშუალოდ მას არ დაუსვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საკრებულოს წევრი არღვევს ამ დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნებს;

დ) საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში თავისი უფლებამოსილება გადააბაროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და მხოლოდ ამ საკითხზე კენჭისყრის შემდეგ დაუბრუნდეს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე განსახილველ საკითხზე საკრებულოს შესთავაზებს გადაწყვეტილების საკუთარ ვარიანტს, ეს ვარიანტი კენჭისყრაზე დგება ბოლოს.

მუხლი 53. საკრებულოს სხდომის განრიგი

1. საკრებულოს სხდომა იწყება დილის 10 საათზე და მთავრდება 18 საათზე. სხდომები მიმდინარეობს შემდეგი განრიგით:

ა) დილის სხდომა - 10.00-დან 13.00-მდე;

ბ) საღამოს სხდომა - 15.00-დან 18.00-მდე.

გ) შესვენებები: 11.30-დან 11.45-მდე; 13.00-დან 15.00-მდე; 16.30-დან 17.00-მდე.

2. საკრებულოს სხდომა საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ 21 საათამდე.

3. კენჭისყრები ეწყობა ყოველი სხდომის დღის ბოლოს.

4. საკრებულოს მორიგი სხდომის ბოლო დღის პირველ ნახევარში გამგებლის (მერის) და გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირებთან ერთად იმართება საკრებულოს "ღია კარის" სხდომა თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მონაწილეობით, ხოლო დღის მეორე ნახევარში საკრებულო ისმენს გამგებლის (მერის) და გამგეობის (მერიის) სამსახურების ინფორმაციებს მათი საქმიანობის შესახებ.

5. საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს ცვლილებები შეაქვს სხდომის განრიგში.

მუხლი 54. საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხები

საკრებულოს დადგენილების და განკარგულების პროექტები განიხილება საკრებულოს სხდომაზე თუ იგი შეტანილია მესაბამისი სხდომის დღის წესრიგში. მიმართვები და განცხადებები განიხილება დღის წესრიგში გათვალისწინებულ "სხვადასხვა საკითხებში", რისთვისაც საკრებულოს სხდომის ბოლოს გამოიყოფა 30 წუთი.

მუხლი 55. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხზე გადასვლის წესი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხზე გადასელა ან დაბრუნება იმ საკითხზე, რომელზეც არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ხდება თავმჯდომარის წინადადებით ღია კენჭისყრით ან კენჭისყრის გარეშე, თუ საკრებულოს არცერთი წევრი არ არის წინააღმდეგი.

მუხლი 56. საკითხის საჯარო განხილვა

1. საკრებულოს მიერ გადასაწყვეტ ცალკეულ საკითხზე შეიძლება მოეწყოს საჯარო განხილვა.
2. საჯარო განხილვის მოწყობის საფუძველია:
ა) საკრებულოს დადგენილება;
ბ) საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილება;
გ) თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 3%-ის მოთხოვნა.
3. საჯარო განხილვის დროს საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი, აგრეთვე ყველა ალტერნატიული პროექტი თუ წინადადება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით საკრებულოს სხდომის დაწყებამდე 10 დღით ადრე მაინც.
4. საჯარო განხილვის სხდომაზე გასაგან საკითხზე, გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნებიდან 10 დღის ეადაში, თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ორგანიზაციებს და მოქალაქეთა ჯგუფებს უფლება აქვთ საკრებულოს აპარატს მიაწოდონ თავიანთი წინადადებები და გამოყონ მომხსენებელი საკრებულოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად. საკრებულოს აპარატი ახორციელებს შემოსული წერილების სისტემატიზაციას, წინადადებების ინიციატორებთან შეთანხმებით ახორციელებს ერთგვაროვანი წინადადებების გაერთიანებას და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველის, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილ საკრებულოს სხდომაზე გამომსელელთა სიას.
5. საკრებულოს საჯარო განხილვის სხდომა იწყება თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების და მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენელთა გამოსვლით ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი სიტყვით გამოსვლის წესის შესაბამისად.

მუხლი 57. საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვის ზოგადი წესი

1. საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება ამ საკითხის წარმომდგენი პირის ან საკითხის წარმომდგენი ორგანოს მიერ დანიშნული პირის მოხსენებით. მომხსენებელი სხდომას მოახსენებს, თუ რომელი შენიშვნა (ავტორის დასახელებით) იქნა პროექტთან დაკავშირებით გათვალისწინებული, რომელი არა და რატომ. საკრებულოს შესაბამისი კომისია ვალდებულია წინასწარ განიხილოს სხდომაზე შემოტანილი საკითხი, სხდომაზე გამოვიდეს მომხსენებლის ან თანამომხსენებლის სახით და გამოხატოს კომისიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.
2. მოხსენების მოსმენის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს წევრებს აძლევს უფლებას საკითხთან დაკავშირებით კითხვებით მიმართონ მომხსენებელს (მომხსენებლებს). მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ თავმჯდომარე მოვალეა გამოაცხადოს დებატების დაწყება, თუ შესაბამის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ ხდება მსჯელობის გარეშე.
3. გამომსელელთა სიის ამოწურვის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ არავინ ითხოვს სიტყვას, თავმჯდომარე დებატებს დახურულად აცხადებს. დებატების შეწყვეტა შეიძლება მოხდეს საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს წევრის წინადადებით, თუ მოცემულ საკითხზე გამოვიდა ორი ორატორი მაინც და საკრებულო ამ წინადადებას მიიღებს მსჯელობის გარეშე. დებატების შეწყვეტის შემდეგ ფრაქციათა თითო წარმომადგენელს აქვს სიტყვით გამოსვლის უფლება.

4. საკრებულოს წევრს სიტყვით გამოსვლის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, როცა თავმჯდომარე მისცემს მას სიტყვას. საკრებულოს წევრი, რომელსაც სურს სიტყვით გამოსვლა, წინასწარ უნდა ჩაეწეროს საკრებულოს თავმჯდომარესთან. იმასთან, უნდა აღნიშნოს, გამოდის იგი განსახილველ საკითხზე "მოწინააღმდეგედ" თუ "მომხრედ". განსილვის პროცედურის შესახებ განცხადებისათვის წევრმა სიტყვა შეიძლება მოითხოვოს ადგილიდან.

5. საკრებულოს წევრმა სიტყვა უნდა წარმოთქვას ტრიბუნიდან. მომხსენებლისადმი კითხვა საკრებულოს წევრმა შეიძლება დასვას ადგილიდან. შეკითხვის დასმის მიზნით წევრმა უნდა მიმართოს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მომხსენებლის თანხმობით საკრებულოს წევრს აძლევს სიტყვას შეკითხვისათვის. დასმული შეკითხვა უნდა იყოს მოკლე და უნდა შეეხებოდეს განსახილველ საკითხს.

6. დებატებში გამომსველელთა რიგითობას ადგენს საკრებულოს თავმჯდომარე. რიგითობა განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

ა) გამოსვლის შესახებ განცხადების ჩაბარების დროით;

ბ) ფრაქციული ინდექსაციით (არის თუ არა იგი ფრაქციის წევრი და რამდენ მანდატს ფლობს საკრებულოში შესაბამისი ფრაქცია);

გ) გამოდის იგი საკითხზე "მომხრედ" თუ "მოწინააღმდეგედ".

7. თავმჯდომარე გამომსველელთა რიგითობის დადგენისას ითვალისწინებს, რომ განსახილველი საკითხის როგორც "მომხრეთა" ისე "მოწინააღმდეგეთა", ასევე ფრაქციებისა და ფრაქციის გარეშე წევრთა პოზიციები პროპორციულად გამოიხატოს.

8. მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ პირველ სიტყვას თავმჯდომარე აძლევს "მოწინააღმდეგეს", ხოლო შემდეგ თანმიმდევრობით და რიგითობის მიხედვით. მომხსენებელს ნებისმიერ დროს, თავმჯდომარის თანხმობით უფლება აქვს აიღოს სიტყვა განმარტებისათვის.

9. საკრებულოს წევრს შეუძლია უარი თქვას სიტყვაზე, ეს უფლება სხვას დაუთმოს ან რიგი გაუცვალოს სხვა წევრს. დაუშვებელია სიტყვის გადაცემა იმ წევრისათვის, რომელიც მოცემულ საკითხზე ორჯერ უკვე გამოვიდა.

10 საკრებულოს წევრი, რომელიც სიტყვის მიცემისას არ აღმოჩნდება სხდომათა დარბაზში, კარგავს ამ საკითხზე რიგით გამოსვლის უფლებას.

11. საკრებულოს წევრს უფლება აქვს ერთ საკითხზე გამართულ დებატებში სიტყვით გამოვიდეს მხოლოდ ორჯერ.

12. საკრებულოს წევრს განხილვის პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა მიეცემა რიგგარეშე. წინადადება უნდა შეეხებოდეს დღის წესრიგს ან განსახილველ საკითხს და არ უნდა გრძელდებოდეს 2 წუთზე მეტს.

მუხლი 58. საკრებულოს სხდომაზე გამოსვლის ფორმები

საკრებულოს სხდომაზე გამოსვლის ფორმებია:

ა) მოხსენება;

ბ) თანამოხსენება;

გ) შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან;

დ) განსახილველ საკითხზე დებატებში მონაწილეობა;

ე) მომხსენებლის და თანამომხსენებლის დასკვნითი სიტყვა;

ვ) დასამტკიცებელ კანდიდატურასთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლა;

ზ) წინადადების შეტანა კენჭისყრის წესის, მოტივების ან სხდომის წარმართვის წესის შესახებ;

თ) მისაღებ დოკუმენტში შესწორებების შეტანა;

ი) შეკითხვა, განმარტება, განცხადება, ინფორმაცია, მიმართვა.

მუხლი 59. საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობა

1. საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელს გამოსვლისათვის ეძლევა 20 წუთამდე, თანამომხსენებელს - 15 წუთამდე, თითოეულ მათვანს დასკვნითი სიტყვისათვის - 10 წუთამდე; კამათში გამოსვლისათვის საკრებულოს წევრს და სხვა პირებს ეძლევათ პირველად 7 წუთამდე, მეორედ გამოსვლისას - 5 წუთამდე; პროცედურულ საკითხებთან, სმის მიცემის მოტივებთან დაკავშირებით – 1 წუთამდე, წარდგენილი კანდიდატურის განხილვასთან დაკავშირებით, განმარტების, ინფორმაციის, მიმართვის, განცხადებებისა და შეკითხვებისათვის - 3 წუთამდე.

2. საკრებულოს თავმჯდომარეს გამომსველელის მოთხოვნით, სხდომაზე დამსწრე წევრთა

ხმების უმრავლესობით, შეუძლია გამომსელელს გაუგრძელოს დრო არა უმეტეს 10 წუთით. ამასთან, ფრაქციას, რომელიც გამოდის ამ გამომსელელის "მოწინააღმდეგედ", უფლება აქვს მოითხოვოს მისი წარმომადგენლისთვისაც დროის შესაბამისად გაგრძელება.

მუხლი 60. პროცედურული საკითხები

პროცედურულს მიეკუთვნება საკითხები:

ა) შესვენების გამოცხადების და ხანგრძლივობის შესახებ;

ბ) საკრებულოს სხდომის გადადების შესახებ;

გ) სიტყვით გამოსელის დროის გახანგძლივების შესახებ;

დ) სხდომაზე მოწვეული პირისთვის სიტყვით გამოსელის უფლების მიცემის შესახებ;

ე) განსახილველ საკითხზე დებატების გადადების ან შეწყვეტის შესახებ;

ვ) კომისიისათვის საკითხის დამატებით მესასწავლად გადაცემის შესახებ;

ზ) კამათის გარეშე საკითხის კენჭისყრის შესახებ;

თ) დახურული სხდომის გამართვის შესახებ;

ი) საკრებულოს სხდომაზე საკრებულოსადმი ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირთა მოწვევის შესახებ;

კ) კენჭისყრის წესის შესახებ;

ლ) გამომსვლელთა რიგითობის შეცვლის შესახებ;

მ) საკრებულოს წევრთა დამატებითი რეგისტრაციის ვალის შესახებ;

ნ) ხმების ხელახალი დათვლის შესახებ.

მუხლი 61. სხდომაზე წესრიგის დაცვა

1. თუ საკრებულოს წევრი სიტყვით გამოსელისას მისთვის განკუთვნილ დროს გადააცილებს, თავმჯდომარე მას ჯერ აფრთხილებს, ხოლო შემდეგ ჩამოართმევს სიტყვას. თუ გამომსველელმა გადაუხვია განსახილველ საკითხს, თავმჯდომარე აფრთხილებს მას ამის შესახებ. თუ გამომსველელი იყენებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს, თავმჯდომარე მოუწოდებს მას წესრიგისაკენ. თუ გამომსველელი ორჯერ გააფრთხილეს, დაბრუნებოდა განსახილველ საკითხს, ან ორჯერ მოუწოდეს წესრიგისაკენ, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე ვალდებულია ჩამოართვას მას სიტყვა და ამავე დროს არ მისცეს მას უფლება, ამ საკითხზე მეორედ გამოვიდეს. თავმჯდომარის გაფრთხილება და წესრიგისაკენ მოწოდება არ შეიძლება გახდეს განსჯის საგანი.

2. თუ სხდომის დროს დაიწყო უწესრიგობა, რომელიც შეუძლებელს ხდის საკრებულოს მუშაობას და თავმჯდომარემ მისი აღკვეთა ვერ შეძლო, მაშინ იგი ტოვებს ადგილს და სხდომა შეწყვეტილად ითვლება. თუ სხდომის განახლების შემდეგაც გრძელდება უწესრიგობა, თავმჯდომარე სხდომას გადადებს მეორე დღისათვის.

3. სხდომაზე წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით თავმჯდომარის უფლებამოსილებები ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც არ არიან საკრებულოს წევრები. მოწვეული პირები, თუ ისინი გამოხატავენ თავის კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას სხდომის მიმდინარეობის შესახებ, რითაც ხელს უშლიან სხდომის ნორმალურ მსვლელობას, თავმჯდომარის მითითებით გაყვანილნი იქნებიან დარბაზიდან.

4. თავმჯდომარის მიერ წესრიგის დაცვისათვის მიღებულ გადაწყვეტილებებზე მსჯელობა ან კენჭისყრა არ იმართება და იგი უნდა დაკმაყოფილდეს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. სხდომაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ მსჯელობს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია. კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს წევრის გაფრთხილების ან სამი თვის ვადამდე მისი სხდომაზე არდამვების შესახებ. სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს საკრებულო ფარული კენჭისყრით, წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით. არდამვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკრებულოს წევრს რჩება უფლება მონაწილეობა მიიღოს კომისიათა მუშაობაში.

მუხლი 62. დებატების შეზღუდვის შემთხვევები

1. საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება აქვს წინასწარ განსაზღვროს დებატებისათვის გამოყოფილი დრო ან გამართოს შეზღუდული დებატები.

2. დებატებისათვის გამოყოფილი დროის ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარის განცხადებით დებატები წყდება. დებატების შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთებამდე თავმჯდომარე აცხადებს

გამომსველელთა დარჩენილ რაოდენობას. ფრაქციას, რომლის არცერთ წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა დებატებში, უფლება აქვს დაასახელოს ერთი გამომსველელი, რომელსაც თავმჯდომარეს უნდა შისცეს სიტყვა.

3. შეზღუდული დებატებისას სიტყვით გამოსვლის უფლება ეძლევა მხოლოდ საკითხის ინიციატორს, კომისიის მომხსენებელს ან თანამომხსენებელს და ფრაქციის თითო წარმომადგენელს.

მუხლი 63. დებატების შეწყვეტა ან გადავადება

საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობის თანხმობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კამათის გადავადების ან შეწყვეტის, განსახილველი საკითხის კომისიაში დაბრუნების ან დღის წესრიგის მომდევნო საკითხზე გადასვლის შესახებ.

მუხლი 64. გამგებლის (მერის) მონაწილეობა დებატებში

1. გამგებელს (მერს) ან საკრებულოში მის მუდმივ წარმომადგენელს უფლება აქვთ წინასწარ ჩაუწერლად და რიგგარეშე გამოვიდნენ საკითხის განხილვისას.

2. თუ გამგებელი (მერი) ან საკრებულოში მისი მუდმივი წარმომადგენელი გამოვა სიტყვით დებატების დახურვის შემდეგ, დებატები გრძელდება შეზღუდული წესით.

მუხლი 65. დასკვნითი სიტყვა

სხდომის თავმჯდომარის მიერ დებატების დამთავრებულად გამოცხადების შემდეგ, მომხსენებელსა და თანამომხსენებელს აქვთ დასკვნითი სიტყვით გამოსვლის უფლება.

თავი VII. საკრებულოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღების წესი

მუხლი 66. საკრებულოს სამართლებრივი აქტები

1. საკრებულოს სამართლებრივი აქტებია:

ა) ნორმატიული აქტი - საკრებულოს დადგენილება;

ბ) ინდივიდუალური აქტი – საკრებულოს განკარგულება.

2. ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს კანონით "ნორმატიული აქტების შესახებ" და ამ დებულებით.

4. საკრებულოს სამართლებრივი აქტები სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთათვის.

5. საკრებულოს ნორმატიული აქტი ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 67. საკრებულოში სამართლებრივი აქტის ინიციირების წესი

1. საკრებულოში სამართლებრივი აქტის ინიციირების (შეტანის) უფლება აქვს:

ა) გამგებელს (მერს);

ბ) საკრებულოს ფრაქციას;

გ) საკრებულოს კომისიას;

დ) საკრებულოს წევრს;

ე) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 3%-ს პეტიციის წესით.

2. ინიციირების წესით საკითხი შეიტანება წერილობითი ფორმით, საკრებულოს დადგენილების (განკარგულების) პროექტის სახით.

3. საკრებულოში შეტანილ პროექტს თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღინიშნება:

ა) ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება;

ბ) მითითება საკრებულოს იმ აქტზე, რომელიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ან რომელშიც უნდა შევიდეს ცვლილება (შესაბამისი მუხლის ან პუნქტის მითითებით);

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს ამ პროექტის მიღება;

დ) მითითება იმ აქტებზე, რომელთა მიღებაც იქნება საჭირო ამ პროექტთან დაკავშირებით;

ე) პროექტის მიღების საეარაუდო ვადა;

ვ) შეთანხმების ფურცელი (ადგილობრივი თვითმმართველობის რომელ ორგანოებთან ან თანამდებობის პირებთან არის შეთანხმებული);

ზ) პროექტის ავტორი (ავტორები) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი.

მუხლი 68. საკრებულოში სამართლებრივი აქტების პროექტის მომზადება და განსახილველად წარდგენის პროცესი

1. საკრებულოში ინიციირების წესით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტი გადის შემდეგ პროცედურებს:

ა) სამართლებრივი აქტის პროექტი ბარდება საკრებულოს აპარატს;

ბ) საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს შემოტანილი სამართლებრივი აქტის პროექტს და მიღებიდან 5 დღის ვადაში გადასცემს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე გასატანად;

გ) საკრებულოს ბიუროს სხდომა იღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, განსაზღვრავს კომისიებში პროექტის განხილვის და პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის ვადებს;

დ) საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს ბიუროს გადაწყვეტილების და პროექტის მიწოდებას საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და გამგეობისათვის (მერიისათვის).

ე) საკრებულოს კომისიები და გამგებელი (მერი) საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილ ვადებში განიხილავენ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტს და აწედიან დასკვნას საკრებულოს აპარატს;

ვ) საკრებულოს აპარატი ახდენს შემოსული შენიშვნების, დასკვნების და წინადადებების სისტემატიზაციას და საკრებულოს აპარატის იურიდიული სამსახურის დასკვნასთან ერთად წარუდგენს მათ საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად;

ზ) საკრებულოს ბიურო ისმენს წარმოდგენილ დასკვნებს და წინადადებებს და იღებს გადაწყვეტილებას საკითხის საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის შესახებ.

2. ინიციირების უფლების მქონე სუბიექტის მიერ შემოტანილი სამართლებრივი აქტის პროექტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ უნდა იქნეს მასზე უარყოფითი დასკვნის მიუხედავად.

3. ინიციირების წესით შეტანილი საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტი უნდა მომზადდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. თუ პროექტი იწვევს არსებულ ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას, მას თან უნდა დაერთოს შესატანი ცვლილებების ან/და დამატებების პროექტები და ისინი წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთიანი პაკეტის სახით.

მუხლი 69. საკრებულოს მიერ ნორმატიული აქტის მიღების წესი

1. საკრებულომ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საკრებულოს შესაბამისი კომისიისა და გამგეობის (მერიის) დასკვნის არსებობისას. დასკვნის მომზადებისა და საკრებულოში წარდგენის ვადას კომისიის, გამგეობის (მერიის) და პროექტის ავტორთან შეთანხმებით განსაზღვრავს საკრებულოს ბიურო. კომისიის ან გამგეობის (მერიის) უარყოფითი დასკვნა არ შეიძლება იყოს დაბრკოლება საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვის დაწყებისათვის.

2. პროექტის განხილვა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. დებატების დამთავრების შემდეგ, კენჭისყრამდე ფრაქციას შეუძლია დააყენოს საკითხი ნორმატიული აქტის პროექტის კომისიაში ხელახალი დაბრუნების ან სხვა კომისიაში გადაცემის შესახებ, აგრეთვე მოითხოვოს დღის წესრიგის სხვა საკითხზე გადასვლა. თუ საკრებულომ ნორმატიული აქტის პროექტის საბოლოო კენჭისყრამდე მიიღო გადაწყვეტილება. გადაეიდეს დღის წესრიგის სხვა საკითხზე, ნორმატიული აქტის პროექტი ითვლება უარყოფილად და მისი შემდგომი განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

4. უარყოფილი პროექტი სამ თვეზე ადრე შეიძლება განმეორებით იქნეს გატანილი ამ დებულების 75-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ან თუ იგი არსებითად გადამუშავდა,

რაზეც გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს ბიურო საკრებულოს აპარატის იურიდიული სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

5. ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის შემდეგ, თუ მასში არ იქნა შეტანილი ცვლილებები, დაუყოვნებლივ ეწყობა კენჭისყრა. თუ ცვლილებები შეტანილ იქნა, წინასწარი კენჭისყრა ტარდება შეტანილ ცვლილებათა ერთ ტექსტამდე დაყვანის მიზნით.

6. გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის მიღების შესახებ მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კანონით ან ამ დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი.

მუხლი 70. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და მიღების წესი

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტების მომზადების, წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით და ამ დებულებით (რეგლამენტით).

2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში შეტანის უფლება აქვს გამგებელს (მერს) ან მის მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს.

3. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში შეტანილ უნდა იქნეს ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 45 დღისა.

4. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცემა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ფრაქციებს.

5. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს სხვა კომისიების, აგრეთვე საკრებულოს წევრების წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენიდან ერთი კვირის ვადაში ბარდება საკრებულოს აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტთან ერთად მათ გამოქვეყნებას საჯარო განხილვისათვის.

6. საკრებულო თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს განიხილავს საკრებულოს სხდომაზე საჯარო განხილვით, ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნის, აგრეთვე ფრაქციებისა და საკრებულოს წევრთა წინადადებების გამოქვეყნებიდან არა უადრეს ერთი კვირისა.

7. ბიუჯეტის პროექტის განხილვა წარმოებს ერთი მხრივ ნომერთა რიგის მიხედვით და მეორე მხრივ, ნომერთა იმ ჯგუფის მიხედვით, რომლებიც წარმოადგენდნენ ცალკე უწყებათა საფინანსო ხარჯების ნუსხას.

8. პირველად განიხილება მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის ზოგადი საფუძვლები, შემდეგ - პროექტის ცალ-ცალკე მუხლები.

9. შემოსავლის პროექტის განხილვის დროს ჯერ უნდა მოხდეს პროექტის ზოგადი საფუძვლების, ხოლო შემდეგ - ცალ-ცალკე მუხლების განხილვა.

10. როგორც შემოსავლის, ისე გასავლის თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი.

11. ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ გამგებლის (მერის) ან მის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანხმობით. თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ პროექტის შესაბამისი მუხლი არ იქნა მიღებული, თუ საკრებულოს სხდომამ არ მიიღო სხვა გადაწყვეტილება.

12. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებამი აისახება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საერთო მოცულობა როგორც შემოსავლის ძირითადი წყაროებისა და ხარჯების მიმართულებების, ისე შემოსავლის ყოველი სახეობის, თითოეული მხარჯავი სუბიექტისა და ღონისძიებების მიხედვით, ფუნქციონალური და ეკონომიკური საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) სარეზერვო ფონდის მოცულობა;

გ) წლის დასაწყისისათვის არსებული გამოუყენებელი სასესრების, მათ შორის გარდამავალი საბრუნავი სამუალებების მოცულობა;

დ) წლის დასაწყისისათვის არსებული ვალდებულების დაფარვისა და მომსახურების ასიგნების მოცულობა.

13. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გამგებელი (მერი) ვალდებულია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში საკრებულოს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტის ახალი ვარიანტი.

14. საკრებულო ბიუჯეტს ამტკიცებს ყოველი კალენდარული წლისათვის ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში არაუგვიანეს ახალი საბიუჯეტო წლის 1 მარტისა.

15. ბიუჯეტი მიიღება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 71. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტთა განხილვის განსაკუთრებული წესი

1. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტად ითვლება ყველა ის პროექტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე. ნორმატიული აქტის პროექტის ხასიათის საკითხს წყვეტს საკრებულოს ბიურო, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის დაწყებისათვის აუცილებელია გამგებლის (მერის) და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა ამ ნორმატიული აქტის პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე გავლენის შესახებ.

3. ყველა საფინანსო ხასიათის ნორმატიული აქტის პროექტს თან უნდა ახლდეს დასკვნა და წინადადებები ხარჯების დაფარვის შესაძლო გზების თაობაზე.

4. გამგებელი (მერი) და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტის მიღების შემდეგ ამოწმებენ ნორმატიული აქტის პროექტის მიმდინარე და მომავალ ბიუჯეტთან შეთავსების შესაძლებლობას. თუ შემოწმებით დადგინდა, რომ ნორმატიული აქტის პროექტი უარყოფით გავლენას მოახდენს ბიუჯეტზე, გამგებელმა (მერმა) და კომისიამ საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ დასკვნებში უნდა აღნიშნონ თავიანთი მოსაზრება ხარჯების დაფარვის შესახებ. თუ ნორმატიული აქტის პროექტი გავლენას მოახდენს მომავალ ბიუჯეტზე, დასკვნებში უნდა აღინიშნოს გამგებლის (მერის) და კომისიის დამოკიდებულება მოცემული საკითხთის მიმართ.

5. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტთა განხილვა და მიღება ხდება საბიუჯეტო ნორმატიული აქტის მიღების წესის შესაბამისად.

თავი VIII. საკრებულოს სხდომაზე სპეციალურ საკითხთა განხილვის წესი (განსაკუთრებული პროცედურები)

მუხლი 72. ხელშეკრულებათა დამტკიცება და გაუქმება

1. თვითმმართველი ერთეულის, საკრებულოს ან გამგებლის (მერის) სახელით დადებულ ხელშეკრულებათა დამტკიცება ან გაუქმება ხდება საკრებულოს სხდომაზე.

2. საკრებულოს თავმჯდომარეს, ფრაქციას ან საკრებულოს კომისიას უფლება აქვთ დააყენონ ხელშეკრულებათა გაუქმების საკითხი. ეს საკითხი დღის წესრიგში შეიტანება კენჭისყრის გარეშე.

3. საკრებულოს სხდომაზე ხელშეკრულებების დამტკიცების ან გაუქმების საკითხთა განხილვისას ამ ხელშეკრულებების მუხლობრივი განხილვა ან მუხლებში ცვლილებების შეტანა არ ხდება.

4. საკრებულოს სხდომა იღებს გადაწყვეტილებას მოცემულ საკითხზე თანხმობის, მისი უარყოფის ან საკითხის გადადების შესახებ.

5. ხელშეკრულების დამტკიცების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუ ხელშეკრულებით სხვა წესი არ არის დადგენილი.

მუხლი 73. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი საკრებულოს სხდომაზე განხილვის გარეშე გადაეცემა სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიას.

2. სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია ვალდებულია საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგინოს რეკომენდაცია დაყენებული საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

3. გადაწყვეტილება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მიიღება ფარული კენჭისყრით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 74. პეტიციის წესით შემოტანილ წინადადებათა და ნორმატიული აქტების პროექტთა განხილვა.

1. წინადადებები და ნორმატიული აქტების პროექტები ჩაითვლება პეტიციის წესით შეტანილად და საკრებულოს სხდომაზე განიხილება, თუ ამ წინადადებას ან ნორმატიული აქტის პროექტს ხელს აწერს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული არა ნაკლებ 1000 ამომრჩეველი და არსებობს საკრებულოს აპარატის დასკვნა ხელმოწერების შეგროვების კანონიერებისა და ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ.

2. პეტიციის წესით დაყენებული საკითხები საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანება შემოტანიდან ერთი თვის ვადაში, თუ პეტიციით საკითხის განხილვის უფრო ხანგრძლივი ვადა არ არის მითითებული. საკრებულოს აპარატი შემოტანილი საკითხის ინიციატორებს სხდომის დღეს აცნობებს ერთი კვირით ადრე მაინც. წინადადების ან ნორმატიული აქტის პროექტის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს გამოჰყოს მომხსენებელი, რომელიც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს საკრებულოსა და შესაბამისი კომისიის სხდომებზე საკითხის განხილვაში. წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის ხასიათის მიხედვით გადაწყვეტილების გამოტანა ხდება საერთო წესით.

მუხლი 75. ნორმატიული აქტის პროექტის ხელახალი განხილვა აუცილებლობის მოთხოვნით

1. გამგებელს (მერს) უფლება აქვს საკრებულოს იმავე მოწვევის სხდომაზე დააყენოს საკრებულოს სხდომის მიერ უარყოფილი ნორმატიული აქტის პროექტის ხელახალი განხილვის საკითხი, მისი განხილვის აუცილებლობის მოტივით.

2. შესაბამის კომისიას უფლება აქვს საკრებულოს სხდომაზე დააყენოს საკითხი გამგებლის (მერის) მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ.

3. გამგებელს (მერს) ეთქმევა უარი, თუ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხვა შემთხვევაში შეიქმნება შემთანხმებელი დროებითი ჯგუფი, რომელიც მოამზადებს და საკრებულოს სხდომას წარუდგენს შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტს.

4. საკრებულოს სხდომა შემთანხმებელი დროებითი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის განხილვას იწყებს ამ დებულებით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

5. თუ საკრებულოს მიერ ხელახლა იქნა უარყოფილი ნორმატიული აქტის პროექტი, გამგებელს (მერს) უფლება აქვს მხოლოდ სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ შემოიტანოს საკითხი ხელახლა განსახილველად.

თავი IX. შეკითხვები და ინტერპელაცია

მუხლი 76. წერილობითი და ზეპირი შეკითხვები

1. საკრებულოს წევრს უფლება აქვს წერილობითი ან ზეპირი შეკითხვით მიმართოს გამგებელს (მერს) ან გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირს.

2. შეკითხვის წესით შესაბამის თანამდებობის პირთაგან მოითხოვება ინფორმაცია კონკრეტულად განსაზღვრული საკითხის შესახებ.

3. ზეპირი შეკითხვის დასმა დაიშვება მხოლოდ საკრებულოს სხდომის მიმდინარეობის დროს. წერილობითი ან ზეპირი შეკითხვის ტექსტს საკრებულოს წევრი აბარებს საკრებულოს აპარატს. შეკითხვას შეიძლება ახლდეს დასაბუთება.

4. შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე პასუხი გაიცემა საკრებულოს სხდომაზე. გამგებელს (მერს) ან გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირს უფლება აქვს მოითხოვოს დახურული სხდომის ჩატარება, თუ მისაწოდებელი ინფორმაციის გახმაურება აკრძალულია ან შეზღუდულია კანონით. საკრებულოს წევრს უფლება აქვს სხდომაზე შეაფასოს გაცემული პასუხი და დააყენოს წინადადება მოცემული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის შესახებ.

5. საკრებულოს წევრთან შეთანხმებით შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე შეიძლება სამი დღის ვადაში გაიცეს წერილობითი პასუხი საკითხის შემდგომი განხილვის გარეშე.

მუხლი 77. ინტერპელაცია

1. საკრებულოს ფრაქციას ან კომისიას უფლება აქვს ინტერპელაციის წესით დააყენოს საკითხი გამგებლის (მერის) ან გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირის წინაშე.

2. ინტერპელაციის წესით დაყენებული საკითხი უნდა შეეხებოდეს გამგებლის (მერის) ან გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირის მიერ შესაბამის დარგში გატარებული პოლიტიკის კონკრეტულ ან ზოგად საკითხებს.

3. ინტერპელაციის წესით დაყენებული საკითხი უნდა იყოს ზუსტად და ლაკონური ფორმით ჩამოყალიბებული. მას შეიძლება თან ახლდეს დასაბუთებაც. საკითხი წერილობითი ფორმით ჩაბარდება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც საკრებულოს ბიუროზე გამგებელთან (მერთან) შეთანხმებით აღგენს საკითხის განხილვის ვადას. საკითხი შეიტანება საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში მისი ჩაბარებიდან ორი თვის ვადაში.

4. ინტერპელაციის წესით დაყენებულ საკითხზე ფრაქცია ან შესაბამისი კომისია გამოყოფს მომხსენებელს, რომელსაც მიეცემა 15 წუთი მაინც განხილვის დაწყებისას, ხოლო გამგეობის (მერიის) წარმომადგენლის პასუხის შემდეგ - 20 წუთი მაინც.

5. ფრაქციის ან შესაბამისი კომისიის მოთხოვნით მოცემულ საკითხზე შეიძლება გაიმართოს დებატები.

6. ინტერპელაციის წესით დაყენებულ საკითხზე საკრებულოს სხდომა იღებს შესაბამის დადგენილებას.

თავი X. კენჭისყრის წესი

მუხლი 78. კენჭისყრის სახეები

კენჭისყრის სახეებია: ფარული, ღია და სახელობითი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ფორმის მიხედვით კენჭისყრა შეიძლება იყოს გადმწყვეტი ხმის ან სარეიტინგო.

მუხლი 79. საკრებულოს წევრის უფლება უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობაზე

მიუხედავად კენჭისყრის სახისა, საკრებულოს წევრს უფლება აქვს უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე, რის შესახებაც მან უნდა გააკეთოს საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი განცხადება.

მუხლი 80. საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის უფლება კენჭისყრის პროცედურაზე

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს:

ა) ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით განსაზღვროს კენჭისყრაზე დასაყენებელ საკითხთა რიგითობა;

ბ) წამოაყენოს საკუთარი წინადადებები ან კომპრომისული ფორმულირებები დასმული საკითხის კენჭისყრიდან მოუხსნელად;

დ) ჩაატაროს სარეიტინგო კენჭისყრა;

ე) თუ წამოყენებულმა არცერთმა ალტერნატიულმა წინადადებამ არ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა, ხელმეორე კენჭისყრაზე დააყენოს ის ორი ალტერნატიული წინადადება, რომელმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღო.

მუხლი 81. სარეიტინგო კენჭისყრა

1. სარეიტინგო კენჭისყრა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

2. სარეიტინგო კენჭისყრა არ შეიძლება ჩატარდეს ფარული ან სახელობითი ფორმით.

3. საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს ჩაატაროს სარეიტინგო კენჭისყრა ყველა სადაო თუ ალტერნატიულ საკითხებზე.

მუხლი 82. ფარული კენჭისყრა

1. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით.

2. ფარული კენჭისყრის აღგილს და ბიულეტენის ფორმას ამზადებს საკრებულოს აპარატი. ბიულეტენები არ შეიძლება განსხვავდებოდეს ზომით ან ფორმით.

3. კენჭისყრის პროცედურას თვალყურს აღევნებს და ბიულეტენებს ითვლის სამანდატო, სპროცედურო და ეთიკის კომისია. ყველა იმ ფრაქციას, რომელიც ამ კომისიაში წარმოდგენილი არ არის, უფლება აქვს ხმის დათვლის დროს კომისიაში შეიყვანოს თითო დროებითი წარმომადგენელი.

4. ბიულეტენის მიღებას საკრებულოს წევრი ადასტურებს ხელმოწერით. ბიულეტენების შევსება ხდება ფარული კენჭისყრისათვის საგანგებოდ მოწყობილ კაბინაში ან ოთახში.

5. ბიულეტენის შევსებისას საკრებულოს წევრი შემოსაზავს იმ კანდიდატის რიგით ნომერს, რომელსაც იგი მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი კანდიდატის გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გვარის ან მის წინ დასმული ნომრის შემოხაზვით უნდა გამოიხატოს. საკრებულოს წევრმა ბიულეტენში შეტანილი ორი ფორმიდან: "მომხრე", "წინააღმდეგი" უნდა აირჩიოს ერთ-ერთი, რომელსაც იგი შემოხაზავს.

6. ბათილად ჩაითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენი, აგრეთვე ის ბიულეტენი, რომლითაც შეუძლებელია დადგინდეს, ვის (რომელ გადაწყვეტილებას) მისცა საკრებულოს წევრმა ხმა.

მუხლი 83. სახელობითი კენჭისყრა

1. სახელობითი კენჭისყრა ტარდება საკრებულოს წევრების მიერ სახელობითი კენჭისყრისათვის განკუთვნილ სპეციალურ ბლანკზე გადაწყვეტილების შესაბამის ვარიანტზე ხელის მოწერით.

2. საკრებულოს წევრს უფლება აქვს შეცვალოს თავის გადაწყვეტილება სახელობითი კენჭისყრისას სხდომის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შედეგების გამოცხადებამდე.

3. სახელობითი კენჭისყრა არ შეიძლება ჩატარდეს პერსონალური საკითხების გადაწყვეტისას.

მუხლი 84. კენჭისყრის დაწყების გამოცხადება

1. დებატების, აგრეთვე ასარჩევი, დასანიშნი თუ დასამტკიცებელი კანდიდატურის განხილვის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის დაწყებას. თუ შემოვიდა წინადადება კენჭისყრის გადადების შესახებ, იგი კენჭისყრაზე დგება პირველ რიგში.

2. ღია კენჭისყრა, როგორც წესი, ეწყობა დებატების დამთავრებისთანავე, ხოლო ფარული კენჭისყრა - სხდომის დამთავრების წინ.

3. თავმჯდომარე კენჭისყრის დაწყებამდე ატარებს წევრთა რეგისტრაციას.

4. თუ კენჭისყრისთვის დანიშნული დროისათვის სხდომას არ ესწრება კენჭისყრისათვის საჭირო წევრთა რაოდენობა, საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის გადავადების დროს.

5. ფრაქციას უფლება აქვს კენჭისყრის წინ მოითხოვოს არა უმეტეს 10 წუთი შესვენება.

მუხლი 85. საკითხის კენჭისყრაზე დაყენება

1. საკითხს კენჭისყრაზე აყენებს თავმჯდომარე. თავმჯდომარე ვალდებულია ზუსტი, ნათელი ფორმულირებით, ავტორის მიერ შემოთავაზებული ვარიანტით დასვას საკითხი კენჭისყრაზე. საკრებულოს წევრს უფლება აქვს გამოთქვას შენიშვნა ფორმულირების შესახებ და წამოაყენოს წინადადება მისი შეცვლის თაობაზე.

2. თუ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხის ავტორის აზრით მისი წინადადება არასწორად იქნა დაფიქსირებული ან საერთოდ გამორჩენილი იქნა, მას ეძლევა სიტყვა განმარტებისათვის.

3. თუ თავმჯდომარე არ ეთანხმება შემოთავაზებულ ფორმულირებას, თუკი ამას მოითხოვს წინადადების შემომტანი, სადაო საკითხი წყდება კენჭისყრით, განხილვის გარეშე.

4. კენჭისყრაზე დასაყენებელი ვარიანტების სიმრავლის დროს (სამი ან მეტი), თავმჯდომარე ატარებს სარეიტინგო კენჭისყრას.

5. ყოველი კენჭისყრის წინ თავმჯდომარე აცხადებს კენჭისყრის პროცედურას.

6. საკითხის ინიციატორს უფლება აქვს მოითხოვოს განუხილველად საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. ამ შემთხვევაში მას უკამათოდ უყრიან კენჭს.

7. კენჭისყრის გამოცხადების შემდეგ, საკრებულოს წევრს სიტყვა შეიძლება მიეცეს მხოლოდ კენჭისყრის პროცედურის საკითხებზე.

მუხლი 86. კენჭისყრის ზოგადი წესი

1. თავდაპირველად კენჭი ეყრება ცვლილებებს მათი რიგითობის მიხედვით, შემდეგ კი ძირითად საკითხს. თავმჯდომარეს უფლება აქვს კენჭისყრაზე თავდაპირველად დასვას ძირითადი საკითხი, თუ იგი ჩათვლის, რომ ეს გააიოლებს გადაწყვეტილების მიღებას.

2. საკრებულოს წევრს შეუძლია მოითხოვოს შემოთავაზებული წინადადების (შესწორების, დამატების) ნაწილების ცალ-ცალკე კენჭისყრა. ასეთი პროცედურის შემთხვევაში, კენჭისყრის შემდეგ, უარყოფილ ნაწილთა გამოკლებით, ამ საკითხს მთლიანობაშიც უნდა ეყაროს კენჭი.

3. წინადადებას საკითხის გადადების ან კომისიამი დაბრუნების შესახებ კენჭი ეყრება თავმჯდომარის, ფრაქციის ან კომისიის ინიციატივით.

4. საკრებულოში კენჭისყრა შეიძლება იყოს ღია ან ფარული.

5. საკითხები წყდება, როგორც წესი, ღია კენჭისყრით. პერსონალური და უნდობლობის გამოცხადების საკითხები წყდება მხოლოდ ფარული კენჭისყრით.

6. საკრებულოს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საკითხის ფარული კენჭისყრით გადაწყვეტის შესახებ.

7. საკრებულოს წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემის უფლების სხვა პირისათვის გადაცემა.

8. საკრებულოს წევრი კენჭისყრის დროს თავის ნებას გამოხატავს ერთ-ერთი შემდეგი ფორმით: "მომხრე", "წინააღმდეგი".

მუხლი 87. კენჭისყრის შედეგების გამოცხადება

1. კენჭისყრის შედეგებს აცხადებს სხდომის თავმჯდომარე.

2. საკრებულოს წევრს, რომელმაც ხმა არ მისცა კენჭისყრის დროს, უფლება არ აქვს ხმა მისცეს კენჭისყრის დამთავრების შემდეგ.

3. კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებული ეჭვების თაობაზე განცხადება თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს დაუყოვნებლივ, კენჭისყრის დამთავრებისთანავე. განცხადების გაცნობის შემდეგ საკრებულო ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ხელახალი კენჭისყრის მოწყობის შესახებ. ხელახალი კენჭისყრა არ გაიმართება, თუ საეჭვო ხმების რაოდენობა არ ცვლის კენჭისყრის საბოლოო შედეგს.

თავი XI. საკრებულოს ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევა, დანიშვნა და დამტკიცება

მუხლი 88. არჩევნების ზოგადი წესი

1. არჩევნები საკრებულოს სხდომაზე ტარდება ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების მეშვეობით.

2. თუ დასახელებული იყო რამდენიმე კანდიდატი და ვერცერთმა ვერ მიიღო ხმათა უმრავლესობა, ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ხელახალი კენჭისყრა დაინიშნება მეორე დღისთვის. ხელახალი კენჭისყრისას პროცედურა იწყება თავიდან, შესაბამისი კანდიდატურების დასახელებით. ხელახალი კენჭისყრა ტარდება იგივე წესით.

მუხლი 89. თანამდებობის პირთა დამტკიცების ზოგადი წესი

1. საკრებულოს მიერ კანონით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა დამტკიცება ხდება ფარული კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

2. თუ დასახელებულ კანდიდატთაგან რომელიმეს უარი ეთქვა, ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

3. უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატის დასახელება ხდება მხოლოდ საკრებულოს მომდევნო სხდომაზე.

მუხლი 90. არჩეულ პირთა გაწვევის ზოგადი წესი

საკრებულოს მიერ არჩეულ პირთა გაწვევა ხდება იმავე წესით, როგორც მოხდა მათი არჩევა, თუ კანონით ან ამ დებულებით სხვა წესი არაა დადგენილი.

მუხლი 91. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესი

1. საკრებულოს თავმჯდომარეს ირჩევენ საკრებულოს წევრები თავისი შემადგენლობიდან.

2. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა ერთ მეხუთედს.

3. თავმჯდომარის კანდიდატურების დასახელების შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს კანდიდატთა სიას და ითხოვს მათ თანხმობას, კენჭი იყარონ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. წამოყენებულ კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

4. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით.

5. საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევ ბიულეტენებში შეიტანება ყველა ის დასახელებული კანდიდატურა, რომელიც თანხმობას განაცხადებს კენჭი იყაროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

6. ბიულეტენებში კანდიდატები შეიტანება მათი დასახელების რიგითობის მიხედვით.

7. ბიულეტენების მომზადების, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს ხელმძღვანელობს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია, ხოლო მის შექმნამდე – ხმის დამთვლელი დროებითი კომისია.

8. ბიულეტენს საკრებულოს წევრი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ხმის მიცემისას საკრებულოს წევრი შემოხაზავს იმ კანდიდატურის რიგით ნომერს, რომელსაც იგი მხარს უჭერს. ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის (ხმის დამთვლელი) კომისიის თავმჯდომარეს, გაფუჭებულ ბიულეტენს ჩამოაჭრას რიგითი ნომრების აღმნიშვნელი კიდე, ჩააბაროს იგი და მიიღოს ახალი. შევსებულ ბიულეტენს საკრებულოს წევრი უშვებს კენჭისყრისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ყუთში.

9. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, სამანდატო სპროცედურო და ეთიკის (ხმის დამთვლელი) კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ხსნის კენჭისყრისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ ყუთს და ითვლის ბიულეტენების რაოდენობას. ბიულეტენი ბათილად იქნება ცნობილი, თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატის რიგითი ნომერი ან შეუძლებელია დადგინდეს რომელ კანდიდატს მიეცა ხმა.

10. ხმის დამთვლელი კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, ადგენს ოქმს, რომელშიც აღინიშნება თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების, აგრეთვე ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის ოქმს საკრებულოს სხდომას აცნობს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე.

11. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

12. თუ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი და იგი არ აირჩიეს, ეწყობა ხელახალი არჩევნები. ერთი და იმავე კანდიდატი შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

13. თუ არჩევნებში მონაწილეობდა ორი ან მეტი კანდიდატი, მაგრამ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ეწყობა არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ის ორი კანდიდატი, რომელმაც სხვებზე მეტი ხმა დააგროვა. თუ ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა რამდენიმე კანდიდატმა, არჩევნების მეორე ტურის ბიულეტენში შეიტანება ის კანდიდატი რომელიც უფრო ადრე იქნა წამოყენებული საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად.

14. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისათვის ხელახალი კენჭისყრა ტარდება მეორე დღეს. ხელახალი კენჭისყრის დროს თავიდან ხდება კანდიდატურების დასახელება. ხელახალი კენჭისყრა ტარდება საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით.

მუხლი 92. გამგებლის (მერის) არჩევის წესი

1. გამგებლის (მერის) არჩევა ხდება საკრებულოს მიერ "ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, საკრებულოს ბიუროს მიერ შერჩეული კანდიდატურებიდან.

2. საკრებულოს ბიურო განსაზღვრავს გამგებლისადმი (მერისადმი) წამოყენებულ მოთხოვნებს და აქვეყნებს განცხადებას გამგებლის (მერის) კანდიდატურაზე კონკურსის ჩატარების შესახებ.

3. კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში საკრებულოს ბიურო იღებს და განიხილავს შემოსულ განცხადებებს.

4. გამგებლის (მერის) კანდიდატურაზე კონკურს ატარებს საკრებულოს ბიურო 'საჯარო სამსახურის შესახებ~ საქართველოს კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და ამ დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად.

5. ჩატარებული კონკურსის საფუძველზე საკრებულოს ბიურო შეარჩევს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კანდიდატურას.

6. საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ. საკრებულოს მიერ საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კონკურსი.

7. საკრებულო გამგებელს (მერს) ირჩევს ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით.

8. გამგებლის (მერის) ასარჩევად კენჭისყრა ტარდება ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესის შესაბამისად.

9. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული კანდიდატი, საკრებულოს ბიურო აცხადებს ხელახალ კონკურს.

მუხლი 93. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესი

1. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევენ საკრებულოს წევრები თავისი შემადგენლობიდან საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს.

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 94. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების წესი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ, საკრებულოს ბიურომ, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 95. საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების წესი

1. საკრებულო საკრებულოს დებულებიდან გამომდინარე ქმნის კომისიებს.

2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ საკრებულოს წევრები საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან.

3. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა 1/5-ს.

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესის მე-4-მე-14 პუნქტების ანალოგიურად.

5. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე არჩევიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციების კვოტების შესაბამისად საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის შემადგენლობას. კომისია უნდა შედგებოდეს არა ნაკლებ ხუთი წევრისაგან. საკრებულოს წევრს უფლება აქვს იყოს მხოლოდ ორი კომისიის შემადგენლობაში. კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს საკრებულოს სხვა კომისიის თავმჯდომარეც.

6. საკრებულოს კომისიის შემადგენლობის დამტკიცება ხდება კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით, ღია კენჭისყრით.

მუხლი 96. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების წესი

1. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს ბიურომ, საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა ან შესაბამისი კომისიის წევრთა არა ნაკლებ 2/3-მა. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების

შესახებ მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. თუ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა მხარი არ დაუჭირა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენებას, დაუშვებელია კენჭისყრიდან მომდევნო სამი თვის განმავლობაში საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხის ხელახალი დასმა.

მუხლი 97. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების წესი

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თანამდებობიდან შეიძლება გადააყენოს შესაბამისმა კომისიამ. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების საკითხი კომისიის წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარემ ან კომისიის წევრთა არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარს დაუჭერს საკრებულოს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 98. უნდობლობის გამოცხადებით გამგებლის (მერის) თანამდებობიდან გათავისუფლების წესი

1. საკრებულოს წევრთა 1/3-ს უფლება აქვს საკრებულოს სხდომაზე დააყენოს გამგებლისათვის (მერისათვის) უნდობლობის გამოცხადების საკითხი. საკითხის დასმას თან უნდა ერთვოდეს დასაბუთება უნდობლობის გამოცხადების მოტივის შესახებ.

2. საკითხი უნდობლობის გამოცხადების შესახებ შეიტანება სხდომის დღის წესრიგში საკითხის დასმიდან არა უადრეს ერთი თვისა.

3. გამგებელს (მერს) უფლება აქვს მოითხოვოს შემთანხმებელი ან საგამოძიებო დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა. გამგებლის (მერის) ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

5. საკითხის დასმიდან ერთი თვის ვადაში, ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით საკრებულოს ბიურო კონკურსის საფუძველზე შეარჩევს და საკრებულოს წარუდგენს გამგებლის (მერის) ახალ კანდიდატურებს.

6. გამგებლისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ საკითხის განხილვა იწყება საკითხის ინიციატორთა ჯგუფის მიერ დანიშნული მომხსენებლის გამოსვლით. მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ მოსმენილ უნდა იქნეს შემთანხმებელი ან საგამოძიებო დროებითი ჯგუფის მოხსენება და გამგებლის (მერის) ან მისგან უფლებამოსილი პირის არგუმენტები ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ მოსმენილ უნდა იქნეს გამგებლის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატების გამოსვლები. უნდობლობის გამოცხადების საკითხზე დებატები არ იმართება.

6. საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ შეკითხვები დაუსვან გამომსელელებს. შეკითხვების დასმის შემდეგ ჯერ საკითხის ინიციატორთა ჯგუფის წარმომადგენელს, ხოლო შემდეგ გამგებელს ან მისგან უფლებამოსილ პირს ეძლევა დასკვნითი სიტყვით გამოსვლის უფლება.

7. დასკვნითი სიტყვის მოსმენის შემდეგ ტარდება გამგებლის (მერის) არჩევნები ამ დებულებით გათვალისწინებული წესით, ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენში შეიტანება მხოლოდ გამგებლის (მერის) თანამდებობაზე საკრებულოს ბიუროს მიერ დასახელებული კანდიდატები.

8. გამგებლის (მერის) მიმართ უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ საკრებულოს სხდომამ, რომლის დღის წესრიგშიც შეტანილია ეს საკითხი, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, ფარული კენჭისყრით აირჩია ახალი გამგებელი (მერი).

9. თუ საკრებულომ ვერ შეძლო პირველივე ტურში აერჩია ახალი გამგებელი (მერი), ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება და იგი იმავე მოტივით საკრებულოს წინაშე შეიძლება დაისვას მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ.

10. დაუშვებელია გამგებლის (მერის) თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დასმა გამგებლის (მერის) თანამდებობაზე არჩეულიდან პირველი სამი თვის და საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ბოლო სამი თვის განმავლობაში.

თავი XII. საკრებულოს სამართლებრივი აქტების გაფორმების წესი

მუხლი 99. საკრებულოს სამართლებრივი აქტების გაფორმება

1. საკრებულოს სამართლებრივი აქტები სრულდება შესაბამის ბლანკებზე საქართველოს კანონის –'საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.

2. საკრებულოს სამართლებრივი აქტის სათაური უნდა იყოს მოკლე და შეესაბამებოდეს დოკუმენტის შინაარსს.

3. საკრებულოს სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს მითითებებს საკრებულოს სხვა სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული პუნქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, თუ ახალი დოკუმენტი გამორიცხავს (არ შეესაბამება) ადრე გამოცემულის (მიღებულის) მოქმედებას.

4. საკრებულოს სამართლებრივ აქტებში სამართლებრივი აქტების აღნიშვნისას მიეთითება ასეთი აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი, აქტის სახე და სათაური, ზუსტი და სრული სახელწოდება, მიმღები (გამომცემი) ორგანო, ძალაში შესვლის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.

5. საკრებულოს სამართლებრივი აქტებით სხვა დოკუმენტების (დებულების, პროგრამის, კოლეგიალური ორგანოს შემადგენლობის და სხვ.) დამტკიცების ან სამართლებრივ დოკუმენტზე სხვა დოკუმენტების თანდართვისას, თანდართული დოკუმენტები დოკუმენტში აღინიშნება როგორც დანართები. დანართს უნდა ჰქონდეს მისი შინაარსის განმსაზღვრელი სათაური და მითითება სამართლებრივი დოკუმენტის კუთვნილებაზე.

6. საკრებულოს სამართლებრივ აქტებში დაუშვებელია ტერმინების შემოკლებული ფორმების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის ტექსტში მითითებულია სათანადო აღნიშვნა ტერმინის შემოკლებული ფორმის შემდგომი გამოყენების თაობაზე.

7. საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რედაქტირებას და დოკუმენტალურ გაფორმებას ახორციელებს საკრებულოს აპარატის შესაბამისი განყოფილება.

8. საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი საკრებულოს აპარატის უფროსის, საკრებულოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსისა და რედაქტორის ვიზირების შემდეგ, საკრებულოს მიერ მისი მიღებიდან სამი დღის ვადაში გადაეცემა საკრებულოს თავმჯდომარეს ხელმოსაწერად.

მუხლი 100. საკრებულოს სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლა

1. საკრებულოს ნორმატიული აქტები ძალაში შედის დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე, თუ აქტში სხვა ვადა არ არის მითითებული.

2. საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, თუ დოკუმენტში სხვა ვადა არ არის მითითებული

მუხლი 101. სხდომის ოქმი

1. საკრებულოს სხდომის ოქმს საკრებულოს სხდომაზე ადგენს საკრებულოს აპარატის შესაბამისი განყოფილების თანამშრომელი. საკრებულოს ყოველ წევრს უფლება აქვს გაეცნოს სხდომის ოქმს საკრებულოს სხდომის შემდგომ სამუშაო დღეს. შენიშვნები სხდომის ოქმის შესახებ შეიძლება შემოტანილ იქნეს ოქმის გაცნობისათვის განკუთვნილი დღის განმავლობაში. შენიშვნები გადაეცემა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც, თუ დაეთანხმა გამოთქმულ შენიშვნას, იძლევა განკარგულებას სხდომის ოქმის შესწორების შესახებ. თუ დაწესებული ვადის განმავლობაში შენიშვნები არ იქნა გამოთქმული ან შენიშვნების შესაბამისად მოხდა სხდომის ოქმის შესწორება და დამატებითი შენიშვნა არ იქნა შემოტანილი, საკრებულოს თავმჯდომარე ხელს აწერს სხდომის ოქმს. თუ საკრებულოს თავმჯდომარე არ გაიზიარებს გამოთქმულ შენიშვნებს, საკრებულოს წევრს უფლება აქვს მიმართოს შესაბამისი განცხადებით საკრებულოს სხდომას, რომელიც მოცემულ საკითხზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

2. სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) სხდომის ჩატარების ადგილი, რიცხვი, თვე და წელი;

ბ) ოქმის რიგითი ნომერი;

გ) საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა, უფლებამოსილებაცნობილ წევრთა რაოდენობა და სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა;

დ) სხდომის დღის წესრიგი მომხსენებელთა ვინაობის მითითებით;

ე) სხდომაზე გამომსვლელთა სია;

ვ) საკითხები, რომლებიც დაისვა კენჭისყრაზე;

ზ) კენჭისყრის შედეგები;

თ) საკრებულოს გადაწყვეტილებები.

3. სხდომის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 102. საკრებულოს სხდომის ოქმის შენახვისა და სარგებლობის წესი

1. საკრებულოს სხდომის ოქმი ინახება საკრებულოს აპარატში.

2. სხდომის ოქმი საჯაროა (გარდა იმ საკითხებისა, რომელიც განხილული იქნა დახურულ სხდომაზე).

3. საკრებულოს სხდომის ოქმს თან უნდა დაერთოს:

ა) სხდომაზე მონაწილე საკრებულოს წევრთა საგაბელო რეგისტრაციის ფურცელი;

ბ) სხდომაზე განხილული პროექტების ორიგინალები;

ვ) სახელობითი კენჭისყრის ფურცლები, ფარული კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი.

4. საკრებულოს სხდომის ოქმზე თანდართული მასალები საკრებულოს აპარატში ინახება სამი თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ბარდება არქივში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XIII. საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელება

მუხლი 103. საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელების ფორმები

1. საკრებულო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, გამგეობის (მერიის) საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით.

2. საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელების ფორმებია:

ა) საკრებულოს წევრის მიერ კითხვის დასმა და ინტერპელაცია;

ბ) ინფორმაციის გამოთხოვა;

გ) ანგარიშის მოსმენა.

მუხლი 104. კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე

1. საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია ბიუროს ან/და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანოს საკრებულოს მიერ მიღებული იმ სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა აღსრულების მდგომარეობაზეც ბიურომ (საკრებულომ) უნდა მოისმინოს ინფორმაცია. ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესაბამისმა კომისიამ და გამგეობის (მერიის) შესაბამისმა სამსახურმა.

2. საკრებულოს კომისიისა და გამგეობის (მერიის) შესაბამისი სამსახურის მოხსენება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულების მდგომარეობის, ეფექტიანობის, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო შესწორებების შეტანის შესახებ.

3. ინფორმაციების მოსმენის შემდეგ საკრებულოს ბიურო (საკრებულო) ახდენს შესაბამის მეფასებას და უფლებამოსილია დააყენოს შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 105. კონტროლი გამგეობის (მერიის) საქმიანობაზე

1. საკრებულოს კომისიები დარგების მისადგით აკონტროლებენ შესაბამის სამსახურების საქმიანობას, პერიოდულად ისმენენ მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს და დასკვნებს და წარუდგენენ საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

2. საკრებულოს ბიურო პერიოდულად, მის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ისმენს გამგებლის (მერის), საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და განამდებობის პირების ანგარიშებს, აძლევს მათ მეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში აყენებს მათ პასუხისმგებლობის საკითხს.

3. გამგებელი (მერი) ან მისგან უფლებამოსილი პირი ვალდებულია კვარტალში ერთხელ საკრებულოს ბიუროს და ბიუროს გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომას წარუდგინოს ანგარიში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

თავი XIV. საკრებულოს აპარატი

მუხლი 106. საკრებულოს აპარატის ფუნქციები

1. საკრებულოს აპარატი იქმნება 'ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ~ საქართველოს

ორგანული კანონის შესაბამისად, საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციული და იურიდიული უზრუნველყოფის მიზნით.

2. აპარატის ფუნქციაა უზრუნველყოს საკრებულოს ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დახმარება გაუწიოს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოს მოქალაქეთა ურთიერთობა საკრებულოსთან.

3. აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ორგანიზებული სხვა ღონისძიებების ჩატარება. უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება.

ბ) მოამზადოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმების პროექტები, საკრებულოს და საკრებულოს ორგანოების სხდომაზე განსახილველი საკითხები, აგრეთვე ამ საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი მასალები.

გ) ორგანიზება გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან.

დ) ორგანიზება გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ურთიერთობის დამყარებას სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ ოფიციალური დელეგაციების მიღება და გამგზავრება.

ე) ორგანიზაციული და საკონსულტაციო მომსახურება გაუწიოს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში.

ვ) მოამზადოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტები; მოახდინოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა; საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს წინადადებები თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების თაობაზე.

ზ) უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა, სხდომის ოქმების წარმოება, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაცია, სხდომებზე წესრიგის დაცვის ორგანიზება, კენჭისყრისას ხმების დათვლა.

თ) ორგანიზება გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას.

ი) წარმოადგინოს და დაიცვას თვითმმართველი ერთეულის ინტერესები სასამართლოში.

კ) უზრუნველყოფოს ერთიანი საქმისწარმოება, სამსახურებრივი დოკუმენტების, მოქალაქეების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ გამოგზავნილი წერილების და მიმართვების აღრიცხვა, სისტემატიზაცია, მათი გადაგზავნა ადრესატებისათვის; განახორციელოს კონტროლი დასმული საკითხების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვაზე. უზრუნველყოს დოკუმენტაციის შენახვა და საარქივო წარმოება.

ლ) განახორციელოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საინფორმაციო, ანალიტიკური, საცნობარო და ტექნოლოგიურ-პროგრამული უზრუნველყოფა, თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება, თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური სისტემების ორგანიზება და განვითარება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის ორგანიზება.

მ) უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებში და თანამდებობის პირებთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, შესაბამისი მასალების მომზადება, დაევალებათა აღრიცხვა და კონტროლი მათ შესრულებაზე.

ნ) განახორციელოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; გასწიოს სარჯები ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა შესაბამისად და აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა.

მუხლი 107. საკრებულოს აპარატის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია

1. საკრებულოს აპარატის საქმიანობას წარმართავს აპარატის უფროსი. საკრებულოს აპარატის უფროსს და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პირებს 'საჯარო სამსახურის შესახებ– საქართველოს კანონის შესაბამისად კონკურსის საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება საკრებულოს აპარატის დებულებით, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

თავი XV. მოქალაქეთა და დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში

მუხლი 108. მოქალაქეთა მონაწილეობა საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოების სხდომებში

მოქალაქეები ამ რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად თავისუფლად შეიძლება დაესწრონ საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოების სხდომებს.

მუხლი 109. მოქალაქეთა ინფორმირება საკრებულოს საქმიანობის შესახებ

მოქალაქეთა ინფორმირებას საკრებულოს საქმიანობის შესახებ უზრუნველყოფს საკრებულოს საინფორმაციო ცენტრი. ინფორმირება ხორციელდება საკრებულოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის, საკრებულოს ინტერნეტ-პორტალის და ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული მასმედიის მეშვეობით.

მუხლი 110. ნორმატიული აქტის ინიციირება პეტიციის წესით

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ არანაკლებ 1000 ამომრჩეველს უფლება აქვს პეტიციის წესით საკრებულოში შეიტანოს საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. პეტიციის წესით ნორმატიული აქტის ინიციირებისათვის საჭიროა:

ა) პეტიცია ხელმოწერილი იყოს არანაკლებ 1000 ამომრჩეველის მიერ;

ბ) პეტიციას თან უნდა ერთვოდეს ნორმატიული აქტის პროექტი და ხელმომწერთა სია. ხელმომწერთა სიაში შეიტანება პეტიციაზე ხელისმომწერი ამომრჩეველის სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი და რეგისტრაციის მისამართი.

3. პეტიციაზე ხელმოწერების ნამდვილობას ამოწმებს საკრებულოს აპარატი.

4. პეტიცია წარედგინება საკრებულოს აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს ნორმატიული აქტის პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და პროექტის დადგენილი წესით შეტანას საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მუხლი 111. ლობისტური საქმიანობა საკრებულოში

ლობისტური საქმიანობა საკრებულოში დაიშვება "ლობისტური საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი XVI. საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დაცვა და პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის

მუხლი 112. კონტროლი საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დაცვაზე და მისი დარღვევის შედეგები

1. საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია მისი მიღების მომენტიდან.

2. საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო საკრებულოს სხდომის დროს საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნათა დაცვაზე – საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 113. ზომები საკრებულოს სხდომის წესების დარღვევისათვის

საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი საკრებულოს სხდომის წესების დარღვევისათვის სხდომაში მონაწილე პირის მიმართ სხდომის თავმჯდომარის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ზომები:

ა) წესრიგისკენ მოწოდება;

ბ) გაფრთხილება;

გ) გაფრთხილება ოქმში შეტანით;

დ) სიტყვით გამოსელის უფლების ჩამორთმევა სხდომის დამთავრებამდე.

მუხლი 114. წესრიგისკენ მოწოდება

1. სხდომაში მონაწილე პირს წესრიგისკენ შეიძლება მოუწოდოს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარემ.

2. სხდომაში მონაწილე პირს წესრიგისკენ შეიძლება მოუწოდონ, თუ იგი:

ა) სიტყვით გამოდის სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე;

ბ) ხმარობს შეურაცმყოფელ გამოთქმებს.

მუხლი 115. გაფრთხილება

სხდომაში მონაწილე პირს, რომელსაც ამავე სხდომაზე უკვე მოუწოდეს წესრიგისკენ, თუ იგი აგრძელებს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოეცხადება გაფრთხილება.

მუხლი 116. გაფრთხილება ოქმში შეტანით

1. გაფრთხილება ოქმში შეტანით სხდომაში მონაწილე პირს ეძლევა საკრებულოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ იგი:

ა) უკვე იქნა გაფრთხილებული, მაგრამ აგრძელებს წესრიგის დარღვევას;

ბ) ქმნის უწესრიგობას სხდომაზე, რითაც ხელს უშლის სხდომის მიმდინარეობას;

გ) შეურაცხყო საკრებულო ან პირი, განურჩევლად იმისა, იმყოფება ეს პირი საკრებულოს სხდომაზე თუ არა.

მუხლი 117. სიტყვით გამოსვლის უფლების ჩამორთმევა სხდომის დამთავრებამდე

საკრებულოს წევრს საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას სიტყვით გამოსელის უფლება სხდომის დამთავრებამდე, თუ იგი:

ა) გააფრთხილეს ოქმში შეტანით, მაგრამ კვლავ აგრძელებს წესრიგის დარღვევას;

ბ) ეწინააღმდეგება მის მიმართ გამოტანილ პასუხისმგებლობის ზომას.

თავი XVII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 118. საკრებულოს დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. საკრებულოს დებულება (რეგლამენტი) მიიღება საკრებულოს მიერ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2. საკრებულოს დებულებაში (რეგლამენტში) ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატიეით;

ბ) საკრებულოს ბიუროს ინიციატივით;

გ) საკრებულოს წევრთა არა ნაკლებ 1/5-ის ინიციატიეით.

3. საკრებულოს დებულებაში (რეგლამენტში) ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

თვითმმართველი ერთეულის გამგეობის დებულება

ეს დებულება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს - გამგეობის სტრუქტურას, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და გამგეობის თანამდებობის პირების უფლებამოსილებებს და მათი მუშაობის ორგანიზაციას.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამგეობა

1. გამგეობა არის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შედგება გამგებლის, გამგებლის პირველი მოადგილის, გამგებლის მოადგილის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობის ტერიტორიული ორგანოებისაგან.

2. გამგებელი, გამგებლის პირველი მოადგილე, გამგებლის მოადგილე, გამგეობის სტრუქტურული ერთეულები და გამგეობის ტერიტორიული ორგანოები "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონებისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, ამ დებულებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ საკრებულოს გადაწყვეტილებების აღსრულებასა და თვითმმართველი ერთეულის მართვას.

მუხლი 2. გამგეობის საქმიანობის საფუძველი და ძირითადი პრინციპები

1. გამგეობის ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს კონსტიტუციის, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონებისა და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე საკრებულოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, ამ დებულებით დადგენილი წესით.

2. გამგეობის ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობას ახორციელებენ კანონიერების, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 3. გამგეობის მუშაობის საერთო წესი

1. გამგეობის ორგანოების და თანამდებობის პირების უფლებამოსილება განისაზღვრება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და ამ დებულებით.

2. გამგეობის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს გამგებელი.

3. გამგებელი და გამგეობა ანგარიშვალდებული არიან საკრებულოს წინაშე.

მუხლი 4. გამგეობის სამუშაო ენა

1. გამგეობის საქმისწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

2. მოქალაქეები, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას, ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს და გამგეობასთან სხვა ურთიერთობებისას გამგეობის მიერ უზრუნველყოფილნი არიან თარჯიმნის მომსახურებით.

მუხლი 5. გამგეობის ადგილსამყოფელი

გამგეობის ადგილსამყოფელია ქალაქი N, ქუჩა # —-

თავი II. გამგებელი, გამგებლის პირველი მოადგილე და გამგებლის მოადგილე

მუხლი 6. გამგებელი

1. გამგებელი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის ხელმძღვანელ თანამდებობის პირს, რომელიც წარმართავს გამგეობის საქმიანობას და პასუხისმგებელია გამგეობის საქმიანობაზე.

2. გამგებელი თანამდებობაზე აირჩევა საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

3. გამგებლის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს საკრებულო.

4. გამგებლის თანამდებობაზე არჩევის, მისი უფლებამოსილების შეწყვეტის პირობები და წესი, გამგებლის უფლებამოსილებანი და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და ამ დებულებით.

5. გამგებელი ანგარიშვალდებულია საკრებულოს და ადგილობრივი ამომრჩეველების წინაშე.

მუხლი 7. გამგებლის უფლებამოსილებანი

1. გამგებელის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოების დებულებების, გამგეობის სტრუქტურისა და სამტატო ნუსხის შემუშავება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) გამგეობის საქმიანობის შინაგანაწესის დამტკიცება; კონტროლი მინაგანაწესის შესრულებაზე;

გ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოების დებულებათა შესაბამისად გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცება; თანამდებობრივ ინსტრუქციათა შესრულების კონტროლი და შეფასება;

დ) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, ამ დებულების, "ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ დებულების" შესაბამისად გამგეობის სამტატო განრიგით გათვალისწინებული და მტატგარეშე საჯარო მოსამსახურეების, აგრეთვე დროებით არმყოფი მოხელეების მოვალეობის შემსრულებელთა თანამდებობებზე დანიშვნა;

ე) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამგეობის სამტატო განრიგით გათვალისწინებული და მტატგარეშე საჯარო მოსამსახურეების, აგრეთვე დროებით არმყოფ მოხელეთა მოვალეობის შემსრულებლების თანამდებობებიდან განთავისუფლება;

ვ) "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება;

ზ) ამ დებულებით დადგენილი წესით გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული მართვის ორგანოების სამუშაო გეგმების დამტკიცება; სამუშაო გეგმების შესრულების კონტროლი;

თ) გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული მართვის ორგანოების საქმიანობაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა;

ი) გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და გამგეობის რწმუნებულებისათვის სამსახურებრივ დავალებათა მიცემა, ამ დავალებათა ჯეროვნად და გათვალისწინებულ ვადებში შესრულების კონტროლი; გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშების ბოსმენა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

კ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის შედგენის ხელმძღვანელობა, საკრებულომი დასამტკიცებლად წარდგენა, დამტკიცებული პროგრამის შესრულების ხელმძღვანელობა;

ლ) "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად გამგეობის მიერ ბიუჯეტის პროექტის, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტების მომზადების, გამგეობის მიერ ბიუჯეტის შესრულების ხელმძღვანელობა;

მ) ბიუჯეტის პროექტის, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტების და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის საკრებულოში წარდგენა;

ნ) დამტკიცებულ ბიუჯეტში ერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ამ ორგანიზაციისათვის გამოყოფილი საერთო ასიგნებების 10%-ის ფარგლებში თანხების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ო) ამ დებულებით განსაზღვრულ საკითხებზე, აგრეთვე საკრებულოს დავალებით საკრებულოსათვის წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების, საკრებულოს დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტების მომზადების კოორდინაცია და საკრებულოში წარდგენა;

პ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათზე

შეღავათების დაწესების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება და საკრებულოში წარდგენა;

ჟ) მუნიციპალური შესყიდვების თაობაზე გამგეობის სატენდერო კომისიის შექმნა, აგრეთვე სატენდერო კომისიის ხელმძღვანელობა ან სატენდერო კომისიის ხელმძღვანელის დანიშვნა;

რ) თვითმმართველი ერთეულის ქონებისათვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე საკრებულოსათვის წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება და წარდგენა;

ს) საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ ანგარიშების მომზადება და საკრებულოში წარდგენა;

ტ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ კანონის ან თვითმმართველ ერთეულთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრულ დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

უ) წინადადებების, რეკომენდაციების, დასკვნებისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება მუნიციპალური საწარმოების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე;

ფ) მუნიციპალური საწარმოების საქმიანობის ზედამხედველობა, მათი ხელმძღვანელებისა და თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

ქ) გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური და რიგგარეშე ანგარიშების მომზადება და საკრებულოში წარდგენა;

ღ) წელიწადში ორჯერ – არა უგვიანეს იანვისის ბოლო ორშაბათისა და დეკემბრის ბოლო ორშაბათისა, საჯარო ანგარიშის მომზადება და ამომრჩეველთა წინაშე წარდგენა;

ყ) ამომრჩეველთა მიერ პეტიციის წესით ინიციირებულ საკრებულოს დადგენილებების პროექტებზე წინასწარი დასკვნებისა და წინადადებების მომზადება;

შ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტისა და ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე საკრებულოს დავალებით საკრებულოს სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების საჯარო განხილვების ორგანიზება;

ჩ) ამ დებულებითა და საკრებულოს მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში გამგებელი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – გამგებლის ბრძანებას. გამგებელი ხელს აწერს:

ა) გამგეობის ფინანსურ დოკუმენტებს, მათ შორის ბანკში წარდგენილ საგადასახადო დავალებებს;

ბ) საკრებულოში შეტანილ საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტებს;

გ) ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაციის აქტებს;

დ) საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას;

ე) მუნიციპალური შესყიდვების სატენდერო კომისიის აქტებს;

ვ) მოხელეთა საატესტაციო კომისიის აქტებს;

ზ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დაღებულ ხელშეკრულებებს;

თ) მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებითა და საკრებულოს დავალებებით განსაზღვრულ სხვა ადმინისტრაციულ აქტებს.

3. გამგებელი წამოადგენს თვითმმართველი ერთეულის გამგეობას და რწმუნებების გარეშე მოქმედებს თვითმმართველი ერთეულის გამგეობის სახელით საკრებულოსთან, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში და სასამართლოში.

4. გამგებლის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან განთავისუფლებისას გამგებლის მოვალეობას ასრულებს გამგებლის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ გამგებლის პირველი მოადგილე ან მოადგილე ვერ ახორციელებს გამგებლის უფლებამოსილებას, გამგებლის მოვალეობას ითავსებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 8. გამგებლის არჩევის წესი

1. გამგებელს თანამდებობაზე "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს

ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესის და ამ დებულების შესაბამისად, საკრებულოს ბიუროს წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს ბიურო გამგებლის კანდიდატურების შესარჩევად კონკურსს აცხადებს:

ა) ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დახურვის მეორე დღეს;

ბ) "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის "ა" - "ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში – საკრებულოს მიერ გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების მეორე დღეს;

გ) საკრებულოში გამგებლისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის მეორე დღეს.

3. გამგებლის კანდიდატურების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს საკრებულოს მიერ დადგენილ გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პრეტენდენტთა განცხადებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და "თვითმმართველი ერთეულის გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" დებულებით განსაზღვრული დოკუმენტები საკრებულოს ბიუროს მიერ მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში.

4. გამგებლის შესარჩევად კონკურსი ტარდება "თვითმმართველი ერთეულის გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის" შესახებ დებულების შესაბამისად.

5. საკრებულოს ბიურო გამგებლის კანდიდატურებს საკრებულოს ასარჩევად წარუდგენს კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 30 დღის ვადაში.

6. გამგებელი აირჩევა ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების მეშვეობით, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესის შესაბამისად. გამგებელი აირჩევა საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 9. გამგებლის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ გამგებელი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ახლადარჩეული საკრებულოს მიერ ახალი გამგებლის არჩევამდე.

2. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამგებელი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი თანამდებობის პირის დანიშვნამდე ან არჩევამდე.

მუხლი 10. გამგებლის პირველი მოადგილე და მოადგილე

1. გამგებლის პირველ მოადგილეს და მოადგილეს ამ დებულებით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. გამგებლის გათავისუფლება წარმოადგენს გამგებლის პირველი მოადგილის და მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს.

2. გამგებლის პირველი მოადგილე და მოადგილე ასრულებენ ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ გამგებლის ცალკეულ უფლებამოსილებებს გამგებლის არყოფნისას ან გამგებლის დავალებით.

3. გამგებლის პირველი მოადგილე და მოადგილე ანგარიშვალდებულნი არიან გამგებლის წინაშე.

თავი III. გამგეობის სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 11. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების შექმნა და რეორგანიზაცია

1. გამგეობის სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ ცალკეული სფეროების მიხედვით გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ამ დებულების საფუძველზე შექმნილ სამსახურებს.

2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების შექმნის საფუძველია საკრებულოს დადგენილება ამ დებულების დამტკიცების თაობაზე. გამგეობის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის საფუძველია გამგებლის წარდგინებით მიღებული საკრებულოს დადგენილება "გამგეობის სტრუქტურული ერთეულის შექმნისა და გამგეობის დებულებაში დამატებების შეტანის შესახებ"

4. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის საფუძველია გამგებლის წარდგინებით მიღებული საკრებულოს დადგენილება "გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციისა და გამგეობის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

5. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციის საფუძველია გამგებლის წარდგინებით მიღებული საკრებულოს დადგენილება "გამგეობის სტრუქტურული ერთეულის დებულებაში და გამგეობის საშტატო ნუსხაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ".

6. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომელსაც ამ დებულებით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი.

7. გამგეობის სტრუქტურული ერთეული შედგება განყოფილებებისაგან, რომელთა საქმიანობას წარმართავენ განყოფილების გამგეები. განყოფილება შედგება განყოფილების გამგისა და მოხელეებისაგან – წამყვანი, უფროსი და რიგითი სპეციალისტებისაგან. განყოფილების გამგესა და მოხელეებს ამ დებულებით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 12. გამგეობის სტრუქტურული ერთეულები

გამგეობის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

ბ) ეკონომიკური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების მართვის და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური;

გ) სიერცით-ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური;

დ) კეთილმოწყობის, კომუნალური მეურნეობის და ტრანსპორტის სამსახური;

ე) განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;

ვ) ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამსახური;

ზ) სტატისტიკის, აღრიცხვისა და საარქივო სამსახური;

თ) სახანძრო სამსახური;

ი) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსასური.

მუხლი 13. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

1. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას, ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენას, დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას და საბიუჯეტის სასსრების მართვას, აკონტროლებს ფინანსური რესურსების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას.

2. საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ გამგებლის ბრძანების პროექტის მომზადება; გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა; ბიუჯეტის პროექტის შედგენის უზრუნველსაყოფად მითითებების, წერილების, ინსტრუქციების და მაჩვენებელთა გაანგარიშების ფორმების მომზადება;

ბ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოების საფინანსო პროგნოზების, ნაერთი ხარჯთაღრიცხვებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ხარჯთაღრიცხვის პროექტების ანალიზის ჩატარება; საჭიროების შემთხვევაში წინადადებების მომზადება მათ დასაზუსტებლად;

გ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შედგენის სამუშაოების ორგანიზება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და გამგეობის სხვა სამსახურებთან და ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გაანგარიშებათა მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საფუძველზე ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და გამგებლისა და საკრებულოს ბიუროსათვის განსახილველად წარდგენა; საკრებულოს ბიუროს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ბიუჯეტის პროექტის კორექტირება და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საკრებულოსათვის განსახილველად წარდგენა; მონაწილეობის მიღება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებში, საჯარო განხილვებისას გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა, მათი

ანალიზი და საკრებულოსათვის შესაბამისი დასკვნის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვამდე;

დ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გაწერა კვარტლებისა და თვეების მიხედვით;

ე) "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" და "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის შემოსულობებისა და გადასახდელების დაბალანსება;

ვ) ბიუჯეტის წლიური გაწერის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების, პროგრამების და სამუშაოების დაფინანსება;

ზ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, განაკვეთების განსაზღვრისა და შეცვლის, ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებზე შეღავათების განსაზღვრის შესახებ წინადადებების მომზადება;

თ) ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის განხორციელება;

ი) ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი შემოსულობების შესახებ სისტემატიური (ყოველდღიური) ინფორმაციის მიღება; ბიუჯეტის შემოსულობების მდგომარეობის გაანალიზება და წინადადებების მომზადება ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების უზრუნველსაყოფად;

კ) ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზის ჩატარება, ბიუჯეტის შემოსულობების გაზრდისა და გადასახდელებში ეკონომიის მიზნით წინადადებების მომზადება;

ლ) ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით შესაბამის წინადადებათა მომზადება;

მ) გამგეობის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ორგანოებში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის კონტროლი, ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენებისათვის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა;

ნ) კონტროლის განხორციელება ბიუჯეტის საკასო შესრულებაზე; ადმინისტრაციული ერთეულების, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოების პერიოდული და წლიური ანგარიშების განხილვა და ანალიზი;

ო) წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან კუთვნილი დივიდენდების დაგროვისა და ბიუჯეტში სრულად ჩარიცხვის მიზნით თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსებისა და ანგარიშების კონტროლი და ანალიზი;

პ) მიზნობრივი და სარეზერვო ფონდების შექმნის შესახებ წინადადებების მომზადება;

ჟ) სესხის აღებისა და გაცემის შესახებ წინადადებების და შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;

რ) წინადადებების მომზადება ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრის შესახებ; ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ წინადადებების და შესაბამის ხელშეკრულებათა პროექტების შედგენა;

ს) ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური და კვარტალური ანგარიშის მომზადება.

ტ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგეობის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შედგენა-შესრულების პროცესთან დაკავშირებული მონაცემები; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ბ) საბიუჯეტო სახსრების უკანონო, არამიზნობრივი ან უყაირათო ხარჯვის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში რეკომენდაცია გაუწიოს გამგებელს, შეზღუდოს ან შეაჩეროს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ან სამუშოთა დაფინანსება;

გ) ჩაატაროს შემოწმებები საბიუჯეტო ხარჯვის სისწორეზე;

დ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში პროდუქციაზე, საქონელსა და მოსახლეობისათვის გაწეულ მომსახურებაზე რეგულირებადი ფასებისა და ტარიფების განხილვაში;

ე) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 14. ეკონომიკური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების მართვის და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

1. ეკონომიკური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების მართვის და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ყოველწლიური პროგრამების პროექტების შემუშავებას და მისი განხორციელების კოორდინაციას, ადგილობრივი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მართვასა და ეფექტურ გამოყენებას, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით მუნიციპალური შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას, შესყიდვის პროცედურების კანონიერების დაცვას, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, შესყიდვების პროცესში კონკურენტული გარემოს შექმნას და შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას.

2. ეკონომიკური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების მართვის და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება და მისი შესრულების კოორდინაცია; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზებისა და საფინანსო ბალანსების, აგრეთვე სხვა დოკუმენტების მომზადება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით;

ბ) თვითმმართველი ერთეულის მომავალი წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის შესადგენად საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ გამგებლის ბრძანების პროექტის მომზადება; გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის შედგენის უზრუნველსაყოფად მითითებების, წერილების და ინსტრუქციების მომზადება;

გ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის შემუშავება და გამგებლისა და საკრებულოს ბიუროსათვის განსახილველად წარდგენა; საკრებულოს ბიუროს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის კორექტირება და კანონმდებლობით დადგენილ ვადამი საკრებულოსათვის განსახილველად წარდგენა; მონაწილეობის მიღება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის საჯარო განხილვებში, საჯარო განხილვებისას გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა, მათი ანალიზი და საკრებულოსთვის შესაბამისი დასკვნის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტის განხილვამდე;

დ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამიდან გამომდინარე თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულთა განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავება; ამ პროგრამების განსახორციელებლად თანხებისა და სხვა მატერიალური რესურსების მობილიზების ორგანიზება;

ე) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან შესაბამისობის შეფასება, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებით მიღებული შედეგების ეფექტურობის ანალიზი;

ვ) საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა; მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ზ) მუნიციპალურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების და გაწეული ფინანსური დახმარებების მონიტორინგი;

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ფასების რეგულირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება; დადგენილი ტარიფების რეგულირების ორგანიზაციისა და მათი შენარჩუნების მიზნით საბიუჯეტო სუბსიდიების გაანგარიშება; რეგულირებადი ფასების დონისა და დინამიკის გაანალიზება;

ი) წინადადებების მომზადება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების, ადგილობრივი საბიუჯეტო და საკრედიტო პოლიტიკის საკითხებზე;

კ) თვითმმართველი ერთეულის სახელით დასადები შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტებზე შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ლ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული მართვის ორგანოების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე მომზადებული წინადადებების შეფასება და დასკვნების შემუშავება;

მ) თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა; საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ეკონომიკურ-სტრუქტურული მოდელების შექმნის მეთოდოლოგიური განზოგადება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ნ) წინადადებების მომზადება იმ პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, რომლებიც შეეხება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

ო) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით წინადადებების მომზადება; სხვა თვითმმართველ ერთეულებთან ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტების შედგენა და მათი განხორციელების კოორდინაცია;

პ) რეგიონთაშორისი სავაჭრო კავშირების განვითარების კოორდინაცია;

ჟ) წინადადებების მომზადება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ბაზრობების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;

რ) თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ს) წინადადებების მომზადება მუნიციპალური საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, მათ წესდებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საწარმოთა საწესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ;

ტ) თვითმმართველი ერთეულის გასასხვისებელი ქონების ნუსხის პროექტის, თვითმმართველი ერთეულის ქონების განკერძოების პროგრამების პროექტებისა და დამტკიცებული პროგრამების შესრულების ანგარიშის შედგენა;

უ) გასხვისებული აღგილობრივი ქონების გამოყენებისა და გასხვისებიდან გამომდინარე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი; საჭიროების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება;

ფ) თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, კონტროლი ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

ქ) წინადადებების მომზადება მუნიციპალური ქონების კატეგორიის შეცვლის შესახებ;

ღ) თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის გეგმის პროექტის მომზადება;

ყ) აღგილობრივი ქონების გამოყენების მონიტორინგი და მათი ექსპლოატაციის ეფექტურობის შეფასება; ამორტიზებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული პროექტების მომზადება;

შ) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოების და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი და კონტროლი, მათი ფინანსური ანგარიშების (ბალანსების, მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების) ანალიზი და კონტროლი; მათი საქმიანობის თაობაზე პერიოდული ანგარიშების მომზადება;

ჩ) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოების რენტაბელობის ასამაღლებლად და საწარმოთა სიმძლავრეების ეფექტიანობის ასამაღლებლად სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა და მათი გატარების კოორდინაცია;

ც) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ საწარმოთა საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კუთვნილი დიეიდენდების მობილიზაცია და მათი შემდგომი ზრდისთვის სათანადო ღონისძიებების გატარება; საწარმოთა წმინდა მოგებისა და სხვა შემოსავლების განაწილების თაობაზე ნორმატიულების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის პროექტების შედგენა;

ძ) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ საწარმოთა აუდიტორული შემოწმების ორგანიზების კონტროლი და კოორდინაცია;

წ) საწარმოებში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დამფუძნებლისათვის (პარტნიორისათვის, აქციონერისათვის) მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება, პარტნიორთა/აქციონერთა კრებებზე რწმუნებული პირის მეშვეობით საწარმოთა მართვაში მონაწილეობის მიღება;

ჭ) საწარმოებში თვითმმართველი ერთეულის, როგორც პარტნიორის, წარმომადგენელთა დანიშვნისა და არჩევის საკითხების განხილვა-კოორდინაცია და შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება; საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებში, აგრეთვე დირექტორის თანამდებობაზე გამგებლის მიერ დანიშნული თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათგან შესაბამისი ინფორმაციის მიღება, მოქმედების გეგმების შეთანხმება;

ხ) წინადადებების მომზადება თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ საწარმოთა მომავალი განვითარების ბიზნეს-გეგმისა და წლიური ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე; დამტკიცებული ბიზნეს-გეგმის შესრულების მიმდინარეობის გაანალიზება, საჭიროების შემთხვევაში წინადადებების მომზადება ბიზნეს-გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ; საწარმოთა განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და შედეგობრივი პარამეტრების პროგნოზირება;

ჯ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიწის მართვა, კონტროლი. მიწის გამოყენებასა და მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე;

ჰ) მიწის კადასტრის შედგენა და წარმოება;

ჰ1) წინადადებების და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ ქონების თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც კანონის შესაბამისად თვითმმართველ ერთეულზე გადაცემას ექვემდებარება; გადაცემის პროცესის ორგანიზაციულ საკითხთა გადაწყვეტა;

ჰ2) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზების პროცედურებისა და სანიმუშო დოკუმენტების ფორმების მომზადება;

ჰ3) 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის შესაბამისად შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება; დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად შესყიდვების მომზადება და განხორციელება;

ჰ4) ტენდერების და კანონით დადგენილი შესყიდვის სხვა პროცედურების ორგანიზება;

ჰ5) შესყიდვების პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ჰ6) შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის მომზადება; კონტროლი მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ჰ7) ერთიანი სისტემატიზებული ფორმით ინფორმაციის შეგროვება დაგეგმილი და წარმოებული მუნიციპალური შესყიდვების, მუნიციპალური შესყიდვის არსებული და შესაძლო ობიექტის პოტენციური მომწოდებლებისა და მუნიციპალურ შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ;

ჰ8) შესყიდვების განხორციელების შესახებ პერიოდული და ყოველწლიური ანგარიშების შედგენა;

ჰ9) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული მონაცემები; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 15. სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური

1. სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ მოწყობასა და დასახლებების დაგეგმარებას, მშენებლობების კოორდინაციას და ზედამხედველობას სამშენებლო ნორმების დაცვაზე.

2. სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ფუნქციაა:

ა) წინადადებების მომზადება თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა-გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის თაობაზე;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვა;

გ) თვითმმართველი ერთეულის სივრცითი მოწყობის პოლიტიკის განსაზღვრა, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და მიწათსარგებლობის დაგეგმვა, კანონით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავება;

დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის მარეგულირებელი ნორმებისა და წესების პროექტების მომზადება;

ე) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენა;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის უფლებრივი ზონირების, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესების პროექტების მომზადება;

ზ) დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება; დამტკიცებული პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

თ) ქალაქმშენებლობითი კადასტრის შედგენა და წარმოება;

ი) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის, უძრავი ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაცია;

კ) მშენებლობაზე ნებართვების გაცემა, მშენებლობის პროექტის შეთანხმება; მშენებლობისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადება; საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა და შეთანხმება; მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება;

ლ) სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება;

მ) დასახლებების ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული გარემოს მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასების მოდელირება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგეობის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ბ) დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების განსახორციელებლად მოიზიდოს ინვესტიციები და ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

გ) განიხილოს და შეითანხმოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის, გარე ფორმების (მათ შორის მონუმენტურ-დეკორატიული) ელემენტების, მცირე არქიტექტურული ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, ტრანსპორტზე განთავსებული რეკლამის, გარე რეკლამის მხატვრული იერსახის და განთავსების საკითხები;

დ) მოამზადოს დასახლებათა იერსახის გაუმჯობესებისათვის საპროექტო-საინვესტიციო წინადადებები;

ე) შეიმუშაოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გაერცელების გეგმა;

ვ) მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა საკითხებზე კანონმდებლობის შესაბამისად გასცეს ნებართვები;

ზ) შეახდინოს მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი ობიექტების ინსპექტირება;

თ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

ი) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 16. კეთილმოწყობის, კომუნალური მეურნეობის და ტრანსპორტის სამსახური

1. კეთილმოწყობის, კომუნალური მეურნეობის და ტრანსპორტის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობას, დასუფთავებას და კომუნალურ მომსახურებას, მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებას, სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების რეგულირებას.

2. კეთილმოწყობის, კომუნალური მეურნეობის და ტრანსპორტის სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების პროექტების მომზადება;

ბ) დასახლებებში ელექტრიფიკაციის, გაზმომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგების, ნაგვის შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და მათ განხორციელებაზე მუნიციპალური დაკვეთის განსაზღვრა;

გ) დასახლებებში გარეგანათების და სანიაღვრე ქსელების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) შიდა სარგებლობის გზების, ტროტუარების, ხიდების, გვირაბების, მდინარეთა ჯებირების და სხვა საინჟინრო ნაგებობათა შეკეთებისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა;

ე) სანიტარული დასუფთავების ორგანიზება, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის უზრუნველყოფა;

ვ) საგზაო ნიშნების, გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოწესრიგება;

ზ) დასახლებებში სახლების ნუმერაცია;

თ) ღონისძიებების დაგეგმვა წყალდიდობების შედეგების ლიკვიდირებისათვის, ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისა და ყინულისაგან გასაწმენდად;

ი) წინადადებების მომზადება გამწმენდ ნაგებობათა და ნაგავგადამამუშავებელ საწარმოთა შექმნასა და შენახვაზე;

კ) ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების, პარკების, სკვერების, ბულვარების, წყალსაგუბრების, გამწვანების ზონების მოწყობის ორგანიზება;

ლ) ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დასუფთავების, მყარი ნარჩენების შეგროვების, ნაგავსაყრელების მოწყობის და გამოყენების ორგანიზება;

მ) მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების ორგანიზება;

ნ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის და კომუნალური მეურნეობის მართვა, შესაბამის ობიექტთა მოვლა-პატრონობა;

ო) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზება;

პ) სარიტუალო მომსახურების ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

ჟ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, ორგანიზება, მართვა, დისპეჩერიზაცია, რეგულირება და კონტროლი;

რ) ტრანსპორტის სფეროს რეაბილიტაცია-განვითარების პროგრამის პროექტების მომზადება; დამტკიცებული პროგრამის განხორციელების კოორდინაცია;

ს) კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი სამგზაურო-სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის ნებართვების გაცემა და სანებართვო მოსაკრებელის გადახდევინება;

ტ) ადგილობრივი სამგზაურო-სატრანსპორტო გადაზიდვების აღრიცხვა, გადამზიდველებთან ხელშეკრულებების გაფორმება და სახელშეკრულებო პირობების დაცვაზე ზედამხედველობა;

უ) საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ სატრანსპორტო მომსახურებაზე ზღვრული ან ფიქსირებული ტარიფების პროექტების მომზადება;

ფ) ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება; მათ შესრულებაზე ზედამხედველობა;

ქ) სამგზაურო ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირებისათვის სადისპეჩერო აღრიცხვიანობაზე კონტროლის განხორციელება;

ღ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი ავტოვაგზლების, ავტოსადგურებისა და ავტოსალაროების ფუნქციონირების რეგულირება და აღრიცხვიანობის ერთიანი სისტემის ორგანიზება;

ყ) მომსმარებელთა უფლებების დაცვა და კონტროლი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებისა და მგზავრობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე;

შ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) განსაზღვროს დარგიდან გამომდინარე შესასრულებელი ანაზღაურებადი სამუშაოების ნუსხა;

ბ) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

გ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩააგაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს ნებართვები ადგილობრივი სამგზაურო-საგრანსპორტო გადაზიდვებისათვის და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები; გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები ტრანსპორტის სფეროში არალეგალური და უნებართვო მეწარმეობის აღმოსაფხვრელად;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 17. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

1. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფი განათლების, კულტურისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარების კონცეფციების და პროგრამების მომზადებას, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების მართვას, შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

2. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი განათლების, კულტურისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვა; მათი რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება; დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

ბ) წინადადებებისა და კონცეფციების შემუშავება დაქვემდებარებული კულტურის, სპორტის, საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე და სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

გ) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალური პროგრამების მომზადება, საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება;

დ) კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების, ხალხური მემოქმედების, თეატრალური, მუსიკალური, მხატვრული და ხელოვნების სხვა დარგების განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა დაგეგმვა;

ე) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებების მომზადება;

ვ) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამების მომზადება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ზ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი, არზრდის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, განათლებისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია;

კონტროლი ამ ობიექტებში სანიტარული ნორმების დაცვის, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და საკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონირებაზე;

თ) ახალი სასწავლო წლისათვის და ზამთრის სეზონისათვის შესაბამის სამუშაოთა მომზადების ორგანიზება და კოორდინაცია;

ი) სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების ექსპლოატაციისათვის სარეზერვო-სათადარიგო მასალების მოცულობის განსაზღვრა და მარაგების შექმნა, მიმდინარე და სეზონური პროფილაქტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მათი განხორციელების ორგანიზება; ამ დაწესებულებების საჭირო ინვენტარით აღჭურვის ორგანიზება, მათი მოვლის, აღრიცხვის და დაცვის უზრუნველყოფა;

კ) სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია და უზრუნველყოფა; მათში მედპუნქტების ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ლ) სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება; მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების კოორდინაცია;

მ) სამსახურის მართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვა და პოპულარიზაცია, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფა, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 18. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამსახური

1. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვას, მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და უმუშევართა დახმარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას.

2. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ბ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

გ) ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიური მომსახურების მუნიციპალური პროგრამების პროექტების მომზადება და დამტკიცებული პროგრამების განხორციელება;

დ) მოსახლეობის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, პირველადი სამედიცინო-სანიტარული და სხვა სახის სამედიცინო-სოციალური დახმარების ღონისძიებათა ორგანიზება;

ე) სამედიცინო დაწესებულებათა (საავადმყოფოები, ამბულატორიები და სხვ.) მოვლა-პატრონობის, რემონტის და რეკონსტრუქციის ორგანიზება;

ვ) ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი სისტემის ქსელის განვითარების უზრუნველყოფა;

ზ) მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემოლოგიური დაცვის უზრუნველყოფა, კონტროლი დადგენილი სანიტარულ-ეპიდემოლოგიური ნორმების დაცვაზე;

თ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მოსახლეობაზე სოციალური პირობების გავლენის შესწავლა და შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა;

ი) სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მათზე სოციალური დახმარებისა და სხვა სახის შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება;

კ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;

ლ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვა, მათი პრობლემების შესწავლა, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და მათი სოციალური უფლებების დაცვა;

მ) სამშრუნველო ქსელის განვითარება, თავშესაფრების მოწყობის ორგანიზება და მოსახლეობის სოციალური აღაპტაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

ნ) მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა დახმარების მუნიციპალური პროგრამების პროექტების მომზადება და დამტკიცებული პროგრამების განხორციელება;

ო) ღონისძიებათა დაგეგმვა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით;

პ) იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზება, რომელთა დახმარებაც ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ჟ) შრომის ბაზრის ანალიზი და შესაბამის წინადადებათა მომზადება;

რ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) შეიმუშაოს წინადადებები და დასკვნები თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების გახსნის, გაუქმებისა და რეორგანიზაციის შესახებ;

ბ) მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში განახორციელოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების მიერ პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის კონტროლი;

გ) მიიღოს ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს მათი სამედიცინო საქმიანობის ნებართვის შეჩერების ან შეწყვეტის წარდგინება;

დ) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ე) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 19. სტატისტიკის, აღრიცხვისა და საარქივო სამსახური

1. სტატისტიკის, აღრიცხვისა და საარქივო სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სტატისტიკის წარმოებას, მუნიციპალური ქონების, დოკუმენტების, უფლებების აღრიცხვას და დაარქივებას, ადგილობრივი არქივის მართვას.

2. სტატისტიკის, აღრიცხვისა და საარქივო სამსახურის ფუნქციაა:

ა) მუნიციპალური ქონების, დოკუმენტების, უფლებების აღრიცხვა;

ბ) სტატისტიკური დაკვირვება და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

გ) თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური საინფორმაციო ბაზის შექმნა;

დ) ადგილობრივი არქივის მართვა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 20. სახანძრო სამსახური

1. სახანძრო სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სანძრის თავიდან აცილებას, ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებას.

2. სახანძრო სამსახურის ფუნქციაა:

ა) ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება, მათი ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, რომლებიც წარმოადგენენ ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებს;

გ) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა შესახებ წინადადებათა მომზადება და ამ ღონისძიებათა გატარების კოორდინაცია;

დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მიზნით მშენებლობისა და ტექნიკური გადაიარაღების საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) გააკონტროლოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულება; ჩაატაროს ამ ობიექტების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობები;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ექსპლოატაცია;

დ) კანონით დადგენილი წესით მოამზადოს წინადადება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის, მათ შორის სანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამდებობის პირთა მითითებების შეუსრულებლობის ან არადროული შესრულებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაწესების შესახებ;

ე) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

ვ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 21. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

1. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას – მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზებას.

2. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ჭაბუკებისა და წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა ზუსტი აღრიცხვა;

ბ) 15 წლის ასაკის ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა;

გ) წვევამდელთა საჯალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლი;

ე) საჯალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზაცია და გაწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებში გაგზავნა;

ვ) კონტროლი სასწავლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ 'სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ~ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვაზე;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. სამსახურს უფლება აქვს:

ა) არღიცხვაზე აყვანისა და საჯალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები და საჩივრები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;

ბ) საჯალდებულო სამხედრო სამსახურის გავლისთვის თავის ამრიდებელი მოქალაქეების შესახებ მოამზადოს შესაბამისი მასალები და გადასცეს ისინი სამართალდამცავ ორგანოებს;

გ) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს მათ საჭირო ინფორმაცია;

დ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 22. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი, არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც 'საჯარო სამსახურის შესახებ~ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს გამგეობის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, ახორციელებს შესაბამისი სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებაზე;

გ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ამ დებულებით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დებულებას, მოსამსახურეთა ფუნქციურ განაწილებას და სამუშაო გეგმას;

დ) განსაზღვრავს გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს; გამგებელს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შეებულების, მივლინების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე;

ე) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ვ) განსაზღვრავს გამგეობის შესაბამისი სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის წესს; შეიმუშავებს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე;

ზ) უქმნის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს აუცილებელ პირობებს მათი

ფუნ;ქციონალური მოვალეობების შესასრულებლად, საიდუმლოების რეჟიმის, შრომის შინაგანაწესის მოთხოვნების დასაცავად;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და გამგეობის სტრუქტურული ერთეულის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის დავალებით მის მოვალეობებს ასრულებს სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთი მოხელე.

თავი IV. გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოები

მუხლი 23. გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოები

1. გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოების ფუნქციაა განამტკიცოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების კავშირი მოსახლეობასთან, ორგანიზაციულად უზრუნველყოს და გააკონტროლოს საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირების და გამგებლის გადაწყვეტილებათა შესრულება; ორგანიზება და კონტროლი გაუწიოს მოსახლეობისათვის კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას; უზრუნველყოს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მართვა.

2. გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოები იქმნება თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

3. ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება, ადმინისტრაციული საზღვრები, ადმინისტრაციული ცენტრი და მასში შემავალი დასახლებები განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით 'თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ".

4. ტერიტორიული მართვის ორგანოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულებისა და 'გამგეობის ტერიტორიული ორგანოს~ დებულების საფუძველზე.

5. ტერიტორიული მართვის ორგანოს სტრუქტურას და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საკრებულო გამგებლის წარდგინებით.

მუხლი 24. გამგეობის რწმუნებული

1. ტერიტორიული მართვის ორგანოს ხელმძღვანელობს გამგეობის რწმუნებული, რომელსაც ერთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. გამგეობის რწმუნებული საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებაში, დასახლებათა ჯგუფში ან დასახლების ნაწილში).

3. გამგეობის რწმუნებული:

ა) წარმართავს გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს მოსახლეობის კავშირს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

გ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, გამგებლის წარუდგენს ინფორმაციას გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ე) შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურას და საშტატო ნუსხას;

ვ) ახორციელებს დებულებით, საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. გამგეობის რწმუნებული ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

თავი V. გამგეობის სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული მართვის ორგანოს მოსამსახურეები

მუხლი 25. გამგეობის სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული მართვის ორგანოს მოსამსახურეები

1. გამგეობის სტრუქტურულ ერთეულსა და ტერიტორიული მართვის ორგანოში მოსამსახურე პირები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები.

2. გამგეობის სტრუქტურულ ერთეულსა და ტერიტორიული მართვის ორგანოში შემავალ თანადებობათა დასახელება, შესაბამის სამუშაოთა აღწერილობანი და თანამდებობრივი ინსტრუქციები განისაზღვრება "საჯარო სამსახურის რეესტრისა" და ამ დებულების შესაბამისად.

3. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების თანამდებობათა ნუსხას, შესაბამის სამუშაოთა აღწერილობასა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს სამსახურის უფროსის/გამგეობის რწმუნებულის წარდგინებით ამტკიცებს გამგებელი.

4. გამგეობის სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული მართვის ორგანოს მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ~ საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 26. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

1. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო ,კონკურსის შედეგების მიხედვით.

2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ატარებს საკრებულოს მიერ შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

3. კონკურსი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურის თანამდებობის დასაკავებლად უნდა გამოცხადდეს შესაბამისი ვაკანსიის გაჩენიდან ერთი კვირის ვადაში. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით "ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ".

მუხლი 27. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და შტატების დამტკიცების წესი

გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს, თანამდებობათა დასახელებას და შტატებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

მუხლი 28. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეთა უფლებები

გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

ა) წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

გ) ისარგებლონ მათი მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;

დ) დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ისარგებლონ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

მუხლი 29. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეთა მოვალეობები

1. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოსამსახურეები ვალდებულნი არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები;

გ) შესაბამისი საფუძველის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ საკუთარი პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახამინო ქონებას.

2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული მართვის ორგანოების მოხელეები ეალდებულნი არიან ორ წელიწადში ერთხელ მაინც გაიარონ ატესტაცია. ატესტაციას "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ატარებს საკრებულოს მიერ შექმნილი საკონკურსო-სააატესტაციო კომისია. ატესტაციის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის შესახებ~.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. გამგეობის დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. გამგეობის დებულება მიიღება საკრებულოს მიერ გამგებლის წარდგინებით საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2. გამგეობის დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შევიდეს:

ა) გამგებლის ინიციატივით;

ბ) საკრებულოს ბიუროს ინიციატივით;

გ) საკრებულოს წევრთა არა ნაკლებ 1/5-ის ინიციატივით.

3. გამგეობის დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

თვითმმართველი ერთეულის აპარატის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. თვითმმართველი ერთეულის აპარატი

1. თვითმმართველი ერთეულის აპარატი იქმნება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, ანალიტიკური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.

2. აპარატის ფუნქციაა უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დახმარება გაუწიოს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოს მოქალაქეთა ურთიერთობა თვითმმართველობის ორგანოებსა და თვითმმართველი ერთეულის თანამდებობის პირებთან.

3. აპარატი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის მუდმივმოქმედ, მუდმივი და ანაზღაურებადი შტატების საფუძველზე შექმნილ ორგანოს.

მუხლი 2. აპარატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. აპარატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, საკრებულოს რეგლამენტი და ეს დებულება.

2. აპარატის საქმისწარმოების, საბუთების აღრიცხვისა და მსვლელობის წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული აპარატის შინაგანაწესითა და საქმისწარმოების წესით და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. აპარატის ძირითადი ფუნქციები

აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ორგანიზებული სხვა ღონისძიებების ჩატარება. უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება.

ბ) მოამზადოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმების პროექტები, საკრებულოს და საკრებულოს ორგანოების სხდომაზე განსახილველი საკითხები, აგრეთვე ამ საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი მასალები.

გ) ორგანიზება გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან.

დ) ორგანიზება გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ურთიერთობის დამყარებას სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ ოფიციალური დელეგაციების მიღება და გამგზავრება.

ე) ორგანიზაციული და საკონსულტაციო მომსახურება გაუწიოს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში.

ვ) მოამზადოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტები; მოახდინოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა; საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს წინადადებები თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტის შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების თაობაზე.

ზ) უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომაზე გაჩოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა, სხდომის ოქმების წარმოება, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაცია, სხდომებზე წესრიგის დაცვის ორგანიზება, კენჭისყრისას ხმების დათვლა.

თ) ორგანიზება გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას.

ი) წარმოადგინოს და დაიცვას თვითმმართველი ერთეულის ინტერესები სასამართლოში.

კ) უზრუნველყოფოს ერთიანი საქმისწარმოება, სამსახურებრივი დოკუმენტების, მოქალაქეების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ გამოგზავნილი წერილების და მიმართვების აღრიცხვა, სისტემატიზაცია, მათი გადაგზავნა ადრესატებისათვის; განახორციელოს კონტროლი დასმული საკითხების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვაზე. უზრუნველყოს დოკუმენტაციის შენახვა და საარქივო წარმოება.

ლ) განახორციელოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საინფორმაციო, ანალიტიკური, საცნობარო და ტექნოლოგიურ-პროგრამული უზრუნველყოფა, თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება, თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური სისტემების ორგანიზება და განვითარება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის ორგანიზება.

მ) უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებში და თანამდებობის პირებთან

მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, შესაბამისი მასალების მომზადება, დავალებათა აღრიცხვა და კონტროლი მათ შესრულებაზე.

ნ) განახორციელოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; გასწიოს ხარჯები აღგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა შესაბამისად და აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა.

თავი II. აპარატის სტრუქტურა

მუხლი 4. აპარატის სტრუქტურის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

აპარატის სტრუქტურას საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით განსაზღვრავს აპარატის უფროსი. აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საკრებულო საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით. აპარატის სტრუქტურაში ცელილებები შეაქვს საკრებულოს საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით.

მუხლი 5. აპარატის სტრუქტურული ერთეულები

აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საორგანიზაციო განყოფილება;

ბ) იურიდიული განყოფილება;

გ) საფინანსო განყოფილება;

დ) კადრების განყოფილება;

ე) წერილების განყოფილება;

ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

ზ) საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება;

თ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;

ი) კონსულტანტთა ჯგუფი.

თავი III. აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები

მუხლი 6. საორგანიზაციო განყოფილება

საორგანიზაციო განყოფილება:

ა) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ ორგანიზებული სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

ბ) ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სხდომებზე წესრიგის დაცვას, კენჭისყრის პროცედურის ჩატარებას, ხმების დათვლას, სხდომის ოქმების შედგენას, სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას, მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებას, რედაქტირებას, რეგისტრაციას და გამოქვეყნებას;

გ) ორგანიზებას უწევს სხდომებზე პირთა გაფრთხილებას და მოწვევას, ახდენს მათ რეგისტრაციას;

დ) ორგანიზებას უწევს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალების გამრავლებას და დარიგებას;

ე) ორგანიზაციულ დახმარებას უწევს საკრებულოს წევრებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში;

ვ) ახორციელებს ინიციირების წესით შემოსულ საკითხთა რეგისტრაციას;

ზ) უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისა და აღსრულების პროცედურულ საკითხთა შესრულებას;

თ) საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე ამზადებს საკრებულოს წლიური სამუშაო გეგმის პროექტს, აკონტროლებს სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ვადების დაცვას;

ი) ორგანიზებას უწევს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

კ) ორგანიზებას უწევს თვითმმართველი ერთეულის ურთიერთობების ჩამოყალიბებას და

თანამშრომლობის განვითარებას სხვა (მათ შორის საზღვარგარეთულ) თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ლ) ორგანიზაციულ მომსახურებას უწევს ოფიციალური დელეგაციების მიღებას და თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური დელეგაციების მიელინებას.

მუხლი 7. იურიდიული განყოფილება

იურიდიული განყოფილება:

ა) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას; ამზადებს დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტებზე;

ბ) მეთოდურ დახმარებას უწევს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებს, თანამდებობის პირებს, საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;

გ) წარმოადგენს და იცავს თვითმმართველი ერთეულის ინტერესებს სასამართლოში;

დ) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქართლებრივი აქტების კოდიფიკაციას და სისტემატიზაციას; აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული საქართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მუხლი 8. საფინანსო განყოფილება

საფინანსო განყოფილება:

ა) არსებული ნორმატივებისა და გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში უმრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეების საფინანსო მომსახურებას, მათ შრომით ანაზღაურებას, სამიელინებო და სამეურნეო ხარჯების ანაზღაურებას; "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვასა და განხორციელებას;

ბ) აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას და თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების დაფინანსებას;

გ) აღრიცხავს და აკონტროლებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლების მიღებასა და ხარჯების გაწევას; ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს და დასკვნებს სახსრების რაციონალურად გამოყენების შესახებ;

დ) აწარმოებს კონტროლს საკასო და საბანკო ოპერაციებზე, საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების ანალიზს, ხარჯთაღრიცხვების, საბანკო ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვიანობას;

ე) ადგენს კვარტალური და წლიური ბალანსების ანგარიშებს.

მუხლი 9. კადრების განყოფილება

კადრების განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა პირადი საქმეების და სხვა საკადრო დოკუმენტაციის შედგენას, აღრიცხვასა და წარმოებას;

ბ) აფორმებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაში ყასელის, სამიელინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტებს;

გ) ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებასა და ჩაგარებას, ადგილობრივი თვითმმარ.თველობის მოსამსახურეთა პერიოდულ ატესტაციას;

დ) აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა მიერ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის და შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვას; ამზადებს წინადადებებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა წახალისების ან მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ე) ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას;

ე) აღგენს აღგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა რეზერვს; კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს პირთა რეზერვში შეყვანასა და რეზერვიდან ამორიცხვას, აგარებს მოხელეთა რეზერვის ატესტაციებს.

მუხლი 10. წერილების განყოფილება

წერილების განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილების, განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვას, ანოტირებას, სარეკვიზიტო და დოკუმენტურ გაფორმებას, ადრესატისათვის გადაცემას, კორესპოდენციის გაგზავნას; საარქივო მასალების ანოტირებას და არქივის წარმოებას;

ბ) აფორმებს და აღრიცხავს მიღებულ დოკუმენტებზე თვითმმართველი ერთეულის თანამდებობის პირების დავალებებს და გადასცემს შემსრულებლებს; აკონტროლებს კორესპოდენციის მოძრაობას და საკითხის განხილვისთვის კანონით დადგენილი ვადების დაცვას;

გ) უზრუნველყოფს აპარატში ერთიან საქმისწარმოებას; აყალიბებს საქმეთა ნომენკლატურას, შეიმუშავებს კლასიფიკატორებს, ინდექსებს, შიფრებსა და კოდებს.

მუხლი 11. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას;

ბ) ორგანიზაციას უწევს პრეს-კონფერენციების, ბრიფინგების, "მრგვალი მაგიდების", ჟურნალისტებთან შეხვედრების ჩატარებას;

გ) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამუქებული მასალების და პუბლიკაციების ანალიზს;

დ) ახორციელებს ჟურნალისტების აკრედიტაციას, უზრუნველყოფს მათ დასწრებას თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომებზე; მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, მათ ინფორმირებას, საზოგადოებასთან ქმედითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

ე) ორგანიზებას უწევს სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარებას.

მუხლი 12. საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება

საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საინფორმაციო-საცნობარო, ანალიტიკურ, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ და პროგრამულ მომსახურებას;

ბ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას, ინტერნეტ-პორტალისა და ინტერნეტ-გვერდების შექმნას, მათ განახლებასა და მათზე საჯარო ინფორმაციის განთავსებას;

გ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკის განთავსებასა და მის გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების კომპიუტერიზაციას, ავტომატიზაციასა და ინტერნეტიზაციას; შესაბამისი საინფორმაციო საძიებო სისტემის და ინტერფეისების შექმნას;

დ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის ოპერატიულ გავრცელებას ინტერნეტის მეშვეობით.

მუხლი 13. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული შენობების შენახვას, მოვლა-პატრონობასა და ექსპლოატაციას; სანიტარული ნორმების დაცვას;

ბ) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის თანამდებობის პირებისა და აპარატის მოსამსახურეების მატერიალურ-ტექნიკურ, სატრანსპორტო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

გ) უზრუნველყოფს თეითმმართველი ერთეულის ინვენტარისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვას, რაციონალურ გამოყენებას, მოვლასა და დაცვას;

დ) შეიმუშავებს და ახორციელებს საქეეუწყებო მეურნეობის განვითარების, სარემონტო და საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების ღონისძიებებს;

ე) უზრუნველყოფს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პირობების შექმნას;

ვ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული შენობების დაცვას და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებას; უზრუნველყოფს საინჟინრო კომუნიკაციების, მოწყობილობების, ენერგომომარაგების, გათბობა-კონდიცირების, წყალმომარაგების და სატელეფონო ქსელების გამართულ მუშაობას.

მუხლი 14. კონსულტანტთა ჯგუფი

კონსულტანტთა ჯგუფი აერთიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის იმ მოსამსახურეებს (მათ შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ ექსპერტებსა და სპეციალისტებს), რომლებიც ახორციელებენ საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო მომსახურებას.

თავი IV. აპარატის ხელმძღვანელობა

მუხლი 15. აპარატის უფროსი

1. აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. აპარატის უფროსი:

ა) უძღვება აპარატის საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს აპარატის სტრუქტურას და სშტატო ნუსხას;

გ) საკრებულოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად წარუდგენს აპარატის შესაბამის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

დ) საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგენს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ვ) ადგენს შრომის შინაგანაწესს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. აპარატის უფროსი ანგარიშვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

4. აპარატის უფროსის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

5. აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში აპარატის უფროსის მოვალეობებს ასრულებს აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით.

მუხლი 16. აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, რომელსაც აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:

ა) ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ვ) ამ დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად შეიმუშავებს და აპარატის უფროსს წარუდგენს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებას, მოსამსახურეთა ფუნქციონალურ განაწილებას და სამუშაო გეგმას;

დ) განსაზღვრავს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს; აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შეებულების, მივლინების, წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებზე;

ე) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ვ) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზაციისა და ღაგენმვის წესს; შეიმუშავებს წინადადებებს ქვედანაყოფის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე;

ზ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს უქმნის აუცილებელ პირობებს მათი ფუნქციონალური მოვალეობების შესასრულებლად, საიდუმლოების რეჟიმის, შრომის შინაგანაწესის მოთხოვნების დასაცავად;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სტრუქტურული ერთეულის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სტრუქტურული ერთეულის უფროსი ანგარიშვალდებულია აპარატის უფროსის წინაშე.

4. სტრუქტურული ერთეულის უფროსის არყოფნის შემთხვევაში აპარატის უფროსის დავალებით მის მოვალეობებს ასრულებს სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთი მოხელე.

თავი V

აპარატის საჯარო მოსამსახურეები

მუხლი 17. აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

1. აპარატის საჯარო მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო კონკურსის შედეგების მიხედვით.

2. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ატარებს საკრებულოს მიერ შექმნილი საკონკურსო-სააგესტაციო კომისია.

3. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 18. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და შტატების დამტკიცების წესი

აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს, თანამდებობათა დასახელებას და შტატებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

მუხლი 19. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები

აპარატის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

ა) წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

გ) ისარგებლონ მათი მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;

დ) უშუალო ხელმძღვანელის წინაშე დააყენონ საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ე) ისარგებლონ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

მუხლი 20. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მოვალეობები

აპარატის საჯარო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით და აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები;

გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ საკუთარი პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის მინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გამგეობის ტერიტორიული ორგანო

1. გამგეობის ტერიტორიული ორგანო იქმნება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის/თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ფუნქციაა განამტკიცოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კავშირი მოსახლეობასთან, ორგანიზაციულად უზრუნველყოს და გააკონტროლოს საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირების და გამგებლის გადაწყვეტილებათა შესრულება; ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობისათვის კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას; განახორციელოს ამ დებულებით დაკისრებული უფლებამოსილებანი.

3. გამგეობის ტერიტორიული ორგანო თავის საქმიანობას წარმართავს გამგებლის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

4. გამგეობის ტერიტორიული ორგანო არ არის იურიდიული პირი. გამგეობის ტერიტორიულ ორგანოს აქვს საკუთარი ბეჭედი, ბლანკი და შტამპი.

მუხლი 2. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, საკრებულოს დებულება (რეგლამენტი), გამგეობის დებულება და ეს დებულება.

2. გამგეობის ტერიტორიული ორგანო ანგარიშვალდებულია გამგებლის და საკრებულოს წინაშე.

3. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

თავი II. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ფუნქციები

მუხლი 3. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფის სფეროში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) უზრუნველყოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გაცნობა;

ბ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობის გამოკითხვას და საჯარო განხილვების ჩატარებას; მოსახლეობასთან თვითმმართველობის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრას;

გ) უზრუნველყოს თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოსახლეობის წინადადებების, შენიშვნებისა და განცხადებების აღრიცხვა და მათი მიწოდება თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის;

დ) გასცეს მოქალაქეებზე კანონით გათვალისწინებული ცნობები;

ე) გაუწიოს კონსულტაცია მოსახლეობას თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ვ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით

მუხლი 4. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში

გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას საბიუჯეტო-საფინანსო სფერომი განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, წინადადებების მომზადება დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობის და საჯარო განხილვების ორგანიზება; ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობისგან გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია და გამგებლისათვის მიწოდება;

ბ) კონტროლი ადმინისტრაციული ერთეულიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებასა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ხარჯებზე; გამგებლისადმი ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ადმინისტრაციულ ერთეულში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) წინადადებების მომზადება ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ; მათი განხორციელების კოორდინაცია;

დ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 5. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში

გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში განეკუთვნება:

ა) ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება;

ბ) მონაწილეობის მიღება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სხვა დოკუმენტების მომზადებაში;

გ) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავებაში; კონტროლი ამ პროგრამების

განსახორციელებაზე; გამგებლისათვის ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესრულების ძიმდინარეობის შესახებ;

თ) საკრებულოსა და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 6. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფეროში

თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესების შესაბამისად ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვა; წინადადებების შემუშავება ამ ქონების სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვა და კონტროლი ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

გ) თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის გეგმის პროექტის მომზადება;

დ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 7. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება მიწისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში

მიწისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის მართვა და კონტროლი მიწის გამოყენებასა და დაცვაზე;

ბ) წინადადებათა შემუშავება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;

გ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მიწის კადასტრის წარმოების ორგანიზება;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების მართვის კოორდინაცია; კონტროლი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დადგენილი წესების დაცვაზე;

ე) მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ; სტიქიური უბედურობებისა და ავარიების შემთხვევაში მოსახლეობის დასაცავად საჭირო ზომების ძიღება;

ვ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 8. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დაგეგმარების, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში

გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დაგეგმარების, განაშენიანებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვაში; ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში; მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

ბ) ზედამხედველობა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე;

გ) მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების შედგენასა და განხორციელებაში;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების სამუშაოთა ორგანიზება;

ე) კონტროლი შენობათა ფასადების მოვლაზე და რეკლამების განთავსებაზე;

ვ) ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დასუფთავების ორგანიზება;

ზ) ღონისძიებათა გატარება წყალდიდობების შელეკების ლიკვიდაციის მიზნით, აგრეთვე ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისა და ყინულისაგან გასაწმენდად;

თ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 9. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება სატრანსპორტო სისტემის და ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში;

ბ) კონტროლი გზების მშენებლობასა და რემონტზე;

გ) გზების, ტროტუარების, მოედნების, სანაპიროების მოვლა-პატრონობა;

დ) კონტროლი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების და ადგილობრივი გადაზიდვის დადგენილი წესების დაცვაზე;

ე) კონტროლი საავჭრო, კვების და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების მიერ ვაჭრობის წესების, სანიტარული მდგომარეობის და უსაფრთხოების წესების დაცვაზე;

ვ) სარიტუალო მომსახურების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ორგანიზება;

ზ) მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების ორგანიზება;

თ) დასახლებებში ელექტრიფიკაციის, გაზმომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგების, ნაგვის შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების კოორდინაცია;

ი) კონტროლი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის და კომუნალური მეურნეობის ჯეროვან გამოყენებაზე;

კ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 10. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სფეროში

განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება: .

ა) სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მგზავრობის ორგანიზება;

ბ) კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების ორგანიზება;

გ) კონტროლი ბუნების, კულტურის და ისტორიულ ძეგლთა დაცვაზე;

დ) მოსახლეობის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, პირველადი სამედიცინო-სანიტარული და სხვა სახის სამედიცინო-სოციალური დახმარების ღონისძიებათა გატარების ორგანიზება;

ე) მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემოლოგიური დაცვის უზრუნველყოფა, კონტროლი დადგენილი სანიტარულ-ეპიდემოლოგიური ნორმების დაცვაზე;

ვ) იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზება, რომელთა დახმარებაც ხდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;

ზ) შრომის ბაზრის ანალიზი და შესაბამის წინადადებათა მომზადება;

თ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 11. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება აღრიცხვისა და ინფორმატიკის სფეროში

აღრიცხვისა და ინფორმატიკის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ქონების, დოკუმენტების, უფლებების აღრიცხვის ორგანიზება;

ბ) სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება;

გ) ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრების ორგანიზება;

დ) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 12. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილება მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში

მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მეზობლური და ოჯახური დავის რეგულირების საკითხებში;

ბ) მონაწილეობის მიღება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო საკალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება; კონტროლი სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე;

დ) კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა გატარება;

ე) საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

თავი III. გამგეობის რწმუნებული

მუხლი 13. გამგეობის რწმუნებული

1. გამგეობის რწმუნებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ერთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. გამგეობის რწმუნებული საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებაში, დასახლებათა ჯგუფში ან დასახლების ნაწილში).

3. გამგეობის რწმუნებული:

ა) წარმართავს გამგეობის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს მოსახლეობის კავშირს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

გ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, გამგებლის წარუდგენს ინფორმაციას გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ე) შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურას და სამტატო ნუსხას;

ვ) ახორციელებს დებულებით, საკრებულოს და/ან გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. გამგეობის რწმუნებული ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მუხლი 14. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეები

1. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები, რომელთაც გამგეობის რწმუნებულის წარდგინებით ერთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები გამგეობის რწმუნებულის მიერ უფლებამოსილების განაწილების შესაბამისად ახორციელებენ გამგეობის რწმუნებულის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

3. გამგეობის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან გამგეობის რწმუნებულისა და გამგებლის წინაშე.

თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს აპარატის (გამგეობის, მერიის) შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს აპარატის (გამგეობის, მერიის) შინაგანაწესი "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს საკრებულოს აპარატის (გამგეობის, მერიის) ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საქმიანობის წესს, სამუშაო დროის რეჟიმს, შრომის ანაზღაურების და შრომის პირობების დაცვის წესს.

2. შინაგანაწესის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას.

მუხლი 2. სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული

1. საკრებულოს აპარატის (გამგეობის, მერიის) საჯარო მოსამსახურე მუშაობს 5-დღიანი სამუშაო კვირით. მუშაობის ხანგრძლივობა განისაზღვრება დღეში 8 საათით, ერთსაათიანი შესვენებით.

2. სამუშაო დღე იწყება 10.00 საათზე და მთავრდება 19.00 საათზე. შესვენება გრძელდება 13.00 საათიდან 14.00 საათამდე.

3. თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, რომელიც მისი უშუალო ხელმძღვანელის დავალებით სამსახურებრივ საქმეზე თავისი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფება სამუშაო ადგილის გარეთ, ითვლება სამსახურში მყოფად.

4. თვითმმართველობის საჯარო მოხელე სამუშაოზე გამოცხადებას, სამუშაო ადგილიდან გასვლას და სამუშაოს დამთავრებას აფიქსირებს სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით.

მუხლი 3. დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი

1. თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეს უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეუძლია დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დარჩეს დაწესებულებაში სამუშაოს დასამთავრებლად.

2. წინასწარ გაუთვალისწინებელი სამუშაოს არსებობის შემთხვევაში, ან როცა აუცილებელია დასრულებულ იქნეს დაწყებული სამუშაო, რომელიც ვერ დამთავრდა სამუშაო დროის განმავლობაში ტექნიკური პირობების გამო და რომელთა შესრულებაზე დამოკიდებულია შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობა, საჯარო მოსამსახურე უშუალო ხელმძღვანელის დავალებით შეიძლება დატოვებულ იქნეს ან გამოძახებულ იქნეს სამუშაო ადგილზე. ამ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს მიეცემა დამატებითი დასვენების დრო.

მუხლი 4. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსაგან და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სხვა დანამატებისაგან.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები და თანამდებობათა დასახელება განისაზღერება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. ხელფასი გაიცემა ყოველი თვის ბოლოს მოლარის მიერ (მოსამსახურეთა პლასტიკურ ბარათზე დარიცხვით).

მუხლი 5. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი

1. სამსახურებრივ საკითხებზე ხელმძღვანელის დავალება ოფიციალურად ეცნობება იმ მოსამსახურეს, რომელსაც ეხება.

2. ოფიციალურად გაცნობა ნიშნავს დავალების გატარებას სპეციალურ ჟურნალში. ჟურნალში დავალების გასწორეე ხელს აწერს ის მოსამსახურე, რომელსაც დავალება ეძლევა.

3. იმ შემთხვევაში, თუ დავალება ეხება მოსამსახურეთა განსაზღვრულ ჯგუფს, დავალების ოფიციალური გაცნობის წესი შეიძლება შეიცვალოს მისი საჯარო გამოცხადებით.

4. დავალების საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს დავალების ღიად განთავსებას დაწესებულებაში ამ მიზნით გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე.

მუხლი 6. შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია

1. ხელმძღვანელობა ვალდებულია საჯარო მოსამსახურეებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

2. თვითმმართველობის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) სამუშაო შეასრულოს კეთილსინდისიერად და პირადად;

ბ) შეასრულოს ხელმძღვანელის დავალებები და მითითებები;

გ) დაიცვას შინაგანაწესის მოთხოვნები;

დ) გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას; უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული ქონების და დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;

ე) უშუალო ხელმძღვანელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც მას ხელი შეიძლება შეუშალოს სამუშაოს შესრულებაში;

ვ) წესრიგში იქონიოს სამუშაო ადგილი, დაწესებულებაში დაიცვას სისუფთავე და სიმშვიდე.

3. დაუშვებელია თვითმმართველობის (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის) ადმინისტრაციულ შენობაში ხანძარსამიმი, ტოქსიკური ან სხვა მაგვნე ნივთიერების შეტანა და შენახვა.

მუხლი 7. თამბაქოს მოწევის წესი და ადგილი

1. თვითმმართველობის (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის) ადმინისტრაციულ შენობაში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა.

2. თვითმმართველობის (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის) ადმინისტრაციულ შენობაში საკრებულოს თავმჯდომარის (გამგებლის, მერის) მიერ თამბაქოს მოწევისათვის გამოიყოფა სპეციალური ადგილი.

3. ადგილები, რომლებიც გამოიყოფა თამბაქოს მოწევისათვის, უნდა ექვემდებარებოდეს ვენტილაციას დღე-ღამის განმავლობაში ერთი საათით მაინც.

მუხლი 8. სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულება და სამართლებრივ აქტთა დაცვის ვალდებულება

1. თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე ვალდებულია კეთილსინდისიერად და პირადად შეასრულოს "საჯარო სამსახურის შეახებ" საქართველოს კანონით, "შრომის კოდექსით", თანამდებობრივი ინსტრუქციებით, შინაგანაწესით, შესაბამისი ერთეულის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი სამსახურებრივი მოვალეობანი.

2. თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც დაკავშირებულია მის სამსახურეობრივ საქმიანობასთან.

მუხლი 9. სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი

სამსახურში არყოფნის ან შესაძლო დაგვიანების შესახებ მოსამსახურე ვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელს აცნობოს ერთი დღით ადრე მაინც.

მუხლი 10. შინაგანაწესის შესრულება

1. შინაგანაწესი საეალდებულოა შესასრულებლად საკრებულოს აპარატის (გამგეობის, მერიის) ყველა საჯარო მოსამსახურისათვის.

2. შინაგანაწესი გამოიკვრება ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

3. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს ეკისრება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

"————" მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკრებულოს ფრაქცია "————————"-ის წესდება

ამ წესდებით "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ———————— მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განისაზღვრება ———————————— მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკრებულოს ფრაქცია "————————" -ის შექმნისა და მის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის, წესდების მიღებისა და მასში ცვლილებების შეტანის, ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესები, მათი და ფრაქციის საერთო კრების კომპეტენცია, ფრაქციის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

I. ზოგადი დებულებები

1.1. "————————" მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკრებულოს ფრაქცია "————————" (ტექსტში შემდგომ "ფრაქცია") წარმოადგენს პარტიული კუთვნილებისა და საერთო პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე შექმნილ საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით პოლიტიკურ გაერთიანებას.

1.2. ფრაქცია იქმნება ფრაქციის წევრთა საერთო პოლიტიკური შეხედულებების საკრებულოში რეალიზაციისა და საკრებულოს მიერ გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესში ფრაქციის სამოქმედო პროგრამის გატარების მიზნით.

1.3. ფრაქციის მიზნები და ამოცანები ———————— პარტიის (კავშირის, პოლიტიკური მოძრაობის) წესდებისა და ———————— პარტიის (კავშირის, პოლიტიკური მოძრაობის) საარჩევნო პროგრამის საფუძველზე განსაზღვრულია ფრაქციის დეკლარაციით.

1.4. ფრაცია თავის საქმიანობას ასორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საკრებულოს რეგლამენტის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

1.5. ფრაქცია ხელმძღვანელობს კანონიერების, დემოკრატიულობის, საჯაროობის, გადაწ-ყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების, ფრაქციის წევრთა თანასწოუფლებიანობის, კოლეგიალობის, ადგილობრივი და საერთო სახელმწიფო ინტერესების ჰარმონიულობის დაცვის, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებისა და ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშვალდებულობის პრინციპებით.

1.6. ფრაქციის ადგილსამყოფელია ქ. ————————————, ———————————— ქუჩა #

II. ფრაქციის დაფუძნება. ფრაქციის შემადგენლობის შეცვლის წესი

2.1. ფრაქცია დაფუძნებულია საკრებულოს შემდეგი წევრების მიერ:

- (სახელი, გვარი, პარტიული კუთვნილება, ფრაქციის თავმჯდომარე)
- (სახელი, გვარი, პარტიული კუთვნილება, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე)
- (სახელი, გვარი, პარტიული კუთვნილება, ფრაქციის წევრი)
- (სახელი, გვარი, პარტიული კუთვნილება, ფრაქციის წევრი)

(აუცილებელია მიეთითოს სამი დამფუძნებელი წევრი მაინც)

2.2. ფრაქცია თავის უფლებაუნარიანობას იძენს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ რეგისტრაციის დღიდან.

2.3. საკრებულოს თავმჯდომარესთან, საკრებულოს ბიუროსთან, საკრებულოს სხვა ფრაქციებთან, გამგებელთან, გამგეობის დარგობრივ სამსახურებთან და გამგეობის რწმუნებულთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ოფიციალურ ურთიერთობებში ფრაქციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ფრაქციის თავმჯდომარე – (სახელი გვარი). ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ფრაქციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება ენიჭება ფრაქციის თავმჯდომარისა ან ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხოლო სხვა წევრს.– მხოლოდ ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2.4. ფრაქციის შემადგენლობის შეცვლა დასაშვებია ფრაქციიდან წევრის გასვლისას ან ფრაქციაში ახალი წევრის მიღებისას.

2.5. ფრაქციიდან წევრი გასულია:

ა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან;

ბ) ფრაქციის თავმჯდომარის მიერ ფრაქციიდან გასვლის შესახებ წევრის წერილობითი განცხადების მიღების მეორე დღიდან;

გ) ფრაქციიდან წევრის გარიცხვის თაობაზე ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

2.6. ფრაქციაში ახალი წევრი მიღებულია ფრაქციის საერთო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

2.7. ფრაქციის შემადგენლობის შეცვლის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე წერილობითი განცხადებით საკრებულოს სამანდატო კომისიას მიმართავს ფრაქციის საერთო კრების ოქმის ხელმოწერის ან ფრაქციიდან გასვლის შესახებ წერილობითი განცხადების მიღების დღეს.

III. ფრაქციის უფლებები

3.1. ფრაქციას უფლება აქვს:

ა) გამოხატოს და გააგაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციების კოალიციასთან ან სხვა ფრაქციასთან გაერთიანების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის წესდებასა და დეკლარაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

დ) მიიღოს და ცვლილებები შეიტანოს ფრაქციის წესდებაში; ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე;

ვ) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;

ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების გამოყენების საკითხები;

თ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს სამართლებრივი აქტის პროექტი;

ი) საკრებულოს ყველა კომისიასა და დროებით სამუშაო ჯგუფში შეიყვანოს ფრაქციის ერთი წევრი მაინც;

კ) მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;

ლ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს მიერ შექმნილ ორგანოებს და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

მ) საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავის მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ, დასანიშნ, დასამტკიცებელ ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;

ნ) წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის თითო საათიანი მოხსენება;

ო) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი და მიმართვა საკრებულოს საინფორმაციო საშუალებებში;

პ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

IV. ფრაქციის წევრი

4.1. ფრაქციის წევრი შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი, რომლის უფლებამოსილება უკვე სცნო საკრებულომ და რომელიც იმავდროულად არ არის საკრებულოს სხვა ფრაქციის ან რომელიმე სხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

4.2. ფრაქციის დამფუძნებელი წევრები ფრაქციაში წევრიანდებიან დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით.

4.3. ფრაქციის ახალ წევრად საკრებულოს წევრი მიიღება ფრაქციის თავმჯდომარის სახელზე პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე ფრაქციის საერთო კრების მიერ, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესდების 4.1. პუნქტის პირობებს და მის ფრაქციაში გაწევრიანებას ხმა მისცა ფრაქციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.

4.4. ფრაქციის წევრს უფლება აქვს:

ა) ამ დებულებით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის საერთო კრებაში; გამოვიდეს სიტყვით, წინადადებით, მოითხოვოს კენჭისყრა, დაუბრკოლებლად მონაწილეობდეს ყოველ კენჭისყრაში, გააჩნდეს, საჯაროდ გამოსცადოს და იცავდეს საკუთარ აზრს, ვიდრე ფრაქციის საერთო კრება არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას;

ბ) აირჩიოს ან არჩეული იქნეს ფრაქციის თავმჯდომარედ, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ, საკრებულოს მიერ ასარჩევ თანამდებობაზე საკრებულოსათვის წარდგენილ ფრაქციის კანდიდატად;

გ) ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოადგენდეს ფრაქციას საკრებულოს ორგანოებთან და თანამდებობის პირებთან, აგრეთვე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში; ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ფრაქციის სახელით მონაწილეობდეს საკრებულოს ბიუროს, კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში;

დ) მიმართოს ფრაქციას საკრებულოს სამართლებრივი აქტის, ფრაქციის პროგრამის ან სხვა დოკუმენტის პროექტით;

ე) მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის მიერ საკრებულოში ინიცირებული სამართლებრივი აქტების, პროგრამების, პროექტების და სხვა დოკუმენტების მომზადებაში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის შეხვედრებში ამომრჩეველებთან, ფრაქციის დავალებით ან პირადი ინიციატივით შეხვდეს მათ; გააცნოს ამომრჩეველთა აზრი ფრაქციას;

ზ) ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად გამოხატოს ფრაქციის პოზიცია საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე;

თ) ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად გამოვიდეს მომხსენებლად ან თანამომხსენებლად საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე;

ი) მიმართოს ფრაქციის აპარატს საექსპერტო მომსახურეობის ან ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერისა მისაღებად;

კ) ფრაქციის გადაწყვეტილებების შესაბამისად ისარგებლოს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ~ ორგანული კანონით, "საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" კანონით, საკრებულოს რეგლამენტითა და ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებებით.

ლ) ნებისმიერ დროს თავისუფლად გაეიდეს ფრაქციიდან.

4.6. ფრაქციის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას ფრაქციის წესდების მოთხოვნები; საკრებულოში თავისი საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობისა და ფრაქციის წესდების შესაბამისად;

ბ) გაუფრთხილდეს ფრაქციის ღირსებას;

გ) დაემორჩილოს ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებას;

დ) ფრაქციის სახელით იმოქმედოს მხოლოდ იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული;

ე) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხომებზე კენჭისყრისას ხმა მისცეს საკრებულოს ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად;

ვ) ფრაქციასთან ან ფრაქციის თავმჯდომარესთან წინასწარ შეათანხმოს საკრებულოს სხდომაზე გასაკეთებელი მოხსენება, აგრეთვე ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა საჯარო გამოსვლები.

ზ) ფრაქციის წინასწარი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია,

4.7. ფრაქციის წევრს ეკრძალება:

ა) იმავდროულად იყოს სხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრი:

ბ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე კენჭისყრაში ხმა მისცეს ფრაქციის საერთო კრების მიერ განსაზღვრული გადაწყვეტილების წინააღმდეგ;

გ) იმოქმედოს ფრაქციის სახელით ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიღებული რწმუნებების გარეშე;

დ) ჩაიდინოს უღირსი ქმედება, რომელიც სახელს გაუტეხს ფრაქციას ან ფრაქციის რომელიმე სხვა წევრს;

ე) საჯაროდ გამოვიდეს ფრაქციის საერთო კრების მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

V. ფრაქციის საერთო კრება

5.1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

5.2 ფრაქციის მორიგი სხდომა მოიწვევა საკრებულოს მორიგ სხდომამდე სამი დღით ადრე მაინც. ფრაქციის მორიგი სხდომის ჩატარების თარიღსა და დღის წესრიგს განსაზღვრავს, სხომას იწვევს ფრაქციის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. ფრაქციის მორიგი სხდომა განიხილავს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგით და ფრაქციის წევრთა ინიციატივების საფუძველზე თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ საკითხებს. ფრაქციის სხდომები, როგორც წესი, ტარდება საკრებულოს შენობაში. ფრაქციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელის სხდომა სხვა ადგილას იქნეს მოწვეული.

5.3. ფრაქციის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის ინიციატივით. რიგგარეშე სხდომის ინიციატორები წერილობითი განცხადებით მიმართავენ ფრაქციის თავმჯდომარეს. განცხადებაში მიეთითება სხდომის სავარაუდო დღის წესრიგი. ფრაქციის რიგგარეშე სხდომას იწვევს ფრაქციის თავმჯდომარე წერილობითი განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

5.4. ფრაქციის საერთო კრება, როგორც წესი, ტარდება ღიად და საჯაროდ. დახურული კრება შეიძლება ჩატარდეს კრებაზე დამსწრე წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, თუ გადაწყვეტილებას ძხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. კრებას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ ამომრჩეველები და სხვა მოწვეული სტუმრები. კრებაზე მოწვეულ პირთა ეინაობას ფრაქციის სხდომის დღის წესრიგიდან გამომდინარე განსაზღვრავს ფრაქციის თავმჯდომარე. კრების ჩასატარებლად სათანადო პირობების შექმნას უზრუნველყოფს ფრაქციის აპარატი.

5.5. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფრაქციის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ფრაქციის სხდომა გადაწყვეტილებებს, გარდა წესდებით განსაზღვრული შემთხვევებისა, იღებს სხდომაზე დამსწრე ფრაქციის წევრთა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ფრაქციის თავმჯდომარეს აქვს უპირატესი ხმის უფლება.

5.6. ფრაქციის საერთო კრება:

ა) ამ წესდებით განსაზღვრული წესით იღებს ფრაქციის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) იღებს ფრაქციის დეკლარაციას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

გ) ფრაქციის თავმჯდომარის წარდგინებით იღებს ფრაქციის სამოქმედო პროგრამას და ცვლილებებს სამოქმედო პროგრამაში;

დ) ფრაქციის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით იღებს გადაწყვეტილებებს ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გარიცხვის თაობაზე;

ე) ამ წესდებით დადგენილი წესით ირჩევს და გადაირჩევს ფრაქციის თავმჯდომარესა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს;

ვ) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს კომისიაში და დროებით სამუშაო ჯგუფში ფრაქციის წარმომადგენლის დანიშვნისა და მისი გამოწვევის შესახებ;

ზ) იღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საჯარო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ამომრჩეველებთან, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ფრაქციის ურთიერთობებში ფრაქციის წევრისათვის წარმომადგენლობითი უფლებების მინიჭებისა და ჩამორთმევის შესახებ;

თ) ისმენს ფრაქციის თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიებში და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციის წარმომადგენლების ანგარიშებს საკრებულოს ორგანოებში გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

ი) ექვს თვეში ერთხელ მაინც და ფრაქციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით ისმენს ფრაქციის თავმჯდომარის ანგარიშს ფრაქციის საქმიანობის და სამოქმედო პროგრამის შესრულების შესახებ;

კ) იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ განსახილველ საკითხზე ფრაქციის პოზიციის, აგრეთვე საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოში გადაწყვეტილების პროექტის კენჭისყრისას ფრაქციის მიერ ამ გადაწყვეტილების მხარდაჭერისა ან უარყოფის შესახებ;

ლ) იღებს გადაწყვეტილებას ფრაქციის წევრის მიერ ინიციირებული სამართლებრივი აქტის პროექტის საკრებულოში წარდგენის შესახებ;

ვ) ფრაქციის სრული შემადგენლობის 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას სხვა ფრაქციასთან გაერთიანების ან ფრაქციის დაშლის თაობაზე;

ნ) იღებს მოქმედი კანონმდებლობითია და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა გადაწყვეტილებებს.

5.7. ფრაქციის დამფუძნებელი კრება გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი წევრების კონსენსუსით. დამფუძნებელი კრება:

ა) იღებს ფრაქციის წესდებას;

ბ) განსაზღვრავს ფრაქციის დამფუძნებელ შემადგენლობას;

გ) ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს;

დ) იღებს ფრაქციის დეკლარაციას.

VI. ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე

6.1. ფრაქციის თავმჯდომარე ფრაქციის საერთო კრებებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს ფრაქციას, კოორდინაციას უწევს ფრაქციის საქმიანობას და წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოს ბიუროში, აგრეთვე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში.

6.2. ფრაქციის თავმჯდომარეს ირჩევს ფრაქციის საერთო კრება (ფრაქციის დამფუძნებელი კრება) ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით (ფრაქციის დამფუძნებელ წევრთა კონსენსუსით). ფრაქციის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების მეშვეობით (გარდა ფრაქციის დამფუძნებელი კრების მიერ თავმჯდომარის არჩევის შემთხვევისა). ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თითოეულ წევრს. ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება დასახელების რიგითობის მიხედვით. თითოეული საარჩევნო ბიულეტენი ხელმოწერილი უნდა იქნეს კრების თავმჯდომარის მიერ. კენჭისყრის ბიულეტენების დამზადებასა და საარჩევნო კაბინის მოწყობას უზრუნველყოფს ფრაქციის აპარატი. ბიულეტენებს ითვლის ფრაქციის ორი უხუცესი წევრი. კენჭისყრის შედეგებს აცხადებს კრების თავმჯდომარე. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა, ტარდება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურის ბიულეტენებში შეიტანება ის ორი კანდიდატი, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. მეორე ტურში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო უფრო მეტი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში არჩეულად ითვლება უხუცესი კანდიდატი.

6.3. ფრაქციის წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ფრაქციის სხდომაზე წერილობით მიმართოს სხდომის თავმჯდომარეს და დასვას ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. თუ ფრაქციის საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი ხმას მისცემს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე კენჭისყრის მოწყობას, საკითხი ფრაქციის საერთო კრების დღის წესრიგში რიგგარეშე შეიტანება. ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი წყდება ღია კენჭისყრით. ფრაქციის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაყენებულია, თუ მის გადადგომას ხმა მისცა ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. ფრაქციის თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იმავე საერთო კრებამ ამ წესდების 6.2. მუხლით დადგენილი წესით უნდა აირჩიოს ფრაქციის თავმჯდომარე.

6.4. ფრაქციის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და თავმჯდომარეობს ფრაქციის საერთო კრებას, ადგენს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრების დღის წესრიგის პროექტს;

ბ) ხელს აწერს საერთო კრების გადაწყვეტილებებსა და ოქმს;

გ) საკრებულოს სამანდატო კომისიას რეგისტრაციისათვის წარუდგენს ფრაქციის წესდებას, ფრაქციის შემადგენლობას და საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციის წარმომადგენლობას;

დ) ხელს აწერს ფრაქციის დეკლარაციას, სამოქმედო პროგრამას, განცხადებას, მიმართვას და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

ე) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოს ბიუროში;

ვ) საკრებულოს სხდომაზე გამოდის ფრაქციის სახელით;

ზ) მოქმედებს ფრაქციის სახელით, სპეციალური რწმუნებების გარეშე წარმოადგენს ფრაქციას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში;

თ) ხელს აწერს ფრაქციის მიერ ინიციირებულ საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტს და წარუდგენს მას საკრებულოს ბიუროს ან საკრებულოს სხდომას;

ი) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ფრაქციის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს თანამდებობებზე დასანიშნად;

კ) ფრაქციის საერთო კრებას წარუდგენს ფრაქციის წესდებაში და დეკლარაციაში ცვლილებების შეტანის, ფრაქციის სამოქმედო პროგრამის პროექტებს;

ლ) ექვს თვეში ერთხელ და ფრაქციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით ფრაქციის საერთო კრებას აბარებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

მ) უფლებამოსილია გადაგეს თანამდებობიდან. ფრაქციის თავმჯდომარე გადამდგარია, გადადგომის შესახებ ფრაქციის საერთო კრებაზე გაკეთებული წერილობითი განცხადების, ხოლო საერთო კრებებს შორის პერიოდში საკრებულოს სამანდატო კომისიაში გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან. იგი ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს ფრაქციის იმავე ან უახლოეს საერთო კრებაზე ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

ნ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ო) ანგარიშვალდებულია ფრაქციის საერთო კრების წინაშე.

6.5. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს, როგორც წესი, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის საერთო კრება. თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას ასახელებს ფრაქციის თავმჯდომარე. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე არჩეულია, თუ მის კანდიდატურას ხმა მისცა ფრაქციის საერთო კრებაზე დამსწრე ფრაქციის წევრთა უმრავლესობამ.

6.6. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარეობს ფრაქციის საერთო კრებას ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ან ფრაქციის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში;

ბ) ფრაქციის თავმჯდომარის არყოფნისას ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებებს, გარდა ამ წესდების 6.4. მუხლის "დ", "ე", "ზ", "ი", "ლ" პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა.

გ) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის დავალებებს;

დ) უფლებამოსილია გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადამდგარია შესაბამისი წერილობითი განცხადების ფრაქციის საერთო კრებისათვის, ხოლო საერთო კრებებს შორის პერიოდში ფრაქციის თავმჯდომარისათვის წარდგენის მომენტიდან და ასრულებს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებებს ფრაქციის იმავე ან უახლესი საერთო კრების მიერ ახალი მოადგილის არჩევამდე.

ე) ანგარიშვალდებულია ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის საერთო კრების წინაშე.

6.7. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ვადაყენების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის საერთო კრებას. ფრაქციის თავმჯდომარის ინიციატივით ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე თანამდებობიდან გადაყენებულია ფრაქციის საერთო კრებაზე თავმჯდომარის მიერ გაკეთებული შესაბამისი წერილობითი განცხადების გაკეთების მომენტიდან. თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების შესახებ საკითხის დასმის უფლება აქვს ფრაქციის წევრთა სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს. საკითხი საერთო კრების დღის წესრიგში რიგგარეშე შეიტანება, თუ გადაყენების შესახებ კენჭისყრის ჩატარების წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე ფრაქციის წევრთა უმრავლესობა. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადაყენებულია, თუ შესაბამის გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ფრაქციის თავმჯდომარის ახალი მოადგილე არჩეული უნდა იქნეს იმავე საერთო კრებაზე.

VII. ფრაქციის აპარატი

7.1. ფრაქციის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და საექსპერტო უზრუნველყოფას ახორციელებს ფრაქციის აპარატი.

7.2. ფრაქციის აპარატის სტრუქტურას, სამტატო განრიგსა და შესაბამის თანამდებობათა სამუშაოების აღწერილობას ფრაქციისათვის საკრებულოს და ——— პარტიის (კავშირის) მიერ გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით განსაზღვრავს ფრაქციის თავმჯდომარე.

7.3. ფრაქციის აპარატის შტატიან მოსამსახურეებს ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ფრაქციის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

7.4. ფრაქციის აპარატში მოწვეულ ექსპერტებთან ვადიან (არა უმეტეს სამი თვის ვადით)

მრომით ხელშეკრულებას —— პარტიის (კავშირის) მიერ გამოყოფილი სასსრების გათვალისწინებით დებს ფრაქციის

7.5. ფრაქციის აპარატი ანგარიშვალდებულია ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის საერთო კრების წინაშე.

VIII. დასკვნითი დებულებები

8.1. ფრაქციის წესდება ძალაშია დამფუძნებელი კრების მიერ მიღების მომენტიდან.

8.2. ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა შეიძლება ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ შესაბამის პროექტს მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8.3. ფრაქციის გაერთიანება სხვა ფრაქციასთან ან ფრაქციის დაშლა ხდება ფრაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ შესაბამის წინადადებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ზე მეტი.

დებულება
თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდის შესახებ

მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. დებულება "თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდის შესახებ" ადგენს თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდის შევსების, ორგანიზაციის და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდის დანიშნულებაა:

ა) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის, თვითმმართველი ერთეულის პერსპექტიული განვითარების, თვითმმართველობის ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობისათვის, ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის;

ბ) უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოების მუდმივი კავშირი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან; საშუალება მისცეს მოსახლეობას თუ იურიდიულ პირებს შეუფერხებლად მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები თვითმმართველობის ორგანოებს და თანამდებობის პირებს თვითმმართველ ერთეულში არსებული მიმდინარე პრობლემების და მისაღები გადაწყვეტილებების პროექტების შესახებ; უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

3. თვითმმართველი ერთეულის ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართია: www.N.ge

მუხლი 2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება

1. ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური (განყოფილება).

2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება მოიცავს:

ა) ვებ-გვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ბ) ვებ-გვერდის ფუნქციონირების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას;

გ) ინფორმაციის განთავსებას;

დ) ვებ-გვერდზე შემოსული წინადადებების და წერილების სისტემატიზაციას და საკრებულოს აპარატის უფროსისათვის გადაცემას;

ე) ვებ-გვერდის ფუნქციონირების პროგრამულ უზრუნველყოფას, მათ შორის, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

2. საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის (განყოფილების) მიმართვა ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განთავსების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციული დაწესებულებებისათვის.

მუხლი 3. ინფორმაციის წყაროები, კატეგორიები და სტატუსი

1. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. იგი საჯარო და უსასყიდლოა.

2. ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შეიძლება ქონდეს ოფიციალური (შესაბამისი მითითებით) ან არაოფიციალური სტატუსი.

3. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენება თავისუფალია. საინფორმაციო საშუალებებს უფლება აქვთ გამოიყენონ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვებ-გვერდის მისამართის სავალდებულო მითითებით.

4. ვებ-გვერდის შევსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

ბ) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები;

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებები;

დ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ინტერნეტ-რესურსები;

ე) საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

5. ვებ-გვერდის ინფორმაცია განახლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) მუდმივი (ყოველდღიური);

ბ) პერიოდული (ყოველკვირეული, ყოველთვიური);

დ) ერთჯერადი.

მუხლი 4. ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირები, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურს (განყოფილებას) აწვდიან ვებ-გვერდზე გასათავსებელ ინფორმაციას ელექტრონული ფორმით ამ დებულებით დადგენილი გადაცემისა და განახლების პერიოდულობის ვადების დაცვით.

2. ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო ვებ-გვერდზე დროულ, შესაბამის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში) განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე – საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური (განყოფილება).

3. ინფორმაციის მიწოდების ვადებია:

ა) მუდმივად განახლებადის – ყოველი დღის 13.00 სთ.

ბ) ყოველკვირეულის – ყოველი სამშაბათის 13.00 სთ.

გ) ყოველთვიურის – ყოველი თვის 15 რიცხვის 13.00 სთ.

3. დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წყაროების გარდა სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე ხდება 'თვითმმართველი ერთეულის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და ვებ-გვერდით სარგებლობის წესის~ მიხედვით, საკრებულოს აპარატის უფროსის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 5. ვებ-გვერდის ძირითადი სტრუქტურა

ვებ-გვერდის სტრუქტურის ძირითადი განყოფილებებია:

ა) თვითმმართველობის ორგანოები;

ბ) სამართლებრივი აქტები;
გ) თვითმმართველი ერთეული
დ) ახალი აშენები;
ე) მუნიციპალური მეურნეობა;
ვ) სოციალური სფერო;
ზ) პროგრამები და პროექტები;
თ) ცნობარი.

მუხლი 6. ვებ-გვერდის განყოფილებათა სტრუქტურა

1. თვითმმართველობის ორგანოების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) საკრებულო:

ა.ა) საკრებულოს დებულება (რეგლამენტი);

ა.ბ) საკრებულოს თანამდებობის პირები (თანამდებობა, მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი და მიღების საათები);

ა.გ) საკრებულოს წევრები (მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი, საკრებულოს კომისიის (კომისიების) და ფრაქციის წევრობა);

ა.დ) საკრებულოს კომისიები (უფლებამოსილება, სამუშაო გეგმა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის ოქმები);

ა.ე) საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფები (უფლებამოსილება, სამუშაო გეგმა, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები);

ა.ვ) საკრებულოს ფრაქციები (ფრაქციის წესდება; ფრაქციის შემადგენლობა; ფრაქციის სხდომის ოქმები, ფრაქციის განცხადებები და მიმართვები);

ა.ზ) საკრებულოს ბიურო (შემადგენლობა, უფლებამოსილება, სამუშაო გეგმები, ბიუროს სხდომის ოქმები);

ა.თ) საკრებულოს აპარატი (აპარატის დებულება, აპარატის უფროსი (მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, სამსახურის ტელეფონი, მისამართი), აპარატის სტრუქტურა, თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება, პერსონალური შემადგენლობა თანამდებობის და სამსახურის ტელეფონის მითითებით)

ბ) გამგეობა (მერია):

ბ.ა) გამგეობის (მერიის) დებულება;

ბ.ბ) გამგეობის თანამდებობის პირები (თანამდებობა, მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი და მიღების საათები);

ბ.გ) გამგეობის (მერიის) სტრუქტურა;

ბ.დ) გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულები (სტრუქტურული ერთეულის დებულება, სამუშაო გეგმა, პერსონალური შემადგენლობა თანამდებობის და სამსახურის ტელეფონის მითითებით);

ბ.ე) გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოები (ტერიტორიული ორგანოს დებულება, სამუშაო გეგმა, ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილების ფარგლები, გამგეობის (მერიის) რწმუნებული, მისი მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი).

2. სამართლებრივი აქტების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) აღგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზა (კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები და სხვა ნორმატიული აქტები);

ბ) საკრებულოს სამართლებრივი აქტები:

ბ.ა) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა;

ბ.ბ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

ბ.გ) საკრებულოს დადგენილებები, საკრებულოს განკარგულებები, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები;

გ) გამგებლის (მერის) ბრძანებები;

დ) პროექტები:

დ.ა) კანონპროექტები;

დ.ბ) საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

3. თვითმმართველი ერთეულის განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) თვითმმართველი ერთეულის ძირითადი გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები;
ბ) ისტორია;
გ) თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ერთეულები;
დ) თვითმმართველი ერთეულის რუკა.

4. ახალი ამბების განყოფილებაში თავსდება ინფორმაცია თვითმმართველ ერთეულში მომხდარ და მიმდინარე მოვლენებზე.

5. მუნიციპალური მეურნეობის განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:
ა) ეკონომიკა;
ბ) მრეწველობა;
გ) მიწათმოწყობა;
დ) ეკოლოგია;
ე) საბინაო-კომუნალური მეურნეობა;
ვ) თვითმმართველი ერთეულის ქონება;
ზ) ტრანსპორტი;
თ) ვაჭრობა და მომსახურება;
ი) სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და მშენებლობა;
კ) დასაქმება (ვაკანსიები, კონკურსები).

6. სოციალური სფეროს განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:
ა) განათლება;
ბ) კულტურა;
გ) ჯანმრთელობის დაცვა;
დ) სპორტი;
ე) სოციალური დაცვა;
ვ) ახალგაზრდობა;
ზ) მას-მედია;
თ) პოლიტიკური ორგანიზაციები;
ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციები.

7. პროგრამების და პროექტების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:
ა) მუნიციპალური პროგრამები;
ბ) საინვესტიციო პროექტები;
გ) კონკურსები;
დ) აუქციონები.

8. ცნობარის განყოფილებაში თავსდება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირების საცნობარო ინფორმაცია (მოქმედების სფერო, მისამართი, ტელეფონი).

თავი IV
ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოების მოხელეთა საჯარო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.

საქართველოს კანონი
საჯარო სამსახურის შესახებ

ეს კანონი აგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნება

1. საჯარო სამსახური (შემდგომ - სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

2. სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადისტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

3. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი; *(28.04.2006 N 2945)*

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები. *(10.11.2006 N3653)*

4. სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობისსაფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თაოდაცვას.

მუხლი 2. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება

1. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ - დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

2. სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პარლამენტი, გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა, დროებითი საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატებისა; *(10.11.2006 N3653)*

ა[1]) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; *(28.04.2006 N 2945)*

ბ) საქართველოს მთავრობის კანცელარია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები; *(28.04.2006 N 2945)*

გ) საქართველოს იუსტიციის საბჭო; *(7.03.2000 N 190)*

დ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკი;

ვ) საქართველოს კონტროლის პალატა;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები;

თ) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი აპარატი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, გარდა ამ ორგანოების ფრაქციათა აპარატებისა; *(10.11.2006 N3653)*

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

გ) ამოღებულია *(10.11.2006 N3653)*

4. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

ა) საკრებულო;

ბ) გამგეობა, მერია;

გ) მუნიციპალიტეტი.

მუხლი 3. საჯარო სამსახურის სახეები

1. საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია.

2. საჯარო სამსახური იყოფა შემდეგ სახეებად:

ა) სახელმწიფო სამსახური;

ბ) სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში.

მუხლი 4. საჯარო მოსამსახურის ცნება

1. საჯარო მოსამსახურე (შემდგომ - მოსამსახურე) არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

2. მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.

მუხლი 5. საჯარო მოსამსახურის სახეები

საჯარო სამსახურს ეწევა:

ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;

ბ) მოხელე;

გ) დამხმარე მოსამსახურე;

დ) შტატგარეშე მოსამსახურე.

მუხლი 6. მოხელის ცნება და სახეები

1. მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე.

2. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველო ბის მოხელეებად.

მუხლი 7. დამხმარე მოსამსახურის ცნება

დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.

მუხლი 8. შტატგარეშე მოსამსახურის ცნება

მტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

მუხლი 9. საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებებისა და თანამდებობრივი სარგოების დადგენა *(28.04.2006 N 2945)*

1. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, აგრეთვე შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნულ ან არჩეულ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა თანამდებობრივ სარგოებს ადგენს საქართველოს კანონი.

2. საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით განსაზღვრავს სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრებს საჯარო სამსახურის თანამდებობათა რანგების მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ზედა და ქვედა ზღვრების ფარგლებში:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის და აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი;

გ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი;

დ) საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოხელის თანამდებობრივ სარგოს და თანამდებობის დასახელებას – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

დ[1]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები დგინდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით; *(10.11.2006 N3653)*

ე) საქართველოს სამინისტროს და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს შესაბამისი სამინისტროს ხელმძღვანელი;

ვ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;

ზ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლო;

თ) საქართველოს საერთო სასამართლოს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გარდა) აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

ი) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივ სარგოს, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი;

კ) საქართველოს პროკურატურის სისტემის მოხელის, შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს გენერალური პროკურორი;

ლ) საქართველოს კონტროლის პალატის სისტემის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე;

მ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი;

ნ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ო) საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატის მოხელის და დამხმარე მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

პ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – საკრებულო;

ჟ) სხვა სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 10. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მოსამსახურეთა შტატების დამტკიცება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურა და მოსამსახურეთა შტატები მტკიცდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად.

2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის, საქართველოს სამინისტროების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის, საქართველოს კონტროლის პალატის სისტემის, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. *(28.04.2006 N 2945)*

3. საქართველოს საერთო სასამართლოს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გარდა) აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. *(28.04.2006 N 2945)*

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი. *(28.04.2006 N 2945)*

5. ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების მოსამსახურეთა შტატებს ამ დაწესებულების დებულების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 11. საჯარო მოსამსახურეები, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება

1. ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრებზე. *(29.12.2004 N 861)*

1[1]. ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრებზე ვრცელდება ამ კანონის პირველი – მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 121-ე და 126-ე მუხლები. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე, გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული მუხლებისა, ვრცელდება ამ კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები. *(29.12.2004 N 861)*

2. ამ კანონის მოქმედება ამ პუნქტში ჩამოთვლილ მოსამსახურეებზე ვრცელდებამხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს მოსამსახურეები არიან:

ა) საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების საფუძველზე არჩეული, დანიშნული და დამტკიცებული თანამდებობის პირები; *(10.11.2006 N3653)*

ბ) მოსამართლეები;

გ) პროკურორები;

დ) პოლიციის თანამშრომლები;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეები; *(29.12.2006 N4260)*

ვ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები;

ზ) საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები;

თ) საჰხედრო მოსამსახურეები;

ი) დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლები.

კ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრები.

ლ) ამოღებულია *(25.05.2006 N3183)*

3. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება პირველ და მე-2 პუნქტებში გაუთვალისწინებელ მოხელეებზე, თუ ამ კატეგორიის მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 12. საჯარო სამსახურის ენა

სახელმწიფო სამსახური საქართველოში ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე. სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში სორციელდება "სახელმწიფო ენის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები

საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებია:

ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;

დ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად;

ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

ვ) საქვეყნოობა;

ზ) საჯარო სამსახურის უპარტიობა და საერო ხასიათი;

თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა;

ი) მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

მუხლი 14. შრომის კანონმდებლობის მოქმედება მოსამსახურეზე

1. საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

თავი II

სამსახურში მიღება

მუხლი 15. სახელმწიფო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები

სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

მუხლი 16. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს სამუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

მუხლი 17. პირი, რომელიც არ მიიღება საჯარო სამსახურში

საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობითუკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

მუხლი 18. სპეციალური მოთხოვნები

1. სამსახურში შესვლისას, აგრეთვე შემდგომ ყოველწლიურად, მოსამსახურე (პრეტენდენტი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ ცნობას – დეკლარაციას. *(29.12.2006 N4260)*

2. ქონებრივ მდგომარეობაში ამ კანონით იგულისხმება შენატანი ბანკში, ფასიანი ქაღალდები, საწარმოს დიეიდენდები, მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც იმყოფება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა საკუთრებასა და თანასაკუთრებაში.

3. დეკლარაციის წარდგენის, შენახვისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

4. სამსახურში მიღებისას აუცილებელია პირმა წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. მოსამსახურე, რომელიც რეგისტრირებულია კანდიდატად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, მოეალეა იხელმძღვანელოს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით.

მუხლი 19. დამატებითი მოთხოვნები სამსახურში მისაღებად

1. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა ან ზემდგომმა უფროსმა.

2. დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, მოხელის კვალიფიკაციის დასადგენად დაწესებულების ხელმძღვანელმა შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ნორმატიული აქტით.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლების მქონე შესაბამისი დაწესებულების (მისი ხელმძღვანელის) ნორმატიული აქტით. (13.06.2000. N367)

მუხლი 20. მოხელეები, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ კანონის 21-ე-36-ე მუხლები

ამ კანონის 21-ე_36-ე მუხლები არ ერცელდება პარლამენტის მიერ თანამდებობაზე არჩეულ ან დანიშნულ პირებზე, აგრეთვე პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე დანიშნულ პირებზე.

მუხლი 21. მოხელის სამსახურში მიღება

მოხელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით.

მუხლი 22. თანამდებობაზე დანიშვნის უფლება

1. თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს.

2. თანამდებობა,რომელზეც მოხელის დანიშვნის უფლება აქვს დაწესებულების ხელმძღვანელს, განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 23. სამსახურის ვადა

1. მოხელე სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სამსახურში განსაზღვრული ვადით მიიღება:

ა) თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი - მოხელის სამსახურში გამოსელამდე ან თანამდებობიდან განთავისუფლებამდე;

ბ) თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი - კონკურსის შედეგების მისედეით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე;

გ) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე და მრჩეველი (ექსპერტი), საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის სამდივნოს მოხელე – არა უმეტეს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით; *(28.04.2006 N 2945)*

გ[1]) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უროსის სამდივნოს მოხელე – არა უმეტეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უროსის უფლებამოსილების ვადით; *(28.04.2006 N 2945)*

დ) პარლამენტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველი და თანაშემწე, აგრეთვე პარლამენტის წევრის თანაშემწე - შესაბამისი უფლებამოსილების ვადით;

დ[1]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების თავმჯდომარეთა, მათ მოადგილეთა, კომიტეტების თავმჯდომარეთა თანაშემწეები– შესაბამისი უფლებამოსილების ვადით; *(10.11.2006 N3653)*

ე) მინისტრის მოადგილე და საპარლამენტო მდივანი _ არა უმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით;

ვ) მინისტრის თანაშემწე და მრჩეველი - არა უმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით;

ზ) მგატგარეშე მოსამსახურე - დავალების შესრულების ვადით;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოსამსახურე.

3. თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, გარდა პრეზიდენტის თანაშემწისა და მრჩეველისა, შემცველს უფლება აქვს დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა, როგორც სამსახურში განუსაზღვრელი ვადით მიღებულმა მოხელემ.

4. დროებით არმყოფი მოხელის იმ თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შემცველს უფლება აქვს დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა, როგორც ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნული მოხელის მოვალეობის შემსრულებელმა.

მუხლი 24. მოხელის გამოსაცდელი ვადა

1. პირს, რომელსაც მოხელის სამსახურში მიღების უფლება აქვს, შეუძლია მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს 6 თვისა, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის გასმავლობაში ამ კანონით დადგენილი წესით.

3. გამოსაცდელ ვადაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის და სხვა საპატიო მიზეზის გამო გაცდენილი დრო. გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში.

4. გამოსაცდელი ვადა არ გამოიყენება:

ა) პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ;

ბ) პარლამენტის მიერ არჩეული ან დანიშნული მოხელის მიმართ;

ბ[1]) პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ; *(23.12.2005 N 2470)*

ბ[2]) პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ; *(23.12.2005 N 2470)*

ბ[3]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეულ მოხელეთა მიმართ; *(10.11.2006 N3653)*

გ) თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მიმართ;

დ) სამსახურებრივი წინსვლისას თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;

ე) დროებით არმყოფი მოხელის შემცველად ან მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისას..

მუხლი 25. საჯარო სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები

1. საჯარო სამსახურში მიღების მსურველმა ამ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;

დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

ზ) ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან; *(29.12.2006 N4260)*

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2. ამ დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის საფუძველი.

მუხლი 26. თანამდებობაზე დანიშვნის გაფორმება

1. თანამდებობაზე დანიშვნა ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით.

2. ბრძანება ან განკარგულება უნდა პასუხობდეს ამ აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) თანამდებობაზე დასანიშნი პირის სახელი და გვარი;

ბ) იმ დაწესებულების დასახელება, რომელშიც პირი თანამდებობაზე ინიშნება;

გ) თანამდებობის დასახელება, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი და დანამატები;

დ) თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი;

ე) სამსახურის ვადა - თუ პირი სამსახურში მიღებულია განსაზღვრული ვადით;

ვ) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა - თუ გამოსაცდელი ვადა გამოიყენება.

მუხლი 27. თანამდებობაზე დანიშვნის გაუქმება

1. თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს შეუძლია ბრძანების ან განკარგულების გაუქმება, თუ:

ა) თანამდებობაზე დანიშნულმა პირმა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებამდე წარმოადგინა შესაბამისი განცხადება;

ბ) თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებამდე გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც ამ კანონის მიხედვით გამორიცხავენ თანამდებობაზე დანიშვნას.

2. პირი, რომლის დანიშვნაც გაუქმდა, ვალდებულია დააბრუნოს ყველაფერი, რაც მან მიიღო თანამდებობაზე დანიშვნით.

მუხლი 28. მოსამსახურის ფიცი

1. პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშვნელ მოხელეს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს:

"შეგნებული მაქეს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხის ბეგლობა,ვაცხადებ,ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, პატივი ეცე სახელმწიფოს ინტერესებს და აეტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი".

2. დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება მოხელის პირად საქმესთან ერთად.

მუხლი 29. თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის წესით

1. პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელის ვადაწყვეტილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. *(28.04.2006 N 2945)*

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები; *(14.04.2006 N2884)*

ა[1]) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები; *(10.11.2006 N3653)*

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცველელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში;

ვ) რეზერვში ჩარიცხული პირები.

მუხლი 31. კონკურსის გამოცხადება

1. საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ამ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის წინადადებით გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" ან სხვა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აცხადებს სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსი ან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი შესაბამის ბეჭდვით ორგანომი; ამასთან, კანდიდატებს განცხადების შესატანად ეძლევათ ორკვირიანი ვადა შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.

2. შეტყობინება კონკურსის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს მაინც:

ა) სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელება;

ბ) კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები;

გ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;

დ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა;

ე) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი.

3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა ტარდება არა უადრეს სამი კვირისა კონკურსის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 32. საბუთების წარდგენა კონკურსში მონაწილეობისათვის

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ", "დ" და "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, რომლებიც უნდა შეივსოს საკონკურსო-სააგესტაციო კომისიის სახელზე.

მუხლი 33. კონკურსის მონაწილის შეფასება

საკონკურსო-სააატესტაციო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 34. კონკურსის შედეგები

1. საკონკურსო-სააატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე.

2. საკონკურსო-ს

მუხლი 38. სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურება

1. მოსამსახურეს აქვს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელისან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი).

მუხლი 39. უცხოეთში გრძელვადიანი მივლინება

1. უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით.

2. უცხო სახელმწიფოში გრძელვადიან მივლინებაში მოსამსახურის გაგზავნის წესი, მისი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

3. სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში მოსამსახურის წარგზავნის წესი, მისი სამივლინებო და სხვა სახის ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. (25.06.99 N2189 საკანონმდებლო მაცნე N29(36))

მუხლი 39[1]. სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურება *(17.06.2005 N 1710)*

1. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს აღგენს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს აღგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 40. სამუშაო დრო და დასვენების დრო

1. მოსამსახურის სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც იგი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება მოვალეობანი.

2. მოსამსახურე მუშაობს 5 დღიანი სამუშაო კვირით, სამუშაო დროის სანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს კვირაში.

3. მოსამსახურის დასვენების დრო დგინდება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 41. მოსამსახურის შვებულება *(23.12.2005 N 2470)*

1. მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

2. მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს 1 წლისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მოსამსახურეს შეუძლია გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შვებულება ნაწილ-ნაწილ.

მუხლი 41[1]. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, დახმარება და კომპენსაცია *(23.06.2006 N 3402)*

1. მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღის, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღის ოდენობით. მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი დახმარება.

2. მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილ დახმარებასთან ერთად, მის მიერ შვებულების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესაბამისად ეძლევა კომპენსაცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეებულება მოსამსახურეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობისშემდგომ პერიოდებზე.

4. ორსულობისა და მშობიარობის გამო შეებულების პერიოდში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კომპენსაციას ანაზღაურებს დაწესებულება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებიდან.

მუხლი 42. ამოღებულია *(23.12.2005 N 2492)*

მუხლი 43. სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან თანამდებობრივად გაუთვალისწინებელი დავალების მიცემა

სხვა თანამდებობაზე ან სხვა ადგილმდებარეობის სამუშაოზე მოხელის გადაყვანა,აგრეთვე მისთვის დაკავებული თანამდებობით გაუთვალისწინებელი დავალების დაკისრება დასაშვებია მხოლოდ მოხელის თანხმობით. გამონაკლისს წარმოადგენს ამ კანონის 53-ე, 54-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 44.შრომის ანაზღაურება მოხელის უკანონოდ გადაყვანის შემთხვევაში

მოხელეს უფლება აქვს მიიღოს შრომითი გასამრჯელო მისი უკანონოდ გადაყვანის მთელი პერიოდისათვის, თუ მას ამ დროის მანძილზე ეკრძალებოდა ძველი სამუშაოს შესრულება და მან ამის თაობაზე წერილობით აცნობა უკანონო აქტის გამომცემ პირს თუ დაწესებულებას.

მუხლი 45. მოხელის გადაყვანა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

მოხელეს, რომლის ჯანმრთელობა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წინააღმდეგ ნაჩვენებია დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურის გაგრძელებასთან, უფლება ეძლევა იმავე დაწესებულებაში მიიღოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი თანამდებობა, გარდა კონკურსის წესით შესავსები თანამდებობისა. თუ აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის მოხელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი თანამდებობა ან თუ მოხელე ვერ აკმაყოფილებს სხვა მოთხოვნებს, იგი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 46. მოხელის სამსახურებრივი პირობების დროებით შემსუბუქება და მისი დროებით გადაყვანა

1. სამედიცინო დასკვნის საფუძველზე მოხელეს უფლება აქვს მოითხოვოს სამსახურებრივი პირობების დროებით შემსუბუქება ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე დროებით გადაყვანა, გარდა კონკურსის წესით დასაკავებელი თანამდებობისა. მოხელეს ეძლევა ახალი თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება ძველი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას. თუ ახალი თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგო ძველ თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, მოხელეს უნარჩუნდება ძველი სარგო.

2. მოხელისათვის სამსახურებრივი პირობების შემსუბუქების და მისი შესაბამისი გადაყვანის შეუძლებლობის შემთხვევაში, სამედიცინო დასკვნაში მითითებული ვადის გათვალისწინებით მოხელე თავისუფლდება თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა.

3. ამ მუხლის მოთხოვნები ერცელდება ფეხმძიმე ქალებზე ფეხმძიმობის პერიოდში.

მუხლი 47. ამოღებულია *(23.12.2005 N 2470)*

მუხლი 48. სასწავლო შეებულება კვალიფიკაციის ასამაღლებლად

სახელმწიფო მოსამსახურეს 5 წელიწადში ერთხელ თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით ეძლევა სასწავლო შეებულება 3 თვემდე ვადით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

მუხლი 49. დახმარება საჯარო მოსამსახურის დაღუპვის ან დაინვალიდებისას

1. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 წლის

სამსახურებრივი სარგოს ოდენობით. დაღუპული იერძალება სასელმწიფოს ან შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხარჯზე.

2. მოსამსახურეს, რომელიც დაინვალიდდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ეძლევა დახმარება:

ა) შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას - 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

ბ) შრომისუნარიანობის სრული დაკარგვისას - 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 50. სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი და მოსამსახურის საპენსიო უზრუნველყოფა

1. სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით. მოსამსახურე პენსიაში გადის კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(23.07.2003 N 2569. 2004 წლის 1 იანვრიდან)*

2. ამოღებულია *(23.12.2005 N 2464)*

3. ამოღებულია *(23.12.2005 N 2464)*

მუხლი 51. მოსამსახურის სხვა უფლებები და გარანტიები

1. მოსამსახურეს აქვს შემდეგი უფლებები და გარანტიები:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

ბ) მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ ტექნიკური სამუალებები და პირობები;

გ) მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით;

დ) გაერთიანდეს პროფესიულ კავშირებში და სამსახურისაგან თავისუფალ დროს მონაწილეობდეს მათ საქმიანობაში.

2. საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს როგორც სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები, ისე შესაბამისი გამონაკლისი.

თავი IV

სამსახურებრივი მოვალეობანი

მუხლი 52. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება და სამართლებრივი აქტების დაცვის ვალდებულება

1. მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი,რომელიც განსაზღვრულია ამ კანონით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქ ციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

2. მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითებების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ესება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მითითებულია 55-ე და 56-ე მუსლების პირველ პუნქტებში.

მუხლი 53. იმ განკარგულებათა შესრულება, რომლებიც არ უკავშირდება სამსახურის ადგილს

1. მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს პირადი უფროსის ან დაწესებულების ხელმძღვანელის ერთჯერადი უშუალო განკარგულება სამსახურებრივ საკითხებზე, რომელთა შესრულების მოვალეობა არ უკავშირდება სამსახურის ადგილს, გარდა ამ კანონის 55-ე და 56-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.და წესებულების ხელმძღვანელის განკარგულების შესახებ მოსამსახურემ უნდა აცნობოს თავის პირად უფროსს.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განკარგულების შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული წინააღმდეგობა მოსამსახურის მიერ თავისსამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში, იგი ვალდებულია ეს მოახსენოს განკარგულების გამცემს და განკარგულების გასმეორების შემთხვევაში აღასრულოს იგი.

მუხლი 54. იმ დავალების შესრულება, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში

1. მოსამსახურემ უნდა შეასრულოს დაწესებულების ხელმძღვანელის დავალება, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში, თუ ამის გაკეთება აუცილებელია ამ დაწესებულებაში სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან გადასარჩენად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ასეთი დავალების შესრულება წინააღმდეგ ნაჩვენებია მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ან ამკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

2. მოსამსახურეს, რომელიც დროებით თავისუფლდება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უნარჩუნდება ძველი თანამდებობრივი სარგო.

მუხლი 55. განკარგულებები, რომელთა გაცემაც არ შეიძლება

1. აკრძალულია განკარგულების გაცემა, თუ იგი:

ა) ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;

ბ) სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს;

გ) თხოულობს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების მიმღებს არ გააჩნია.

2. განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ეჭვის თაობაზე მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განკარგულების გამცემს და ზემდგომ უფროსს. განკარგულების წერილობითი ფორმით განმეორებისას იგი უნდა შესრულდეს, გარდა ამ კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 56. უარის საფუძველი იმ დავალების შესრულებაზე, რომელიც არ უკავშირდება სამსახურის ადგილს

1. მოსამსახურეს შეუძლია უარი განაცხადოს ამ კანონის 53-ე და 54-ე მუხლების პირველი პუნქტებით და 55-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებაზე, თუ მათი შესრულება:

ა) მიმართული იქნებოდა მისი მეუღლის, მშობლის, ძმის, დის, შვილის ან სხვა ახლობელ ადამიანთა წინააღმდეგ;

ბ) წინააღმდეგ ნაჩვენებია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის;

გ) არ იძლევა ბავშვთა აღზრდისათვის დაწესებული შეღავათებით სარგებლობის საშუალებას;

დ) მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას, ვიდრე მას აქვს.

2. დავალების შესრულებაზე უარის შემთხვევაში მოსამსახურემ დავალების მიმცემს უნდა გააცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოება.

მუხლი 57. სამსახურში არმყოფი მოხელის მოვალეობათა შესრულება

1. პირს, რომელსაც აქვს თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დროებით არმყოფი მოხელის შეცვლის ან ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც მოხელის არყოფნა გამოიწვევდა დაწესებულების ნორმალური საქმიანობის გართულებას, შეუძლია:

ა) გადაუნაწილოს არმყოფი მოხელის მოვალეობანი სხვა მოხელეებს მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე;

ბ) დააკისროს არმყოფი მოხელის მოვალეობანი სხვა მოხელეს და ეს უკანასკნელი გაათავისუფლოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან.

2. მოხელეს შეუძლია უარი განაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობათა დროებით შესრულებაზე, თუ მათი შესრულება წინააღმდეგ ნაჩვენებია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ან ეს მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას, ვიდრე მას აქვს.

3. მოხელეს შეუძლია ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ამავე დაწესებულებაში შეასრულოს არმყოფი მოხელის მოვალეობა არა უმეტეს 1 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში. არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება 1 თვეზე მეტი ვადით შეიძლება იმ მოხელის თანხმობით, რომელმაც უნდა შეასრულოს ეს მოვალეობა. *(23.12.2005 N 2470)*

4. მოხელეებს, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ცვლიან პოხელეს, თავიანთი ხელფასის გარდა ეძლევათ დანამატი არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

5. მოხელეს, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ცვლის არმყოფ პოხელეს, ეძლევა არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგო, თუ უკანასკნელი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს; თუ არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგო ნაკლებია შემცველის თანამდებობრივ სარგოზე, მაშინ შემცველ მოხელეს უნარჩუნდება თავისი სარგო.

მუხლი 58. საქმისწარმოების და ქონების გადაცემა

1. მოსამსახურე მოვალეა შვებულებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან განთავისუფლებამდე სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს ამისათვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს საქმისწარმოება და ქონება.

2. მოსამსახურის მოვალეობა და პასუხისმგებლობა ამ ქონების დაბრუნებასთან და ჩაბარებასთან დაკავშირებით განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 59. საიდუმლოს დაცვა

კანონმდებლობის შესაბამისად მოსამსახურე ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახე ლმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოერებასთანდაკავშირებული, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახუ რებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 60. სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა

მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი.

მუხლი 61. პარტიული საქმიანობის შეზღუდვა

სახელმწიფო მოსამახურეს არ აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

მუხლი 62. სამსახურებრივ ზედამხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვა

1. სახელმწიფო მოსამსახურე არ უნდა იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების წესით უწევს ზედამხედველობას.

2. არ შეიძლება მოხელეს დაეკისროს სამსახურებრივი ზედამხედველობა იმ ორგანიზაციებისადმი, რომელთა ხელმძღვანელ ორგანოებში საქმიანობენ მისი ოჯახის წევრები.

მუხლი 63. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა

მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია მხოლოდ ფლობდეს აქციებსა და წილს.

მუხლი 64. სამსახურებრივი შეუთავსებლობა

1. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და აღგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. *(24.02.2004 N 3397)*

2. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით. *(13.02.2004 N3318)*

3. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში. *(24.02.2004 N 3397)*

მუხლი 65. სამსახურში შესვლის შეზღუდვა

განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე განთავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან ეწეოდეს საქმიანობას იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე არ აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი.

მუხლი 66. გარიგებათა დადების შეზღუდვა

1. მოსამსახურეს ეკრძალება:

ა) გარიგების დასადებად მისთვის მინდობილი დაწესებულების ქონების შეძენა;

ბ) ქონებრივი გარიგების დადება იმ დაწესებულებასთან, სადაც საქმიანობს, გარდა კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა;

გ) როგორც საჯარო მოსამსახურემ, დადოს გარიგება თავისი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთან, პარტიასთან ან სხვა დაწესებულებასთან;

დ) როგორც საჯარო მოსამსახურემ, დადოს ქონებრივი გარიგება საკუთარ მეუღლესთან, საკუთარ ან მეუღლის ბებიასთან, ბაბუასთან, მშობელთან, ძმასთან, დასთან, შვილთან ან შვილიშვილთან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია.

3. მოსამსახურე ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე სამსახურის ვალის ვადით სხვას სამართავად გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეოსაქმიანობის სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებში.

მუხლი 67. მასობრივ აქციებში მონაწილეობა

სახელმწიფო მოსამსახურის მასობრივ აქციებში მონაწილეობის საკითხი რეგულირდება "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 68. მოსამსახურის სხვა მოვალეობანი და შეზღუდვა

ცალკეული კატეგორიის მოსამსახურეთა მიმართ საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სხვა სახის დამატებითი მოვალეობანი და შეზღუდვა.

თავი V

საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება

მუხლი 69. საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება

1. კომპეტენციის განერცობადობისა და უფლებამოსილების დონის მიხედვით საჯარო სამსახურში თანამდებობები იყოფა შემდეგ რანგებად:

ა) მთავარი საჯარო თანამდებობა;

ბ) წამყვანი საჯარო თანამდებობა;

გ) უფროსი საჯარო თანამდებობა;

დ) უმცროსი საჯარო თანამდებობა.

2. რანგების მიხედვით საჯარო თანამდებობათა კონკრეტული ნუსხა განისაზღვრება საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 70. მოხელეთა საკლასო ჩინი

1. მოხელის საკლასო ჩინი აღნიშნავს მისი პროფესიული დონისა და მონაცემებისშესაბამისობას განსაზღვრული თანამდებობისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

2. მოხელეებს საჯარო სამსახურში დაკავებული თანამდებობის შესაბამისად შეიძლება მიენიჭოთ შემდეგი საკლასო ჩინი:

ა) პოლიციარ საჯარო თანამდებობაზე - ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფო მრჩეველი.

ბ) წამყვან საჯარო თანამდებობაზე _ პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველი.

გ) უფროს საჯარო თანამდებობაზე _ საჯარო სამსახურის პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველი.

დ) უმცროს საჯარო თანამდებობაზე _ საჯარო სამსახურის პირველი, მეორე, მესამე კლასის რეფერენტი.

3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სამსახურში წესდება დიპლომატიური რანგები და სხვა საკლასო ჩინები. საჯარო სამსახურში საკლასო ჩინების შესაბამისად შეიძლება დაწესდეს განმასხვავებელი ფორმის ტანსაცმელი.

მუხლი 71. საკლასო ჩინის მინიჭება

1. საკლასო ჩინის მინიჭება ან ჩამორთმევა ხდება მოხელის მიერ ატესტაციის გავლის შედეგების მიხედვით.

2. საკლასო ჩინს ანიჭებს:

ა) სახელმწიფო მრჩეველებს - საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველებს, საჯარო სამსახურის მრჩეველებს, საჯარო სამსახურის რეფერენტებს - შესაბამის თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნის) უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი).

3. მოხელეს, რომელსაც მიენიჭა საკლასო ჩინი, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. სხვა თანამდებობაზე (სხვა დაწესებულებაში) გადასვლისას მოხელეს უნარჩუნდება საკლასო ჩინისათვის გათვალისწინებული დანამატი. სხვა თანამდებობაზე გადასვლის შემთხვევაში დანამატის გაანგარიშების საფუძველია იმ თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო, რომელზე ყოფნის დროსაც მოხელეს მიენიჭა საკლასო ჩინი. სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში დანამატის გაანგარიშების საფუძველია იმ თანამდებობის შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო, რომელზე ყოფნის დროსაც მოხელეს მიენიჭა საკლასო ჩინი. *(23.12.2005 N 2470)*

4. მოხელეს თანამდებობიდან გადადგომისას უნარჩუნდება საკლასო ჩინი მითითებით "გადამდგარი".

თავი VI

დაწესებულების შინაგანაწესი

მუხლი 72. დაწესებულების შინაგანაწესის შინაარსი

დაწესებულების შინაგანაწესით განისაზღვრება:

ა) სამუშაო დროს დასაწყისი და დასასრული;

ბ) დღის განმავლობაში შესვენების დრო;

გ) დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დრო ის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი;

დ) სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი;

ე) ხელფასის გაცემის დრო და ადგილი;

ვ) შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები;

ზ) სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი.

მუხლი 73. შინაგანაწესის დადგენა და მოსამსახურისათვის გაცნობა

1. დაწესებულების ხელმძღვანელი დამტკიცებამდე 2 კვირით ადრე შინაგანაწესის პროექტს წარუდგენს მოსამსახურეებს გაცნობისა და მასში შენიშვნებისა და წინადადებების შეტანის მიზნით. ეს წინადადებები და შენიშვნები დაწესებულების ხელმძღვანელისათვის სავალდებულო არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გამომდინარეობენ კანონიდან.

2. დაწესებულების შინაგანაწესს ამტკიცებს ხელმძღვანელი; ასევე ევზაენება შრომის ინსპექციას დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით და მოსამსახურეთა წარმომადგენლობით ორგანიზაციას.

3. დაწესებულების მინაგანაწესი ძალაში შედის დამტკიცების მომდევნო სამუშაოდღეს, თუ საკუთრივ მინაგანაწესით არ არის დადგენილი ძალაში შესვლის უფრო გვიანი თარიღი.

4. დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია სამსახურში მიღებისას მოსამსახურეს გააცნოს მინაგანაწესი (ხელწერილის დადებით), აგრეთვე უზრუნველყოს ნებისმიერ დროს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

თავი VII

მოხელის წახალისება, სამსახურებრივი დაწინაურება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 74. წახალისების ფორმები

1. მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის წესდება წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ერთდროული ფულადი ჯილდო;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება.

2. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამოდენიმე ფორმა.

მუხლი 75. წამხალისებელი

1. მოსამსახურეს მადლობა შეიძლება გამოუცხადოს უფროსმა,რომელსაც აქვს ბრძანების გამოცემის უფლება.

2. ერთდროული ფულადი ჯილდოთი, ფასიანი საჩუქრით ან თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლებით მოსამსახურის წახალისება შეუძლია მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირს ან დაწესებულებას.

3. წახალისების ნებისმიერი ფორმის გამოყენების შესახებ მოტივირებული წინადადების შეტანის უფლება აქვს ყოველ უფროსს და დაწესებულებას.

მუხლი 76. მოხელის სამსახურებრივი დაწინაურების უფლება

მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენება შეუძლია იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მისი თანამდებობაზე დანიშვნის უფლება.

მუხლი 77. სამსახურებრივი დაწინაურების წესი

1. უფრო მაღალ თანამდებობაზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს ის მოხელე, რომელიც დაკავებულ თანამდებობაზე მსახურობს 6 თვე მაინც და საკონკურსო-სააატესტაციო კომისიამ წარადგინა დასაწინაურებლად.

2. მოხელის სამსახურებრივი დაწინაურებისათვის საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა.

3. ერთ თანამდებობაზე რამოდენიმე დასაწინაურებელი მოხელის წარდგენისას თანამდებობაზე ინიშნება ის მოსელე, რომელსაც ატესტაციის შედეგების მისედვით უფრო მაღალი შეფასება აქვს.

4. მოხელე არ შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში.

მუხლი 78. დისციპლინური გადაცდომა

1. დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს:

ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული მეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის სამიშროების ბრალეული შექმნა;

გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩეველად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

მუხლი 79. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით _ არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა;

ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა_არა უმეტეს ერთი წლისა;

ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

2. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

მუხლი 80. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას უფლება აქვს მოხელეს ვადამდე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოსამსახურემ.

3. თუ მოხელეს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხის მგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით ორ პირად. ერთი პირი რჩება იმ თანამდებობის პირთან ან დაწესებულებასთან, რომელმაც ვადამდე ადრე მოუხსნა მოხელეს პასუხისმგებლობა, მეორე პირი კი გადაეცემა თვითონ მოხელეს.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა შეიტანება პირად სა ქმეში.

თავი VIII

მოხელის ატესტაცია

მუხლი 81. ატესტაციის ცნება *(28.04.2006 N 2945)*

1. ამ კანონის მიხედვით მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადული თვისების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

2. ატესტაციის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 82. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი

1. ატესტირებას ექვემდებარება:

ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (სააატესტაციო პერიოდი);

ბ) მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის;

გ) რეზერვში ჩარიცხული პირი;

დ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

2. ატესტირებას არ ექვემდებარება:

ა) მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს ან ირჩევს შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან ადგილობრიეი თვითმმართველობის ორგანო; *(28.04.2006 N 2945)*

ა[1]) მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები; *(10.11.2006 N3653)*

ბ) მოხელე, რომელიც სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით.

მუხლი 83. ატესტაციის დრო

1. ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს სახელმწიფო ან ადგილობრიეი თვითმმარ-

თანამდებობის დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. მოხელე, რომელიც სააატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარება მომავალ წელს ატესტირებას.

მუხლი 84. საკონკურსო-სააატესტაციო კომისიები

1. მოხელეთა ატესტირებას ახორციელებენ შემდეგი საკონკურსო-სააატესტაციო კომისიები:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია - პარლამენტის აპარატის მოხელეთათვის;

ა[1]) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეთათვის; *(28.04.2006 N 2945)*

ბ) საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია – საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოხელეთათვის, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოხელეთათვის – შესაბამისი საკონკურსო-სააატესტაციო კომისია; *(28.04.2006 N 2945)*

გ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების (საქართველოს სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება) მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია – შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების მოხელეთათვის; *(28.04.2006 N 2945)*

დ) სასამართლო დაწესებულებების (საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები) მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია - შესაბამისი სასამართლო დაწესებულების მოხელეთათვის;

ე) სახელმწიფოს შესაბამისი დაწესებულების მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია - ამ დაწესებულების მოხელეთათვის;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის კომისია - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის;

2. მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირთა ატესტირებას ახორციელებენ შესაბამისად ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საკონკურსო-სააატესტაციო კომისიები.

3. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია პროფესიული ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით შექმნას საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა.

მუხლი 85. კომისიის თავმჯდომარე

1. საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს, ამ კანონის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარის გარდა, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი. *(28.04.2006 N 2945)*

2. როგორც წესი, დაწესებულების მოხელეთა საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-ს

ა) დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეები ინიშნებიან საკუთარი სურვილით და პროფესიული ღონის გათვალისწინებით;

ბ) ზემდგომი დაწესებულების, მოხელეთა პროფესიული გაერთიანების წარმომადგენ ლები ინიშნებიან შესაბამისი დაწესებულების ან გაერთიანების წინადადებით;

გ) მეცნიერები და დამოუკიდებელი სპეციალისტები ინიშნებიან მათი თანხმობით.

მუხლი 87. კომისიის საქმიანობა

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი, აგრეთვე კომისიის წევრთა მრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი IX

მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

მუხლი 88. მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

1. მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მოხელის დროებით განთავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და შესაბამისი დაწესებულების განთავისუფლებას მოხელის სამსახურით უზრუნველყოფის მოვალეობისაგან.

2. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოხელეს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, დანამატები ან ეძლევა სხვაგვარი კომპენსაცია, გარდა ამ კანონის 89-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამხედრო საველდებულო სამსახურში გაწვევის შემთხვევებისა *(21.06.2002 N 1533)*

მუხლი 89. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება:

ა) მოხელის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ მოხელის სამსახურში მიღების უფლების მქონე პირი ან დაწესებულება ამის წინააღმდეგი არ არის;

ბ) შვებულების დროს;

გ) დროებით შრომისუუნარობის დროს;

დ) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით მოხელისათვის სხვა სამსახურებრივი დავალების დაკისრებისას;

ე) მოხელის კანდიდატად წამოყენებისას საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ვ) სამხედრო სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება; *(29.12.2006 N4323)*

ზ) იმ პერიოდში, როდესაც მოხელისაგან ითხოვენ დავალებების შესრულებას სხვა სამსახურებრივ ადგილზე და იგი უარზეა;

თ) მოხელის სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდში ამ კანონის 90-ე და 91-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში,აგრეთვე მოხელის სამსახურიდან ჩამოშორებისას რაიმე სხვა კანონიერი საფუძველით;

ი) მოხელის დროებით განთავისუფლების სხვა შემთხვევებისას (კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე).

მუხლი 90. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მოხელის სამსახურიდან ჩამოშორება

1. უფროსი ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მოხელეს ჩამოაშორებს სამსახურს მოცემული სამუშაო დღის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სამსახურს ჩამოშორებულ მოხელეს არ ეძლევა ხელფასი სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდისათვის.

მუხლი 91. მოხელის სამსახურიდან ჩამოშორება დისციპლინური წარმოებისას

1. პირს, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, შეუძლია დისციპლინური წარმოებისას მოხელე ჩამოაშოროს სამსახურს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სამსახურს ჩამოშორებულ მოხელეს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო დანამატებთან ერთად.

მუხლი 92. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების გაფორმება

1. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ფორმდება ბრძანებით ან განკარგულებით.

2. ამ კანონის 89-ე მუხლის "ა" და "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება, თუ იგი 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, შეიტანება მოხელის შრომის წიგნაკში.

თავი X

სამსახურიდან განთავისუფლება

მუხლი 93. სამსახურიდან განთავისუფლება

მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

მუხლი 94. განთავისუფლება სამსახურის ვადის გასვლის გამო

1. სამსახურის ვადის გასელასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი ურთიერთობა წყდება სამსახურის ვადის გასვლის მეორე დღეს.

3. თანამდებობაზე გარკვეული ვადით არჩეული ან დანიშნული პირი არ თავისუფლდება სამსახურიდან, თუ იგი ახალი ვადით იქნა არჩეული ან დანიშნული იმავე თანამდებობაზე.

მუხლი 95. განთავისუფლება საკუთარი ინიციატივის საფუძველზე

პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას.

მუხლი 96. სამსახურიდან განთავისუფლება დაწესებულების ლიკვიდაციის გამო

1. მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო.

2. დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე.

3. დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები; (13.06.2000 N367)

4. დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან.

მუხლი 97. სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით

1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

2. ამოღებულია *(23.12.2005 N 2470)*

3. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

მუხლი 98. სამსახურიდან განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო

1. მოხელე მეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო:

ა) გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე;

ბ) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

გ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად;

დ) სახელმწიფო ენის არადამაკმაყოფილებელი ცოდნის და ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის გამო;

ე) თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი;

ვ) არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო.

2. ამოღებულია *(23.12.2005 N 2470)*

მუხლი 99. განთავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის

1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის.

2. სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხიმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა.

3. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარემეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება მისთვის შესაბამისი დოკუმენტის გაცნობის დღიდან. მოხელე, რომელიც თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, განთავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებური დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

მუხლი 100. განთავისუფლება ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო

1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ ოთხი თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე ექვსი თვის გამოუცხადებლობის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან მხოლოდ დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის მოქმედების პერიოდში.

3. იმ მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობა, რომელიც სამსახურთან დაკავშირებით გახდა დროებით მრომისუუნარო, შეჩერდება მისი გამოჯანმრთელების ან ინვალიდობის დადგენამდე და მას უნარჩუნდება თავისი თანამდებობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან შესაბამის დოკუმენტში (განთავისუფლების შესახებ) მითითებული დღიდან.

მუხლი 101. განთავისუფლება ასაკის გამო

მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ასაკის გამო ამ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 102. განთავისუფლება მოხელის სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო

1. მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება ამ კანონის 89-ე მუხლის "ა" და "ვ" ქვეპუნქტების საფუძველზე. *21.06.2002 N 1533)*

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება არა უგვიანეს სამი დღისა გაწვევიდან.

მუხლი 103.განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო

მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლის თანახმადაც მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანამაულისათვის, ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. მოხელე თავისუფლდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

მუხლი 104. განთავისუფლება სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის

1. მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის დროს დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

2. მოხელე არ ექვემდებარება განთავისუფლებას, თუ განთავისუფლების საფუძველი აღმოიფხერა.

მუხლი 105. განთავისუფლება სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით

1. მოხელე თანამდებობიდან თავისუფლდება, თუ იგი აირჩიეს ან დანიშნეს სხვადა წესებულებაში თანამდებობაზე, გარდა შემთხვევისა, როდესაც იგი ირჩევა ან ინიშნება სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი საწარმოს მართვისა და ზედამხედველობის ორგანოს წევრად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე თანამდებობიდან თავისუფლდება სხვა თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის დღეს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე, თუ იგი აირჩიეს ან დანიშნეს სხვა შესაბამის სახელმწიფო თანამდებობაზე, არ წყვეტს სამსახურებრივ ურთიერთობას სახელმწიფოსთან.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განთავისუფლებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე აირჩიეს ან დანიშნეს ამავე ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში სხვა თანამდებობაზე, იგი არ წყვეტს სამსახურებრივ ურთი ერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ერთეულთან.

მუხლი 106. განთავისუფლება მოქალაქეობის შეცვლის გამო

სამსახურიდან თავისუფლდება მოხელე, რომელიც გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან ან საკუთარი თავისუფალი ნებით მიიღო ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მო ქალაქეობა.

მუხლი 107. განთავისუფლება გარდაცვალების გამო

მოხელის გარდაცვალების მეორე დღიდან სამსახური ითვლება შეწყვეტილად.

მუხლი 108. მოხელის გაფრთხილება განთავისუფლების შესახებ

1. მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო განთავისუფლების შესახებ მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს განთავისუფლებამდე 2 კვირით ადრე მაინც.

2. ამ მუსლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ამ კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გარდა მოხელეს ეძლევა ხელფასი ყოველი გადაცილებული დღისათვის.

3. განთავისუფლებაზე უარის თქმა, თუ მოხელე გაფრთხილებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეიძლება მხოლოდ მოხელის წერილობითი თანხმობით. უარის შემთხვევაში მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან იმავე საფუძვლით და ეძლევა ამ კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია.

მუხლი 109. სამსახურიდან განთავისუფლების კომპენსაცია *(23.12.2005 N 2470)*

1. დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან განთავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

2. ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 110. განთავისუფლების გაფორმება

1. სამსახურიდან განთავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით.

2. მოხელის შრომის წიგნაკში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ განთავისუფლების თარიღის აღნიშვნით. სამსახურიდან განთავისუფლების კანონზე დაყრდნობით ფორმულირება (მუხლისა და შესაბამისი პუნქტის მინიშნებით) მოხელის შრომის წიგნაკში შეიტანება მხოლოდ მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 111. სამსახურიდან განთავისუფლების შეზღუდვა გარკვეული პერიოდის მიხედვით

1. მოხელე არ შეიძლება განთავისუფლებული იქნეს სამსახურიდან შტატების შემცირების, ასაკის ან ატესტაციის შედეგების გამო იმ დროის განმავლობაში, როდესაც მისი სამსახურებრივი ურთიერთობები შეჩერებულია: ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნისას; სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის, სასწავლო შეკრების, რეზერვისტთა მობილიზაციის დროს; მოხელის კანდიდატად წამოყენებისას საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(23.12.2005 N 2470)*

2. მოხელე (ქალი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

მუხლი 112. მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში

სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

თავი XI

მოხელეთა რეზერვი

მუხლი 113. მოხელეთა რეზერვის მიზანი

მოხელეთა რეზერვის მიზანს წარმოადგენს:

ა) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებისათვის მოხელეთა კანდიდატების შერჩევა;

ბ) საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის წინაშე გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოხელისათვის სამსახურის ადგილის გამოძებნა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში;

გ) სამსახურიდან განთავისუფლებული პირებისათვის სამსახურის ახალი ადგილის გამოძებნა.

მუხლი 114. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვა

1. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვას აწარმოებს შესაბამისი საკონკურსო სააატესტაციო კომისია.

2. რეზერვში ინახება ჩარიცხულ მოხელეთა სია და მათი სამსახურობის ნუსხები.

მუხლი 115. რეზერვში ჩარიცხვას დაქვემდებარებული პირები

რეზერვში ირიცხება:

ა) მოხელე, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს დაწესებულების ლიკვიდაციის, შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;

ბ) სამსახურში არმყოფი პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა მოხელეობაზე საკონკურსო-სააატესტაციო კომისიას;

გ) საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული პირი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაინიშნა.

მუხლი 116. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან რეზერვში ჩარიცხვას

რეზერვში არ ირიცხება:

ა) მოხელე, რომელსაც სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ უფლება აქვს, მაგრამ არ სურს ჩაირიცხოს რეზერვში;

ბ) პირი, რომელიც სამსახურიდან განთავისუფლდა სამსახურის ეადის გასვლის გამო და უკანასკნელი თანამდებობის დაკავებამდე მუშაობდა განუსაზღვრელი ვადით სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

მუხლი 117. რეზერვში ჩარიცხვის გაფორმება

1. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში მისი სასამსახურო ნუსხის და სხვა დოკუმენტების ასლები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საკონკურსო-სააატესტაციო კომისიას.

2. თუ სამსახურიდან განთავისუფლებულ მოხელეს სურს რეზერვში ჩარიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს უნდა დაერთოს მოხელის განცხადება რეზერვში ჩარიცხვის შესახებ და შრომის წიგნაკი.

მუხლი 118.თანამდებობაზე დანიშვნა რეზერვიდან

1. დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც საჭიროებს მოხელეს, შესაბამის საკონკურსო-სააატესტაციო კომისიას აცნობებს ვაკანტური თანამდებობის არსებობის შესახებ თანამდებობის დასახელების და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში შესაბამისი საკონკურსო-სააატესტაციო კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს უგზავნის რეზერვიდან ამონაწერს იმ პირთა შესახებ,რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს, აგრეთვე მათი ნამსახურობის ნუსხებს.

3. დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამის კანდიდატს მისი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 119. რეზერვში ჩარიცხული პირის უფლება უარი განაცხადოს თანამდებობაზე დანიშვნაზე

რეზერვში ჩარიცხულმა პირმა შეიძლება უარი განაცხადოს თანამდებობაზე დანიშვნაზე, თუ შეთავაზებული თანამდებობა:

ა) არ შეესაბამება მის ჯანმრთელობის მდგომარეობას;

ბ) მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა სპეციალურ მომზადებას;

გ) არ იძლევა კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობის საშუალებას;

დ) იმყოფება სხვა ადგილზე.

მუხლი 120. რეზერვში ჩარიცხული პირის სტატუსი

მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული პირის სამართლებრივი სტატუსი, მისი უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი XII

სამსახურის სტაჟი

მუხლი 121. სამსახურის სტაჟის გამოანგარიშება

სამსახურის სტაჟი შეიცავს:

ა) სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში მოხელის, დამხმარე ან მტაცგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე სამსახურის პერიოდს;

ბ) ამ კანონით გათვალისწინებულ რეზერვში ყოფნის დროს;

გ) სწავლის პერიოდს, თუ პირი გაგზავნილი იყო სასწავლებლად დაწესებულების მიერ ან უკვე ჰქონდა სამსახურის სტაჟი.

მუხლი 122. სამსახურის სტაჟის შეწყვეტა

სამსახურის სტაჟი შეწყდება პირის სამსახურიდან ან რეზერვიდან განთავისუფლებისას, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას.

მუხლი 123. სამსახურის სტაჟის დადასტურება

სამსახურის სტაჟი დასტურდება შრომის წიგნაკში ჩაწერით, აგრეთვე დაწესებულების მიერ სათანადოდ გაფორმებული სხვა საბუთებით.

თავი XIII

ნამსახურობის ნუსხა და შრომის წიგნაკი

მუხლი 124. მოხელის ნამსახურობის ნუსხა

1. მოხელეზე დგება ნამსახურობის ნუსხა, რომელშიც მითითებულია:

ა) სახელი და გვარი;

ბ) დაბადების თარიღი და ადგილი;

გ) ოჯახური მდგომარეობა;

დ) განათლება და სპეციალობა;

ე) თანამდებობრივი ფიცის დადების თარიღი და ადგილი;

ვ) სამსახურის გაელა, აგრეთვე სამსახურიდან განთავისუფლების ფორმულირება კანონის მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის დამოწმებით;

ზ) შვებულებები;

თ) წახალისებები;

ი) დისციპლინური პასუხისმგებლობის დადება და მისი მოხსნა;

კ) ატესტაციის შედეგები.

2. ნამსახურობის ნუსხის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 125. ნამსახურობის ნუსხა სამსახურის ადგილის შეცვლის ან სამსახურიდან განთავისუფლებისას

1. სამსახურიდან ან რეზერვიდან განთავისუფლებულ პირს მისი სურვილით ეძლევა ნამსახურობის ნუსხა.

2. მოხელის ახალ სამსახურში მისვლისას სხვა დაწესებულებაში წარმოებული ნამსახურობის ნუსხა იგზავნება სამსახურის ახალ ადგილზე.

მუხლი 126. მოხელის შრომის წიგნაკი

1. მოხელეზე იწარმოება შრომის წიგნაკი, რომელშიც იწერება:

ა) მოხელის სახელი და გვარი;

ბ) მოხელის დაბადების თარიღი;

გ) სამსახურში ყოფნის პერიოდი;

დ) სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება.

3. მოხელის მოთხოვნით შრომის წიგნაკში იწერება:

ა) სამსახურიდან განთავისუფლების ფორმულირება კანონის მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის მითითებით;

ბ) ცნობები თანამდებობაზე, რომლებიც მას ეკავა.

თავი XIV

დავის გადაწყვეტა

მუხლი 127. დავის გადაწყვეტა სასამართლო წესით

1. მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

2. დამხმარე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურებრივი დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს ერთი თვის ვადაში.

2[1]. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდამშულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან. *(24.06.2005 N 1802)*

2[2]. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული აქტის თაობაზე პირის მიერ სარჩელის წარდგენა არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას. *(24.06.2005 N 1802)*

3. მოხელეს შეუძლია სასამართლომი მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება.

4. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში წარმოშობილი სამსახურებრივი დავა განიხილება და წყდება "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

5. სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

თავი XV

სახელმწიფო პოლიტიკა სამსახურის სფეროში

მუხლი 128. სამსახურის ორგანოები

1. სახელმწიფო პოლიტიკას სამსახურის სფეროში განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.

2. საჯარო სამსახურის სფერომი ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და საჯარო სამსახურის სფერომი კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადების მიზნით საქართველოს პრეზიდენტთან იქმნება საჯარო სამსახურის საბჭო. *(24.06.2004 N 200)*

მუხლი. 128[1]. საჯარო სამსახურის საბჭო

1. საჯარო სამსახურის საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო.

2. საჯარო სამსახურის საბჭოს თავმჯდომარე არის საქართველოს პრეზიდენტი. საჯარო სამსახურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი. *(28.04.2006 N 2945)*

3. საჯარო სამსახურის საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, საბჭოს მდივნის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სამ-სამი წარმომადგენლისაგან. საბჭოს მდივანს და საბჭოს სხვა წევრებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. *(28.04.2006 N 2945)*

4. საჯარო სამსახურის საბჭოს მდივანი იმავდროულად არის საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

5. საჯარო სამსახურის საბჭოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. *(24.06.2004 N 200)*

მუხლი 129. საჯარო სამსახურის ბიურო

1. საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის, ამ კანონით დადგენილი ძირითადი მიმართულებების განხორციელების, საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი წევრების საქმიანობის ორგანიზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. საჯარო სამსახურის ბიუროს დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების და მე-2 პუნქტის შესაბამისად. *(24.06.2004 N 200)*

მუხლი 130. საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციები

საჯარო სამსახურის ბიურო:

ა) შეისწავლის და აანალიზებს საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას, შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულებას და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს მოხსენებას;

ბ) კოორდინაციასა და მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

გ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოთა (დაწესებულებათა) საკადრო სამსახურების მუშაობას;

დ) საჯარო სამსახურის მართვის სრულყოფის მიზნით შეისწავლის და განაზოგადებს საჯარო სამსახურის სფეროში სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. *(24.06.2004 N 200)*

მუხლი 131. სახელმწიფო სამსახურის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები

სახელმწიფო სამსახურის ორგანოები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 132. დაწესებულების კადრების სამსახური

დაწესებულების კადრების სამსახური:

ა) უზრუნველყოფს ვაკანტურ სახელმწიფო თანამდებობაზე კონკურსის მოწყობას, ატესტაციის ჩატარებას;

ბ) აწარმოებს მოსამსახურეთა პირად საქმეებს, შეაქვს აუცილებელი ჩანაწერები მოსამსახურეთა მრომის წიგნაკებში;

გ) კონსულტაციებს უწევს მოსამსახურეებს მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვების და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

დ) აანალიზებს მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების დონეს, ორგანიზებას უწევს მოსამსახურეთა გადამზადებას (კვალიფიკაციის შეცვლას) და კვალიფიკაციის ამაღლებას.

თავი XVI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 133. საქართველოს ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა

საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს პრეზიდენტმა, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 134. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებანი

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით:

ა) საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს "საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრების, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო მოხელეების თანამდებობრივი განაკვეთის შესახებ", "სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების და თანამდებობათა სახელწოდებების შესახებ" კანონების განხილვა და მიღება.

ბ) ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს 1998 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოფს "საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების შესახებ", "მოხელეთა იმ თანამდებობების შესახებ, რომელთა დანიშვნის უფლებით სარგებლობენ დაწესებულებათა ხელმძღვანელები", "საკონკურსო-საატესტაციო კომისიების შესახებ", "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ", "მოხელეთა რეზერვის შესახებ," "მოსამსახურეთა საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ ნორმატიული აქტების მიღება.

გ) 2006 წლის 1 ივნისამდე საქართველოს მთავრობამ მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საქართველოს მთავრობის წევრთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი; *(28.04.2006 N 2945)*

დ) ამ მუხლის „გ" ქვეპუნქტში აღნიშნული შესაბამისი საკანონმდებლო აქტის ამოქმედებამდე საქართველოს მთავრობის წევრთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით; *(28.04.2006 N 2945)*

ე) 2006 წლის 1 ივნისამდე საჯარო სამსახურის ბიურომ მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს ამ კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით და 81-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ბრძანებულებების პროექტები. *(28.04.2006 N 2945)*

მუხლი 134[1]. ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას

2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. *(31/12/2003 N3211)*

თავი XVII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 135. სამსახურის სტაჟის გამოანგარიშება

ამ კანონის მიღებამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაანგარიშებული სახელმწიფო მოსამსახურის სტაჟი ჩაითვლება საჯარო მოსამსახურის შრომის საერთო სტაჟში.

მუხლი 136. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 29 ივნისის "სახელმწიფო სამსახურის კანონი" *(საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995 წწ., NN 27-30, მუხ. 650).*

მუხლი 137. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს 1997 წლის 1 დეკემბრიდან.

2. ამ კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება (გარდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა) შეჩერდეს „საჯარო სამსახურის კოდექსის" ამოქმედებამდე. *(29.12.2006 N4244)*

3. ამოღებულია *(23.12.2005 N 2464)*

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
1997 წლის 31 ოქტომბერი.
N 1022 – Iს

საქართველოს კანონი

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს კანონი ადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის, აღკვეთისა და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებსა და სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებს.

მუხლი 2 *(29.12.2006 N4278)*

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინი „თანამდებობის პირი" გულისხმობს შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;

ვ) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;

ზ) საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები;

თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

ი) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

კ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

ლ) საქართველოს მინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

მ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელები;

ნ) ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე, გამწვევი კომისიის რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის საბჭოდრო კომისრები;

ო) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტის, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების ხელმძღვანელები;

პ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;

ჟ) საქართველოს პრეზიდენტის საათათბირო ორგანოს წევრი;

რ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი;

ს) ამოღებულია *(30.03.2007 N4603)*

ტ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი და მისი მოადგილე; *(29.12.2006 N4295)*

უ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

ფ) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე;

ქ) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთაი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;

ღ) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;

ყ) მოსამართლე;

შ) საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები; საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის, სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;

ჩ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

მუხლი 3.

1. "კორუფცია საჯარო სამსახურში" არის თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

2. "კორუფციული სამართალდარღვევა" არის ქმედობა, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური,ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგე-ბლობა.

3. "ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში" არის თანამდებობის პირის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან.

4. „დაუსაბუთებელი ქონება" არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს არ გააჩნია ან იგი შეძენილია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N3314)*

5. „ქონებრივი წარმომავლობის დასაბუთება" არის დეკლარირებული ქონებისა და ფინანსური რესურსების საკუთრებაში მიღების ფორმის დოკუმენტური ან სიტყვიერი ახსნა-განმარტება წყაროს მითითებით. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N3314)*

მუხლი 4.

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) "ოჯახის წევრში" იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირები;

ბ) "ახლო ნათესავში" იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი მგოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

მუხლი 5.

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) "საჩუქარი" არის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი ეალდებულებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ აშკარად შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც ასეთი მომსახურებისათვის, ჩვეულებრივ, იღებს გასამრჯელოს;

ბ) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო ან პრემია საჩუქრად არ ჩაითვლება.

3. თანამდებობის პირისათვის ახლო ნათესავის მიერ გადაცემული საჩუქარი, აგრეთვე სხვა პირის მიერ საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა ისტორიული ან ბიბლიოგრაფიული ღირებულების მქონე გამოცემებისა, ამ კანონის მიხედვით, შეზღუდვას არ ექვემდებარება.

მუხლი 6.

1. ამ კანონის მიზნებისათვის, "საწარმოს კონტროლში" იგულისხმება პირის (ორგანოს) უფლებამოსილება კონკრეტული საწარმოს (მეწარმის) მიმართ, რომ მან პირადად ან თავისი სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის მეშვეობით შეამოწმოს საწარმოს (მეწარმის) საქმიანობა, ან დაუწესოს სამეწარმეო საქმიანობაში რაიმე შეზღუდვა ან შეღავათი, ანდა გასცეს ლიცენზია, სერტიფიკატი ან სხვაგვარი ნებართვა მის სამეწარმოე საქმიანობასთან დაკავშირებით.

2. ამ კანონის მიზნებისათვის, "თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირში (საჯარო მოხელეში)" იგულისხმება ის პირი (საჯარო მოხელე), რომლის მიერ გამოცემულ აქტთან ან შესრულებულ მოქმედებასთან დაკავშირებითაც თანამდებობის პირი უფლებამოსილია გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ, შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება, გააუქმოს აქტი.", ხოლო ამავე მუხლის პირველი აბზაცი ჩაითვალოს პირველ პუნქტად.

თავი II

მოქმედების შეზღუდვა

მუხლი 7.

თანამდებობის პირს უფლება არა აქვს საჯაროსამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს საჯარო სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც არ განეკუთვნება მის საჯაროსამსახურებრივ უფლებამოსილებას.

მუხლი 8.

თანამდებობის პირს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია,რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საჯარო სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9.

1.თანამდებობის პირს, რომელიც საჯარო სამსახურის გამო ვალდებულია უფასოდ გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

2. თანამდებობის პირს, რომელიც საჯარო სამსახურის გამო ვალდებულია ოფიციალური წესით დადგენილი ოდენობის საფასურად გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს უფრო დიდი ოდენობის ანაზღაურება.

3. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს მიიღოს რაიმე ანაზღაურება სახაზინო დაწესებულების მიერ შექმნილი ან მოპოვებული ინფორმაციის, ან ამ ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ნამრომის, მოხსენების ან სხვა მასალის გამოქვეყნებისათვის.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საჯაროა და მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მუხლი 10.

1. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას უკავია თანამდებობა.

2. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს თავის ახლო ნათესავთან ან მის წარმომადგენელთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოხელემ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია.

მუხლი 11.

1. თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს,

ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს, ამასთან, უარი განაცხადოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

2. თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა იმ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ და ამის თაობაზე წერილობით აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს (ხელმძღვანელ ორგანოს), რომელიც ან თვითონ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ან სხვა თანამდებობის პირს აკისრებს ამ მოვალეობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირს გადაწ-ყვეტილებაზე ხელის მოწერა შეუძლია მხოლოდ თავისი უშუალო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელი ორგანოს) წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რის შესახებაც გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებზე. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

მუხლი 12.

1. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება აქვთ მიიღონ საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობას ოჯახის თითოეულ წევრზე. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

2. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ პირად საკუთრებაში მიიღონ საჩუქარი საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან ან დაწესებულებისგან ან საერთაშორისო ორგანიზაციისგან ან მათი წარმო-მადგენლობებისგან და წარმომადგენლებისგან, ასევე სამსახურებრივი შედამხედველობის ქვეშ მყოფი პირებისგან, თუ მისი ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარს. ასეთი წყაროებიდან მიღებული და ზემოაღნიშნულზე მეტი ღირებულების საჩუქარი გადაცემის მომენტიდან ან იმ მომენტიდან, როცა თანამდებობის პირმა ან მისი ოჯახის წევრმა შეიტყო მისთვის საჩუქრის გადაცემის შესახებ, 72 საათის განმავლობაში უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ხაზინას. შესაბამისმა საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საჩუქრის გადაცემის შესახებ ინფორმაციის საჯარო რეესტრში შეტანა. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

3. თუ თანამდებობის პირს ან/და მისი ოჯახის წევრს ახლო ნათესავი გადასცემს საჩუქრებს, რომელთა საერთო ღირებულება ერთი წლის განმავლობაში აღემატება საარსებო მინიმუმის ათმაგ ოდენობას, თანამდებობის პირი თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარადგენს გადაცემული საჩუქრების დასახელებას, ღირებულებას/ოდენობას და მიუთითებს მჩუქებლის ვინაობას. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

4. ამოღებულია *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

თავი III

თანამდებობრივი შეუთავსებლობა

მუხლი 13.

1. თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

2. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

3. თანამდებობის პირს,მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

4. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

5. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს ფლობდეს აქციებს ან საწესდებო

კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

6. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს იყოს რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის, საშოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში რომელიმე სახაზინო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი არის ამ ფიზიკური პირის შეურვე ან მბრუნველი.

7. თანამდებობის პირის სამსასურებრივი მედამხეღველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს ამ პირის ახლო ნათესავი, კონკურსის წესით დანიშვნის გარდა. *(2004 წლის 1 იულისიდან 13.02.2004 N 3314)*

8. თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.

9. თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ საბუთებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, ავრეთვე კადრების მესაბამის სამსახურს.

10. თანამდებობის პირი, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან:

ა) თუ მან ან მისი ოჯახის წევრმა დაარღვია ამ კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები;

ბ) თუ სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ თანამდებობის პირის მფლობელობამია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება. *(2004 წლის 1 იულისიდან 13.02.2004 N 3314)*

თავი IV

ეკონომიკური ინტერესების განცხადება და გამოქვეყნება

მუხლი 14

1. პირი არ შეიძლება გამწესდეს თანამდებობაზე თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროსთვის ქონებრივი დეკლარაციის წარდგენამდე. ბიურო დეკლარაციას გადასცემს თანამდებობაზე გამწესებელ ორგანოს/ორგანოებს, თანამდებობის პირს. კოლეგიური საჯარო დაწესებულება/თანამდებობის პირი გადაწყვეტილების მიღებამდე ეცნობა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას.

2. თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველი წლის პირველიდან 30 აპრილამდე შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში პირველიდან 30 აპრილამდე შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციები.

4. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე არსებული მონაცემები.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი თავისუფლდება დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულებისაგან, თუ მან თანამდებობა დატოვა ისეთ თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების გამო, რომელზე მყოფი პირისთვისაც, ამ კანონის შესაბამისად, დეკლარაციის შევსება საავალდებულოა.

6. თანამდებობის პირი თავისუფლდება დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულებისგან, თუ იგი თანამდებობის დატოვებიდან ერთი თვის განმავლობაში აირჩევა, დაინიშნება ან დამტკიცდება ისეთ დანამდებობაზე რომელზე მყოფი პირისთვისაც, ამ კანონის შესაბამისად, დეკლარაციის შევსება საავალდებულოა.

7. დეკლარაციები წარედგინება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს.

8. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები შეიესება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

მუხლი 15

1. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ:

ა) ვინაობა, საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მათ მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები, საქმიანობა;

ბ) მისი და მისი ოჯახის წევრების საიდენტიფიკაციო მონაცემები (გვარი, სახელი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი); დეკლარაციის შევსების მომენტისთვის საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრების მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო (დაკავებული თანამდებობის და ანაზღაურების ოდენობის მითითებით); ოჯახის წევრების შრომითი ბიოგრაფია (სამუშაო ადგილის, დაკავებული თანამდებობის და მუშაობის დროის მონაკვეთის მითითებით);

გ) უძრავი ქონება – მესაკუთრის ვინაობა, ქონების ადგილმდებარეობა და მისამართი; უძრავი ქონების საერთო ფართობი; ქონების ნასყიდობის, ქირავნობის ან გირაოს ღირებულება; ქონების მფლობელობაში მიღების თარიღი. დეკლარაციას თან უნდა დაერთოს მემკვიდრეობის, ნასყიდობის, ჩუქების, პრივატიზების, ქირავნობის ან გირაოს დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

დ) მოძრავი ქონება (გარდა ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის, ნაღდი ფულის და განკარგვის უფლებით მიღებული ქონებისა), თუ ნივთის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას – მესაკუთრის ვინაობა, ნივთის სახეობა, საფირმო სახელწოდება, დამზადების ან გამოშვების დრო, შესყიდვის ფასი და დრო, მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო ხელშეკრულების ასლი;

ე) ფასიანი ქაღალდები – მესაკუთრის ვინაობა, საკუთრებაში მიღების დრო, ნომინალი, მესყიდვის ღირებულება, რაოდენობა, მესაკუთრის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ვ) საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში–მესაკუთრის ვინაობა, ანგარიშის სახეობა, გახსნის თარიღი, თანხის ოდენობა;

ზ) ნაღდი ფული, მათ შორის, სხვა ფიზიკური ან/და იურიდიული პირისთვის არარეგისტრირებულად გასესხებული ან/და მისგან არარეგისტრირებული სესხის სახით მიღებული – ნაღდი ფულის მესაკუთრის ვინაობა, იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლისგანაც მიღებულია ან/და რომლისთვისაც გადაცემულია სესხი, სესხის მიღების/გაცემის თარიღი, სესხის მიმღების/გამცემის წერილობითი დასტური;

თ) განკარგვის უფლებით მიღებული ქონება – მესაკუთრის ვინაობა, ქონების სახეობა, სრული სახელწოდება, დამზადების ან გამოშვების დრო, განკარგვის უფლების მფლობელი, უფლების მიღების თარიღი და ქონების მისამართი (უძრავი ქონებისთვის), განკარგვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ი) მოქმედი ან/და წლის განმავლობაში დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის საგნის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის ათმაგ ოდენობას – ხელშეკრულების სახე, ხელშეკრულებაში მონაწილე პირები, ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება, ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა იმ ორგანოს მითითებით, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების რეგისტრაცია ან დამოწმება;

კ) საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობა – საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირი და მონაწილეობის ფორმა, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი, საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი;

ლ) დეკლარაციის შევსების თარიღი და პირის ხელმოწერა.

2. თანამდებობის პირი ვალდებულია დაასაბუთოს ამ მუხლის პირველ პუნქტში დეკლარირებული ქონების და ფინანსური რესურსების წარმომავლობა.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში დეკლარირებული ქონების და ფინანსური რესურსების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში თანამდებობის პირმა უნდა მიუთითოს ასეთი დოკუმენტის არარსებობის გარემოებებზე. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

მუხლი 16

1. თანამდებობის პირის საფინანსო დეკლარაცია ასახავს მისი ქონებრივი მდგომარეობის ცვლილებას და შეიცავს ინფორმაციას ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ"–„ი" ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემების ცვლილებისა და მიღებული შემოსავლების შესახებ.

2. თანამდებობის პირი ვალდებულია უზრუნველყოს ქონებრივი წარმომავლობის დასაბუთება, დაასაბუთოს საფინანსო დეკლარაციაში შეტანილი მონაცემები შემოსავლების ან/და მფლობელობაში მიღებული ქონების შესახებ.

3. საფინანსო დეკლარაციაში შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე ერთი კალენდარული წლის მონაცემები. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

მუხლი 17.

1. ამოღებულია *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

2. თუ დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან წარმოადგენს სხვაგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით, ეს ინფორმაცია აისახება მხოლოდ დეკლარაციის სპეციალურ(საიდუმლო) გრაფაში, შესაბამისი წყაროდან მიღებული ქონების სახეობის (შინაარსის), ქონებასთან თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრების კავშირის, ქონების საბაზრო ღირებულების ან/და ოდენობის მითითებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეკლარაციის შემვსებმა დეკლარაციას უნდა დაურთოს წერილობითი მითითება იმ სამართლებრივ აქტზე, რომლის საფუძველზეც დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან წარმოადგენს სხვაგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია.

მუხლი 18.

1. დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლის უმრუველყოფის, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით იქმნება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო (შემდგომში – ბიურო), რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ბიურო უზრუნველყოფს: *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

ა) თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების შესახებ ინსტრუქციის შედგენას;

ბ) თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის ფორმის დაუბრკოლებლად მიღებას;

გ) შევსებული დეკლარაციის მიღებასა და შენახვას;

დ) დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას;

ე) ამ კანონის მე-2 მუხლში მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის შედგენას და საქართველოს იუსტიციის მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, რომელთათვისაც დეკლარაციების შევსება სავალდებულოა, აგრეთვე რეესტრში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადებას და საქართველოს იუსტიციის მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენას; *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

ვ) კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

2. ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

3. ბიუროს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მუშაობის წესს განსაზღვრავს მისი დებულება, რომელსაც ბიუროს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

4. ბიუროს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მუშაობის წესს განსაზღვრავს მისი დებულება, რომელსაც ბიუროს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 19.

1. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს, მიიღოს დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა. *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N3314)*

2. არ შეიძლება დაწესდეს ან შეიქმნას რაიმე დაბრკოლება დეკლარაციის ასლის მისაღებად;

3. დეკლარაციის და დეკლარაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ბიუროში თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი სხვა მასალების ასლის მისაღებად „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით გადაიხდევინება საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. *(13.05.2005 N 1439)*

თავი V

პასუხისმგებლობა კორუფციული სამართალდარღვევისათვის

მუხლი 20.

1. ამ კანონის მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისად. ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის ამ კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის თანამდებობის პირისათვის საქართველოს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრება მას არ ათავისუფლებს დეკლარაციების წარდგენის ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი ვალდებულია სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის ვადაში შეაესოს და წარადგინოს შესაბამისი დეკლარაციები;

2. თანამდებობის პირის მიერ ამ კანონის მოთხოვნების ბრალეული დარღვევა, თუ იგი არ წარმოადგენს სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

3. თუ კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც ასეთი ქმედობისათვის გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, გარდა თანამდებობიდან განთავისუფლებისა, წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ კორუფციულ ქმედობას, იგი ექვემდებარება სამსახურიდან სავალდებულო განთავისუფლებას.

4. ამოღებულია *(2004 წლის 1 იელისიდან 13.02.2004 N 3314)*

თავი VI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 21.

1. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, 1997 წლის საშემოდგომო სესიის დამთავრებამდე საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარის კანდიდატურა.

2. დაევალოს საქართველოს კონტროლის პალატას, 1998 წლის 30 მარტამდე ჩამოაყალიბოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო.

3. დაევალოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს, 1998 წლის 30 მარტამდე საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბიუროს დებულება.

4. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ დებულების დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში შეადგინოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც, ამ კანონის შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციების შევსება სავალდებულოა.

5. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საარსებო მინიმუმის ოდენობის განსაზღვრამდე, ამ კანონის მიზნებისათვის, საარსებო მინიმუმი განისაზღვროს ასი ლარით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს"თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ხარჯები" ცალკე პუნქტად გამოყოს საქართველოს ბიუჯეტის კანონში.

7. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა პირებმა ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარადგინონ 1998 წლის 15 აგვისტოდან 1 დეკემბრამდე;

8. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, 1998 წლის 1 იანვრამდე გამოყოს შენობა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს განსათავსებლად.

9.

10. გაუქმდეს ამ კანონის დანართები – თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ფორმები. *(2004 წლის 1 ივლისიდან 13.02.2004 N 3314)*

11. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურომ 2004 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს და საქართველოს იუსტიციის მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ახალი ფორმები. *(13.02.2004 N 3314)*

მუხლი 21[1] *(29.12.2006 N4295)*

1. თანამდებობის პირის მიერ თანამდებობაზე ყოფნისას და თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში შესაბამისი ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის ვადა გაგრძელდეს 2007 წლის 1 ივლისამდე.

2. 2008 წლის 1 იანვრამდე ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება და წარდგენა განხორციელდეს 2004 წლის 1 იანვრისთვის მოქმედი ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ფორმებით.

თავი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22.

1. ეს კანონი, IV თავის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
2. ამ კანონის IV თავი ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
1997 წლის 17 ოქტომბერი.
N 982 - Iს

საქართველოს კანონი

ნორმატიული აქტების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს კანონი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების (27.06.97) ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს.

მუხლი 2

1. სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

2. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა - ნორმატიული და ინდივიდუალური.

3. ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

4. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის დასახელება არ უნდა ემთხვეოდეს ნორმატიული აქტის დასახელებას, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. (27.06.97)

5. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა) და ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება (გამოცემა). (24.06.2004 N 213)

მუხლი 3

1. ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლება აქვთ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ნორმატიული აქტი უნდა იქნეს მიღებული (გამოცემული) (27.06.97) კონსტიტუციით, ამ კანონითა და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 4

1. საქართველოს ნორმატიული აქტებია: (11.04.2006 N 2834)

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
გ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
დ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
ე) საქართველოს ორგანული კანონი;
ვ) საქართველოს კანონი;
ზ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
თ) საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
ი) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
კ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
ლ) საქართველოს მთავრობის დადგენილება;
მ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება;
ნ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება;
ო) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება;
პ) აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება;
ჟ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება;
რ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება;
ს) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება;
ტ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება;
უ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება;
ფ) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება;
ქ) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება;
ღ) თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება;
ყ) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება;

შ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება; (29.12.2006. N4293)

ჩ) ამოღებულია (30.03.2007 N4601)

ც) ამოღებულია (25.05.2006 N3181)

ძ) ამოღებულია (25.05.2006 N3181)

წ) საქართველოს მინისტრის ბრძანება;

ჭ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;

ხ) საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;

ჯ) აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება.

ჰ) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება. (28.04.2006 N2947)

ჰ¹) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება.(27.12.2006 N4139)

ჰ²) ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება. (30.03.2007 N4601)

ჰ³) ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება. (28.03.2007 N4534)

2. აფხაზეთისა და აჭარის ნორმატიული აქტებია: ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა და თანამდებობის პირთა ნორმატიული აქტებია: საკრებულოს გადაწყვეტილება, გამგეობის (მთავრობის) გადაწყვეტილება, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება, გამგებლის (მერის) ბრძანება. (24.06.2004 N 213)

მუხლი 5

1. საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. (17.02.2004 N3350)

2. საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებია: (11.04.2006 N 2834)

ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;

ბ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება;

გ) საქართველოს მთავრობის დადგენილება;

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება;

ე) საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება;

ვ) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება;

ზ) აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება;

თ) ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება;

ი) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება;

კ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება;

ლ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება;

მ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება;

ნ) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება;

ო) საქართველოს სახელმწიფო მესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება;

პ) თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება;

ჟ) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება;

რ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება; (29.12.2006. N4293)

ს) ამოღებულია (30.03.2007 N4601)

ტ) ამოღებულია (25.05.2006 N3181)

უ) ამოღებულია (25.05.2006 N3181)

ფ) საქართველოს მინისტრის ბრძანება;

ქ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;

ღ) საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;

ყ) აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება.

შ) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება. (28.04.2006 N2947)

ჩ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება. (27.12.2006 N4139)

ც) ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება. (30.03.2007 N4601)

ძ) ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება. (28.03.2007 N4534)

3. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 6

1. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა მუშაობის წესი და სტრუქტურა განისაზღვრება ამ ორგანოთა მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით - რეგლამენტით, დებულებით და ა.შ.

2. საქართველოს სამინისტროს დებულება მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის და კანონით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო ორგანოთა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. (8.07.2005 N 1893)

3. ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისა და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ბაზაზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. (11.11.2004 N572)

მუხლი 7

1. საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი მოქმედებს ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს ნორმატიული აქტი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) მთელ ტერიტორიაზე.

4. ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მყოფ უცხოელთა მიმართ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 8

1. დაუშვებელია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თავიანთ უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად მათ განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება.

2. დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს ორგანული კანონით არის გათვალისწინებული, ან კონსტიტუციისა და ორგანული კანონის თანახმად საქართველოს კანონით არის გათვალისწინებული. (27.06.97)

3. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან ბრძანებულებით არის გათვალისწინებული.

თავი II

ნორმატიული აქტების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოები და ნორმატიული აქტების იერარქია

მუხლი 9

1. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, პარლამენტის დადგენილება. (17.02.2004 N3350)

2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და კონსტიტუციის გადასინჯვისას. კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

2[1]. საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. (24.06.2004 N 213)

3. მხოლოდ საქართველოს პარლამენტია უფლებამოსილი მოახდინოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება.

4. საქართველოს ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული.

5. საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული.

5[1]. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილება, შინაგანი სტრუქტურა, მუშაობისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. (17.02.2004 N3350)

6. კოდექსი არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი.

7. არანორმატიულია საქართველოს პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება. (27.06.97)

მუხლი 10

1. მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს:

ა) საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონით ან კანონით არის გათვალისწინებული;

ბ) ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, ადამიანის იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები;

გ) სამოქალაქო რეესტრში მესაკუთრე მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი;

დ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა შექმნის პირობები და მათი საქმიანობის ზოგადი წესი;

ე) საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა შექმნისა და საქმიანობის წესი;

ე) საქართველოში მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეები, სტრუქტურა, ოღენობა, მათი შემოღებისა და გადახდის წესი;

ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივი სტატუსი;

თ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევის წესი;

ი) სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, აღმინისტრაციული, სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობა.

2. საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი მტკიცდება საქართველოს კანონით. (24.06.2004 N 213)

3. საქართველოს სამინისტროები, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყებები და სახელმწიფო კონტროლის უმაღლესი ორგანოები იქმნება საქართველოს კანონით.

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

5. საქართველოს კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიიღება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მისი მომზადების, მიღებისა და ამოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", ამ კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით. (24.06.2004 N 213)

6. სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცება ხდება საქართველოს კანონით, რომელსაც იღებს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მისი მომზადების, მიღებისა და ამოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით.

7. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მომზადება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისათვის დადგენილი წესით და იგი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. (27.06.97)

მუხლი 11

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს (27.06.97) შემდეგი ნორმატიული აქტები: ბრძანებულება და დეკრეტი.

2. საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, გამოსცემს ბრძანებებს.

3. საქართველოს პრეზიდენტი ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ აქტებს გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ საფუძველზე.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დადოს კონსტიტუციური შეთანხმება. (24.06.2004 N 213)

მუხლი 12

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გამონაკლისია ბრძანებულებები საქართველოს მთავრობის წევრის (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) და საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, მოპოვების, შეწყვეტისა და აღდგენის თაობაზე, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ). (24.06.2004 N 213)

(1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გამონაკლისია ბრძანებულებები საქართველოს მთავრობის წევრის (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, მოპოვების, შეწყვეტისა და აღდგენის თაობაზე, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ). (30.03.2007 N4601 ამოქმედდეს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანისთანავე))

2. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

მუხლი 13

1. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომელიც გაბოიცემა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, ორგანულ კანონს. (24.06.2004 N 213)

მუხლი 131 (24.06.2004 N 213)

1. საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტია დადგენილება. საქართველოს მთავრობის დადგენილების იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს კონსტიტუციის, კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება მთავრობის სხდომაზე დამსწრე მთავრობის წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. საქართველოს მთავრობის დადგენილებას ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 14

1. საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებია: ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, რომელთა იურიდიული ძალაც განისაზღვრება ამ კანონით.

2. ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს, ხოლო (27.06.97) ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 141

1. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის ნორმატიული აქტია საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება.

2. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (24.12.98)

მუხლი 15

1. საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (27.06.97)

მუხლი 15^1

1. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტია კომისიის დადგენილება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. კომისიის დადგენილება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (30.04.99)

მუხლი 15^2

1. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის ნორმატიული აქტია კომისიის დადგენილება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (05.02.99)

მუხლი 15³

1. აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ნორმატიული აქტია აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება.

2. აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (30.04.99)

მუხლი 15⁴

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტია დადგენილება (გარდა იმ დადგენილებებისა, რომლებიც შეეხება საკადრო და პერსონალურ, აგრეთვე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს), რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (24.06.2004 N 213)

მუხლი 15⁵

1. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტია კომისიის დადგენილება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. კომისიის დადგენილება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (23.07.99)

მუხლი 15⁶ (03.06.2005 N1553)

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ნორმატიული აქტია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 15⁷ (29.12.2006. N4293)

1. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნორმატიული აქტია სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „ნავთობისა და გაზის შესახებ" და „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 15⁸

1. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება არის ნორმატიული აქტი, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება შეიძლება გამოიცეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (30.03.2001 N833)

მუხლი 15[9]

1. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტია სამსახურის უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება გამოიცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.(20.06.2001 N967)

მუხლი 15[10]

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტია სამსახურის უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება გამოიცემა ამ კანონითა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. (23.07.2003 N2621)

მუხლი 15[11] ამოღებულია (30.03.2007 N4601)

მუხლი 15[12] (11.11.2004 N572)

1. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ნორმატიული აქტია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება, რომელიც მიიღება „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. ბრძანებით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხი, რომლის მოწესრიგებაც საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით არის გათვალისწინებული.

2. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანების იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებსა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა შეიძლება გამოსცეს ერთობლივი ბრძანება საქართველოს სამთავრობო ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად. ერთობლივი ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესი ამ კანონის თანახმად განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 15[13] (8.07.2005 N 1893)

1. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ნორმატიული აქტია საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება, რომელიც მიიღება „საგაზვერვო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. ბრძანებით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხი, რომლის მოწესრიგებაც საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით არის გათვალისწინებული.

2. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანების იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებსა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურმა სამსახურმა შეიძლება გამოსცეს ერთობლივი ბრძანება საქართველოს სამთავრობო ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად. ერთობლივი ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესი ამ კანონის თანახმად განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 15[14] (11.04.2006 N 2834)

1. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის ნორმატიული აქტია აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 15[15] (28.04.2006 N2947)

1. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნორმატიული აქტია სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუ ხლი 15[16] (27.12.2006 N4139)

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ნორმატიული აქტია საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 15[17](30.03.2007 N4601)

1. ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის ნორმატიული აქტია ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება შეიძლება გამოიცეს „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 15[18] (28.03.2007 N4534)

1. ეროვნული პროფესიული სააგენტოს ნორმატიული აქტია ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამ კანონით.

2. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 16

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებაში, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებაში, საქართველოს კომ ,ნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებაში, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებაში, ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებაში, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებაში, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებასა და ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და შესასრულებლად გამოიცა იგი. არანორმატიულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებები, რომლებიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება. (28.03.2007 N4534)

2. საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტრუქტურულ ერთეულებს არა აქვთ ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება. (27.06.97)

მუხლი 17

1. საქართველოს მინისტრის ბრძანება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომლის იურიდიული ძალაც განისაზღვრება ამ კანონით. (24.06.2004 N 213)

2. მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. მინისტრის ბრძანებით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხი, რომლის მოწესრიგებაც გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტით, პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მთავრობის დადგენილებით. (24.06.2004 N 213)

3. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

4. საქართველოს სამინისტროსა და მისი სისტემის სამართლებრივი აქტი, რომელიც ნორმატიული ხასიათისაა (ინსტრუქცია, დებულება, დირექტივა, მითითება, წესი და ა.შ.), უნდა გამოიცეს მინისტრის ბრძანების სახით. (24.06.2004 N 213)

5. საქართველოს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და მისი სისტემის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არა აქვთ ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება, გარდა ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. (24.06.2004 N 213)

6. ორმა ან ორზე მეტმა მინისტრმა შეიძლება გამოსცეს ერთობლივი ბრძანება. ერთობლივი ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების წესი, ამ კანონის შესაბამისად, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. (24.06.2004 N 213)

მუხლი 17[1] ამოღებულია (24.06.2004 N 213)

მუხლი 18

1. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. მასში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული).

2. საქართველოს პრეზიდენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ბრძანებულებას იმ შემთხვევამიც, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული.

მუხლი 19

1. საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილია შემდეგი იერარქია:

ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

ა[1]) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება; (24.06.2004 N 213)

ბ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;

გ) საქართველოს ორგანული კანონი;

დ) საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი; (17.02.2004 N3350)

ე) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;

ვ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს მთავრობის დადგენილება; (24.06.2004 N 213)

ვ[1] ამოღებულია (24.06.2004 N 213)

ზ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს მინისტრის ბრძანება,

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება და საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება (29.12.2006. N4293)

8[1]) ამოღებულ (30.03.2007 N4601)

8[2]) საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება; (27.12.2006 N4139)

8[3]) ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება; (30.03.2007 N4601)

თ) თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება. (03.06.2005 N1553)

თ[1]) აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება; (11.04.2006 N 2834)

თ[2]) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება; (28.04.2006 N2947)

ი) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება.(20.06.2001 N967)

კ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება. (23.07.2003 N2621)

ლ) ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება. (28.03.2007 N4534)

2. საქართველოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში მიღებული (გამოცემული) საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის (24.12.98) და საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიულ აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა სხვა კანონქვემდებარე აქტების მიმართ; საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მიმართ.

მუხლი 20

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს კონსტიტუციით და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას (მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა), თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

3. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ უცხოეთის შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსთან დადებულ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას (მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა) აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც თვით ამ ორგანოს ნორმატიულ აქტს.

მუხლი 21

1. ნორმატიული აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას.

2. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა. რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.

3. საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, ერთ თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.

მუხლი 22

1. ორგანულ კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონის, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა და კანონქვემდებარე აქტების მიმართ.

2. კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ.
3. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტს აქვს კანონის ძალა.

მუხლი 23

1. უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა აფსაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტების მიმართ.

2. საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ. (27.06.97)

3. საქართველოს ნორმატიულ აქტს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს და თანამდებობის პირის ნორმატიული აქტების მიმართ. (24.06.2004 N 213)

მუხლი 24

თითოეული ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ (გამოცემულ) იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც მასთან შედარებით აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა.

მუხლი 25

1. ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

2. იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა.

მუხლი 26

1. თუ სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ სხვადასხვა ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

2. თუ სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ ერთი და იგივე სახის ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული (გამოცემული).

მუხლი 27

1. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

2. კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობისას კერძო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის მთელი სისტემის და ზოგადი პრინციპების საფუძველზე.

3. სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

თავი III

ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების ზოგადი წესები

მუხლი 28

1. საქართველოს კონსტიტუციური კანონის, ორგანული კანონის, კანონის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და ძოქმედების წესი, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების

დამტკიცების, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადების, რატიფიცირების, მესრულების, დენონსირებისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით. პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით საქართველოს კანონის პროექტი შეიძლება განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით. (24.06.2004 N 213)

2. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის, ბრძანებულებისა და ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და „საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და მინისტრის ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით და „საქართველოს მთავრობისა და მინისტრის ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანებისა და საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. (8.07.2005 N1893)

3. საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს, ერთიანი საგრანსპორტო ადმინისტრაციის, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა და ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", „აუდიტორული საქმიანობის შესახებ", „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", „ნავთობისა და გაზის შესახებ", „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ", „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" და „სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონებითა და მათი რეგლამენტებით თუ დებულებებით. (28.03.2007 N4534)

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, ამ კანონით, მათი კონსტიტუციებითა და მათ საფუძველზე მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით, ამ კანონითა და ამ ორგანოთა ნორმატიული აქტებით.

6. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის მიერ ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დებულებით. (03.06.2005 N1553)

7. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულებით.(20.06.2001 N967)

მუხლი 29

ნორმატიული აქტის პროექტში განისაზღვრება:

ა) ნორმატიული აქტები, რომლებიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ამ ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) შემთხვევაში;

ბ) ნორმატიული აქტები, რომელთა მიღება (გამოცემა) საჭიროა ამ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, მათი მიღების (გამოცემის) ვადა და მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება. (27.06.97)

მუხლი 30

ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს:

ა) განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა). განმარტებით ბარათში უნდა აღინიშნოს აგრეთვე პროექტის ავტორი (ავტორები) და პროექტის წარმდგენი;

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა), აგრეთვე პროექტი შესაბამის კანონში იმ დამატებათა შეტანის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;

გ) კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან წარდგენილი პროექტის შესაბამისობის შესახებ, ხოლო საკანონმდებლო აქტის პროექტს - აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, მისი არსებობის შემთხვევაში.

დ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა, ასეთის არსებობის შეთხვევაში. (30.09.98)

მუხლი 31

1. ნორმატიული აქტი შეიცავს ძირითად ნაწილსა და დასკვნით დებულებებს, საჭიროების შემთხვევაში - აგრეთვე გარდამავალ დებულებებს.

2. ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს პრეამბულა. მასში გადმოიცემა ამ ნორმატიული აქტის დანიშნულება და პრინციპები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად; თუ აქტი კანონქვემდებარეა, პრეამბულაში მითითებულ უნდა იქნეს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი.

3. ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისგან განსხვავებული ნორმები ან თუ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო.

4. ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებანი შეიცავს იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან, აქტის ძალაში შესვლის დროსა და მისი მოქმედების ვადას (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის გამოცემული).

5. თუ ნორმატიულ აქტში შევიდა ცვლილება და/ან დამატება, ნორმატიული აქტის სრული ტექსტის ოფიციალურად გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს ასეთი ცვლილების და/ან დამატების მიღებისა (გამოცემისა) და ძალაში შესვლის თარიღი.

მუხლი 32

1. ნორმატიული აქტი, მინაარსის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კარებად და თავებად, ხოლო კოდექსი - წიგნებადაც. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს სათაური. კარების, თავების და წიგნების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება რომაული ციფრები.

2. ნორმატიულ აქტში მუხლების, პუნქტების (ნაწილების) და ქვეპუნქტების ნუმერაცია (ანბანური თანამიმდევრობა) უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები. თუ მუხლი რამდენიმე აბზაცისაგან შედგება, ისინი უწყვეტად არაბული ციფრებით ინომრება და მათ პუნქტები (ხოლო კოდექსში – ნაწილები) ეწოდება. თუ მუხლის რომელიმე პუნქტი (ნაწილი) ქვეპუნქტებადაა დაყოფილი, ისინი ანბანურად ინომრება. მუხლს შეიძლება ჰქონდეს სათაური. მუხლის პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი უსათაუროა.(24.06.2004 N 213)

3. ნორმატიულ აქტში წიგნის, კარის, თავის, მუხლის, პუნქტის (ნაწილის) ან ქვეპუნქტის ამოღების ან/და ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში ნორმატიული აქტის ნუმერაციის (ანბანური

თანამიმდევრობის) უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით აქტის გამოქვეყნებისას ამოღებული ან/და ძალადაკარგული წიგნის, კარის, თავის, მუხლის, პუნქტის (ნაწილის) ან ქვეპუნქტის ადგილას მიეთითება ის ნორმატიული აქტი, რომლითაც წიგნი, კარი, თავი, მუხლი, პუნქტი (ნაწილი) ან ქვეპუნქტი ამოღებულად ან/და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. (24.06.2004 N 213)

4. ნორმატიულ აქტში წიგნის, კარის, თავის, მუხლის, პუნქტის (ნაწილის) ან ქვეპუნქტის დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის ნუმერაციის (ანბანური თანამიმდევრობის) უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით მიეთითება შესაბამისად წინა წიგნის, კარის, თავის, მუხლის, პუნქტის (ნაწილის) ან ქვეპუნქტის ნომერი დამატებითი ციფრით (პირიმა წიგნი, კარი, თავი, მუხლი, პუნქტი (ნაწილი) ან ქვეპუნქტი). (24.06.2004 N 213)

5. ნორმატიული აქტის რომელიმე დებულების მითითება ხდება შემდეგი წესით: უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვეპუნქტი, ხოლო თუ აუცილებელია - წინადადებაც.

მუხლი 33

1. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო. პარლამენტის რეგლამენტის პროექტს, ასევე პროექტს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ ამზადებს და წარადგენს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი. (17.02.2004 N3350)

2. საკანონმდებლო ინიციატივის ან ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტსა და ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (მის სტრუქტურულ ერთეულს) უფლება აქვთ დაუკვეთონ ნორმატიული აქტის პროექტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებას (მათ შორის უცხოეთის დაწესებულებას), ცალკეულ სპეციალისტსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის უცხოელებს).

3. საკანონმდებლო აქტის პროექტი საქართველოს პარლამენტში განხილვამდე საექსპერტო დასკვნისთვის შეიძლება გადაეცეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.

4. საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი (საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების გარდა) გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის გადაცემიდან ორი კვირის ვადაში იძლევა დასკვნას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მისი შესაბამისობის თაობაზე. იუსტიციის სამინისტროს დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან, რის შემდეგაც იგი საჭიროებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელახალ დასკვნას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან შესაბამისობის თაობაზე. (24.06.2004 N 213)

მუხლი 34

1. საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის დასკვნის არსებობისას. კომიტეტის უარყოფითი დასკვნა არ შეიძლება იყოს დაბრკოლება პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვის დაწყებისათვის.

1[1]. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კანონპროექტს, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას, აგრეთვე მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებულ ასეთ კანონპროექტს პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით მიღების შემდეგ უგზავნის საქართველოს მთავრობას. კანონპროექტის მესამე მოსმენით მიღება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ. თუ საქართველოს მთავრობა ორი კვირის ვადაში არ წარადგენს შენიშვნებს კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი ჩაითვლება მთავრობის მიერ მოწონებულად და მთავრობის თანხმობა მიღებულად. (24.06.2004 N 213)

2. პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის (საქართველოს მთავრობის) მიერ საკანონმდებლო ინიციატიის წესით წარდგენილი კანონპროექტის განხილვისას საქართველოს პრეზიდენტის (საქართველოს მთავრობის) სახელით გამოსვლის უფლება აქვს მხოლოდ მის მიერ სპეციალურად დანიშნულ პირს, რომელიც არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი. (24.06.2004 N 213)

3. საქართველოს პრეზიდენტის (საქართველოს მთავრობის) მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომლის რიგგარეშე განხილვასაც იგი მოითხოვს, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ უგზავნება შესაბამის კომიტეტს. კომიტეტი ვალდებულია განიხილოს იგი კომიტეტის უახლოეს სხდომაზე და გამოიტანოს დასკვნა. პარლამენტი კანონპროექტს განიხილავს კომიტეტის მიერ დასკვნის გამოტანის შემდეგ უახლოეს პლენარულ სხდომაზე. (24.06.2004 N 213)

4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო აქტის პროექტის მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტში დაბრუნების შემთხვევაში პრეზიდენტის წარმოდგენილ ყველა შენიშვნას ერთიანად უნდა ეყაროს კენჭი. დაუშვებელია პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნებში ცვლილებების შეტანა.

მუხლი 35

1. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის უფლება.

2. საქართველოს პარლამენტი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, გაუქმებისა და დენონსირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის დადგენილების ფორმით სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

3. დაუშვებელია პარლამენტში ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების რატიფიცირების საკითხის განხილვა, რომელიც იწვევს ცვლილებებს მოქმედ კანონმდებლობაში, თუ მას თან არ ახლავს კანონპროექტი შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შესახებ.

მუხლი 36

1. ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეეიდა ცვლილება ან დამატება.

2. ნორმატიული აქტის ცვლილების ან დამატების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემის) და ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შედის ეს ცვლილება ან დამატება.

3. ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შედის ეს ცვლილება ან დამატება, კერძოდ, ნორმატიული აქტის სათაური, იმ ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდება, რომელშიც აღნიშნული ნორმატიული აქტია გამოქვეყნებული, გამოქვეყნების თარიღი და მუხლი (გვერდი).

4. ნორმატიულ აქტში სიტყვის (სიტყვების) ან რიცხვის (რიცხვების) შეცვლის, ამოღების ან დამატების შემთხვევაში ნორმატიული აქტის პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი პუნქტის (ნაწილის), ქვეპუნქტის სრულ რედაქციას სათანადო ცვლილების ან დამატების გათვალისწინებით. (28.12.2002 N1904)

მუხლი 37

1. საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

2. სხვა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე.

მუხლი 38

1. საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს 7 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს. (24.06.2004 N 213)

2. საქართველოს პრეზიდენტი კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს კონსტიტუციურ კანონს, ორგანულ კანონსა და კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა მიიღო

პრეზიდენტის შენიშვნები, პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს მისთვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში.

3. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ამ ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

4. საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილება და საქართველოს მთავრობის დადგენილება უნდა გამოქვეყნდეს ხელმოწერიდან (მიღებიდან) 7 დღის ვადაში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი – ხელმოწერიდან (მიღებიდან) მე-2 დღეს, ხოლო ყველა სხვა ნორმატიული აქტი – ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან 7 დღის ვადაში. საქართველოს ნორმატიული აქტები (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებისა) და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტები არ შეიძლება გამოქვეყნდეს სახელმწიფო რეესტრში შეტანამდე. (24.06.2004 N 213)

4[1]. საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, არ გააჩნიათ იურიდიული ძალა საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებამდე. (9.11.2005 N 2019)

5. საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს კანონმდებლობის მაცნეში", ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა - აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში". ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისი გამოქვეყნება სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში.

6. ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია ნორმატიული აქტის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში აცნობოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და გადაუგზავნოს მას გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. (27.06.97)

მუხლი 39

1. თითოეულ ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის სათაური;

გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც);

დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული);

ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ - აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

2. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) (27.06.97) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი.

მუხლი 40

საქართველოს ნორმატიული აქტი მიიღება (გამოიცემა) და ქვეყნდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და მის ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტები - აგრეთვე აფხაზურ ენაზე. ნორმატიული აქტი შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზეც; ასეთ ტექსტს არა აქვს ოფიციალური ძალა.

მუხლი 41

1. ნორმატიული აქტი, რომლის ძალაში შესვლაც დაკავშირებულია გამოქვეყნებასთან, (27.06.97) ძალაში შედის მხოლოდ იმ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში ოფიციალურად გამოქვეყნების

შემდეგ, რომელიც ამ კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილია ოფიციალურ ორგანოდ. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცალკეულ დებულებათა გამოუქვეყნებლობა დასაშვებია მხოლოდ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

2. თუ ადგილობრივ თვითმმართველობას (მმართველობას) ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნია, მისი ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტით განსაზღვრული ისეთი წესით, რომელიც მოსახლეობას მისცემს მისი გაცნობის საშუალებას.

მუხლი 42

1. საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანომში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

2. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანომი მისი გამოქვეყნების შემდეგ, დეკრეტში მითითებული მომენტიდან და მოქმედებს მასში აღნიშნულ დრომდე, მაგრამ არა უგვიანეს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებისა, თუ იგი არ იქნა გაუქმებული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

3. საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტს გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. (27.06.97)

4. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნების შემდეგ, დეკრეტში მითითებული მომენტიდან. საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე დეკრეტს დასამტკიცებლად წარუდგენს ახლადარჩეულ პარლამენტს მისი უფლებამოსილების ცნობიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხების შესახებ ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას. (24.06.2004 N 213)

მუხლი 42[1] (24.06.2004 N 213)

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანომი მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე შეთანხმებაში სხვა ვადა არ არის მითითებული.

მუხლი 43

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

3. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ იმავე ბრძანებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

4.თუ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე - 18, მე - 20, 21 - ე, 22 - ე, 24 - ე, 25 - ე, 30 - ე, 33 -ე და 41 - ე მუხლებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მისი ტექსტი უნდა გადაიცეს საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, ხელმოწერიდან ერთი დღის განმავლობაში მაინც, ყოველ ორ საათში ერთხელ. პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად. (27.06.97)

მუხლი 43[1]

საქართველოს მთავრობის დადგენილება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანომი მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე დადგენილებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული. (24.06.2004 N 213)

მუხლი 44

1. საქართველოს მინისტრის ბრძანება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება, ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილება, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. (28.03.2007 N4534)

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. (25.06.99)

მუხლი 45

1. ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე - ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.

2. ნორმატიული აქტით შეიძლება დადგინდეს ამ აქტის ცალკეული თავის ან მუხლის ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი.

3. ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას ანდა განსაზღვრავს მოსაკრებლის ან ტარიფის სახეებს, სტრუქტურას, ოდენობას, შემოღებისა და გადახდის წესს, ძალაში შედის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-15 დღისა. (28.12.2002 N1904)

4. ამოღებულია (29.12.2004 N 915)

მუხლი 46

1. ნორმატიული აქტი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიძლება მიღებულ (გამოცემულ) იქნეს განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო ასეთი ნორმატიული აქტის მიღებისთვის (გამოცემისთვის) დადგენილი წესით არ მიიღებს გადაწყვეტილებას ვადის გაგრძელების შესახებ.

მუხლი 47

1. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

2. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

3. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

მუხლი 48

1. საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა მიუხედავად იმისა, მიღებულია (გამოცემულია) თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი, თუ თვით საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი.

2. დაუშვებელია საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის განხორციელებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) არ არის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, თუ იმავე საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი.

მუხლი 49

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს. (24.06.2004 N 213)

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრის ნორმატიული აქტი. (24.06.2004 N 213)

მუხლი 50

1. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს იმ შემთხვევებში, თუ:

ა) გავიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული (გამოცემული);

ბ) მიღებულია (გამოცემულია) (27.06.97) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს;

გ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებულია (გამოცემულია) ისეთი გადწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს მისი იურიდიული ძალის დაკარგვას.

2. არ შეიძლება რომელიმე ნორმატიული აქტით უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

3. იმ ნორმატიული აქტის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი ნორმატიული აქტი, არ ნიშნავს ძველი ნორმატიული აქტის ამოქმედებას. (24.06.2004 N 213)

4. ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი.

5. იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად

6. საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ყველა კანონქვემდებარე აქტი ან მისი ნაწილი.

მუხლი 51

1. დაუშვებელია ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ნორმატიული აქტის შესასრულებლად სათანადო ზომების მიუღებლობა ან დაბრკოლების შექმნა.

2. თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებას, ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს არ აქვს იურიდიული ძალა. (24.06.2004 N 213)

3. ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) ზემდგომი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

4. თუ იუსტიციის სამინისტროსათვის ცნობილი გახდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული გარემოებანი, იგი ვალდებულია მიმართოს ნორმატიული აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს) ან/და ნორმატიული აქტის გაუქმებაზე (შეჩერებაზე) უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) ნორმატიული აქტის (გარდა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტებისა) გაუქმების (შეჩერების) მოთხოვნით. (24.06.2004 N 213)

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებისას საერთო სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს. (08.09.99)

მუხლი 52

ამ კანონში მითითებული ვადების ათვლისას, გარდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლისათვის დადგენილი ვადისა, არ ჩაითვლება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

თავი III[1].

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების წესი (22.03.2005 N1130)

მუხლი 52[1]

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით მიღებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის შემდეგ პარლამენტის ბიურო საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და ამ კანონპროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად გადასცემს წამყვან კომიტეტს (კომიტეტებს), სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და საქართველოს მთავრობას.

3. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში კომიტეტები, ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი და საქართველოს მთავრობა წამყვან კომიტეტს (კომიტეტებს) წარუდგენენ თავიანთ შენიშვნებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან დაკავშირებით.

4. წამყვანი კომიტეტი კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კვირის ვადაში იწვევს კომიტეტის სხდომას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის განსახილველად. კომიტეტის მიერ მიღებული დასკვნა წარედგინება პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას.

5. წამყვანი კომიტეტი უფლებამოსილია დასკვნასთან ერთად საქართველოს პარლამენტის ბიუროს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების შესახებ". აღნიშნული დადგენილების პროექტი შემუშავდება ორგანული კანონის პროექტთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან დაკავშირებით წარდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით.

მუხლი 52[2]

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონით, ერთი მოსმენით განხილვისა და მიღების გზით.

2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი მიიღება საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტს, მიიღება

დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების შესახებ". აღნიშნული დადგენილება მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 52[3]

1. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მთლიანად გაითვალისწინებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში მოცემულ შენიშვნებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მისთვის დადგენილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს განმეორებით წარუდგენს საქართველოს ორგანული კანონის პროექტს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას. პარლამენტის ბიურო თაეის უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პარლამენტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტში კენჭსაყრელ საკითხად გათვალისწინების შესახებ.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მთლიანად არ გაითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში მოცემულ შენიშვნებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას შემთანხმებელ კომისიაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 7 წევრის (მათ შორის, 1 კომისიის თანათავმჯდომარის) კანდიდატურის წარდგენის შესახებ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული დადგენილება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გადაეცემა საქართველოს პარლამენტს. პარლამენტის თავმჯდომარე ფრაქციებთან, უმრავლესობასთან, უმცირესობასთან კონსულტაციის შედეგად ერთი კვირის ვადაში პარლამენტის ბიუროს წარუდგენს დადგენილების პროექტს შემთანხმებელი კომისიის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში იქნება 14 წევრი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 7 წევრი (მათ შორის, 1 კომისიის თანათავმჯდომარე) და საქართველოს პარლამენტის 7 წევრი (მათ შორის, 1 კომისიის თანათავმჯდომარე). პარლამენტის ბიურო დადგენილების პროექტს ითვალისწინებს პარლამენტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. დადგენილების პროექტი პარლამენტის სხდომაზე განიხილება და მიიღება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 52[4]

1. შემთანხმებელი კომისია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების გათვალისწინებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაევებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტს და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. შეთანხმებული ტექსტის შემუშავების დროს შემთანხმებელი კომისია ცალ-ცალკე განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დადგენილებაში მოცემულ თითოეულ შენიშვნასთან დაკავშირებით. შემთანხმებელი კომისია არ არის შეზღუდული დადგენილებაში მოცემული შენიშვნებით, ამასთანავე, შემთანხმებელი კომისიის მიერ შემუშავებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებული ტექსტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ გამოთქმული შენიშვნების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების ძირითად პრინციპებს.

2. შემთანხმებელი კომისია საქმიანობს, როგორც კოლეგიალური ორგანო. მისი სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. შემთანხმებელი კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. შემთანხმებელი კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობენ თანათავმჯდომარეები. მათ მიერ სხდომის წარმართვის რიგითობის

საკითხს წყვეტს კომისია. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია თანათავმჯდომარეების მიერ სხდომის ერთობლივად წარმართვა.

3. შემთანხმებელი კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრება შეუძლიათ საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში, ასევე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს.

4. შემთანხმებელი კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის მიხედვით მის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ შესაბამისად საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატები.

მუხლი 52[5]

1. საქართველოს პარლამენტის ბიურო ამ კანონის 524 მუხლის შესაბამისად შემთანხმებელი კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტს გადასცემს კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და საქართველოს მთავრობას, რომლებიც ერთი კვირის ვადაში ბიუროს წარუდგენენ დასკვნებს კანონპროექტთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტთან დაკავშირებით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პარლამენტის ბიურო თავის უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი კანონპროექტის პარლამენტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტში გათვალისწინების შესახებ.

2. საქართველოს პარლამენტი ერთი მოსმენით განიხილავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტს და იღებს დადგენილებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებული ტექსტის საუუძლად მიღების და მათი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემის შესახებ". აღნიშნული დადგენილება მიღებიდან 3 დღის ვადაში ეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. დადგენილებასთან ერთად უმაღლეს საბჭოს გადაეცემა შემთანხმებელი კომისიის მიერ შემუშავებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებული ტექსტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი დადგენილების მიღებიდან 3 კვირის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განიხილავს და კენჭს უყრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეთანხმებულ ტექსტს და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

4. საქართველოს პარლამენტის ბიურო ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ორგანული კანონის პროექტს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" ითვალისწინებს პარლამენტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტში კენჭსაყრელ საკითხად.

მუხლი 52[6]

1. ამ თავით გათვალისწინებული წესით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში და დადგენილი წესით ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს კანონპროექტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

3. თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, პარლამენტი 15 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს ეყრის პრეზიდენტის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმათა იგივე რაოდენობა, რაც საქართველოს ორგანული კანონის პროექტისთვის არის დადგენილი. თუ პარლამენტი არ მიიღებს პრეზიდენტის შენიშვნებს, კენჭი ეყრება საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირვანდელ რედაქციას, რომელიც

მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედისა.

4. თუ პრეზიდენტის შენიშვნები პარლამენტის მიერ სრულად იქნება გაზიარებული, პარლამენტი 5 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უგზავნის საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნათა გათვალისწინებით 15 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს ყრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის ორი მესამედით. თუ პრეზიდენტის შენიშვნები სრულად იქნება გაზიარებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო 5 დღის ვადაში პარლამენტს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს ორგანული კანონის პროექტის საბოლოო რედაქციას. პარლამენტის ბიურო თავის უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პარლამენტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტში კენჭსაყრელ საკითხად გათვალისწინების შესახებ. პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტი 5 დღის ვადაში ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად. საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს.

5. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრულად არ იქნება გაზიარებული საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, ამ თავით დადგენილი წესით იქმნება შემთანხმებელი კომისია, რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონის 524-525 მუხლებით.

მუხლი 52[7]

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების ან/და დამატებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვა და მიღება ხდება ამ თავით დადგენილი წესით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება მისი მიღებისათვის გათვალისწინებული წესით. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალადაკარგულად გამოცხადების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვა და მიღება ხდება ამ თავით დადგენილი წესით.

თავი IV

ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა და სისტემატიზაცია

მუხლი 53

1. ნორმატიული აქტების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრი.

2. სახელმწიფო რეესტრში უნდა შევიდეს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი.

მუხლი 54

1. ნორმატიული აქტების მიმღები (გამომცემი) ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია, ნორმატიული აქტი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში სარეგისტრაციოდ გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. (24.06.2004 N 213)

2. ნორმატიული აქტი (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებისა) იუსტიციის სამინისტროს გადაეცემა 4 ეგზემპლარად (მათ შორის, დედანი), ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის) პირის ნორმატიული აქტი – 3 ეგზემპლარად (მათ შორის, დედანი), აკინძული და შესაბამისი ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული. ნორმატიულ აქტებს, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტებისა, უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული იუსტიციის სამინისტროს დასკვნა. (24.06.2004 N 213)

3. იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტები შეაქვს სახელმწიფო რეესტრში და ანიჭებს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდს: საქართველოს ნორმატიულ აქტებს – ამ მუხლით დადგენილი წესით სამინისტროსათვის შესაბამისი ნორმატიული აქტის გადაცემიდან 3 დღის ვადაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებო- ბის პირთა) ნორმატიულ აქტებს – გადაცემიდან 7 დღის ვადაში. რეგისტრირებული ნორმატიული აქტის 2 ეგზემპლარი (მათ შორის, დედანი) რჩება იუსტიციის სამინისტროში, ხოლო 2 ეგზემპლარი (ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს (თანამდებობის პირის) ნორმატიული აქტის შემთხვევაში – 1 ეგზემპლარი) უბრუნდება ნორმატიული აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს). (24.06.2004 N 213)

4. საქართველოს ნორმატიული აქტების პროექტები (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების პროექტებისა), აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტები სახელმწიფო რეესტრში შეტანამდე საჭიროებენ იუსტიციის სამინისტროს დასკვნას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დასადგენად. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტი არ შეაქვს სახელმწიფო რეესტრში (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტებისა). (24.06.2004 N 213)

5. ნორმატიული აქტის რეგისტრაციაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ:

ა) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის შინაარსი არ შეესაბამება მისი პროექტის შინაარსს, რომელზედაც იუსტიციის სამინისტრომ გასცა დადებითი დასკვნა;

ბ) კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილებები ან/და დამატებები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებს;

გ) ნორმატიული აქტი სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 39-ე მუხლისა და ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. (24.06.2004 N 213)

6. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა (თანამდებო- ბის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ არ გამოიყენება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით, 38-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები. (24.06.2004 N 213)

მუხლი 55

1. ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში თითოეული ნორმატიული აქტის შესახებ შედის შემდეგი მონაცემები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) (27.06.97) სახელწოდება;

გ) ნორმატიული აქტის სათაური;

დ) ნორმატიული აქტის სრული ტექსტი (გარდა „საიდუმლოს" გრიფის მქონე ნაწილისა);

ე) მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი;

ვ) ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ უვადო არ არის);

ზ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული სარეგის- ტრაციო ნომერი;

თ) ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის თარიღი;

ი) ნორმატიული აქტის სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

2. ნორმატიულ აქტს ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ მიენიჭება დამოუკიდებელი სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

3. „საიდუმლოს" გრიფის მქონე ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის ასევეთვე გრიფის მქონე ნაწილი შეაქვთ სახელმწიფო რეესტრის „საიდუმლო" ნაწილში, სახელმწიფო რეესტრის

ძირითად ნაწილში კი აღინიშნება მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“, „ი“ ქვეპუნქტებში მითითებული მონაცემები.

4. ყველას აქვს უფლება გაეცნოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანილ მონაცემებს, გარდა რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანილი ინფორმაციისა. რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანილი ინფორმაციის გაცნობის პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“.

5. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე სახის გადასახადი ან შეიქმნას სხვა სახის დაბრკოლება ნორმატიული აქტის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის გადახდევინების გარდა.

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივლისში, თვის ბოლო საშუალოდ, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სპეციალურ ნომერში აქვეყნებს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრს იმ დროისთვის მოქმედი და შესაბამის საანგარიშო პერიოდში ძალადაკარგული ნორმატიული აქტების მითითებით. (28.12.2002 N1904)

თავი V

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 56

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია ამ კანონის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

2. იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს ამ კანონის ძალაში შესვლამდე გამოცემული და მოქმედი ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება 1997 წლის 25 ნოემბრამდე.

3. ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების (მიუხედავად მათი დასახელებისა) ნორმატიული აქტებისთვის მიკუთვნების საკითხს, სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე, წყვეტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

3[1]. ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებულ (გამოცემულ) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს (მიუხედავად მათი დასახელებისა), რომლებიც არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში, იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.(9.11.2005 N 2019)

3[2]. ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც არ არის რეგისტრირებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და შეიცავს ინდივიდუალურ (ერთჯერად) დებულებას (დებულებებს), ინარჩუნებს იურიდიულ ძალას და ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ამ დებულების (დებულებების) ნაწილში. (9.11.2005 N 2019)

მუხლი 57

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები 1997 წლის 25 ნოემბრამდე უზრუნველყოფენ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობაში მოყვანას.

მუხლი 58

1. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) შესახებ ორგანული კანონის მიღებამდე ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების (თანამდებობის პირების) ნორმატიული აქტების სახეები, იურიდიული ძალა, მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება ამ კანონით, მოქმედი კანონმდებლობისა და მათ შესაბამისად მიღებული (გამოცემული) ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ნორმატიული აქტების იმ ნორმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები, ხოლო მათ შექმნამდე - მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან 1997 წლის 25

ნოემბრამდე ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გამოაქვეყნონ ყველა მოქმედი ნორმატიული აქტი, რომელიც ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა.

მუხლი 59

1. საქართველოს ტერიტორიული სასელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) შესახებ ორგანული კანონის მიღებამდე ძალაშია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტები.

2. „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე საქართველოს კონტროლის პალატა იღებს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:

ა) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება;

ბ) საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილება.

მუხლი 60

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის მიღებამდე მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა ნორმატიული აქტების გაუქმების უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს.

მუხლი 61

საქართველოს ოფიციალური ბეჭდითი ორგანოს - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" გამოცემამდე ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ჩაითვლება მისი ტექსტის გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" ან ამ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში.

თავი VI

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 62

ეს კანონი ამოქმედდეს 1997 წლის 1 თებერვლიდან.(26.11.96)

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,
1996 წლის 29 ოქტომბერი.
458-Iს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

2. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი" (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერის სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს; *(2.03.2001 N 772)*

ბ) დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი –ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი მედეგები; *(24.06.2005. N1801)*

ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

ვ) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს;

ზ) ადმინისტრაციული ხელშეკრულება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება; *(24.06.2005. N1801)*

თ) განცხადება – უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა; *(24.06.2005. N1801)*

ი) ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას; *(24.06.2005. N1801)*

კ) ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. *(24.06.2005. N1801)*

ლ) დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

მ) საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, პაკეტი, ტვემა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია; *(2.03.2001 N 772)*

ნ) საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. *(2.03.2001 N 772)*

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ტერმინებს სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება მიეცეს სხვა მნიშვნელობა.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.

2. ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე: *(9.09.99 N 2372)*

ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო;

გ) საქართველოს სახალხო დამცველი;

დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.

3. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში მესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და ცათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა", „დ", „ე", „ზ", „თ", „ო" ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

მუხლი 4. კანონის წინაშე თანასწორობა

1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

3. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

3. უფლებამოსილების ვადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. *(2.03.2001 N 772)*

4. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად მეუსრულებლობა ან სამსასურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

მუხლი 6. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი

1. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

მუხლი 7. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა

1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.

2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მუხლი 8. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

მუხლი 9. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება (24.06.2005. N1801)

1. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

4. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

მუხლი 10. საქვეყნოობა

1. ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

2. ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მათი ასლების მიღების წესი განისაზღვრება ამ კოდექსის III თავით.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საკითხის საჯაროდ განხილვა, თუ ამას ითვალისწინებს კანონი.

მუხლი 11. საიდუმლოობა (2.03.2001 N 772)

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით. ეს არ შეიძლება გახდეს ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 12. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუხლი 13. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

მუხლი 14. ადმინისტრაციული წარმოების ენა

ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

მუხლი 15. ვადების ათვლა

ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

თავი II

ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი

მუხლი 16. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

2. სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება:

ა) ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება;

ბ) ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ეალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონმდებლობით აქვს დაკისრებული.

მუხლი 17. სამართლებრივი დახმარების პირობა და ფარგლები

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ:

ა) არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;

ბ) არ ეგაჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში;

დ) მოქმედების საკუთარი სამუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს.

მუხლი 18. უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ინტერესებს, ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

2. თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

3. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო.

4. სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.

მუხლი 19. სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება

1. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია ანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს.

2. თუ საეარაუდოა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ოდენობაზე მეტი ხარჯები, ამის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

მუხლი 20. დოკუმენტის ოფიციალური დამოწმების უფლება

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო წესით დამოწმებული და გამოცემული დოკუმენტების ასლებს აქვთ ოფიციალური ძალა და ადასტურებენ დედანთან იგივეობას.

3. არ შეიძლება დამოწმდეს დოკუმენტი, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მისი მთლიანობა.

4. დოკუმენტის დამოწმების დროს შედგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;

ბ) ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას;

გ) დამოწმების დროსა და ადგილს;

დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს.

5. დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა.

6. ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.

მუხლი 21. საზოგადოებრივი ექსპერტი

1. საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი. *(2.03.2001 N 772)*

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

4. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია თავისი დასკვნა წარადგინოს კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ ვადის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე დასკვნის წარმდგენი ექსპერტის ვინაობა აღინიშნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში.

მუხლი 22. საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარდგენა

1. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

2. საზოგადოებრივი ექსპერტი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. საიდუმლო ინფორმაციის დაცვა (2.03.2001 N 772)

საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაშია საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 24. ხარჯების ანაზღაურება

საზოგადოებრივ ექსპერტს აუნაზღაურდება ყველა ის აუცილებელი დანახარჯი, რომელიც მან გასწია თავისი მოვალეობის შესასრულებლად. ასეთი დანახარჯის გაწევის აუცილებლობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

მუხლი 25. საექსპერტო დასკვნის იურიდიული ძალა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსათვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს.

მუხლი 26. საზოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შეწყვეტა

საზოგადოებრივ ექსპერტს მოვალეობის შესრულებისაგან ვადამდე ათავისუფლებს ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დანიშვნის შესახებ, თუ იგი:

ა) უხეშად არღვევს დაკისრებულ მოვალეობას;

ბ) არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია ამ თანამდებობის დასაკავებლად;

გ) პირადი განცხადებით უარს ამბობს დასკვნის მიცემაზე.

თავი III

ინფორმაციის თავისუფლება

მუხლი 27. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება – აღმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასევე დაფინანსების ფარგლებში; *(2.03.2001 N 772)*

ბ) კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი – საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

დ) თანამდებობის პირი – "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი;

ე) სხდომა – საჯარო დაწესებულების სასელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით დაწესებულების წევრთა მიერ საკითხის განხილვა;

ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ზ) საჯარო მონაცემთა ბაზა – საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

თ) პერსონალური მონაცემები – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ი) აღმასრულებელი პრივილეგია – საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება ამ თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან.

კ) გადაუდებელი აუცილებლობა – კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ეჭვი, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 27[1]. პირადი საიდუმლოება (2.03.2001 N 772)

პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

მუხლი 27[2]. კომერციული საიდუმლოება (2.03.2001 N 772)

1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/ და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა მიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2. ინფორმაცია აღმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმ-ლოებას.

3. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ ცნობს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე შემდგომ აღმინისტრაციულ

ორგანოში ან სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

4. ნებისმიერ პირს უფლება აქვს ზემდგომ აღმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

მუხლი 27³. პროფესიული საიდუმლოება (2.03.2001 N 772)

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

მუხლი 27⁴. სახელმწიფო საიდუმლოება (2.03.2001 N 772)

სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (2.03.2001 N 772)

საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

მუხლი 29. აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფოპოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 30. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, აგდგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა (2.03.2001 N 772)

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად უნდა გამოცხადდეს, თუ მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული. პირადი საიდუმლოება დახურულია პირის სიცოცხლის მანძილზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ შეაქვთ საჯარო რეესტრში.

მუხლი 32. სხდომათა საჯაროობა

თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 33. საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონიერულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გამოქვეყნებისას მიეთითება პირი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 34. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა (2.03.2001 N 772)

1. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მოსავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

2. გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

3. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ რეესტრში უნდა შეიტანოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები 33ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

4. სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე, სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარება იწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

მუხლი 35. საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 37[1]. საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა *(27.12.2005 N 2542)*

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის

საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას, თავად გამოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან.

3. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამცემი და მომთხოვნი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანამღაურებისა.

მუხლი 39. პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა (2.03.2001 N 772)

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. *(2.03.2001 N 772)*

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 41[1]. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (2.03.2001 N 772)

ამ კოდექსის 27[2] მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლში მითითებული ვადების გასელისთანავე.

მუხლი 42. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება; *(2.03.2001 N 772)*

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭის ყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და აღგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საშსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოსდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 43. პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან; *(2.03.2001 N 772)*

გ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა;

დ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გათვალისწინებული, აგრეთვე არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

ე) შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მიუთითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

ვ) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლება;

ზ) საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, აგრეთვე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა კონიერული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

კ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი; საეალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები.

მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება (2.03.2001 N 772)

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩიეროს ერთი თვის ვადაში.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა.

მუხლი 45. პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა

პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით.

მუხლი 46. მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება

პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული მონაცემების განადგურება. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანამდე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უზუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას. აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულება ან საჯარო მოსამსახურე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

მუხლი 47. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

მუხლი 48. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა

სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

მუხლი 49. ანგარიშის წარდგენა

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 50. ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა

ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა კომერციული, პროფესიული და პირადი საიდუმლოებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის მანძილზე.

თავი IV

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

(2.03.2001 N 772)

მუხლი 51. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად.

2. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ასევე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.

3. ზეპირად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ არ ვრცელდება ამ კოდექსის 52-ე–58-ე მუხლების მოთხოვნები. მართვის ავტომატური საშუალებების

გამოყენებით გამოცემული წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მეიძლება არ აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 52ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. (24.06.2005. N1801)

მუხლი 52. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს;

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს;

დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;

ე) გამოცემის დროსა და ადგილს;

ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს.

2. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდიეიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

3. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდიეიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს გერბი, მისი არსებობის შემთხვევაში. (24.06.2005. N1801)

მუხლი 52[1]. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები

1. თითოეულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ნორმატიული აქტის სახე;

ბ) ნორმატიული აქტის სათაური;

გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც);

დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული);

ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ – აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

2. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი. *(24.06.2005. N1801)*

მუხლი 53. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება (24.06.2005. N1801)

1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

2. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

5. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

6. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი.

7. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:

ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;

ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

8. გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირის ვადამი.

მუხლი 54. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

2. კანონით დადგენილ შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდეც, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს.

3. დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. (24.06.2005. N1801)

მუხლი 55. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება

1 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი – პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია. (24.06.2005. N1801)

მუხლი 56. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების წესი

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

2. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ან გამოცხადდეს საჯაროდ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი. (24.06.2005. N1801)

მუხლი 57. საჯაროდ გამოცხადება

საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას. (24.06.2005. N1801)

მუხლი 58. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის წესი

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

2. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებლობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მისი ასლი მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახდელი არ გადაიხდევინება. (24.06.2005. N1801)

მუხლი 59. შეცდომების გასწორება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი მესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

3. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის. (24.06.2005. N1801)

მუხლი 60. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა;

ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;

გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;

დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევას.

2. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. (24.06.2005. N1801)

მუხლი 60[1]. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

4. დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

5. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

6. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

7. ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა:

ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან;

ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან;

გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.

8. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით. (24.06.2005. N1801)

მუხლი 61. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში;

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც მიადგა ზიანი, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება,

თუ მას გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილი. *(2.03.2001 N 772)*

5. ზიანის ანაზღაურების ოდენობას საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე ადგენს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამ მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. (24.06.2005. N1801)

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

მუხლი 62. ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

მუხლი 63. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანა

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

2. ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 64. დოკუმენტის დაბრუნება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული და რაიმე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება. (24.06.2005. N1801)

თავი V

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

მუხლი 65. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.(24.06.2005. N1801)

მუხლი 65[1]. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება

1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. (24.06.2005. N1801)

მუხლი 66. სპეციალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა უპასუხებდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მითითებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. (24.06.2005. N1801)

მუხლი 67. მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაში

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებულ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება. (24.06.2005. N1801)

მუხლი 68. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად, ძალაში შედის იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. (24.06.2005. N1801)

მუხლი 69. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. (24.06.2005. N1801)

მუხლი 70. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება

1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება. (24.06.2005. N1801)

მუხლი 71. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლა

1. გარემოებათა არსებითად შეცვლისას, რაც ზიანს აყენებს მხარეს ან საზოგადოებრივ ინტერესს, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს თანხმობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაცვლელად.

2. თუ ცვლილება ხელშეკრულებაში არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება. (24.06.2005. N1801)

თავი VI

ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 72. ადმინისტრაციული წარმოების სახეები

1. ადმინისტრაციული წარმოების სახეებია:

ა) მარტივი ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება;

გ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. *(24.06.2005. N1801)*

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას) ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ დაიწყება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. *(24.06.2005. N1801)*

მუხლი 73. ადმინისტრაციული წარმოების მხარეები

1. ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2. ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

3. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

4. თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

5. თუ კანონით დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ეს ვადა დაიწყება მხოლოდ თარგმანის წარდგენისას, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში.

6. თუ კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარადგინოს რაიმე განცხადება ან დოკუმენტი, ეს ვადა დაცულად ჩაითვლება დოკუმენტის არასახელმწიფო ენაზე წარდგენის დროსაც.

7. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ვადა წარდგენილი დოკუმენტის თარგმნისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები. ამ ვადის გამვლა შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 74. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ქმედუნარიანობის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე12-16 მუხლები.

2. ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ან მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

მუხლი 75. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე

ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს:

ა) განმცხადებელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე;

გ) პირს, რომელსაც კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება;

დ) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
ე) დაინტერესებულ პირს.

მუხლი 76. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია: *(24.06.2005. N1801)*
ა) დაინტერესებული პირის განცხადება;
ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
2. ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 77. განცხადების შეტანა

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. *(24.06.2005. N1801)*
2. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი, თუკი იგი დადგენილი არ არის კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.

მუხლი 78. განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:
ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
გ) მოთხოვნას;
დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.
3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. *(24.06.2005.N1801)*

მუხლი 79. განცხადების რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გააგაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.
2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნოს (გადასცეს) მას განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

მუხლი 80. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. *(2.03.2001 N 772)*
2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაბრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.
3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

4. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

5. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილ ი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

მუხლი 81. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა.

2. დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძელით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

მუხლი 82. კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების წარდგენის წესი

განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოობის უზრუნველყოფა. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 83. დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. განცხადების განუხილველად დატოვება

1. ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.

4. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

5. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

მუხლი 84. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის განმავლობაში განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ასლი გაუგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს ან საზოგადოებრივ ექსპერტს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება. *(2.03.2001 N 772)*

2. თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნას წარადგენს ორი კვირის ვადაში.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში ადმინისტრაციული

ორგანოს ან/და საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა ან უარყოფითი დასკვნის წარდგენა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვას და მასში დასმული საკითხების გადაწყვეტას.

მუხლი 85. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ.

მუხლი 86. წარმომადგენლობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 87. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. თუ განმცხადებელმა ან სხვა დაინტერესებულმა მხარემ დანიშნა წარმომადგენელი, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებული მხარისათვის განკუთვნილ ყველა დოკუმენტს მას უგზავნის.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული წარმოების ყველა საკითხზე მიმართავს წარმომადგენელს.

3. დაინტერესებული მხარე, რომელიც წარმოდგენილია სხვა პირით, უფლებამოსილია დაესწროს ყველა ზეპირ მოსმენას.

მუხლი 88. წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულოობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი.

2. თუ პირი არ შეასრულებს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ მოთხოვნას, ადმინისტრაციულ ორგანოს ეხსნება პასუხისმგებლობა დოკუმენტის გაუგზავნელობისათვის და ეს არ შეიძლება გახდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. *(24.06.2005. N1801)*

მუხლი 89. წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნა განმცხადებლის მიერ

1. თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, განცხადებაზე ხელმომწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

2. წარმომადგენლად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

3. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად.

მუხლი 90. წარმომადგენლის დანიშვნა ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით

თუ ამ კოდექსის 89ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირები არ დანიშნავენ წარმომადგენელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი. (24.06.2005. N1801)

მუხლი 91. ადმინისტრაციული წარმოების ხარჯების ანაზღაურება

ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ, მის მიერ, მისივე ინიციატივით ან მის სასარგებლოდ გაწეულ ხარჯებს. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 92. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;

ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს.

ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია. *(2.03.2001 N 772)*

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი; *(2.03.2001 N 772)*

ბ) მეუღლე, მეუღლის დაძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის დაძმა;

დ) დაძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 93. აცილების განცხადება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, ამ კოდექსის 91ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე წერილობით განუცხადოს მას აცილება. (24.06.2005. N1801)

2 აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

3. აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

4. კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს კოლეგიური ორგანო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

5. მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო. (24.06.2005. N1801)

6. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 94. ვადა ადმინისტრაციულ წარმოებაში. გაშვებული ვადის აღდგენა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი.

2. თუ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, აღნიშნული ვადის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

3. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს პიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, აღმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

4. დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას.

5. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს 5 დღის ვადაში.

6. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აღადგინოს დაინტერესებული მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული, ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადაც, თუ ეს არ არის აკრძალული კანონით და ზიანს არ აყენებს მესამე პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

მუხლი 95. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაებას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. (24.06.2005. N1801)

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. (24.06.2005. N1801)

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაებას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

4. თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

5. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობა უნდა შეიცავდეს: *(24.06.2005. N1801)*

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღს;

გ) ადმინისტრაციული წარმოების საგნის მოკლე აღწერას;

დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ვინაობას;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

6. გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუცველად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ. *(24.06.2005. N1801)*

მუხლი 96. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

2. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. (24.06.005. N1801)

3. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკელევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია.

4. დაინტერესებული მხარე ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას.

5. დაინტერესებული მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს ახსნა-განმარტება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 97. მტკიცებულებათა გამოკვლევა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;

ბ) შეაგროვოს ცნობები;

გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;

დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;

ე) დანიშნოს ექსპერტიზა;

ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;

ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

2. მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 98. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.

2. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 99. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, მიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. (24.06.2005. N1801)

2. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. *(2.03.2001 N 772)*

3. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე წერილობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით. *(2.03.2001 N 772)*

6. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან

სხვა პასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

მუხლი 100. გადაწყვეტილების მიღება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ეხება მესამე პირის ინტერესებს, უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

3. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს ვადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. (24.06.2005. N1801)

მუხლი 101. განმცხადებლის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში

1. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარმყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

ა) უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ;

ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს. (24.06.2005. N1801)

მუხლი 102. ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესი

1. განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. *(24.06.2005. N1801)*

2. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეღაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. *(24.06.2005. N1801)*

3. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მოსდარა.

თავი VII

ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

მუხლი 103. ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

მუხლი 104. კოლეგიური ორგანოს სხდომის მიმდინარეობის წესი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული (არჩეული) სხდომის თავმჯდომარე.

2. სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად.

მუხლი 105. კვორუმი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.

2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

3. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 106. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

თავი VIII

ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 107. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. ფორმალური აღმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (24.06.2005. N1801)

მუხლი 108. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე არ აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას.

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით.

მუხლი 109. მოწმე და ექსპერტი ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი – დასკვნა.

2. ამოღებულია (24.06.2005. N1801)

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება ექსპერტის დასკვნის ან მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს დაესწროს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვას, დაუსვას მათ შეკითხვები, გაეცნოს ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას.

5. დაინტერესებული მხარის მიერ მოწვეული მოწმის ან ექსპერტის ხარჯებს ანაზღაურებს დაინტერესებული მხარე.

მუხლი 110. ზეპირი მოსმენა

1. ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

2. დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

3. მოსაწვევში მიეთითება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ცნობაში უნდა მიეთითოს საკითხი, რომლის თაობაზედაც უნდა მოეწყოს ზეპირი მოსმენა, ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი.

5. ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, არ უნდა გრძელდებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს.

მუხლი 111. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს სახელმწიფო, კომერციული პროფესიული ან მხარის პირადი საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2. სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

3. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, მემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს, მოწმეს.

4. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

6. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – გააძევოს დარბაზიდან.

7. სხდომა შეიძლება გაგრძელდეს დარბაზიდან გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 112. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

1. სხდომის დროს იწარმოება ოქმი.

2. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული წარმოების დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

გ) განხილვის დრო და ადგილი;

დ) სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;

ე) ზეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა;

ვ) მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე აღწერა;

ზ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა.

3. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ოქმს და ოქმის გაცნობიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები მის თაობაზე, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ ადმინისტრაციული ორგანო ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს, ხოლო თუ არ ეთანხმება, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ. (24.06.2005. N1801)

მუხლი 113. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ზეპირი მოსმენის გამართვიდან 5 დღის ვადაში.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. (24.06.2005. N1801)

მუხლი 114. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიური ორგანოს მიერ

1. თუ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს კოლეგიურ ორგანოში, მაშინ კოლეგიური ორგანოს ყველა წევრს უფლება აქვს დასვას შეკითხვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კოლეგიური ორგანოს მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მონაწილეობდა საქმის ზეპირ მოსმენაში. (24.06.2005. N1801)

თავი IX

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 115. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. სასელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, ვარჯ-მოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და საგელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამ-დებობის პირის) თანხმობით. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰყავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე იღებს თავად ამ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

5. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ თავის დებულებების გათვალისწინებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.(24.06.2005. N1801)

მუხლი 116. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

2. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა; (24.06.2005. N1801)

დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

მუხლი 117. საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გ) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.

2. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

3. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები.

მუხლი 118. საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი

1. ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან. (24.06.2005. N1801)

2. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა. ეს უფლება უნდა იქნეს მითითებული ცნობაში საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დოკუმენტზე აღნიშნოს მისი რეგისტრაციის თარიღი.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ ჩოსამრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და სამოგადოებრივ ექსპერტს.

მუხლი 119. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. (24.06.2005. N1801)

მუხლი 120. ზეპირი მოსმენა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110ე–112ე მუხლების დებულებები. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესახებ. (24.06.2005. N1801)

მუხლი 121. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. (24.06.2005. N1801)

თავი X (ამოღებულია) (.09.99 N2372 საქართველოს მაცნე N43(56))

XI თავის

დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი *(24.06.2005 N 1801)*

მუხლი 158. დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულოობა (24.06.2005 N 1801)

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოსცეს მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ (სავალდებულო მანდატირება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) კონცესიის გაცემისას, თუ კონცესიის ფასი აღემატება 250 000 ლარს;

ბ) სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 100 000 ლარს.

2. კანონით შეიძლება დადგინდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სხვა სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულოობაც.

3. დამოუკიდებელი ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციული წარმოებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესით.

4. დამოუკიდებელი ორგანოს მიმართ ვრცელდება ამ კოდექსის მე8 და 92ე მუხლების მოთხოვნები.

მუხლი 159. დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა

1. დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და შეუძლიათ უზრუნველყონ საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.

2. დამოუკიდებელ ორგანოს ღია ტენდერის საფუძველზე სიშნავს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

მუხლი 160. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო.

მუხლი 161. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა

დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციამი. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში. (24.06.2005. N1801)

თავი XII

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება

(24.06.2005 N 1801)

მუხლი 162. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღმასრულებელი უფლებამოსილი ორგანო

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აღასრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს დავალებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შეიძლება განახორციელოს ქვემდგომმა ან სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის II თავის დებულებები ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების შესახებ.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება.

4. აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივად აკისრია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მოვალეობა.

5. პირი ვალდებულია იქონიოს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი პირადობის მოწმობა და წარადგინოს იგი იმ პირების მოთხოვნით, რომელთა მიმართაც ხორციელდება აღსრულება. (24.06.2005. N1801)

მუხლი 163. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების წესი

1. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

2. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. (24.06.2005. N1801)

მუხლი 164. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის შესრულების სავალდებულოობა

1. ყველა ვალდებულია შეასრულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა. (24.06.2005. N1801)

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც კანონით მას აკისრია.

მუხლი 165. გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია განახორციელოს სხვა პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული რაიმე მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცემულია გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

2. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო საკითხს წყვეტს 10 დღის ვადაში. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება შეიცავდეს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა აღსრულდეს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის აღსასრულებლადაც არის იგი გამოცემული.

6. აღსრულების უზრუნველყოფის ერთი საშუალების გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ.

7. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ხარჯების ოდენობა და ანაზღაურების წესი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად განხორციელებულ მოქმედებათა შესაბამისად შემდგომში შეცვალოს ხარჯების ოდენობა. (24.06.2005. N801)

მუხლი 166. ადმინისტრაციული წარმოება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 95ე და 98ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანამაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიცეს წერილობით, აღსრულების უზრუნველყოფის ზომის განხორციელებიდან 3 დღის ვადაში, ამ კოდექსის IV თავის შესაბამისად.

მუხლი 167. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადა (24.06.2005 N 1801)

1. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის. *(24.06.2005 N 1801)*

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს, თუ რა მოქმედების განხორციელება ევალება პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის. *(24.06.2005 N 1801)*

3. პირი უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი სამუალებით.

4. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება. პირის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება წყვეტს მოქმედებას. *(2.03.2001 N 772)*

5. ამ კოდექსის 166-ე მუხლში მითითებულ გადაუდებელ შემთხვევაში ვადა შეიძლება არ განისაზღვროს.

მუხლი 168. აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც ევალება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება.

2. თუ პირს ამ კოდექსის 167ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განესაზღვრა ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის, აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ პირის მოქმედებით, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აღესრულებინა. (24.06.2005. N1801)

მუხლი 169. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის ერთერთი შემდეგი საშუალება:

ა) სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება;

ბ) ჯარიმა;

გ) უმუალო იძულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის სამუალება, რომელიც გათვალისწინებულია გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის სამუალება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ზიანს არ მიაყენებს საზოგადოებას და შესაბამის პირს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის სამუალების გამოყენება უნდა შეწყდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისთანავე. (24.06.2005. N1801)

მუხლი 170. სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება

1. თუ შესაძლებელია სხვა პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად სხვა პირს დაავალოს აღსრულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აინაზღაურებს შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან. (24.06.2005. N1801)

მუხლი 171. აღსრულების უზრუნველყოფა ჯარიმით

1. ჯარიმა, როგორც აღსრულების სამოქალაქოსამართლებრივი საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით.

2. ჯარიმა, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების დავალების შესაძლებლობა.

3. ჯარიმის თანხის ოდენობა უნდა იყოს განსაზღვრული გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ჯარიმის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს საერთო თანხით ან თანხით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის.

4. ჯარიმის საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს ფიზიკური პირისათვის და 5000 ლარს იურიდიული პირისათვის.

5. ჯარიმის თანხა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 50 ლარს ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს იურიდიული პირისათვის.

6. ჯარიმის თანხის მინიმალური ოდენობაა 5 ლარი.

7. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება შესაბამისად სახელმწიფო ან ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში. (24.06.2005. N801)

მუხლი 172. უშუალო იძულება

1. თუ ამ კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლებში მითითებული აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების მიუხედავად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აღსრულდა, აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება უზრუნველყოს უშუალო იძულების საშუალებით. (24.06.2005.N1801)

2. უშუალო იძულება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიყენოს უშუალო იძულების ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით.

მუხლი 173. აღსრულება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიმართ

ამ თავის დებულებანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით არ ერცელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიმართ. (24.06.2005. N1801)

მუხლი 174. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე პოლიციის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს ამ კოდექსისგან განსხვავებული წესი. (24.06.2005. N1801)

მუხლი 175. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების განსაკუთრებული წესი

1. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 169ე მუხლში მითითებული აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებანი.

2. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის აუცილებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ვალდებული პირი უარს აცხადებს გადაიხადოს ფულადი თანხა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის შესაბამისად უფლებამოსილი პირი პოულობს დაკისრებას ვალდებულებას, მისთვის გადასაცემი ფულადი თანხა ჩარიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე.

4. პირისაგან თანხის იძულებითი ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. (24.06.2005. N1801)

მუხლი 176. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებით შერჩეული უზრუნველყოფის საშუალება და აღსრულების ვადა უშუალოდ გამომდინარეობს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, რომლის აღსასრულებლადაც იგი გამოიცა, მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად. (24.06.2005. N1801)

თავი XIII

ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

მუხლი 177. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება

1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. *(2.03.2001 N 772)*

4. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 178. ადმინიტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. *(2.03.2001 N 772)*

2. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო *(2.03.2001 N 772)*

3. პირს შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ადმინისტრაციული საჩივრის წარუდგენლად პირდაპირ მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 179. ადმინისტრაციული საჩივარი

1. ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

2. ადმინისტრაციული საჩიეარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და უპასუხებდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს.

მუხლი 180. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა (24.06.2005 N 1801)

1. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრიეი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. *(2.03.2001 N 772)*

3. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრიეი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით. *(24.06.2005 N 1801)*

მუხლი 181. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩიეარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ეინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრიეი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრიეი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრიეი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

მუხლი 182. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა

1. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

გ) არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;

დ) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

ე) საჩიეარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ვ) ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ზ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ეალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან

განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 183. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსასილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-2 წაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 7 დღისა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით.

მუხლი 184. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. (24.06.2005. N1801)

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას;

ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;

დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას.

3. გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ იღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ან მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სასამართლოს შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელება.

მუხლი 185. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი

თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

მუხლი 186. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის დროს გამოიყენება აგრეთვე ამ კოდექსის VII თავით დადგენილი წესი.

მუხლი 187. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში.

მუხლი 188. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების უფლება

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 5 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს.

მუხლი 189. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება

1. თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობის გამო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს. *(24.06.2005 N 1801)*

მუხლი 190. ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უნდა გაგრძელდეს, თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას.

მუხლი 191. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე.

2. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს წერილობით. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც.

3. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 192. ადმინისტრაციული ორგანოს უფლება ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი

1. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს უფლება აქვს ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს

გააგრძელოს ადმინისტრაციული წარმოება მიუსედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ცნობისა.

მუხლი 193. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია გასცდეს მათ.

2. თუ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის წერილობითი თანხმობით გადაწყვეტილებას იღებს მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ხოლო ამ პირის უარის შემთხვევაში – გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

მუხლი 194. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი წარადგინოს საკუთარი მოსაზრება, დამატებითი ინფორმაცია ან დაესწროს ზეპირ განხილვას, არ აჩერებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას.

მუხლი 195. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომტანი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო რეგისტრაციიდან 5 დღის განმავლობაში უგზავნის ადმინისტრაციული საჩივრის და მასზე დართული დოკუმენტების ასლს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ასლის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში წარუდგინოს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს მოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა და საკუთარი წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს.

4. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირით ან სხვა უფლებამოსილი პირით, ხოლო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კოლეგიური ორგანოს მიერ – კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელი პირით.

5. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა თანამშრომლით მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით.

მუხლი 196. დაინტერესებულ მხარეთა მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარე საკუთარ მოსაზრებას, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წერილობით აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეს ზეპირი სხდომის გამართვის თარიღი მის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 197. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა

1. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე მხარეები ადმინისტრაციული საქმის მასალებს ეცნობიან ამ კოდექსის 99ე მუხლის შესაბამისად.

2. ამოღებულია *(2.03.2001 N 772)*

3. ამოღებულია *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 198. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. ზეპირი მოსმენა ტარდება ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო, კომერციული ან პირად საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის გამეღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა. *(2.03.2001 N 772)*

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ საკითხზე დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა. *(2.03.2001 N 772)*

5. ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა, თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ.

მუხლი 199. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე

1. ადმინსტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:

ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითოს ზეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 200. საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ

თუ ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოების შესახებ, ამის თაობაზე უნდა ეცნობოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს და მიეცეთ მათ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე.

მუხლი 201. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით

1. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
ე) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. თუ საქმეზე დამატებითი მასალების მოძიება აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რაც ეცნობება მხარეებს.

3. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო.

4. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

მუხლი 202. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. (24.06.2005. N1801)

მუხლი 203. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლა, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება. ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. (24.06.2005. N1801)

მუხლი 204. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები

1. არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის. *(2.03.2001 N 772)*

2. ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ადმინისტრაციული წარმოების ხარჯებს. *(2.03.2001 N 772)*

3. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. *(2.03.2001 N 772)*

4. ამოღებულია *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 205. ამოღებულია *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 206. ამოღებულია *(2.03.2001 N 772)*

თავი XIV

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

მუხლი 207. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

მუხლი 208. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი

1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა

სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

მუხლი 209. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს პასუხისმგებლობა კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისათვის

1. თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი აღგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი.

2. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

თავი XV

ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით

მუხლი 210. კანონმდებლობა ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით

1. კანონმდებლობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით შედგება საქართველოს კონსტიტუციის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის, ამ კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებისაგან.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (მიღებისას) გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

მუხლი 211. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლების მქონე ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით.

2. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების გამო წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. *(24.06.2005 N 1801)*

3. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული აქტის გამოსაცემად შეიძლება დაიწყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი. *(2.03.2001 N 772)*

მუხლი 212. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს იგი.

2. საკუთარ უფლებამოსილებათა ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება დაავალოს ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა უფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე.

3. სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების დაკალების შესახებ ვადაწყვეტილების გამოტანამდე აუცილებელია ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობა.

მუხლი 213. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნება

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. ცნობაში ადმინისტრაციული წარმოების შესახებ აღინიშნება:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა.

4. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს მხოლოდ ცნობა ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ცნობაში აღინიშნება ნორმატიული აქტის დასახელება და მისი მოკლე შინაარსი.

მუხლი 214. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გაგზავნა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი აუცილებლად უნდა გაეგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება ამ ნორმატიული აქტით ან მისი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ან თუ კანონი მოითხოვს ამ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დასკვნის წარმოდგენას ასეთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს საზოგადოებრივ ექსპერტს, თუ კანონი ითვალისწინებს მის მიერ დასკვნის წარმოდგენის საჭიროებულობას.

მუხლი 215. ადმინისტრაციული ორგანოების ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა

1. ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ექსპერტი, რომელთაც გაეგზავნათ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ვალდებულნი არიან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე წარადგინონ საკუთარი დასკვნა კანონმდებლობით ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები.

2. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დამთავრებამდე და მას წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ განსაზღვრულ ვადაში დასკვნის წარუდგენლობამ არ შეიძლება დააბრკოლოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

4. დაუშვებელია გამოიცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის არსებობის გარეშე, თუ დასკვნის არსებობა სავალდებულოა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს დაბრკოლებას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის.

მუხლი 216. საკუთარი მოსაზრების წარდგენა

1. ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ყოველი მოსაზრება უნდა განიხილოს ადმინისტრაციულმა ორგანომ. მათზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის.

3. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

მუხლი 217. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის ვადა

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის ვადა განისაზღვრება ვადაწყვეტილებით ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

თავი XVI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 218. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები

1. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის 15 ნოემბრამდე მოამზადოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტები.

2. არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*(26.10.2001 N 1138)*

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტებზე, რომლებიც ეხება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII² თავით გათვალისწინებული თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებას და მიღებულია (გამოცემულია) კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. (13.02.2004. N3399)

თავი XVII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 219. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 220. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების ნუსხა

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ;

ბ) აშოღებულია *(9.09.99 N 2372)*

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
1999 წლის 25 ივნისი.
N 2181 IIს

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

თავი I

ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

მუხლი 2. სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

1. ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

2. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;

დ) თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება.

2[1]. სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე. *(14.07.2006 N 3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)*

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტა მის უფლებამოსილებას განეკუთვნება. (24.06.2005. N1800)

მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

2. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლება-

მოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 4. შეჯიბრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატიით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

თავი II

განსჯადობა

მუხლი 5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი საქმეები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. (24.06.2005. N1800)

მუხლი 6. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ; (24.06.2005. N1800 ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან)

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

ე) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;

ვ) მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს მუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე. *(24.06.2005. N1800)*

ზ) შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ. *(14.07.2006 N 3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)*

თავი III

მიუკერძოებლობა, აცილება

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა

მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში. (25.10.2000)

მუხლი 8. ამოღებულია (24.02.2000. N169 საკანონმდებლო მაცნე N7)

თავი IV

პროცესის ხარჯები

მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი

1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე.

2. დავის საგნის ფასს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულის გარდა, განსაზღვრავს სასამართლო.

3. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განასეკრდება.

4. ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა, არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას. (24.06.2005. N1800)

მუხლი 10. პროცესის ხარჯების ანაზღაურება

1. ფიზიკური პირი ვალდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. (24.06.2005. N1800)

3. თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

მუხლი 11. საპროცესო ხარჯების განაწილება საქმის მორიგებით დამთავრებისას

1. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

2. სასამართლოსგარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი ანაზღაურებს დამოუკიდებლად.

თავი V

საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა

1. გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

2. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილთან სასამართლო აქტის შეუსაბამობის შემთხვევაში, სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სასამართლო აქტის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. (24.06.2005. N1800)

მუხლი 13. მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემა

1. სასამართლოს მიერ მხარეთათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღინიშნოს გაგზავნის თარიღი.

2. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების, დადგენილების ასლი უნდა გადაეცეს მხარეს. (24.06.2005. N1800)

3. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, სასამართლოს მოთხოვნით ეალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე.

4. თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი მხარესაც უნდა გაეგზავნოს. (24.06.2005. N1800)

5. თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ეგზავნება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასასელება და ეცნობება, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება.

6. მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში.

მუხლი 13[1]. საგადასახადო და საბაჟო საქმეების განხილვის ვადა (29.12.2006 N4231)

საგადასახადო და საბაჟო საქმეების განხილვის ვადა სასამართლოში სარჩელის შეტანიდან მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემამდე არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

თავი VI

მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში

მუხლი 14. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

2. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

მუხლი 15. ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით

1. თუ მხარე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოა, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.

2. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად, დადგენილი წესით, დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს.

3. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი. (24.06.2005. N1800)

მუხლი 16. მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში

1. სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

2. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ. (24.02.2000 N169 საკანონმდებლო მაცნე N7)

2[1]. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

2². ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად მესამე პირი შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით.

2³. მესამე პირის საქმეში ჩაბმამე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. (24.06.2005. N1800)

3. სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ უნდა გაეგზავნოს მხარეებს და მესამე პირებს, ხოლო თუ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირად ათ პირზე მეტია ჩაბმული, განჩინების გადაცემა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. (24.06.2005. N1800)

4. სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

თავი VII

სასამართლო მტკიცებულებები

მუხლი 17. მტკიცების ტვირთი

1. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

2. უ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. (24. 06.2005. N1800)

მუხლი 18. მოწმე და ექსპერტიზა

1. სასამართლო ვალდებულია მოწმის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემამდე სამი დღით ადრე მაინც აცნობოს მხარეს მოწმის ვინაობა, მის მიერ ჩვენების მიცემის დრო და ადგილი, აგრეთვე ფაქტები, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს სასამართლოს. ეს ვადა არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ამაზე მხარეები თანხმობას განაცხადებენ და თუ ამას სასამართლო მიბანშეწონილად მიიჩნევს.

2. გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს. თუ სასამართლოს მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი, მხარე უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი მოსაზრება ექსპერტიზის საგნისა და მოცულობის შესახებ.

3. ექსპერტის დასკვნა უნდა გაეგზავნოს მხარეებს, რომლებსაც უფლება აქვთ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი. (24.06.2005. N1800)

მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

2. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

მუხლი 20. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის სასამართლოში წარდგენის თაობაზე

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია. *(14.09.2001 N1063)*

მუხლი 20[1]. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის განხილვის წესი

1. სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას. (14.09.2001.N1063)

მუხლი 21. სასამართლო აქტების გაცნობის უფლება

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს.

2. მხარე უფლებამოსილია მიიღოს სასამართლო აქტებისა და ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალის ასლები სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით. დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს მხარე. ასლის გადაღებისათვის სხვა რაიმე გადასახდელის მოთხოვნა არ შეიძლება.

3. მხარეებს გასაცნობად არ წარედგინებათ სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები.

თავი VII[1].

ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით

მუხლი 21[1]. მოსამართლის ბრძანება მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე

ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით. (24.06.2005. N1800)

მუხლი 21[2]. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა

1. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და დაუყოვნებლივ მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს ანდა ამას მოითხოვს მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს. შუამდგომლობის წარდგენისას მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა.

3. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება იმ მეწარმის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები. შუამდგომლობას დაერთვის აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ცნობის ასლი.

მუხლი 21[3]. მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე გადაწყვეტილებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში. (24.06.2005. N1800)

2. მოსამართლე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი და ის მეწარმე ან მისი წარმომადგენელი, რომლის საქმიანობის შემოწმებასაც ითხოვს მაკონტროლებელი ორგანო. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ამ კოდექსის 20¹ მუხლით განსაზღვრული წესით. (14.09.2001.N1063)

3. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, მისცეს წინადადება შუამდგომლობის შემგან მაკონტროლებელ ორგანოს და მეწარმეს წარმოადგინონ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შეძოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

4. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, თუ რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც შუამდგომლობა შეიტანა, ასაბუთებს მას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლისა და მეწარმის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შეკითხვებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

5. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს მეწარმე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, მას ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საწინააღმდეგო მოსაზრებები.

6. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გასცემს დასაბუთებულ ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე. თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის შემოწმების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეწარმის შემოწმება უკვე დაწყებულია, დადგენილებაში მიეთითება შემოწმების შეწყვეტისა და მეწარმისათვის მიყენებული ზიანის (თუ ზიანი დადგა მაკონტროლებელი ორგანოს ბრალეული ქმედების შედეგად) ანაზღაურების შესახებ. (24.06.2005. N1800)

7. მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;

დ) განკარგულება მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მისი არსი და მეწარმე, რომლის შემოწმებაც ხდება;

ე) ბრძანების მოქმედებისა და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს;

ვ) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში აღინიშნება:

ა) დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;

დ) განკარგულება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით და მეწარმე, რომლის შემოწმებაზედაც ითქვა უარი;

ე) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს დადგენილება;

ვ) მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება ან დადგენილება დგება სამ ცალად, აქედან ერთი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ მაკონტროლებელ ორგანოს, მეორე–შესაბამის მეწარმეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

10. ახლადაღმოჩენილი ან ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძველზე მეწარმე ან მისი წარმომადგენელი 3 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოება, უფლებამოსილია მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლის ბრძანებითაც

ხორციელდება მეწარმის საქმიანობის შემოწმება. შუამდგომლობა განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილება იწვევს მოსამართლის ბრძანების გაუქმებას. (14.09.2001. N1063)

11. ამოღებულია (24.06.2005. N1800)

12. ბრძანების მოქმედების და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს, გამონაკლის შემთხვევებში დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 15 დღისა. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. (24.06.2005. N1800)

13. შუამდგომლობის შემტანი უფლებამოსილია სასამართლოში შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასელამდე გამოითხოვოს იგი. იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ დაიშვება.

14. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას. მოსამართლის ბრძანება ამ მუხლით დადგენილი წესით 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

15. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამომცემ სასამართლოში მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. საჩივრის და თანდართული მასალების ასლები ეგზავნება მეორე მხარეს. (24.06.2005. N1800)

16. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება არსებითად, კოლეგიური წესით, საჩივრის შესვლიდან 3 დღის განმავლობაში, ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

17. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ დადგენილებას – დადგენილებით.

18. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება (დადგენილება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. (14.09.2001. N1063)

თავი VII[2]

ადმინისტრაციული სამართალწარმოება თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

მუხლი 21[4]. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელის აღძვრა

1. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელი შეიძლება აღძრულ იქნეს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ.

2. სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თანამდებობის პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადამი. *(29.12.2006 N4214)*

მუხლი 21[5]. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა.

ა) თანამდებობის პირი – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოს (რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან მეტს) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან; *(16.12.2005 N2266)*

ბ) ოჯახის წევრი – თანამდებობის პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და დერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ვ) ახლო ნათესავი – თანამდებობის პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, ბერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის ბერები, მეუღლის და, ძმა და მშობლები;

დ) დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოპოვებულია თანამდებობის პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, განკარგავს თანამდებობის პირი (ან განკარგა თანამდებობის პირმა); *(16.12.2005 N 2266)*

ე) უკანონო ქონება – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

ვ) დაუსაბუთებელი ქონება – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი სამუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნიათ ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სასსრებით. *(16.12.2005 N 2266)*

მუხლი 21[6]. ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობა

1. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ქონებას მოსამართლე ცნობს უკანონოდ, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევის შესაბამისად.

2. მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური სამუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. (13.02.2004. N3391)

მუხლი 21[7]. ქონების დაყადაღება

1. თუ არის მონაცემები, რომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს განცხადებით ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშების დაყადაღების თაობაზე.

2. ამოღებულია *(29.12.2006 N4214)*

მუხლი 21[8]. ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგები

1. თუ სასამართლომ ამ თავის 21[6] მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონება ცნო უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, მოპასუხის ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

2. თუ მოპასუხის ქონების შეძენის წყარო ან მისი კანონიერება ან დასაბუთებულობა ნაწილობრივ დასტურდება, სახელმწიფოს უბრუნდება მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის კანონიერებას ან დასაბუთებულობას მოპასუხე სასამართლო წესით ვერ დაადასტურებს.

3. თუ შეუძლებელია მოპასუხის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით სახელმწიფოსთვის დაბრუნება, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის დაუსაბუთებელი ან უკანონო ქონების კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 21[9]. თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. თუ სასამართლო დააადასტურებს, რომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში იმყოფება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება და სასამართლო პროცესის მსელელობისას თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას მის წინააღმდეგ. (20.04.2005. N1352)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალწარმოება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 21[10]. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შედეგები

თუ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმავე ქონებასთან დაკავშირებით განმეორებითი სარჩელის წარდგენა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოვლინდა ახალაღმოჩენილი გარემოებები. *(13.02.2004. N3391)*

მუხლი 21[11]. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

1. თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას, როდესაც თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

2. მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში. მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე მხარის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიალურად ან საკონსულო წესით. *(29.12.2006 N4214)*

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების (შეტყობინების) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავით დადგენილი წესი. *(13.02.2004. N3391)*

თავი VII[3] *(25.05.2006 N3146)*

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით

მუხლი 21[12]. სასამართლოსათვის მიმართვა

1. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

2. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ოჯახში ძალადობისას სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას.

მუხლი 21[13]. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს დამცავი ორდერი.

2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე შეიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილი წესით.

3. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;

ბ) განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას;

დ) ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ;

ე) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;

ვ) დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას;

ზ) მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის ხელმოწერას.

4. სასამართლო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

5. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე განუმარტავს განმცხადებელს, რომ შეგნებულად ცრუ დასმენისათვის ან ცრუ ჩვენებისათვის მის მიმართ გამოყენებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, და ართმევს ხელწერილს, გამოიძახებს და აცნობს განცხადებას იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, და სთხოვს მას დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით გასცეს პასუხი განცხადებაში მითითებულ საკითხებზე და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

6. დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება იმავე ინსტანციის სასამართლოში 3 დღის ვადაში, ხოლო მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას.

7. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.

8. დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული საქმეები სასამართლოში განიხილება ამ კოდექსის 22-ე–34-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 21[14]. სასამართლოს უფლებამოსილება შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით

1. უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

2. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მისი მოქმედება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმეზე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა.

4. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ამ კოდექსის 21[13] მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 21[15]. დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხები

1. დამცავი ან შემაკავებელი ორდერი იწერება სამართალწარმოების ენაზე, ცხადად და გასაგებად. იგი შეიძლება დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

2. დამცავ ან შემაკავებელ ორდერში მიეთითება:

ა) მისი გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას;

გ) მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;

დ) ამ მუხლის მე-3–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული იმ მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც ეკრძალება მოძალადეს.

3. დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადის ვალდებულებას – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;

დ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;

ვ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ზ) მოძალადისათვის იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივ-სამგზავრო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;

თ) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, ფონიერულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

ი) მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს;

კ) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;

ლ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

4. შემაკავებელი ორდერი, რომელსაც ხელს აწერენ მისი გამოცემის უფლების მქონე პირი და მსხვერპლი, შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

დ) მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების საკითხებს;

ე) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ვ) მოძალადისათვის იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივ-სამგზავრო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;

ზ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

5. გამოცემულ შესაბამის ორდერში შესაძლებელია მიეთითოს ამ მუხლის მე-3–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთი ან ყველა ერთად, ძალადობის ფაქტის აღკვეატურობის გათვალისწინებით.

6. შემაკავებელი ორდერი მზადდება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოს (პირს).

7. დამცავი ან შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე.

თავი VII[4]. (14.07.2006 N 3452 ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან)

ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით

მუხლი 21[16]. მოსამართლის ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ

1. შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ

ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ფსიქიატრიული დაწესებულების ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს და ბრძანებას გამოსცემს ამ თავით დადგენილი წესით.

მუხლი 21[17]. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დასმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც მოთავსებულია პაციენტი.

2. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ბრძანების გამოცემის თხოვნით მიმართავს პაციენტის სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათის ვადაში.

3. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვა უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნას, რომელიც პაციენტის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებთან (პასპორტი, პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა. შ.) ერთად, მათი არსებობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვას. თუ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოსათავსებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი) დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, ფსიქიატრიული დაწესებულების მიმართვას უნდა დაერთოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოქმი, თუ იგი შეადგინა პოლიციის თანამშრომელმა.

მუხლი 21[18]. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმის განხილვისა და ბრძანების გამოცემის წესი

1. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 24 საათის ვადაში.

2. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე. სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ პაციენტის მკურნალობის პროცესში ჩართულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის ერთი წევრი მაინც, პაციენტი და მისი ადვოკატი. თუ პაციენტს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. საქმის განხილვაში აგრეთვე მონაწილეობს პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი, ან ასეთის არარსებობისას – ნათესავი (ამ შემთხვევაში ტერმინი „პაციენტის ნათესავი" გულისხმობს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა წრეს). განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხის განსახილველად ატარებს გასვლით სასამართლო სხდომას იმ სტაციონარში, რომელშიც პაციენტი იმყოფება.

3. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, თუ რა მიმართვა განიხილება, ასახელებს სასამართლო პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი ასაბუთებს თავის მიერ წარდგენილ მიმართვას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლის, პაციენტის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან/

და ნათესაევის შეკითხვებს. პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესაკის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ არის მიმართვის განხილვის გადადების საფუძველი.

4. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის წევრები, რომელთა დასკვნის საფუძველზედაც მიმართა ფსიქიატრიული დაწესებულების აღმინისტრაციამ სასამართლოს, აგრეთვე სხვა პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს მიმართვას. პაციენტი, მისი ადვოკატი, კანონიერი წარმომადგენელი ან/და ნათესავი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებას საქმესთან დაკავშირებით შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ქქონდეს. პაციენტს, მის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან/და ნათესავს უფლება აქვს სასამართლოს მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები.

5. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების შეფასების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა, სტაციონარში მოთავსების შესახებ.

6. თუ არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ. ამ შემთხვევაში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან.

7. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) ფსიქიატრიული დაწესებულება, რომლის აღმინისტრაციამაც წარადგინა სასამართლოში მიმართვა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) განკარგულება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, და სტაციონარში მოსათავსებელი პირის ვინაობა (თუ პირის ვინაობა დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფაქტი ან მონაცემი, მაშინ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება – „არაიდენტიფიცირებული პაციენტი [1]....." და განხილული აღმინისტრაციული საქმის სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით მას მიენიჭება პირობითი ნომერი);

ვ) არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. ბრძანებაში, როგორც წესი, მიეთითება, რომ იგი მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, რასაც ადგენს შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დასკვნის საფუძველზე;

ზ) ფსიქიატრიული დაწესებულება (მისი ხელმძღვანელი), რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება;

თ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირ ის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

ა) დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) ფსიქიატრიული დაწესებულება, რომლის აღმინისტრაციამაც წარადგინა სასამართლოში მიმართვა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) განკარგულება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, და იმ პირის ვინაობა, რომელიც უნდა მოთავსებულიყო სტაციონარში (თუ პირის ვინაობა დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფაქტი ან მონაცემი, მაშინ მოსამართლის დადგენილებაში აღინიშნება – „არაიდენტიფიცირებული პაციენტი N....." და განხილული აღმინისტრაციული საქმის სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით მას მიენიჭება პირობითი ნომერი);

ვ) ფსიქიატრიული დაწესებულება (მისი სელმძღვანელი), რომელმაც უნდა შეასრულოს დადგენილება;

8) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) დგება სამ ცალად, რომელთაგან ერთი ეგზავნება მიმართვის წარმდგენ ფსიქიატრიულ დაწესებულებას, მეორე – პაციენტს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ნათესავს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

10. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს სასამართლოში მიმართვის განხილვისას მოსამართლის საათათბირო ოთახში გასელამდე გამოითხოვოს თავისი მიმართვა.

11. მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის მხარეებისათვის ბრძანების (დადგენილების) გამოცხადებისთანავე.

მუხლი 21[19]. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა და მისი მოქმედების ვადის გაგრძელების წესი

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანება მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, რაც დასტურდება ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. სტაციონარში მოთავსების ვადა აითვლება პირის სტაციონარში მოთავსებიდან.

2. პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 3 თვისა. ყოველი ამგვარად გაგრძელებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში ფსიქიატრიული დაწესებულება უფლებამოსილია კვლავ მიმართოს სასამართლოს ვადის გაგრძელების მოთხოვნით, თუ არ არის ამოწურული არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ კოდექსის 21[18] მუხლით დადგენილი წესით, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 72 საათში.

3. იმ შემთხვევაში, თუ არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები ამოიწურა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ან/და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემიდან 3 თვის გასვლამდე, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან. გადაწყვეტილებას პაციენტის გაწერის შესახებ იღებს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მაგისტრატ მოსამართლეს ან/და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

მუხლი 21[20]. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივროს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ, პაციენტმა, მისმა ადვოკატმა, კანონიერმა წარმომადგენელმა ან/და ნათესავმა სააპელაციო სასამართლოში ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების შესახებ შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამომცემ (გამომტან) სასამართლოში მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან 48 საათის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები გადაეგზავნება მეორე მხარესაც.

3. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

4. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება არსებითად, კოლეგიური წესით, საჩივრის შეტანიდან ერთი კვირის ვადაში, ამ კოდექსის 21[18] მუხლით გათვალისწინებული წესით; ამასთანავე სააპელაციო საჩივრის განხილვისას სასამართლოს უფლება აქვს პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. დამატებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამატებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას მოითხოვს პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარე.

5. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ დადგენილებას – დადგენილებით.

6. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება (დადგენილება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავი VIII

ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილადცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში –უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება ისეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც ეხება თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებას და მიღებულია (გამოცემულია) კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. (24.06.2005. N1800)

5. სარჩელი საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე სასამართლოს უნდა წარედგინოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. (29.12.2006 N4259)

მუხლი 23. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. (24.06.2005. N1800)

მუხლი 24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. (24.06.2005. N1800)

2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

მუხლი 25. აღიარებითი სარჩელი

1. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. (24.06.2005. N1800)

2. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

მუხლი 25[1]. სახელშეკრულებო დავები

1. სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით.

2. აღმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს. (24.06.2005. N1800)

მუხლი 26. სარჩელის წარდგენა განსჯად სასამართლოში

1. სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

2. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

3. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. (24.06.2005. N1800)

მუხლი 26[1]. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები.

2. ამოღებულია (29.12.2004. ¹932)

3. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. (25.03.2005. ¹1174)

მუხლი 26[2]. განმწესრიგებელი სხდომა

1. სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო, მხარეთა მონაწილეობით, განიხილავს ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას.

2. სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. სასამართლო აღნიშნული საფუძველით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

3. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საჩივრდება კერძო საჩივრით ზემდგომ სასამართლოში.

4. ზემდგომი სასამართლო განჩინების გაუქმების ან არსებითი განხილვისას წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოელენის შემთხვევაში საქმეს განსახილველად დაუბრუნებს განსჯად სასამართლოს. (24.06.2005. N1800)

მუხლი 27. გამარტივებული სამართალწარმოება

სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

მუხლი 28. დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება

1. სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

2. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:

ა) შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;

ბ) მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;

გ) არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;

დ) შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

მუხლი 29. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩიერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

3. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

4. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძერამდეც.

6. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში და ერთი დღის ვადაში უგზავნის მხარეებს.

7. თუ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

8. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

9. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. (24.06.2005. N1800)

მუხლი 30. განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას კარგავს:

ა) მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას;

ბ) სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში. (24.06.2005. N1800)

მუხლი 30[1]. განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

2. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

3. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. (24.06.2005. N1800)

მუხლი 31. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ

1. განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

2. დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო. (24.06.2005. N1800)

მუხლი 32. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწ-ყვეტილებამი მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ.

3. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკელეეისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დააკმაყოფილოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. (24.06.2005. N1800)

5. სასამართლოს გადაწყვეტილებას ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ აქვს სავალდებულო ძალა. თუ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთოებას ან გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნობის ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად.

6. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი.

მუხლი 33. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

2. სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლოს მიერ გამოტანილ ამ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი. (24.06.2005. N1800)

მუხლი 33[1]. სასამართლოს გადაწყვეტილება მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. *(24.06.2005. N1800)*

თავი IX

აპელაცია და კასაცია

მუხლი 34. სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობა

1. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. *(24.06.2005. N1800 ამოქმედდეს 2005 წლის 1 ნოემბრიდან)*

4. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განხილვის ვადა შეადგენს ექვს თვეს. *(24.06.2005. N1800)*

თავი IX[1]. გარდამავალი დებულებანი (24.06.2005. N1800)

მუხლი 35

1. ამ კანონის ამოქმედებამდე საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული და გადაწყვეტილი იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

2. ამ კანონით გათვალისწინებულ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას 2005 წლის 1 ნოემბრამდე ახორციელებენ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

3. საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2005 წლის 15 ივლისამდე წარმოებაში მიღებული საქმეები, რომელთა განხილვა წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაეცემა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

4. 2005 წლის 1 ნოემბრამდე დარეგისტრირებული საკასაციო საჩივრების განხილვაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედება. *(25.11.2005 N 2133)*

5. 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შემდეგ საქმეებზე: *(29.12.2006 N4307)*

ა) ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე;

გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავაზე;

დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავაზე;

ე) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე საჯარო ურთიერთობის თაობაზე;

ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაზე;

ზ) კერძო საჩივარზე.

6. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე დაწყებულ სააპელაციო წარმოებას ერთპიროვნულად აგრძელებს სააპელაციო (საოლქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ის მოსამართლე, რომელიც გამწესებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. *(25.11.2005 N 2133)*

მუხლი 35[1]. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება (29.12.2006 N4214)

თუ ამ კოდექსის VII[2] თავის შესაბამისად, მხარის მიმართ გამოტანილია სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება ამ კოდექსის VII[2] თავის ამოქმედების მომენტიდან გამოტანილ ყველა სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

თავი X (29.12.2006 N4214)

დასკვნითი დებულება

მუხლი 36. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
1999 წლის 23 ივლისი.
N 2352 - რს

საქართველოს კანონი

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

საქართველოს საინფორმაციო სუვერენიტეტიდან და ინფორმაციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის დასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ცნებები

1. "სახელმწიფო საიდუმლოება" - ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამეღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.

2. "საიდუმლოობის ხარისხი" - კატეგორია, რომელიც გამოხატავს ინფორმაციის მნიშვნელობას, მისი გამეღავნებით ან დაკარგვით გამოწვეულ შესაძლო ზიანს, ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ხარისხს და სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის დონეს.

3. "სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სისტემა" - სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ორგანოების მიერ გამოყენებული საიდუმლოების დაცვის საშუალებები და მეთოდები, აგრეთვე ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

4. "დასაიდუმლოება" - ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვები.

5. "განსაიდუმლოება" - ამ კანონით დადგენილ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებთან დაშვებისა და მათი გავრცელების შეზღუდვების მოხსნა.

6. "სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მქონე" - დოკუმენტი ან სხვა სახის მატერიალური საგანი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარებულ ინფორმაციას.

7. "სახელმწიფო სამდუმლოებასთან დაშვება" - სახელმწიფო ორგანოებისათვის, ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მიცემული ნებართვა შეასრულოს სამუშაო სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოყენებით.

8. "სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობის უფლება" - თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დამვების მქონე პირისათვის მიცემული შესაძლებლობა გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალას.

9. "საიდუმლოების გრიფი" - რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს.

10. "ინფორმაციის დაცვის საშუალებები" - სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის ტექნიკური, კრიპტოგრაფიული, პროგრამული და სხვა საშუალებები.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

1. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ შედგება ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

2. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება არ ვრცელდება კომერციული ან საბანკო საიდუმლოებების, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური,

საკამპანიონებლო და სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, თუ ეს ინფორმაცია ამასთანავე სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

მუხლი 3. სახელმწიფო პოლიტიკა სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ

1. სახელმწიფო პოლიტიკას სახელმწიფო საიდუმლოების მიმართ, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, შეიმუშავებს საქართველოს პარლამენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ამ პოლიტიკის შესრულებას კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

3. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებს, არის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას. *(24.12.2004 N 816)*

5. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური არის საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების, ორგანიზაციებისა და მივლინებაში მყოფ იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან. *(8.07.2005N 1892)*

მუხლი 4. ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და საიდუმლოების დაცვისათვის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებანი

1. საქართველოს პარლამენტი:

ა) უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებას;

ბ) საპარლამენტო კონტროლს უწევს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებას;

გ) განსაზღვრავს პარლამენტის აპარატის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას პარლამენტში;

დ) გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის სხვა საკითხებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) ამტკიცებს "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს";

ბ) ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის დებულებასა და სტრუქტურას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს;

გ) ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას;

დ) ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლობისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება;

ე) ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელნიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;

ვ) განსაზღვრავს სახელმწიფო კანცელარიის იმ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას სახელმწიფო კანცელარიაში;

ზ) თავის კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობებისა და დაცვის სხვა საკითხებს.

თ) უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მქონე ინფორმაციას; (04.03.98 N1853 საკანონმდებლო მაცნე N12(19))

3. საქართველოს ეროვნული უმაღლესების საბჭო:

ა) შეიმუშავებს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს:

"სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესს; სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მისაკუთვნებელ ცნობათა ნუსხას;

იმ თანამდებობის პირთა სიას, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ცნობების მიკუთვნების უფლებამოსილება;

იმ თანამდებობის პირთა სიას, რომელნიც უფლებამოსილნი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;

ბ) ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და შესრულების ორგანიზაციას.

4. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და მათი ხელმძღვანელები:

ა) უზრუნველყოფენ მათთვის გადაცემული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარუდგენენ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სისტემის სრულყოფის წინადადებებს.

5. სასამართლო ხელისუფლება:

ა) განიხილავს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებში;

ბ) უზრუნველყოფს საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას;

გ) განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გარვცელებით ან დაკარგვით მიყენებული ზარალის ოდენობას, ასევე იმ ზარალის ოდენობას, რომელიც ამ ცნობების გაცემით განიცადა ინფორმაციის მფლობელმა;

დ) განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში სახელმწიფო საიდუმლობეის დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 5. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა ინფორმაციისა და მის შემცველებზე საკუთრების უფლების განხორციელება

1. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ან მისი მატერიალური შემცველის მესაკუთრე თავის საკუთრების უფლებას ახორციელებს ამ კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი და პირობები, სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა და მისი შემცველის გამოყენებისა და განკარგვის სპეციალური რეჟიმის დადგენის ჩათვლით, განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით ინფორმაციის ან მისი შემცველის მფლობელსა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას შორის.

3. თუ ხელშეკრულებაში აღნიშნული საკუთრების უფლებათა შეზღუდვები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციაზე და მის შემცველებზე ზარალს აყენებს მათ მესაკუთრეს, ამ ზარალის სრული კომპენსაცია ხდება სახელმწიფო ხარჯზე, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო.

4. თუ სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ან მისი შემცველის მესაკუთრე უარს ამბობს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არღვევს მას, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ინფორმაცია ან მისი შემცველი შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს და გადავიდეს სახელმწიფო საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში კომპენსაციის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო.

მუხლი 6. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებათა დაფინანსება

1. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, მისი დასაიდუმლობებისა და დაცვის ღონისძიებები სახელმწიფო ორგანოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და სახაზინო საწარმოებში ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

2. კერძო საკუთრებაში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დაცვის ღონისძიებები ხორციელდება ამ კანონის მე - 5 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი დასაიდუმლოებისა და დაცვის ღონისძიებები არასახმინო საწარმოში ფინანსდება საწარმოსა და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი II

ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა

მუხლი 7. ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია სახელმწიფო საიდუმლოებად იქნეს მიჩნეული

სახელმწიფო საიდუმლეობას შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ შემდეგი ინფორმაცია:

1. თავდაცვის სფეროში:

ა) რომელიც შეიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს, სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხები;

ბ) შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიმნობრივი პროგრამების აგრეთვე სამეცნიერო - კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას;

გ) განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ.

2. ეკონომიკის სფეროში:

ა) სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმებისა და სიმძლავრეების, სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგისა და მიწოდების მოცულობათა, აგრეთვე სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების განლაგებისა და მოცულობის შესახებ;

ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რეჟიმის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

გ) ოქროს საერთო მარაგში შემავალი მონეტარული ჯგუფის - ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობათა - სახელმწიფო მარაგების კონკრეტულ სახეობათა შესახებ, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დამზადების, შენახვის, დაცვისა და ყალბისმქნელობის თავიდან აცილებასთან, მიმოქცევასთან, გაცვლასთან ან მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებული ოპერაციების თაობაზე.

3. საგარეო ურთიერთობათა სფეროში:

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხების შესახებ, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს.

4. დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:

ა) სადაზვერვო, კონტრადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, აგრეთვე კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ; იმ პირთა თაობაზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან;

ბ) "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა დაცვის და ადმინისტრაციულ შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმის შესახებ

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის შესახებ;

დ) სახელმწიფო შიფრების დამუშავებისა და გამოყენების, კრიპტოგრაფიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ.

მუხლი 8. ინფორმაცია, რომელიც არ მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად

1. აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნებისმიერი ცნობა, რომლითაც შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

2. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, გარდა საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებს მათ შიდა საქმიანობას თავდაცვის, უშიშროებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით. *(25.05.2006 N 3156)*

3. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს რუკები, გარდა სამხედრო დანიშნულების სპეციალური რუკებისა.

4. არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სტიქიური უბედურების, კატასტროფებისა და სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას;

ბ) გარემოს მდგომარეობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის, მისი ცხოვრების დონის შესახებ, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, აგრეთვე სოციალურ - დემოგრაფიული მაჩვენებლების, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის შესახებ;

დ) კორუფციის, თანამდებობის პირთა უკანონო ქმედობებისა და კრიმინოგენული სიტუაციის შესახებ;

ე) პრივილეგიების, კომპენსაციებისა და შეღავათების შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეებს, თანამდებობის პირებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ვ) სახელმწიფო სავალუტო ფონდისა ოქროს საერთო მარაგის შესახებ;

ზ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის შესახებ.

მუხლი 9. სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის წესი

1. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების აუცილებლობის დასაბუთება, ამ ცნობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევალება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, აგრეთვე, საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელმაც ეს ცნობები შეიმუშავა ან მიიღო განსახილველად და ან შესანახად.

2. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების საკითხს წყვეტს სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი პირი, რომელსაც ეს უფლებამოსილება აქვს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტით.

მუხლი 10. სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნებულ ცნობათა ნუსხა

1. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას გამოსაქვეყნებლად ამზადებს და ოფიციალურ სახელმწიფო გამოცემებში აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

2. ცვლილებები და დამატებები სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

3. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ ოფიციალურად აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხას.

4. თუ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაში შეტანილია ინფორმაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არღვევს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილ წესს, დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

მუხლი 11. საიდუმლოების ხარისხის დადაბლება და სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

საიდუმლების ხარისხის დადაბლება და მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიიჩნეების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ხდება სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეების შესახებ გადაწყვეტილების

გაუქმებით ან შეცვლით, ამ გადაწყვეტილების მოქმედების ვადის გასელასთან დაკავშირებით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ფორმდება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ საიდუმლო ცნობათა ნუსხაში სათანადო ცვლილების შეტანით.

თავი III

ინფორმაციის დასაიდუმლოება

მუხლი 12. ინფორმაციის დასაიდუმლოების პრინციპები

1. ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება კანონიერების, დასაბუთებულობის და დროულობის პრინციპების შესაბამისად.

2. ინფორმაციის დასაიდუმლოების კანონიერება განისაზღვრება ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლით განსაზღვრულ საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ინფორმაციის დასაიდუმლოების დასაბუთებულობა განისაზღვრება კონკრეტული მასალის საექსპორტო შეფასების საფუძველზე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების გათვალისწინებით.

4. ინფორმაციის დასაიდუმლოების დროულობის პრინციპი განისაზღვრება ამ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვით მისი მიღების (შემუშავების) მომენტიდან.

მუხლი 13. ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხი და მისი გრიფი

1. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტებისათვის, ნაკეთობისათვის ან ინფორმაციის სხვა მატერიალური შემცველისათვის საიდუმლოობის გრიფის მინიჭებით.

2. საიდუმლოობის გრიფი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის ყოველი მატერიალური შემცველის აუცილებელი რეკვიზიტია. იგი უნდა აღნიშნავდეს ამ ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს ("განსაკუთრებული მნიშვნელობის", "სრულიად საიდუმლო", "საიდუმლო"), ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადასა და თანამდებობის პირს, რომელმაც აღინიშნა ეს გრიფი.

3. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება "განსაკუთრებული მნიშვნელობის" საიდუმლოების ხარისხი, მიეკუთვნება მონაცემები, რომელთა გავრცელება ან დაკარგვა არსებითად იმოქმედებდა საქართველოს ინტერესებზე თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, გამოიწვევდა განსაკუთრებით მძიმე შედეგებს.

4. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოების ხარისხი"სრულიად საიდუმლო", მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის, აგრეთვე, ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა ინტერესებისათვის.

5. მონაცემებს, რომლებისთვისაც წესდება საიდუმლოობის სარისხი "საიდუმლო", მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლის გავრცელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თავდაცვაზე, სახელმწიფო უშიშროებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე.

6. თუ გრიფის აღნიშვნა უშუალოდ ინფორმაციის მატერიალურ შემცველზე შეუძლებელია, იგი უნდა მიეთითოს თანდართულ დოკუმენტებში.

7. აკრძალულია ამ კანონით გათვალისწინებული საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნა ინფორმაციის შემცველებზე, რომლებიც დაცული სხვა სახის საიდუმლო ან კოფიდენციალური ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

8. თანამდებობის პირთა სიას, რომლებსაც უფლება აქვთ ინფორმაციის შემცველზე აღნიშნონ საიდუმლოობის გრიფი, ამტკიცებს იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ეწევა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

9. ინფორმაციის დასაიდუმლოების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ და ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხის დადაბლების ან მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში ინფორმაციის დასაიდუმლოების განმხორციელებელი თანამდებობის პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ საიდუმლოობის გრიფის შეცვლა ან ინფორმაციის გასაიდუმლოება.

მუხლი 14. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა

1. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადა დამოკიდებულია მისი საიდუმლოობის ხარისხზე. „განსაკუთრებული მნიშვნელობის" ინფორმაციისათვის იგი არ აღემატება 20 წელს, „სრულიად საიდუმლო" ინფორმაციისათვის – 10 წელს, ხოლო „საიდუმლო" ინფორმაციისათვის – 5 წელს. დასაიდუმლოების ვადის გაგრძელების უფლება აქვთ სპეციალური სამსახურების ხელმძღვანელებს, თუ აღნიშნული ინფორმაცია დაკავშირებულია კონტრდაზვერვით საქმიანობასთან და მისი განსაიდუმლოებით არსებითი ზიანი მიადგება სახელმწიფოს ინტერესებს. *(11.11.2005 N 2100)*

2. დასაიდუმლოების ვადის ათვლა იწყება ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნის თარიღიდან.

3. ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლება აქვს გააგრძელოს დასაიდუმლოების ვადა.

4. ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადამდე სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხის მქონე ინფორმაციას. (04.03.98 N1276 პარლამენტის უწყებანი N 13-14)

მუხლი 15. საიდუმლოების შემცველი ცნობების დასაიდუმლოების წესი

1. ცნობების დასაიდუმლოების, ე.ი. დოკუმენტებზე და სხვა მატერიალურ ობიექტებზე საიდუმლოობის გრიფის დაწესების საფუძველია მათი შესაბამისობა იმ ცნობების ნუსხასთან, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

2. თუ შეუძლებელია მიღებული (შემუშავებული) ცნობების მოქმედ ნუსხაში შეტანილ ცნობებთან იდენტიფიკაცია, სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულების, უწყებისა და საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული ცნობების წინასწარი დასაიდუმლოება, საიდუმლოობის მოსალოდნელი ხარისხის გათვალისწინებით, და ერთი კვირის ვადაში გადაუგზავნოს უშიშროების საბჭოს თავისი წინადადებები. უშიშროების საბჭო ერთი თვის ვადაში ჩაატარებს შემოსული წინადადების საექსპერტო შეფასებას და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებას მოქმედ ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუხლი 16. ინფორმაციის დასაბუთებული დასაიდუმლოების გასაჩივრება

1. მოქალაქეები და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღმნიშვნელ თანამდებობის პირს მიმართონ ამ ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ მოტივირებული წინადადებით, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული. აღნიშნულმა თანამდებობის პირმა მოქალაქეს ან იურიდულ პირს ერთი თვის განმავლობაში უნდა გასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი.

2. გადაწყვეტილება ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი IV

საიდუმლო ინფორმაციის გასაიდუმლოება

მუხლი 17. საიდუმლო ინფორმაციის გასაიდუმლოების საფუძველი

1. ცნობებისათვის საიდუმლოობის გრიფის მოხსნის საფუძველია:

ა) საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულების აღება იმის თაობაზე, რომ ღიად იქნეს გაცვლილი ის ცნობები, რომლებიც ადრე სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ;

ბ) ობიექტური გარემოების შეცვლა, რომლის შედეგადაც აღარ არის საჭირო დაცული იქნეს ის ცნობები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა;

გ) დადგენილი ვადის გასვლა.

დ) საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წარდგინება კონკრეტული ინფორმაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მოხსნის შესახებ; (04.03.98 N1276 პარლამენტის უწყებანი N 13-14)

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ასდენენ დასაიდუმლოებას, ვალდებული არიან ყოველწლიურად გადასინჯონ მონაცემები ცნობების დასაიდუმლოების შესახებ, რაცა კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით შეუასდეს ცნობების საიდუმლოობის აუცილებლობა.

მუხლი 18. სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების წესი

1. სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოება ხდება არა უგვიანეს იმ ვადისა, რა ვადითაც დასაიდუმლოებულ იქნა ცნობები. საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოებას ახორციელებს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტი, თუ ასეთი უფლებამოსილება ამ უკანასკნელს მინიჭებული აქვს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი ორგანიზაციის ან მისი სამართალმემკვიდრის მიერ. თუ ასეთი უფლებამოსილება სახელმწიფო საარქივო დეარტამენტს მინიჭებული არა აქვს ან ეს ორგანიზაცია გაუქრდა, განსაიდუმლოების საკითხს წყვეტს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

2. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების უფლება აქვს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას.

3. ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოების წინადადებას ეროვნული უშიშროების საბჭოს წარუდგენს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების უფლების მქონე შესაბამისი ორგანო. ეროვნული უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს წინადადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის წინადადებით სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი მოხსნას ნდობის ჯგუფის მიერ წარდგენილ სახელმწიფო საიდუმლოების ნებისმიერი ხარისხის მქონე ინფორმაციას. (04.03.98 N1276 პარლამენტის უწყებანი N 13-14)

მუხლი 19. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირების შეკითხვით მიმართვის უფლება ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან შეკითხვით მიმართონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს (მათ შორის სახელმწიფო არქივებს) სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციის განსაიდუმლოების თაობაზე.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები (მათ შორის სახელმწიფო არქივები), რომლებმაც ასეთი შეკითხვა მიიღეს, ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში განიხილონ და მოტივირებული პასუხი გასცენ შეკითხვის არსებით მხარეს. თუ მათ არა აქვთ ამ ცნობების განსაიდუმლოების უფლებამოსილება, შეკითხვის მემოსელიდან ერთ კვირაში ის გადაეცემა სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელსაც აქვს ასეთი უფლება,ან - სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციას. შეკითხვას მოტივირებული პასუხი უნდა გაეცეს ერთი თვის ვადაში.

3. თანამდებობის პირის მიერ შეკითხვის არსებითად განხილვისაგან თავის არიდება იწვევს დისციპლინურ და ან ადმინისტრაციულ პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ცნობის მიკუთვნების საფუძვლიანობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს მიერ ცნობის დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა განსაიდუმლოვდეს.

5. სასამართლოს მიერ ცნობის დასაიდუმლოების უსაფუძვლობის დადასტურების შემთხვევაში, ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზარალის სრული კომპენსაცია ხდება სახელმწიფო ხარჯზე, იმ შემოსავლის ჩათვლით, რომელიც მესაკუთრემ ვერ მიიღო, კომპენსაციის ოდენობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს სასამართლო.

თავი V

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გამგებლობა

მუხლი 20. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვის გაცემა

1. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლებას აძლევს საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამისი ნებართვის გაფორმებით. *(24.12.2004 N 816)*

2. ასეთი ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი".

მუხლი 21. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გაცემა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ს ახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს გასცემს სახელმწიფო ხელისუფლების ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანამდებობის პირთა სანქციით.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, მოვალეა შექმნას ყველა პირობა სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად. თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

3. სახელმწიფოთ საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემისას დაცულ უნდა იქნეს ამ კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნები.

თავი VI

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა

მუხლი 22. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის არსი

1. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა მოიცავს საორგანიზაციო-სამართლებრივ, საინჟინრო - ტექნიკურ, კრიპტოგრაფიულ და ოპერატიულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა მიზანია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება.

2. ამ ღონისძიებათა განხორციელებას თავისი კომპეტენციის შესაბამისად ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელი.

მუხლი 23. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ძირითადი საორგანიზაციო-სამართლებრივი ღონისძიებები

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით დგინდება:

1. ერთიანი მოთხოვნები სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის მატერიალური შემცველობის დამზადების, გამოყენების, შენახვის, გადაცემის, ტრანსპორტირებისა და აღრიცხვისაღმი.

2. თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის ნებართვის გაცემის პირობები და წესი.

3. ზემოაღნიშნული საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოების რეჟიმი).

4. სახელმწიფო საიდუმლოებასთან მოქალაქეთა დაშვების სპეციალური წესი.

5. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების, სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის ან სხვა გზით გავრცელების შეზღუდვა.

6. თავისი საქმიანობით სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ სასამართლო, საგადამხედველო, საკონტროლო - სარევიზიო და სხვა ფუნქციების შესრულების სპეციალური წესი.

7. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის.

მუხლი 24. ერთიანი მოთხოვნების სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის შემცველობისა და მათი შენახვისადმი

ერთიან მოთხოვნებს სახელმწიფო ინფორმაციის შემცველების დამზადების, გამოყენების, დაცულობის უზრუნველყოფის, გადაცემის, ტრანსპორტირებისა და აღრიცხვისადმი აწესებს "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესი".

მუხლი 25. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის განსაკუთრებული რეჟიმი

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი (საიდუმლოების რეჟიმი) განისაზღვრება "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

მუხლი 26. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვება საქართველოს ქმედუნარიანი, 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა სჭირდება თავისი სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

2. გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებს იმ სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სადაც ხორციელდება სამუშაო ან ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები და რომლებიც უფლებამოსილია ვასცეს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება.

3. სახელმწიფო ხელისუფლების იმ უმაღლეს ორგანოებში, რომელთა დაცვას "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სამსახურის უფროსის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების თაობაზე იღებს ამ ორგანოთა ხელმძღვანელები.

4. საქართველოს მოქალაქისათვის საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

5. უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება მიეცემა საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებათა ან საქართველოს პრეზიდენტის წერილობითი განკარგულების საფუძველზე.

6. დაშვების გაცემა ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დასაშვებად პირის შემოწმებას;

ბ) პირის მიერ ვალდებულების აღებას, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას;

გ) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გამო პირის წერილობით თანხმობას მის უფლებათა კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე;

დ) სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევისათვის პასუხიმგებლობის ნორმების პირისათვის გაცნობას.

7. პირსათვის საჭირო ინფორმაციასთან დაშვების ფორმები დგინდება მისი საიდუმლოების ხარისხის მიხედვით ("განსაკუთრებული მნიშვნელობის", "სრულიად საიდუმლო", "საიდუმლო")

8. გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან პირის დაშვების თაობაზე მიიღება მისი შემოწმების დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 27. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებაზე უარის თქმა

სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება არ გაიცემა, თუ:

1. პირი არ წარმოადგენს დასაბუთებას სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე სამუშაოდ;

2. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის შემოწმების დროს და ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის ხელშეკრულების ან მოქალაქეთა ისეთ ეაერთიანებაში მონაწილეობის ფაქტები, რომლის საქმიანობაც აკრძალულია სასამართლო წესით ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას, ან თუ გამოვლინდა პირისათვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტები.

3. პირი უარს ამბობს იკისროს ვალდებულება, რომ დაიცავს მისთვის განდობილ სახელმწიფო საიდუმლოებას ან არ არსებობს მისი თანხმობა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის თაობაზე.

4. პირი ნასამართლევია კანონით დადგენილი, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

5. პირი სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე არ შეიძლება მისი დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან. ასეთ დაავადებას განსაზღვრავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია დამტკიცებული წესის შესაბამისად.

6. პირი დაშვების გაფორმების პროცესში შეგნებულად იძლევა არასწორ ცნობებს თავის შესახებ.

მუხლი 28. პირის შემოწმება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გასაცემად პირის შემოწმებას ერთი თვის ვადაში ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ კანონით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით. *(24.12.2004 N 816)*

2. შემოწმების დროს დგინდება ამ კანონის 27-ე მუხლის "ა", "ბ" და "დ" პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობა ან არარსებობა.

3. შემმოწმებელი ორგანოს დასკვნის გათვალისწინება სავალდებულოა თანამდებობის იმ პირთათვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე.

მუხლი 29. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მიღებაზე უარის თქმის გასაჩივრება

1. თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის თაობაზე, ვალდებულია განმცხადებელს წერილობით აცნობოს უარის მიზეზები და საფუძველი.

2. პირს უფლება აქვს უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 30. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაუქმება

1. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ან გამოვლინდა ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი.

2. პირის თხოვნით სახელმწიფო საიდუმლოებასთან მისი დაშვება უქმდება დაშვების გაუქმების თაობაზე მიმართვიდან სამი ღღის ვადაში.

3. გადაწყვეტილებას დაშვების გაუქმების თაობაზე იღებს თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაშვების გამოცემის თაობაზე. პირს უფლება აქვს უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 31. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა

1. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობა ხდება იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სადაც ინახება ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ცნობების შემცველები.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაიშვებიან ამ კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე. მათ მიმართ მოქმედებს ისეთივე წესები, როგორიც საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

მუხლი 32. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული პირის ვალდებულებები სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად

პირი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვეს, ვალდებულია:

1. არ გაახმაუროს სახელმწიფთო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს;

2. შეასრულოს ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად დაღგენილი საიდუმლოების რეჟიმის მოთხოვნები;

3. თანამდებობის პირს, რომელმაც იგი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვა, აცნობოს გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან დაიცვას მისთვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოება.

მუხლი 33. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნების შეზღუდვა

1. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოსაქვეყნებლად, გასაერცელებლად ან საზღვარგარეთ გასაგანად მასალების მომზადებისას საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის მიზნით ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ამ კანონის მოთხოვნებით.

2. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების შედეგებზე მეთვალყურეობას ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.

3. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების წინასწარი კონტროლი დაუშვებელია.

მუხლი 34. სახელმწიფო საიდუმლოების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის შეზღუდვა

სხვა სახელმწიფოსათვის ინფორმაციის ან ინფორმაციის შემცველის გადაცემა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას ან წინასწარ არის დასაიდუმლოებული ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული განკარგულების საფუძველზე.

მუხლი 35. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები

1. ინფორმაციის ტექნიკური დაცვის მიზნით საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია გამოიყენოს ინფორმაციის დაცვის, დამუშავების, გადაცემისა და შენახვის დაცული საშუალებები და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც სერტიფიცირებულია ტექნიკური დაცვის ნორმატივების შესაბამისად.

2. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას უფლება აქვს შექმნას და აწარმოოს სახელმწიფო საიდუმლოების ტექნიკური დაცვის უზრუნველმყოფი სისტემები და საშუალებები, შეასრულოს მათი მომსახურებისა და ტექნიკური დაცვის სამუშაოები, აგრეთვე შეწყვიტოს მომსახურება მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვით. *(24.12.2004 N 816)*

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სერტიფიკაციისა და ლიცენზირების წესი განისაზღვრება "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესით".

მუხლი 36. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კრიპტოგრაფიული ღონისძიებები

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კრიპტოგრაფიული ღონისძიებები განისაზღვრება "სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნების და დაცვის წესით".

მუხლი 37. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი

1. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივი კონტროლი დააწესოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

2. საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაცას, რომელიც ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, უფლება აქვს გააკონტროლოს იმ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა, რომელიც მან გადასცა.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი კონტროლი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტის უფლება,ვალდებული არიან გააკონტროლონ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რომლებიც ასრულებენ შესაბამის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ან ინახავენ ასეთი ინფორმაციის შემცველებს.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია გააკონტროლოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მდგომარეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოში, აგრეთვე იმ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და საწარმოში, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება. *(24.12.2004 N 816)*

5. ფიზიკური და არასახელმწიფო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის კონტროლის უფლება აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომ ადგილი აქვს ამ კანონის დარღვევის ფაქტებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამგვარი მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. *(24.12.2004 N 816)*

თავი VII

პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 38. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევისათვის

1. პირს, რომელიც დაარღვევს ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ან არ დაიცავს სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შეზღუდვებს, დაეკისრება კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

2. თანამდებობის პირსა და სახელმწიფო მოხელეს, რომელიც

ა) დაასაიდუმლებს ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას,

ბ) უსაფუძვლოდ დაასაიდუმლებს ინფორმაციას,

გ) საიდუმლოების გრიფს მიანიჭებს ინფორმაციის შემცველებს, რომლებიც არ ან აღარ წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას,

დ) დაარღვევს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემის ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს,

ე) დაარღვევს ამ კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნებს,

ვ) დაარღვევს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას,

ზ) არ დაიცავს ამ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულ სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შეზღუდვებს,

თ) არ განახორციელებს კონტროლს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე დაეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

3. თუ პირმა გაახმაურა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც ამ კანონის შესაბამისად არ უნდა მიკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას, მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ამ ინფორმაციის საიდუმლოების კანონიერების დადგენის შემდეგ და თუ მისი საიდუმლოება უკანონოდ იქნა მიჩნეული, პირს პასუხიმგებლობა არ დაეკისრება.

4. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ ეს იყო სახელმწიფო საიდუმლოება, დანაშაულად არ ითვლება.

5. ამოღებულია *(24.06.2004 N 221)*

6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება,რომლის გახმაურებასაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის ან რომელიც ადრე უკვე გამოქვეყნებული იყო, დანაშაულად არ ითვლება.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი,
1996 წლის 29 ოქტომბერი.
N 455 - Iს

სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო სარეზერვო სამსახურის ორგანიზებას, კატეგორიებს, ფორმირებისა და გაელის წესს.

მუხლი 2. სამხედრო ძალების რეზერვი

1. სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება მობილიზაციის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მხარდასაჭერად.

2. ამ კანონით განსაზღვრული წესით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.

3. სამხედრო ძალების რეზერვი იყოფა სამ კატეგორიად:

ა) აქტიური რეზერვი, რომლის მიზანია პირთა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება, სამობილიზაციო მზაობა;

ბ) ეროვნული გვარდიის რეზერვი, რომლის მიზანია საომარი მოქმედებების დროს სამხედრო ძალების ზურგის ოპერაციებში მონაწილეობა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობა;

გ) ინდივიდუალური რეზერვი, რომლის ძირითადი მიზანია მეიარაღებული ძალების მოქმედი ქვედანაყოფების როტაცია და შევსება.

მუხლი 3. სამხედრო ძალების რეზერვის დაკომპლექტება

1. აქტიური რეზერვი კომპლექტდება პირებისაგან, რომლებიც სამხედრო საგალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი არიან რეზერვში ჩარიცხვით და რომლებიც ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობით აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

2. ეროვნული გვარდიის რეზერვი კომპლექტდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, იმ პირებისაგან, რომლებიც თავიანთი სპეციფიკური ცოდნით ან/და გამოცდილებით აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

3. ინდივიდუალური რეზერვი კომპლექტდება პირებისაგან, რომლებიც არ ირიცხებიან აქტიურ და ეროვნული გვარდიის რეზერვებში, აგრეთვე პირებისაგან, რომლებიც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლების თანასმად, გარდა აღნიშნული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობისა, სარგებლობენ შესაბამისად სამხედრო სამსახურისგან განთავისუფლების ან სამხედრო სამსახურის გაელის გადავადების უფლებით და რომლებსაც შეუსრულდათ 27 წელი.

4. აქტიურ ან ეროვნული გვარდიის რეზერვში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელა ერთჯერადად საგალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები საკუთარი სურვილით აქტიურ ან ეროვნული გვარდიის რეზერვში სამსახურს გაიელიან დამატებით ორი ეადით, მათ სამხედრო ვალდებულება მოხდილად ჩაეთვლებათ და 27 წლის ასაკის მიღწევამდე ჩაირიცხებიან ინდივიდუალურ რეზერვში.

5. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გასაწვევი პირი სამედიცინო შემოწმებას გაიელის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა

1. პირს საბრძოლო მომზადების მიზნით სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაიწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად.

2. პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურში გასაწვევად გამოიძახებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებები საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

3. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის ადგილი განისაზღვრება შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

4. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის ხანგრძლივობა პირს ჩაეთელება შრომის სტაჟში. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის პერიოდში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ხელფასი, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. ამასთანავე, შესაძლოა გაითვალისწინონ კერძო სამართლის იურიდიულ პირთა შეუფერხებელი საქმიანობა.

მუხლი 5. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის ასაკი

1. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის ასაკია 27-დან 40 წლის ჩათელით, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულზე მეტი ასაკის პირს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს გაიაროს სამხედრო სარეზერვო სამსახური.

მუხლი 6. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის გადა

რეზერვში ჩარიცხული პირი სამხედრო სარეზერვო სამსახურს გაიელის წელიწადში ერთხელ, 18 დღის ვადით.

მუხლი 7. სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვა

1. ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვას აწარმოებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებები ვალდებული არიან რეზერვისტთა შესახებ სააღრიცხვო ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებებს.

მუხლი 8. სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან განთავისუფლება

1. სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან თავისუფლდებიან:

ა) ქალები;

ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური შემადგენლობა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებიან გადაყვანა-გადაზიდვას ან დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მომსახურებითა და რემონტით;

გ) საზღვაო ფლოტის შემადგენლობა;

დ) პედაგოგები და ექიმები, რომლებიც მუშაობენ სოფლად;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში მომუშავე პირები;

ვ) თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები;

ზ) მოსამართლეები;

თ) პირები, რომლებმაც მოიხადეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური;

ი) სამღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ მყოფი პირები;

კ) დიპლომატიური თანამდებობის პირები;

ლ) სასულიერო პირები;

მ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები;

ნ) საქართველოს პარლამენტის წევრები.

2. პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი, სამხედრო სარეზერვო სამსახურში არ მიიღება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „თ", „ი", „კ" და „ნ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით გაიარონ სამხედრო სარეზერვო სამსახური.

მუხლი 9. სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელის გადავადება

პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაელა გადაუვადდება, თუ:

ა) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არ ჰყავს სხვა კანონიერი მომველელი, რომელსაც შეუძლია მისი მოელა-პატრონობა;

ბ) იგი პატრონობს შრომისუუნარო, თავის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, რადგან მას არ ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;

გ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მეღმიე მზრუნველობის, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;

დ) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;

ე) იგი გაწვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე;

ვ) ამას მოითხოვს მისი საქმიანობის სპეციფიკა, რომელიც დაკავშირებულია სეზონურ სამუშაოსთან.

მუხლი 10. სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა სოციალური დაცვა

სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაგლის პერიოდში მოსამსახურე სარგებლობს სამხედრო მოსამსახურისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის

პირს, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილების უწყების მიღებისას მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან სხვაგვარად აარიდებს თავს სამხედრო სარეზერვო სამსახურს, დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საპატიო მიზეზი, მისი დოკუმენტური დადასტურებით, არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პირის ახლო ნათესავის გარდაცვალება, ავადმყოფობა, აგრეთვე სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებანი.

მუხლი 12. გარდამავალი დებულება

საქართველოს მეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა რეზერვისტთა დაკომპლექტების წესის, მათი სამხედრო მომზადების პროგრამის შემუშავება და საქართველოს თავდაცვის მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა უზრუნველყოს 2007 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 13. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2006 წლის 27 დეკემბერი.
N 4196 - რს

საქართველოს კანონი

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად განსაზღვრავს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის ოდენობას, გადახდის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის ცნება

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც გადაიხდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით სარგებლობისათვის.

მუხლი 3. ამოღებულია (30.06.2006 N 3429)

მუხლი 4. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება

1. ამ კანონით დადგენილი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდა არის წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების საფუძველი.

2. წვევამდელის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებას მის პირად საქმეში შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 5. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის განაკვეთი (30.06.2006 N 3429)

1. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას დაქვემდებარებული პირისათვის 18 თვით გადავადებისათვის შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით პირს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ორჯერ, მაგრამ არა უმეტეს 25 წლის ასაკისა.

3. თუ გადავადების უფლების გამოყენება ეწინააღმდეგება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, პირს შეუწყდება გადავადებით სარგებლობის უფლება და გაწვეული იქნება სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

მუხლი 6. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის წესი

1. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის 90% ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 10% –შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში. *(29.12.2004 N 889)*

2. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მოცულობების განსაზღვრისა და ამ შემოსავლების მიღებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ყოველი წლის 1 აგვისტომდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დადგენილი წესით წარუდგენენ შესაბამის გაანგარიშებებს ამ მოსაკრებლიდან მომდევნო საბიუჯეტო წელს მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მოცულობების შესახებ. *(07.05.2003 N2230)*

მუხლი 7. სადავო საკითხების განხილვის წესი

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი,
2002 წლის 21 ივნისი.
N 1531 IIს

საქართველოს პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა N 174

1998 წლის 25 მარტი ქ.თბილისი

საკონკურსო-საატესტაციო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიების თანდართული დებულება.

ე.შევარდნაძე

საკონკურსო-საატესტაციო კომისიების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

ეს დებულება შემუშავებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საჯარო სამსახურის მესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 12 იანვრის N 7 განკარგულებით დამტკიცებული "საჯარო სამსახურის მესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების საკონკურსო-საატესტაციო კომისიების საქმიანობის წესს.

მუხლი 2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის მიზანია დასაკავებელ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებთან პიროვნების ან დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან მოხელის შესაბამისობის შეფასება.

2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) პიროვნების პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურის წარმართვა;

ბ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის შეფასების შედეგების შესახებ დასკვნების წარდგენა.

მუხლი 3. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი

1. ატესტირებას ექვემდებარება:

ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ;

ბ) მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის;

გ) რეზერვში ჩარიცხული პირი;

დ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

2. ატესტირებას არ ექვემდებარება:

ა) მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს ან ირჩევს შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

ბ) მოხელე, რომელიც სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით.

მუხლი 4. ატესტაციის დრო

1. ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარება ატესტირებას მომავალ წელს.

მუხლი 5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიები

1. მოხელეთა ატესტაციას ახორციელებენ შემდეგი საკონკურსო-საატესტაციო კომისიები:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისია - პარლამენტის აპარატის მოხელეთათვის;

ბ) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმ-წიფო კანცელარიის მოხელეთათვის;

გ) სამთავრობო დაწესებულებების (სამინისტრო, სახელმწიფო დეპარტამენტი, სახელმწიფო ინსპექცია) საკონკურსო-საატესტაციო კომისია - შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მოხე-ლეთათვის;

დ) სასამართლო დაწესებულებების საკონკურსო-საატესტაციო კომისია - შესაბამისი სასა-მართლო დაწესებულების მოხელეთათვის;

ე) შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისია ამ დაწე-სებულების მოხელეთათვის;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების საკონკურსო-საატესტაციო კომისია - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის.

მუხლი 6. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავ-მჯდომარის მოადგილე და წევრები.

2. სახელმწიფო დაწესებულებების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს სახელმწიფო სამსახურის ბიურო შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

3. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო;

4. როგორც წესი, დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.

5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

6. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კომისიის თავმ-ჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით.

მუხლი 7. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა

1. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო-საატესტაციო კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს სპეციალიზებული შემადგენლობით.

2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობით დაკომპლექტების შემთხვევაში მის თავმჯდომარეს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 8. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრის დანიშვნის წესი

კომისიის წევრს ნიშნავს თავმჯდომარე:

ა) დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეები ინიშნებიან საკუთარი სურვილით და პროფესიული დონის გათვალისწინებით;

ბ) ზემდგომი დაწესებულების, მოხელეთა პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლები ინიშნებიან შესაბამისი დაწესებულების ან გაერთიანების წინადადებით;

გ) მეცნიერები და დამოუკიდებელი სპეციალისტები ინიშნებიან მათი თანხმობით.

მუხლი 9. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით დამსწრე წევრთა საერთო

რიცხვიდან. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ხმა ითვლება გადამწყვეტად.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

მუხლი 10. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება

დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში მოწვეულ იმ წევრთა საქმიანობა, რომლებიც არ არიან მოცემული დაწესებულების თანამშრომლები , ექვემდებარება ანაზღაურებას საჯარო მოსამსახურის სამუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით.

საქართველოს პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

N 173 1998 წლის 25 მარტი ქ.თბილისი

მოხელეთა რეზერვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

დამტკიცდეს მოხელეთა რეზერვის შესახებ თანდართული დებულება.

ე.შევარდნაძე.

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
1998 წლის 25 მარტის
N 173 ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოხელეთა რეზერვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

ეს დებულება შემუშავებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებისათვის მოხელეთა რეზერვის ფორმირების წესს, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირთა უფლებებს და მათ მიმართ წაყენებულ აუცილებელ მოთხოვნებს.

მუხლი 2. მოხელეთა რეზერვი

მოხელეთა რეზერვი არის იმ პირთა შესახებ მონაცემთა ერთობლიობა,რომლებიც თავისი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით რეალურ კანდიდატებს წარმოადგენენ საჯარო სამსახურში თანამდებობის დასაკავებლად.

მუხლი 3. მოხელეთა რეზერვის შექმნის მიზანი

მოხელეთა რეზერვის შექმნის მიზანია:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების ვაკანტური თანამდებობისათვის კანდიდატების შერჩევა;

ბ) იმ პირთათვის, ვინც წარმატებით ჩააბარა გამოცდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წინაშე ან გათავისუფლებულია საჯარო სამსახურიდან, საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის გამოძებნა.

მუხლი 4. რეზერვში ჩარიცხვის წესი

1. რეზერვში ჩარიცხვას ექვემდებარებიან შემდეგი პირები:

ა) მოხელე, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს დაწესებულების ლიკვიდაციის, შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის, აგრეთვე არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის მიზნით;

ბ) საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული პირი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო თანამდებობაზე არ დაინიშნა;

გ) პირი, რომელიც საკონკურსო-სააგესტაციო კომისიის მიერ მოწონებულ იქნა, როგორც შესაბამისი აღნიშნული თანამდებობისათვის.

2. მოხელეთა რეზერვში არ ჩაირიცხება:

ა) მოხელე, რომელსაც სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ უფლება აქვს, მაგრამ არ სურს ჩაირიცხოს რეზერვში;

ბ) პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა საკონკურსო-სააგესტაციო კომისიას, მაგრამ არ სურს ჩაირიცხოს რეზერვში;

გ) პირი, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლდა სამსახურის ვადის გასვლის გამო და უკანასკნელი თანამდებობის დაკავებამდე მუშაობდა განუსაზღვრელი ვადით სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

მუხლი 5. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვის წესი

1. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვას აწარმოებს შესაბამისი საკონკურსო სააგესტაციო კომისია.

2. ამ დებულების მე-3 მუხლში არსებული საფუძვლის დადგომის შემთხვევაში შესაბამისი დაწესებულების საკადრო სამსახურის ხელმძღვანელი დაუყოვნებლივ უგზავნის მოხელეთა საკონკურსო-სააგესტაციო კომისიას მოხელის ნამსახურობის ნუსხას, მოხელის განცხადებას რეზერვში ჩარიცხვის შესახებ და შრომის წიგნაკს.

3. საკონკურსო-სააგესტაციო კომისია ქმნის შესაბამისი დაწესებულების მოხელეთა რეზერვს.

4. რეზერვში ჩარიცხული პირი 3 წლიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას.

5. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აყალიბებს სასელმწიფო მოხელეთა რეზერვის ერთიან საინფორმაციო სისტემას. 6. მოხელეთა რეზერვიდან პირის გამოყვანა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირი დაინიშნა მოხელის შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე;

ბ) პირი გასამართლებულ იქნა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

გ) პირი სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) პირს სასამართლოს მიერ ჩამოერთვა შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) პირმა მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

ვ) პირმა მიაღწია სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს.

მუხლი 6. თანამდებობაზე დანიშვნა რეზერვიდან

1. დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც საჭიროებს მოხელეს ვაკანტურ თანა-მდებობაზე დასანიშნად, შესაბამის საკონკურსო-სააგესტაციო კომისიას აცნობებს ვაკანსიის არსებობას, თანამდებობის დასახელებისა და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით.

2. შესაბამისი საკონკურსო-სააგესტაციო კომისია სამ დღეში დაწესებულების ხელმძღვანელს უგზავნის რეზერვიდან ამონაწერს იმ პირთა შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს, აგრეთვე მათი ნამსახურობის ნუსხებს. 3. საკონკურსო-სააგესტაციო კომისია შესაბამის კანდიდატს არჩევს შემუშავებული მეთოდიკის მიხედვით.

4. დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამის კანდიდატს მისი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. რეზერვში ჩარიცხული პირის უფლება - განაცხადოს უარი თანამდებობაზე დანიშვნის შეთავაზებაზე

რეზერვში ჩარიცხულმა პირმა შეიძლება უარი განაცხადოს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, თუ მეთავაზებული თანამდებობა:

ა) არ შეესაბამება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას;

ბ) არ იძლევა კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობის საშუალებას;

გ) იმყოფება სხვა ადგილზე.

საქართველოს პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა N 414

1999 წლის 1 ივლისი ქ.თბილისი

"საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო სელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში (მიუხედავად მაი:ი დაქვემ-დებარებისა და საკუთრების ფორმისა) საქმისწარმოების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

1. დამტკიცდეს თანდართული "საქმისწარმოების ერთიანი წესები" და ამოქმედდეს ვამოქვეყნებისთანავე.

2. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიამ, აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს სამინისტროებმა და სხვა სამთავრობო დაწესებულებებმა, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებებმა მხარეებში, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა ორგანიზაცია გაუწიონ საქმისწარმოების ერთიანი წესების დანერგვას როგორც ცენტრალური აპარატის, ისე დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პრაქტიკაში, რისთვისაც:

ა) ბრძანებულების ძალაში შესვლიდან 3 თვეში შეიმუშაონ საქმისწარმოების სამსახურის დებულებები და ინსტრუქციები;

ბ) 1999 წლის ბოლომდე საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა მიხედვით შეიმუშაონ და შესაბამის სახელმწიფო არქივებთან შეთანხმებით დაამტკიცონ საქმეთა კონკრეტული ნომენკლატურები;

გ) 2000 წლის ბოლომდე შეიმუშაონ ერთგვაროვანი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ტიპობრივი ან სანიმუშო ნომენკლატურები და საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ დანერგონ ამ დაწესებულებებში;

დ) ყოველწლიურად უზრუნველყონ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საქმეთა შემოღებიდან 3 წლის შემდეგ მათი შემფასებელი ექსპერტიზა, მოწესრიგება და საქმეთა აღწერების მიხედვით გადაცემა საუწყებო არქივებისათვის.

3. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა:

ა) ერთ თვეში შეიმუშაოს საქმისწარმოების ერთიანი წესების გამოყენების მეთოდიკური რეკომენდაციები; ორგანიზაციულ-მეთოდიკური დახმარება გაუწიოს დაწესებულებებს საქმის-წარმოების ერთიანი წესების, მათ საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტების დანერგვაში, საქმისწარმოების ორგანიზაციაში;

ბ) ორ თვეში სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად შეიმუშაოს და სამოქმედოდ შემოიღოს "სახელმწიფო სტანდარტი. საქმის-წარმოება და საარქივო საქმე. ტერმინები და განსაზღვრებები".

4. ხმარებიდან ამოღებულ იქნეს დღემდე მოქმედი "საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის" ძირითადი დებულებანი.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 დეკემბრის N 907 დადგენილების მე-5 და მე-7 პუნქტები.

6. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას.

ე. შევარდნაძე

საქმისწარმოების ერთიანი წესები

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

საქმისწარმოების ერთიანი წესები ნორმატიული ხასიათის დოკუმენტია და საეალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის (შემდგომში-დაწესებულებები), მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა. ეს დოკუმენტი წარმოადგენს იმ პრინციპებისა და ნორმატივების ერთობლიობას, რომლებიც ადგენენ ერთიან მოთხოვნებს დაწესებულებებში მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებისა და დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციისადმი.

მუხლი 2

საქმისწარმოების ერთიანი წესები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ", „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, საქართველოს პარლამენტის დადგენილებების საფუძველზე, სახელმწიფო სტანდარტის 6.2-94 "დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემები. საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტების სისტემა. მოთხოვნები დოკუმენტების გაფორ-მებისადმი", აგრეთვე საბჭოთა ქვეყნების მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

მუხლი 3

საქმისწარმოების ერთიანი წესების ძირითადი მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება; დოკუმენტების რაოდენობის შემცირება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება; თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა; მმართველობითი აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება.

მუხლი 4

საქმისწარმოების ერთიანი წესების საფუძველზე მუშავდება და საქართველოს სტანდარტი-ზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით მტკიცდება შემდეგი ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტები:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი - საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ;

ბ) დარგობრივი - საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების მიერ.

მუხლი 5

1. დაწესებულებაში საქმისწარმოებას ასორციელებს სპეციალური სამსახური, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის ერთ-ერთ მოადგილეს (დანართი 1).

2. საქმისწარმოების სამსახურებს ევალებათ უზრუნველყონ საქმისწარმოების ორგანიზაცია დაწესებულებაში, მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, წინამდებარე წესების მოთხოვნათა შესაბამისად

შემუშავებული ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტების შესრულების კონტროლი, დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდიკური სელმძღვანელობა, დაწესებულების მუშაკთა მიერ საქმისწარმოების საფუძვლების შესწავლა.

მუხლი 6

სპეციალური დებულებებით მოქმედი დაწესებულებების საქმისწარმოება, აგრეთვე საიდუმლო დოკუმენტებზე მუშაობის წესი დგინდება სპეციალური ინსტრუქციებით.

მუხლი 7

დოკუმენტებზე მუშაობისას თანამდებობის პირები სელმძღვანელობენ ამ წესებით და მათ საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი და დარგობრივი ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტებით.

მუხლი 8

წესები ვრცელდება დაწესებულებების დოკუმენტაციის ყველა სისტემაზე, მათ შორის კომპიუტერული (ავტომატიზებული) ტექნიკისა და მიკროგრაფიის საშუალებებით შექმნილ დოკუ-მენტებზე.

მუხლი 9

წესების მოთხოვნები ინერგება დოკუმენტაციის ყველა სისტემისათვის სახელმწიფო სტანდარ-ტების, დარგობრივი საქმისწარმოების ინსტრუქციების, დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების, საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურების, ტიპობრივი დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველი ნუსხის გამოცემის გზით.

მუხლი 10

მე-9 მუხლში მითითებული ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე დაწესებულებები შეიმუშავებენ შესაბამის დოკუმენტებს (დაწესებულების საქმისწარმოების ინსტრუქცია, დოკუ-მენტების უნიფიცირებული ფორმების ტაბელი, საქმეთა კონკრეტული ნომენკლატურა და სხვ.), რომლებიც აწესრიგებენ საქმისწარმოებას.

მუხლი 11

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი საქვეუწყებო დაწესებულებები ორგანიზაციულ-მეთოდიკურ დახმარებას უწევენ დაწესებულებებს საქმისწარმოების ერთიანი წესების, მათ საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტების დანერგვაში, საქმისწარმოების ორგანიზაციაში, ითანხმებენ მე-9 და მე-10 მუხლებში მითითებულ დოკუმენტებს, შეიმუშავე-ბენ მეთოდიკურ დოკუმენტებს საქმისწარმოების ცალკეული საკითხების მიხედვით.

კარი II

მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირება

მუხლი 12

მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირება მოიცავს მმართველობითი მოქმედებების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის ჩაწერას (ფიქსაციას) ქაღალდზე ან სხვა მატარებლებზე დადგენილი წესების მიხედვით, ანუ მმართველობითი დოკუმენტების შექმნის პროცესს.

1. დოკუმენტირება ხორციელდება ბუნებრივ (ხელნაწერი, მანქანაზე დაბეჭდილი დოკუ-მენტები, მათ შორის ტელეგრამები, ტელეფონოგრამები, მანქანოგრამები) და ხელოვნურ ენებზე ახალი მატარებლების (პერფობარათები, პერფოლენტები, მაგნიტური ლენტები, ბარათები, დისკოები და სხვ.) გამოყენებით.

თავი I

მმართველობითი დოკუმენტების მომზადება

მუხლი 13

1. დაწესებულების საქმიანობა ხორციელდება ურთიერთდაკავშირებული მმართველობითი დოკუმენტების უნიფიცირებული სისტემით. მათი შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების კომპეტენციითა და ფუნქციებით, საკითხების გადაწყვეტის წესით (ერთმმართველური, კოლეგიური), ზემდგომ, დაქვემდებარებულ და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთკავშირის მოცულობითა და ხასიათით.

2. მართვის ყველა დონეზე მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების წესების ერთიანობა მიიღწევა საქმისწარმოების ერთიანი წესებისა და დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების გამოყენებით.

3. დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემები გამოიყენება როგორც კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის პირობებში, ისე ინფორმაციის ტრადიციული მეთოდებით დამუშავებისას.

4. დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემები მეიცავენ:

ა) სახელმწიფო სტანდარტებს, რომლებიც აღგენენ სამუშაოების შემადგენლობასა და მინაარსს სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების დოკუმენტების ფორმების უნიფიკაციის მიხედვით და რომლებიც გამოიყენება მართვის ყველა დონეზე, უზრუნველყოფენ ქვეყანაში ამ სამუშაოების შესრულების ერთიან წესს;

ბ) ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც გამოიცემა კონკრეტული ფუნქციური დანიშნულების დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების შემმუშავებლების მიერ და რომლებიც საეალდებულოა შესასრულებლად აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებისათვის;

გ) დოკუმენტების უნიფიცირებულ ფორმებს.

5. დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების შემუშავება ხორციელდება სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დოკუმენტაციის შესაბამისი სისტემებისათვის (დანართი 2).

მუხლი 14

1. კომპიუტერული ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების მიზნით დგინდება დოკუმენტებისა და მათი რეკვიზიტების გაფორმების ერთიანი წესები, ხორციელდება დოკუმენტების შემადგენლობისა და ფორმების, აგრეთვე დოკუმენტებზე მუშაობის პროცესების უნიფიკაცია.

2. დოკუმენტების ფორმების რაოდენობის შემცირების მიზნით სამთავრობო დაწესებულებები შეიმუშავებენ იმ დოკუმენტების დარგობრივ ტაბელებს (დანართი 3), რომლებიც აუცილებელია დაწესებულებათა ფუნქციებისა და ამოცანების რეალიზაციისათვის. ტაბელს ხელს აწერს მისი შედგენისათვის პასუხისმგებელი პირი და ამტკიცებს სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი. ტაბელს აღგენს და მასში ცელილებები შეაქვს საქმისწარმოების სამსახურს. ტაბელით გაუთვალისწინებელი დოკუმენტების შედგენა აკრძალულია.

მუხლი 15

მმართველობითი დოკუმენტები დასახელების, ფორმისა და რეკვიზიტების შემადგენლობის მიხედვით უნდა შეესაბამებოდნენ დოკუმენტაციის უნიფიცირებულ სისტემებს, საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნებს, დაწესებულების დებულებას (წესდებას) და დოკუმენტირების წესების შემცველ სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 16

მნიშვნელოვანი საკითხების, ძირითადი და ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით დაწესებულებები იღებენ ან გამოსცემენ სხვადასხვა სახის განკარგულებით დოკუმენტებს (ბრძანება, განკარგულება, დადგენილება, მითითება და სხვ.).

მუხლი 17. ბრძანება

1. ბრძანებების პროექტებს შეიმუშავებენ დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფები ხელმძღვანელობის დავალებით ან საკუთარი ინიციატივით.

2. როგორც წესი, ბრძანების ტექსტი შედგება საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილებისაგან. საკონსტატაციო ნაწილში გადმოიცემა მმართველობით მოქმედებათა მიზნები და ამოცანები. თუ ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენს საკანონმდებლო, სხვა სამართლებრივი აქტი ან ზემდგომი დაწესებულების დავალება, საკონსტატაციო ნაწილში მიეთითება მისი სახეობა, თარიღი, ნომერი, სათაური და გადმოიცემა იმ ნაწილის შინაარსი, რომელიც უშუალოდ ეხება მოცემულ დაწესებულებას.

3. განკარგულებითი ნაწილი იწყება სიტყვით "ბრძანებ." ბრძანების განკარგულებითი ნაწილის პუნქტებში მიეთითება მემსრულებლები, კონკრეტული მოქმედებები და შესრულების ვადები. თუ ბრძანება აუსებს, აუქმებს ან ცვლის ადრე გამოცემულ ბრძანებებს ან მათ ცალკეულ პუნქტებს, ეს აღინიშნება ბრძანების ტექსტში. განკარგულებითი ნაწილის ბოლო პუნქტში მიეთითება თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება ბრძანების შესრულების კონტროლი.

4. ბრძანების პროექტები ხელმოსაწერად წარედგინება საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია მათი სწორი გაფორმებისათვის. ბრძანებას ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი დავალებით მოადგილე.

5. ბრძანებები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში.

6. რამდენიმე დაწესებულებამ შეიძლება გამოსცეს ერთობლივი ბრძანება.

მუხლი 18. მითითება

1. მითითება დაწესებულების მიერ გამოცემული განკარგულებითი დოკუმენტია, რომელიც უპირატესად შეეხება საინფორმაციო მეთოდიკური ხასიათის საკითხებს, აგრეთვე დაწესებულების ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა ნორმატიული ხასიათის აქტების შესრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. მითითებებს ხელს აწერენ დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი დავალებით - მოადგილე, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3. მითითებების მომზადება და გაფორმება ხორციელდება ბრძანებების მომზადებისა და გაფორმების დადგენილი წესის შესაბამისად.

4. მითითების განკარგულებითი ნაწილი იწყება სიტყვით "გავალებთ" ("გთავაზობთ").

5. მითითებები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში.

მუხლი 19. ინსტრუქცია

1. ინსტრუქცია საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის სახეობაა, რომელშიც გადმოცემულია დაწესებულების საქმიანობის სპეციალური მხარეების მარეგულირებელი წესები.

2. ინსტრუქციის ტექსტის სათაურში აღინიშნება ობიექტი ან საკითხები, რომლებზეც ვრცელდება მისი მოთხოვნები.

3. ინსტრუქციის ტექსტი შედგება თავებისაგან, რომლებიც იყოფა პუნქტებად და ქვეპუნქტებად.

4. ინსტრუქციის ტექსტში გამოიყენება სიტყვები: "ვალდებული არიან", "საჭიროა", "აკრძალულია", "არ დაიშვება" და ა.შ.

5. ინსტრუქციას ვიზას აძლევს მისი შემდგენელი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი დავალებით - მოადგილე ბრძანების გამოცემით ან დამტკიცების გრიფის დასმით.

მუხლი 20. ოქმი

1. კოლეგიური ორგანოების, თათბირების, კონფერენციების სხდომებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება ოქმებში.

2. ოქმები ფორმდება სხდომების მიმდინარეობის ჩანაწერის, სტენოგრამებისა და სხვა მასალების საფუძველზე, რომლებიც მომზადდა სხდომებისათვის (მოხსენებების, გამოსვლების ტექსტები, ცნობები, დადგენილებების ან გადაწყვეტილებების პროექტები, დღის წესრიგი, მოწვეულთა სია და სხვ.).

3. ოქმის ტექსტი შედგება შესავალი და ძირითადი ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში შეიესება შემდეგი რეკვიზიტები: თავმჯდომარე; მდივანი; ესწრებოდნენ; დღის წესრიგი. ოქმის ბლანკზე ეს რეკვიზიტები შეიძლება იყოს სტამბურად შესრულებული.

4. ოქმის ძირითადი ნაწილი შედგება განაყოფებისაგან, რომლებიც შეესაბამება დღის წესრიგის

პუნქტებს. თითოეული განაყოფის ტექსტი აიგება შემდეგი სქემის მიხედვით: მოისმინეს, აზრი გამოთქვეს, დაადგინეს (გადაწყვეტეს). მოხსენებებისა და გამოსელების ძირითადი შინაარსი შეიტანება ოქმის ტექსტში. თუ მოხსენებებისა და გამოსელების ტექსტები ერთვის ოქმს, ამ შემთხვევაში გამოიყენება ოქმის მოკლე ფორმა. დადგენილება (გადაწყვეტილება) იბეჭდება მთლიანად. დადგენილების ტექსტი აიგება ბრძანების ტექსტის ანალოგიურად (მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები). კოლეგიური ორგანოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ერთვის ოქმს. განსაკუთრებული აზრის შინაარსი ოქმში ჩაიწერება შესაბამისი საოქმო გადაწყვეტილების შემდეგ.

5. თუ სხდომის მიმდინარეობა სტენოგრაფირდება, სტენოგრამის ტექსტი ამოიშიფრება, იბეჭდება, მოწმდება და ინახება ოქმთან ერთად. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამომსვლელმა ეიზით უნდა დაადასტუროს თავისი გამოსელის სტენოგრამა.

6. ოქმები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ერთობლივი სხდომების ოქმებს უნდა ჰქონდეს შემადგენელი ნომრები, რომლებიც მოიცავენ კოლეგიური ორგანოს მუშაობის მონაწილე დაწესებულებების ოქმების რიგით ნომრებს.

მუხლი 21. წერილი

1. ზემდგომ, დაქვემდებარებულ და სხვა დაწესებულებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან ოპერატიული კავშირის განხორციელებისას მმართველობის ყველა დონის დაწესებულებას თავისი კომპეტენ-ციის ფარგლებში შეუძლია დაგზავნოს წერილები. როგორც წესი, წერილები დგება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ან გაძნელებულია ინფორმაციის გაცვლის უდოკუმენტო საშუალება: ზეპირი განმარტებები, მითითებები (პირადი ან ტელეფონით). ინფორმაციის სასწრაფოდ გადაცემის აუცილებლობის შემთხვევაში დგება ტელეგრამები და ტელეფონოგრამები.

2. განკარგულებითი დოკუმენტების ტექსტების ანალოგიურად წერილების ტექსტებიც, როგორც წესი, შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მიეთითება წერილის შედგენის საფუძველი ან მიზეზი, მეორეში გადმოიცემა წინადადებები, მოსაზრებები, დასკვნები, თხოვნა.

მუხლი 22.

დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციის განმსაზღვრელი დებულებებისა და სხვა აქტების საფუძველზე გამოსცემენ აგრეთვე სხვა მმართველობით დოკუმენტებს: საშუშაო გეგმებს, ანგარიშებს, პრეისკურანტებს, წესდებებს, დებულებებს, წესებს და სხვ., რომელთა ჩამონათვალი მოცემული უნდა იყოს დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების დარგობრივ ტაბელებში (დანართი

მუხლი 23. მოთხოვნები მმართველობითი დოკუმენტების ტექსტებისადმი

1. დოკუმენტის ტექსტი უნდა მოიცავდეს ნათლად, დამაჯერებლად და მოკლედ გადმოცემულ უტყუარ და არგუმენტირებულ ინფორმაციას, რომლის შინაარსიც უნდა უკავშირდებოდეს მოცემულ საკითხზე ადრე გამოცემულ დოკუმენტებს.

2. დოკუმენტის ტექსტი ფორმდება გამართული ტექსტის, ანკეტის, ცხრილის ან ამ ფორმების შეერთების სახით.

ა) დოკუმენტის ერთიანი გამართული ტექსტი მოიცავს გრამატიკულად და ლექსიკურად შეთან-ხმებულ ინფორმაციას მმართველობითი მოქმედებების შესახებ და გამოიყენება წესების, დებულებების, წერილების, განკარგულებითი დოკუმენტების შედგენის დროს (მათი ტექსტების აგებულება იხ. წესების მე-17-21-ე მუხლებში). ერთიანი გამართული ტექსტი შეიძლება შედგეს ტრაფარეტის საფუძველზე, რომელიც მოიცავს მუდმივ ინფორმაციას და თავისუფალ ადგილებს ცვალებადი ინფორმაციის შესატანად.

ბ) ანკეტის ფორმა გამოიყენება ციფრობრივი ან სიტყვიერი ინფორმაციის გადმოცემის დროს ერთი ობიექტის შესახებ გარკვეული ნიშნების მიხედვით. ობიექტის ნიშნების დასახელება და მათი დახასიათება გადმოიცემა არსებითი სახელით სასელობით ბრუნვაში; მაჩვენებლები შესაძლებელია გადმოიცეს ციფრებით. ანკეტის სახით ტექსტის შედგენა გამოიყენება საორგანიზაციო-განკარ-გულებით, საფინანსო, საგეგმო და სხვა დოკუმენტებში.

გ) ცხრილის ფორმა გამოიყენება ციფრობრივი ან სიტყვიერი ინფორმაციის გადმოცემისას რამდენიმე ობიექტის შესახებ რიგითი ნიშნების მიხედვით. ცხრილიანი ტექსტი გამოიყენება საგეგმო, სტატისტიკურ, საფინანსო, საბუღალტრო, საორგანიზაციო-განკარგულებით და სხვა დოკუმენტებში.

ცხრილებს აქვს ტექსტის დანაწევრების ორი დონე: შვეული (ვერტიკალური) გრაფებისა და თარაზული (ჰორიზონტალური)-სტრიქონებისათვის. თუ ცხრილი იბეჭდება ორ ან მეტ გვერდზე ცხრილების გრაფები ინიშნება; შემდეგ გვერდებზე იბეჭდება მხოლოდ გრაფების ნიშნები. გრაფებისა და სტრიქონების საათურები და ქვესათაურები უნდა გადმოიცეს არსებითი სახელით სახელობით ბრუნვაში მხოლოობით რიცხვში. ცხრილის სტრიქონებისა და გრაფების სათაურებსა და ქვესათაურებში გამოიყენება მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული შემოკლებები და პირობითი აღნიშვნები.

დ) ცხრილებსა და ანკეტებში, რომლებიც განკუთვნილია კომპიუტერული ტექნიკით დასამუშავებლად, ობიექტებს, ნიშნებსა და მათ მაჩვენებლებს საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ-ეკონომიკურ ინფორმაციის კლასიფიკატორების მიხედვით მიეცემა კოდები.

3. ა) განკარგულებით დოკუმენტებში, რომლებიც გამოიცემა ერთმმართველობის პრინციპით (ბრძანება, მითითება, განკარგულება), ტექსტის შედგენისას გამოიყენება მხოლოობითი რიცხვის პირველი პირი (ვბრძანებ, მოვითხოვ), ხოლო ხელმძღვანელობისადმი მიმართულ დოკუმენტებში (განცხადება, მოხსენებითი ბარათი, ახსნა-განმარტებითი ბარათი) მრავლობითი რიცხვის პირველი პირი (გთავაზობთ, გთხოვთ).

ბ) დაწესებულების განკარგულებით დოკუმენტებში, რომლებიც გამოიცემა კოლეგიური პრინციპით (დადგენილებები, გადაწყვეტილებები), ტექსტის შედგენისას გამოიყენება მხოლოობითი რიცხვის მესამე პირი (აღგენს, გადაწყვიტა).

გ) ერთობლივი განკარგულებითი დოკუმენტების (ბრძანება, დადგენილება, გადაწყვეტი-ლება) ტექსტის შედგენისას გამოიყენება მრავლობითი რიცხვის პირველი პირი (ვბრძანებთ, გადავწყვიტეთ, გთავაზობთ).

დ) ოქმების ტექსტის შედგენისას გამოიყენება მესამე პირის მრავლობითი რიცხვი (მოისმინეს, აზრი გამოთქვეს, გადაწყვიტეს), გამომსველელთა შინაარსი გადმოიცემა მესამე პირით მხოლოობით რიცხვში.

ე) დოკუმენტებში, რომლებითაც დგინდება უფლებები და მოვალეობები (დებულება, წესდება, ინსტრუქცია, წესები და სხვ.), აგრეთვე რომლებშიც აღწერენ, ადასტურებენ ფაქტებს, მოვლენებს, იძლევიან დაწესებულებების საქმიანობის შეფასებას (აქტი, დასკვნა, ცნობა, ანგარიში და სხვ.), ტექსტის გადმოცემისას გამოიყენება მესამე პირის მხოლოობითი ან მრავლობითი რიცხვი (მთავარ ინჟინერს უფლება აქვს; კომისიამ დაადგინა; ინსტიტუტმა შეიმუშავა, კომისიის შემადგენლობაში შედიან...).

4. მიმოწერის ტექსტის შედგენისას გამოიყენება პირველი პირის მრავლობითი რიცხვი (მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გიგზავნით დასკვნას).

მუხლი 24

1. მმართველობითი დოკუმენტის პროექტი უნდა შეუთანხმდეს შემსრულებლებს (ტექსტის ავტორებს), დაინტერესებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ან სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

2. მმართველობით დოკუმენტს ხელს აწერს ან ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი შემცვლელი თანამდებობის პირი კომპეტენციის შესაბამისად, რომელიც დადგენილია სამართლებრივი აქტებით (დაწესებულების, სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულება ან წესდება, თანამდებობრივი ინსტრუქცია, ბრძანება მოვალეობების განაწილების შესახებ და სხვ.).

3. ორი ან მეტი ხელმოწერა დაისმება იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის შინაარსისათვის პასუხისმგებელია თანამდებობის რამდენიმე პირი. ფულადი, მატერიალური და საკრედიტო ხასიათის დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს ფულის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვ. ფასეულობათა მიღებისა და გაცემისათვის, აგრეთვე, რომლებიც ცვლიან საკრედიტო და საანგარიშო ვალდებულებებს სხვა დაწესებულებებთან, ხელს აწერენ დაწესებულების ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი (ბუღალტერი); რამდენიმე დაწესებულების ერთობლივ დოკუმენტებს ხელს აწერენ ყველა დაწესებულების ხელმძღვანელები.

4. დასამტკიცებელ დოკუმენტებს (ინსტრუქციებს, დებულებებს, წესდებებს და სხვ.) ხელს აწერს მათი მომზადებისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

5. მოხსენებებს, მოხსენებით ბარათებს, ცნობებს და სხვა საინფორმაციო, საცნობარო და ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტებს ხელი შეიძლება მოაწეროს შემსრულებელმა, თუ მათში გადასაწყვეტი საკითხები არ სცილდება თანამდებობრივი ინსტრუქციით დადგენილ მის უფლებებს და კომპეტენ-ციას.

მუხლი 25

ზემდგომი ან სხვა დაწესებულებების დოკუმენტების დაყენანა საქვეუწყებო დაწესებ-ულებებამდე, სტრუქტურულ ქვედანაყოფებამდე ხორციელდება დოკუმენტის აეტორის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით. თუ ფორმა არ არის მითითებული, დაწესებულება ამ საკითხს წყვეტს დამოუკიდებლად.

თავი II

მმართველობითი დოკუმენტების გაფორმება

მუხლი 26

დოკუმენტების გაფორმებისას საჭიროა წესების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ იურიდიულ ძალას. ესენია: დოკუმენტების ოპერატიული და ხარისხიანი შესრულება და მოძიება; დოკუმენტების კომპიუტერული ტექნიკით დამუშავების შესაძლებლობა; დოკუმენტების, როგორც საისტორიო წყაროების, ხარისხი.

მუხლი 27

როგორც წესი, დოკუმენტი უნდა გაფორმდეს ბლანკზე, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს. მას უნდა ჰქონდეს აუცილებელი რეკვიზიტების კომპლექსი და მათი განლაგების სტანდარტული წესი. დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების პროცესში აუცილებელი რეკვიზიტების შემადგენლობას შეიძლება დაემატოს სხვა რეკვიზიტები, თუ ამას მოითხოვს დოკუმენტის დანიშნულება, მისი დამუშავება და ა.შ. საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტების ბლანკებზე რეკვიზიტების განლაგება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტს 6.2-94.

მუხლი 28. დოკუმენტის აუცილებელი რეკვიზიტების გაფორმების წესი

1. ყველა სისტემის დოკუმენტების აუცილებელი რეკვიზიტებია: დოკუმენტის აეტორი-დაწესებულების დასახელება; დოკუმენტის აეტორი-დაწესებულების კოდი; დოკუმენტის სახეობის ან დოკუმენტის უნიფიცირებული ფორმის (მათ შორის სათაურის) სახელწოდება; ტექსტის სათაური; დოკუმენტის სახეობის კოდი; დოკუმენტის თარიღი; ინდექსი; ვიზები; ხელმოწერა; აღნიშნა დოკუმენტის შესრულებისა და მისი საქმეში მოთავსების შესახებ.

2. დოკუმენტის აეტორი-დაწესებულების დასახელება და მისი კოდი აღინიშნება დაწე-სებულების დებულების (წესდების) და შესაბამისი საწარმოებისა და დაწესებულებების კლასიფიკაციის თანახმად.

3. დოკუმენტის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების კომპეტენციას, მმართველობით მოქმედებათა დოკუმენტირების შინაარსს, აგრეთვე დოკუმენტების ტაბელს, რომელიც გამოიყენება ამ დაწესებულებაში.

4. სათაური წარმოადგენს დოკუმენტის შინაარსის მოკლე გადმოცემას. ის უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე და ტევადი, ზუსტად გადმოსცემდეს ტექსტის აზრს. მაგალითად: 1.2.96 თემის შესრულების შესახებ; ბატონ გ.იეანიძის სასწავლებლად გაგზავნის შესახებ. სათაური გრამა-ტიკულად უნდა

უთანხმდებოდეს დოკუმენტის სახელწოდებას. მაგალითად: ბრძანება (რის შესახებ?) საწარმოს შექმნის შესახებ; ბარათი (რისი?) ძირითად საშუალებათა მოძრაობის აღრიცხვისა. ა5 ფორმატის დოკუმენტებზე დასაშვებია ტექსტის სათაურის უქონლობა. უნიფიცირებული ფორმის საფუძველზე დოკუმენტის შედგენის დროს ფორმის სახელწოდებაში შემავალი სათაურის მუდმივი ნაწილი შეივსება ცვალებადი ინფორმაციით, რომელიც აკონკრეტებს მის შინაარსს. მაგალითად: ბრძანება №-ნ ვ.ციორგაძის სამუშაოზე მიღების შესახებ. მანქანოგრამების ტექსტის სათაურები ფორმდება იმავე წესით.

5. დოკუმენტის სახელწოდება და უნიფიცირებული ფორმის კოდი, როგორც წესი, უნდა დაიბეჭ-დოს ბლანკზე მისი სტამბაში მომზადების დროს და შეესაბამებოდეს მმართველობითი დოკუმენ-ტაციის კლასიფიკატორებში მოცემულ დასახელებასა და კოდს.

6. ა) ხელმოწერის, დამტკიცების, შეთანხმებისა და ტექსტში მოცემული თარიღები ფორმდება ციფრობრივი წესით. თარიღის ელემენტები აღინიშნება ერთ სტრიქონში არაბული ციფრებით შემდეგი თანამიმდევრობით: თვის რიცხვი, თვე, წელი. მაგალითად: 2000 წლის 29 იანვარი უნდა გაფორმდეს 29.01.2000.

ბ) დასაშვებია თარიღის გაფორმებისას ჯერ მიეთითოს წელი, შემდეგ თვე და თვის რიცხვი. მაგალითად: 2000.01.29.

გ) დოკუმენტების ტექსტებში, რომლებიც შეიცავენ ფინანსური ან სხვა ანალოგიური ხასიათის ცნობებს. დასაშვებია თარიღის გაფორმების სიტყვიერიფორმა. მაგალითად: 29 იანვარი, 2000 წელი ან 2000 წლის 29 იანვარი.

7. ა) შესაქმნელი და მისაღები დოკუმენტების ინდექსი შედგება რიგითი ნომრისაგან, დოკუმენტების სარეგისტრაციო მასივის ფარგლებში, რომელსაც ეპატება ინდექსი საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით, მოქმედი კლასიფიკატორის ინდექსი (კორესპონდენტების, საქმიანობის საკითხების და სხვ.);

ბ) რამდენიმე დაწესებულების მიერ ერთობლივად შექმნილ დოკუმენტებზე ავტორთა სარეგისტრაციო ნომრები დაისმება ავტორთა მითითების რიგის მისედვით (მარცხნიდან მარჯვნივ) და გაიყოფა ირიბი ხაზით.

გ) მითითება შემოსული დოკუმენტის თარიღსა და ინდექსზე შეიცავს იმ დოკუმენტის თარიღსა და ინდექსს, რომელზეც გაიცემა პასუხი.

8. ა) დოკუმენტის პროექტის შეთანხმება ფორმდება ვიზით, რომელიც შეიცავს ვიზის მიმცემის პირად ხელმოწერას და ვიზირების თარიღს. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს ვიზის მიმცემის თანამდებობა. მისი ხელმოწერის გაშიფვრა სავალდებულოა.

მაგალითად:

იურიდიული განყოფილების უფროსი

ხელმოწერა — გ.ივანიძე
24.07.2000

ბ) დოკუმენტის პროექტზე შენიშვნები და დამატებები გადმოიცემა ცალკე ფურცელზე ან თვით პროექტის ტექსტში.

გ) ვიზები დაისმება დოკუმენტის წინა გვერდზე რეკვიზიტის "ხელმოწერა" ქვეშ იმ ეგზემპლარზე, რომელიც დაწესებულებაში რჩება (გეგმების პროექტები, ანგარიშები, წერილები და სხვ.). ბრძანებების, გადაწყვეტილებების, დადგენილებების და ა.შ. პროექტებს ვიზები დაესმება პირველ ეგზემპლარზე.

9. ა) რეკვიზიტის "ხელმოწერა" შემადგენლობა მოიცავს: დოკუმენტის ხელმომწერი პირის თანამდებობის დასახელებას (სრული, თუ დოკუმენტი არ არის გაფორმებული ბლანკზე, და შემოკლებული - ბლანკზე გაფორმებული დოკუმენტისათვის), პირად ხელმოწერასა და მის გაშიფვრას, მაგალითად:

თბილისის სულხან-საბა
ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტის რექტორი — ხელმოწერა ე.სართანია
ან
უნივერსიტეტის რექტორი — ხელმოწერა ე.სართანია

ბ) კომისიების მიერ მომზადებულ დოკუმენტებში მიეთითება არა დოკუმენტის შემდგენელ პირთა თანამდებობები, არამედ კომისიის შემადგენლობაში მოვალეობათა განაწილება:

კომისიის თავმჯდომარე — ხელმოწერა ე.იმნაძე
კომისიის წევრები: — ხელმოწერები ბ.აბზიანიძე
მ.კერესელიძე
და ა.შ.

გ) თუ დოკუმენტს ხელს აწერს თანამდებობის რამდენიმე პირი, მათი ხელმოწერები განლაგდება ერთი მეორის ქვემ დაკავებული თანამდებობის მიხედვით:

ინსტიტუტის დირექტორი — ხელმოწერა ს.თაბაგარი
მთავარი ბუღალტერი — ხელმოწერა ვ.ჯუღელი

დ) თუ დოკუმენტს ხელს აწერს თანაბარი თანამდებობის მქონე რამდენიმე პირი, მათი ხელმოწერები განლაგდება ერთ დონეზე:

საქართველოს ეკონომიკის	საქართველოს ფინანსთა
მინისტრი	მინისტრი
ხელმოწერა ვ.პაპავა	ხელმოწერა დ.ონოფრიშვილი

ე) დოკუმენტების ყველა ეგზემპლარი, რომლებიც რჩება დაწესებულების საქმეებში, მათ შორის დანართებიც, უნდა შეიცავდეს თანამდებობის პირთა ნამდვილ ხელმოწერებსა და შეთანხმების ვიზებს.

ვ) თუ თანამდებობის პირი, რომლის ხელმოწერა მომზადებულია დოკუმენტის პროექტზე, არ არის აღგილზე, დოკუმენტს ხელს აწერს პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას, ან მისი მოადგილე. ამასთან აუცილებლად აღინიშნება დოკუმენტის ხელმომწერი პირის ფაქტობრივი თანამდებობა და გვარი (შესწორებები შეიძლება შეტანილი იქნეს მელნით ან მანქანური წესით, მაგალითად: "მოვალობის შემსრულებელი", "მოადგილე"). დოკუმენტზე ხელმოწერისას დაუშვებელია სიტყვის "მაგიერ" ხმარება ან ირიბი ხაზის ჩამოსმა.

8) აღნიშვნა დოკუმენტის შესრულებისა და მისი საქმეში მოთავსების შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: მოკლე ცნობებს შესრულების შესახებ, თუ არ არსებობს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ასეთი დოკუმენტის არსებობისას მისი თარიღისა და ნომრის მითითებას; სიტყვას "საქმეში", საქმის ნომერს, რომელშიც მოთავსებული იქნება დოკუმენტი; თარიღს; შემსრულებლის ან იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ხელმოწერას, სადაც შესრულდა დოკუმენტი.

მუხლი 29. დოკუმენტების დამატებითი რეკვიზიტების გაფორმების წესი

1. დოკუმენტის დამატებითი რეკვიზიტებია: დოკუმენტის ავტორი-სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება; რეზოლუცია; დამტკიცების გრიფი; აღნიშვნა ასლების დამოწმების შესახებ; ბეჭედი; მეთანხმების გრიფი; აღნიშვნა დანართის არსებობის შესახებ; სახელმწიფო გერბი; დაწესებულების ემბლემა; ჯილდოების გამოსახულება; აღრესატი; კავშირგაბმულობის კვანძის ინდექსი; საფოსტო და სატელეგრაფო მისამართი, ელექტრონული ფოსტის ნომერი, ტელეტაიპის (სააბონენტო ტელეგრაფის) ნომერი, ტელეფონის ნომერი, ტელეფაქსის ნომერი, ანგარიშის ნომერი ბანკში; შედგენის ან გამოცემის ადგილი; შემსრულებლის გვარი და მისი ტელეფონის ნომერი (წერილებისათვის-სავალდებულოა); აღნიშვნა დოკუმენტის შემოსვლის შესახებ; მითითება შემოსული დოკუმენტის თარიღსა და ინდექსზე; აღნიშვნა მონაცემების მანქანურ მატარებელზე გადატანის შესახებ და სხვ.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება მიეთითება დამტკიცებული სტრუქტურის, ამ ქვედანაყოფის დებულების შესაბამისად ან სხვა ნორმატიული აქტით, რომლის საფუძველზეც შეიქმნა და ფუნქციონირებს ქვედანაყოფი.

3. მითითებები დოკუმენტის შესრულების შესახებ ფიქსირდება რეზოლუციის ფორმით, რომელიც მეიცავს შემსრულებლის გვარს, დავალების მინაარსს, შესრულების ვადას. რეზოლუცია უნდა იქნეს ხელმოწერილი და დათარიღებული. მაგალითად:

ბატონ ე. იმნაძეს

გთხოვთ 2000.04.12-ისათვის მოამზადოთ სურსათის რეალიზაციის გეგმა

ი.ტყეშელაშვილი

02.04.2000

4. ა) დოკუმენტის დამტკიცება მისი სამოქმედოდ შემოღების განსაკუთრებული წესია, რომელიც სანქციას აძლევს მის გაერცელებას დაწესებულებების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების გარკვეულ წრეზე.

ბ) დოკუმენტები მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის ან ზემდგომი ხელმძღვანელის მიერ, რომელთა კომპეტენციას განეკუთნება დასამტკიცებელ დოკუმენტებში (დანართი 4) აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა.

გ) დოკუმენტის დამტკიცება ხდება დამტკიცების გრიფის ან შესაბამისი განკარგულებითი დოკუმენტის გამოცემით. დამტკიცების ორივე წესს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა. განკარგულებითი დოკუმენტი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც დამტკიცება მოითხოვს დამატებითი ღონისძიებების გატარებას და განმარტებას; თუ დოკუმენტი გამოიცემა დასამტკიცებელი განკარგულებითი დოკუმენტის გარეშე, მასზე დაისმება დამტკიცების გრიფი.

დ) თუ დოკუმენტი მტკიცდება კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ, დამტკიცების გრიფი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: სიტყვისაგან "ვამტკიცებ", თანამდებობის დასახელების, ხელმოწერის,

დოკუმენტის დამამტკიცებელი პირის სახელის ინიციალისა და გვარისაგან, დამტკიცების თარიღისაგან. მაგალითად:

ვამტკიცებ
ქარხნის დირექტორი

ხელმოწერა ვ. ივანიძე
17.02.2000

ე) თუ დოკუმენტი მტკიცდება განკარგულებითი დოკუმენტით, დამტკიცების გრიფი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: სიტყვისაგან "დამტკიცებულია", განკარგულებითი დოკუმენტის სახელწოდებისაგან სახელობით ბრუნვაში, მისი თარიღისა და ნომრისაგან, მაგალითად:

დამტკიცებულია
ინსტიტუტის დირექტორის
ბრძანება
15.05.2000 N5

5. ა) დოკუმენტის ასლის დამოწმება ხორციელდება მისთვის იურიდიული ძალის მისაცემად.

ბ) დაწესებულებას შეუძლია გასცეს მხოლოდ იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც მის მიერაა შექმნილი (ეს დებულება არ ვრცელდება საარქივო დაწესებულებებსა და ნოტარიატებზე).

გ) იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც ეხება მოქალაქეთა სამუშაოზე, სასწავლებლებში მიღებას, მათი შრომითი, საბინაო და სხვა უფლებების დაკმაყოფილებას, პირადი საქმეების შედგენისას დაწესებულებას შეუძლია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამზადოს იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც გაცემულია სხვა დაწესებულებების მიერ და აუცილებელია შესაბამისი საკითხების გადასაწყვეტად (დიპლომების, განათლების მიღების დამადასტურებელი მოწმობების და ა.შ ასლები).

დ) ასლების გაფორმებისას, რომლებიც ეხება მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს, დოკუმენტზე, რომლიდანაც გადაღებულია ასლი, კეთდება აღნიშვნა ვის და როლის გადაეცა იგი, ხოლო თვით ასლზე აღინიშნება, რომ დედანი ინახება ამ დაწესებულებაში.

ე) დოკუმენტიდან ასლის გადაღება წარმოებს ხელნაწერი, მანქანაზე ბეჭდვის ან ოპერატიული სტამბური წესით. ხელნაწერი და მანქანაზე ბეჭდვის წესით ასლის მომზადებისას დოკუმენტის ტექსტი გადაიბეჭდება მთლიანად ბლანკის ელემენტების ჩათვლით.

ვ) ასლი დამოწმებულ უნდა იქნეს თანამდებობის პირის მიერ, რომელიც ადასტურებს მის სრულ შესაბამისობას დედანთან. მაგალითად:

სწორია
კადრების განყოფილების ინსპექტორი ხელმოწერა მ.ეგაძე
25.11.2000

8) გასული დოკუმენტების ასლებზე, რომლებიც საქმეში თავსდება, აუცილებელი არ არის მიეთითოს დამოწმების თარიღი და ასლის დამმოწმებელი პირის თანამდებობა.

თ) დოკუმენტის ასლის სხვა დაწესებულებებში გადაგზავნის ან ხელზე გადაცემისას დამამოწმებელი ხელმოწერა დასტურდება ბეჭდით.

6. დოკუმენტებზე, რომლებიც ადასტურებენ თანამდებობის პირთა უფლებებს, აფიქსირებენ ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის ფაქტს, აგრეთვე რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სამართლებრივი აქტებით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა დასტურდება გერბიანი ბეჭდით (დანართი 5). ბეჭდის ანაბეჭდი ისე უნდა დაისვას, რომ ტვიფრმა მოიცვას დოკუმენტზე ხელმომწერი პირის თანამდებობის დასახელების ნაწილი. ბეჭდის შენახვის ადგილს და შენახვისათვის პასუხისმგებელ პირს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.

7. ა) შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს შეთანხმების გრიფით, ცნობით შეთანხმების შესახებ, შეთანხმების ფურცლით ან კოლეგიური ორგანოს სხდომაზე დოკუმენტის პროექტის განხილვის ოქმის წარდგენით.

ბ) შეთანხმების გრიფი შედგება სიტყვისაგან ,,შეთანხმებულია", შემთანხმებელი პირის თანამდებობის დასახელების (დაწესებულების დასახელების ჩათვლით), პირადი ხელმოწერის, მისი გამიფვრისა და თარიღისაგან, მაგალითად:

შეთანხმებულია
საქართველოს ეკონომიკის

სამინისტროს კადრების
განყოფილების უფროსი
ხელმოწერა ა.იყანიძე
09.01.2000

ბ) თუ შეთანხმება ხდება კოლეგიურ ორგანოსთან ან წერილის მეშვეობით, შეთანხმების გრიფი ფორმდება შემდეგნაირად:

შეთანხმებულია
სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი
2000.04.10 N5
ან
შეთანხმებულია
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი
2000.01.15 N01-5/18

დ) შეთანხმების გრიფი თავსდება რეკვიზიტის "ხელმოწერა" ქვეშ ან შეთანხმების ცალკე ფურცელზე. შეთანხმების ფურცელი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის შინაარსი ეხება რამდენიმე დაწესებულების ინტერესებს. ამ შემთხვევაში შეთანხმების გრიფის ადგილზე კეთდება აღნიშვნა, მაგალითად:

შეთანხმების ფურცელი თან ერთვის
ხელმოწერა, თარიღი.

8. ა) თუ დოკუმენტს ახლავს დანართები, აღნიშნა ამის შესახებ მიეთითება ტექსტში ან დოკუმენტის ტექსტის შემდეგ ხელმოწერის წინ.

ბ) განკარგულებით დოკუმენტებში (ბრძანებები, მითითებები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები და განკარგულებები) ცნობები დანართების არსებობის შესახებ მიეთითება ტექსტში, მაგალითად: "შემუშავდეს და დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნეს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დაცული დოკუმენტების მოწესრიგების გრაფიკი დანართში მითითებული ფორმის მიხედვით".

გ) განკარგულებითი დოკუმენტების დანართებს პირველი ფურცლის მარჯვენა ზემო კუთხეში უკეთდება აღნიშვნა შემდეგი ფორმით:

საქართველოს კულტურის სამინისტროს 2000.04.12 N5 ბრძანებისა

დ) თუ დოკუმენტს ახლავს რამდენიმე დანართი, მათზე დაისმება რიგითი ნომრები: დანართი 1, დანართი 2 და ა.შ. ნიშან "N"-ის გარეშე.

ე) ცნობები ეტაპების, ანგარიშების, ოქმების, შეტყობინების, წერილებისა და ა.შ. დანართების არსებობისას ფორმდება შემდეგი წესით:

- თუ დოკუმენტს აქვს დანართები, რომლებიც ტექსტში არ არის მოხსენიებული, ტექსტის შემდეგ საჭიროა მათი დადასტურების ჩამოთვლა თითოეულ დანართში ფურცლებისა და ეგზემპლარების რაოდენობის აღნიშვნით, მაგალითად:

დანართი: 1. ცნობა სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების შესახებ 8 ფურც. 2 ეგზ.

2. სკოლების სია 3 ფურც. 2 ეგზ.

- თუ დოკუმენტს აქვს დანართები, რომელთა სრული დასახელება ასახულია ტექსტში, აღნიშვნა დანართის არსებობის შესახებ ფორმდება შემდეგნაირად:

დანართი: 5 ფურც. 3 ეგზ.

- თუ დოკუმენტს თან ერთვის დანართიანი დოკუმენტი, აღნიშვნა დანართების შესახებ ფორმდება შემდეგნაირად:

დანართი: საქართველოს მრეწველობის სამინისტროს 2000.05.19 N5-16/365
წერილი და მისი დანართი, სულ 15 ფურც. 2 ეგზ.

- თუ დანართი არ იგზავნება დოკუმენტში მითითებულ ყველა მისამართზე, აღნიშვნა დანართის არსებობის შესახებ ფორმდება ასე:

დანართი: 5 ფურც. 2 ეგზ. პირველი მისამართით.

- თუ დანართები აკინძულია, ფურცლების რაოდენობა არ მიეთითება.

ვ) დანართების რეკვიზიტების შემადგენლობა და გაფორმების წესი უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტაციის იმ უნიფიცირებული სისტემის მოთხოვნებს, რომელსაც დანართი ეკუთვნის.

9. ,,საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ღროშის დებულების დამტკიცების თაობაზე" და ,,საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ,,საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულება თავსდება... საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების და საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებათა ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ოფიციალურ გამოცემებზე".

10. ა) დაწესებულების ემბლემად, როგორც მიღებულია, გამოიყენება დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი).

ბ) დოკუმენტის ბლანკებზე დასაშვებია ჯილდოების გამოსახულებათა მოთავსება ან ჯილდოების სახელწოდებათა ჩართვა დაწესებულებების დასახელებაში.

11. ა) დოკუმენტების დაგზავნისას საჭიროა შემდეგი წესების დაცვა: დოკუმენტები ეგზავნებათ დაწესებულებებს, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ან თანამდებობის კონკრეტულ პირს. დაწე-სებულების და სტრუქტურული ქვედანაყოფების დასახელება აღინიშნება სახელობით ბრუნვაში, ხოლო თანამდებობა, სახელი და გვარი მიცემით ბრუნვაში.

მაგალითად:
საქართველოს კულტურის სამინისტრო
დრამატული თეატრების განყოფილება
ან საქართველოს კულტურის სამინისტრო
დრამატული თეატრების განყოფილება
მთავარ სპეციალისტს
ბატონ გიორგი თარხნიშვილს

ბ) დოკუმენტის დაწესებულებაში გაგზავნისას დასაშვებია მისი დასახელების მიცემით ბრუნვაში აღნიშვნა, მაგალითად:
საქართველოს კულტურის სამინისტროს

გ) დაწესებულების ხელმძღვანელის ან მისი მოადგილეებისათვის დოკუმენტის გაგზავნისას დაწესებულების დასახელება მედის აღრესატის თანამდებობის დასახელების შემადგენლობაში, მაგალითად:

საქართველოს კულტურის მინისტრს
ბატონ ვალერი ასათიანს

დ) თუ დოკუმენტი ეგზავნება რამდენიმე ერთგვაროვან დაწესებულებას, საჭიროა მათი განზოგადებულად მოხსენიება, მაგალითად:
საწარმოთა დირექტორებსა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს

ე) თუ დოკუმენტი ეგზავნება რამდენიმე აღრესატს, ხელმოწერილი უნდა იქნეს ყველა ეგზემპლარი.

ვ) რეკვიზიტის "აღრესატი" შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს საფოსტო მისამართი. საფოსტო მისამართი არ აღინიშნება დოკუმენტებზე, რომლებიც ეგზავნებათ საკანონმდებლო, სამთავრობო დაწესებულებებსა და მუდმივ კორესპონდენტებს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია წინასწარ დაბეჭდილი მისამართებით კონვერტების გამოყენება.

ზ) საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში გასაგზავნი დოკუმენტი იწყება აღრესატის მითითებით, ხოლო მორეულ უცხოეთში აღრესატს დოკუმენტის ბოლოში უთითებენ.

თ) დაწესებულების საფოსტო და სატელეგრაფო მისამართის ცნობების ჩაწერის წესი და ფორმა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს საფოსტო წესებს.

ი) რეკვიზიტის ,,კავშირგაბმულობის კოდების ინდექსი, საფოსტო და სატელეგრაფო მისამართი, ელექტრონული ფოსტის ნომერი, ტელეტაიპის (სააბონენტო ტელეგრაფის) ნომერი, ტელეფონის

ნომერი, ტელეფაქსის ნომერი, ანგარიშის ნომერი ბანკში" გაფორმებისას საჭიროა მიეთითოს საცნობარო ტელეფონის ნომერი (საცნობარო სამსახური, სამდივნო, კანცელარია და ა.შ.). ტელეფონის ნომერი უნდა ჩაიწეროს შემდეგნაირად:

ტელ: 37 38 07 ,95 76 40, 2 18 80 .

კ) საანგარიშო ფულადი ოპერაციების შესასრულებლად დასამვებია ბლანკში აღინიშნოს ბანკის ანგარიშის ნომერი და მისამართი, მაგალითად:

საანგ. ანგ. N 000141546 საქართველოს ბანკის

ქ. თბილისის ნაძალადევის განყოფილებაში.

12. ა) აღნიშნა შემსრულებლის (დოკუმენტის შემდგენლის) შესახებ შეიცავს შემსრულებლის გვარს, მისი სასამსახურო ტელეფონის ნომერს, თავსდება დოკუმენტის ბოლო ფურცლის წინა გვერდზე ან, ადგილის უქონლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს მარცხენა ქვედა კუთხეში. მაგალითად:

სიდამონიძე 36 18 41

ბ) საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტის შემსრულებლის გვარისა და მისი ტელეფონის ნომრის ქვეშ დასაშვებია აღინიშნოს მემანქანის ინდექსი (სახელისა და გვარის პირველი ასოები, დაბეჭდილი ეგზემპლარების რაოდენობა და დაბეჭდის თარიღი). მაგალითად:

სიდამონიძე 36 18 41

ნე.4 10.12.2000

13. აღნიშნა დოკუმენტის შემოსვლის შესახებ თავსდება პირველი ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში და შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: დოკუმენტის მიმღების (აღრესატის) შემოკლებული დასახელება; დოკუმენტის შემოსვლის თარიღი და ინდექსი.

14. აღნიშნა ინფორმაციის მანქანურ მატარებლებზე გადატანის შესახებ შეიცავს ჩანაწერს "ინფორმაცია გადატანილია მანქანურ მატარებელზე", მონაცემების გადატანისათვის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერასა და გადატანის თარიღს.

მუხლი 30. მანქანურსაკითხავი დოკუმენტებისა და მანქანოგრამების გაფორმების წესი

1. ა) მანქანურსაკითხავი დოკუმენტებისა და მანქანოგრამებისათვის დადგენილია აუცილებელი რეკვიზიტების კომპლექსი და მათი განლაგების წესი. აუცილებელი რეკვიზიტების კომპლექსის შემადგენლობაში შედის: დოკუმენტის შემქმნელი დაწესებულების კოდი და დასახელება; დოკუმენტის შემქმნელი დაწესებულების ადგილმდებარეობა ან საფოსტო მისამართი; დოკუმენტის ფორმის კოდი; დოკუმენტის სახელწოდება; დოკუმენტის მომზადების თარიღი; დოკუმენტის მომზადების სისწორისათვის პასუხისმგებელი პირის კოდი.

ბ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტებისა და მანქანოგრამების დუბლიკატებისა და ასლების შექმნისას რეკვიზიტების შემადგენლობაში შეიტანება აღნიშნა დოკუმენტის უტყუარობის შესახებ "დედანი", "დუბლიკატი", "ასლი".

გ) მანქანოგრამების რეკვიზიტების სრული შემადგენლობა, მათი განლაგებისა და გაფორმების წესები განისაზღვრება დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების მოთხოვნით, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში - წინამდებარე წესების მოთხოვნით.

2. ა) საჭიროების შემთხვევაში სამთავრობო დაწესებულებების გადაწყვეტილებათა მიხედვით მანქანურსაკითხავი დოკუმენტებისა და მანქანოგრამებისათვის დაიშვება დამატებითი რეკვიზიტების გამოყენება, რომლებიც ასახავენ ამ დოკუმენტების შექმნისა და გამოყენების სპეციფიკას.

ბ) მანქანოგრამები და დოკუმენტები პერფომატარებლებზე შეიძლება დადასტურებულ იქნეს არა მხოლოდ დოკუმენტების მომზადების სისწორისათვის პასუხისმგებელი პირების კოდებით, არამედ მათი ხელმოწერებითაც.

გ) მანქანოგრამებზე, რომლებიც მოიცავენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხელმოწერა დასტურდება დოკუმენტის შემქნელი დაწესებულების ბეჭდით. მანქანურსაკითხავი დოკუმენტების გადაცემა (გაგზავნა) ხორციელდება მხოლოდ თანდართული წერილით.

კარი III

დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 31

დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაცია (დოკუმენტაციის მართვა) წარმოადგენს აუცილებელი ინფორმაციის შენახვისა და მომხმარებლისათვის დადგენილ ვადებში მიწოდებისათვის საჭირო პირობების შექმნას. იგი მოიცავს რაციონალური დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციას, დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემების შექმნასა და დოკუმენტების შესრულების კონტროლს, დოკუმენ-ტების მომზადებას საუწყებო არქივში გადასაცემად.

თავი I

დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია

მუხლი 32

1. დოკუმენტების მოძრაობა მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან შესრულების დამთავ-რებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე წარმოადგენს დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

2. დოკუმენტების მოძრაობის წესი და სქემა დაწესებულებაში განისაზღვრება საქმისწარმოების ინსტრუქციით. ინფორმაციის ავტომატიზებული (კომპიუტერული) დამუშავების მოქმედებისას სქემებში შეიტანება კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით დოკუმენტების დამუშავების ყველა პუნქტი.

3. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების პირობებში დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს დოკუმენტების ტრადიციული და ავტომატიზებული დამუშავების ურთიერთშეთავ-სებას ამ საშუალებათა შესაძლებლობებთან.

მუხლი 33. შემოსული დოკუმენტების დამუშავების წესი

1. ა) დაწესებულებაში შემოსული დოკუმენტები გადიან პირველად დამუშავებას, წინასწარ გარჩევას, რეგისტრაციას, ინდექსაციას, ხელმძღვანელობის მიერ განსილვას, შემსრულებლებისათვის კონკრეტული დავალების მიცემას, შესრულების ვადის განსაზღვრასა და შემსრულებ-ლთათვის გადაცემას.

ბ) დოკუმენტების მიღებასა და პირველად დამუშავებას ახორციელებენ საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლები.

გ) კონვერტები დოკუმენტებითურთ, მათ შორის შეკვეთილი, იხსნება, ამასთანავე მოწმდება ადრესატის სისწორე, პაკეტის სიმრთელე, კონვერტსა და დოკუმენტებზე მითითებული ნომრების შესაბამისობა.

დ) შემოსული დოკუმენტების (მათ შორის მოქალაქეთა წერილების) კონვერტები არ ნადგურ-დება იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ კონვერტით შეიძლება გამომგზავნის მისამართის დადგენა, დოკუმენტების გამოგზავნისა და მიღების დრო, აგრეთვე პირადი დოკუმენტების შემოსვლისას. ამის შემდეგ დოკუმენტს პირველ გვერდზე მარჯვენა ქვედა კუთხეში დაესმება შტამპი სარეგისტ-რაციო ნომრითა და შემოსვლის თარიღით, ფურცლების რაოდენობის მითითებით.

ე) არასწორი მისამართით გამოგზავნილი პაკეტი გადაიგზავნება კუთვნილისამებრ ან დაუბრუნდება ავტორს.

ვ) პაკეტები წარწერით "პირადად" აღირიცხება კონვერტზე აღნიშნული მონაცემებით და ადრესატს გადაეცემა გაუხსნელად.

ზ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტების შემოსვლისას საქმისწარმოების სამსახურში მუშავდება თანდართული დოკუმენტაცია.

2. ა) შემოსული დოკუმენტების წინასწარი გარჩევა ხდება მათი განაწილების მიზნით, რათა განისაზღვროს ხელმძღვანელობის მიერ აუცილებლად განსახილველი და სტრუქტურული ქვედანა-ყოფებისა და პასუხიმგებელი შემსრულებლებისათვის უშუალოდ გადასაცემი დოკუმენტები.

ბ) მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები გადაეცემათ მოქალაქეთა წერილების განხილვის ქვედანაყოფებს.

ე) საქმისწარმოების სამსახურში წინასწარ გადაისინჯება დოკუმენტები, რომლებიც ეგზავნება

დაწესებულების ხელმძღვანელობას ან რომლებშიც არ არის მითითებული კონკრეტული თანამ-
დებობის პირი და სტრუქტურული ქვედანაყოფი.

დ) ხელმძღვანელობას განსახილველად გადაეცემა დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია საკანონმდებლო, სამთავრობო და სხვა ზემდგომი დაწესებულებებიდან, შეიცავენ ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის პრინციპულ საკითხებზე და რომელთა შესრულება მოითხოვს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას. დანარჩენ დოკუმენტებს წინასწარი განხილვის შემდეგ საქმისწარმოების სამსახური გადასცემს მემსრულებლებს.

3. ა) საქმისწარმოების სამსახურში დოკუმენტების დამუშავება და შემსრულებლისათვის გადაცემა უნდა ხორციელდებოდეს მათი შემოსვლის დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ დოკუმენტები შემოვიდა არასამუშაო დროს.

ბ) დოკუმენტები, რომლებიც სრულდება რამდენიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ, გადაეცემათ მათ რიგრიგობით ან ერთდროულად ასლების მეშვეობით. დედანი გადაეცემათ რეზოლუციაში პირველად დასახელებულ შემსრულებლებს. დოკუმენტების გამრავლების აუცილებლობასა და ასლების რაოდენობას განსაზღვრავს დოკუმენტის შესრულებისათვის პასუხის-მგებელი პირი.

გ) შემოსული დოკუმენტის დაუყოვნებლივ შესრულების საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია შემსრულებელი გაეცნოს მის შინაარსს დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ განხილვამდე.

მუხლი 34. გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავების წესი

1. ა) დაწესებულების მიერ გასაგზავნი დოკუმენტები რეგისტრირდება, მრავლდება, კონვერ-ტებში თავსდება, საფოსტო გზავნილებად ფორმდება და კანმირგაბმულობის კვანძებში ბარდება საქმისწარმოების სამსახურის მიერ.

ბ) კონვერტში ჩალაგების წინ მოწმდება დოკუმენტების გაფორმების სისწორე, დანართების არსებობა, ეგზემპლარების რაოდენობის შესაბამისობა აღრესატების რაოდენობასთან. გაუ-ფორმებელი ან არასწორად გაფორმებული დოკუმენტები უბრუნდება შემსრულებელს საბოლოო დასამუშავებლად.

2. ა) დაკვეთით გასაგზავნ კორესპონდენციაზე დგება დაგზავნის აღწერა, რომელშიც საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელი მიუთითებს თავის გვარსა და გაგზავნის თარიღს.

ბ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტები იგზავნება შეფუთული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მატარებლებისა და მათზე ჩაწერილი ინფორმაციის დაცვას. მანქანურსაკითხავი დოკუმენტების გაგზავნა წარმოებს თანდართული წერილით, რომლის ასლი საქმეში იკერება საერთო წესით.

გ) გასაგზავნად შემოსული დოკუმენტები უნდა დამუშავდეს და გაიგზავნოს იმავე
დღეს ან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.

მუხლი 35

დოკუმენტების გადაცემა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ხორციელდება მხოლოდ საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი პირების მეშვეობით.

მუხლი 36. დოკუმენტების რაოდენობის აღრიცხვა

1. დოკუმენტების რაოდენობის დათვლა ხორციელდება სარეგისტრაციო ფორმების მიხედვით. დათვლის ერთეულს წარმოადგენს თვით დოკუმენტი ასლების გარეშე, რომლებიც იქმნება დაბეჭდვისა და გამრავლების დროს.

2. ასლებისა და გამრავლებული ეგზემპლარების გამოანგარიშება ხორციელდება ცალკე სამუშაო ჟურნალების მიხედვით მემანქანეთა ბიუროებსა და ასლგადამღებ-გასამრავლებელ სამსახურებში.

3. მანქანურსაკითხავი დოკუმენტებისა და მანქანოგრამების დათვლა ხორციელდება სააღრიცხვო ბარათების მიხედვით.

4. შემოსული და დაწესებულებაში შექმნილი დოკუმენტები დაიანგარიშება ცალ-ცალკე. ცალკე აღირიცხება აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები.

5. დოკუმენტების აღრიცხვის შედეგები განზოგადდება საქმისწარმოების სამსახურის მიერ და წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელობას დოკუმენტებზე მუშაობის სრულყოფის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

თავი II

დაწესებულებების დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა

მუხლი 37

დაწესებულებებში იქმნება ტრადიციული, მექანიზებული და ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემები, რომლებიც მოიცავენ დოკუმენტების რეგისტრაციასა და ინდექსირებას, მათ საფუძველზე შექმნილ საინფორმაციო-საძიებო მასივებს (კარტოთეკებს, მასივებს მანქანურ მატარებლებზე), აგრეთვე დოკუმენტების ოპერატიულ შესახებას.

მუხლი 38. დოკუმენტების რეგისტრაციისა და ინდექსირების წესი

1.ა) დოკუმენტების რეგისტრაცია მათი შექმნის ან შემოსვლის ფაქტის დაფიქსირებაა, რომელიც ითვალისწინებს ინდექსის დასმას და სარეგისტრაციო ფორმებში დოკუმენტის შესახებ საჭირო ცნობების ჩაწერას.

ბ) დოკუმენტის ინდექსი შედგება რიგითი ნომრისაგან, რომელიც, საძიებო ამოცანებიდან გამომდინარე, მეივსება საქმეთა ნომენკლატურის, აგრეთვე კორესპონდენტების, შემსრულებლებისა და სხვა კლასიფიკატორების ინდექსებით.

გ)დოკუმენტის ინდექსში დაცულ უნდა იქნეს მისი შემადგენელი ნაწილების შემდეგი (ან შებრუნებული) თანამიმდევრობა: რიგითი სარეგისტრაციო ნომერი, საქმეთა ნომენკლატურისა და გამოყენებული კლასიფიკატორის ინდექსები. ინდექსის შემადგენელ ნაწილებს განაცალკევებენ ირიბი ხაზით.

2.ა) რეგისტრაციას ექვემდებარება როგორც დაწესებულების მიერ შექმნილი და მის შიგნით გამოსაყენებელი, ისე სხვა დაწესებულებებში გასაგზავნი, ზემდგომი, საქვეუწყებო და სხვა დაწესებულებებიდან, კერძო პირებისაგან შემოსული ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც საცნობარო მიზნით ესაჭიროება აღრიცხვა, შესრულება და გამოყენება (განკარგულებითი, საგეგმო, საანგარიშგებო, სტატისტიკური, საბუღალტრო, საფინანსო და სხვ.). რეგისტრაციას ექვემდებარება როგორც ტრადიციულად მანქანაზე დაბეჭდილი (ხელნაწერი), ისე კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით შექმნილი დოკუმენტები (მანქანურსაკითხავი, მანქანოგრამები).

ბ)დაწესებულებაში დოკუმენტები ერთხელ გადიან რეგისტრაციას: შემოსული - შემოსვლის დღეს, შექმნილი - ხელმოწერის ან დამტკიცების დღეს.

გ) რეგისტრირებული დოკუმენტი ერთი ქვედანაყოფიდან მეორეში გადაცემისას ხელმეორე რეგისტრაციას არ საჭიროებს.

3.ა) დოკუმენტების რეგისტრაცია წარმოებს ჯგუფების ფარგლებში მათი სახეობების დასახელების, ავტორისა და შინაარსის მიხედვით. მაგალითად, ცალკე რეგისტრაციას ექვემდებარება ხელმძღვანელის ბრძანებები ძირითადი საქმიანობის შესახებ, კადრების საკითხებზე, ზემდგომი დაწესებულებების განკარგულებითი დოკუმენტები, სამეცნიერო სამუშაოების შედეგების დანერგვის აქტები, საქვეუწყებო დაწესებულებების მუშაობის გეგმები, განაცხადები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებზე და სხვ.

ბ) რიგითი სარეგისტრაციო ნომრები დოკუმენტებს მიეკუთვნება თითოეული რეგისტ-რირებული ჯგუფის ფარგლებში.

გ) დოკუმენტების რეგისტრაცია, როგორც წესი, ხორციელდება ცენტრალიზებულად. დეცენტრალიზებული რეგისტრაცია დასაშვებია ტერიტორიულად მომორებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში.

4. ა) დოკუმენტების რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათებზე, მანქანურ მატარებლებზე ან რეგისტრაციის სხვა ფორმებზე. რეგისტრაციის მონაცემების ინფორმაციული შეთავსების მისაღწევად და ავტომატიზებულ რეგისტრაციაზე გადასვლის პირობების შესაქმნელად დგინდება სარეგისტრაციო რეკვიზიტების შემდეგი აუცილებელი შემადგენლობა: ავტორი (კორესპონდენტი); დოკუმენტების სახეობის დასახელება; დოკუმენტის თარიღი; დოკუმენტის ინდექსი (დოკუმენტის შემოსვლის თარიღი და ინდექსი დაწესებულებაში შემოსული დოკუმენტებისათვის); დოკუმენტის სათაური ან მისი მოკლე შინაარსი; რეზოლუცია (შემსრულებელი, დავალების შინაარსი, ავტორი, თარიღი); შესრულების ვადა; აღნიშვნა შესრულების შესახებ (საკითხის არსის გადაწყვეტის მოკლე ჩანაწერი, საპასუხო დოკუმენტის ფაქტობრივი შესრულების თარიღი და ინდექსი); საქმე N.

ბ) საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი რეკვიზიტების შემადგენლობა შეიძლება შეივსოს

შემდეგი მონაცემებით: შემსრულებლები, შემსრულებლის ხელმოწერა დოკუმენტის მიღებაზე, შესრულების მიმდინარეობა, დანართები და სხვა. სარეგისტრაციო ფორმებზე რეკვიზიტების განლაგებისა და სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათების მეორე მხარის გამოყენების წესს ადგენს დაწესებულება.

ვ) სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათების ეგზემპლარების რაოდენობა განისაზღვრება საცნობარო და საკონტროლო ბარათების რაოდენობით იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, სადაც დოკუმენტი შესრულდება და კონტროლს დაექვემდებარება.

დ) დაწესებულებებში, სადაც დოკუმენტბრუნვის მოცულობა წელიწადში არ აღემატება 600 დოკუმენტს, ნებადართულია დოკუმენტების რეგისტრაცია ჟურნალში, რომლის გრაფები უნდა შეესაბამებოდეს ამ პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებში მოცემული სარეგისტრაციო რეკვიზიტების შემადგენლობას.

ე) დოკუმენტპასუხის რეგისტრაცია ხორციელდება საინიციატივო დოკუმენტების რეგისტ-რაციის ფორმებზე. დოკუმენტპასუხს მიეკუთვნება დამოუკიდებელი რიგითი სარეგისტრაციო ნომერი შესაბამისი რეგისტრირებული მასივის ფარგლებში (დანართი 6).

ვ) მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების რეგისტრაცია ხორციელდება დადგენილი ფორმის სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათებზე.

5.ა) დოკუმენტების რეგისტრაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასლგადამღები-გასამ-რავლებელი აპარატები და კომპიუტერული ტექნიკა.

ბ) ავტომატიზებულ საინფორმაციო-საძიებო სისტემაში დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება მანქანურორიენტირებული სარეგისტრაციო-საკონტ.ილო ბარათის გამოყენებით, რომელიც აგებულია აუცილებელი რეკვიზიტების რეგისტრაციის ბაზაზე, ან დოკუმენტიდან მათი პირდაპირი გადატანით.

მუხლი 39. საცნობარო კარტოთეკები, საინფორმაციო-საძიებო მასივები მანქანურ მატარებლებზე

1. საცნობარო კარტოთეკები ფორმდება კონკრეტული საინფორმაციო-საძიებო სისტემების ამოცანებიდან გამომდინარე სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათების მიხედვით.

2. დგება საცნობარო, საკონტროლო, ანბანური; მოქალაქეთა წინადადებების, განცხა-ღებებისა და საჩივრების; საკოდიფიკაციო და სხვ. კარტოთეკები.

3. ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემების საინფორმაციო-საძიებო მასივების ფორმირება ხდება მანქანურ მატარებლებზე დაფიქსირებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 40. დოკუმენტების ოპერატიული შენახვა

1. შექმნის მომენტიდან საუწყებო არქივში გადაცემამდე დოკუმენტები ინახება მათი ფორმირების ადგილზე საქმეებში (მცირე დაწესებულებებში მიზანშეწონილია საქმეთა ცენტრალი-ზებული შენახვა საქმისწარმოების სამსახურში).

2. დოკუმენტებისა და საქმეების დაცვას უზრუნველყოფენ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და დოკუმენტაციისათვის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

3. დოკუმენტების საიმედოდ დაცვის უზრუნველსაყოფად საქმეები ინახება სამუშაო ოთახებში ან სპეციალურად მათთვის გამოყოფილ სათავსებში და განლაგებულია ჩასაკეტ კარადებში, მაგიდებსა და ელევატორულ კარტოთეკებში.

4. დოკუმენტების ოპერატიულად მოძიების მიზნით საქმეები განლაგდება ნომენ,ლატურის მიხედვით, რომლის ასლი გამოიკვრება კარადის კარზე შიდა მხრიდან. გარეკანების ყუებზე აღინიშნება საქმეთა ნომრები ნომენკლატურის მიხედვით. დოკუმენტების შენახვა მოუწყობელ სამუშაო მაგიდებში აკრძალულია.

5. მაგნიტური ლენტები კოლეგიური ორგანოების სხდომათა ფონოგრამებითურთ ინახება პასუხისმგებელ მდივანთან. ლენტსა და კოლოფზე კეთდება აღნიშვნები სხდომის თარიღისა და ჩაწერის დროის შესახებ. კოლეგიური ორგანოს მდივანი პასუხისმგებელია მათი დაცვისათვის.

6. სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მანქანოგრამები ფორმდება საქმეებად და ინახება საერთო წესით.

7. სხვა დაწესებულებებისათვის საქმეთა გაცემა ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვა-ნელის ნებართვით. გაცემულ საქმეზე იესება საქმის შემცველი ბარათი.

8. მუდმივად შესანახი საქმეებიდან დოკუმენტების ამოღება დაიშვება განსაკუთრებულ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით; საქმეში აუცილებლად უნდა ჩაიდოს დოკუმენტის დამოწმებული ასლი და აქტი დედნის ამოღების შესახებ.

მუხლი 41. მანქანურსაკითხავი დოკუმენტების ოპერატიული შენახვა

1.ა) მანქანურსაკითხავი დოკუმენტების მიღებას, აღრიცხვასა და გამოყენების ორგანიზაციას უზრუნველყოფს მანქანურსაკითხავი დოკუმენტების შენახვის სამსახური.

ბ) თავის საქმიანობაში შენახვის სამსახური ხელმძღვანელობს ამ წესებით, საერთო-სახელმწიფოებრივი და საწყებო ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტებით, მათ საფუძველზე შემუშავებული მანქანურსაკითხავი დოკუმენტების შენახვის სამსახურის დებულებით, ტექნოლოგიური, საექსპლუატაციო და თანამდებობრივი ინსტრუქციებით, დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებებით.

გ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტების შენახვის სამსახურის დებულება აღგენს ამ ქვედანაყოფის სტრუქტურას, უფლებებსა და მოვალეობებს. დებულებას ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

დ) მანქანურსაკითხავ დოკუმენტებზე ოპერაციების შესრულება რეგლამენტირებულია ტექნოლოგიური ინსტრუქციებით, რომლებითაც დგინდება მანქანურსაკითხავი დოკუმენტების მიღებისა და შემოწმების, რეგისტრაციის, საცავებში განლაგების წესი, დაცული ინფორმაციის სახეობა, თანდართული და სააღრიცხვო დოკუმენტების აღწერილობის მიხედვით მანქანურ-საკითხავი დოკუმენტების საკლასიფიკაციო სქემა და ა.შ.

2. ჩანაწერის გამოსაყენებელი მატარებლების თავისებურებათა გათვალისწინებით შენახვის სამსახურში დოკუმენტებისათვის მაგნიტურ მატარებლებზე (მაგნიტურ ლენტებზე, მაგნიტურ დისკოებზე) იქმნება საცავები, რომლებშიც შეიძლება გამოიყოს მანქანურსაკითხავი დოკუმენტების ოპერატიული და ხანგრძლივვადიანი შენახვის უბნები.

3. ა) დოკუმენტებისა და იმ მანქანურმატარებლების ოპერატიული მოძიების ორგანიზაციის მიზნით, რომლებზეც ჩაიწერა ეს დოკუმენტები, დოკუმენტების შენახვის სამსახური ქმნის საინფორმაციო-საძიებო სისტემას.

ბ) საინფორმაციო-საძიებო აპარატის საფუძველს შეადგენს სააღრიცხვო დოკუმენტები (მანქანურ-მატარებლებისა და მანქანურსაკითხავი დოკუმენტების ჟურნალები და ბარათები). მანქანურსაკითხავი დოკუმენტების სააღრიცხვო ბარათების სისტემატიზაცია შეიძლება განხორციელდეს დოკუმენტების ამოცანების, სახელწოდებებისა და კოდების მიხედვით, ხოლო შიგნით-ქვედანაყოფების ნომრების ან დასახელების, მოსარგებლეთა ჯგუფების მიხედვით და ა.შ.

გ) სააღრიცხვო დოკუმენტების დიდი მოცულობის შემთხვევაში მიზანშეწონილია შეიქმნას მექანიზებული და ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემები.

4. ა) შენახვის სამსახური მანქანურსაკითხავ დოკუმენტებს მიაწვდის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, დროებითი ან მუდმივი სარგებლობისათვის სხვა დაწესებულებებს, ახორციელებს მათი დროულად დაბრუნების კონტროლს.

ბ) შენახვის სამსახური მანქანურსაკითხავი დოკუმენტების დედნებს გასცემს მათში ცვლილებების შესატანად, აგრეთვე დოკუმენტების ასლების მოსამზადებლად. გამოსაყენებლად გაიცემა მანქანურსაკითხავი დოკუმენტების დუბლიკატები და ასლები.

5. ა) შენახვის სამსახური უზრუნველყოფს მანქანურსაკითხავი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მოწყობას, მონაწილეობს საექსპერტო კომისიის მუშაობაში ამ დოკუმენტების შენახვის ვადებისა და დაცვის რეჟიმის განსაზღვრისათვის.

ბ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტების საწყებო შენახვის ვადები დგინდება მოსარგებლეებთან ერთად დოკუმენტების ნუსხების საფუძველზე, რომლებიც მუშავდება არსებული ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების გათვალისწინებით და თანხმდება საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტთან.

გ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავი III

დოკუმენტების შესრულების კონტროლი

მუხლი 42

1. კონტროლს ექვემდებარება შესასრულებელი დოკუმენტები. შესრულების კონტროლი მოიცავს დოკუმენტის კონტროლზე აყვანას, შემსრულებლისათვის მისი დროული მიწოდების შემოწმებას, შესრულების მიმდინარეობის შემოწმებასა და რეგულირებას, დოკუმენტების შესრულების კონტროლის შედეგების აღრიცხვასა და განზოგადებას, ხელმძღანელობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. შესრულების კონტროლის ორგანიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს დოკუმენტის დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

2. კონტროლს ახორციელებენ ხელმძღვანელები, საქმისწარმოების სამსახური და პასუხისმგებელი შემსრულებლები. საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტების შესრულების კონტროლი დაწესებულების ხელმძღვანელობის დავალებით ხორციელდება საქმეთა მმართველობის, კანცელარიის, საერთო განყოფილების და ა.შ. შემადგენლობაში შემავალი სპეციალური სამსახურის ან სპეციალურად დანიშნული პირის მიერ. დოკუმენტაციის სხვა სისტემების (საგაგემო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და ა.შ.) დოკუმენტების შესრულების კონტროლი ხელმძღვანელების დავალებით ხორციელდება შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში.

მუხლი 43. დოკუმენტების შესრულების ვადები

1. დოკუმენტების შესრულების ვადები გამოითვლება კალენდარული დღეების მიხედვით დოკუმენტის ხელმოწერის (დამტკიცების) თარიღიდან, ხოლო სხვა დაწესებულებებიდან შემოსული დოკუმენტებისათვის - მათი შემოსელის თარიღიდან.

2. შესრულების ვადებს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი დოკუმენტების გამომგზავნი დაწესებულებების მიერ ან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ნორმატიული აქტებით დადგენილი ვადებიდან გამომდინარე. შესრულების საბოლოო თარიღი მიეთითება დოკუმენტის ტექსტში ან ხელმძღვანელის რეზოლუციაში.

3. შესრულების ვადის შეცვლა ხდება ამ ვადის დამდგენი პირის მიერ. დოკუმენტების შესულების შეჩერების, აგრეთვე მათი გაუქმების უფლება აქვთ მხოლოდ ზემდგომ დაწესებულებასა და დოკუმენტის ავტორ-დაწესებულებას.

მუხლი 44. დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზაცია

1. დოკუმენტი შესრულებულად ითვლება და კონტროლიდან იხსნება დავალებების, შეკითხვების შესრულების, დაინტერესებული დაწესებულებებისა და პირებისათვის შედეგების შეტყობინების ან სხვა სახის დოკუმენტურად დადასტურების შემდეგ. შესრულების შედეგების შესახებ მზადდება მოკლე ცნობა, რომელიც თან ერთვის დოკუმენტს.

2. დოკუმენტების შესრულების კონტროლი ითვალისწინებს შემდეგ ოპერაციებს: დაქვემდებარებული დოკუმენტების კომპიუტერული ან ჩვეულებრივი კარტოთეკის ფორმირებას; დოკუმენტის (დავალების პუნქტის) ბარათის გადაცემას შესრულებელ ქვედანაყოფში; შემსრუ-ლებლის სახელისა და გვარის, ტელეფონის ნომრის დადგენას; შემსრულებელი ქვედანაყოფისათვის შესრულების ვადის შესსენებას; შესრულების მიმდინარეობასა და შედეგებზე ინფორმაციის მიღებას; კონტროლს დაქვემდებარებული დოკუმენტის ბარათში შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების ჩაწერას; შესრულების შესახებ ხელმძღვანელებისათვის ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას; ოპერატიულ თათბირებსა და კოლეგიური ორგანოების სხდომებზე დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ მოხსენებას; ხელმძღვანელების მითითებით კონტროლიდან დოკუმენტების მოხსნას; შესრულებული დოკუმენტების საინფორმაციო ბაზის ფორმირებას.

3. კონტროლს დაქვემდებარებული დოკუმენტების საინფორმაციო ბაზის სისტემატიზაცია ხორციელდება დოკუმენტების შესრულების ვადების, შემსრულებლების, დოკუმენტების ჯგუფების (მინისტრის ბრძანებები, საბჭოს გადაწყვეტილებები და სხვ.) მიხედვით.

4. ა) შესრულების მიმდინარეობის შემოწმება ხორციელდება ყველა ეტაპზე შემდეგი წესით: შემდგომი წლების დავალებების - წელიწადში ერთხელ მაინც; მიმდინარე წლის შემდგომი თვეების

დავალებისა – თვეში ერთხელ მაინც; მიმდინარე თვის დაკალებებისა – ყოველ ათ დღეში, ხუთი დღით ადრე მესრულების ვადამდე.

საქმისწარმოების სამსახური ან საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი პირი ახორციელებს დოკუმენტების მესრულების მიმდინარეობისა და შედეგების მონაცემების აღრიცხვასა და განზოგადების ხელმძღვანელის მიერ დადგენილ ვადებში ან თვეში ერთხელ მაინც.

კარი IV

საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და საქმეების ფორმირება

მუხლი 45

საქმეთა ნომენკლატურების შედგენა და საქმეების ფორმირება წარმოადგენს სამუშაოთა იმ ძირითად სახეობას, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში დოკუმენტების სწორ ორგანიზაციას.

თავი I

საქმეთა ნომენკლატურების შედგენა

მუხლი 46

1. ა) საქმეთა ნომენკლატურა წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ საქმეთა სათაურების დადგენილი წესით გაფორმებულ სისტემატიზებულ ნუსხას, რომელშიც მითითებულია საქმეთა შენახვის ვადები. საქმეთა ნომენკლატურა დგება დაწესებულების საქმისწარმოებაში საქმეების ფორმირებისა და აღრიცხვის წესის უზრუნველსაყოფად. ნომენ-კლატურა განსაზღვრავს საქმეებში მესრულებული დოკუმენტების დაჯგუფებას, საქმეთა სისტემატი-ზაციას, ინდექსაციასა და შენახვის ვადებს. იგი წარმოადგენს მუდმივად და ხანგრძლივად (10 წელზე მეტხანს) მესანახ საქმეთა აღწერილობის შედგენის საფუძველს და საქმისწარმოებაში ძირითად საანრიცხეო დოკუმენტს.

ბ) ნომენკლატურაში დამკვიდრებული საქმეთა სისტემატიზაციის სქემა შეიძლება გამო-ყენებულ იქნეს მესრულებული დოკუმენტების კარგოთეკის სქემის შემუშავების დროს. საქმეთა ნომენკლატურის შედგენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურს.

2.ა) არსებობს საქმეთა ნომენკლატურების სამი სახეობა: ტიპობრივი, სანიმუშო და კონკრეტული.

ბ) საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურები იმ საქმეთა უნიფიცირებული (ტიპობ-რივი ან სანიმუშო) სათაურების სისტემატიზებული სიებია, რომლებიც შემოღებულია განსაზღვრული კატეგორიების ისეთი დაწესებულებების საქმისწარმოებაში, სადაც იქმნება ერთი ტიპის დოკუ-მენტები.

გ) საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურა აღგენს იმ საქმეთა ტიპობრივ შემადგენლობას, რომლებიც შემოღებულია განსაზღვრული კატეგორიის დაწესებულებათა საქმისწარმოებაში, აწესებს საქმეების ერთიან ინდექსაციას დარგში (სისტემაში) და წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს.

დ) საქმეთა სანიმუშო ნომენკლატურა აღგენს იმ დაწესებულებების საქმისწარმოებაში მემოღებულ საქმეთა სანიმუშო შემადგენლობას, რომლებზეც იგი ვრცელდება საქმეთა ინდექსების აღნიშვნით. მას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

ე) საქმეთა ტიპობრივ და სანიმუშო ნომენკლატურებს აღგენენ იმ დაწესებულებების საქმისწარმოების სამსახურები, რომლებსაც აქვთ ერთგვაროვანი დაწესებულებების საქვეუწყებო ქსელი.

ვ) საქმეთა ტიპობრივ და სანიმუშო ნომენკლატურებს, რომლებსაც მოიწონებს დაწე-სებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისია, უთანხმებენ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალურ საექსპერტო-მემმოწმებელ კომისიას და მათ ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

ზ) საქმეთა კონკრეტული ნომენკლატურა იმ საქმეთა სათაურების სისტემატიზებული ნუსხაა, რომელთა მემოღება განზრახულია ერთი დაწესებულების (ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის) საქმისწარმოებაში განსაზღვრულ კალენდარულ წელს იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებსაც დაწესებულება ამ წელიწადში ასრულებს.

თ) საქმეთა ტიპობრივ და სანიმუშო ნომენკლატურებს იყენებენ დაწესებულების საქმეთა კონკრეტული ნომენკლატურების შედგენისას.

ი) საქმეთა კონკრეტულ ნომენკლატურაში ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურებიდან გადააქვთ მათში გათვალისწინებული იმ საქმეთა სათაურები, რომელთა შემოღება განზრახულია დაწესებულების საქმისწარმოებაში. თითოეული საქმის სათაურის ვადატანა საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურიდან ხდება მთლიანად და შეიძლება მხოლოდ მისი დაკონკრეტება ამა თუ იმ დაწესებულებაში საქმეთა ფორმირების სპეციფიკის მიხედვით. საქმეთა სანიმუშო ნომენკლატურის სპეციფიკა გულისხმობს, რომ სანიმუშო ნომენკლატურის საქმის ერთი სათაურიდან კონკრეტულ ნომენკლატურაში შეიძლება საქმეთა რამდენიმე სათაურის გათვალისწინება, ანდა, პირიქით, შენახვის ერთიანი ვადების მქონე საქმეთა სათაურები შეიძლება გაერთიანდეს ერთ სათაურად.

კ)საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურით გათვალისწინებული საქმეების შენახვის ვადები უცვლელად გადადის მათ კონკრეტულ ნომენკლატურაში.

3.ა) თითოეულ დაწესებულებას, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა საქმეთა ტიპობრივი ან სანიმუშო ნომენკლატურა, უნდა ჰქონდეს საქმეთა კონკრეტული ნომენკლატურა. მას აგენს დაწ-ესებულების საქმისწარმოების სამსახური სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმეთა ნომენ-კლატურების საფუძველზე.

ბ)დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის გაფორმება ხდება დაწესებულების საერთო ბლანკზე (იხ. საქართველოს სახელმწიფო სტანდარტი 6.2-94).

გ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შედგენა ხდება მისი საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტების შემადგენლობის, შინაარსისა და რაოდენობის შესწავლის საფუძველზე. მისი შედგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საქმისწარმოების ერთიანი წესებით, დაწესებულებისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებით, საშტატო ნუსხით, დაწესებულების სამუშაო გეგმებითა და ანგარიშებით, საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურებით, დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველი ტიპობრივი და საუწყებო ნუსხებით, დაწესებულების წინა წლების საქმეთა ნომენკლატურებით, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა აღწერებით, საცნობარო კატოთეკებით.

მუხლი 47. სათაურები და მათი შედგენა საქმეთა ნომენკლატურაში

1.ნომენკლატურაში დოკუმენტების დასაჯგუფებლად გათვალისწინებული უნდა იყოს საქმეთა სათაურები, რომლებიც ასახავენ დაწესებულების მუშაობის ყველა დოკუმენტირებულ უბანსა და საქმიანობას.

2.საქმეთა ნომენკლატურაში შეიტანება დროებით მოქმედი ორგანოების საქმეები, რომელთა დოკუმენტები დაწესებულების უფლებამოსილების დადასტურების ან მისი საქმიანობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველია (მაგალითად, დაწესებულების სალიკვიდაციო კომისიის საქმეები შეიტანება ლიკვიდირებული დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში).

3.იმ საკითხთა საქმეების სათაურები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში არ გადაწყვეტილა, „გარდამავალია" და იმავე ინდექსით შეიტანება დაწესებულების მომდევნო წლის საქმეთა ნომენკლატურაში.

4.დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში შეიტანება იმ ლიკვიდირებული დაწესებულებების საქმისწარმოებით დაუმთავრებელ საქმეთა სათაურები, რომელთა უფლებამოსილი მემკვიდრე არის დაწესებულება.

5.საქმეთა ნომენკლატურაში არ შეიტანება ბეჭდურ გამოცემათა სათაურები.

6.საქმის სათაური მკაფიოდ და განზოგადებული ფორმით უნდა ასახავდეს საქმის დოკუმენ-ტების ძირითად შინაარსსა და შემადგენლობას. საქმის სათაურში დაუშვებელია არაკონკრეტული ფორმულირების ("სხვადასხვა დოკუმენტი", "საერთო მიმოწერა" და ა.შ.), აგრეთვე ჩართული სიტყვებისა და რთული სინტაქსური ფორმების გამოყენება. საქმეთა სათაურები შეიძლება დაზუსტდეს საქმეთა გაფორმების პროცესში.

7.ა) საქმის სათაური შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

_ საქმის სახეობის (მიმოწერა, დავთარი და ა.შ.) ან დოკუმენტების ნაირსახეობის (ოქმები, ბრძანებები და ა.შ.) სახელწოდებას;

_ დაწესებულების ან სტრუქტურული ქვედანაყოფის (დოკუმენტის ავტორის) დასახელებას;

_ იმ დაწესებულების დასახელებას, რომელსაც გაეგზავნება ან რომლისგანაც მიიღება დოკუ-მენტები (დოკუმენტის აღრესატი ან კორესპონდენტი);

_ საქმის დოკუმენტების მოკლე შინაარსს;

_ საქმის დოკუმენტების შინაარსთან დაკავშირებული ადგილმდებარეობის (ტერიტორიის) სახელწოდებას;

_ თარიღებს (პერიოდს), რომლებსაც განეკუთვნება საქმის დოკუმენტები;

_ საქმის დოკუმენტების ასლებზე მითითებას.

ბ) საქმის სათაურის ელემენტების შემადგენლობა განისაზღვრება საქმის დოკუმენტების ხასიათით.

8.ა) სასამართლო, საგამოძიებო, პირადი (პერსონალური), საარბიტრაჟო და სხვა საქმეთა სათაურებში, რომლებიც მოიცავენ ერთ კონკრეტულ საკითხზე თანამიმდევრობით დაკავშირებულ დოკუმენტებს, საქმის სახეობის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი "საქმე".

ბ) იმ საქმეთა სათაურებში, რომელთა დოკუმენტები ეხებიან ერთ საკითხს, მაგრამ დაკავშირებული არ არიან საქმისწარმოების თანამიმდევრობით, საქმის სახეობის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი ,,დოკუმენტები", ხოლო სათაურის ბოლოში ფრჩხილებში მიეთითება იმ დოკუმენტების ძირითადი ნაირსახეობები, რომლებიც უნდა დაჯგუფდეს საქმეში. მაგალითად: "დოკუმენტები დარეთამორისი და დარეობრიები თემატური გამოფენების მოწყობის შესახებ (ფოტოები, სიები, მოხსენებები, ექსპონატების დახასიათებები)".

გ)ტერმინი ,,დოკუმენტი" გამოიყენება აგრეთვე იმ საქმეთა სათაურებში, რომლებიც შეიცავენ რომელიმე დოკუმენტის დანართს. მაგალითად: "სამინისტროს კოლეგიის სხდომის ოქმების დოკუმენტები".

დ)ერთი ნაირსახეობის დოკუმენტების დაჯგუფებისათვის განკუთვნილ საქმეთა სათაურებში დოკუმენტების ნაირსახეობა აღინიშნება მრავლობით რიცხვში.

ე)დაწესებულების, როგორც დოკუმენტების ავტორის, დასახელება აღინიშნება მოკლედ ან იწერება მისი ზოგადი სახელწოდება. მაგალითად: "ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომათა ოქმები".

ვ)მიმოწერის შემცველ საქმეთა სათაურებში მიეთითება ვისთან და რა საკითხზე (საკითხებზე) მიმდინარეობს მიმოწერა. იმ საქმეთა სათაურებში, რომლებიც მოიცავენ მიმოწერას ერთგვაროვან კორესპონდენტებთან, ამ უკანასკნელთა ჩამოთვლა საჭირო არ არის, აღინიშნება მხოლოდ მათი საერთო სახეობრივი სახელწოდება. მაგალითად: ,,მიმოწერა ტრესტებთან სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებზე".

ზ)სხვადასხვაგვარ კორესპონდენტებთან მიმოწერის შემცველ საქმეთა სათაურებში კორესპონდენტები არ მიეთითება. მაგალითად: ,,მიმოწერა სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების საკითხებზე სემინარებისა და თათბირების მოწყობის შესახებ".

თ) საქმის სათაურში მიეთითება კონკრეტული კორესპონდენტი, თუ მიმოწერა მხოლოდ მასთან წარმოებს. მაგალითად: ,,მიმოწერა საქენერგოსთან ელექტროენერგიის განაწილების შესახებ".

ი) საქმის სათაურებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების აღნიშვნის დროს გასათვალისწინებულია შემდეგი:

_ თუ საქმის შინაარსი ეხება რამდენიმე ერთგვაროვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, საქმის სათაურში არ აღინიშნება მათი კონკრეტული სახელწოდებები, მიეთითება მხოლოდ მათი საერთო სახეობრივი სახელწოდება. მაგალითად: ,,მიმოწერა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ".

_ თუ საქმის შინაარსი ეხება ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (დასახლებულ პუნქტს), მისი დასახელება აღინიშნება საქმის სათაურში. მაგალითად: ,,მიმოწერა ინსტიტუტის ყორის ფილიალთან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციის საკითხებზე".

კ) საგეგმო ან საანგარიშგებო დოკუმენტაციის შემცველ საქმეთა სათაურებში მიეთითება გეგმების (ანგარიშების) მომცველი პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი), მაგალითად: ,,საწარმოს კვარტალური ანგარიშები ავტოტრანსპორტის მუშაობის შესახებ".

ლ) თუ საქმე შედგება რამდენიმე ტომისა ან ნაწილისაგან, დგება საქმის საერთო სათაური, ხოლო შემდეგ საჭიროების შემთხვევაში თითოეული ტომის (ნაწილის) სათაურები, რომლებიც აზუსტებენ საქმის სათაურის შინაარსს.

მუხლი 48. დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შედგენისა და დამტკიცების წესი

1.დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურას მომავალი კალენდარული წლისათვის დადგენილი ფორმით (დანართი 7) აგენს საქმისწარმოების სამსახური წინა წლის ბოლო კვარტალში

სტრუქტურულ-ლი ქვედანაყოფების საქმეთა ნომენკლატურების საფუძველზე, რომლებიც შედგენილია მათ მიერ ანალოგიური ფორმით (დანართი 8), შეთანხმებულია საუწყებო არქივთან და ხელმოწერილია ამ ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მიერ.

2.დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის განაყოფების სახელწოდებები შეესაბამება სტრუქტურული ქვედანაყოფების დასახელებებს და ნომენკლატურაში განლაგებულია დამტკიცებული სტრუქტურის მიხედვით. ნომენკლატურის პირველ განაყოფში შეიტანება დაწესებულების საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის საქმეთა სათაურები. თუ დაწესებულებას არა აქვს სტრუქტურული დაყოფა, საქმეთა ნომენკლატურა დგება საწარმოო-დარგობრივი ან ფუნქციური სქემების მიხედვით; მისი განაყოფების სახელწოდებები განისაზღვრება დაწესებულების მმართველობითი ფუნქციებისა და საქმიანობის მიმართულებათა შინაარსის მიხედვით.

3. დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურას ვიზას აძლევს საუწყებო არქივის გამგე, ხელს აწერს საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი და დაწესებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის მოწონების შემდეგ მესათანხმებლად ეგზავნება შესაბამისი სახელმწიფო საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიას, რის შემდეგ მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

4. დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურა იბეჭდება, ხოლო შემდეგ მრავლდება საჭირო რაოდენობის ეგზემპლარებად. ამასთან პირველი ეგზემპლარი ინახება დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურში, მეორე ეგზემპლარს ხსენებული სამსახური იყენებს როგორც სამუშაო ეგზემპლარს, მესამე ეგზემპლარი, როგორც სააღრიცხვო დოკუმენტი, ინახება საუწყებო არქივში, მეოთხე - დაცულია სახელმწიფო არქივში, რომლის დაკომპლექტების წყაროა მოცემული დაწესებულება.

5.საარქივო დაწესებულებასთან შეთანხმებული საქმეთა ნომენკლატურა ყოველი წლის დამლევს უნდა დაზუსტდეს, გადაიბეჭდოს, დამტკიცდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და ძალაში შეიდეს მომდევნო კალენდარული წლის 1 იანვრიდან. მისი ხელახალი შეთანხმება საარქივო დაწესებულებასთან ხდება 5 წელიწადში ერთხელ მაინც. დაწესებულების ფუნქციებისა და სტრუქტურის ძირეულად შეცვლის შემთხვევაში იგი ხელახლა უნდა შედგეს, შეთანხმდეს და დამტკიცდეს მისი შეთანხმების ვადის მიუხედავად. საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცებული ეგზემპლარი მუდმივად შესანახი დოკუმენტია და შეიტანება ნომენკლატურის საქმისწარმოების სამსახურის განაყოფში.

6.დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების შემდეგ სტრუქტურული ქვედანაყოფები იღებენ მისი შესაბამისი განაყოფების ამონაწერებს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

7.იმ დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურას, რომელიც დოკუმენტებს არ გადასცემს სახელმწიფო შენახვისათვის, დაწესებულების საექსპერტო კომისიის მიერ მოწონების შემდეგ ყოველწლიურად ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

მუხლი 49. მოთხოვნები საქმეთა ნომენკლატურის ფორმის შევსებისადმი

1.საქმეთა ნომენკლატურის პირველ გრაფაში დაისმება ნომენკლატურაში შეტანილი თითოეული საქმის ინდექსი. ინდექსი შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფის (საქმიანობის მიმართულების) ციფრობრივი აღნიშვნისა და საქმის სათაურის რიგითი ნომრისაგან ნომენკლატურის მიხედვით სტრუქტურული ქვედანაყოფის ან მთლიანად დაწესებულების ფარგლებში. ინდექსირების ეს წესი მკვიდრდება საქმისწარმოების ინსტრუქციით. საქმეთა ინდექსები აღინიშნება არაბული ციფრებით. მაგალითად: 12-05, სადაც 12 სტრუქტურული ქვედანაყოფის აღნიშვნაა, ხოლო 05 - საქმის რიგითი ნომერი ნომენკლატურის მიხედვით. ინდექსის ციფრების ჯგუფები ერთმანეთისაგან გამოიყოფა ტირეებით. დაწესებულებაში კლასიფიკატორის არსებობისას საქმის ინდექსები შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფის ციფრობრივი აღნიშვნისაგან, ციფრობრივი აღნიშვნისაგან კლასიფიკატორის მიხედვით და საქმის რიგითი ნომრისაგან სტრუქტურული ქვედანაყოფის ან მთლიანად დაწესებულების ფარგლებში. მაგალითად: 12-25-05, სადაც 12 სტრუქტურული ქვედანაყოფის აღნიშვნაა, 25 - საკითხის პირობითი აღნიშვნა კლასიფიკატორის მიხედვით, ხოლო 05 - საქმის რიგითი ნომერი ნომენკლატურის მიხედვით. თუ საქმე რამდენიმე ტომისაგან (ნაწილისაგან) შედგება, ინდექსი დაისმება თითოეულ ტომზე (ნაწილზე) აღნიშვნების "1ტ", "მე-2ტ", "მე-3 ტ" და ა.შ. დამატებით.

2.საქმეთა ნომენკლატურის მეორე გრაფაში შეიტანება საქმეთა (ტომების, ნაწილების) სათაურები. ნომენკლატურის განაყოფებსა და ქვედანაყოფებში საქმეთა სათაურების განლაგების

წესი განისაზღვრება საქმეების შემცველი დოკუმენტების მნიშვნელობით და ურთიერთკავშირით. თავდაპირველად განლაგდება საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის საქმეთა სათა-ურები. ამასთან შემდგომ დაწესებულებათა განკარგულებითი დოკუმენტების საქმეთა სათაურები განლაგდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებების საქმეთა სათაურების წინ. შემდეგ განლაგდება საელჩო და საანგარიშგებო დოკუმენტების საქმეთა სათაურები. გეოგრაფიული და კორესპონდენტების ნიშნით შემოღებულ საქმეთა სათაურები ნომენკლატურაში შეიტანება გეოგრაფიული დასახელებების ან კორესპონდენტების ანბანის მიხედვით.

3.საქმეთა ნომენკლატურის მე-3 გრაფის შევსება ხდება კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ.

4.მე-4 გრაფის მრიცხველში აღინიშნება საქმის შენახვის ვადა, მნიშვნელში - მუხლის ნომერი ნუსხის (ტიპობრივი, საუწყებო) მითითებით, ხოლო ნუსხის არარსებობის შემთხვევაში - საქმეთა ტიპობრივი ან სანიმუშო ნომენკლატურის ან საქმის შენახვის ვადის დადგენის სხვა საფუძვლის მითითებით. თუ ნომენკლატურაში შეიტანება იმ დოკუმენტების საქმეთა სათაურები, რომელთა შენახვის ვადა გათვალისწინებული არ არის დოკუმენტების ტიპობრივი ან საუწყებო ნუსხებით, მათი შენახვის ვადა დგინდება შესაბამისი საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულების საუწყებო არქივისა და ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის წარდგინებით.

5.მე-5 გრაფაში "შენიშვნა" ნომენკლატურის მოქმედების ვადის მთელ მანძილზე საქმის-წარმოების სამსახური აღნიშნავს დოკუმენტების შენახვის ვადების ამსახველი ნუსხების სახელ-წოდებებს, რომლებიც გამოყენებული იყო საქმეთა შენახვის ვადების განსაზღვრისას ნომენ-კლატურების შედგენის დროს, აგრეთვე შეაქვს აღნიშვნები საქმეთა შემოღების, გარდამავალი საქმეების, საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის, საქმეების ფორმირებისათვის პასუხისმგებელი პირების, სხვა დაწესებულებაში გასაგრძელებლად საქმეთა გადაცემისა და სხვათა შესახებ.

6.იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია გრადიციული მატარებლიდან მანქანურზე გადააქვთ, მანქანურსაკითხავი დოკუმენტის ინდექსი აღინიშნება ამავე გრაფაში.

7.კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ დაწესებულების საქმისწარმოების სამსახური საქმეთა ნომენკლატურის ბოლოს აკეთებს შემაჯამებელ ჩანაწერს საქმეთა (ტომების, ნაწილების) რაოდენობის შესახებ, ცალ-ცალკე მუდმივად, ხანგრძლივად (10 წელზე მეტხანს) და დროებით (10 წლის ჩათვლით) შესანახ საქმეებზე. დაწესებულების საქმეთა შემაჯამებელი ჩანაწერი კეთდება სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმეთა ნომენკლატურების შემაჯამებელი ჩანაწერების საფუძ-ველზე. დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შემაჯამებელი ჩანაწერები სავალდებულო წესით ეგზავნება საუწყებო არქივს, რის შესახებაც ნომენკლატურაში შეაქვთ სათანადო აღნიშვნა იმ პირის თანამდებობის მითითებით, რომელმაც გააკეთა ეს ჩანაწერი, აგრეთვე მისი ხელმოწერა და ხელმოწერის გაშიფვრა.

თავი II

საქმეთა ფორმირება

მუხლი 50. ძირითადი მოთხოვნები საქმეთა ფორმირებისდმი

1. საქმეში თავსდება დოკუმენტები, რომელთა შინაარსი შეესაბამება საქმის სათაურს, ამასთან აკრძალულია საქმეებში დოკუმენტების შავი და დუბლეტური ეგზემპლარების (საქმეში შეიძლება განსაკუთრებულად ფასეული დოკუმენტების შავი და დუბლეტური ეგზემპლარების შეტანა), აგრეთვე დასაბრუნებელი დოკუმენტების მოთავსება.

2.დაწესებულებებში საქმეთა ფორმირებას უზრუნველყოფს დაწესებულების საქმის-წარმოების სამსახური. საქმეთა ფორმირება წარმოებს საუწყებო არქივის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო არქივის უშუალო მეთოდიკური ხელმძღვანელობით..

3.საქმეთა ფორმირების დროს საჭიროა შემდეგი ძირითადი მოთხოვნების დაცვა:

ა) მუდმივად, ხანგრძლივად და დროებით შესანახი დოკუმენტები საჭიროა მოთავსდეს სხვადასხვა საქმეში;

ბ)საქმეში თავსდება თითოეული დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი;

გ) საქმეში მოთავსებული დოკუმენტი უნდა გაფორმდეს სახელმწიფო სტანდარტისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად;

დ) საქმეში თავსდება ერთი კალენდარული წლის დოკუმენტები; გამონაკლისს წარმოადგენენ: გარდამავალი, სასამართლო და პირადი საქმეები, რომელთა ფორმირება ხდება დაწესებულებაში ამა თუ იმ პირის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში; არჩევითი დაწესებულებებისა და მათი მუდმივი კომისიების დოკუმენტები, რომელთა დაჯგუფება ხდება მათი მოწვევის პერიოდში; სასწავლებელთა დოკუმენტები, რომელთა ფორმირება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში; თეატრების დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ მათ საქმიანობას თეატრალური სეზონის განმავლობაში; ფილმების, ხელნაწერების საქმეები, ავადმყოფობის ისტორიები და სხვა საქმეები;

ე) მანქანოგრამები საქმეებში თავსდება საერთო წესის მისედვით;

ვ) საქმეში უნდა მოთავსდეს არა უმეტეს 250 ფურცლისა, ხოლო მისი სისქე არ უნდა აღემატებოდეს 4 სმ.

4.საქმეში დოკუმენტები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ თავისი შინაარსით თანამიმდევრულად აშუქებდეს გარკვეულ საკითხებს. ამასთან დოკუმენტები განლაგებული უნდა იყოს ქრონოლოგიური წესით (შემოსული-შემოსელის თარიღების, გასული-გაგზავნის თარიღების მიხედვით) ან ავტორებისა თუ კორესპონდენტების ანბანის მიხედვით. ამასთანავე მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეებში ქრონოლოგიური წესით განლაგებისას ადრინდელი დოკუმენტები უნდა ეთავსდეს საქმის დასაწყისში, ხოლო გვიანდელი საქმის ბოლოში. დოკუმენტების პირუკუ განლაგება დაიშვება მხოლოდ დროებით შესანახ საქმეთა ფორმირებისას. დოკუმენტების დანართები, მათი დამტკიცებისა და შედგენის თარიღის მიუხედავად, უერთდება დოკუმენტებს, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან. 250 ფურცელზე მეტი მოცულობის დანართები შეადგენენ ცალკე ტომს, რის შესახებაც დოკუმენტში გაკეთდება აღნიშვნა.

5.დაწესებულებასა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საქმეთა ფორმირების სისწორის კონტროლს ახორციელებს საქმისწარმოების სამსახური ან საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 51. დოკუმენტების ცალკეული კატეგორიების დაჯგუფება

1.განკარგულებითი დოკუმენტების დაჯგუფება საქმეებში ხდება სახეობებისა და ქრონო-ლოგიის მიხედვით მათთვის განკუთვნილი დანართებით.

2.განკარგულებითი დოკუმენტებით დამტკიცებული წესდებები, დებულებები, ინსტრუქციები მათი დანართებია და ჯგუფდება მათთან ერთად, ხოლო თუ ისინი დამტკიცებულია როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტები, მათ აჯგუფებენ დამოუკიდებელ საქმეებად.

3.ძირითადი საქმიანობის ბრძანებები და პირადი შემადგენლობის ბრძანებები ჯგუფდება ცალ-ცალკე.

4.პირადი შემადგენლობის ბრძანებები საქმეებად ჯგუფდება მათი შენახვის დადგენილი ვადების მიხედვით. დოკუმენტების დიდი მოცულობის პირობებში მიზანშეწონილია, რომ პირადი შემადგენლობის ბრძანებები, რომლებიც ეხება დაწესებულების საქმიანობის სხვადასხვა მხარეს (სამუშაოზე მიღება, დათხოვნა, გადაადგილება, მივლინებები, პრემირება და ა.შ.), დაჯგუფდეს დამოუკიდებელ საქმეებად.

5.ზემდგომ დაწესებულებათა დავალებები და მათი შესრულების დოკუმენტები საქმეებში ჯგუფდება დაწესებულების საქმიანობის მიმართულებათა მიხედვით.

6.დამტკიცებული გეგმები, ანგარიშები, ხარჯთანუსხები, ლიმიტები, საგიგულო სიები და სხვა დოკუმენტები ჯგუფდება ცალკე მათი პროექტებისაგან.

7.პირად საქმეებში დოკუმენტების განლაგება ხდება ქრონოლოგიურად მათი შემოსელის კვალობაზე.

8.მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის პირადი ანგარიშები ჯგუფდება დამოუკიდებელ საქმეებად და განლაგდება მათში ანბანური წესით გვარების მიხედვით.

9.მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები, საჩივრები დაწესებულებათა მუშაობის საკითხებზე და ყველა დოკუმენტი მათი განხილვისა და შესრულების შესახებ ჯგუფდება ცალკე პირად საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებებისაგან.

10.მიმოწერა, როგორც წესი, ჯგუფდება კალენდარული წლის პერიოდის მიხედვით და მისი სისტემატიზაცია ხდება ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. დოკუმენტი-პასუხი თავსდება დოკუმენტი შეკითხვის შემდეგ. გარკვეულ საკითხზე წინა წელს დაწყებული მიმოწერის განახლების შემთხვევაში

დოკუმენტი შეიტანება მიმდინარე წლის საქმეში წინა წლის საქმის ინდექსის მითითებით. დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით მიმოწერის დაჯგუფება შეიძლება სასწავლო წლის, მოწვევის ვადისა და ა.შ. ფარგლებშიც.

11.მანქანურსაკითხავი დოკუმენტები ჯგუფდება საქმეებად ნომენკლატურის მიხედვით.

კარი V

დოკუმენტების მომზადება საუწყებო არქივში გადასაცემად

მუხლი 52

1.მუდმივად და ხანგრძლივად (10 წელი და ზევით) შესანახი დასრულებული საქმეები (მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები) სამი წლის განმავლობაში რჩება სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საცნობარო მუშაობისათვის, ხოლო შემდეგ ბარდება ამ დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს (დაქვემდებარების და საკუთრების ფორმის მიუხედავად) საარქიო სამსახურს (საუწყებო არქივს), ამასთან, თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, ინახება სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. დროებით (10 წლის ჩათვლით) შესანახი საქმეები საუწყებო არქივს შეიძლება გადაეცეს დაწეს-ებულების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

2.დოკუმენტების მომზადება საუწყებო არქივში ჩასაბარებლად მოიცავს: დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მოწყობას; საქმეთა გაფორმებას; საქმეთა აღწერების შედგენას; დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის აქტების შედგენას.

თავი I

დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა

მუხლი 53

დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მიზანია მათი ფასეულობის პრინციპებისა და კრიტერიუმების შესწავლის საფუძველზე დოკუმენტების შენახვის ვადების განსაზღვრა და შესანახად შერჩევა.

მუხლი 54. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის პრინციპები და კრიტერიუმები

1. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ხდება ისტორიზმის, დოკუმენტების შეფასების კომპლექსურობისა და ყოველმხრივობის პრინციპების საფუძველზე, დოკუმენტების წარმოშობის, მინაარსისა და გარეგნულ თავისებურებათა კომპლექსურად გამოყენებული კრიტერიუმების შესაბამისად.

ა) წარმომობის კრიტერიუმებია: დაწესებულების (პირის) როლი და ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში თუ კონკრეტულ დარგში, მის მიერ შესრულებული ფუნქციების მნიშვნელობა.

ბ)მინაარსის კრიტერიუმებია: დოკუმენტებში ასახული ამბის (მოვლენის, საგნის) მნიშვნე-ლობა; დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მნიშვნელობა; მისი განმეორება სხვა დოკუმენტებში; დოკუმენტის მიზნობრივი დანიშნულება, სახეობა და ნაირსახეობა.

გ) დოკუმენტის გარეგნულ თავისებურებათა კრიტერიუმებია: დოკუმენტის იურიდიული უტყუარობა (ხელმოწერების, თარიღების, ბეჭდების არსებობა); რეზოლუციების, ჩანიშვნების არსებობა; ტექსტის გადმოცემის თავისებურებანი; დოკუმენტის ფიზიკური მდგომარეობის თავისებურებანი.

2.ა) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ხდება საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების შესაბამისად;

ბ)დოკუმენტების შენახვის ვადები განისაზღვრება დოკუმენტების ნუსხებით. ამ მიზნით დგება ტიპობრივი და საუწყებო (დარგობრივი) ნუსხები შენახვის ვადების ჩვენებით;

გ) ტიპობრივი დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველი ნუსხები დგება და მტკიცდება საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. ამ ნუსხების საფუძველზე სამთავრობო დაწესებულებები ადგენენ დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველ საუწყებო ნუსხებს, ამტკიცებენ მათ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად.

მუხლი 55. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ორგანიზაცია

1.დაწესებულების საქმისწარმოებაში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ხდება: საქმეთა ნომენკლატურების მედგენის, საქმეთა ფორმირებისა და საქმეებისათვის დოკუმენტების სწორად მიკუთვნების შემოწმების, საქმეთა შემდგომი შენახვისათვის მომზადების დროს.

2.დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ორგანიზებისა და მოწყობის, მათი სახელმწიფო შენახვისათვის გადასაცემად მომზადების, აგრეთვე დარგის (სისტემის) დაწესებულებებში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მიმდინარეობის კონტროლისა და მეთოდიკური დახმარების გაწევის მიზნით სამთავრობო დაწესებულებებში იქმნება მუდმივმოქმედი ცენტრალური საექსპერტო კომისიები. დანარჩენ დაწესებულებებში დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას, მათ შესანახად შერჩევას ახორციელებენ მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიები.

3.დაწესებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისია სათათბირო ორგანოა, მუშაობს შესაბამისი საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან მჭიდრო კონტაქტში და იღებს მისგან საჭირო ორგანიზაციულ-მეთოდიკურ მითითებებს.

4.ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის ფუნქციებსა და უფლებებს, მისი მუშაობის ორგანიზაციას განსაზღვრავს კომისიის დებულება, რომელიც დგება საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ტიპობრივი დებულების საფუძველზე. დაწესებუ-ლების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის დებულებას შესაბამის საარქივო დაწესებულებასთან შეთანხმების შემდეგ ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვა-ნელი.

5.საექსპერტო კომისია იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით ყველაზე კვალი-ფიციური მუშაკებისაგან სულ ცოტა სამი კაცის შემადგენლობით. მის შემადგენლობაში საკალ-დებულო წესით შედის საუწყებო არქივის გამგე (არქივისათვის პასუხისმგებელი პირი), ხოლო ცენტრალური საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში - შესაბამისი საარქივო დაწესებულების წარმომადგენელი. დაწესებულების საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შესაბამის სახელმწიფო არქივთან შეთანხმებით შეიძლება შეევიდეს მისი წარმომადგენელიც. დაწესებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება დაწესებულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი.

6.ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისია თავის სხდომებს მართავს დაწე-სებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმების შესაბამისად საჭიროების მიხედვით, წელიწადში ორჯერ მაინც. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმის უმრავლესობით. საექსპერტო კომისიის სხდომები ფორმდება ოქმებით, რომლებსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

მუხლი 56. დაწესებულების საქმისწარმოებაში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მოწყობის წესი

1.დაწესებულების საქმისწარმოებაში მუდმივად, ხანგრძლივად და დროებით შესანახი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ხორციელდება ყოველწლიურად საქმისწარმოების მუშაკების მიერ დაწესებულების ცენტრალურ საექსპერტო (საექსპერტო) კომისიასთან ერთად საუწყებო არქივის უშუალო მეთოდიკური ხელმძღვანელობით.

2.დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის დროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ხორციელ-დება მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების შერჩევა საუწყებო არქივში გადასაცემად; დროებით შესანახი დოკუმენტების შერჩევა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შემდგომი შენახვისა-თვის; წინა წლების იმ საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფა, რომლებსაც მენახვის ვადები გაუვიდათ. ამასთანავე მოწმდება დაწესებულების საქმეთა მოქმედი ნომენკლატურის ხარისხი და სისრულე, საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად შემოღებულ საქმეთა შენახვის ვადების გასაბღვ-რის სისწორე, დოკუმენტების გაფორმებისა და საქმეთა ფორმირების დადგენილი წესის დაცვა.

3.მუდმივად შესანახი დოკუმენტების შერჩევა ხდება დოკუმენტების საუწყებო (ხოლო მისი უქონლობის შემთხვევაში - ტიპობრივი) ნუსხისა და დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის საფუძველზე საქმეთა ფურცლობრივი გადასინჯვის გზით. არ დაიშვება დოკუმენტების შესანახად შერჩევა და გასა-ნადგურებლად გამოყოფა მხოლოდ საქმეთა სათაურების მიხედვით. მუდმივად შესანახი დოკუმენტების ფურცლობრივი გადასინჯვის დროს საქმეებიდან ამოღებულ უნდა იქნეს დოკუმენტების ფუბლიკეტური ეგზემპლარები, შავი ნაწერები, დოკუმენტების გაუფორმებელი ასლები და დროებით შესანახი დოკუმენტები.

4.ფურცლობრივად გადაისინჯება საქმეები "სშკ" აღნიშვნით მათგან მუდმივი შენახვის დოკუმენტების გამოსაყოფად. "სშკ" აღნიშვნით მუდმივად შენახვის დოკუმენტების საქმეები ხელახლა ფორმდება. მათი შემადგენლობიდან გამოყოფილი მუდმივად შესანახი დოკუმენტები უერთდება ერთგვაროვან საქმეებს და ფორმდება დამოუკიდებელ საქმეებად. დარჩენილი დროებით შესანახი დოკუმენტების ბომცველ საქმეთა შენახვის ვადები განისაზღვრება დოკუმენტების საუწყებო (მისი უქონლობის შემთხვევაში - ტიპობრივი) ნუსხის ან დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით. ახლად ფორმირებულ საქმეთა ჩაკერება ხდება მხოლოდ დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ.

5.მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების საუწყებო არქივში გადასაცემად მერჩევასთან ერთად სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ხდება შენახვის ვადაგასული დროებით შესანახი საქმეებისა და დოკუმენტების შერჩევა. ამასთან გასათვალისწინებელია დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში ისეთი აღნიშვნები, როგორიც არის "საჭიროების გასვლამდე", "რევიზიის მოწყობის (დამთავრების) შემდეგ" და ა.შ.

მუხლი 57. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგების გაფორმება

1.დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დგება მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების აღწერები, დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის აქტები. დოკუმენტების გასანადგურებლად შერჩევა და მათზე აქტის (დანართი 9) შედგენა ხორციელდება ამავე პერიოდის მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა აღწერების მომზადების შემდეგ. დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის აქტები განიხილება საექსპერტო კომისიის სხდომებზე საქმეთა აღწერებთან ერთად. დაწესებულებებში, რომლებიც დოკუმენტებს აბარებენ სახელმწიფო შენახვისათვის, აქტებს ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი მხოლოდ ამავე პერიოდის მუდმივად შესანახ საქმეთა აღწერების საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ.

2.საქმეები აქტში შეიტანება, თუ მათთვის გათვალისწინებული შენახვის ვადა ამოიწურა იმ წლის 1 იანვრისათვის, რომელშიც შედგენილია ეს აქტი. გასანადგურებლად შერჩეულ ერთგვაროვან საქმეთა სათაურები აქტში შეიტანება საერთო სათაურით ჯგუფში შემავალი საქმეების რაოდენობის აღნიშვნით.

3.დაწესებულება, რომლის საქმიანობის პროცესში არ იქმნება სახელმწიფო შენახვისათვის გადასაცემი დოკუმენტები, ადგენს იმ დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის აქტებს, რომლებიც შენახვას არ ექვემდებარებიან, და ამ აქტებში შეტანილ დოკუმენტებს ანადგურებს მათი შენახვის ვადების გასვლის შემდეგ მხოლოდ შესაბამისი პერიოდის პირადი შემადგენლობის საქმეთა კრებსითი აღწერების შედგენისა და დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცების შემდეგ. დაწესებულება ვალდებულია ამ წესების მოთხოვნათა შესაბამისად სისტემატურად აღწეროს პირადი შემადგენლობისა და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტები, უზრუნველყოს მათი დაცვა და აღრიცხვა.

4.აქტების დამტკიცების შემდეგ დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურების ან საუწყებო არქივების მუშაკთა მიერ გასანადგურებლად გამოყოფილი დოკუმენტები და საქმეები ბარდება მეორეულ ნედლეულად.

თავი II

საქმეების გაფორმება

მუხლი 58

საუწყებო არქივის მეთოდიკური დახმარებითა და კონტროლით საქმეებს აფორმებენ დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურისა და იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკები, რომელთა გამგებლობაშიც არის საქმეთა შემოღება და ფორმირება.

მუხლი 59. საქმეების სრული ან ნაწილობრივი გაფორმება

1.შენახვის ვადების მიხედვით ხდება საქმეების სრული ან ნაწილობრივი გაფორმება.

2.სრულ ფორმირებას ექვემდებარება მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი და პირადი შემადგენლობის საქმეები. საქმეების სრული გაფორმება ითვალისწინებს:

ა) საქმეების ჩაკერებას ან აკინძვას;

ბ) ფურცლების დანომვრას საქმეში;

გ) საქმის დამადასტურებელი წარწერის შედგენას (დანართი 10);

დ)საჭიროების შემთხვევაში საქმის დოკუმენტაციის შიდა აღწერის შედგენას (დანართი 11);

ე)საქმის გარეკანის (დანართი 12) რეკვიზიტებში საჭირო დაზუსტებათა (დაწესებულების დასახელების, საქმისწარმოების ინდექსისა და საქმის სათაურის, საქმის თარიღის და ა.შ. დაზუსტება) შეტანას.

3.დროებით შესანახი საქმეები ექვემდებარება ნაწილობრივ გაფორმებას: დასაშვებია ეს საქმეები ინახებოდეს სწრაფჩამკერებში, არ მოხდეს დოკუმენტების ხელახალი სისტემატიზაცია საქმეში, არ დაინომროს საქმის ფურცლები, არ შედგეს დამადასტურებელი წარწერა.

მუხლი 60. საქმის ჩაკერება (აკინძვა)

1.საქმეში შემავალი დოკუმენტები ოთხი ნაჩხვლეტით ჩაიკერება მუყაოს გარეკანში ან აიკინძება ისე, რომ თავისუფლად იკითხებოდეს ყველა დოკუმენტის ტექსტი, თარიღები, ვიზები და რეზოლუციები. ჩასაკერებლად (ასაკინძად) საქმეების მომზადების დროს დოკუმენტებიდან ამოიღებენ ლითონის სამაგრებსა და ქინძისთავებს.

2.მუდმივად შესანახი საქმეები, რომლებიც მოიცავენ განსაკუთრებული სამეცნიერო-ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის ან განსხვავებული ფორმატის დოკუმენტებს, ინახება სამსარქველიან შესაკრავ მაგარ საქაღალდეებში ან მუყაოს ფუტლარებში (კოლოფებში).

3.თუ საქმეში მოთავსებულია ცალკეული განსაკუთრებულად ფასეული დოკუმენტები ან მოუკითხავი პირადი დოკუმენტები (შრომის წიგნაკები, პასპორტები და სხვ.), ისინი ჩაიდება კონვერტში, რომელიც შემდეგ ჩაიკერება ამ საქმეში. თუ ასეთი დოკუმენტი ბევრია, ისინი შეიძლება ამოღებულ იქნეს საქმეებიდან და აღიწეროს ცალკე.

4.თითოეული საქმის ბოლოს ჩაიკერება დამადასტურებელი წარწერის ფორმის სუფთა ბლანკი (დანართი 10), ხოლო საქმის თავში (საჭიროების შემთხვევაში)-საქმის დოკუმენტების შიდა აღწერის ფორმის ბლანკი (დანართი 11).

მუხლი 61. საქმის ფურცლების დანომვრა

1.საქმეში შეტანილი დოკუმენტების დაცვისა და მათი განლაგების წესის განმტკიცების მიზნით მისი ყველა ფურცელი, დამადასტურებელი წარწერისა და შიდა აღწერის ფურცლების გარდა, გამლილი სახით ინომრება არაბული ციფრებით მთლიანი ნუმერაციით ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში მაეი გრაფიტის ფანქრით ან ნუმერატორით. ნომრები არ უნდა შეეხოს ტექსტს. ფურცლების დანომვრა მელნით და ფერადი ფანქრებით აკრძალულია. საქმის დოკუმენტების შიდა აღწერის ფურცლები ინომრება ცალკე.

2.საქმეთა ფურცლები, რომლებიც რამდენიმე ტომს ან ნაწილს შეიცავენ, ინომრება ცალ-ცალკე თითოეული ტომისა თუ ნაწილის მიხედვით.

3.ფოტოსურათები, ნახაზები, დიაგრამები და სხვა საილუსტრაციო და სპეციფიკური დოკუმენ-ტები, რომლებიც საქმეში წარმოადგენენ დამოუკიდებელ ფურცელს, ინომრება მეორე მხარეს ზედა მარცხენა კუთხეში.

4.დაკეცილი ფურცელი იშლება და ინომრება ზედა მარჯვენა კუთხეში. ამასთან ცალი მხარით ჩაკერებული ნებისმიერი ფორმატის ფურცელი ინომრება როგორც ერთი ფურცელი, დაკეცილი და შუა ნაწილით ჩაკერებული ფურცელი ხელახლა უნდა ჩაიკეროს და დაინომროს როგორც ერთი ფურცელი.

5.ფურცელი, რომელზეც დაწებებულია დოკუმენტები (ამონაჭრები, ამონაწერები, ფოტოსურა-თები და ა.შ.), ინომრება როგორც ერთი ფურცელი. თუ დოკუმენტს ცალ მხარეს მიწებებული აქვს სხვა დოკუმენტები (ამონაჭრები, ტექსტის ჩანართები, თარგმანები და ა.შ.), თითოეული დოკუმენტი ინომრება ცალ-ცალკე.

6.საქმეში ჩაკერებული ჩანადებიანი კონვერტები ინომრება: ჯერ ინომრება კონვერტი, ხოლო შემდეგ მორიგი ნომრით - კონვერტის თითოეული ჩანადები.

7.საქმეში ჩაკერებული დოკუმენტები (დაბეჭდილი გამოცემების ჩათვლით), რომლებსაც საკუთარი ნუმერაცია აქვთ, შეიძლება დაინომროს საერთო წესით ან დარჩეს მისი საკუთარი ნუმერაცია, თუ იგი შეესაბამება საქმეში დოკუმენტების რიგით განლაგებას.

8.თუ აღმოჩნდა, რომ საქმის ფურცლების ნუმერაციაში დაშვებულია მრავალი შეცდომა, საქმისწარმოებაში საქმის ფურცლები ხელახლა ინომრება. ფურცლების ხელახალი დანომვრის დროს ძველი ნომერი იშლება ერთი დახრილი ხაზით და გვერდით დაისმება ფურცლის ახალი ნომერი. საქმის ბოლოს დგება ახალი დამადასტურებელი წარწერა, ამასთან ძველი დამადასტურებელი წარწერა უნდა წაიშალოს, მაგრამ დარჩეს საქმეში.

მუხლი 62. საქმის დამადასტურებელი წარწერის შედგენა

1.საქმეში ფურცლების რაოდენობის აღრიცხვისა და მათი ნუმერაციის თავისებურებათა ფიქსირების მიზნით დგება საქმის დამადასტურებელი წარწერა.

2.დამადასტურებელი წარწერა დგება ცალკე ფურცელზე, დავთრებში - ბოლო სუფთა ფურცლის მეორე მხარეს, კარგოთეკებში -ბარათის ფორმატის ცალკე სუფთა ფურცელზე. დამადასტურებელი ფურცელი დგება დადგენილი ფორმით (დანართი 10). აკრძალულია დამადასტურებელი წარწერის გამოტანა საქმის გარეკანზე ან ბოლო დოკუმენტის სუფთა ფურცლის მეორე მხარეზე. თუ საქმე შეკერილია ან აკინძულია დამადასტურებელი ფურცლის ბლანკის გარეშე, იგი ზედა კიდით ეწებება საქმის გარეკანის შიდა მხარეს.

3.საქმის დამადასტურებელ წარწერაში ციფრებით და სიტყვებით აღინიშნება საქმეში დანომრილი ფურცლების რაოდენობა და ცალკე ნიშნის "+" (პლუსი) შემდეგ შიდა აღწერის (თუ არის) ფურცლების რაოდენობა.

4.დამადასტურებელ წარწერაში აღინიშნება საქმის დოკუმენტების ნუმერაციის შემდეგი თავისებურებანი: ფურცლების სალიტერო ნომრებისა და გამოტოვებული ნომრების არსებობა; იმ ფურცლების ნომრები, რომლებზეც დაწებებულია ფოტოსურათები, დოკუმენტები, გაზეთების ამონაჭრები; დიდფორმატიანი ფურცლების ნომრები; ჩანადებიანი კონვერტების ნომრები და მათში ჩადებული ფურცლების რაოდენობა.

5.დამადასტურებელ წარწერას ხელს აწერს მისი შემდგენელი, იქვე ხდება ხელმოწერის გამიფვრა, აღინიშნება შემდგენლის თანამდებობა და შედგენის თარიღი. საქმის შემადგენლობისა და მდგომარეობის შემდგომი ცვლილებები (დაზიანება, დოკუმენტთა დედნების შეცვლა ასლებით, ახალი დოკუმენტების ჩამატება და ა.შ.) აღინიშნება დამადასტურებელ წარწერაში შესაბამისი აქტის დადასტურებით.

მუხლი 63. საქმის დოკუმენტების შიდა აღწერილობის შედგენა

1.ა) მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი ცალკეულ კატეგორიათა საქმეების იმ დოკუმენტების აღრიცხვისათვის, რომელიც გამოწვეულია მოცემული დოკუმენტაციის სპეციფიკით (განსაკუთრებულად ფასეული პირადი, სასამართლო და საგამოძიებო, სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო წოდების მინიჭების, საეკლესიო მოწმობების, გამოგონებათა პატენტების შემცველი საქმეები და ა.შ.), დგება საქმის დოკუმენტების შიდა აღწერილობის.

ბ)შიდა აღწერილობის შედგენა საჭიროა მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეებშიც, რომლებიც ფორმირებულია იმ დოკუმენტების ნაირსახეობებით, რომელთა სათაურები არ ასახავენ დოკუმენტების კონკრეტულ შინაარსს.

გ) საქმის დოკუმენტების შიდა აღწერილობის შედგენის საჭიროება განისაზღვრება დაწესებულების საქმისწარმოების ინსტრუქციით, სპეციალური ინსტრუქციებითა და დებულებებით.

2.ა) შიდა დგება ცალკე ფურცელზე დადგენილი ფორმის მისედვით (დანართი 11). იგი შეიცავს საქმის დოკუმენტების რიგითი ნომრების, მათი ინდექსების, თარიღების, სათაურებისა და საქმის იმ ფურცლების ნომრების ცნობებს, რომლებზეც განლაგებულია თითოეული დოკუმენტი.

ბ)საქმის შიდა აღწერისათვის დგება შემაჯამებელი ჩანაწერი, რომელშიც ციფრებითა და სიტყვებით აღინიშნება მასში შეტანილი დოკუმენტებისა და შიდა აღწერილობის ფურცლების რაოდენობა.

გ)შიდა აღწერილობას ხელს აწერს მისი შემდგენელი, იქვე ხდება ხელმოწერის გაშიფვრა, აღინიშნება შემდგენლის თანამდებობა და აღწერილობის შედგენის თარიღი.

დ)თუ საქმე აკინძულია ან ჩაკერილია დოკუმენტების მიდა აღწერილობის ბლანკის გარეშე, დადგენილი ფორმით შედგენილი აღწერილობა დაეწებება საქმის გარეკანის წინა პირის მიდა მხარეს.

3.საქმის დოკუმენტების შემადგენლობის შეცვლის შემთხვევაში (დოკუმენტების ამოღება, ჩამატება, მათი შეცვლა ასლებით და ა.შ.) ცვლილებები აისახება გრაფაში "შენიშვნა" მიდა აღწერის შესაბამისი აქტების დადასტურებით, სოლო საჭიროების შემთხვევაში დგება მიდა აღწერილობის ახალი შემაჯამებელი ჩანაწერი და საქმის დამადასტურებელი ჩანაწერი.

მუხლი 64. მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმის გარეკანის გაფორმება

1.მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი და პირადი შემადგენლობის საქმეების გარეკანის გაფორმება ხდება დადგენილი ფორმის მიხედვით (დანართი 12). საქმის გარეკანზე აღინიშნება დაწესებულების დასახელება და მისი უშუალო დაქვემდებარება; სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება; საქმის ინდექსი; საქმის (ტომის, ნაწილის) ნომერი საქმეთა კრებსითი აღწერის მიხედვით; საქმის სათაური; საქმის დოკუმენტების ანოტაცია (განსაკუთრებულად ფასეული დოკუმენტების შემცველი მუდმივად შესანახი საქმეებისათვის); საქმის (ტომის, ნაწილის) თარიღი; საქმის ფურცლების რაოდენობა; საქმის შენახვის ვადა და საარქივო შიფრი.

2.ა) მუდმივად შესანახი საქმეების გარეკანზე გათვალისწინებულია ადგილი იმ სახელმწიფო არქივის დასახელებისათვის, რომელსაც ისინი გადაეცემა, აგრეთვე სახელმწიფო არქივისა და დაწესებულების კოდებისათვის. მუდმივად შესანახი საქმეების გარეკანზე საარქივო შიფრი დაისმება საუწყებო არქივში მელნით მას შემდეგ, რაც ეს საქმეები შეიტანება შესაბამისი სახელმწიფო არქივის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცებულ საქმეთა კრებსით აღწერებში (მანამდე იგი დაისმება ფანქრით).

ბ)ხანგრძლივად შესანახ და პირადი შემადგენლობის საქმეთა გარეკანზე საარქივო შიფრი დაისმება მელნით მას შემდეგ, რაც საქმეები შეიტანება კრებსით აღწერებში, რომლებიც მოწონებულია დაწესებულების ცენტრალური საექპერტო (საექსპერტო) კომისიის მიერ, შეთან-ხმებულია შესაბამისი სახელმწიფო არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან (პირადი შემადგენლობის საქმეთა აღწერებისათვის) და დამტკიცებულია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

3.ა) საქმეთა გარეკანის გაფორმების დროს დაწესებულების დასახელება აღინიშნება სრულად სახელობით ბრუნვაში იმ დაწესებულების სრული დასახელების აღნიშვნით, რომელსაც იგი უშუალოდ ექვემდებარება (ასევე სახელობით ბრუნვაში). თუ დაწესებულებას ან მემდგომ დაწე-სებულებას აქვთ ოფიციალურად მიღებული შემოკლებული დასახელებები, ისინი აღინიშნება ფრჩხილებში სრული დასახელების შემდეგ, მაგალითად:

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და
ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
(ტექინფორმი)

ბ) თუ დაწესებულების (სტრუქტურული ქვედანაყოფის) დასახელება შეიცვალა იმ პერიოდში, რომელსაც საქმის დოკუმენტები მოიცავს, ან საქმე სხვა დაწესებულებას (სტრუქტურულ ქვედანა-ყოფს) გადაეცა, გარეკანზე დამატებით იწერება ამ დაწესებულების ან მემკვიდრე დაწესებულების (სტრუქტურული ქვედანაყოფის) ახალი დასახელება, ხოლო ძველი ჩაისმება ფრჩხილებში.

4.ა) საქმის სათაური გარეკანზე გადმოიტანება დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურიდან, რომელიც შეთანხმებულია შესაბამისი სახელმწიფო არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან. საჭირო შემთხვევებში სათაურში შეიტანება დამატებითი ცნობები და დაზუსტებები (დაისმება ბრძანებების, ოქმების ნომრები და ა.შ.).

ბ) იმ შემთხვევაში, როცა საქმე შედგება რამდენიმე ტომისაგან (ნაწილისაგან), თითოეული ტომის (ნაწილის) გარეკანზე გადმოიტანება საქმის საერთო სათაური და თითოეული ტომის (ნაწილის) სათაური, მაგალითად:

ზესტაფონის რაიონის 2000 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა. ნაწილი 1. მრეწველობა

ზესტაფონის რაიონის 2000 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა. ნაწილი 2. სოფლის მეურნეობა

5.ა) დოკუმენტების ასლების შემცველ საქმეთა სათაურებში აღინიშნება ასლების არსებობა. მაგალითად: ინსტიტუტის ძირითადი საქმიანობის 1997 წლის NN1-120 ბრძანებები. ასლები.

ბ)თუ საქმე შეიცავს დოკუმენტების დედნებს, ეს სათაურში არ აღინიშნება.

მუხლი 65. საქმის თარიღი გარეკანზე

1.ა) საქმის გარეკანზე აუცილებლად აღინიშნება საქმის თარიღი -საქმისწარმოებაში საქმის შეპოღებისა და დამთავრების წელი (წლები).

ბ)თუ საქმე შეიცავს დოკუმენტებს (მაგალითად, დანართებს და ა.შ.), რომელთა თარიღი არ ემთხვევა საქმის თარიღს, თარიღის ქვეშ ახალ სტრიქონზე იწერება: "საქმეში არის. . . წლის (წლების) დოკუმენტები".

2.საქმის თარიღი შეიძლება არ აღინიშნოს მხოლოდ იმ საქმეთა გარეკანზე, რომლებიც შეიცავენ ჟურნალებსა და ანგარიშებს, რადგანაც მათი თარიღები ასახულია საქმეთა სათაურებში.

2.იმ საქმეთა თარიღებად, რომლებიც შეიცავენ განკარგულებით, შემოქმედებით და სხვა დოკუმენტაციას (მოხსენებები, წერილები, სტენოგრამები და ა.შ.) და რომელთათვის ზუსტ დათარიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ითვლება საქმის დოკუმენტების კიდური თარიღები, ე.ი. საქმეში შეტანილი ყველაზე ადრეული და ყველაზე გვიანი დოკუმენტების რეგისტრაციის (შედგენის) თარიღები.

3.თუ საქმე წარმოადგენს ბრძანებების, განკარგულებების და ა.შ. ჟურნალს, საქმის თარიღებად ჩაითვლება ჟურნალში პირველი და ბოლო ჩანაწერების ზუსტი კალენდარული თარიღები.

4.სხდომათა ოქმების შემცველი საქმის თარიღებია საქმეში შეტანილი პირველი და ბოლო ოქმის შედგენის თარიღები.

5.პიროვნებაზე შემოღებული პირადი საქმის თარიღებია პირის მიღებისა და დათხოვნის ბრძანებების ხელმოწერის თარიღები.

6.რამდენიმე ტომისაგან (ნაწილისაგან) შემდგარ საქმეთა გარეკანზე დაისმება თითოეული ტომის (ნაწილის) დოკუმენტების კიდური თარიღები.

7.ზუსტი კალენდარული თარიღის აღნიშვნის დროს იწერება რიცხვი, თვე და წელი ან წელი, თვე და რიცხვი. რიცხვი და წელი აღინიშნება არაბული ციფრებით, თვის დასახელება იწერება სიტყვებით. მაგალითად: 30 მაისი, 2000 წელი ან 2000 წლის 30 მაისი. კალენდარული თარიღის აღნიშვნის დროს დასაშვებია შემოკლებული ციფრობრივი აღნიშვნა იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს თარიღის არაერთმნიშვნელოვან განმარტებას. მაგალითად: 30.05.2000 ან 2000.05.30.

8.თუ დოკუმენტის თარიღი ან მისი ცალკეული ელემენტები განისაზღვრება დაახლოებით დოკუმენტის შინაარსის ანალიზის საფუძველზე, ამ შემთხვევაში თარიღი ან მისი ცალკეული ელემენტები ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში. თარიღს ან მის ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც აბსოლუტურად უტყუარი არ არის, ახლავს კითხვის ნიშანი. მაგალითად: [არა უადრეს 1961 წლისა]; [არა უადრეს 1940 წლის აპრილისა-არა უგვიანეს ამავე წლის მაისისა]; 1964 წლის 15 [იანვარი]; [1980 წლის] 16 აგვისტო; [1952 წლის 22 სექტემბერი?].

მუხლი 66

საქმის გარეკანის აუცილებელი რეკვიზიტებია საქმის დამადასტურებელი წარწერის საფუძველზე დასმული ფურცლების რაოდენობისა და საქმის შენახვის ვადის აღნიშვნა (მუდმივად შესანახ საქმეთა გარეკანზე აღინიშნება "მუდმივად შესანახი"), რაც საქმის გარეკანზე გადმოიტანება დაწესებულების საქმეთა შესაბამისი ნომენკლატურიდან დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველ საუწყებო ნუსხასთან მისი შეჯერების შემდეგ.

თავი III

საქმეთა აღწერილობების შედგენა და გაფორმება

მუხლი 67

1.დაწესებულების საქმისწარმოებაში დამთავრებულ ყველა მუდმივად, ხანგრძლივად შესანახ და პირადი შემადგენლობის საქმეზე, რომლებმაც გაიარეს შემფასებელი ექსპერტიზა და გაფორმებულია ამ წესების IV კარის II თავის და V კარის II თავის შესაბამისად, დგება აღწერილობები. დროებით შესანახ საქმეებზე აღწერილობები საჭირო არ არის.

2.სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აღწერილობები დგება საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი მუშაკების მიერ საუწყებო არქივის უშუალო მეთოდიკური ხელმძღვანელობით.

3.აღწერილობები დგება ცალკე:

ა) მუდმივად შესანახ საქმეებზე;

ბ) სანყრძლივად შესანახ საქმეებზე;

გ) პირადი შემადგენლობის საქმეებსა და სხვა ერთი ტიპის საქმეებზე (სამეცნიერო ანგარიშები თემების მისედვით, სასამართლო და საგამოძიებო საქმეები, აეადმყოფობის ისტორიები, რაციონალიზატორული წინადადებები და ა.შ.).

მუხლი 68. სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა აღწერილობების შედგენა

1.ა) დაწესებულებებში, რომელთა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დიდი რაოდენობის დოკუმენტებია თავმოყრილი, საუწყებო არქივის უშუალო მეთოდიკური ხელმძღვანელობით თითოეული ქვედა-ნაყოფის მიერ ყოველწლიურად დგება მუდმივად შესანახი საქმეების აღწერილობები (დანართი 13). ამ აღწერილობების მიხედვით დოკუმენტები ბარდება საუწყებო არქივს. სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მომზადებული აღწერები საფუძველია დაწესებულების კრებსითი აღწერის შესადგენად, რომელსაც ამზადებს საუწყებო არქიეი და რომლის მიხედვითაც საქმეებს აბარებს სახელმწიფო არქივს.

ბ)დაწესებულებებში, სადაც ყოველწლიურად იქმნება მცირე რაოდენობის დოკუმენტები, დასაშვებია აღწერაში რამდენიმე წლის დოკუმენტების შეტანა.

გ)პირადი შემადგენლობის საქმეების (პირადი საქმეების) აღწერები შეიძლება შედგეს რამდენიმე წლით საქმეთა საერთო ნუმერაციით.

2.აღწერილობებში საქმეთა სათაურების შეტანამდე მოწმდება საქმეთა ფორმირებისა და გაფორმების ხარისხი, აღწერაში შესაგან საქმეთა რაოდენობის შესაბამისობა დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით შემოღებულ საქმეთა რაოდენობასთან. საქმეთა გადათვალიერების დროს მოწმდება საქმის სათაურისა და საქმეში შეტანილი დოკუმენტების შინაარსის შესაბამისობა; საქმეში შეტანილი დოკუმენტების გაფორმებისა და დაჯგუფების სისწორე; საქმის ჩაკერებისა თუ აკინძვის ხარისხი; საქმეთა ფურცლების დანომერის სისწორე; საჭირო შემთხვევაში საქმის მიდა აღწერილობის არსებობა და მისი შედგენის სისწორე; საქმის გარეკანის გაფორმების სისწორე; საქმის დამადასტურებელი წარწერის არსებობა და მისი შედგენის სისწორე. საქმეთა ფორმირებისა და გაფორმების დადგენილი წესების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში იგი უნდა გასწორდეს. თუ გამოირკვა დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით გათვალისწინებული საქმეების დანაკლისი, სტრუქტურული ქვედანაყოფი იღებს ყველა ზომას მათ მოსაძებნად. აღმოჩენილი საქმეები შეიტანება აღწერაში. თუ ძიება უშედეგოა, აღმოუჩენელ საქმეებზე დგება საქმეთა დანაკლისის მიზეზების ცნობა, რომელსაც ხელს აწერს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, და საქმეთა აღწერილობასთან ერთად გადაეცემა საუწყებო არქივს.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა აღწერის აღწერილობითი სტატია შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა) საქმის (ტომის, ნაწილის) რიგით ნომერს აღწერის მიხედვით;

ბ) საქმის (ტომის, ნაწილის) ინდექსს;

გ) საქმის (ტომის, ნაწილის) სათაურს, რომელიც სრულად შეესაბამება მის სათაურს საქმის გარეკანზე;

დ) საქმის (ტომის, ნაწილის) თარიღს;

ე) ფურცლების რაოდენობას საქმეში (ტომში, ნაწილში);

ვ) საქმის შენახვის ვადას.

4.სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა აღწერილობის შედგენის დროს საჭიროა შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

ა)თითოეული საქმე აღწერილობაში შეიტანება დამოუკიდებელი რიგითი ნომრით. თუ საქმე შედგება რამდენიმე ტომისაგან (ნაწილისაგან), თითოეული ტომი (ნაწილი) აღწერილობაში შეიტანება დამოუკიდებელი ნომრით;

ბ) აღწერაში საქმეთა სისტემატიზაცია და სტრუქტურული ქვედანაყოფის აღწერისათვის ნომრის მიკუთვნება დგინდება საუწყებო არქივის მიერ. როგორც წესი, სტრუქტურული ქვედანაყოფის

აღწერაში საქმეთა სისტემატიზაცია შეესაბამება მათ სისტემატიზაციას დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში, ხოლო სტრუქტურული ქვედანაყოფის აღწერის ნომერი შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფის ციფრობრივი აღნიშვნისაგან საშტატო ნუსხის მიხედვით აღწერილობაში შეტანილი დოკუმენტების კატეგორიათა დასახელების პირველი ასოსა და იმ წლის ციფრისაგან, როდესაც შეიქმნა აღწერაში შეტანილი საქმეები. ასე, მაგალითად, ნომენკლატურის მიხედვით N5 სტრუქტურული ქვედანაყოფის მუდმივად, სანერძლივად შესანახ და პირადი შემადგენლობის საქმეთა აღწერებს, რომლებიც შემოღებულია 1994 წელს, მიეკუთვნება ნომრები: 5მ-1994, 5ხ-1994 და 5ᲛᲨ-1994;

ვ)აღწერილობის გრაფები შეივსება საქმეთა გარეკანზე გამოტანილი ცნობების ზუსტი შესაბამისობით;

დ)აღწერილობაში ზედიზედ ერთსაირი სათაურების მქონე საქმეების შეტანის დროს მთლიანად იწერება პირველი საქმის სათაური, ხოლო ყველა დანარჩენი ერთგვაროვანი საქმე აღინიშნება სიტყვით „იგივე", ამასთან სხვა ცნობები საქმეების შესახებ აღწერაში შეიტანება მთლიანად (აღწერის ყოველ ახალ ფურცელზე სათაური იწერება მთლიანად);

ე)აღწერილობების გრაფა „შენიშვნა" გამოიყენება აღნიშვნებისათვის საქმეთა ფიზიკური მდგომარეობის თავისებურებების, დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საქმეთა გადაცემის, ასლების არსებობისა და ა.შ. შესახებ.

მუხლი 69. სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა აღწერის გაფორმება

1.აღწერის ბოლოს უკანასკნელი აღწერილობითი სტატიის შემდეგ კეთდება შემაჯამებელი ჩანაწერი, რომელშიც აღინიშნება (ციფრებით და სიტყვებით) აღწერაში შეტანილ საქმეთა რაოდენობა, აღწერის მიხედვით საქმეთა პირველი და ბოლო ნომერი, აგრეთვე საქმეთა ნუმერაციის თავისებურებანი (საქმეთა სალიტერო და გამოტოვებული ნომრები).

2.სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა აღწერილობას ხელს აწერს შემდგენელი თავისი თანამდებობის აღნიშვნით და დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ ამტკიცებს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი. საუწყებო არქივის მოთხოვნით შეიძლება შედგეს აღწერის საინფორმაციო-საძიებო სისტემის ცალკეული სახეობები (სარჩევი, შემოკლებათა სია, საძიებლები).

3.დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა აღწერილობა დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი საქმეებთან ერთად გადაეცემა საუწყებო არქივს, ხოლო მეორე, როგორც საკონტროლო ეგზემპლარი, რჩება სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

4.სტრუქტურული ქვედანაყოფის აღწერილობაში შეტანილ საქმეთა გარეკანზე საუწყებო არქივთან შეთანხმებით რბილი შავი გრაფიტის ფანქრით კეთდება საქმეთა დროებითი დაშიფვრა.

მუხლი 70. საქმეთა გადაცემა საუწყებო არქივში

1.საუწყებო არქივში გადაიცემა მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი და პირადი შემადგენლობის საქმეები. გადაცემა ხორციელდება მხოლოდ აღწერილობების მისედვით.

2.დროებით (10 წლის ჩათვლით) შესანახი საქმეები, როგორც წესი, საუწყებო არქივში გადაცემას არ ექვემდებარება. ისინი დაცულია ცენტრალიზებულად საქმისწარმოების სამსახურში ან სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და შენახვის ვადების გასვლის შემდეგ უნდა განადგურდეს დადგენილი წესით (იხ. მუხლები 56 და 57). ამ საქმეების გადაცემა არქივისათვის შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. მათი გადაცემა ხორციელდება საუწყებო არქივის გადაწყვეტილების გათვალისწინებით აღწერილობებისა თუ საქმეთა ნომენკლატურების მიხედვით.

3.საუწყებო არქივში საქმეთა გადაცემა ხორციელდება არქივის მიერ შედგენილი გრაფიკით, რომელიც უთანხმდება სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და არქივისათვის დოკუმენტების გადამცემ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. თითოეულ საქმეს იღებს საუწყებო არქივის გამგე ან სპეციალური თანამშრომელი (არქივისათვის პასუხისმგებელი პირი) სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაკის თანდასწრებით.

4.ა) სტრუქტურული ქვედანაყოფიდან საქმეთა საუწყებო არქივისათვის გადაცემის დროს აღწერილობის ორივე ეგზემპლარზე მასში შეტანილი თითოეული საქმის გასწვრივ კეთდება აღნიშვნა საქმის არსებობის შესახებ. აღწერილობის თითოეული ეგზემპლარის ბოლოს ციფრებით და სიტყვებით

აღინიშნება არქივში უაქტობრივად გადაცემულ (მიღებულ) საქმეთა რაოდენობა, დანაკლის საქმეთა ნომრები, დაისმება საქმეთა მიღება-გადაცემის თარიღი, ეკუთვნება საუწყებო არქივის თანამშრომლისა და საქმეთა გადამცემი პირის ხელმოწერები.

ბ)განსაკუთრებულად ფასეულ საქმეთა გადაცემის დროს მოწმდება საქმეში ფურცლების რაოდენობა.

5.სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან საქმეებთან ერთად საუწყებო არქივს გადაეცემა დოკუმენტების სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათები, სარეგისტრაციო ჟურნალები და სხვა სარეგისტრაციო ფორმები, რომლებიც შეიტანება აღწერილობაში როგორც ცალკე შესანახი ერთეულები.

6.სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლების მიერ საუწყებო არქივს საქმეები ბარდება შენაკრავების სახით.

კარი VI

დოკუმენტებზე მუშაობის მექანიზაცია და ავტომატიზაცია

მუხლი 71

საქმისწარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ითვალისწინებს მმართველობითი აპარატის მუშაკთა შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, დოკუმენტირებაზე გაწეული შრომითი დანახარჯების შემცირებას, დოკუმენტური ინფორმაციის დამუშავებას, გადაცემასა და გამოყენებას, დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებას.

მუხლი 72

დოკუმენტებზე მუშაობის მექანიზაცია და ავტომატიზაცია უნდა ხორციელდებოდეს მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების მოწესრიგებული სისტემის, დოკუმენტების გამოსაყენებელი ფორმების უნიფიკაციისა და რაოდენობის შემცირების, დოკუმენტბრუნვის რაციონალიზაციის საფუძველზე.

მუხლი 73

მექანიზაცია და ავტომატიზაცია ინერგება საქმისწარმოების ყველა ეტაპზე: დოკუმენტების მომზადების, მათი ასლების გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების, საექსპედიციო დამუშავების, რეგისტრაციისა და დაძებნის, ოპერატიული შენახვისა და ტრანსპორტირების, მესრულების კონტროლის, შენახვისათვის შეგროვებისა და ა.შ.

თავი I

დოკუმენტებზე მუშაობის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა კომპლექსების შემადგენლობა

მუხლი 74

დოკუმენტებზე მუშაობის ავტომატიზაცია ხორციელდება ინფორმაციის მეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის ავტომატიზებული საინფორმაციო- საძიებო და სხვა სისტემების შექმნისა და დანერგვის, პერსონალური კომპიუტერებისა და ავტომატიზებული სამუშაო ადგილების გამოყენებით საქმისწარმოების ცალკეულ ამოცანათა გადაწყვეტის გზით.

მუხლი 75

დოკუმენტებზე მუშაობის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუალებანი უნდა იყოს შეთავსებადი და ითვალისწინებდეს მათი ერთიან სისტემაში გაერთიანების შესაძლებლობას.

მუხლი 76

გამოსაყენებელ სამუალებათა და პროგრამული უზრუნველყოფის კომპლექტების შემადგენლობა დამოკიდებულია მმართველობის აპარატის დოკუმენტებზე მუშაობის კონკრეტულ პირობებზე, სახელდობრ: მმართველობის აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მის განლაგებაზე;

მუშაკთა შრომის პირობებზე; დოკუმენტების რაოდენობასა და შინაარსზე, ოპერატიული და რეტროსპექტული ინფორმაციის მოთხოვნილებაზე; დოკუმენტებზე მუშაობის ცენტრალიზაციის დონეზე. ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის შეგროვებასა და გადაცემას, მის ჩაწერას მანქანურ მატარებლებზე, ინფორმაციის შეტანას კომპიუტერებში, დამუშავების ამოცანათა გადაწყვეტასა და შედეგების მიღებას მანქანოგრამების, ვიდეოგრამების ან სხვა ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემებთან შეთავსებადობით.

თავი II

მექანიზაციის საშუალებათა გამოყენება

მუხლი 77

1.ტექსტიანი დოკუმენტების შედგენისა და მომზადების ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება საბეჭდი მანქანები, საბეჭდი და ორგანიზაციული ავტომატები.

2.დოკუმენტების მომზადების, ასლების გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ტექნიკური საშუალებანი მოიცავენ ფოტოგადაღების, დიაზოგადაღების, ელექტროფოტოგრაფიული გადაღების და სხვა საშუალებებს, ოპერატიული პოლიგრაფიის საშუალებებს (პექტოგრაფიული, ოფსეტური და სხვა მანქანები).

3.დოკუმენტების შენახვის ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება სხვადასხვაგვარი სახის კარადები, სტელაჟები, კარტოთეკები. ბარათების შესანახად გამოიყენება: მაგიდის (ათასამდე ბარათით), სტაციონარული და მექანიზებული (ათასმე მეტი ბარათით და ოპერატიული დაძებნის საჭიროება), ბრტყელი (მიმოხილვის საჭიროების დროს) კარტოთეკები.

4.ათასამდე საქმის შესანასად გამოიყენება კარადები, მათ შორის საკიდი შესანახი საქაღალდეებით.

5.ათასზე მეტი საქმის შენახვისა და ოპერატიული დაძებნისათვის გამოიყენება სტაციონარული და მექანიზებული კარადები.

6.მიკროგადასაღები ტექნიკის არსებობისას დოკუმენტები და ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს მიკროფილმებზე ან მიკროფიშებზე.

7.საექსპედიციო დამუშავების ტექნიკური საშუალებები მოიცავენ კონვერტების გასახსნელებს, ნუმერატორებს, თარიღდამსმელებს, დასაკეც, სამისამართო, მარკისდამსმელ, კონვერტის დამწებებელ, ნაკრაულსაქსოვ ქაღალდჩამკერ მანქანებს და ა.შ.

თავი III

დოკუმენტებზე მუშაობის ავტომატიზაცია

მუხლი 78

დოკუმენტებზე მუშაობის ავტომატიზებული ტექნოლოგია ხორციელდება დოკუმენტების ავტომატიზებული მომზადების საინფორმაციო-საძიებო სისტემების შექმნისა და დანერგვის, სხვა ამოცანათა გადაწყვეტის გზით პერსონალური კომპიუტერებისა და ავტომატიზებული სამუშაო ადგილების გამოყენებით.

მუხლი 79

1.დოკუმენტების ხშირად გამეორებული ტექსტების ავტომატიზებული მომზადება ხორციელდება ტექსტური დამზადების ბანკის ბაზაზე. ბანკში შეიტანება დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმები და ტექსტები, ტექსტების მუდმივი ნაწილები, მუდმივი ავტორებისა და კორესპონდენტების თანამდებობების სახელწოდებები, სახელ-გვარები და მისამართები, იურიდიული ტექსტური ფორმულები, რომლებიც დოკუმენტებს ანიჭებენ სამართლებრივ ხასიათს, დოკუმენტების სტრუქტურებისა და შინაარსის ფორმალიზებული აღწერილობები და ა.შ.

2.დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებით, გამოიყენება მანქანურსაკითხავი, ვიდეოგრამის, მანქანოგრამის ფორმით. მანქანურსაკითხავი დოკუმენტები და მანქანოგრამები მმართველობით აპარატში გამოიყენება დედნის უფლებით. აკრძალულია

მანქანოგრამების გადაბეჭდვა საბეჭდ მანქანებზე. მანქანურმატარებლიანი დოკუმენტის ტრანსპორტირება (გადაცემა, გადაგზავნა) ხორციელდება თანდართული წერილით.

3.დოკუმენტების ავტომატიზებული მომზადება ხდება ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე ან ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებულ პუნქტებში.

4. ელექტრონული ფოსტით მიღებული დოკუმენტები გამოიყენება ასლის უფლებით დედნის მიღებამდე.

მუხლი 80

1. დოკუმენტების ავტომატიზებული რეგისტრაცია ხორციელდება დეცენტრალიზებულად დოკუმენტების რეგისტრაციის ადგილებში ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე ან ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებულ პუნქტებში. ჩაწერა ხდება უშუალოდ დოკუმენტიდან სავალდებულო რეკვიზიტების დადგენილი ერთიანი მოკრების და სარეგისტრაციო ინდექსის გამოყენებით; ბოლო შემთხვევაში ჩაწერა მანქანურ მატარებელზე მეორდება სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათების მანქანოგრამის მიერ, რომელიც გამოიყენება დამხმარე საცნობარო კარტოთეკად.

2.დოკუმენტების ავტომატიზებული რეგისტრაციის მონაცემების ბაზაზე აგებულია საინფორმაციო-საძიებო სისტემები. ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემები მმართველობითი აპარატის მუშაკებს უზრუნველყოფენ ყველა დოკუმენტისა და მათი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციით, კომპიუტერის ეკრანზე ამ ინფორმაციის გამოტანის ან მანქანოგრამების დამზადების დახმარებით. საძიებო ოპერაციების ნაწილობრივი ავტომატიზაციის დროს დაცულ უნდა იქნეს რეგისტრაციისა და დაძებნის ტრადიციული და ავტომატიზებული სისტემების შეთავსება.

3.ინფორმაციის დაძებნა და გამოყენება ხორციელდება დეცენტრალიზებულად ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებზე ან ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებულ პუნქტებში. მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ინფორმაცია რეგისტრაციის ყველა ან რამდენიმე რეკვიზიტის მიხედვით და დოკუმენტის ადგილსამყოფლის ზუსტი მისამართი მოცემულ მომენტში.

მუხლი 81

1.შესრულების ავტომატიზებული კონტროლი აგებულია ავტომატიზებული რეგისტრაციის მონაცემების ბაზაზე და უზრუნველყოფს შემსრულებლებისა და საკონტროლო სამსახურის ოპერატიულ ინფორმირებას ყველა დოკუმენტისა და დავალების შესრულების მდგომარეობაზე, დოკუმენტების მომზადებისა და შესრულების ვადების წინასწარ კონტროლს, საშემსრულებლო დისციპლინის ანალიზს.

2.ავტომატიზებულ კონტროლზე იღებენ სარეგისტრაციო დოკუმენტებს, რომელთა შესრულების ვადებია არანაკლებ 10 დღისა. კონტროლი ხორციელდება საკონტროლო სამსახურებსა და დოკუმენტაციის რეგისტრაციის ადგილებში ავტომატიზებული სამუშაო ადგილების ან ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებული პუნქტების გამოყენებით. შემსრულებლებისათვის შესრულების ვადების შეხსენება, შესრულების მდგომარეობის, ვადების გადაგანის, შესრულების დამთავრებისა და სხვათა შესახებ ცნობები აისახება კომპიუტერის ეკრანზე; სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მანქანოგრამების დაგზავნა დაიშვება მხოლოდ ტექნიკურ სამუალებათ არსებობის დროს. შესრულების დამთავრებისა და ყველა საჭირო მონაცემის სარეგისტრაციო მონაცემების ბანკში ჩაწერის შემდეგ მზადდება მთლიანად შევსებული სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათის მანქანოგრამა, რომელიც გამოიყენება საცნობარო დუბლირებულ მასივში. ეს უკანასკნელი გადაეცემა საუწყებო არქივს დოკუმენტებთან ერთად.

მუხლი 82

1.დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დოკუმენტებზე მუშაობის ავტომატიზებული ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტიანობისათვის, განსაზღვრავს მანქანურმატარებლებზე დაცულ ინფორმაციაზე მუშაკთა დაშვების უფლებას, აღგენს დოკუმენტებზე მუშაობის ავტომატიზებულ ტექნოლოგიაზე გადასვლის რიგითობას.

2.მმართველობითი აპარატის მუშაკები ვალდებული არიან ზუსტად დაიცვან დოკუმენტებზე მუშაობის ავტომატიზებული ტექნოლოგიის მოთხოვნები.

დანართი 1

საქმისწარმოების სამსახურის სანიმუშო დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

1. დაწესებულებაში საქმისწარმოებას ახორციელებს სპეციალური სამსახური, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებით და უშუალოდ ექვემდებარება დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის ერთ-ერთ მოადგილეს.

2. საქმისწარმოების სამსახურის (საქმეთა მმართველობის, კანცელარიის, საერთო განყოფილების) შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან სამდივნო, დოკუმენტების აღრიცხვისა და რეგისტრაციის, კონტროლის, დოკუმენტებზე მუშაობის სრულყოფისა და ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის, წერილების (საჩივრების) განხილვის ქვედანაყოფები, სატელეტაიპო, ექსპედიცია, მემანქანეთა ბიურო, ასლგადამღებ-გასამრავლებელი ბიურო, არქივი (დაწესებულებაში, სადაც არ არის საქმისწარმოების სამსახური, დოკუმენტებზე მუშაობას ასრულებს ხელმძღვანელის მდივანი (ინსპექტორი) ან სხვა სპეციალურად დანიშნული პირი).

3. საქმისწარმოების სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, ზემდგომი ორგანოსა და თვით დაწესებულების განკარგულებითი დოკუმენტებით, საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის წესებითა და ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტებით, საქმისწარმოების საკითხებზე სხვა მოქმედი ნორმატივებითა და ამ დებულების მოთხოვნებით.

4. საქმისწარმოების სამსახურის მუშაობა რეგლამენტირებული უნდა იყოს მისივე დებულებით, რომელიც უნდა შემუშავდეს წინამდებარე სანიმუშო დებულების საფუძველზე. სამსახურის მუშაკთა საქმიანობას აწესრიგებენ თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც განამტკიცებენ შრომის რაციონალურ განაწილებას, ითვალისწინებენ მუშაკთა თანაბარ დატვირთვას, სამუშაოთა განაწილებას შესრულების სირთულისა და შემსრულებელთა კვალიფიკაციის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები უნდა შემუშავდეს საქმისწარმოების სამსახურმა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარის საფუძველზე საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით და დაამტკიცოს დაწესებულების ხელმძღვანელმა ან მისმა მოადგილემ. საქმისწარმოების სამსახურის მუშაკთა ფუნქციებისა და ამოცანების შეცვლისას თანამდებობრივი ინსტრუქციები გადაისინჯება.

5. საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელებად უნდა ინიშნებოდნენ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები, რომელთაც საქმისწარმოებაში მუშაობის სულ ცოტა სამი წლის სტაჟი აქვთ.

6. საქმისწარმოების სამსახურს აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი დასახელების აღნიშვნით.

თავი II

საქმისწარმოების სამსახურის მიზნები და ამოცანები

1.საქმისწარმოების სამსახურის ძირითადი მიზანია საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი და რეალიზაცია.

2.საქმისწარმოების სამსახური წყვეტს შემდეგ ამოცანებს:

ა) დოკუმენტებზე მუშაობის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფა;

ბ) საქმისწარმოების ერთიანი წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, საინფორმაციო-საძიებო სისტემების, შესრულების კონტროლისა და დოკუმენტების საუწყებო არქივში გადასაცემად მომზადების უზრუნველყოფა;

გ)დოკუმენტბრუნვის შემცირება, დოკუმენტების ფორმების უნიფიკაცია;

დ)დაწესებულებასა და საქვეუწყებო სისტემაში (საქვეუწყებო სისტემის მქონე დაწესებულებებისათვის) საქმისწარმოების საკითხებზე ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტების, აგრეთვე დაწესებულების საქმიანობის რეალიზაციისათვის გამიზნული კომპიუტერული და ორგანიზაციული ტექნიკის გამოყენების ბაზაზე საქმისწარმოების პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა.

თავი III

საქმისწარმოების სამსახურის ფუნქციები

დაკისრებული ამოცანების შესაბამისად საქმისწარმოების სამსახური ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

1.დაწესებულების დოკუმენტების ტაბელისა და უნიფიცირებული ფორმების ალბომების შემუშავება, დანერგვა და წარმოებას, მათში ცვლილებების შეტანა;

2.დოკუმენტების საექსპედიციო დამუშავება, რეგისტრაციისა და დოკუმენტების მიხედვით სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა განხორციელება;

3.შემოსული დოკუმენტების დროული განხილვისა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაცია, ხელმძღვანელობის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი;

4.დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადაში მათი გაელის, გაფორმებისა და შესრულების კონტროლის რეგულირება; დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ცნობების განზოგადება, ამ საკითხებზე ხელმძღვანელობის სისტემატური ინფორმირება;

5.დოკუმენტების მანქანაზე დაბეჭდვის, ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება; დოკუმენტების ბლანკების შემუშავება და დაპროექტება;

6.დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვისა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიული გამოყენების უზრუნველყოფა;

7.მოქალაქეთა წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის ორგანიზაცია;

8.სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დოკუმენტებზე მუშაობის კონტროლის ორგანიზაცია;

9.დოკუმენტებზე მუშაობის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფის, სამეძსრულებლო დისციპლინის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავება (დაწესებულების შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად);

10.დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ არქივისათვის ჩასაბარებელი საქმეების ფორმირებისა და გაფორმების სისწორის კონტროლის განხორციელება;

11.,,ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის, საარქივო დაწესებულებათა წესების, ინსტრუქციებისა და მეთოდიკური აქტების შესაბამისად არქივის მუშაობის ორგანიზაცია;

12.საქმისწარმოების სამსახურისა და არქივის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, თათბირების გაპართვა და კონსულტაციების გაწევა საქმისწარმოების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

13.საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო ადგილების (ᲡᲐᲗ შორის ავტომატიზებული) ორგანიზაცია.

თავი IV

საქმისწარმოების სამსახურის უფლებები და პასუხისმგებლობა

1. საქმისწარმოების სამსახურს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ზომები და განახორციელოს კონტროლი ჭარბი ინფორმაციის შესამცირებლად დაწესებულებასა და საქვეუწყებო სისტემაში (საქვეუწყებო სისტემის მქონე დაწესებულებისათვის);

ბ) აკონტროლოს და მოსთხოვოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს დაწესებულებაში დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულება;

ე) გამოითხოვოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და დაწესებულებებისაგან საქმის-წარმოების სამსახურის მუშაობისათვის საჭირო ცნობები;

დ) შეამოწმოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საქმისწარმოების ორგანიზაცია და შედეგები შეაგყობინოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობას შესაბამისი ზომების მისაღებად;

ე)დადგენილი წესით ხელმძღვანელობის დავალებით დოკუმენტების პროექტების მომზა-დებაში ჩააბას სტრუქტურული ქვედანაყოფების სპეციალისტები;

ვ)შემსრულებლებს დაუბრუნოს არასწორად მომზადებული დოკუმენტები საბოლოო დამუ-შავებისათვის;

ზ) განსაზღვროს ავტომატიზაციას დაქვემდებარებული საქმისწარმოების ამოცანები;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი მოაწეროს და ეიზა მისცეს დოკუმენტებს;

ი) შეიმუშაოს საქმისწარმოების სამსახურის დებულება და მუშაკთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;

კ) ქვედანაყოფებისა და თანამდებობის პირების მიერ დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების დარღვევის ყველა შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელობას წარუდგინოს წინადადებები ადმინისტრაციული ზომების მისაღებად;

ი) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება დოკუმენტებზე მუშაობის მდგომარეობას, მათზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას;

ლ) ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგინოს წინადადებები საქმისწარმოების სამსახურის მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის, წახალისებისა და სასჯელის დაღების შესახებ.

2. საქმისწარმოების სამსახური პასუხისმგებელია:

ა)დაწესებულებაში დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესის შესრულების უზრუნველ-ყოფისათვის;

ბ)ხელმძღვანელობის მითითებებისა და დავალებების შესრულებისა და მუშაკთა შრომის საჭირო პირობების დაცვისათვის.

თავი V

საქმისწარმოების სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებთან ურთიერთობა

საქმისწარმოების სამსახური თანამშრომლობს:

1.დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან - საქმისწარმოების საკითხებში;

2.იურიდიულ სამსახურთან - დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებში;

3.კადრების, შრომისა და ხელფასის სამსახურებთან, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან - საქმისწარმოების სამსახურისათვის კადრების შერჩევისა და განაწილების, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად კომპიუტერული და ორგანიზაციული ტექნიკის ფართო გამოყენების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, დოკუმენტებზე მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულ-ყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

4.სამეურნეო მომსახურების სამსახურებთან - ორგანიზაციული და კომპიუტერული ტექნიკის სამუალებებით, დოკუმენტების ბლანკებით, საკანცელარიო ნივთებით მომარაგების, სამსახურის მუშაკთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებში.

დოკუმენტაციის დარგთაშორისი უნიფიცირებული სისტემების ნუსხა

დოკუმენტაციის სისტემის დასახელება	სისტემის შემმუშავებელი სამთავრობო დაწესებულება
1	2
საგეგმო დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
საანგარიშგებო-სტატისტიკური დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი
პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი
საბიუჯეტო დაწესებულებების საფინანსო, პირველადი და საანგარიშგებო დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საანგარიშო-ფულადი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს ეროვნული ბანკი
საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი
ვაჭრობის დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო
ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო
სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა	საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო

კატეგორიის სამინისტროს (ან სხვა
სამთავრობო დაწესებულების)
ხელმძღვანელის თანამდებობის
დასახელება

ხელმოწერა
თარიღი

ხელმოწერის გაშიფვრა

დანართი 3

დოკუმენტის ფორმის დასახელება	დოკუმენტის ფორმის დამტკიცების თარიღი, ფორმის დამმტკიცებელი ორგანოს დასახელება	გამოცემის პერიოდულობა	ფორმის მომზადებისათვის პასუხისმგებელი ქვედანაყოფი	შენიშვნა
2	3	4	5	6

შენიშვნა: 1. ცხრილში დოკუმენტები შეიძლება სისტემატიზებული იყოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ან მართვის ფუნქციებისა და ამოცანების (მართვის სისტემის ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა, დაგეგმვა, აღრიცხვა და ა.შ.) მიხედვით.

2. ცხრილი შეიძლება შეივსოს სხვა გრაფებით.

3. გრაფამი „შენიშვნა" შეიძლება მოთავსდეს დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტის ფორმასთან დაკავშირებით. მაგალითად, დოკუმენტის ხელმოწერის, შეთანხმების ან დამტკიცების წესის შესახებ.

სამინისტროს (ან სხვა სამთავრობო დაწესებულების) დოკუმენტის უნიფიცირებული ფორმების ცხრილის სანიმუშო ფორმა

დანართი 4

დასამტკიცებელი დოკუმენტების სანიმუშო ნუსხა

ანგარიშები (საწარმოო საქმიანობის, მიელინებების, სამეცნიერო- კვლევითი სამუშაოების და ა.შ.);

აქტები (შემოწმებებისა და რევიზიების; დამთავრებული სამშენებლო ობიექტების, აღჭურვილობის მიღების; ჩამოწერის; ვადაგასული დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის; საქმეთა გადაცემის; დაწესებულების ლიკვიდაციის და ა.შ.);

გეგმები (საწარმოო; სამშენებლო-სამონტაჟო, საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების; ახალი ტექნიკის დანერგვის; პროდუქციის კოოპერირებული მიწოდების; დადგენილი ნომენკლატურით პროდუქციის განაწილების; სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს, სამეცნიერო საბჭოს და ა.შ. მუშაობის);

დავალებები (ობიექტების, ტექნიკური ნაგებობების დაპროექტების, კაპიტალური მშენებლობის; სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა შესრულების; ტექნიკური და ა.შ.);

დებულებები (სამინისტროს; სტრუქტურული ქვედანაყოფის; პრემირების და ა.შ. შესახებ);

ინსტრუქციები (წესები) _ (თანამდებობრივი; საქმისწარმოების; უსაფრთხოების ტექნიკის, შინაგანაწესის და ა.შ.);

ნორმატივები (ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის ხარჯვის; ტექნოლოგიური დაპროექტების; მუშაკთა რაოდენობის და ა.შ.);

ნუსხები (არანორმირებული სამუშაო დღის მქონე მუშაკთა თანამდებობების; საწარმოების, რომლებშიც განსაზღვრული შეღავათები ვრცელდება; აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების საქმიანობაში შექმნილი ტიპობრივი დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველი და ა.შ.);

პროგრამები (სამუშაოთა შესრულებისა და ღონისძიებათა განხორციელების; მივლინებების და ა.შ.);

საგარიფო განაკვეთები;

სამტაგო ნუსხები და მათი ცვლილებები;

სტანდარტები (სახელმწიფო, სამეურნეო ობიექტების და ა.შ.);

სტრუქტურა და სამტაგო რაოდენობა;

უნიფიცირებული დოკუმენტების ფორმები;

ფასდება სამუშაოთა წარმოებაზე;

წესდებები (სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების); შემოქმედებითი კავშირების და ა.შ.);

ხარჯთნუსხები (მმართველობითი აპარატის, შენობების, სათავსების, ნაგებობების შენახვის; საწარმოს ფონდის სამუალებათა გამოყენების; ახალ ნაკეთობათა წარმოების მომზადებისა და ათვისების; კაპიტალური მშენებლობის და ა.შ.);

ხელშეკრულებები (სამუშაოთა წარმოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სათავ-სების იჯარით აღების; მომარაგების, ნარდად მუშაობის, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის, მატერიალური პასუხისმგებლობის და ა.შ.).

დანართი 5

დოკუმენტების სანიმუშო ნუსხა, რომლებზეც დასმება გერბიანი ბეჭედი

აქტები (დამთავრებული სამშენებლო ობიექტების, აღჭურვილობის, შესრულებულ სამუ-შაოთა მიღების; ჩამოწერის, ექსპერტიზის და ა.შ.);

აღმასრულებელი ფურცლები;

განაცხადები (მოწყობილობაზე, გამოგონებაზე და ა.შ.);

განცხადებები (აკრედიტივზე; აქცეპტზე უარის თქმის და ა.შ.);

დავალებები (საბიუჯეტო; საბანკო; საპენსიო; საგადასახადო; იმპორტის; ობიექტების; ტექნიკური ნაგებობების; კაპიტალური მშენებლობის დაპროექტების; ტექნიკური და ა.შ.);

დასკვნები და შეფასებები (დაწესებულებების) დისერტაციებისა და ავტორეფერატების;

დებულებები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების; ეგზეკვატურა;

მიელინებათა მოწმობები;

მინდობილობები (სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიღების; არბიტრაჟში საქმეთა წარმოების და ა.შ.);

ნიმუშები ბეჭდების ანაბეჭდებისა და მუშაკთა ხელმოწერების, რომელთაც უფლება აქვთ განახორციელონ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციები;

ნორმები ძვირფასი ლითონების ხარჯვის;

ნოტა;

ოქმები (მიწოდების გეგმების შეთანხმების; მსაჯულთა წამოყენების და ა.შ.);

რეესტრები (ჩეკების, ბანკში წარსადგენი საბიუჯეტო დავალებების);

სააკრედიტაციო ბარათი (საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატებისათვის; აღგილობრივი და უცხოეთის საინფორმაციო სამუალებების წარმომადგენლებისათვის);

საკონსულო პატენტი;

სატიტულო სიები;

სამტაგო ნუსხები და მათი ცვლილებები;

სპეციფიკაციები (ნაკეთობების, პროდუქციის და ა.შ.);

ცნობები (სალიმიტო; სადაზღვევო თანხების გაცემის; ხელფასზე საბიუჯეტო ასიგნების გამოყენების; დარიცხული და კუთვნილი ხელფასის და ა.შ.);

წარდგინებები და შუამდგომლობები (ორდენებითა და მედლებით, სახელმწიფო პრემიებითა და ა.შ. დაჯილდოებასთან დაკავშირებით);

წერილები საგარანტიო (სამუშაოების, მომსახურების და ა.შ. შესრულების);

წესდებები (სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების); შემოქმედებითი კავშირების და ა.შ.);

ხარჯთნუსსები (მშართველობითი აპარატის შენახვის; ახალ საკეთობათა წარმოების ორგანიზაციისა და აღრიცხვის; ხელშეკრულების კალკულაციის; კაპიტალური მშენებლობის და ა.შ.);

ხელშეკრულებები (მატერიალური პასუხისმგებლობის, მიწოდების, ნარდად მუშაობის, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის, სათავსების იჯარით აღების; სამუშაოთა წარმოების და ა.შ.).

დანართი 6

სარეგისტრაციო-საკონტროლო ფორმების ძირითადი რეკვიზიტების შევსების წესები

რეკვიზიტები	განმარტებები შესავსებად
1	2
დოკუმენტის სახეობის სახელწოდება	შეივსება რეგისტრირებული დოკუმენტის სახეობის სახელწოდების შესაბამისად. წერილების რეგისტრაციის დროს გრაფა არ შეივსება.
ავტორი (კორესპონდენტი)	შემოსული დოკუმენტის რეგისტრაციის დროს ჩაიწერება დოკუმენტის ავტორი-დაწესებულების (პირის) სახელწოდება. გასაგზავნი დოკუმენტების რეგისტრაციის დროს ჩაიწერება კორესპონდენტი-დაწესებულების (პირის) სახელწოდება. დასაშვებია დაწესებულების შემოკლებული სახელწოდებაც.
დოკუმენტის თარიღი	ავტორი-დაწესებულების მიერ დოკუმენტისათვის მიკუთვნებული თარიღი სარეგისტრაციო-საკონტროლო ფორმაზე გადაიტანება არაბული ციფრებით-რიცხვი, თვე, წელი ან წელი, თვე, რიცხვი.
დოკუმენტის ინდექსი	ავტორი-დაწესებულების მიერ დოკუმენტისათვის მიკუთვნებული ინდექსი სარეგისტრაციო ფორმაზე გადაიტანება შემოსული ან გასაგზავნი დოკუმენტიდან.
შემოსვლის თარიღი	დაწესებულებაში დოკუმენტის შემოსვლის თარიღი სარეგისტრაციო-საკონტროლო ფორმაზე გადაიტანება სარეგისტრაციო შტამპიდან არაბული ციფრებით.
შემოსვლის ინდექსი	მიმღები დაწესებულების მიერ დოკუმენტისათვის მიკუთვნებული ინდექსი შემოსვლის რეგისტრაციის დროს სარეგისტრაციო-საკონტროლო ფორმაზე გადაიტანება სარეგისტრაციო შტამპიდან. დოკუმენტის შესრულების შემდეგ დამატებით შეივსება საქმის ნომრით საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით ან სხვა ინდექსებით.

1	2
დოკუმენტის სათაური ან მოკლე შინაარსი	ფორმაზე გადაიტანება დოკუმენტზე შედგენილი სათაური. დოკუმენტზე სათაურის არარსებობის შემთხვევაში იგი დგება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.
რეზოლუცია	დოკუმენტიდან ფორმაზე გადაიტანება შემსრულებელი, რეზოლუციის დავალების ძირითადი მინაარსი, აეტორი და თარიღი.
შესრულების ვადა	არაბული ციფრებით დაისმება რიცხვი, თვე, წელი ან წელი, თვე, რიცხვი. გასაგზავნი საინიციატიო დოკუმენტის რეგისტრაციის დროს იწერება მისაღები პასუხის თარიღი.
აღნიშვნა შესრულების შესახებ	საკითხის არსის გადაწყვეტის მოკლე ჩაწერა ან საპასუხო დოკუმენტის თარიღი და ინდექსი.
საქმე N	საქმის ინდექსი საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად.

დაწესებულების დასახელება
საქმეთა ნომენკლატურა
_____N_____
შედგენის ადგილი
_____წლისათვის

ვამტკიცებ
დაწესებულების ხელმძღვანელის
თანამდებობის დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა
თარიღი

საქ-მის ინდ-ექ-სი	სტრუქტურული ქვედანაყოფის (საქმიანობის მიმართულების) დასახელება და საქმის (ტომის, ნაწილის) სათაური	საქმეთა (ტომების, ნაწილების) რაოდენობა	საქმის (ტომის, ნაწილის) შენახვის ვადა და მუხლის N ნუსხის მიხედვით	შენიშვნა
1	2	3	4	5

საქმისწარმოების სამსახურის
ხელმძღვანელის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

საუწყებო არქივის გამგის
(არქივისათვის პასუხისმგებელი
პირის) ვიზა

მოწონებულია შეთანხმებულია

(დაწესებულების დასახელება) (სახელმწიფო არქივის დასახელება)
ცენტრალური საექპერტო საექსპერტო-შემმოწმებელ
(საექსპერტო) კომისიის მიერ კომისიასთან

_____N_____ოქმი _____N_____ოქმი

ფორმატი ა4 (210X297 მმ)
დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის ფორმა

დანართი 7 გაგრძელება

შემაჯამებელი ჩანაწერი დაწესებულებაში _____ წელს შემოღებულ საქმეთა კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ

შენახვის ვადების მიხედვით	სულ	მათ შორის	
		გარდამავალი	აღნიშვნით "სმკ"
1	2	3	4
მუდმივად შესანახი			
ხანგრძლივად შესანახი (10 წელზე მეტხანს)			
დროებით შესანახი (10 წლის ჩათვლით)			
სულ:			

შემაჯამებელი ცნობები გადაცემულია საუწყებო არქივში

ცნობების გადამცემის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
გაშიფვრა
თარიღი

დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შემაჯამებელი ჩანაწერის ფორმა

დანართი 8

დაწესებულების დასახელება
სტრუქტურული ქვედანაყოფის
დასახელება
საქმეთა ნომენკლატურა
_____N_____
მედგენის ადგილი
_____წლისათვის

განაყოფის სახელწოდება				
საქ-მის ინდე-ქსი	საქმის (ტომის, ნაწილის) სათაური	საქმეთა (ტომების, ნაწილების) რაოდენობა	საქმის (ტომის, ნაწილის) შენახვის ვადა და მუხლის N ნუსხის მიხედვით	შენიშვნა
1	2	3	4	5

სტრუქტურული ქვედანაყოფის
ხელმძღვანელის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფერა

შეთანხმებულია
არქივის გამგე
(არქივისათვის პასუხისმგებელი
პირი)
ხელმოწერის
ხელმოწერა გაშიფერა

თარიღი

ფორმატი ა4 (210X297 მმ)

დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა ნომენკლატურის ფორმა

დანართი 9

დაწესებულების დასახელება ეამტკიცებ
აქტი დაწესებულების ხელმძღვანელის
_____N_____ თანამდებობის დასახელება
შედგენის ადგილი ხელმოწერის
დოკუმენტებისა და საქმეების ხელმოწერა გაშიფერა
გასანადგურებლად გამოყოფისა, თარიღი
რომლებიც შენახვას არ
ექვემდებარებიან
_____საფუძველზე
(დოკუმენტებისა და მათი შენახვის ვადების ამსახველი ნუსხის სახელწოდება)

_____ დოკუმენტები, რომლებსაც არა აქვთ
(ფონდის დასახელება)
სამეცნიერო-ისტორიული ფასეულობა და დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა,
გამოყოფილია გასანადგურებლად

N რიგის მიხ-ედ-ვით	საქმის სათაური ან საქმეთა ჯგუფური სათაური	საქმის თარიღი ან საქმეთა კიდური თარიღები	_____წლის (წლების) აღწერების (ნომენკლა-ტურების) ნომრები	საქმის (ტომის, ნაწილის) ინდექსი ნომენკლატურის მიხედვით ან საქმის ნომერი აღწერის მიხედვით	საქმეთა (ტომების, ნაწილების) რაოდენობა	საქმის (ტომის, ნაწილის) შენახვის ვადები და მუხლების ნომრები ნუსხის მიხედვით	შენიშ-ვნა
1	2	3	4	5	6	7	8

სულ _____წლების_____
(ციფრებით და სიტყვებით)
საქმე

_____ წლების მუდმივად შესანახ საქმეთა აღწერები დამტკიცებულია,
ხოლო პირადი შემადგენლობის - შეთანხმებულია _____
(სახელმწიფო არქივის

დასახელება) საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან

(_____N_____ოქმი)

დოკუმენტების შემფასებელი
ექსპერტიზის მომწყობი
პირის თანამდებობის ხელმოწერის
დასახელება ხელმოწერა გაშიფვრა

მოწონებულია

_____
(დაწესებულების დასახელება)
ცენტრალური საექსპერტო
(საექსპერტო) კომისიის მიერ

_____N_____-ოქმი

დოკუმენტები_____საქმის
(ციფრებით და სიტყვებით)

ოდენობით _____კგ.წონით ჩაბარდა _____
(დაწესებულების დასახელება)

გადასამუშაებლად მიღება-ჩაბარების _____N_____ზედნადებიო
(თარიღი)

დოკუმენტების ჩამბარებელი
დაწესებულების მუშაკის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა

ცვლილებები სააღრიცხვო დოკუმენტებში შეტანილია.
სააღრიცხვო დოკუმენტებში შემტანი
საუწყებო არქივის (საქმისწარმოების
სამსახურის) მუშაკის თანამდებობის ხელმოწერის
დასახელება ხელმოწერა გაშიფერა
თარიღი
ფორმატი ა4 (210X297 მმ)

დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის აქტის ფორმა

დანართი 10

საქმის დამადასტურებელი ფურცელი N _____

საქმეში ჩაკერებულია და დანომრილია _____
(ციფრებით და სიტყვებით)
ფურცელი

მათ შორის: სალიტერო ფურცლები _____;

გამოტოვებული ნომრები _____

+შიდა აღწერის ფურცლები _____
_____

საქმის ფიზიკური მდგომარეობისა და ფორმირების თავისებურებანი	ფურცლების ნომრები
1	2

დამადასტურებელი წარწერის
შემდგენელი პირის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297 მმ)

საქმის დამადასტურებელი ფურცლის ფორმა

დანართი 11

N _____ საქმის დოკუმენტების
შიდა აღწერა

N რიგის მისელ-ეით	დოკუმენტის ინდექსი	დოკუმენტის თარიღი	დოკუმენტის სათაური	საქმის ფურცლების ნომრები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

სულ _____ დოკუმენტი
(ციფრებით და სიტყვებით)
შიდა აღწერის ფურცლების რაოდენობა _____
(ციფრებით და სიტყვებით)

საქმის დოკუმენტის შიდა
აღწერის შემდგენლის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა
ფორმატი ა4 (210X297 მმ)

საქმის დოკუმენტების შიდა აღწერის ფორმა

დანართი 12

სახელმწიფო არქივის კოდი_____
დაწესებულების კოდი_____

_____ _____
_____ _____
_____ _____
(სახელმწიფო არქივის დასახელება)

_____
_____
_____
_____
(დაწესებულებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების
დასახელება)

_____ საქმე N _____ ტომი N _____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
(საქმის სათაური)

_____
(თარიღი)
_____ფურცელზე

ინახება_____

ფონდი N_____
აღწერა N_____
საქმე N_____

_____
საქმის გარეკანი

დანართი 13

_____
(დაწესებულების დასახელება)

_____
(სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება)

ვამტკიცებ

სტრუქტურული ქვედანაყოფის
ხელმძღვანელის თანამდებობის
დასახელება
ხელმოწერის
ხელმოწერა გაშიფვრა
თარიღი

აღწერა N

N რიგის მიხე-დვით	საქმის (ტომის, ნაწილის) ინდექსი	საქმის (ტომის, ნაწილის) სათაური	საქმის (ტომის, ნაწილის) თარიღი	ფურცლების რაოდენობა საქმეში (ტომში, ნაწილში)	საქმის (ტომის, ნაწილის) შენახვის ვადები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6 X	7

აღწერაში შეტანილია _____ საქმე
(ციფრებით და სიტყვებით)

N_____ დან N_____ ჩათვლით, მათ შორის:

_____
X მუდმივად შესანახ საქმეთა აღწერების ფორმაში მე-6 გრაფა არ შეიტანება

სალიტერო ნომრები:

გამოტოვებული ნომრები:

აღწერის შემდგენელის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
გაშიფერა

თარიღი

შეთანხმებულია

დაწესებულების საქმისწარმოების
სამსახურის ხელმძღვანელის
თანამდებობის დასახელება

ხელმოწერა ხელმოწერის
გაშიფერა

თარიღი

გადავეცი _____ საქმე
(ციფრებით და სიტყვებით)

და დოკუმენტების _____ სარეგისტრაციო
(ციფრებით და სიტყვებით)

საკონტროლო ბარათი X

_____
X გადაიცემა საქმისწარმოების სამსახურის სხვა საქმეებთან (სარეგისტრაციო ჟურნალები და სხვა სარეგისტრაციო ფორმები) ერთად.

სტრუქტურული ქვედანაყოფის
თანამშრომლის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
გაშიფერა

თარიღი

მიეიღე _____ საქმე და
(ციფრებით და სიტყვებით)

დოკუმენტების _____ სარეგისტრაციო-
(ციფრებით და სიტყვებით)

საკონტროლო ბარათი

საუწყებო არქივის მუშაკის თანამდებობის დასახელება	ხელმოწერა	ხელმოწერის გაშიფვრა

თარიღი
ფორმატი ა4 (210X297 მმ

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
389.012.004.344

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 158

2000 წლის 25 ივლისი ქ. თბილისი

"ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

"ნოტარიატის შესახებ საქართველოს 1996 წლის 3 მაისის კანონის 42-ე მუხლის საფუძველზე და მის შესასრულებლად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს "ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქცია.

2. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

ჯ. ხეცურიანი

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

1. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, დასახლებულ პუნქტებში, სადაც სანოტარო ბიუროები არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (სოფელი, დაბა) ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ა) აღასტურებენ ანდერძებს;

ბ) იღებენ ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;

გ) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;

დ) გადასცემენ პირთა განცხადებებს და ცნობებს სხვა პირებს;

ე) აღასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

ვ) აღასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;

ზ) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით მათ შეიძლება დაეკისროთ სხვა ისეთი სანოტარო მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ამ კანონის 41-ე და 42- მუხლებით არ არის გათვალისწინებული;

2. სანოტარო მოქმედებას სოფელში, თემსა და დაბაში ასრულებს გამგებელი ან მის მიერ სათანადო აქტით უფლებამოსილება მინიჭებული პირი.[1]

3. "ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის მე – 2 მუხლის შესაბამისად სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და აქტებით.

4. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები მოვალენი არიან დაიცვან შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედების შესახებ და დოკუმენტები ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს (ფიზიკური ან იურიდიული), რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართ იყო შესრულებული სანოტარო მოქმედება, ან მათ წარმომადგენლებს.

გამოძიების, ადვოკატის, ან სასამართლოს მოთხოვნით ცნობები შესრულებული სანოტარო მოქმედებების შესახებ და დოკუმენტები გაიცემა მათ წარმოებაში არსებული სისხლის, ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. ცნობებსა და დოკუმენტებს აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები გასცემენ მხოლოდ ზემოაღნიშნული ორგანოების წერილობითი მოთხოვნით.

ცნობები ანდერძის არსებობის, მისი შინაარსის და სხვათა შესახებ გაიცემა მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვალების მოწმობის წარდგენით.

სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის წესები ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების თაობაზე შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებს, აგრეთვე პირებს, რომლებმაც შესრულებული სანოტარო მოქმედების თაობაზე შეიტყვეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დარღვევისათვის დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ პირებს თავიანთი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, განუმარტონ მათ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების შესახებ, რათა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა და სხვა მსგავსი გარემოებანი გამოყენებული არ იქნეს მათ საზიანოდ.

აუცილებლობის შემთხვევებში აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებმა იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა (შემდგომში – პირთა) თხოვნით, რომლებმაც მათ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმართეს, უნდა შეადგინონ განცხადებათა პროექტები, მოამზადონ დოკუმენტების ასლები და მათი ამონაწერები, აგრეთვე მისცენ ახსნა-განმარტებანი სანოტარო მოქმედების შესრულების საკითხებზე.

6. სანოტარო მოქმედება "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე – 7 მუხლის თანახმად სრულდება სახელმწიფო ენაზე.

თუ პირი, რომელიც ითხოვს სანოტარო მოქმედების შესრულებას, ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თარჯიმნის მონაწილეობით.

თუ პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია დოკუმენტი, იგი ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების ძირითადი წესები

7. სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ყოველი სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელ ორგანოში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის მე - 12 და 30-ე პუნქტებით.

8. სანოტარო მოქმედება სრულდება სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს შენობაში.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა ფიზიკურ პირს აავადმყოფობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს შენობაში, სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოების შენობების გარეთაც.

თუ სანოტარო მოქმედება სრულდება საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს შენობის გარეთ, დამადასტურებელ წარწერაში დოკუმენტზე და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ჟურნალში აღინიშნება სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი და მისამართი (მაგალითად, ინდერძი დადასტურებულია სახლში შემდეგ მისამართზე: დაბა სურამი, 9 აპრილის ქუჩა N 5, ბინა 11).

9. სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და საზღაურის გადახდის შემდგომ. საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და ამავე კანონის 35-ე მუხლის თანახმად მთლიანად ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

10. სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს:

ა) თუ გამოთხოვილია დამატებითი მონაცემები ან დოკუმენტები, მათ შემოსვლამდე;

ბ) თუ ტარდება ექსპერტიზა ექსპერტის დასკვნის მიღებამდე;

გ) დაინტერესებული პირის თხოვნით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედარებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არა უმეტეს ათი დღის ვადით. თუ შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოდან მიღებული არ იქნა ცნობა დაინტერესებულ მოქალაქის განცხადების შეტანის შესახებ, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ასრულებს სანოტარო მოქმედებას;

დ) სანოტარო მოქმედების შესრულება ჩერდება სასამართლოს შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, სასამართლოში სამართლებრივი დავის გადაწყვეტამდე;

ე) სანოტარო მოქმედების გადადების ან შეჩერებისას აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი არ გასცემს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს ან მოწმობას, საჭიროების შემთხვევაში იგი სანოტარო დოკუმენტში აღიშნავს, რომ შემოწმებულია პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

11. სანოტარო მოქმედების შესრულებისას აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები დაადგენენ იმ პირთა, ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ.

საქართველოს მოქალაქეების ვინაობა დგინდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან საქართველოს ეროვნული პასპორტით.

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა ვინაობა დგინდება მშობლების (მშვილებლების) პასპორტებში მათ შესახებ ჩანაწერის საფუძველზე ან დაბადების მოწმობის მისედვით.

სამხედრო მოსამსახურეთა ვინაობა დგინდება პირადობის მოწმობისა და სამხედრო ბილეთის საფუძველზე, რომელსაც გასცემს სამხედრო ნაწილისა და სამხედრო დაწესებულების სარდლობა.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ვინაობა დადგინდება საქართველოში ბინადრობის მოწმობის ან ეროვნული პასპორტის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია შინაგან საქმეთა ან სხვა საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებში.

საქართველოში დროებით საცხოვრებლად ჩამოსული იმ პირის ვინაობა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ, დადგინდება მისი საზღვარგარეთული პასპორტით.

თუ აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, პირადად იცნობს პირს, პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის.

დოკუმენტის ასლისა და მისი ამონაწერის ნამდვილობის დადასტურებისას, მოქალაქის ვინაობა შეიძლება დადგენილი იქნეს იმ მოწმობით, რომელიც გაცემულია დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ პირის სამუშაო ადგილის მიხედვით, ინვალიდობის მოწმობით, ომის მონაწილის მოწმობით.

12. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირს უფლება არა აქვს შეასრულოს სანოტარო მოქმედება, რომელმიც მონაწილეობს თვითონ, მისი მეუღლე, თავისი ან მეუღლის მშობლები, პაპები, ბებიები, ძმები ან დები

სანოტარო მოქმედებას აღნიშნულ შემთხვევაში შეასრულებს ნებისმიერი სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს.

"ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული მოქმედება სრულდება მხოლოდ იმ სოფელში, თემსა და დაბაში, სადაც იმყოფება სამკეიდრო ქონება.

ამ პუნქტში აღნიშნული წესების დარღვევით შესრულებული სანოტარო მოქმედება ბათილია.

13. სანოტარო წესით დადასტურებული გარიგების ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით. თარიღები და ვადები ერთხელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვებით. დოკუმენტში სრულად უნდა იყოს ნაჩვენები ფიზიკურ პირთა გვარები, სახელები, მამის სახელები, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიულ პირთა სახელწოდება, მათი ადგილსამყოფელი. ბოლომდე შეუვსებელი სტრიქონები და სხვა თავისუფალი ადგილები დოკუმენტზე უნდა გადაიხაზოს. მინაწერები და შესწორებები უნდა აღინიშნოს გარიგების მონაწილის და გარიგების ხელმომწერ სხვა პირთა ხელმოწერის წინ. მაგალითად, თუ ანდერძის ტექსტში სიტყვები "ჩვეულებრივი საოჯახო მოხმარების საგნები" გადასწორებულია სიტყვებით "საცხოვრებელი სახლი", გადასწორება უნდა აღინიშნოს ამგვარად: გადახაზული სიტყვები "ჩვეულებრივი საოჯახო მოხმარების საგნები" წამლილია, ჩაწერილი სიტყვები "საცხოვრებელი სახლი" სწორია. ამ შესწორებას ხელს უნდა აწერდეს მოანდერძე (ან სხვა პირი, რომელმაც ხელი მოაწერა ანდერძს მოანდერძის თხოვნით) აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის თანდასწრებით და იგი უნდა გასმეორდეს დამადასტურებელი წარწერის ბოლოს აღნიშნული თანამდებობის პირის ხელმოწერის წინ. თუ შესწორება შეგანილია იმ დოკუმენტის ტექსტში, რომელსაც მხარეები ხელს არ აწერენ (მაგალითად, დოკუმენტის ასლი), ისინი უნდა აღინიშნოს და ხელმოწერილ იქნეს აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის მიერ დამადასტურებელი წარწერის ბოლოს.

თუ დადასტურებული ან დასამოწმებელი დოკუმენტი შედგენილია არასწორად ან უწიგნურად, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი წინადადებას აძლევს მთხოვნელ პირს გაასწოროს იგი ან შეადგინოს ახალი დოკუმენტი. მთხოვნელი პირის თხოვნით დოკუმენტი შეიძლება შეადგინოს აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირმა, რისთვისაც გადახდილ უნდა იქნეს საზღაური დოკუმენტის პროექტის შედგენისათვის დაწესებული ოდენობით.

14. ანდერძის დადასტურებისას , დოკუმენტის ასლებისა და ამონაწერების დედანთან სისწორის დამოწმებისას, დოკუმენტზე კეთდება დამადასტურებელი წარწერა, რომელიც მოწმდება აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

დამადასტურებელი წარწერის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ან დაიწეროს ხელით, ნათლად, გადაშლისა და ამოფხეკის გარეშე. შეუვსებელი ადგილები უნდა გადაიხაზოს. მინაწერები და სხვა შესწორებანი აღინიშნოს წინა პუნქტში აღწერილი წესით.

დამადასტურებელ წარწერათა შესასრულებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შტამპები შესაბამისი წარწერის ტექსტით.

თუ დამადასტურებელი წარწერა არ ეტევა შესაბამის დოკუმენტზე, იგი შეიძლება გაგრძელდეს ან მთლიანად დაიწეროს დოკუმენტზე მიკრულ ქაღალდის ფურცელზე. ამ შემთხვევაში ფურცლები, რომლებზეც გადმოცემულია დოკუმენტის ტექსტი და დამადასტურებელი წარწერა, ზონარგაყრილი და დანომრილი უნდა იყოს, ფურცლების რაოდენობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი თანამდებობის პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

დამადასტურებელი წარწერის გადმოცემის ან მისი გაგრძელებისათვის დასაშვებია აგრეთვე ქაღალდის ფურცლის მიწებება გერბიანი ბეჭდის დასმით, რომლის ანაბეჭდი ნაწილობრივ უნდა აისახოს მიწებებულ ფურცელზე.

ქაღალდის ფურცლების მიმაგრება და მიწებება დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმების დამადასტურებელი წარწერისათვის, აგრეთვე დუბლიკატზე წარწერისათვის არ დაიშვება.

15. ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები, რეგისტრაციაში ტარდება სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ჟურნალში. ყოველ სანოტარო მოქმედებას ეძლევა ცალკე რიგითი ნომერი. ნომერი, რომლითაც სანოტარო მოქმედება რეგისტრირებულია ჟურნალში, აღინიშნება გაცემულ დოკუმენტსა და დამადასტურებელ წარწერაში.

ჟურნალი ზონარგაყრილი, ხოლო მისი ფურცლები დანომრილი უნდა იყოს. ფურცლების რაოდენობა უნდა დაამოწმოს სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელმა აღმასრულებელი ორგანოს გერბიანი ბეჭდის დასმით.

აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ჟურნალში ჩანაწერის შესრულებისას იყენებს მელანს (ან ბურთულიან კალამს). ფანქრით ჩაწერა და გადაშლა-გადაფხეკა ჟურნალში არ დაიშვება. დოკუმენტზე შეუვსებელი ადგილები უნდა გადაიხაზოს, ხოლო შეტანილი შესწორებანი აღინიშნოს აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის ხელმოწერით.

16. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ამონაწერს გასცემენ იმ პირთა წერილობითი განცხადებით, ვისი დავალებით, ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, აგრეთვე სასამართლოს, პროკურატურის, გამოძიების, მოკვლევის ორგანოებისა და აღეოკატურის მოთხოვნით მათ წარმოებაში არსებული სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

17. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის მიერ დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში იმ პირთა წერილობითი განცხადებით, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება, გაიცემა დაკარგული დოკუმენტის დუბლიკატი.

დოკუმენტის დუბლიკატები გაიცემა ამ ინსტრუქციის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დაცვით.

დოკუმენტის დუბლიკატები უნდა შეიცავდეს დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის მთელ ტექსტს. დოკუმენტის დუბლიკატზე დამადასტურებელი წარწერა კეთდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

ანდერძის ასლი შეიძლება მიეცეთ ანდერძში აღნიშნულ მემკვიდრეებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარადგენენ მოწმობას მოანდერძის გარდაცვალების შესახებ. ანდერძში აღნიშნული მემკვიდრეების გარდაცვალების შემთხვევაში, ანდერძის ასლი შეიძლება მიეცეთ მათ მემკვიდრეებს მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ მოწმობებს მოანდერძისა და გარდაცვლილი მემკვიდრის გარდაცვალების შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ნათესაური კავშირის დამადასტურებელ საბუთს.

18. თუ წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირებს უფლება აქვთ შეაჩერონ ეს დოკუმენტი ან გაგზავნონ იგი საექსპერტიზოდ.

დოკუმენტი საექსპერტიზოდ იგზავნება განსაკუთრებული წერილით, რომელშიც აღინიშნება:

დოკუმენტის გაგზავნის თარიღი;

დოკუმენტის გამგზავნი თანამდებობის პირის ინიციალები, გვარი და აღმასრულებელი ორგანოს დასახელება;

დოკუმენტის დასახელება, ვის სახელზეა იგი გაცემული;

ვინ (გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი) წარადგინა დოკუმენტი სანოტარო მოქმედების შესასრულებლად;

გარემოებანი, რამაც გამოიწვია დოკუმენტის საექსპერტიზოდ გაგზავნის აუცილებლობა;

საიდ (რომელ საექსპერტო დაწესებულებას) ეგზავნება დოკუმენტი ექსპერტიზის ჩასატარებლად;

საკითხები, რომლებზეც საჭიროა ექსპერტიზის დასკვნა.

19. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები:

- უარს ამბობენ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ ასეთი მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს;

მოქმედება არ უნდა შესრულდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ან უნდა შესრულდეს სხვა ორგანოს მიერ;

სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვს არაქმედუნარიანი პირი ან წარმომადგენელი, რომელსაც არ გააჩნია სათანადო უფლებამოსილება, ან ქმედუნარიანი, მაგრამ მოცემულ მომენტში

ისეთ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელსაც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას ან უხელმძღვანელოს მას;

დოკუმენტი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან შეიცავს პირის პაგიისა და ღირსების შემლახავ ცნობებს.

პირს, რომელსაც სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი ეთქვა, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი უარის თქმის შემდეგ არა უგვიანეს სამი დღისა, აძლევს დოკუმენტს (დადგენილება), რომელშიც მოცემულია უარის თქმის მოტივები, უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

20. სოფლის, თემის, დაბის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე გარიგებების, განცხადებების პროექტების შედგენისათვის, დოკუმენტების ასლების, მათი ამონაწერების მომზადებისათვის, დოკუმენტების დუბლიკატების გაცემისათვის დაინტერესებულ პირებს გადაეხდებათ საზღაური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

21. "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ადგილზე გაემგზავრა, დაინტერესებულ პირებს ეკისრებათ საგრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება.

თუ სანოტარო მოქმედება შესრულებულია აღმასრულებელი ორგანოს შენობის გარეთ ან არასამუშაო დროს, საზღაური გამოიანგარიშება შესაბამისი საზღაურის განაკვეთზე ყოველი დახარჯული საათისათვის 3 ლარის დამატებით. სანოტარო მოქმედების შემსრულებელი პირის სამუშაო დროდ მიიჩნევა დრო 10 საათიდან 18 საათამდე.

კარი III

სანოტარო მოქმედების ცალკეულ სახეობათა შესრულების წესები

თავი I. ანდერძის დადასტურება

22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის თანახმად, ანდერძს აღასტურებენ ნოტარიუსები, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, - თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები. ანდერძის სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილ და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ.

ანდერძი ქმედუნარიანმა ფიზიკურმა პირმა პირადად უნდა წარუდგინოს შესაბამის თანამდებობის პირს. ერთი ანდერძის დადასტურება რამდენიმე პირის სახელით, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობით, მისი შედგენის ადგილისა და დროის აღნიშნვით და მოანდერძემ თვითონ უნდა მოაწეროს მასზე ხელი.

აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირმა მოანდერძის სიტყვებით შეიძლება ჩაიწეროს ანდერძი ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის ჩაწერისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა საბეჭდი მანქანა, კომპიუტერი და ა.შ.

მოანდერძის სიტყვებით აღმასრულებელ ორგანოს თანამდებობის პირის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და შესაბამისი თანამდებობის პირისა და მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ აწერს ხელს ანდერძს, შეიძლება მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ამასთან, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირმა უნდა აღნიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. პირს, რომელსაც უანდერძებენ ქონებას, უფლება არა აქვს დაესწროს ანდერძის შედგენას და ხელი მოაწეროს მას მოანდერძის მაგიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას თვითონ მოანდერძე ითხოვს. ამ შემთხვევაში ანდერძის ორივე ეგზემპლარზე კეთდება აღნიშვნა მოანდერძის თხოვნის შესახებ, რაც დამოწმებული უნდა იქნეს მოანდერძის (ან მისი დავალებით ანდერძზე ხელის მომწერი პირის), აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირის ხელმოწერით და მისივე ბეჭდით.

23. თუ მოანდერძე ყრუ, მუნჯი ან ყრუ – მუნჯია, ან ყრუ, მუნჯი და წერა-კითხვის უცოდინარია, საანდერძო განკარგულება მან უნდა გააკეთოს შესაბამის თანამდებობის პირთან ორი

მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის მისაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას.

მოანდერძემ, რომელიც ბრმაა ან არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს შესაბამის თანამდებობის პირთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც მას უნდა წაეკითხოს და აღნიშნულის თაობაზე აღნიშნოს სანოტარო დოკუმენტში.

ჩამწერი და წამკითხველი შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი არ უნდა იყოს წამკითხველი.

ჩანაწერში მითითებული უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს შესაბამისმა თანამდებობის პირმა.

24. ანდერძის მოწმეებად არ შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვანები, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დამავალი და აღმავალი საზით, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი). შესაბამისად, მოწმეებს განემარტებათ სამოქალაქო კოდექსის 1362-1363 მუხლები, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ანდერძზე გაკეთებულ დამადასტურებელ წარწერაში. ამასთან, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირები და მოწმეები, მოანდერძის სურვილის არსებობის შემთხვევაში და "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილ მემთხვევაში, შესაძლებელია განთავისუფლდნენ საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან.

25. თანამდებობის პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას.

მოანდერძემ, სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად, ანდერძი შეიძლება შეადგინოს თვითონ და მოაწეროს მას ხელი ოფიციალური დამოწმების გარეშე (შინაური ანდერძი). მოანდერძეს შეუძლია ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით გადასცეს შესაბამის თანამდებობის პირს სამი მოწმის თანდასწრებით, რაც უნდა დადასტურდეს კონვერტზე ხელის მოწერით. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ვალდებულია შინაური ანდერძი მიიღოს შესასახადოფიციალური დეპონირებისათვის.

ანდერძის დადასტურებისათვის საზღაური იანგარიშება როგორც ერთი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. მოწმეთა ხელმოწერები და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები აისახება სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ჟურნალში, მაგრამ მათ არ მიენიჭებათ დამოუკიდებელი სანოტარო მოქმედებისათვის კუთვნილი რიგითი ნომერი.

26. ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა კომპიუტერი, საბეჭდი მანქანა და ა.შ. მაგრამ ყველა შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ.მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით, მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.

ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს უნდა განემარტოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი და აღნიშნულმა ასახვა უნდა ჰპოვოს ანდერძის ტექსტში.

27. კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა ანდერძის დადასტურებისას უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ ანდერძში მითითებული იყოს მისი შედგენის თარიღი. თარიღის არ არსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის, შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.

ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს არ მოეთხოვება იმ მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებიც ადასტურებენ მის უფლებას საანდერძო ქონებაზე.

28. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სანოტარო წესით დამწმებული ანდერძი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში

29. თუ აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირმა მიიღო განცხადება დადასტურებული ანდერძის გაუქმების შესახებ ან ახალი ანდერძი, რომელიც აუქმებს ან ცვლის ადრე დადასტურებულ

ანდერძს, შესაბამისი თანამდებობის პირი ამის თაობაზე აღნიშვნას აკეთებს სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ჟურნალში და ანდერძის იმ ეგზემპლარზე, რომელიც ინახება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. თუ მოანდერძე წარმოადგენს მის ხელთ არსებულ ეგზემპლარს, აღნიშნავს ანდერძის გაუქმების შესახებ კეთდება ამ ეგზემპლარზეც, რის შემდეგ იგი განცხადებასთან ერთად (თუ ანდერძი გაუქმებულია განცხადებით) თან დაერთვის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში შენახულ ეგზემპლარს.

სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა თანამდებობის პირმა მოანდერძეს უნდა განუმარტოს სამოქალაქო კოდექსის 1414-1420 მუხლები და აღნიშნულმა ასახვა უნდა ჰპოვოს საანდერძო დანაკისრში.

თავი II. სამკვიდრო ქონების დასაცავად მიღებული ზომები

30. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის "ბ" პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 1495-ე მუსლის თანახმად, ადგილზე არ მყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებენ ზომებს სამკვიდროს დასაცავად. სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, - სამკვიდროს ადგილსამყოფელი.

თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ- მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

დროებით საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქის (საზღვარგარეთ გარდაცვალების შემდეგ) სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა საზღვარგარეთ გამგზავრებამდე საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ- სამკვიდროს ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

ეადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე იმ ტექნიკუმების და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მაცი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეთ მდებარეობენ, სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება ის ადგილი, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობდნენ ეადიან სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ან შესაბამის სასწავლებლებში შესვლამდე.

31. შესაბამისი თანამდებობის პირი, რომელმაც მიიღო შეტყობინება სამკვიდროს გახსნის შესახებ, მოვალეა აცნობოს ეს იმ მემკვიდრეებს, რომელთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი მისთვის ცნობილია. მასვე აგრეთვე შეუძლია მემკვიდრეების გამოწვევა საჯარო განცხადების ან პრესის მეშვეობით. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი განუმარტავს სამკვიდროს მიმღებს სხვა მემკვდრეთა გამოწვევის თაობაზე.

32. თუ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება ან ქონების ნაწილი არ არის სამკვიდროს გახსნის ადგილზე, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი სამკვიდროს მიმღების განცხადების საფუძველზე, უგზავნის სამკვიდრო ქონების დაცვისათვის ზომების მიღების თაობაზე დაეალების შესაბამის ნოტარიუსს ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით მიღებული ზომების შესახებ, ამ ზომათა გამტარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირი აცნობებს იმ ნოტარიუსს, რომლის სამუშაო უბანშიც არის სამკვიდროს გახსნის ადგილი.

33. სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით აღმასრულებელი ორგანო თანამდებობის პირი ახდენს ქონების აღწერას და გადასცემს მას შესანახად მემკვიდრეებს ან სხვა პირებს, ამასთან, იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მოსაძებნად, რომლებიც სამკვიდროს გახსნის ადგილზე არ იმყოფებიან.

სამკვიდრო ქონების აღწერა ხდება სპეციალისტის, პოლიციის უბნის რწმუნებულის და 2 მოწმის, აგრეთვე აღწერაში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

აღწერის აქტი უნდა აღინიშნოს: დარჩენილი ქონების შესახებ განცხადების (შეტყობინების) ან სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების შესახებ დაეალების მომსელის თარიღი; აღწერის ჩატარების თარიღი; აღწერაში მონაწილე პირთა გვარი, სახელი და მისამართი; სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი, მისი გარდაცვალების დრო; აღსაწერი ქონების ადგილსამყოფელი; დალუქული იყო თუ არა სადგომი კომპეტენტური თანამდებობის პირის გამოცხადებამდე და იყო თუ

არა დაცული ლუქის ან ბეჭდის მთლიანობა; აქტში ჩამოთვლილი თითოეული საგნის დაწერილებითი დახასიათება და შეფასება, მათი ცვეთის პროცენტი.

აღწერილი საგნის შეფასება, რომელსაც საცალო ფასი არა აქვს, ხდება სპეციალისტის დასკვნის მიხედვით.

34. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებას არ ეთანხმებიან მემკვიდრეები, მათ უფლება აქვთ მოიწვიონ სპეციალისტი შემფასებელი. სპეციალისტი შემფასებლის შრომა ანაზღაურდება მემკვიდრეების ხარჯზე.

აქტის ყოველ გვერდზე აღინიშნება ნივთების (საგნების) რაოდენობა და მათი ღირებულების ჯამი, აღწერის დამთავრების შემდეგ კი – ნივთების (საგნების) საერთო რაოდენობა და მათი ღირებულების საერთო ჯამი. აღწერის აქტში შეიტანება გარდაცვლილის ბინაში არსებული მთელი ქონება. მეზობლების და სხვა პირთა განცხადებები იმის შესახებ, რომ ცალკეული ნივთები მათ ეკუთვნით, შეიტანება აღწერის აქტში, ხოლო დაინტერესებულ პირებს განემარტებათ, თუ რა წესით უნდა მიმართონ სასამართლოს ამ ქონების აღწერიდან ამორიცხვის შესახებ.

35. თუ ქონების აღწერა წყდება ან რამდენიმე დღით გრძელდება, სადგომს ყოველთვის დალუქავს პოლიციის უბნის რწმუნებული სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით. აღწერის აქტში ჩაიწერება აღწერის შეწყვეტისა და განახლების მიზეზები და დრო, აგრეთვე ლუქისა და ბეჭდის მდგომარეობა სადგომის შემდგომი გაღებისას.

აქტის ბოლოს აღინიშნება იმ პირის სახელი, გვარი, დაბადების წელი (აუცილებლობის შემთხვევაში, თვე) და საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც გადაეცა შესანახად ქონება, მისი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი, გაცემის თარიღი და დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება.

აღწერის აქტი დგება სულ ცოტა სამ ეგზემპლარად. ყველა ეგზემპლარს ხელს აწერენ: სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირი, დაინტერესებული პირები, მოწმეები და ქონების შესანახად მიმღები პირი.

თუ სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება შეუძლებელია (მემკვიდრეების ან სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრები სხვა პირები აღწერის წინააღმდეგნი არიან, არ წარადგენენ ქონებას აღსაწერად, ანდა ქონება გადატანილია და ა.შ.) აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი შეადგენს აქტს და ამის შესახებ შეატყობინებს დაინტერესებულ პირებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – საფინანსო ორგანოს.

36. გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ფული შეინახება დეპოზიტი მემკვიდრეთათვის გადაცემამდე.

ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (როდიუმი, პალადიუმი, ირიდიუმი, რუთენიუმი) მონეტებში, ზოდის ან ნედლეულის სახით და უცხოური ვალუტა, ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, მონეტები, საგადამხდელო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები, აქციები და სხვა), ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, მათ შორის ძვირფასი ქვები და მარგალიტის ნაკეთობანი მემკვიდრეთათვის გადაცემამდე არსებული წესის მიხედვით შესანახად ბარდება ბანკში.

37. გარდაცვლილის ქონებაში აღმოჩენილი იარაღი (გარდა სანადირო იარაღისა) და ფეთქებადი ნივთიერებანი, განსაკუთრებული აღწერილობის მიხედვით ბარდება შინაგან საქმეთა ორგანოებს.

38. თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები, ისტორიული ან მეცნიერული მნიშვნელობის წერილები, ეს დოკუმენტები ცალკე აღიწერება და გადაეცემა მემკვიდრეებს ან მემკვიდრეების არყოფნის შემთხვევაში შესაბამის ორგანიზაციებს, რომლებსაც აფრთხილებენ შენახვაზე პასუხისმგებლობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, მემკვიდრეთა არყოფნისას) ნოტარიუსი დალუქავს დოკუმენტებს ან სადგომს, სადაც დაცულია აღნიშნული სახის დოკუმენტები.

39. თუ მოანდერძის მიერ არ არის დანიშნული ანდერძის ამსრულებელი ან თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო, მმართველი არ დაინიშნება, მაგრამ თუ სამკვიდროში ირიცხება ქონება, რომელიც მართვას საჭიროებს, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრეობის მიღებამდე სამკვიდრო დამტოვებლის კრედიტორებმა აღძრეს სარჩელი, აღნიშნულ ქონებაზე ინიშნება მმართველი, რის შესახებაც ეამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება. ქონების მმართველებს, მეურვეებს და სხვა პირებს, რომელთაც გადაეცათ ქონება შესანახად, აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, გასხვისების, დამალვისათვის და მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. პირებს, რომელთაც გადაეცემათ შესანახად სამკვიდრო ქონება, თუ ისინი მემკვიდრეები არ არიან, უფლება აქვთ მიიღონ გასამრჯელო სამემკვიდრეო ქონების

შენახვისათვის. აღნიშნული გასამრჯელოს ოდენობა მითითებული უნდა იყოს შესაბამის დადგენილებაში.

40. გასამრჯელოს ოდენობა წესდება მმართველთან, მეურვესთან ან სხვა პირთან შეთანხმებით. პირს, რომელსაც გადაეცემა შესანახად ქონება, მიეცემა ანაზღაურება, რომელიც არ მეიძლება აღემატებოდეს შესანახად გადაცემული ქონების ღირებულების 1,5 პროცენტს. ცხოველთა შენახვისათვის გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება დაწესებული საფასურის 50 პროცენტით. აღნიმნულ პირებს აუნაზღაურდებათ აგრეთვე სამკვიდრო ქონების შენახვისა და მართვისათვის საჭირო ხარჯები. ეს ხარჯები ანაზღაურდება, წარდგენილი დოკუმენტის თანახმად, ქონების გამოყენებით ფაქტიურად მიღებული გამორჩენის გამოქვითვით.

41. სამკვიდრო ქონების დაცვა გრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე, ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე.

აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი მოვალეა წინასწარ შეატყობინოს მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით მიღებული ზომების შეწყვეტის შესახებ, ხოლო ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცემა სახელმწიფოს (აღგილობრივი მმართველობის ორგანოს).

42. აუცილებლობის შემთხვევაში მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღებამდე, ხოლო თუ ასეთი ქონება მიღებული არ არის, მემკვიდრეობის უფლებაზე მოწმობის გაცემამდე, აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი გასცემს განკარგულებას სამკვიდრო ქონებიდან გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, კერძოდ:

მამკვიდრებლის მოსავლელად მისი ავადმყოფობის დროს, აგრეთვე მის დასაკრძალად;

მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირების შესანახად;

ხელფასთან დაკავშირებული და მათთან გათანაბრებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად;

სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის, აგრეთვე მემკვიდრეების შეტყობინებასთან დაკავშირებული პუბლიკაციებისათვის.

თუ სამკვიდრო ქონებაში არ მოიპოვება ფულადი თანხები, მაშინ გაიცემა განკარგულება გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილი ნივთების მიცემის შესახებ, რომელთა ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს გაწეული ხარჯების თანხას.

ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული ხარჯების დასადასტურებლად აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი მოითხოვს სათანადო დოკუმენტების ასლებს.

თავი III. დოკუმენტის ასლებისა და მათი ამონაწერების სისწორის დამოწმება

43. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამოწმებენ დოკუმენტის პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედანთან. დაუშვებელია პირადობის მოწმობის, სამხედრო ბილეთის, პარტიული ბილეთის, დეპუტატის მოწმობის ასლის დამოწმება, გარდა მათი თარგმანისა.

44. ამონაწერის სისწორე დედანთან შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეიცავს რამდენიმე ცალკეული, ერომანეთთან დაუკავშირებელი საკითხის გადაწყვეტას. ამონაწერი უნდა ასახავდეს დოკუმენტის ნაწილის სრულ ტექსტს განსაზღვრულ საკითხზე.

45. დოკუმენტის ასლის (ფოტოასლის) სისწორეს აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ამოწმებს იმ პირობით, თუ ასლის სისწორე დადასტურებულია სანოტარო წესით, აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ, ან თუ დოკუმენტის ასლი გაცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ, სადაც შედგენილია დოკუმენტის დედანი. უკანასკნელ შემთხვევაში დოკუმენტის ასლი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოცემული დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ბლანკზე, დასმული უნდა ჰქონდეს ბეჭედი და აღნიმნული იყოს, რომ დოკუმენტის დედანი ინახება მოცემულ დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში. ასლის სისწორე უნდა დადასტურდეს დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით.

46. დოკუმენტის დადასტურებული ასლი (ქსეროასლი) ან მისი ამონაწერი შეჯერდება დედანთან.

ფიზიკური პირის მიერ გაცემული ასლის სისწორე მოწმდება იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტზე ფიზიკური პირის ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებულია სანოტარო ორგანოს ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც ფიზიკური პირი მუშაობს ან სწავლობს, იმ სახლმმართველობის

(საბინაო-საექსპლუატაციო უბნის) მიერ, სადაც იგი ცხოვრობს ანდა იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც იგი იმყოფება სამკურნალოდ.

თავი IV. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებებისა და ცნობების გადაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის

47. აღსასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირს შეუძლია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები გადასცეს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რისთვისაც იგი აღნიშნულ განცხადებებზე აკეთებს სპეციალურ წარწერას ან აგზავნის ფოსტით უკან დაბრუნების შეტყობინებით.

განცხადებები შეიძლება გადაიცეს აგრეთვე ტელეფაქსის, კომპიუტერული ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მესაბამის თანამდებობის პირს განცხადება წარედგინება ორ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთ-ერთი იგზავნება ფოსტით, უკან დაბრუნების უწყებით, ხოლო მეორე – რჩება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში.

48. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო პირის თხოვნით გასცემს მოწმობას განცხადების გადაცემის თაობაზე.

მოწმობაში მითითებული უნდა იქნეს განცხადების მიღებისა და გადაცემის თარიღი, აგრეთვე მისი შინაარსი.

განმცხადებლის სურვილით მოწმობაში შესაძლებელია მიეთითოს განცხადებაზე პასუხის მიღების თარიღი.

პირი, რომელიც მიმართავს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს განცხადების გადაცემის თაობაზე, იხდის არა მარტო აღნიშნული სანოტარო მოქმედებისათვის კანონით დაწესებულ საზღაურს, არამედ თავის თავზე იღებს მასთან დაკავშირებულ ხარჯებსაც.

თავი V. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

49. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ადასტურებს პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტს.

18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მზრუნველების) თხოვნით, ხოლო სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად აღიარებული პირის მიმართ – მზრუნველისა და მეურვის თხოვნით.

50. პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დასტურდება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობაში, ისე მის გარეთ.

პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დასადასტურებლად აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი დაინტერესებულ პირზე გასცემს მოწმობას.

თავი VI. პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება

51. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი ადასტურებს ფიზიკური პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს.

18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურეეების ან მზრუნველების) თხოვნით, ხოლო სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად ან არაქმედუსარიანად აღიარებული პირის მიმართ – მზრუნველობის ან მეურეეობის ორგანოს თხოვნით.

52. პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დადასტურდება მაშინ, როცა იგი გამოცხადდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ისევე მაშინ, როცა ამ ფაქტს ადასტურებს შესაბამისი თანამდებობის პირი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობის გარეთ.

53. ფიზიკური პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის დასადასტურებლად აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი დაინტერესებულ პირებს მისცემს მოწმობას.

თავი VII. დოკუმენტების მიღება შესანახად

54. აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი შესანახად იღებს დოკუმენტებს აღწერის მიხედვით.

აღწერის დოკუმენტი დგება ორ ეგზემპლარად. მას ხელს აწერს პირი, რომელმაც ჩააბარა დოკუმენტები შესანახად და აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირი.

აღწერის დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმეებში, ხოლო მეორე ეგზემპლარი მიეცემა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა დოკუმენტები შესანახად (ანდერძის შენახვა).

დოკუმენტების მიღების დასადასტურებლად იმ პირს, რომელმაც ჩააბარა ისინი შესანახად, მიეცემა მოწმობა აღწერის ეგზემპლარითურთ.

55. შესანახად მიღებული დოკუმენტები ინახება ცალკე პაკეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ბეჭდით დალუქულ რკინის კარადებში ან სეიფებში.

56. შესანახად მიღებული დოკუმენტები უბრუნდება მათ ჩამბარებელს ან კანონით უფლებამოსილ პირს მას შემდეგ, რაც წარადგენენ მოწმობას და აღწერის ეგზემპლარს სანოტარო მოქმედების შემსრულებელი პირის ხელმოწერით, ანდა სასამართლოს დადგენილებით.

თავი V
ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ფუნქციურ დატვირთვასთან შემხებლობაში მყოფი ნორმატიული აქტები

საქართველოს შრომის კოდექსი

კარი I. ზოგადი დებულებანი

თავი I. შესავალი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 2. შრომითი ურთიერთობა

1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

3. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმომობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მგრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

5. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა გასხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

6. შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 3. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

1. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება.

2. დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.

3. დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

4. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი.

კარი II. ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობა

თავი II. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

მუხლი 5. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

1. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.

3. დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.

4. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. კანდიდატს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ მასთან დამსაქმებელმა არ დადო შრომითი ხელშეკრულება.

6. კანდიდატი უფლებამოსილია მიიღოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობისას მისი უფლებრივი მდგომარეობის, შრომის ანაზღაურების შესახებ.

7. კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითელება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით.

8. დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 6. შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

2. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

3. პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

4. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

5. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომში— მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

6. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ აესებს და მთლიანად არ ცელის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

7. წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცელილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

8. დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

მუხლი 7. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 8. შრომითი ხელშეკრულების შეთავსებით სამუშაოზე დადებისშეზღუდვა

1. შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

2. დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია.

მუხლი 9. გამოსაცდელი ვადა

1. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი

ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

2. დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

3. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

თავი III. სამუშაოს შესრულება

მუხლი 10. სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა

დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე.

მუხლი 11. დამსაქმებლის მითითების უფლება, შრომითი ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლა და შეცვლა

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულისათვის მითითებით დააკისროს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

2. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

3. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლად მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი საგრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

გ) ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის შეცვლით და შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების ზუსტ შესრულებას, ამასთანავე, არ ცვლის მის ძირითად არსს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებიდან ერთდროულად ორის შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

მუხლი 12. მივლინება

1. მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.

2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.

3. დამსაქმებლის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გადამეტების შემთხვევა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

4. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 13. შრომის შინაგანაწესი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს შრომის შინაგანაწესი.

2. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;

ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი;

დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;

ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;

თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

3. სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

თავი IV. სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო

მუხლი 14. სამუშაო დროის ხანგრძლივობა

1. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო.

2. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

მუხლი 15. ცვლაში მუშაობისას განსაზღვრული სამუშაო დრო

ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

მუხლი 16. სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესი

სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

მუხლი 17. ზეგანაკვეთური სამუშაო

1. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

2. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

3. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაო დროს. თუ შრომითი ხელშეკრულებით სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 41 საათს ან ამ კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ 41 საათის ფარგლებში განსაზღვრულ სამუშაო დროს.

4. ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 18. ღამით მუშაობის შეზღუდვა

აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომყვანელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 19. დამატებითი შესვენება მეძუძური ქალისათვის

1. დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა.

2. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

მუხლი 20. უქმე დღეები

1. უქმე დღეებია:

ა) 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

ბ) 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მობის დღე;

გ) 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

დ) 3 მარტი – დედის დღე;

ე) 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი – საქართველოს სასელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

ზ) სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

თ) 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

ი) 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

კ) 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ლ) 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

მ) 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოველობის, კვართის დღესასწაულის) დღე;

ნ) 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

2. დასაქმებული უფლებამოსილია ამ კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

თავი V. შვებულება

მუხლი 21. შვებულების ხანგრძლივობა

1. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით.

2. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 15 კალენდარული დღით.

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

მუხლი 22. შვებულების მიცემის წესი

1. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ, დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

2. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს.

3. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

4. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოელის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოელის გამო.

5. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

მუხლი 23. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულება

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

მუხლი 24. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობა

1. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადამი ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო.

2. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადამი არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო.

მუხლი 25. ანაზღაურებადი შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები

1. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის.

2. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

მუხლი 26. საშვებულებო ანაზღაურება

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

თავი VI. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო

მუხლი 27. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

1. დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული დღის ოდენობით.

2. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შვებულება დასაქმებულს თავისი შესაბამისებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობისშემდგომ პერიოდებზე.

მუხლი 28. შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო – ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

მუხლი 29. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურება

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 30. დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო

1. დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

2. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

თავი VII. შრომის ანაზღაურება

მუხლი 31. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა, გაცემის დრო და ადგილი

1. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე.

3. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

მუხლი 32. შრომის ანაზღაურება იძულებითი მოცდენის დროს

1. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

2. დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

მუხლი 33. დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულის შრომითი ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მისთვის აქვს გადასახდელი.

2. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

მუხლი 34. საბოლოო ანგარიშსწორება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი VIII. შრომის პირობების დაცვა

მუხლი 35. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება

1. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

2. დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

3. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

4. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის მემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

5. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის მედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.

6. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

7. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

8. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, შრომის უსაფრთხოების წესები, მათ შორის, დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის საევალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევები და წესები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი IX. შრომითი ურთიერთობის შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა

მუხლი 36. შრომითი ურთიერთობის შეჩერება

1. შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

2. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

ა) გაფიცვა;

ბ) ლოკაუტი;

გ) აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება;

დ) საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება;

ე) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა; *(27.12.2006 N4198)*

ე[1]) სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა; *(27.12.2006 N4198)*

ვ) შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;

ზ) დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 50 კალენდარულ დღეს;

თ) კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ვადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;

ი) ანაზღაურების გარეშე შვებულება;

კ) ანაზღაურებადი შვებულება.

3. დასაქმებულის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით (გარდა „ბ" ქვეპუნქტისა) შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს.

4. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ე[1]" ქვეპუნქტისა, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. *(27.12.2006 N4198)*

5. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

მუხლი 37. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები *(27.12.2006 N4198)*

1. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

დ) შრომითი ხელშეკრულების მოშლა;

ე) მხარეთა შეთანხმება;

ვ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ზ) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება მედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული შეებულება;

თ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;

ი) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება.

2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ან/და დასაქმებულის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში.

მუხლი 38. შრომითი ხელშეკრულების მოშლა

1. შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დამსაქმებელი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნები არ ერცელდება ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევებზე.

მუხლი 39. არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა

არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მუშაობის გაგრძელება მიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა, მნიშვნელოვან ინტერესებს.

მუხლი 40. მუშაობის უნებლიე გაგრძელება

თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა გავიდა, მაგრამ, სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, მუშაობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მნიშვნელოვან მიანს გამოიწვევს და საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, დასაქმებული ვალდებულია გააგრძელოს მუშაობა, სანამ ასეთი ვითარება არ დასრულდება, ხოლო დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას შრომის ანაზღაურება.

კარი III. კოლექტიური შრომითი ურთიერთობა

თავი X. კოლექტიური ხელშეკრულება

მუხლი 41. ზოგადი დებულებანი

1. კოლექტიური ხელშეკრულება იდება დამსაქმებელსა და ორ ან მეტ დასაქმებულს – დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.

2. კოლექტიური ხელშეკრულება ეფუძნება იმავე პრინციპებს, რომლებსაც ინდივიდუალური ხელშეკრულება.

3. კოლექტიური ხელშეკრულების დადების ან პირობების შეცელის დროს დაუშვებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩარევა. ამგვარი ჩარევით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ბათილია.

მუხლი 42. წარმომადგენლობა

1. კოლექტიური ხელშეკრულების დადების, პირობების შეცვლის, მოშლის ან დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით დასაქმებულთა გაერთიანება მოქმედებს წარმომადგენლების მეშვეობით.

2. წარმომადგენლობის დადასტურება ხდება წერილობითი მინდობილობით, რომელსაც ხელს აწერენ დაინტერესებული დასაქმებულები და პირი, რომელსაც ენიჭება წარმომადგენლობის უფლება.

3. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი.

4. წარმომადგენელი მოქმედებს მხოლოდ იმ დასაქმებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებმაც მას მიანიჭეს წარმომადგენლობის უფლება.

მუხლი 43. კოლექტიური ხელშეკრულება

1. კოლექტიური ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

2. შესაძლებელია დასაქმებულმა დამსაქმებელთან დადოს ინდივიდუალური ან/და რამდენიმე კოლექტიური ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულებები, რომლებიც იდება თავდაპირველი ხელშეკრულების შემდეგ, ითვლება ამ ხელშეკრულების ნაწილებად და განიხილება, როგორც ერთი ხელშეკრულება.

4. თუ ერთ-ერთი მხარის ინიციატივით გაუქმდება ხელშეკრულების რომელიმე ნაწილი, ეს გამოიწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ამ კოდექსით დადგენილი წესით.

5. კოლექტიური ხელშეკრულების არსებობა არ ზღუდავს დამსაქმებლის ან დასაქმებულის უფლებას, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა, რაც არ იწვევს ამავე ხელშეკრულების მონაწილე სხვა დასაქმებულებისათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

6. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ან თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კარი IV. პასუხისმგებლობა და დავა

თავი XI. პასუხისმგებლობა

მუხლი 44. მიყენებული ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა

შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 45. წერილობითი ხელშეკრულება პასუხისმგებლობის შესახებ

1. წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე და ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან.

2. წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება დაიდოს სრულწლოვან დასაქმებულთან, რომელიც ახორციელებს მისთვის გადაცემული ფასეულობების მენახვას, დამუშავებას, გაყიდვას (გადაცემას), გადამიდვას ან წარმოების პროცესში გამოყენებას.

მუხლი 46. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვები

1. დასაქმებული და დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ მხარის უფლებათა შეზღუდვაზე. ასეთი შეზღუდვა პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს მხარის ინტერესებიდან, უნდა იყოს გონიერული და ამ ინტერესების პროპორციული.

2. დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მას წერილობითი ფორმით განუმარტოს უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა.

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, მაგრამ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან არა უმეტეს 3 წლის განმავლობაში.

4. ამ მუსლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეს იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ პედაგოგიურ საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაწყებით ან/და საბაზო საფეხურზე.

5. ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XII. დავა

მუხლი 47. დავა

1. დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.

2. დავა წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ.

3. შრომით ურთიერთობაში დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე შრომითი ხელშეკრულების ან/და შრომის პირობების დარღვევა.

4. დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უმუალოდ ეხებათ ეს დავა.

5. დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.

6. ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით.

7. კოლექტიური ხელშეკრულების მონაწილე დასაქმებული არ იზღუდება, მოცემული დავის შემთხვევაში ინდივიდუალურად დაიცვას თავისი უფლებები სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 48. დავის განხილვა და გადაწყვეტა

1. დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით.

2. შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები.

3. მეორე მხარე ვალდებულია წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. წარმომადგენლები ან მხარეები იღებენ წერილობით გადაწყვეტილებას, რომელიც ხდება არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი.

5. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს.

6. დავის დროს დაუშვებელია დავის განხილვის პროცესში მხარეთა მიერ მოთხოვნის გაზრდა ან დავის საგნის შეცვლა.

მუხლი 49. გაფიცვა და ლოკაუტი

1. გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს.

2. ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

3. მხარეები გაფიცვის ან ლოკაუტის უფლების გამოყენებამდე ვალდებული არიან მოაწყონ გამაფრთხილებელი გაფიცვა ან გამაფრთხილებელი ლოკაუტი.

4. გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის დაწყებამდე მხარეებმა არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ დავის საგნის და წარმოშობის საფუძვლის, აგრეთვე გაფიცვის ან ლოკაუტის დროის, ადგილისა და ხასიათის შესახებ.

5. გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ მხარეები ვალდებული არიან ამ კოდექსით დადგენილი წესით კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემათანხმებელ პროცედურებში.

6. გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება წარმოიშობა მხოლოდ გამაფრთხილებელი გაფიცვის ან გამაფრთხილებელი ლოკაუტის შემდეგ არანაკლებ 24 საათის და არა უმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. გაფიცვის ან ლოკაუტის პერიოდში მხარეები ვალდებული არიან განაგრძონ შემაერთებელი პროცედურები.

8. გაფიცვა ან ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.

9. გაფიცვის ან ლოკაუტის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება.

10. გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 50. გაფიცვისა და ლოკაუტის გადადება ან შეჩერება

თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს ამავე ვადით.

მუხლი 51. უკანონო გაფიცვა და ლოკაუტი

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის ან ლოკაუტის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

2. დაუშვებელია უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება.

3. თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი, ასეთი გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება.

4. უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებული იყვნენ დავის წარმოშობამდე.

5. თუ გაფიცვის უფლება წარმოიშვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დასრულებამდე, გაფიცვა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკანონოდ ჩაითვლება.

6. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. სასამართლო გადაწყვეტილება გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ.

მუხლი 52. დასაქმებულთა გარანტიები

1. დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა.

2. თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ ცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულებთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

3. დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან აუნაზღაუროს შეჩერების პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

4. ამ კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული დროის განმავლობაში დამსაქმებელს არ აქვს უფლება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა გამაფრთხილებელ გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულებთან.

კარი V. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

თავი XIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 53. კოდექსის გავრცელება არსებულ შრომით ურთიერთობებზე

ეს კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.

მუხლი 54. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებანი

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

ა) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესი – ამ კოდექსის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში;

ბ) მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, აგრეთვე დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალი და წესები – 2007 წლის 1 იელისამდე;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დებულება – ამ კოდექსის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში; (ამოღებულია *29.12.2006 N4299 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცებიდან და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან)*

დ) დასაქმების კერძო სააგენტოს სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესი – ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში. დასაქმების კერძო სააგენტოდ ითვლება ნებისმიერი ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ეწევა მომსახურებას უმუშევრის (სამუშაოს მაძიებლის) დასაქმების მიზნით. ამ ნორმის მიზნებისათვის უმუშევრად (სამუშაოს მაძიებლად) ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გასაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი ან ნაწილობრივ შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად; *(29.12.2006 N4299)*

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 15 მარტის N85/ნ ბრძანება „დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ორსულობისა და მშობიარობის და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის ამ კოდექსის შესაბამისად დამტკიცებამდე.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 17 იანვრის N12/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიულ ძალას ინარჩუნებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური დასმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ახალი დებულების ამ კოდექსის შესაბამისად დამტკიცებამდე. (ამოღებულია *29.12.2006 N4299 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცებიდან და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან)*

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (ამოღებულია *29.12.2006 N4299 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცებიდან და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან)*

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური დასმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. (ამოღებულია *29.12.2006 N4299 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცებიდან და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან)*

6. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ უზრუნველყოს უმუშევართა შემწეობებზე მხოლოდ ამ კოდექსის ამოქმედების დღემდე არსებული დავალიანებების დაფარვა.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს უმუშევართა რეგისტრაციისა და მათი დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცება. ამ ნორმის მიზნებისათვის უმუშევრად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით გასაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი ან ნაწილობრივ შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად. (ამოღებულია *29.12.2006 N4299 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცებიდან და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან)*

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო რეორგანიზებულ იქნეს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – სოციალური სუბსიდიების სააგენტოდ და ჩაითვალოს აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლედ, ამათ შორის, ქონებრივი სახის ურთიერთობებში, აგრეთვე ჩაითვალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლედ სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის ფულადი სახის სოციალური დახმარების (შეღავათის) ანაზღაურების ნაწილში. (*29.12.2006 N4299 ამოქმედდეს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცებიდან და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან)*

მუხლი 55. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) 1973 წლის 28 ივნისის „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი";

ბ) 1997 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ";

გ) 1998 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონი „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ";

დ) 2001 წლის 28 სექტემბრის საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ";

ე) 1990 წლის 22 ნოემბრის საქართველოს რესპუბლიკის კანონი „არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ";

ვ) „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – შრომის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 16 ნოემბრის N310/6 ბრძანება;

ზ) ამ კოდექსით განსაზღვრული გასაუქმებელი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული/მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 56. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2006 წლის 25 მაისი.
N 3132 - Iს

საქართველოს კანონი

საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველოს კონტროლის პალატა (შემდგომში კონტროლის პალატა) არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურება ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებს და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას.

მუხლი 2.

1. კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. მისი უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. კონტროლის პალატა ახორციელებს კონტროლს კანონიერების, ობიექტურობის, დამოუკიდებლობის და საჯაროობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 3.

კონტროლის პალატა აღიარებს უმაღლესი საკონტროლო ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებს და სხვა ფუძემდებლური დოკუმენტების ძირითად პრინციპებს, საქმიანობას წარმართავს კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საკონტროლო ორგანოებთან ურთიერთკავშირის განმტკიცების, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის მიზნით.

მუხლი 4.

1. კონტროლის პალატა არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი საქართველოს გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

2. საქართველოს კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

თავი II

კონტროლის პალატის საკონტროლო სფერო და უფლებამოსილებანი

მუხლი 5.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად კონტროლის პალატა:

ა) აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის,ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სახსრების ხარჯვის კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას;

ბ) აკონტროლებს სახელმწიფო ვალების, უცხოური სახელმწიფო კრედიტების და სესხების გამოყენების კანონიერებას, რაციონალობასა და ეფექტიანობას, სახელმწიფო კრედიტების გაცემას;

გ) აკონტროლებს სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტურობასა და მიზანშეწონილობას;

დ) სწავლობს და აანალიზებს საბიუჯეტო პროცესში გამოვლენილ დარღვევებს, დადგენილი საბიუჯეტო მაჩვენებლებისაგან გადახრებს და წარადგენს წინადადებებს ამ დარღვევებისა და გადახრების აღმოსაფხვრელად;

ე) აფასებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსავლისა და ხარჯის ნაწილების საფუძ-ველიანობას;

ე) აკონტროლებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მოძრაობის კანონიერებას და დროულად გადარიცხავს საქართველოს ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში;

ზ) საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით,ატარებს ექსპერტიზას და იძლევა დასკვნებს იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტებზე, აგრეთვე იმ პროგრამებზე,რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენენ ამ სახსრების ფორმირებაზე.

მუხლი 6.

კონტროლის პალატის საკონტროლო უფლებამოსილება,მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა ორგანოზე,მმართველობით აღგილობრივ ორგანოებზე,სპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე და ყველა სხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაზე.

მუხლი 7.

კონტროლის პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა,მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან,გადარიცხვასთან ან გამოყენებასთან,რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მის მართვასთან,აგრ ეთვე იმ ნაწილში,რომელიც დაკავშირებულია მათთვის საგადასახადო, საბაჟო ან სხვა სახის შეღავათების მინიჭებასთან.

მუხლი 8.

კონტროლის პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის ის სახელშეკრულებო ვალდებულება და სესხი, რომლის გარანტად დგას სახელმწიფო.

თავი III

საქართველოს კონტროლის პალატის სტრუქტურა და შემადგენლობა

მუხლი 9.

1. კონტროლის პალატა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელშიც შედიან კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატი, კონტროლის პალატები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და კონტროლის პალატის ბიუროები საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში.

2. გადაწყვეტილებას კონტროლის პალატის ბიუროების შექმნის ან გაუქმების შესახებ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით იღებს საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმი. (8.12.2000)

მუხლი 10.

კონტროლის პალატას საერთო ხელმძღვანელობას უწევს კონტროლის პალატის თავმჯდომარე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, ხუთი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად. *(17.06.2004 N 176)*

მუხლი 11.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს პალატის მუშაობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და პალატის მუშაობის რეგლამენტის შესაბამისად;

ბ) წყვეტს კონტროლის პალატის საქმიანობის, კონტროლისა და რევიზია-შემოწმების ორგანიზაციის საკითხებს;

გ) თავმჯდომარეობს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომას;

დ) წარუდგენს საქართველოს პარლამენტს შესაბამისი თანამდებობის პირების კანდიდატურებს;

ე) ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კონტროლის პალატის სისტემის პასუხისმგებელ მუშაკებს. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატის თავმჯდომარეებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით;

ვ) აბრკოლებს კონტროლის პალატის საშტატო განრიგს კონტროლის პალატისათვის დადგენილი შუშაკთა ზღვრული რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;

ზ) წელიწადში ორჯერ,ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, პარლამენტს წარუდგენს მოსსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით;

თ) წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კონტროლის პალატის ანგარიშს პალატის საქმიანობის შესახებ;

ი) წარმოადგენს კონტროლის პალატას სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

კ) მასზე დაკისრებული მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებას,რომელიც უმაღლესი ნორმატიული აქტია საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში;

ლ) უფლებამოსილია, ხოლო თხოვნის შემთხვევაში ვალდებულია,დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომას, ამასთან,მას მოთხოვნისათანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

მ) კონტროლის პალატის თავმჯდომარის არყოფნის, ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მუხლი 12.

კონტრლის პალატის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის ერთი პირველი.

მუხლი 13.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით. *(30.06.2004 N 277)*

მუხლი 14.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე დანიშვნიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოადგილეების კანდიდატურებს.

მუხლი 15.

თავმჯდომარის მოადგილეები უფლებამოსილი, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან დაესწრონ პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომას, ამასთან,მას მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა,კომიტეტმა ან კომისიამ.

მუხლი 16.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მოადგილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი, ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სახელმწიფო მართვის,სახელმწიფო კონტროლის, ეკონომიკის და ფინანსების სფეროებიდან ერთში მაინც.

მუხლი 17.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 18.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეუფერხებელი განხორციელების პირობები. მისი მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას დადგენილი წესით.

მუხლი 19.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მოადგილეები თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში აჩერებენ პოლიტიკური პარტიის წევრობას.

მუხლი 20.

1. კონტროლის პალატაში იქმნება უმაღლესი კოლეგიალური ორგანო - კონტროლის პალატის პრეზიდიუმი.

2. კონტროლის პალატის პრეზიდიუმის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან კონტროლის პალატის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები. პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს ამტკიცებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე დანიშვნიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. *(30.06.2004 N 277)*

მუხლი 21. ამოღებულია *(30.06.2004 N 277)*

მუხლი 22.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმი:

ა) განსაზღვრავს კონტროლის პალატის სისტემის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) ამტკიცებს საქართველოს კონტროლის პალატის სისტემის მუშაობის ერთიან რეგლამენტს, სამუშაო გეგმებს და იღებს სხვა მიდასაუწყებო ნორმატიულ აქტებს;

გ) ისმენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რევიზია-შემოწმების შედეგებს;

დ) ისმენს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, კონტროლის პალატების და კონტროლის პალატის ბიუროების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს;

ე) ამტკიცებს პარლამენტში წარსადგენი პალატის შენახვის ხარჯების პროექტს; ვ) განიხილავს და ამტკიცებს პარლამენტში წარსადგენ ანგარიშს;

ზ) კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პალატის სტრუქტურას;

თ) წევრების ხმების უმრავლესობით ღებულობს დადგენილებას, რომლის რეალიზაცია ხდება კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანებით;

ი) მართავს სხდომებს თვეში ერთხელ მაინც.

მუხლი 23.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრებს უფლება აქვთ პრეზიდიუმის სხდომაზე მათი მონაწილეობით განხილულ საკითხთან დაკავშირებით თაეიანთი განსაკუთრებული აზრი წარმოადგინონ წერილობით, რომელიც თან ერთვის პრეზიდიუმის დადგენილებას.

თავი IV

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატები

მუხლი 24.

აფსაზეთისა და აჭარის აეტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატას ხელმძღვანელობს შესაბამისი პალატის თავმჯდომარე.

მუხლი 25.

პალატის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს პალატის მუშაობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და პალატის მუშაობის რეგლამენტის შესაბამისად;

ბ) წარმართავს პალატის საქმიანობის, კონტროლისა და რევიზია-შემოწმების ორგანიზაციულ საკითხებს;

გ) თავმჯდომარეობს პალატის პრეზიდიუმის სხდომას;

დ) წელიწადში ერთხელ კონტროლის პალატას წარუდგენს ანგარიშს შესაბამისი კონტროლის პალატის საქმიანობის შესახებ;

ე) მასზე დაკისრებული მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს;

ვ) უფლებამოსილია, ხოლო თხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის,ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, მმართველობის აღგილობრივი ორგანოების სხდომებს.

მუხლი 26.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეები და მოადგილეები თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ‍ერ‍ებენ პოლიტიკური პარტიის წევრობას.

მუხლი 27.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატაში იქმნება კოლეგიალური ორგანო - პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობასაც, შესაბამისი პალატის თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმი.

მუხლი 28.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატის პრეზიდიუმი:

ა) ისმენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რევიზია-შემოწმების შედეგებს;

ბ) ამტკიცებს კონტროლის პალატაში წარსადგენ წლიურ ანგარიშს, აგრეთვე კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე განსახილველად წარსადგენი სამუშაო გეგმის პროექტს;

გ) წევრების ხმების უმრავლესობით ღებულობს დადგენილებას;

დ) მართავს სხდომებს თვეში ერთხელ მაინც.

მუხლი 29.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრებს უფლება აქვთ პრეზიდიუმის სხდომაზე მათი მონაწილეობით განხილულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი განსაკუთრებული აზრი წარმოადგინონ წერილობით, რომელიც თან ერთვის პრეზიდიუმის დადგენილებას.

მუხლი 30.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატა ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის გარდა, წარუდგენს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

თავი V

საქართველოს ტერიტორიული ერთეულების კონტროლის პალატის ბიუროები

მუხლი 31.

საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში კონტროლის პალატის ბიუროს ხელმძღვანელობს შესაბამისი ბიუროს უფროსი.

მუხლი 32.

ბიუროს უფროსი:

ა) წარმართავს ბიუროს მუშაობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კონტროლის პალატის მუშაობის რეგლამენტის შესაბამისად;

ბ) წყვეტს ბიუროს საქმიანობის, კონტროლისა და რევიზია-შემოწმების ორგანიზაციულ საკითხებს;

გ) თავმჯდომარეობს ბიუროს კოლეგიის სხდომას;

დ) წელიწადში ერთხელ საქართველოს კონტროლის პალატას წარუდგენს ანგარიშს შესაბამისი ბიუროს საქმიანობის შესახებ;

ე) მასზე დაკისრებული მოვალეობის განსორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს;

ვ) უფლებამოსილია, ხოლო თხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს საქართველოს კონტროლის პალატის პრემიდიუმის და მმართველობის აღგილობრივი ორგანოების სხდომებს.

მუხლი 33.

კონტროლის პალატის ბიუროს უფროსი და მოადგილეები თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში აჩერებენ პოლიტიკური პარტიის წევრობას.

მუხლი 34.

კონტროლის პალატის ბიუროში იქმნება კოლეგიალური ორგანო - კოლეგია, რომლის მემადგენობასაც, შესაბამისი ბიუროს უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს კლნტროლის პალატის პრეზიდიუმი.

მუხლი 35.

კონტროლის პალატის ბიუროს კოლეგია:

ა) ისმენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რევიზია-შემოწმების შედეგებს;

ბ) ამტკიცებს კონტროლის პალატაში წარსადგენ წლიურ ანგარიშს, აგრეთვე კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე განსახილველად წარსადგენი სამუშაო გეგმის პროექტს;

გ) წევრების ხმების უმრავლესობით ღებულობს დადგენილებას;

დ) მართავს სხდომებს თვეში ერთხელ მაინც.

მუხლი 36.

კონტროლის პალატის ბიუროს კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ კოლეგიის სხდომაზე მათი მონაწილეობით განხილულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი განსაკუთრებული აზრი წარმოადგინონ წერილობით, რომელიც თან ერთვის კოლეგიის დადგენილებას.

თავი VI

კონტროლის პალატის საქმიანობის წესი

მუხლი 37.

კონტროლის პალატა თავის ამოცანას ძირითადად ახორციელებს ოპერაციული კონტროლის, კომპლექსური რევიზიის, თემატური შემოწმებისა და ექსპერტიზის მეშვეობით.

მუხლი 38.

კონტროლის პალატა მუშაობას წარმართავს პერსპექტიული და მიმდინარე გეგმებით, რომელშიც აუცილებლად შეიტანება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინადადებები.

მუხლი 39.

კონტროლის პალატის გეგმის შედგენის დროს აუცილებლად განიხილება საქართველოს პარლამენტის კომიტეტების და კომისიების წინადადებები.

მუხლი 40.

არაგეგმიური რევიზია და შემოწმება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიების მიმართვის, ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლის პალატის პრეზიდიუმის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების პრეზიდიუმების ან კონტროლის პალატის ბიუროების კოლეგიის გადაწყვეტილებით.

მუხლი 41.

კონტროლის პალატის შიდა საქმიანობის საკითხები, საქმის წარმოების წესი,ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, კონტროლის პალატების და ბიუროების ფუნქციები და ურთიერთობა, რევიზია-შემოწმების მომზადებისა და ჩატარების ფორმები, აგრეთვე სხვა საკითხები განისაზღვრება კონტროლის პალატის მუშაობის ერთიანი რეგლამენტით.

მუხლი 42.

რევიზია-შემოწმების მოცულობას, ჩატარების ვადას და ადგილს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ადგენს კონტროლის პალატის თავმჯდომარე,ტერიტორიულ ერთეულებში აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატის თავმჯდომარეები, სხვა ტერიტორიულ ერთეულებში კი-კონტროლის პალატის ბიუროს უფროსები.

მუხლი 43.

დაუშვებელია რევიზია-შემოწმების ჩატარება კონტროლის შესაბამისი პალატის თავმჯდომარის ან კონტროლის პალატის ბიუროს უფროსის ბრძანებისა და დამტკიცებული პროგრამის გარეშე.

მუხლი 44.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია გადაწყვეტილება, შემოწმება ჩატარდეს კონტროლის პალატაში, შესამოწმებელ ობიექტს ეგზავნება შესაბამისი ბრძანება და შესამოწმებელ საკითხთა პროგრამა.

მუხლი 45.

ობიექტის ხელმძღვანელობა ვალდებულია ბრძანების მიღებიდან ორი კვირის ვადაში საქართველოს კონტროლის პალატის შესაბამის ორგანოში წარადგინოს სრულყოფილი ანგარიში პროგრამაში მითითებულ საკითხთა გარშემო. ანგარიშის წარდგენის ვადა ინფორმაციის მოცულობის მიხედვით შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ერთ თვემდე ან ერთ კვირამდე შესაბამისი კონტროლის პალატის თავმჯდომარის ან ბიუროს უფროსის გადაწყვეტილებით.

მუხლი 46.

დადგენილ ვადამი ანგარიშის წარუდგენლობის ან არასრულყოფილი ანგარიშის წარდგენის შემთხვევაში შეიძლება დაისვას შესაბამისი ობიექტის ხელმძღვანელი პირების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. გადაწყვეტილებას ამის თაობაზე ღებულობს შესაბამისი კონტროლის პალატის პრეზიდიუმი ან ბიუროს კოლეგია.

მუხლი 47.

რევიზია-შემოწმების შედეგებზე დგება აქტი ან ცნობა, რომლის სისწორეზეც პასუხისმგებლობა ეკისრება კონტროლის პალატის შესაბამის პასუხისმგებელ მუშაკს. კონტროლის პალატა შემოწმებულ ობიექტს აცნობს რევიზია-შემოწმების შედეგებს.

მუხლი 48.

დანაშაულის ნიშნების შემცველი შემოწმების მასალები ეგზავნებათ სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთან, სახელმწიფო ფულადი და მატერიალური ქონების დატაცების გამოვლენის შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ იგზავნება.

მუხლი 49.

რევიზია-შემოწმების ჩატარებისას კონტროლის პალატას უფლება აქვს მოიწვიოს სათანადო დარგის სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად.

მუხლი 50.

1. შესამოწმებელი ობიექტის მხრიდან რევიზია-შემოწმების ჩატარების დროს დაბრკოლებების შექმნის, ასევე კონტროლის პალატის კომპეტენციის ფარგლებში სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონტროლის პალატას უფლება აქვს შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელობას მისცეს მიწერილობა, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად.

2. კონტროლის პალატის მიერ გაგზავნილ მიწერილობას ხელს აწერს შესაბამისი კონტროლის პალატის თავმჯდომარე ან ბიუროს უფროსი.

მუხლი 51.

1. რევიზია-შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად კონტროლის პალატა წარდგინებას უგზავნის შემოწმებულ ობიექტს ან მის ზემდგომს.

2. კონტროლის პალატის წარდგინება საეალდებულოა შესასრულებლად. წარდგინება განხილულ უნდა იქნეს 20 დღეში, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.

მუხლი 52.

წარდგინების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ უნდა ეცნობოს კონტროლის პალატას.

მუხლი 53.

კონტროლის პალატის კანონიერი მიწერილობისა და წარდგინების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში კონტროლის პალატას უფლება აქვს დასვას შესამოწმებელი საბიუჯეტო ობიექტის ხელმძღვანელობის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი და მისცეს არასაბიუჯეტო ობიექტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს რეკომენდაცია განიხილოს ხელმ-ძღვანელის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 54.

საბიუჯეტო შემოსავალსა და ხარჯებზე ეფექტიანი, ოპერატიული კონტროლის დაწე ების მიზნით საფინანსო ორგანოები, სახაზინო, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, აგრეთვე ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია კონტროლის პალატაში წარადგინოს ანგარიში პალატის მიერ დადგენილი ფორმით.

მუხლი 55.

ინფორმაცია საბიუჯეტო შემოსავლისა და ხარჯების შესახებ კონტროლის პალატაში წარდგენილ უნდა იქნეს: ყოველთვიური - არა უგვიანეს მომავალი თვის თხუთმეტი რიცხვისა, ექვსი თვის - არა უგ-ვიანეს მიმდინარე წლის 1 აგვისტოსი და წლის შედეგების შესახებ - არა უგვიანეს შემდეგი წლის 15 თებერვლისა.

მუხლი 56.

დადგენილ ვადაში ანგარიშის წარუდგენლობის ან არასრულყოფილი ანგარიშის წარდგენის შემთხვევაში შეიძლება დაისვას შესაბამისი ობიექტის ხელმძღვანელი პირების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 57.

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია კონტროლის პალატის ორგანოების დადგენილებები ერ-თი თვის ვადაში გაასაჩივროს კონტროლის პალატის მემდგომ ორგანოში ან სასამართლოში დადგენილი წესით.

თავი VII

კონტროლის პალატის ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან

მუხლი 58.

კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე. *(30.06.2004 N 277)*

მუხლი 59.

კონტროლის პალატა საქართველოს პარლამენტს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან ერთად წარუდგენს თავის მოხსენებას. *(30.06.2004 N 277)*

მუხლი 60.

კონტროლის პალატა წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის

1 ივნისისა თავისი საქმიანობის ანგარიშს, წარუდგენს პარლამენტს, რომელიც ანგარიშის განხილვის შემდეგ იღებს შესაბამის დადგენილებას. ანგარიში ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 61.

კონტროლის პალატა უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია გადასცეს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციებ-შემოწმების მასალები.

მუხლი 62.

კონტროლის პალატა უფლებამოსილია პარლამენტს წარუდგინოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები. კონტროლის პალატა ამ წინადადებებს ამზადებს ახალი საბიუჯეტო წლის დაღეომამდე. კონტროლის პალატის წინადადებები აისახება საგადასახადო კანონმდებლობაში იმ ვარაუდით, რომ ის არ იწვევს ცვლილებებს მიმდინარე წლის მანძილზე.

მუხლი 63.

კონტროლის პალატის საქმიანობას ამოწმებს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია.

თავი VIII

კონტროლის პალატის ურთიერთობა სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებთან

მუხლი 64.

სამართალდამცავი ორგანოები, სახელმწიფო საგადასახადო სამსახური, საფინანსოსამეურნეო კონტროლის სახელმწიფო ორგანოები, უწყებრივი კონტროლის სამსახურები, სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებანი ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინონ კონტროლის პალატას.

მუხლი 65.

სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

მუხლი 66.

სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ეფექტური განხორციელების, რევიზია-შემოწმებების პარალელიზმის აღკვეთის მიზნით საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სფეროში კონტროლის პალატა კოორდინაციას უწევს სახელმწიფო საფინანსოეკონომიკური კონტროლის სხვა ორგანოების საქმიანობას.

მუხლი 67.

კონტროლის პალატა, როგორც კოორდინაციის სუბიექტი, უფლებამოსილია კოორდინაციაში ჩართულ ორგანოთა ხელმძღვანელებისაგან შედგენილ საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით კოორდინაციის ობიექტებს მისცეს რეკომენდაციები შემოწმების ობიექტისა და ვადის შეცვლის, კომპლექსურ შემოწმებაში ჩართვისა და სხვა ოპერატიული ღონისძიებების თაობაზე.

მუხლი 68.

საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს კონტროლის პალატის თავმჯდომარე. საბჭოს საქმიანობა რეგულირდება საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 69.

კონტროლის პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს სახელმწიფო საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა ორგანოთა საქმიანობა.

მუხდი 70.

საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის მაღალი ხარისხის და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით კონტროლის პალატა რევიზია-შემოწმების საკითხში შეიმუშავებს საკონტროლო და სარევიზიო ნორმებსა და ნორმატივებს, მეთოდურ მითითებებს, რომელთა გამოყენება სავალდებულოა საფინანსო-სამეურნეო კონტროლის ყველა სამსახურისთვის.

თავი IX

კონტროლის პალატის მუშაკთა უფლება-მოვალეობა, პასუხისმგებლობა და სამართლებრივი გარანტიები

მუხლი 71.

კონტროლის პალატის მუშაკებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ:

ა) რევიზია-შემოწმების პერიოდში მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა ნებისმიერი პასუხისმგებელი პირისაგან მუშაობის პროცესში წამოჭრილი საკითხების გარშემო;

ბ) დადგენილი წესის შესაბამისად ჩაატარონ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია შესამოწმებელ ობიექტში;

გ) ჩამოართვან ახსნა-განმარტებანი შესამოწმებელი ობიექტის პასუხისმგებელ პირებს;

დ) საჭიროების შემთხვევაში დალუქონ საწყობები, არქივები და სალაროები, სიყალბის და დატაცების აღმოჩენისას ამოიღონ სათანადო დოკუმენტები, აღვილზე კი დატოვონ ამოღების აქტი და დოკუმენტების ასლები.

მუხლი 72.

კონტროლის პალატის მუშაკები ვალდებული არიან რევიზია-შემოწმების პერიოდში არ დაუშვან უფლებამოსილების გადამეტება. ისინი პასუხს აგებენ რევიზია-შემოწმების შედეგების სისწორეზე, აგრეთვე შემოწმებულ ობიექტთა სახელმწიფოებრივი და კომერციული საიდუმლოების გაცხადებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 73.

რევიზია-შემოწმების ჩატარებისას კონტროლის პალატის მუშაკები არ უნდა ჩაერიონ შესამოწმებელი ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში, ამასთან რევიზია-შემოწმების დამთავრებამდე და აქტის გაფორმებამდე თავიანთი დასკვნები საჯარო არ უნდა გახადონ.

მუხლი 74.

კონტროლის პალატის მუშაკების კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა შესამოწმებელი ობიექტის ყველა თანამდებობის პირისათვის.

მუხლი 75.

შესამოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელები ვალდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კონტროლის პალატის მუშაკებს მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, გაუწიონ აუცილებელი დახმარება რევიზია-შემოწმების ჩატარებაში.

მუხლი 76.

დაუშვებელია საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა მიმართ ძალადობა, მუქარა და სხვა არამართლზომიერი მოქმედება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით, დამრღვევი პირები პასუხს აგებენ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 77.

კონტროლის პალატის მუშაკები სამსახურებრივი მივლინების დროს სარგებლობენ სასტუმროში ადგილისა და ყველა სახის ტრანსპორტზე სამგზავრო დოკუმენტის დაჯავშნის უფლებით.

თავი IX[1] (23.06.2006 N 3403)

დახმარება საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის გარდაცვალებისას ან დაინვალიდებისას

მუხლი 77[1]

1. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 3 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. იგი იკრძალება სასელმწიფოს სარჯზე.

2. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს, რომელიც დაინვალიდდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებაში, ეძლევა დახმარება:

ა) შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას – 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

ბ) შრომისუნარიანობის სრულად დაკარგვისას – 2 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

3. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

თავი X

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 78.

კონტროლის პალატა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საქართველოს პარლამენტი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს კონტროლის პალატის მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას და მუშაკთა ზღვრულ რაოდენობას.

მუხლი 79.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობრივი განაკვეთი არ უნდა იყოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივ განაკვეთზე ნაკლები.

მუხლი 80.

საქართველოს კონტროლის პალატა ყველა სახის სასამართლოში საკითხის განხილვისას თავისუფლდება სახელმწიფო საბაჟო გადასახადისაგან. საერთაშორისო არბიტრაჟში საქმის განხილვისას სასამართლო ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მუხლი 81.

საქართველოს კონტროლის პალატა ძირითადად კომპლექტდება ეკონომიკური და იურიდიული განათლების მქონე პირებით. საქართველოს კონტროლის პალატის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობით დაკავებულ მოხელეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, სპეციალობით მუშაობის ორი წლის სტაჟი და გაელილი უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო ტესტირება. *(28.09.2001 N 1077)*

თავი XI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 82 *(29.12.2004 N 875)*

კონტროლის პალატის მიერ რევიზია-შემოწმების შედეგად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სასარგებლოდ გამოვლენილ თანხებს ამოიღებს საგადასახადო სამსახური.

მუხლი 83.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ჩატარების შემდეგ შეიცვლება კონტროლის პალატის მიერ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სახსრების კონტროლის წესი და კანონით განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის კონტროლის ადგილობრივი ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების წესები.

მუხლი 84.

ამოღებულია *(28.09.2001 N 1077)*

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი,
1997 წლის 15 აპრილი.
N 626 - IIს

საქართველოს კანონი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

ეს კანონი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის, საქმიანობისა და ორგანიზაციის წესს.

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება (22.03.2005 N 1131)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მუხლი 3. უფლებაუნარიანობა

1. დასახელი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა. თუ იგი დაფუძნებულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, მისი წესდება (დებულება) უნდა შეესაბამებოდეს იმ კანონის მოთხოვნებს, რომლის საფუძველზედაც მოხდა ადმინისტრაციული აქტის მიღება.

3. სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის გადაცემა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. გარიგებები, რომლებიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის სფეროს არ ეხება, ბათილია. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირს არ შეუძლია მიუთითოს, რომ მისთვის უცნობი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლები. მის მიმართ არ გამოიყენება ნორმები კეთილსინდისიერი შეძენის შესახებ.

მუხლი 4. სტრუქტურა (22.03.2005 N 1131)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნებული იყოს წევრობაზე (საჯარო სამართლის კორპორაცია), ანდა შეიქმნას საჯარო ან სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად გარკვეული სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების განკერძოების გზით (დაწესებულება). დაწესებულებას არ ჰყავს წევრები.

თავი II

დაფუძნება

მუხლი 5. უფლებაუნარიანობის შეძენა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან (არჩევიდან).

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას:

ა) კანონით;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად. *(22.03.2005 N 1131)*

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ერთობლივად დააფუძნოს რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანომ.

მუხლი 6. წესდების (დებულების) შინაარსი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება (დებულება) უნდა შეიცავდეს ამ პირის:

ა) სახელწოდებას მითითებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირი";

ბ) მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს;

გ) მართვის ორგანოების შექმნის წესსა და კომპეტენციას;

დ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის (არჩევის) წესსა და კომპეტენციას;

ე) სახელმწიფო კონტროლის ფორმასა და ფარგლებს;

ვ) საფინანსო საქმიანობის საფუძვლებს, შესატანების, საწევროებისა და სხვა მოქმედებების მოთხოვნის უფლებების ჩათვლით;

ზ) ლიკვიდაციის წესსა და პირობებს;

თ) წესდებაში (დებულებაში) ცვლილებების შეტანის წესს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება (დებულება) მტკიცდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ქონება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფოს (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) მიერ გადაეცემა ქონება ან დაფუძნების აქტით განისაზღვრება მისი ქონების ფორმირების წესი. *(22.03.2005 N 1131)*

2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონება შეიძლება გადაეცეს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს თანხმობით. *(28.03.2003 N2033)*

2[1]. საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გადაცემის წესი განისაზღვრება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით. *(22.03.2005 N 1131)*

3. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონება იქმნება შესაგანების ან საწევროების ხარჯზე, დაფუძნების აქტში უნდა განისაზღვროს მათი ოდენობა და შეგანის წესი.

თავი III

ორგანიზაცია, საქმიანობა

მუხლი 8. წევრების უფლებამოსილება

1. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის უმაღლესი ორგანოა მისი წევრების საერთო კრება. კრებებს შორის პერიოდში მისი ფუნქციები შეიძლება დაეკისროს წესდებით (დებულებით) განსაზღვრულ სხვა ორგანოს.

2. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის წევრთა კრება მონაწილეთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას წესდების (დებულების) შესახებ, ირჩევს მართვის ორგანოებს და წყვეტს სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ამ პირის საქმიანობის თაობაზე. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

3. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის წევრებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ ამ პირის წესდების (დებულების) ძირითადი დებულებები.

მუხლი 9. საქმიანობა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

2. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადაეიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი.

თავი IV

მართვა, წარმომადგენლობა, სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 10. მართვა და წარმომადგენლობა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით) და ამ პირის წესდებით (დებულებით). *(22.03.2005 N 1131)*

2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. *(22.03.2005 N 1131)*

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

4. სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო, ხოლო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს _ წევრთა საერთო კრება.

4[1]. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო. *(22.03.2005 N 1131)*

5. ხელმძღვანელს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

6. კანონით, ადმინისტრაციული აქტით ან წესდებით (დებულებით) გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის მიზნით, შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს თანამდებობის პირები, აგრეთვე, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული, წევრთა კრების მიერ არჩეული წევრები და შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები.

მუხლი 11. სახელმწიფო კონტროლი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო), რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა. *(22.03.2005 N 1131)*

3. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 12. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების საფუძველზე შექმნილმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სამგაგო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს. *(22.03.2005 N 1131)*

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსების სფეროში მოქმედი სამინისტროს) თანხმობა. *(22.03.2005 N 1131)*

3. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

მუხლი 13. დაფინანსება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საწევროები და შენატანები;

ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

გ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები ძთლიანად ხმარდება შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით) და წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია. *(22.03.2005 N 1131)*

3. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეს გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამის ბიუჯეტში. საჯარო სამართლის ფონდები იქმნება "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

მუხლი 14. საბუღალტრო ანგარიშგება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის წლიურ ბალანსს ამოწმებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

თავი V

საქმიანობის შეწყვეტა, ლიკვიდაცია

მუხლი 15. საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი წყვეტს არსებობას:

ა) დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში;

ბ) დაფუძნების აქტით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო;

გ) დაფუძნების აქტით ან წესდებით (დებულებით) გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 16. საქმიანობის შეწყვეტის აქტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის აქტი არ შეიძლება იყოს დაფუძნების აქტზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე. თუ ეს მოთხოვნა დაცული არ არის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი აკრძალულია არსებობას.

მუხლი 17. ლიკვიდაცია

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებენ ლიკვიდატორები, რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. ლიკვიდატორი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი.

2. ლიკვიდატორები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლიკვიდატორების საქმიანობა შეზღუდულია ლიკვიდაციის მიზნით.

მუხლი 18. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება

1. სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

1[1]. ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში. *(22.03.2005 N 1131)*

2. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვა ხორციელდება დამფუძნებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით.

თავი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 19. კანონის მოქმედება დროში

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მისი რეგულირების სფეროში შემავალ ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, მათი შექმნის დროის მიუხედავად.

2. ამ კანონისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური კანონის ნორმებს შორის კოლიზიის შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური კანონის ნორმები.

3. ამ კანონის ამოქმედებამდე სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების გასხვისება ან სხვაგვარად დატვირთვა შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ქონების გასხვისების ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1999 წლის 28 მაისი.
N 2052 - IIს

საქართველოს კანონი

სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებს და უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს. კანონის მიზანია უზრუნველყოს ისეთი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1 კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმწიფო ქონება – საწარმოები, ამ საწარმოთა ქვედანაყოფები, რომელთა გამოყოფა შეიძლება დამოუკიდებელ საწარმოებად, ლიკვიდირებას დაქვემდებარებული ან უკვე ლიკვიდირებული საწარმოების ან მათი ქვედანაყოფების შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები, წილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებზედაც განთავსებულია სახელმწიფო ქონება, სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული საცხოვრებელი სახლები და ბინები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში გადასული უმკვიდრო ქონება (მათ შორის, საცხოვრებელი სახლები და ბინები), აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა

ნიეთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა და განკარგვა და რომლებით სარგებლობა შეუძლია სახელმწიფოს; *(24.05.2006 N3085)*

ბ) "პრივატიზება" - ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები - მისი მართვის უფლებებს.

მუხლი 2 საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

1. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. ეს კანონი არ აწესრიგებს მიწისა და სახელმწიფო საბინაო ფონდის (გარდა ამ კანონის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტში მითითებული ქონებისა) და სახელმწიფო საკუთრებაში მემკვიდრეობის გზით გადასული მოძრავი ნივთის, უპატრონო და უმკვიდრო მოძრავი ნივთის, რეალიზებას დაქვემდებარებული, სახელმწიფო საკუთრებაში ჩუქების გზით გადასული მოძრავი ნივთის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანამაულისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შედეგად ჩამორთმეული და სახელმწიფო საკუთრებაში გადასული ან/და მიქცეული მოძრავი ნივთის, სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად მიჩნეული მოძრავი ნივთის, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული სხვა მოძრავი ნივთის და მოძრავი ნივთის სახით არსებული მატერიალური ფასეულობების პრივატიზების საკითხს. *(24.05.2006 N3085)*

2. სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებამიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (გარდამავალ პერიოდში - მმართველობის ადგილობრივი ორგანოს) მონაწილეობის წილი 25% - ზე ნაკლებია.

მუხლი 3 სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების და მართვის ორგანო

1. სახელმწიფო ქონების მართვასა (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის მართვის უფლებით გადაცემული, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილისა) და პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო ქონების მართვასა და პრივატიზებას ამ კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, ხოლო რაიონებსა და ქალაქებში – შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები. *(28.03.2003 N2032)*

3. საქართველოში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად სამინისტრო:

ა) არის სახელმწიფოსგან უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე,რომელიც ფლობს, განკარგავს და მართავს სახელმწიფო ქონებას;

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგების მიხედვით, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მასში შესატან ცვლილებებს და დამატებებს;

გ) მეთოდურად და ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს და აკონტროლებს პრივატიზების პროცესს სახელმწიფოში, გამოაქვეყნებს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსა და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად;

4. სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზებისას საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს და მის ტერიტორიულ ორგანოებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი წარმომადგენლების (რწმუნებული პირების) ან შუამავლების მეშვეობით.

5. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო მუნიციპალური დაქვემდებარების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას,

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით, – შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანო.

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარების ქონებისა – მისი ტერიტორიული ორგანო. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ სახელმწიფო საკუთრების ქონების (აქციების გარდა) პრივატიზების უფლება შესაძლებელია გადასცეს თავის ტერიტორიულ ორგანოებს.

7. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებები, გარდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრივატიზებასთან ან/და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა, გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საწარმოთა მართვის სააგენტოს, რომლის მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარეს და ამტკიცებს სააგენტოს დებულებასა და სტრუქტურას. საწარმოთა მართვის სააგენტოდან სხვა სუბიექტებისათვის აქციებისა და წილის მართვის უფლებით გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი. *(30.06.2005 N1849 გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს)*

7[1]. საწარმოთა მართვის სააგენტოს საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. *(29.12.2004 N 881)*

მუხლი 4 სახელმწიფო ქონება, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება

სახელმწიფო ქონებიდან პრივატიზებას არ ექვემდებარება:

ა) წიაღისეული, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები. *(8.07.2005 N 1897)*

ბ) დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მსატვრული ფასეულობის ობიექტები, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები დადგენილი პირობებისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე. თუ შესაბამის ობიექტს განსაკუთრებული საზოგადოებრივი, ისტორიულ-ტრადიციული მნიშვნელობა აქვს, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ მისი პრივატიზების შესახებ თანხმობის გაცემისას აუცილებელი პირობაა ამ ობიექტის საქმიანობის პროფილის შენარჩუნება; *(8.12.2006 N3937)*

ბ[1]) რელიგიური და საკულტო ნაგებობები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ისინია განთავსებული; *(8.12.2006 N3937)*

ბ[2]) ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-, ფოტო- და ფონოდოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სამინისტროების (უწყებების), სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები, სამუზეუმო კოლექციები, ფონდები, ეროვნული მნიშვნელობის სახლ-მუზეუმები; *(8.12.2006 N3937)*

გ) სახელმწიფო რეზერვის სისტემაში არსებული ობიექტები სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;

დ) ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები, გარდა 35-110 კვ ძაბვის გადამცემი ქსელის იმ ნაწილისა, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის გარე ელექტრომომარაგება და განკუთვნილი არ არის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) სასისტემო ან/და სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის; (13.03.98 N1735 საკანონმდებლო მაცნე N 7)

ე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ფუნდამენტური მეცნიერების დაწესებულებები, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და მათდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ყველა ტიპის მოქმედი საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს;

ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, შუქურები, შუქნიშნები და აკვატორია;

8) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზის ლიანდაგი და მასთან დაკავშირებული სიგნალიზაციის, ტელეკომუნიკაციის დისპეტჩერიზაციის და ენერგომომარაგების სისტემები, გაზის

მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო გზები (პარალელური, თანაბარი მნიშვნელობის გზის არარსებობისას), თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები და ასაფრენ-დასაფრენი მოედნები.

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლო სისტემის, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშტატო და სარეზერვო ქონება; *(25.05.2006 N3163)*

ი) სისმირეთა სპექტრი, საფოსტო კავშირი, საგელევიზიო და რადიო- მაუწყებლობის პირველი არხის ტექნიკური საშუალებები და საანტენო - საფიდერო მოწყობილობები, სამთავრობო კავშირის ტექნიკური საშუალებები და საქართველოს პოზიცია გეოსტაციონალურ ორბიტაზე.(24.12.98 N1768 საკანონმდებლო მაცნე N 7)

კ) საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიოაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო დაწესებულებების ქონება;

ლ) სახელმწიფო სასაფლაოები და პანთეონები;

მ) წყალმომარაგების სისტემების სათავე ნაგებობები, წყალსადენის საგუმბავი სადგურები და მაგისტრალური მილსადენები, საკანალიზაციო სისტემების მაგისტრალური კოლექტორები და რეგიონული გამწმენდი სადგურები; (24.12.98 N1768 საკანონმდებლო მაცნე N 7)

ნ) დადგენილი წესით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;

ო) სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

მუხლი 5 მუშაკთა სოციალური გარანტია და შეღავათი

1. საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (პრივატიზების ინიციატორის მიუხედავად), მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, იკრძალება:

ა) საწარმოს რეორგანიზება ან ლიკვიდაცია;

ბ) საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა;

გ) ძირითადი ფონდების გაყიდვა ან გაცვლა, ქირით ან იჯარით გაცემა, გირაოში ჩადება, მათ გამოყენებაზე ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების მოქმედების შეცვლა ან შეწყვეტა.*(28.03.2003 N2032)*

2. საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10 % -მდე აქციები, მაგრამ არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებათ:

ა) იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს;

ბ) იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში;

გ) პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ;

დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები.

3. საწარმოს მყიდველი ვალდებულია საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადამი მუშაკებთან დადოს ხელშეკრულება, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

4. საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკების ერთდროული დახმარების ოდენობა და მათი შრომითი მოწყობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

პრივატიზების წესი და ფორმები

მუხლი 6 სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმები

1. პრივატიზება ხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვით.

2. კონკურსის ფორმით გაყიდვის მიზანია ქონებაზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც გამყიდველს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს.

3. აუქციონის ფორმით ქონების გაყიდვის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდება პირობებით – საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები, და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. *(24.05.2006 N3085)*

4. სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაყიდვის მიზანია გამოსყიდვამდე მატერიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობა და სარგებლობა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

5. პირდაპირი მიყიდვის მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას დადგენილ პირობებს. გადაწყვეტილებას სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი. *(13.08.2004 N 371)*

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, ხოლო პირდაპირი მიყიდვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

6[1]. იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" კანონის შესაბამისად. *(8.07.2005 N 1897)*

7. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების დებულებას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.*(28.03.2003 N2032)*

მუხლი 7 საპირვატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი

1. საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების დროს ქონების გასაყიდი ფასი დგინდება საკონკურსო საწყისებზე.

3. შეძენილ ქონებაზე ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ერთიანად ან განვადებით.

4. სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს არა უმეტეს 2 წლის ვადისა.

5. სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა დაუაროს არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადებულია პირობებით – არა უმეტეს 2 წლის ვადისა. *(24.05.2006 N3085)*

6. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 10 წლის ვადისა.

7. სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველი თანხას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 1 წლის ვადისა. *(24.05.2006 N3085)*

8. თუ არ მოხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასი შეიძლება შემცირდეს 50%-მდე, ხოლო თუ ამ ფასად გამოტანის შემდეგაც ქონება არ გაიყიდა, ეს ფასი შეიძლება კიდევ შემცირდეს. *(22.03.2005 N 1133)*

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ქონების პრივატიზების დათქმული თარიღიდან 7 დღის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ მიიღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ქონების პრივატიზების შეწყვეტის შესახებ, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი ითვლება 1 წლით გაგრძელებულად გამოცხადებული პირობებითა და ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასი არ მცირდება. გადაწყვეტილება სახელმწიფო ქონების პრივატიზების შეწყვეტის თაობაზე ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით. *(8.12.2006 N3937)*

10. თუ გამოცხადებული პირობებით ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილ ვადაში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის განცხადება საპრივატიზებო ქონების შეძენის შესახებ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განცხადების წარმოდგენიდან 1 თვეში იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლისათვის სახელმწიფო ქონების პრივატიზების თაობაზე. მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარე არსებობს მაშინ, თუ დაინტერესებული მხარის განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში იმავე მოთხოვნით სხვა პირმა არ წარადგინა განცხადება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.12.2006 N3937)*

11. თუ ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში წარმოდგენილ იქნა სხვა პირის (პირების) განცხადება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შესაბამისი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საპრივატიზებო ქონების შეძენის თაობაზე ბოლო განცხადების წარმოდგენიდან 1 თვეში. *(8.12.2006 N3937)*

მუხლი 8 პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილება

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებებია:

ა) მცირე ბიზნესში წარმოების განვითარების ღონისძიებათა დაფინანსება;

ბ) წარმოების სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსება;

გ) პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული ხარჯების დაფინანსება;

დ) გათვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილების თანაფარდობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9 ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ

1. კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში, პრესის ისეთ სახეობაში, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, ან ადგილობრივ პრესაში (თუ პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო) და განთავსდება სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე. თუ პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ინფორმაცია განთავსდება სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე და გადაიცემა საზოგადოებრივი ტელევიზიით. ამასთანავე, შეიძლება ინფორმაციის სხვა სამუალებების გამოყენება. *(24.05.2006 N3085)*

2. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების დათქმულ თარიღამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე.

3. პრესაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე და ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანება საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი, მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, მისამართი და ობიექტის გაყიდვის პირობები. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებულია მოთხოვნის მემთხვევაში მყიდველს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ; საზოგადოებრივი ტელევიზიით გავრცელებულ ცნობებში შეიტანება საპრივატიზებო ქონების დასახელება და განაცხადის მიღების დაწყებისა და დამთავრების ვადები. *(17.05.2005 N 1446)*

თავი III

გარიგებათა გაფორმების წესი

მუხლი 10 პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება

1. კონკურსის ფორმით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას მყიდველსა და გამყიდველს შორის იდება სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი ხელშეკრულება, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას კი – საიჯარო ხელშეკ-

რულება. შესაბამისი ხელშეკრულება იდება პირდაპირ მიყიდვაზე გადაწყვეტილების მიღებიდან, კონკურსის ან აუქციონის ჩატარებიდან არა უმეტეს 3 თვის ვადისა. ეს ვადა აგრეთვე ვრცელდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების გადაცემისას დასადებ ხელშეკრულებაზე. *(24.05.2006 N3085)*

(1. კონკურსის ფორმით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას მყიდველსა და გამყიდველს შორის იდება შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას კი – საიჯარო ხელშეკრულება. შესაბამისი ხელშეკრულება იდება პირდაპირ მიყიდვაზე გადაწყვეტილების მიღებიდან, კონკურსის ან აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. ეს ვადა აგრეთვე ვრცელდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების გადაცემისას დასადებ ხელშეკრულებაზე. *(8.12.2006 N 3881 ამოქმედდეს 2007 წლის 15 მარტიდან)*)

2. ხელშეკრულებაში მეიტანება: ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ, ქონების დასახელება, შემადგენლობა და ფასი, მხარეთა მისამართები, მყიდველის ვალდებულება პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი წესით პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ. საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა თანსის მთლიანად გადახდის დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4. სახელმწიფო ქონების მყიდველი ხდება შეძენილი ქონების სამართალმემკვიდრე.

მუხლი 11 პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა

1. პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.

2. პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი; (12.12.97 N1181 პარლამენტის უწყებანი N 47-48)

4. პრივატიზებული სახელმწიფო ქონების დოკუმენტაციის კანონიერებას ამოწმებს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატა კოორდინირებული წესით, სათანადო სპეციალისტების მონაწილეობით, სახელმწიფო ქონების მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ სტრუქტურებში. უმუალოდ პრივატიზებულ საწარმოში ცალკეული საკითხების გადამოწმება შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, გარდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესისა. ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსებთან – აქციები, წილი – დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა, თვით ამ პირის გარდა, შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. *(28.03.2003 N2032)*

თავი IV

გარდამავალი დებულებები

მუხლი 12 კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო შეიმუშაებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს:

ა) პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით;

ბ) საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესს.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ამტკიცებს დებულებებს:

ა) სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ;

ბ) სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ;

გ) სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ;

დ) სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ;

ე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ.

3. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში მოამზადონ და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინონ წინადადებები პრივატიზების პროცესში (1993 წლის 1 აპრილამდე) ანაბრების მფლობელთა მონაწილეობის მიმანშეწონილობისა და მექანიზმის თაობაზე.

4. საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობისა და მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ამ პირთა თანხმობისას, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (წილის, აქციების, შენობა-ნაგებობების და სხვ.) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლება გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად. (*28.03.2003 N2032)*

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. *(20.07.2001 N 1029)*

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვაჭრობის, სამოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფილის მცირე საწარმოების პრივატიზება განხორციელდეს ამ საწარმოებში დასაქმებულ პირებზე პირდაპირი მიყიდვის წესით. ეს წესი გავრცელდეს იმ მცირე საწარმოებზე, რომელთა საბალანსო ღირებულება არ აღემატება 100 ათას ლარს. აღნიშნული მცირე საწარმოების გასაყიდი ფასი განისაზღვროს პრივატიზაციის დღისათვის არსებული საბალანსო ღირებულების და ამ კანონის მიღების დროს მოქმედი ზონალური კოეფიციენტის მიხედვით. პირდაპირი მიყიდვის წესით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული ობიექტების პრივატიზება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(13.10.2005 N 1954 ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან)*

6[1]. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2006 წლის 1 იელისამდე უზრუნველყოს „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ", „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ", „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" და „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულებების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. *(24.05.2006 N3085)*

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 13 კანონის ამოქმედება და გასაუქმებელი აქტების ნუსხა

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აგვისტოს N 342-Iს დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" ("საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები",1991 წ., N 8,მუხ.583);

ბ) საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აგვისტოს კანონი "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" ("საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები", 1991 წ., N 8, მუხ. 582);

გ) საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 6 აპრილის N 209 -Iს დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ" ("საქართველოს პარლამენტის უწყებები,1993 წ. N 6, მუხ. 84);

დ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 ნოემბრის N238 ბრძანებულება

"საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ";

ე) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 11 აპრილის N 184 განკარგულება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ";

ვ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 22 ივნისის N 120 განკარგულება "რესპუბლიკის რეგიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მართვის ზოგიერთი საკითხის შესახებ";

ზ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 26 აგვისტოს N 278 ბრძანებულება "დაუმთავრებელ მშენებლობათა პრივატიზების დამატებით ღონისძიებათა შესახებ";

თ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 17 იანვრის N 13 ბრძანებულება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ";

ი) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 მარტის N 63 ბრძანებულება "მასობრივი პრივატიზაციის განხორციელების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ";

კ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 11 ივნისის N 228 ბრძანებულება "სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია "საქსავთობპროდუქტების" შექმნის შესახებ";

ლ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის N 88 განკარგულება "მასობრივი პრივატიზაციის სრულყოფისა და მასში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ";

მ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის N 250 ბრძანებულება "ქუთაისში არასაცხოვრებელი ფართობების პრივატიზაციის დაჩქარებისა და უძრავი ქონების მართვის მოწესრიგების შესახებ";

ნ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 27 სექტემბრის N 209 განკარგულება "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის შემდგომი დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ";

ო) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 20 მაისის დეკრეტი "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ";

პ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 5 მარტის N 268 დადგენილება "პრივატიზაციის პროცესის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ";

ჟ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს N 829 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ";

რ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 21 სექტემბრის N 943 დადგენილება "სამინისტროებისა და უწყებებისათვის სახელმწიფო ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლებათა დელეგირების შესახებ";

ს) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის N 287 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების შესახებ";

ტ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს N628 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭოს და ტერიტორიული კომისიების შექმნის შესახებ";

უ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აგვისტოს N 634 დადგენილება "ჰოლდინგური კომპანიების (ჰოლდინგების) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე";

ფ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ოქტომბრის N 725 დადგენილება "ქ. რუსთავში საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების ბალანსზე რიცხულ შენობებში განთავსებული ობიექტების პრივატიზების პროცესის მოწესრიგების შესახებ";

ქ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 17 ნოემბრის N 809 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ";

ღ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის N 916 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

ყ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის N 14 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების ღონისძიებათა შესახებ";

შ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის N 20 დადგენილება "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ";

ჩ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მარტის N 128 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საბინაო საექსპლუატაციო ორგანიზაციების ბალანსზე რიცხულ არასაცხოვრებელ ფართობებში განთავსებული ობიექტების პრივატიზების დაჩქარების შესახებ";

ძ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მაისის N 248 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ "საქგაზის" საწარმოებისა და ორგანიზაციების აქციონირებისა და პრივატიზაციის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ";

წ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 6 ივნისის N 329 დადგენილება "პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათ) საინვესტიციო ფონდების შესახებ".

3. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ა), ბ) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის N 42 დადგენილება "სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის N 612 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფოთა საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით დებულებათა დამტკიცების თაობაზე" და საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის დადგენილება "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., N 20 მუხ. 431).

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი,
1997 წლის 30 მაისი.
N 743 - IIს

საქართველოს კანონი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის ათვისება, მისი რაციონალურად გამოყენება და მიწის ბაზრის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. კანონის შესაბამისად პრივატიზებას ექვემდებარება იჯარით გაცემული და იჯარით გაუცემელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მიწებისა.

3. კანონის შესაბამისად პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შემდეგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა: *(28.12.2005 N2601)*

ა) საძოვარი, გარდა ამ კანონის ამოქმედებამდე იჯარით გაცემული საძოვრებისა და საძოვრებისა, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული აქტით მიმაგრებულია მასზე მდებარე, ფიზიკური და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ან/და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე; *(29.12.2006 N4321)*

ბ) პირუტყვის ვადასარეკი ტრასები;

გ) წყლის ფონდის მიწა, გარდა მეთევზეობის ხელოვნური ტბორებისა და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული საერთო წყალსარგებლობის კატეგორიის მიწისა;

დ) ტყის ფონდის მიწა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) რეკრეაციული დანიშნულების მიწა;

ვ) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწა;

ზ) დაცული ტერიტორიების მიწა;

თ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეფორმის ფონდისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;

ი) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიწების პრივატიზება დაიშვება მხოლოდ საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების შემთხვევაში. პროექტების შეფასებას ახორციელებს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. *(28.12.2005 N2555)*

მუხლი 3. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისთვის, მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სასყიდლიანი უფასოდ, ხოლო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლოდ, კერძო საკუთრებაში გადაცემა; *(8.12.2006 N3877)*

გ) მიწის ნაკვეთი – მიწაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების გავრცელების კონკრეტული გეოგრაფიული ერთეული, რომელიც შემოისაზღვრება ერთი უწყვეტი წირით;

დ) სხვა უძრავი ქონება – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არსებული სამეურნეო ან დამხმარე ნაგებობა (ნაგებობები), მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც მყარად არის დაკავშირებული მიწასთან;

ე) სპეციალური აუქციონი – აუქციონის ფორმა, რომლის მონაწილეთა მიერ ქონების შესასყიდი ფასის შეთავაზება ხდება ერთჯერადად, წერილობითი სახით. ამ ფორმის აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბისა და ქალაქის) და დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში საკომლო წიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მოწმობის საფუძველზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს; *(8.12.2006 N3877)*

ვ) ღია აუქციონი – აუქციონის ფორმა, რომლის დროსაც ნებადართულია შესასყიდი ქონების ფასის მრავალჯერადი შეთავაზება. ამ ფორმის აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;

ზ) საპრივატიზებო გეგმა – საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვების, საკადასტრო ინფორმაციის, ფართობის, ადგილმდებარეობის, ხარისხობრივი (კარგი/მწირი) მონაცემების, მათ საფუძველზე გაანგარიშებული მიწის ნაკვეთის საწყისი ფასისა და ბეს შესახებ ინფორმაციის ერთობლიობა; *(8.12.2006 N 3877)*

თ) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება – სახელმწიფოს მიერ, პირდაპირი მიყიდვის გზით იჯარით გაცემული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა მიწის ნაკვეთის მოიჯარისათვის;

ი) საკომლო წიგნი – ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბისა და ქალაქის) და დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში კომლების და მათში პირთა რაოდენობის ამსახველი ჟურნალი, რომელიც ადასტურებს კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში პირთა ცხოვრებისა და კომლში წევრად ყოფნის ფაქტს. *(8.12.2006 N 3877)*

მუხლი 4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადება

1. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის საფუძველზე:

ა) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ცხადდება ეკლესიის საკუთრებად;

ბ) ეკლესიას უფლება აქვს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე საკუთრებაში მიიღოს იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ფორმები

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

2. სპეციალური აუქციონით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

3. ღია აუქციონით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სპეციალურ აუქციონზე გაუყიდავი და ყოფილი საიჯარო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

4. პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოები

1. იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას, ასევე ღია აუქციონით იჯარით გაუცემელ (რომელიც არ გაიყიდა სპეციალურ აუქციონზე) და ყოფილ საიჯარო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

2. იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების მიზნით სპეციალური აუქციონის ორგანიზებასა და ჩატარებას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები. *(8.12.2006 N 3877)*

3. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ 500–მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების თაობაზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სპეციალურ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 7. მიწის ნაკვეთის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონის ან იჯარით გაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები აღგენენ მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელ ოქმს, რომელიც წარმოადგენს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

მუხლი 8. მიწის ნაკვეთების აგეგმვა და ნატურაში გადატანა *(8.12.2006 N 3877)*

იჯარით გაუცემელი საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების აგეგმვას, ნატურაში გადატანასა და საკადასტრო რუკების მოამზადებას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურებში არსებული ინფორმაციის გამოყენებით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურები უზრუნველყოფენ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

თავი II. იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება

მუხლი 9. პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პირობები

1. მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების აუცილებელი პირობაა სახელმწიფოსა და მოიჯარეს შორის დადგენილი წესით გაფორმებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულება.

2. მოიჯარემ მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის განცხადებით უნდა მიმართოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უადრეს 1 თვისა იჯარის ხელშეკრულების ვადის შეწყვეტამდე ან 10 წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში – საიჯარო ხელშეკრულების დადების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში.

3. მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება მიწის ნაკვეთის არსებული საკადასტრო გეგმისა და დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. დაშვებულია მოიჯარის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზება. თუ საიჯარო მიწის ფართობი შედგება რამდენიმე ერთმანეთისაგან სივრცობრივ/გეოგრაფიულად დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთებისაგან, მას უფლება აქვს გამოისყიდოს სასურველი მიწის ნაკვეთი (ნაკვეთები). საიჯარო მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) პრივატიზების შემთხვევაში, დარჩენილ საიჯარო ნაკვეთზე (ნაკვეთებზე) უქმდება საიჯარო ხელშეკრულება და იგი გაიყიდება ღია აუქციონზე.

5. თუ მოიჯარე არ მიმართავს შესაბამის ორგანოს მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის თაობაზე, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიწის ნაკვეთი (ნაკვეთები) გაიყიდება ღია აუქციონზე ამ კანონის III თავის შესაბამისად.

6. იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთებზე სასამართლო დავის არსებობისას საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე აღნიშნული მიწის ნაკვეთები არ დაექვემდებარება პრივატიზებას.

7. ამ კანონის ძალაში შესვლიდან პრივატიზებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები აღარ გაიცემა იჯარით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იჯარით გაცემის პროცედურა იყო დაწყებული და ამ კანონის ძალაში შესვლამდე ვერ მოესწრო მისი დასრულება.

მუხლი 10. იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების პრივატიზებისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოს ვალდებულებები

იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების პრივატიზებისას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოს ვალდებულებებია:

ა) მიიღოს მოიჯარის განცხადება საიჯარო მიწის პრივატიზების თაობაზე;

ბ) განცხადების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში გაეცნოს მოიჯარისა და საიჯარო მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას. დოკუმენტაციის სისწორის შემთხვევაში და გამოსასყიდი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენისთანავე გასცეს მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების

რეგისტრაციისათვის ან გამოსასყიდი თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში ვასაცეს მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი და დადგს იპოთეკის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებისა და იპოთეკის რეგისტრაციისათვის;

ვ) უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილების საჯაროობა, ასევე გასაყიდი და უკვე გაყიდული მიწის ნაკვეთების, მოიჯარეებისა და საჯარო ხელშეკრულებების შესახებ არსებული ინფორმაციის საჯაროობა;

ზ) მიაწოდოს მიწის მოიჯარეებს სათანადო ინფორმაცია პრესის საშუალებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით და წერილობით შეატყობინოს მათ.

მუხლი 11. იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასაყიდი ფასი

იჯარით გაცემული მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას შესასყიდი ფასი ტოლია გამოსყიდვის თაობაზე განცხადების წარდგენის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისა. თუ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები ან/და მრავალწლიანი ნარგაევები, მამინ მიწის უასს დაემატება კანონმდებლობით დადგენილი მათი ღირებულება.

მუხლი 12. იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საფასურის გადახდის წესი

1. მოიჯარე მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე 20%-ს იხდის ტერიტორიული ორგანოს მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში. ვადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. *(28.12.2005 N 2601)*

2. მოიჯარეს შეუძლია გამოსასყიდი თანხის ერთბამად ან ნაწილ-ნაწილ გადახდა 9 წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესი.

3. თუ მოიჯარე წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად ,ადახდილად ჩაითვლება. აღნიშნული საფასური ასევე სრულად გადახდილად ჩაითვლება, თუ პირი საფასურის სულ მცირე 20%-ის გადახდის შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის განმავლობაში გადაიხდის საფასურის 50%-ს ან 1-დან 3 წლამდე – საფასურის 70%-ს. იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ პირი იხდის საფასურის 100%-ს. *(28.12.2005 N 2601)*

თავი III. იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება

მუხლი 13. იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება სპეციალური და ღია აუქციონის ფორმით

1. იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება სპეციალური და ღია აუქციონის ფორმით. თუ იჯარით გაუცემელ მიწასთან დაკავშირებით მოწყობილ სპეციალურ აუქციონზე არ გამოვლინდა გამარჯვებული, მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი ღია აუქციონის ჩატარება.

2. სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბისა და ქალაქის) და დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში საკომლო წიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მოწმობის საფუძველზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. *(8.12.2006 N 3877)*

3. ღია აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქესა და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

4. სპეციალური და ღია აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პრესაში და განთავსდება შესაბამისი საკრებულოს შენობაში.

მუხლი 14. იჯარით გაუცემელი მიწების პრივატიზებისას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოს ვალდებულებები *(8.12.2006 N 3877)*

1. იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ვალდებულებებია: *(8.12.2006 N 3877)*

ა) საპრივატიზებო მიწის ფართობების შერჩევა და მათი ოპტიმალური ზომის ნაკვეთებად (არანაკლებ 3-ჰექტრიანი ნაკვეთი) დაყოფა (აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ ნაკვეთის ფართობი 3 ჰექტარზე მცირეა);

ბ) საპრივატიზებო გეგმის პროექტის შედგენა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში გადაგზავნა დასამტკიცებლად;

გ) გასაყიდი მიწის ნაკვეთების შესახებ არსებული ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.

2. იჯარით გაუცემელი ან ყოფილი საიჯარო მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოს ვალდებულებებია:

ა) საპრივატიზებო გეგმის პროექტის განხილვა, საქართველოს ეარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმება და დამტკიცება; *(8.12.2006 N 3877)*

ბ) საპრივატიზებო გეგმის დამტკიცებამდე 1 თვით ადრე საპრივატიზებო გეგმის პროექტის საჯაროდ გამოქვეყნება;

ბ[1]) სპეციალური აუქციონის ორგანიზება და ჩატარება, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენა და აუქციონში გამარჯვებული პირისათვის გადაცემა; *(8.12.2006 N 3877)*

გ) ღია აუქციონის ორგანიზება და ჩატარება;

დ) ღია აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენა;

ე) სპეციალურ და ღია აუქციონებში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და გამოსასყიდი თანხის გადახდის ქვითრის წარდგენისთანავე მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ან გამოსასყიდი თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში, მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებისა და იპოთეკის რეგისტრაციისათვის;

ვ) გასაყიდი და უკვე გაყიდული მიწის ნაკვეთების შესახებ არსებული ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.

მუხლი 15. სპეციალურ და ღია აუქციონებზე გატანილი მიწის ნაკვეთის გასაყიდი საწყისი ფასი

1. სპეციალურ აუქციონზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური გასაკვეთის ორმაგი ოდენობისა.

2. ღია აუქციონზე გასაყიდი იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ორმაგი ოდენო-ბისა. ღია აუქციონზე გასაყიდი ყოფილი საიჯარო მიწის ნაკვეთის გასაყიდი საწყისი ფასი ტოლია აუქციონის გამოცხადების დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისა.

3. თუ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები ან/და მრავალწლიანი ნარგავები, მაშინ სპეციალურ და ღია აუქციონებზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის საწყის ფასს დაემატება კანონმდებლობით დადგენილი მათი ღირებულება.

მუხლი 15[1]. სპეციალურ და ღია აუქციონებში მონაწილეობის პირობა *(8.12.2006 N 3877)*

1. სპეციალურ და ღია აუქციონებში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს ბე მიწის ნაკვეთის საწყისი საპრიეატიზებო ფასის 30%-ის ოდენობით.

2. ბეს გადასდა სპეციალური და ღია აუქციონების შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე.

3. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს და გადახდილი ბე არ უბრუნდება.

4. აუქციონში დამარცხებულ და არმშედგარი აუქციონის მონაწილეებს ბე უბრუნდებათ ბეს გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დავალების საფუძველზე. საბანკო დაწესებულება პირებს ბეს უბრუნებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დავალების საფუძველზე 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 16. სპეციალურ და ღია აუქციონებზე შეძენილი მიწის ნაკვეთის საფასურის გადახდის წესი

1. სპეციალურ და ღია აუქციონებში გამარჯვებული პირი გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიღებიდან 1 თვის ვადაში იხდის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასურს ან საფასურის სულ მცირე 20%-ს და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე ეთვლება მიწის ნაკვეთის საფასურის გადახდისას. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ შესაძლებელია მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, ხოლო საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში – მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება საჯარო რეესტრში საკუთრებისა და იპოთეკის უფლებების რეგისტრაციისათვის. თუ გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, აუქციონის შედეგები ბათილად ცხადდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე არ უბრუნდება. *(8.12.2006 N 3877)*

2. შემძენს შეუძლია მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების შესაძენი თანხა გადაიხადოს ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ 9 წლის განმავლობაში. ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში, ყოველ მომდევნო წელს ის იხდის მთლიანი გადასახდელი თანხის სულ მცირე 10%-ს. თანხის პირველი ნაწილის გადახდისას ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ დაიგვირთება იპოთეკით და გაგარდება საჯარო რეესტრში. გადასახდელი თანხის სრულად გადახდის შემდეგ იპოთეკა უქმდება.

3. თუ პირი, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ ვადაში ვერ გადაიხდის განსაზღვრულ თანხას, ქონება გაიყიდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. თუ პირი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ჩაითვლება. აღნიშნული საფასური ასევე სრულად გადახდილად ჩაითვლება, თუ პირი საფასურის სულ მცირე 20%-ის გადახდის შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის განმავლობაში გადაიხდის საფასურის 50%-ს ან 1-დან 3 წლამდე – საფასურის 70%-ს. იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ პირი იხდის საფასურის 100%-ს. *(28.12.2005 N 2601)*

თავი IV. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების და იპოთეკის რეგისტრაცია

მუხლი 17. საკუთრებისა და იპოთეკის უფლებების რეგისტრაცია *(8.12.2006 N 3877)*

ამ კანონის საფუძველზე პრივატიზებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრებისა და იპოთეკის უფლებები საჯარო რეესტრში რეგისტრირდება სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე, ერთიანად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე და 275-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების (აღიარების) თაობაზე საგადასახადო ორგანოს ცნობის გარეშე. საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე რეგისტრირდება ასევე იპოთეკის უფლებაში ნებისმიერი ცვლილება ან იპოთეკის უფლების შეწყვეტა.

თავი V. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 18. გარდამავალი დებულებანი

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხები მოსმარდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2. დაეკალოს საქართველოს მთავრობას ამ კანონით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის უზრუნველყოს დამატებითი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვა.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთ თვეში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს და დამტკიცოს:

ა) დებულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების წესის შესახებ";

ბ) აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა;

გ) საჯარო რეესტრში წარსადგენი მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა;

დ) იპოთეკის ხელშეკრულების ტიპური ფორმა.

4. ამ კანონის ძალაში შესვლიდან 2005 წლის ბოლომდე გადაიხედოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტში მითითებულ ორგანიზაციებთან დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულებები და საჭიროებისამებრ პრეზიდენტის ბრძანებულებით მოხდეს მათი გაუქმება.

5. ამ კანონის საფუძველზე განხორციელებულ სანივთო ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 289-ე მუხლებით გათვალისწინებულ უძრავ ნივთზე უფლებათა წარმომობისათვის სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის არსებობის აუცილებლობა. *(8.12.2006 N 3877)*

თავი VI. დასკვნითი დებულება

მუხლი 19. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2005 წლის 8 ივლისი.
N 1896 - რს

საქართველოს კანონი

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს კანონი ადგენს „მოსაკრებლების სისტემის საფუძველების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობასა და მისი გადახდის წესს.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ საინფორმაციო მომსახურებაზე, რომლის გაწევისათვის შესაბამისი საკანონმდებლო აქტით დადგენილია საფასური.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების ცნება

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღება არის საჯარო ინფორმაციის დედნიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გარეშე ინფორმაციის ზუსტად გადატანა (ჩაწერა, გადაღება) ინფორმაციის მატარებელზე (ფურცელი, კომპაქტური დისკი, დისკეტა, აუდიო- და ვიდეოკასეტა).

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ცნება

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც იხდის საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირი შესაბამისი ორგანოს მიერ ასლის გადაღებისათვის.

მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადამხდელები

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადამხდელები არიან საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები.

2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადამხდელია აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანო, თუ მის მიერ სამართლებრივი დახმარების ფარგლებში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა აღემატება 50 ლარს.

მუხლი 5. სხვა გადასახდელის შემოღების დაუშვებლობა

დაუშვებელია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებაზე ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გადასახდელის დაწესება.

მუხლი 6. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;

გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;

დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;

ე) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;

ვ) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

მუხლი 7. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება:

ა) ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერისას;

ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;

გ) ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.

მუხლი 8. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადაიხდება საჯარო დაწესებულების სალაროში.

2. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის ძიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდგომ.

3. საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ჩარიცხვა ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 13 მაისი.
N 1437 - რს

თავი VI
საბიუჯეტო, საფინანსო და ძონეებრივი ურთიერთობების მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები (29.12.2004 N901)

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა (29.12.2004 N901)

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მინისტრი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლება - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;

ვ) ადგილობრივი ხელისუფლება – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; *(29.12.2006 N4238)*

დ) ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი დონეების მიერ; ამოღებულია *(29.12.2004 N901)*

ე) სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა; *(28.04.2006 N2948)*

ვ) ამოღებულია *(29.12.2004 N901)*

ზ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდელებს; *(29.12.2006 N4238)*

თ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო); *(29.12.2006 N4238)*

ი) ამოღებულია *(29.12.2004 N901)*

კ) მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია ხარჯების მართვაზე; *(28.04.2006 N2948)*

ლ) საბიუჯეტო ორგანიზაცია - მსარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად;

მ) საბიუჯეტო (ფისკალური) წელი - კალენდარული წელი;

ნ) სახელმწიფო ხაზინა - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

ო) წლიური საბიუჯეტო კანონი - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი;

პ) ვალდებულების აღება - მომავალში გადახდაზე პასუხისმგებლობის აღება;

ჟ) ბიუჯეტის შემოსულობები – ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა; *(29.12.2004 N901)*

რ) ბიუჯეტის გადასახდელები – ბიუჯეტის ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა; *(29.12.2004 N901)*

ს) ბიუჯეტის შემოსაელები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება; *(29.12.2004 N901)*

ტ) ბიუჯეტის ხარჯები - ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და აღგილობრივი ხელისუფლებების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

მუხლი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დაბეჭდილი ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსაელების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებსა და გადასახდელებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. *(29.12.2006 N4238)*

ე) ერთიანობა – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და აღგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან/და ღონისძიების დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსაელების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია; *(29.12.2004 N901)*

8) კონსოლიდირება – ყველა სახელმწიფო შემოსულობის საბინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და ხარჯების გაწევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო საბინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში. *(29.12.2004 N901)*

მუხლი 5. საბიუჯეტო პროცესი

1. საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

2. ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო; *(29.12.2006 N4238)*

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო. *(29.12.2006 N4238)*

3. ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე, დამტკიცებასა და კონტროლზე უფლებამოსილია შესაბამისი საკანონმდებლო ხელისუფლება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო; *(29.12.2006 N4238)*

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. *(29.12.2006 N4238)*

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას. საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობისა და ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (29.12.2004 N901)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული მოგება, ადმინისტრაციული გადასახდელები (მათ შორის, მოსაკრებლები), ჯარიმები და საურავები, ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები (კაპიტალური შემოსავლების გარდა);

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები – ფიქსირებული კაპიტალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, აქციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მიწისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო წყაროებიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები ან სასაქონლო ფორმით მიღებული მონეტიზებული გრანტები;

გ) სესხები – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში, ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული სესხები.

მუხლი 7. ამოღებულია (29.12.2004 N901)

მუხლი 8. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობები (29.12.2006 N4238)

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი არასაგადასახადო შემოსავლები (კაპიტალური შემოსავლების გარდა);

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

მუხლი 9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობები (29.12.2006 N4238)

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების კუთვნილი არასაგადასახადო შემოსავლები (კაპიტალური შემოსავლების გარდა);

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების გადასახდელები (29.12.2006 N4238)

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების გადასახდელებია:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე ხარჯები – მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, დამქირავებლიდან ანარიცხები, მივლინებები, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, პროცენტის დაფარვა, სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერები, აგრეთვე სხვა მიმდინარე ხარჯები;

ა.ბ) კაპიტალური ხარჯები – კაპიტალური აქტივების შეძენა, კაპიტალური ტრანსფერები და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა კაპიტალური ხარჯები;

ბ) დაკრედიტება, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა;

გ) ვალის ამორტიზაცია – სესხის ძირითადი თანხის დაფარვა.

მუხლი 11. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

1. საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს: შემოსავლების კლასიფიკაციას შემოსავლების წყაროების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური შემოსავლების გამიჯვნით; ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას ხარჯების სახეების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამიჯვნით; ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას ხარჯების მიზნების მსგავსობის მიხედვით; ხარჯების ორგანიზაციულ კლასიფიკაციას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით. *(29.12.2006 N4238)*

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციას საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მინისტრი. *(28.04.2006 N2948)*

3. საბიუჯეტო კლასიფიკაცია ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ასიგნებები

1. ასიგნება არის ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში სარჯის გაწევის უფლებამოსილება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. ასიგნების გარეშე ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

2. პროგნოზირებული ასიგნება წარმოადგენს ასიგნებას, რომელიც დაკავშირებულია ვალის მომსახურებასა და ამორტიზაციასთან ან/და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სესხზე გადახდასთან. პროგნოზირებული ასიგნების ზევით ვალდებულების აღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს პროგნოზირებული ასიგნების გადაჭარბების მიზეზის შესახებ და წლის ბოლოს მისაღები შედეგის პროგნოზს, ხოლო პროგნოზირებული ასიგნების კორექტირება გათვალისწინებული იქნება წლიურ საბიუჯეტო კანონში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტში, რომლის მიღების შემდეგაც მეიძლება შესაბამისი ხარჯის გაწევა.

3. ფიქსირებული ასიგნება წარმოადგენს პროგნოზირებულის გარდა ყველა სხვა ასიგნებას. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ ფიქსირებული ასიგნების ზევით ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია. *(29.12.2004 N901)*

მუხლი 13. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები (29.12.2004 N901)

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებები განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის მიერ, წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად. *(28.12.2005 N2608)*

3. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს მხარჯავი დაწესებულების განაცხადისა და ფონდების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, პრეზიდენტის და მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს მინისტრი. მხარჯავი დაწესებულება ვალდებულია მუსტად განსაზღვროს საჭირო თანხის მოცულობა და მიზნობრიობა.

4. ამოღებულია *(28.04.2006 N2948)*

მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკების სარეზერვო ფონდები (28.04.2006 N2948)

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში იქმნება სარეზერვო ფონდები მათთვის დამტკიცებული ფიქსირებული ასიგნებების 2%-ის ფარგლებში, რომელთა განკარგვის მიმართულებებს ადგენს შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლება.

მუხლი 14[1]. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარეზერვო ფონდები (29.12.2006 N4238)

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში იქმნება სარეზერვო ფონდები მათთვის დამტკიცებული ფიქსირებული ასიგნებების 2 პროცენტის ფარგლებში, რომელთა განკარგვის მიმართულებებს განსაზღვრავს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება.

მუხლი 15. ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი

1. ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ, ხარჯებსა და

დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა წარმოადგენს ბიუჯეტის პროფიციტს, ხოლო უარყოფითი სხვაობა – ბიუჯეტის დეფიციტს.

2. ამოღებულია *(29.12.2004 N901)*

თავი II

ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

მუხლი 16. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 17. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან კოორდინაციით, ყოველი წლის 1 მარტს იწყებს მუშაობას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე (საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზზე, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებზე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებზე). ამ მიზნით სახელმწიფო დაწესებულებები (სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია. *(29.12.2006 N4238)*

2. საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკურ მიმოხილვას, მთლიან შიდა პროდუქტს, ინფლაციას, ხელფასის ცვლილებას, უმუშევრობის დონის მაჩვენებლებს, საგაჭრო და საგადამხდელო ბალანსს, ვალუტის კურსს, მონეტარულ და სხვა ძირითად მაჩვენებლებს. *(28.04.2006 N2948)*

3. საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზები მოიცავს შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების ძირითად ელემენტებს და ითვალისწინებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, ფინანსურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს. *(28.04.2006 N2948)*

4. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები მოიცავს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობას, წინადადებებს ბიუჯეტის სტრატეგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკისა და პრიორიტეტებისაგან, შემოსავლებისა და ხარჯების ძირითად კატეგორიებსა და სხვა მონაცემებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. *(28.04.2006 N2948)*

5. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები მოიცავს:

ა) საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მაჩვენებლებს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის; *(29.12.2006 N4238)*

ბ) გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

ვ) დასაგეგმი და არანაკლებ დასაგეგმის შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის:

გ.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს; *(28.04.2006 N2948)*

გ.ბ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს სექტორების მიხედვით, ფისკალური საფუძვლების პროგნოზებით;

გ.გ) სახელმწიფო ფისკალურ პოლიტიკას, ძირითადი ფისკალური მიზნებისა და ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საჭირო მოთხოვნებს;

გ.დ) საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მთლიანი შემოსავლების, ხარჯებისა (ძირითადი ფუნქციებისა და ეკონომიკური მუხლების მიხედვით) და ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან; *(29.12.2006 N4238)*

გ.ე) შემოსავლების, ხარჯების, გრანტებისა და სესხების აგრეგირებულ მაჩვენებლებს. *(24.02.2004 N3361)*

6. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს 15 აპრილისა. *(24.02.2004 N3361)*

7. საქართველოს მთავრობის სხდომაზე მოწონებულ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობა წარუდგენს საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებს არა უგვიანეს 1 მაისისა. ამ კომიტეტებში განხილვების შედეგების გათვალისწინებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამზადებს დასკვნას, რომელიც ეგზავნება საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს 1 ივნისისა. *(28.04.2006 N2948)*

მუხლი 18. საბიუჯეტო ცირკულარის მომზადების ვადები და წესი (29.12.2004 N901)

1. საბიუჯეტო განაცხადის მომზადებისას ყველა მხარჯავი დაწესებულება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების საფუძველზე იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ, საბიუჯეტო ცირკულარში მითითებულ ძირითად პარამეტრებს. საბიუჯეტო ცირკულარი მოიცავს თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიხედვით ინფორმაციას კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობების შესახებ. მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა 15 ივნისამდე. საბიუჯეტო ცირკულარს გამოსცემს მინისტრი კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობების დამტკიცებიდან 5 დღეში. *(28.04.2006 N2948)*

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტის კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობებს პარლამენტის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. საქართველოს პარლამენტის ხარჯების ზღვრული მოცულობის დამტკიცებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი არ უნდა იყოს გასულ საბიუჯეტო წელს დამტკიცებულ მოცულობაზე ნაკლები. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით.

მუხლი 19. მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა (29.12.2004 N901)

1. მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული საბიუჯეტო წლის ფაქტობრივ შემოსულობებსა და გადასახდელებს, მიმდინარე საბიუჯეტო წლის მოსალოდნელ შემოსულობებსა და გადასახდელებს, დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზებს, მათ შორის, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მესამე დონის მესაბამისად მიმდინარე, კაპიტალურ და პროგრამულ ხარჯებს;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მისედვით დასაგეგმისშემდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის გაანგარიშებულ შემოსულობებსა და გადასასდელებს; *(28.04.2006 N2948)*

გ) ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი თანამშრომლების მოთხოვნილ ოდენობას, მიმდინარე მაჩვენებლიდან გადახრების ჩათვლით;

დ) შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების დასაბუთებას;

ე) მიღებულ ან მისაღებ არაფულად გრანტებს, საცნობარო მუხლის სახით *(29.12.2004 N901)*

2. საბიუჯეტო განაცხადები, რომლებიც შეიცავს ვალდებულებებს ან/და მრავალწლიან ხარჯს, საინვესტიციო პროექტებსა და დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, წარმოდგენილი უნდა იქნეს თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე საკარაუდო ხარჯთაღრიცხვით.

3. ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დაუშვებელია.

მუხლი 20. საბიუჯეტო განაცხადების განხილვა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოწმებს საბიუჯეტო განაცხადებს და მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად იხილავს არა უგვიანეს 30 აგვისტოსი. *(29.12.2004 N901)*

2. მსარჯავ დაწესებულებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის შეუთანხმებელი საკითხები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს 5 სექტემბრისა. *(29.12.2004 N901)*

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და მას განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს 15 სექტემბრისა. *(24.02.2004 N3361)*

მუხლი 21. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის წარდგენა

1. საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტს თანდართული მასალებით, რომლებიც მოიცავს: *(29.12.2004 N901)*

ა) საქართველოს მთავრობის წარდგინებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა.ა) ინფორმაციას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ;

ა.ბ) ინფორმაციას საბიუჯეტო წინადადებებისა და მათი გაანგარიშების საფუძვლის შესახებ;

ა.გ) საბიუჯეტო რისკისა და საკრედიტო მდგომარეობის შესახებ;

ა.დ) საინფორმაციო აღწერილობას საქართველოს მთავრობის საქმიანობის შესახებ, საცნობარო მუხლის სახით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მეორე რიგის მუხლების მიხედვით თითოეული მსარჯავი დაწესებულების ხარჯების ნუსხას, საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში აგრეთვე თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე საგარაუდო ხარჯთაღრიცხვას და დეტალურ ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ;

გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას, პროფიციტის გამოყენების ღონისძიებებს ან დეფიციტის დაფინანსების წყაროებს;

დ) ინფორმაციას სახელმწიფო ვალის, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების, აგრეთვე გარანტიის ამოქმედების შედეგად გადასახდელი თანხების პროგნოზის შესახებ; *(28.04.2006 N2948)*

ე) ასიგნებებისა და საშემოსავლო პროგნოზების დასაბუთებას;

ვ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო კანონმდებლობაში შესაგანი ცვლილებების პაკეტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი წლებისათვის. ამასთანავე, დასაგეგმისშემდგომი 3 წლის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ზოგად მაჩვენებლებში. *(28.04.2006 N2948)*

3. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.

მუხლი 22. წლიური საბიუჯეტო კანონის მიღება

1. საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო მოსმენების შემდეგ წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

2. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს. *(24.02.2004 N3361)*

3. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. კანონის მიღება უნდა მოხდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე. *(24.02.2004 N3361)*

4. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული წლიური საბიუჯეტო კანონი დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მეორე რიგის მუხლების მიხედვით თითოეული მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების მოცულობას; *(29.12.2004 N901)*

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი სელის უფლებებისათვის ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობას;

გ) საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობას; *(29.12.2004 N901)*

დ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) პროფიციტის გამოყენების ღონისძიებებს ან დეფიციტის დაფინანსების წყაროებს;

ვ) სამინაო და საგარეო ვალების ძირითადი თანხის დაფარვისათვის საჭირო ასიგნებების მოცულობას;

ზ) სახელმწიფო ვალის, სახელმწიფო სესხებისა და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ლიმიტებს;

თ) ინფორმაციას საბიუჯეტო წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის არსებული სახელმწიფო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

5. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს წლიურ საბიუჯეტო კანონს, საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 2 კვირაში წარუდგენს მას კანონპროექტის ახალ ვარიანტს. *(24.02.2004 N 3361)*

5[1]. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. *(24.02.2004 N 3361)*

6. წლიური საბიუჯეტო კანონი და მისი დანართები უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

მუხლი 23. ასიგნებები ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში (29.12.2006 N4238)

დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტის დამტკიცებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მინისტრი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოები უფლებამოსილი არიან მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცენ თანხა არა უმეტეს გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობისა.

მუხლი 24. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანა

1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებას ვალდებულების აღებამდე და ხარჯის გაწევამდე საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(24.02.2004 N 3361)*

2. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს, რომელიც გავლენას ახდენს წლიური საბიუჯეტო კანონით დადგენილი შემოსავლების ან/და ხარჯების პროგნოზებზე, საქართველოს პარლამენტი მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონპროექტი წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ღონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ ან სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მომდევნო კვარტალური ანგარიშის განხილვის დროისათვის მაინც უნდა იქნეს ასახული კანონპროექტში წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. *(24.02.2004 N 3361)*

3. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე დართული მასალები უნდა შეიცავდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს, სამუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზის განახლებულ ვერსიასთან და სამუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების შინაარსიდან გამომდინარე.

4. თუ წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიდან ნათელია, რომ წლიურად პროგნოზირებული შემოსავლები და გრანტები განიცდის 10%-ით ან მეტ დანაკლისს, საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტს. *(24.02.2004 N3361)*

მუხლი 25. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება (29.12.2006 N4238)

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ კანონისა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის, საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისი ტექნიკური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 26. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება (29.12.2006 N4238)

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 27. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოში ან მის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

2. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სხვა სავალდებულო გადასახდელებს აწესებს საქართველოს პარლამენტი, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით პარლამენტში წარადგენს საქართველოს მთავრობა. *(24.02.2004 N3361)*

თავი III

ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 28. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა (28.04.2006 N2948)

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წლიური საბიუჯეტო კანონის ხელმოწერისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულებები პასუხისმგებელნი არიან ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევაზე და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების მოკრებაზე. ამასთან, ისინი პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტის, სახელმწიფო აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე და პროცედურებისა და მოთხოვნების კონტროლზე.

3. მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას, საქართველოს კონტროლის პალატასთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს სააღრიცხვო კონტროლსა და მიდა აუდიტს და გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 29. ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება (24.02.2004 N 3361)

1. შემოსავლების მოკრებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხების სრული და დროული მოკრება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული შემოსავლები წარმოადგენს პროგნოზებს და არ ზღუდავს ფაქტობრივ მოკრებას მაჩვენებლების გადამეტებით.

3. საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ყველა შემოსულობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ დეპონირებას ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე. *(29.12.2006 N4238)*

4. ამოღებულია *(24.02.2004 N 3361)*

5. ამოღებულია *(29.12.2004 N901)*

მუხლი 29[1]. ბიუჯეტის შემოსულობების ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანა

1. ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშებიდან დაბრუნების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. საგადასახადო შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშებზე მიმართული სახსრების გარეშე.

3. ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებისას ხდება კორექტირება ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანილი და არასაგადასახადო შემოსავლისა და სხვა შემოსულობის უკან დაბრუნებული ან სხვა არასაგადასახადო შემოსავლების ანგარიშში გადატანილი თანხებით. *(24.02.2004 N 3361)*

მუხლი 30. ფულის მართვისა და გაცემის გეგმები

1. საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ეფუძნებოდეს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას.

2. მინისტრი ამტკიცებს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის პერიოდებში შემოსავლების ფაქტობრივი მოკრების პროგნოზებს, დაფინანსების სხვა წყაროებსა და მოსალოდნელ გადასახდელებს. *(28.04.2006 N2948)*

3. მინისტრის მიერ გამოცემული წესების თანახმად, თვის დაწყებამდე სახელმწიფო ხაზინა მხარჯავ დაწესებულებებს აცნობებს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას.

მუხლი 31. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

1. მხარჯავი დაწესებულებების მიერ ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის მიერ ამ კანონის შესაბამისად გამოცემული წესებით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია. ხარჯის გაწევა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აღებული და დამტკიცებული ვალდებულების შესასრულებლად, თუ ამ კანონით ან მინისტრის მიერ ამ კანონის შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ამოღებულია*(29.12.2004 N901)*

მუხლი 32. სახელმწიფო ხაზინა

1. სახელმწიფო ხაზინის საქმიანობა ხორციელდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ყველა სახელმწიფო ფინანსური ოპერაციის გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

2. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა სრულად და სწორად აღრიცხვისათვის. *(29.12.2006 N4238)*

2[1]. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სრულ და სწორ აღრიცხვაზე. *(24.02.2004 N 3361)*

3. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხების მოხსნის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას.

4. სახელმწიფო ხაზინის ფულადი რესურსები ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე, აგრეთვე სხვა ბანკებში, სახელმწიფო ხაზინის კონტროლით. საოპერაციო მიზნებისათვის სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გახსნას დამატებითი საბანკო ანგარიშები. *(29.12.2004 N901)*

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო სახაზინო სისტემის მეშვეობით და მინისტრის მიერ გამოცემული წესების შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოს იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების ადმინისტრირება. *(29.12.2006 N4238)*

6. სახელმწიფო ხაზინის თანხმობის გარეშე დაუშვებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო დაწესებულების (ორგანიზაციის) საბანკო ანგარიშის გახსნა. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გააუქმოს ნებართვა საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ და გასცეს ბრძანება ამ ანგარიშის დახურვის თაობაზე. მხარჯავი დაწესებულებები უზრუნველყოფენ, რომ მათ მიერ მიღებული ყველა შემოსავალი სრულად და დაუყოვნებლივ აღირიცხოს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც ბიუჯეტის შემოსულობებს კანონით დადგენილი ვადის დარღვევით ინახავს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის გარეთ, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. *(29.12.2004 N901)*

7. ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით სახელმწიფო ხაზინა უწევს მას ტექნიკურ მომსახურებას სახაზინო ოპერაციების, აგრეთვე ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადებისათვის. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს პროცედურებსა და სააღრიცხვო მეთოდოლოგიას, რომლებიც შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ფინანსური ოპერაციების წარმოებისას.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო ანგარიშსა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას. *(24.02.2004 N 3361)*

მუხლი 33. სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება საკასო მეთოდით.

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გაცემის უფლებამოსილება წყდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბერს 24 საათზე.

3. მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბრის შემდეგ მიღებული შემოსულობები ითვლება დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებად.

მუხლი 34. სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე გაცემული გადასახდელების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების გაწევის ყველა ეტაპის (ვალდებულებები, დამოწმება, თანხების გაცემა და გადასახდელები) შესახებ, აგრეთვე მხარჯავი დაწესებულების შემოსავლებისა და სხვა შემოსულობების აღრიცხვას. ამასთან, სახელმწიფო ხაზინა აღრიცხვას აწარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიხედვით. *(29.12.2004 N901)*

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით, ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში ამზადებს ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და დაფინანსების წყაროების ჩვენებით. *(29.12.2004 N901)*

მუხლი 35. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა (28.04.2006 N2948)

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს:

ა) მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;

ბ) შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების), დეფიციტის, სესხების ან დაფინანსების სხვა წყაროების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მუხლი 36. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება

1. რომელიმე მხარჯავი დაწესებულებიდან ერთ ან რამდენიმე მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის გზით. *(29.12.2004 N901)*

2. მხარჯავი დაწესებულებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხები ერთი ან მეტი ასიგნებიდან ერთ ან მეტ ასიგნებაზე შეიძლება გადანაწილდეს მხოლოდ მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთი გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნების ოდენობის 10%-ის ფარგლებში. *(28.04.2006 N2948)*

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად.

მუხლი 37. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება ამ კანონის 24-ე, 25-ე და 28-ე–36-ე მუხლების დებულებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. *(29.12.2006 N4238)*

2. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მუხლი 38. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება (29.12.2006 N4238)

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება ამ კანონის 24-ე, 26-ე და 28-ე–36-ე მუხლების დებულებების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თავი IV

სესხები და ვალი

მუხლი 39. სესხის აღების უფლება

1. სახელმწიფო სესხების აღება და მათზე გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ სესხი აიღონ მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. სახელმწიფო სესხების ლიმიტები და სასესხო გარანტიები

1. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს წლიურ წმინდა სესხებაზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს წლის შესაბამის მონაკვეთში. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი.

2. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

მუხლი 41. სესხებისა და გარანტიების გაცემის პროცედურები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური საბიუჯეტო კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის დაცვით აიღოს სესხი მისი მიმღებისა და გამცემისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. ფინანსთა სამინისტრო თავისუფალია ფინანსური ინსტრუმენტის სახის არჩევისას, მისი მახასიათებლებისა და პირობების ჩათვლით. მონეტარული პოლიტიკის ინტერესების ფარგლებში სამინისტრო მოქმედებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის საფუძველზე.

3. „ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებას.

მუხლი 42. სესხის აღების გამჭვირვალობა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო ვალებისა და სახელმწიფო გარანტიების აღრიცხვას, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ აღებული და გაცემული სესხების აღრიცხვასა და გადახდას. ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

2. საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას დაუფარავი ვალის შესახებ.

თავი V

აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 43. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოსცემს სათანადო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური

რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ სტანდარტული საალრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას. *(29.12.2004 N901)*

2. მხარჯავი დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები პასუხისმგებელნი არიან შემოსულობებისა და გადასახდელების ბუღალტრულ აღრიცხვაზე, კონტროლზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე. *(29.12.2004 N901)*

3. საკუთარ მემოსავლეობთან და გაწეულ ხარჯებთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სესხებთან და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვასა და შემოწმებაზე.

მუხლი 44. შიდა აუდიტი (29.12.2004 N901)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ერთობლივად მიღებული (გამოცემული) შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით მხარჯავი დაწესებულება, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები ამტკიცებენ შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე შიდა აუდიტის განხორციელების პროცედურებს. შიდა აუდიტი ხორციელდება მხარჯავი დაწესებულების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ხელმძღვანელების უშუალო მედამსედველობით.

მუხლი 45. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა (29.12.2004 N901)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად და დადგენილ ვადებში მხარჯავი დაწესებულებები ამზადებენ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშგებებს, რომელთა საფუძველზედაც ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და ანგარიშგებას. ეს ანგარიში და ანგარიშგება და საქართველოს კონტროლის პალატის შესაბამისი დასკვნა წარედგინება საქართველოს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ვადებში.

მუხლი 46. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგება (28.04.2006 N2948)

წლიური ანგარიშგება მოიცავს ეკონომიკური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული ხარჯების და შემოსავლების მიხედვით საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის ანგარიშებსა და წლიური საბიუჯეტო კანონის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ბ) დამტკიცებულ ბიუჯეტსა და უაქტობრივ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ აღნიშნული შეუსაბამობა აღემატება 10%-ს;

გ) მოხსენებას სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ, აგრეთვე ფინანსური გარანტიების თაობაზე, რომელთა გაცემა განხორციელდა სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით;

დ) ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების სახსრების ხარჯვის შესახებ;

ე) ინფორმაციას გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ.

მუხლი 47. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების შემოწმება (28.04.2006 N2948)

საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია მეამოწმოს საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების საბოლოო ანგარიშგება და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნებში უნდა აისახოს, თუ რამდენად ზუსტად და სრულად არის წარმოდგენილი ანგარიშგებები.

მუხლი 48. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების დამტკიცება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვისა და საქართველოს

კონტროლის პალატის მოსსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 1 ნოემბრისა იღებს დადგენილებას ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. თუ საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთ თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. *(24.02.2004 N 3361)*

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება (29.12.2006 N4238)

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ თავში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

თავი VI

პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

მუხლი 50. პასუხისმგებლობა

ამ კანონის დამრღვევი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 51. ამოღებულია (28.04.2006 N2948)

მუხლი 51[1]. ამოღებულია (28.04.2006 N2948)

მუხლი 51[2]. ხაზინის ერთიანი ანგარიში (29.12.2004 N901)

ხაზინის ერთიანი ანგარიში სრულად ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან. ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა 2006 წლის 1 იანერამდე მოიცავს ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშსა და ბიუჯეტის ხარჯების ძირითად და რეგიონულ ანგარიშებს, დეპოზიტური სახსრებისა და ფულადი გრანტების ანგარიშებს, საავალუტო და სხვა მიზნობრივ ანგარიშებს.

მუხლი 52. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონი.

თავი VIII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 53. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 30-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ კანონის 30-ე მუხლი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,
2003 წლის 24 აპრილი.
N 2116 – II ს

საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ

მუხლი 1 (29.12.2006 N4240)

ეს კანონი განსაზღვრავს საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესს.

მუხლი 2 (29.12.2006 N4240)

საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ამ კანონის N1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სრულად ჩაირიცხება:
ა) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ა.ა) ქონების გადასახადი;
ა.ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
ბ) არასაგადასახადო შემოსავლები:
ბ.ა) ამოღებულია *(24.07.2006 N 3502)*
ბ.ბ) ამოღებულია *(24.07.2006 N 3502)*
ბ.გ) ამოღებულია *(24.07.2006 N 3502)*
ბ.დ) ამოღებულია *(24.07.2006 N 3502)*
ბ.დ[1]) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.დ[2]) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.დ[3])ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.დ[4]) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი. *(29.12.2006 N4251)*
ბ.ე) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.ვ) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.ზ) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.თ) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*
ბ.ი) ამოღებულია *(29.12.2006 N4240)*

მუხლი 4 ამოღებულია (29.12.2006 N4240)

მუხლი 5

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსავლები (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული შემოსავლებისა) ამ რესპუბლიკების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 6 ამოღებულია (29.12.2006 N4240)

მუხლი 7

საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები ბიუჯეტებს შორის ნაწილდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 8

ამ კანონის დანართებში მითითებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სახელმწიფო ქონების ნუსხას ადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

მუხლი 9

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ" საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N50, 2000 წელი, მუხ. 146).

მუხლი 9[1] (20.04.2005 N 1340)

საგადასახადო კანონმდებლობით გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსულობები განაწილდეს შემდეგი სახით:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად იქნეს მიმართული გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული შემდეგი საბიუჯეტო შემოსულობები:

ა.ა) ფიქსირებული გადასახადი მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე;

ა.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;

ა.გ) საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადი;

ა.დ) გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის;

ა.ე) ფიქსირებული გადასახადი სიგარილასა და ფილტრიანი სიგარეტის იმპორტზე;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში სრულად იქნეს მიმართული გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული შემდეგი საბიუჯეტო შემოსულობები:

ბ.ა) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი;

ბ.ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადი;

ბ.გ) ქონების გადაცემისათვის გადასახადი;

ბ.დ) საკურორტო გადასახადი;

ბ.ე) სასტუმროს გადასახადი;

ბ.ვ) რეკლამის გადასახადი;

ბ.ზ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;

გ) მცირე ბიზნესისა და ფიქსირებული გადასახადებიდან მიღებული თანხების 80% მიიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 20% აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში.

მუხლი 10

ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2004 წლის 29 დეკემბერი.
N 937-რს

საქართველოს საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით

N	შემოსავალები	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ. რესპუბლიკების ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები
1	2	3	4	5
1.	საგადასახადო შემოსავლები			
1.1	საშემოსავლო გადასახადი:			
1.1.1	– განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის		100	
1.1.2	– განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის			100
1.2	მოგების გადასახადი:			
1.2.1	– გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის განკუთვნილი მოგების გადასახადისა	100		
1.2.2	– განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის		100	
1.3	დამატებული ღირებულების გადასახადი	100		
1.4	აქციზი	100		
1.5	საბაჟო გადასახადი	100		
1.6	სოციალური გადასახადი	100		
1.7	ქონების გადასახადი			100
1.8	სათამაშო ბიზნესის გადასახადი			100
2.	არასაგადასახადო შემოსავლები			
2.1	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი, გადახდილი:			
2.1.1	– ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის		100	
2.1.2	– ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის			100
2.2	საბაჟო მოსაკრებელი	100		
2.3	სალიცენზიო მოსაკრებელი, გადახდილი:			
2.3.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი საჩსახურების მიერ გაცემულ ლიცენზიებზე	100		
2.3.2	– ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი საჩსახურების მიერ გაცემულ ლიცენზიებზე		100	
2.4	სანებართვო მოსაკრებელი, გადახდილი:			
2.4.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი საჩსახურების მიერ	100		
2.4.2	– ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი საჩსახურების მიერ		100	
2.4.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი საჩსახურების მიერ (ადგილობრივი მოსაკრებლების სახით)			100
2.5	სახელმწიფო სერვიტუტების მოსაკრებელი	100		
2.6	სარეგისტრაციო მოსაკრებელი	100		
2.7	სახელმწიფო საქმისწარმოების მოსაკრებელი	100		
2.8	სახელმწიფო ბაჟი:			
2.8.1	საქართველოს სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე	100		

2.8.2	მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის რეგისტრაციის, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ვაცემისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის, რომლებსაც ახორციელებენ:			
2.8.2.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურები	100		
2.8.2.2	– ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურები		100	
2.8.2.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურები			100
2.8.3	სხვა სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული:			
2.8.3.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.8.3.2	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.8.3.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.9	საკონსულო მოსაკრებელი	100		
2.10	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
2.10.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.10.2	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.10.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.11	საგენდერო მოსაკრებელი – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას:			
2.11.1	– სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით	100		
2.11.2	– ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების სახსრებით		100	
2.11.3	– ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით _ ადგილობრივი საგენდერო მოსაკრებელი			100
2.12	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის			100
2.13	ავიამგზაურთა მომსახურების მოსაკრებელი	100		
2.14	სააღსრულებო მოსაკრებელი	100		
2.15	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდევინებული:			
2.15.1	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	90	10	
2.15.2	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	90		10
2.16	საკარანტინო მომსახურების მოსაკრებელი	100		
2.17	სხვა მოსაკრებელი, გადახდევინებული:	100		
2.17.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.17.2	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.17.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.18	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში (უბედურ შემთხვევა, ქირაობა, იჯარა და სხვა) გაღატაკებიდან მიღებული შემოსავალი:			

2.18.1	საერთოსახელმწიფოებრიები მნიშვნელობის ქონების გადაცემიდან	100		
2.18.2	სახელმწიფო ქონების, მათ შორის, სახელმწიფო მიწის და მასთან მყარად დაკავშირებული ქონების გადაცემიდან, რომელიც:			
2.18.2.1	– გაბლაგებულია აეტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	65	35	
2.18.2.2	– გაბლაგებულია აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა აეტონომიური რესპუბლიკების აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	65		35
2.18.2.3	აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა აეტონომიური რესპუბლიკების აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია			100
2.19	აეტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული ქონების მართვამი (უზუფრუქტი, ქირაგნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	35	65	
2.20	აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვამი (უზუფრუქტი, ქირაგნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი			100
2.21	შემოსავალი მომსახურებიდან, რომელიც გაწეულია:			
2.21.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.21.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.21.3	– აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.22	შემოსავალი არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან, რომელიც წარმოებულია:			
2.22.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.22.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.22.3	– აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთA შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.23	შემოსავალი ღვიღენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან			
2.23.1	– სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	100		
2.23.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები		100	
2.23.3	– აღგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები			100
2.23.4	შემოსავალი ეროვნული ბანკის მოგებიდან	100		
2.24	როიალტი	100		
2.25	სესხის (კრედიტის), დეპოზიტის, ვექსილისა და სხვა სახის პროცენტი (სარგებელი), გაცემული:			

2.25.1	– სახელმწიფო ბიუჯეტიდან	100		
2.25.2	– აეტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან		100	
2.25.3	– ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან			100
2.26	შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან			
2.26.1	შემოსაელები ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან სხვადასხვა სფეროში, გადახდეინებული:			
2.26.1.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.26.1.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.26.1.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთA შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.26.2	ჯარიმა ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების პასუსისმგებლობაზე	100		
2.26.3	ჯარიმა ანტიმონოპოლიურ და რეკლამის სფეროში კანონმდებლობის დარღვევისათვის	100		
2.26.4	ჯარიმები საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის	100		
2.26.5	ჯარიმები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის	40		60
2.26.6	ჯარიმები არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოელენილი დარღვევებისათვის, გადახდეინებული:			
2.26.6.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.26.6.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.26.6.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.26.7	სხვა ჯარიმები და სანქციები, გადახდეინებული:			
2.26.7.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.26.7.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.26.7.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
2.27	კრედიტების დაბრუნება, რომლებიც გაცემულია:			
2.27.1	– სახელმწიფო ბიუჯეტიდან	100		
2.27.2	– აეტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან		100	
2.27.3	– ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან			100
2.28	სხვა არასაგადასახადო შემოსაელები			
2.28.1	შემოსაელები გამოუყენებელი საქონლის, ჯართისა და ნარჩენის რეალიზებიდან, გადახდეინებული:			
2.28.1.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა მიერ	100		
2.28.1.2	– აეტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა მიერ		100	
2.28.1.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ			100
2.28.2	ვალუტის კურსის ცვლილებიდან შემოსავალი, მიღებული:			
2.28.2.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა მიერ	100		

2.28.2.2	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა მიერ		100	
2.28.2.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ			100
2.28.3	სახაზინო ფაფლებობიდან მიღებული შემოსავალი	100		
2.28.4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ფასების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი			100
2.28.5	აქციური მარკების სოციალური ღირებულებიდან მიღებული შემოსავალი	100		
2.28.6	რიკოთის საფულტეხილო საავტომობილო გეირაბით სარგებლობისათვის შემოსავალი	100		
2.28.7	შემოსავალი შემოწირულებებიდან და ქველმოქმედებიდან:			
2.28.7.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა ობიექტებზე	100		
2.28.7.2	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა ობიექტებზე		100	
2.28.7.3	– აღგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ობიექტებზე			100
2.28.8	ამოღებულია (29.12.2006 N 4303)	100		
2.28.9	1-პროცენტიანი ერთჯერადი გადასახადი დაფარული ქონების ლეგალიზებამდე	100		
2.28.10	სხვა არასაგადასახადო შემოსავალი, გადახდეთინებული:			
2.28.10.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
2.28.10.2	– ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
2.28.10.3	– აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
3.	შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან			
3.1	შემოსავლები სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან:			
3.1.1	– საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქონების გაყიდვიდან	100		
3.1.2	სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან, რომელიც:			
3.1.2.1	განლაგებულია ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	65	35	
3.1.2.2	განლაგებულია აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	65		35
3.1.2.3	აღგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების აღგილობრივი თვითმმართველობისა) სარგებლობაშია			100
3.2	შემოსავლები ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვიდან	35	65	
3.3	შემოსავლები აღგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვიდან			100

3.4	შემოსავლები სახელმწიფო მარაგების გაყიდვიდან	100		
3.5	შემოსავლები მიწის გაყიდვიდან			
3.5.1	– შემოსავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია:			
3.5.1.1	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	50	50	
3.5.1.2	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	50		50
3.5.2	_ შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		100	
3.5.3	_ შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან			100
3.5.4	_ შემოსავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია:			100
3.5.4.1	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე	20	80	
3.5.4.2	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	20		80
3.5.5	_ შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		100	
3.5.6.	– შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან			100
3.6	შემოსავლები არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან, გადახდევინებული:			
3.6.1	_ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
3.6.2	_ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
3.6.3	_ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
3.7	შემოსავლები სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წილის გაყიდვიდან, გადახდევინებული:			
3.7.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
3.7.2	– ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
3.7.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100
3.8	სხვა შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან, გადახდევინებული:			
3.8.1	– ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100		
3.8.2	– ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100	
3.8.3	– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ			100

დანართი N2 ამოღებულია (29.12.2006 N4240)

საქართველოს კანონი

ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ

ეს კანონი, საქართველოს კონსტიტუციისა და "მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, განსაზღვრავს ადგილობრივი მოსაკრებლების სახეს, ოდენობას, შემოღების წესსა და მოსაკრებლების გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ადგილობრივი მოსაკრებლის ცნება (29.12.2006 N4241)

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

მუხლი 2. კანონმდებლობა ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ (29.12.2006 N4241)

საქართველოს კანონმდებლობა ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ შედგება „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონისაგან, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

თავი II

ადგილობრივი მოსაკრებლების სახეები, მათი შემოღებისა და გადახდევინების წესი (29.12.2006 N4241)

მუხლი 3. ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი (29.12.2006 N4241)

1. ამ კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

2. ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და ვრცელდება ყველა იქ მცხოვრებ ფიზიკურ და განლაგებულ იურიდიულ პირზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდევინება წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე. გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურს.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი მოსაკრებელი გადაიხდევინება მომსახურების მთლიანად ან მისი ნაწილის მიღების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით.

5. სახეების მიხედვით ადგილობრივი მოსაკრებლების დიფერენცირებულ ოდენობას, გადასდის პერიოდულობასა და ვადას ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო შესაბამისი გადაწყვეტილებით.

6. ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდევინება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

7. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ პირსახურს შეუძლია ადგილობრივი მოსაკრებლების ამოსაღებად შესაბამის იურიდიულ პირებთან გააფორმოს ხელშეკრულება.

მუხლი 4. შეღავათები ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე

1. შეღავათები ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე დგინდება ამ კანონით.

2. ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე საკრებულოს მიერ შეღავათების დადგენა (გადახდისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება) დაიმეება გაღამხდელია კატეგორიების მიხედვით.

3. დაუშვებელია ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე ინდივიდუალური სახის შეღავათების დადგენა.

მუხლი 5. ადგილობრივი მოსაკრებლები (29.12.2006 N4241)

1. ადგილობრივი სანებართეო მოსაკრებლები:

ა) მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთეული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის;

ბ) მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის.

2. ადგილობრივი საგენდერო მოსაკრებელი.

3. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

4. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი. (29.12.2006 N4253)

5. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის. (13.04.2007 N 4621)

მუხლი 6. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთეული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის (29.12.2006 N4241)

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთეული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

2. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთ ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – ხუთ ლარს.

3. საკრებულოს გადაწყვეტილებით მოსაკრებლის გადახდისაგან შეიძლება განთავისუფლდეს ან შეღავათი დაუწესდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობას.

მუხლი 7. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

მუხლი 8. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

მუხლი 9. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

მუხლი 10. მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის (29.12.2006 N4241)

1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

2. მოსაკრებლების დიფერენცირებულ ოდენობას სამგზავრო-საგრანსპორტო საშუალებათა კატეგორიებისა და მარშრუტების მიხედვით განსაზღვრავს საკრებულო.

3. საკრებულოს მიერ განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს ორას ლარს.

მუხლი 11. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

მუხლი 12. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

მუხლი 121. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის (24.07.2006 N3503)

1. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებლებას და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას.

2. მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს.

3. აპოღებულია (29.12.2006 N4241)

4. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 1,5 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

5. მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმომქმნელის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც.

6. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

მუხლი 122. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (13.04.2007 N 4621)

1. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომელიც განსაზღვრულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონით.

2. მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს.

3. მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$X = \frac{L}{K2}(K21 - K2)S$$

სადაც:

ა) X არის მოსაკრებლის ოდენობა;

ბ) L არის 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი;

გ) K21 არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტი;

დ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტი;

ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

4. მოსაკრებლის ოდენობა ნამატი სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს.

5. მოსაკრებელი გადაიხდევინება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.

მუხლი 13. სატენდერო მოსაკრებელი

1. ადგილობრივ სატენდერო მოსაკრებელს იხდის ის პრეტენდენტი, რომელიც ადგილობრივი

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას იღებს საგენდერო დოკუმენტაციას. (29.12.2006 N4241)

2. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

3. საკრებულოს მიერ დაწესებული საგენდერო მოსაკრებლის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 200 ლარს. (2006 წლის 1 იანვრიდან 20.04.2005 N 1389)

თავი III

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 14. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებულ სადავო საკითხთა გადაწყვეტის წესი

1. ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებულ დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს გადამხდელს ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდისაგან.

3. უკანონოდ ან კანონის დარღვევით შემოღებული ადგილობრივი მოსაკრებლების სახით გადახდილი თანხა გადამხდელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უბრუნდება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ერთი თვის ვადაში. (29.12.2006 N4241)

თავი IV

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 16. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

ამ კანონთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნეს:

ა) საქართველოს კანონი "საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

გ) საქართველოს კანონი "სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

დ) საქართველოს კანონი "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ".

მუხლი 17. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

მუხლი 171. ამოღებულია (29.12.2006 N4241)

თავი V

დასკვნითი დებულება

მუხლი 18. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. მოსაკრებლების გადამხდელებს უფლება მიეცეთ ამ კანონით დაწესებული და ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული ორგანოების მიერ შემოღებული 1998 წლის მოსაკრებლები გადაიხადონ 1999 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი,
1998 წლის 29 მაისი.
N 1401 - IIს

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (შემდგომში – თვითმმართველი ერთეული) ქონების კატეგორიებს, მისი შექმნის წესს და ქონებრივ უფლებებს, გარდა მიწისა და ბუნებრივი რესურსებისა, რომლებით სარგებლობა და რომელთა ფლობა და განკარგვა რეგულირდება საქართველოს სპეციალური კანონმდებლობით.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის და ქონებრივი უფლებების სამართლებრივი საფუძვლები

თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის და ქონებრივი უფლებების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 2. თვითმმართველი ერთეულის ქონება

1. თვითმმართველი ერთეულის ქონებას განეკუთვნება ქონება, რომელსაც თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფო, ან რომელსაც თვითმმართველი ერთეული შექმნის ან შეიძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონება იყოფა ორ კატეგორიად – ძირითად (განუსხვისებელ) და დამატებით ქონებად.

3. თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ქონების გასხვისება დაუშვებელია, გარდა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონით დადგენილი შემთხვევისა.

4. თვითმმართველი ერთეულის დამატებითი ქონების გასხვისება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. თვითმმართველ ერთეულს ამ კანონით საკუთრებაში გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სახის ძირითადი ქონება: გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. *(23.06.2006 N 3391)*

მუხლი 3. თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლება

1. თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. თვითმმართველი ერთეული ქონებაზე საკუთრების უფლების განხორციელებისას დამოუკიდებელია.

3. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩარევა თვითმმართველი ერთეულის ქონებრივი უფლებების საკითხებში დაუშვებელია, გარდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შემთხვევებისა.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებულნი არიან დაიცვან თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.

5. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ ან რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესების დაცვა.

6. სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემული ქონების მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

თავი II. თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნა

მუხლი 4. თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის წყაროები

თვითმმართველი ერთეულის ქონება იქმნება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის საფუძველზე:

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემით;

ბ) საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით;

გ) იმ ხდომილებათა შედეგად, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობა უკავშირებს სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების წარმოშობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების შექმნით ან შეძენით.

მუხლი 5. ქონების თვითმმართველობის ერთეულისათვის გადაცემის წესი

1. სახელმწიფო თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციების შემდეგ, ამ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად გადასცემს მას ქონებას, რომელიც საჭიროა თვითმმართველობის ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება თვითმმართველ ერთეულს უსასყიდლოდ გადაეცემა საკუთრებაში.

მუხლი 6. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თვითმმართველი ერთეულისათვის საკუთრებაში გადაცემის პროცედურები

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი ობიექტებისა, თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს თხოვნის საფუძველზე. *(23.06.2006 N 3391)*

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოდგენილ თხოვნაზე იღებს დასაბუთებულ, დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს თხოვნის წარმომდგენს მისი წარმოდგენიდან 3 თვეში. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. თუ მთავრობა 6 თვის განმავლობაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, თხოვნაში აღნიშნული ქონება ჩაითვლება თვითმმართველი ერთეულისათვის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად.

3. თუ ქონება მომსახურებას უწევს ერთზე მეტ თვითმმართველ ერთეულს, იგი საკუთრებაში გადაეცემა იმ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს ან რეგისტრირებულია. ქონების გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს ყველა თვითმმართველი ერთეული, რომელიც გამოიყენებს ასეთ ქონებას.

მუხლი 7. სამართალმემკვიდრეობა

თვითმმართველ ერთეულზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში გადაცემასთან ერთად გადადის ამ ქონებასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან ქონების გადაცემის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. თვითმმართველი ერთეულის ქონების რეგისტრაცია

1. თვითმმართველი ერთეულის ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრირდება ამ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული პროცედურების დასრულებიდან 60 დღის განმაელობაში. *(23.06.2006 N 3391)*

2. საჯარო რეესტრში შეტანილი მონაცემები, ცვლილებები და შესწორებები საჯაროა და უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 9. თვითმმართველი ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გადაცემული ქონება

1. სახელმწიფო თვითმმართველობის ერთეულს ანიჭებს უფლებას, ისარგებლოს სახელმწიფო ქონებით, რომელიც საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სარგებლობის უფლებით გადასაცემი შესაბამისი ქონების განსაზღვრა და სარგებლობის უფლების მინიჭება სდება საქართველოს კანონმდებლობისა და დელეგირებული უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

2. თვითმმართველი ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გადაცემული ქონება რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და თვითმმართველ ერთეულს ასეთი ქონებით სარგებლობის უფლება აქვს.

3. თვითმმართველი ერთეულის მიერ ასეთი ქონებით სარგებლობის პირობები განისაზღვრება ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებით.

თავი III. თვითმმართველი ერთეულის მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების წესი

მუხლი 10. თვითმმართველი ერთეულის მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. თვითმმართველი ერთეულის ორგანოები თვითმმართველი ერთეულის სახელით ახორციელებენ ქონებრივ უფლებებს.

2. თვითმმართველი ერთეულის ქონება შეიძლება მდებარეობდეს როგორც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

3. თვითმმართველი ერთეულის ორგანოები თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაუშვებელია თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ქონების გამოყენება კრედიტორთა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11. თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების სახეობების განსაზღვრის წესი

თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების სახეობების ნუსხა მტკიცდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 12. თვითმმართველი ერთეულის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი

თვითმმართველი ერთეული მის საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ქონების გასხვისების წესი

1. ძირითადი ქონების გასხვისება შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს დადგენილებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი ქონების შექმნით ან შეძენით არსებულმა ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება.

2. ძირითადი ქონების გასხვისებისათვის გამგებელი (მერი) ამზადებს დასაბუთებულ წინადადებას და წარუდგენს საკრებულოს ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად.

3. ძირითადი ქონების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო წევრთა ხმების 2/3-ით.

მუხლი 14. თვითმმართველი ერთეულის დამატებითი ქონების გასხვისების წესი

1. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს გაასხვისოს საკუთარი დამატებითი ქონება კონკურსის, აუქციონის და იჯარა-გამოსყიდვის ფორმით.

2. დამატებითი ქონების გასხვისებისა და გასხვისების შესაბამისი ფორმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო.

3. დამატებითი ქონების გასხვისების, ქონების საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 15. თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე ქონებრივი უფლებების განხორციელების შედეგად შემოსული თანხების მიმართვა

თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე ქონებრივი უფლებების განხორციელების შედეგად შემოსული თანხები მთლიანად ირიცხება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

მუხლი 16. თვითმმართველი ერთეულის მიერ ქონების გასხვისების შესახებ გარიგებათა გაფორმების წესი

1. თვითმმართველი ერთეულის მიერ ქონების კონკურსის და აუქციონის ფორმით გასხვისებისას გამყიდველსა და მყიდველს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იდება ნასყიდობის ხელშეკრულება, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გასხვისებისას კი – საიჯარო ხელშეკრულება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ფორმით უძრავი ნივთის გასხვისებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის შემდეგ.

3. მყიდველი ხდება შეძენილი ქონების სამართალმემკვიდრე.

მუხლი 17. თვითმმართველი ერთეულის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ გარიგებათა ბათილობა

1. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ ან რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, განმარტება თვითმმართველი ერთეულის მიერ ქონების განკარგვის მართებულობასთან დაკავშირებით.

2. თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს, ასევე გარიგებათა ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.

3. გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

მუხლი 18. საკრებულოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფეროში

საკრებულოს უფლებამოსილებას თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფერომი განეკუთვნება:

ა) ძირითადი ქონების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების (დადგენილების) მიღება;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ქონებით სარგებლობის, ქონების ფლობისა და განკარგვის ერთიანი გეგმის პროექტის განხილვა და დამტკიცება;

გ) თვითმმართველი ერთეულის ქონებით სარგებლობის, ქონების ფლობისა და განკარგვის წესების დადგენა;

დ) თვითმმართველი ერთეულის გასასხვისებელი ქონების ობიექტების ნუსხის პროექტის განხილვა და დამტკიცება;

ე) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თვითმმართველი ერთეულის ქონებით სარგებლობის უფლების მინიჭების დამტკიცება და ამ ქონებით სარგებლობის წესებისა და პირობების დადგენა, რომელთა დაცვა საეალდებულოა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 19. გამგეობის (მთავრობის) უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფეროში

გამგეობის (მთავრობის) უფლებამოსილებას თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის სფერომი განეკუთვნება:

ა) ძირითადი ქონების გასხვისების შესახებ წინადადების მომზადება;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ქონებით სარგებლობის, ქონების ფლობისა და განკარგვის ერთიანი გეგმის პროექტის შედგენა და დამტკიცებული გეგმის შესრულების უზრუნველყოფა;

გ) თვითმმართველი ერთეულის ქონების მოვლა-პატრონობა, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და აღდგენა;

დ) თვითმმართველი ერთეულის გასასხვისებელი ქონების ობიექტების ნუსხის პროექტის შედგენა;

ე) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის გადაცემული თვითმმართველი ერთეულის ქონების გამოყენებასა და ამ ქონებით სარგებლობის წესებისა და პირობების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

თავი IV. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 20. გარდამავალი დებულებანი

1. თვითმმართველი ერთეულისთვის, გარდა იმ ქალაქებისა, რომლებიც 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ შედიან რაიონის შემადგენლობაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს ამ კანონით დადგენილი წესით, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარების შემდეგ. *(23.06.2006 N 3391)*

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს: *(23.06.2006 N 3391)*

ა) საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს N687 ბრძანებულებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობების ნუსხით" დადგენილი ობიექტების, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი ობიექტებისა, ინვენტარიზაცია, მათი იმ ქალაქებისთვის, რომლებიც 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ შედიან რაიონის შემადგენლობაში, საკუთრებაში გადასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტების ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემა;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს N687 ბრძანებულებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობების ნუსხით" დადგენილი ობიექტების, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი ობიექტებისა, ინვენტარიზაცია და მათი მუნიციპალიტეტებისათვის საკუთრებაში გადასაცემად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარებამდე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 მაისის N334 ბრძანებულება.

მუხლი 21. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

თბილისი,
2005 წლის 25 მარტი.
N 1190 - Ib

საქართველოს კანონი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

1. ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, აუდიტის, ზედამხედველობის, ანგარიშგების, შეფასებისა და კონტროლის წესს, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებს.

2. ამ კანონის მიზანია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ურთიერთობების მოწესრიგება და ამ მიმართებით საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ძირითადი საფინანსო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების შეფასება – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისა და ბიუჯეტის შესრულებიდან გამომდინარე მიღებული სოციალური შედეგების და ხარჯების ეფექტიანობის შეფასება;

გ) გამოთანაბრებითი ტრანსფერი – ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კანონით განსაზღვრული ფორმულით, ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები – შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში მოცემულ განმარტებებს;

ე) მიზნობრივი ტრანსფერი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები; *(29.12.2006 N 4239)*

ვ) საბიუჯეტო განაცხადი, საბიუჯეტო პროცესი, ბიუჯეტის ყოველისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა და უნივერსალობა – შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში მოცემულ განმარტებებს;

ზ) სარეზერვო ფონდი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრები;

თ) სპეციალური ტრანსფერი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე კონკრეტული კაპიტალური და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები. *(29.12.2006 N 4239)*

მუხლი 3. სამართლებრივი საფუძვლები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ", „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ", „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონების, ამ კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. ეს კანონი ვრცელდება აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე.

3. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი განისაზღვრება „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ნაწილია და იცავს საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ბიუჯეტის ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობისა და უნივერსალობის პრინციპებს.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ურთიერთობა სხვა ბიუჯეტებთან განისაზღვრება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით და ამ კანონით.

მუხლი 5. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ურთიერთობა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში შემავალ სხვა ბიუჯეტებთან უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამოყენებით, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემის აუცილებლობით, საბიუჯეტო პროცესის დადგენილი პრინციპებით, ფულადი სისტემის ერთიანობით, ერთიანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით.

მუხლი 6. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის, ისე საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისაგან.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია: კანონით განსაზღვრული საკუთარი შემოსულობებითა და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ხარჯების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით; აგრეთვე დელეგირებულ უფლებამოსილებათა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

4. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

მუხლი 7. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრება

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების უზრუნველსაყოფად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ფინანსური დახმარება.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა დგინდება ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრის ფორმულით.

მუხლი 8. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაბალანსება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები უნდა იყოს დაბალანსებული.

თავი II

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები

მუხლი 9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებია:

ა) ადგილობრივი გადასახადები;

ბ) ადგილობრივი მოსაკრებლები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსავლები;

გ) კაპიტალური შემოსავლები;

დ) გამოთანაბრებითი ტრანსფერი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები;

ვ) გრანტი;

ზ) სესხი.

მუხლი 10. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარი სახსრები *(29.12.2006 N 4239)*

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარი სახსრებია:

ა) მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები;

ბ) სუბსიდია, სუბვენცია;

გ) დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის მიღებული გრანტი;

დ) დონორებისაგან მიღებული მიზნობრივი შემოსულობები;

ე) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის განკუთვნილი საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოსულობები გამოიყენება ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებლად, გარდა ამ კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა, რომელიც მათ მიმართავს როგორც დელეგირებული, ისე ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 11. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ექსკლუზიური, ასევე ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი პროგრამების და ხარჯების მიმართულებებს, აგრეთვე მათ ოდენობებს.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელებია:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე ხარჯები – ხელფასები, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯები, დახმარებები, მიმდინარე ტრანსფერები, სუბსიდიები, პროცენტის დაფარვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა მიმდინარე ხარჯები;

ა.ბ) კაპიტალური ხარჯები – კაპიტალური აქტივების შეძენა, კაპიტალური ტრანსფერები, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა კაპიტალური ხარჯები და ვალის მომსახურების ხარჯები;

ბ) დაკრედიტება, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა;

გ) ვალის ამორტიზაცია – სესხის ძირითადი თანხის დაფარვა.

3. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის განკუთვნილი ხარჯები განისაზღვრება კანონის თანახმად ან დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი III

საბიუჯეტო პროცესი

მუხლი 12. საბიუჯეტო პროცესი

1. საბიუჯეტო პროცესი იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 10 თვით ადრე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებით და მთავრდება 2 წლის შემდეგ – ახალი საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის 1 მარტს – ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადებით და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის წარდგენით. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა და დამტკიცება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 1 მაისისა.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების პროექტების მომზადება და წარდგენა, ბიუჯეტის შესრულება და მისი ანგარიშგების პროექტის შედგენა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციაა.

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარდგენილ ცვლილებათა და დამატებათა შეტანა, ამ ბიუჯეტის შესრულების კონტროლი, შეფასება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციაა.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ფორმით და დადგენილ ვადებში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები წარუდგენენ მას ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარუდგენენ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წლის დაწყებამდე აცნობებს საგადასახადო შემოსავლების ყოველკვარტალურ გეგმებს.

მუხლი 13. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით, ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება ხდება დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. ამ ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები. *(29.12.2006 N 4239)*

3. შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების დასადგენად მზადდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ყველა შემოსულობისა და გადასახდელის დასაბუთებული განგარიშებები. ამასთანავე, ბიუჯეტის გადასახდელების ფორმირება ხდება შემოსულობების პროგნოზის გათვალისწინებით.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ მხარჯავ დაწესებულებას უწესებს კონკრეტულ ვადებს საბიუჯეტო განაცხადის

წარსადგენად ამ ორგანოების მიერ მომზადებულ საბიუჯეტო ცირკულარში მითითებული ძირითადი პარამეტრების შესაბამისად. საბიუჯეტო ცირკულარი მოიცავს ინფორმაციას თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიხედვით სამტგატო რიცხოვნობისა და ხარჯების ზღვრული მოცულობის შესახებ, რომელსაც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

5. მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული საბიუჯეტო წლის ფაქტობრივ და მიმდინარე წლის მოსალოდნელ შემოსულობებსა და გადასახდელებს, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლების შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზებს, მათ შორის, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად მიმდინარე, კაპიტალურ და პროგრამულ ხარჯებს;

ბ) შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების დასაბუთებას;

გ) საბიუჯეტო განაცხადს, რომელიც შეიცავს მომავალ ვალდებულებებს ან მრავალწლიან გადასახდელებს, საინვესტიციო და დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებიც წარდგენილი უნდა იქნეს თითოეული წლისათვის ცალკე საგარაუდო ხარჯთაღრიცხვით;

დ) მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული ან მისაღები გრანტების მოცულობას;

ე) წინა წლებში აღებული ვალდებულებების მომსახურების ხარჯებს.

6. დაუშვებელია ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა სამტგატო რიცხოვნობისა და ხარჯების ზღვრული მოცულობის გადამეტებით.

7. ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და ბიუჯეტის დაბალანსების წინადადებებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები წარუდგენენ შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოებს.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობების განხილვის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების პარამეტრების შესახებ ახალი საბიუჯეტო წლისათვის. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავდება ბიუჯეტის პროექტი შემოსულობების წყაროებისა და გადასახდელების სახეობათა მიხედვით.

9. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები საბაზისო წლის 15 ივნისამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოთანაბრებითი ტრანსფერის გასაანგარიშებლად წარუდგენენ შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთანხმებულ და ამ კანონით დამტკიცებული გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრის ფორმულით გათვალისწინებულ ძირითად მონაცემებს.

10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად საბაზისო წლის 15 აგვისტომდე იხილავს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად მონაცემებს.

11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საბაზისო წლის 20 სექტემბრამდე აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების მოცულობას და მისი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. *(29.12.2006 N 4239)*

12. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები აზუსტებენ სათანადო ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 45 დღისა დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოებს. ბიუჯეტის პროექტი განხილვის დაწყებამდე 1 თვით ადრე მაინც უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ახალი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

13. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებაში აისახება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საერთო მოცულობა შემოსავლის ძირითადი წყაროებისა და ხარჯების მიმართულებების, ასევე შემოსავლის ყოველი სახეობის, თითოეული მხარჯავი დაწესებულების და ღონისძიებების მიხედვით ფუნქციონალური და ეკონომიკური საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) სარეზერვო ფონდის მოცულობა;

ვ) წლის დასაწყისისათვის არსებული გამოუყენებელი ასასრების, მათ შორის, გარდამავალი საბრუნავი საშუალებების, მოცულობა;

ზ) წლის დასაწყისისათვის არსებული ვალდებულების დაფარვისა და მომსახურების ასიგნების მოცულობა.

14. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები არ დაამტკიცებენ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს, აღმასრულებელი ორგანოები ამ გადაწყვეტილებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენენ შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოებს ბიუჯეტის პროექტის ახალ ვარიანტს.

15. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ამტკიცებენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს ყოველი კალენდარული წლისათვის, მაგრამ შესაბამისი წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

16. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს უფლება აქვთ აღრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი გადასახდელები გასწიონ ახალ საბიუჯეტო წელს, ყოველ თვეში არა უმეტეს წინა წლის ასიგნების 1/12-ის ოდენობით.

მუხლი 14. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად შეიძლება შეიქმნას სარეზერვო ფონდი წლიური ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების საერთო მოცულობის არა უმეტეს 2 პროცენტისა, რომელსაც განკარგავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 15. მიზნობრივი ტრანსფერის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახალი საბიუჯეტო წლის წინა წლის 15 მაისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს დელეგირებული უფლებამოსილებების სახეებს, ღონისძიებებს, მომსახურების მოცულობებს და მიზნობრივი ტრანსფერის ძირითად პარამეტრებს.

2. საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს მიმდინარე წლის 1 ივნისამდე. მათ იხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო და განხილვის შედეგების გათვალისწინებით სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის მზადდება ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების თაობაზე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებს და დელეგირების ხელშეკრულების პროექტებს განსახილველად წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.

5. ავტონომიურ რესპუბლიკაში მიზნობრივი ტრანსფერის, სუბსიდიისა და სუბვენციის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინებისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო.

მუხლი 16. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულება

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნების შესახებ.

3. მხარჯავი დაწესებულება პასუხისმგებელია ასიგნების შესაბამისად ხარჯების გაწევაზე.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ყველა შემოსულობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ დეპონირებას ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე.

5. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და კაპიტალური შემოსავლების მობილიზებას – თვითმმართველი ერთეულის სამსახურები.

6. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად), საბანკო დაწესებულების მეშვეობით; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით სახელმწიფო ხაზინა მას უწევს ტექნიკურ მომსახურებას.

7. რომელიმე მხარჯავი დაწესებულებიდან ერთ ან რამდენიმე მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად გადაანაწილოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნება ერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის წლიური ბიუჯეტით ამ ორგანიზაციისათვის დამტკიცებული ასიგნების 10 პროცენტის ფარგლებში.

9. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში წლის განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა თვითმმართველი ერთეულის ან ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობას საჯაღდებულო წესით იხილავს 1 თვის განმავლობაში და იძლევა შესაბამის დასკვნას.

მუხლი 17. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინადადების საფუძველზე ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებზე ან გადასახდელებზე, აუცილებელია დამტკიცებულ ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

3. წლის პირველი კვარტალის ყოველი შემდგომი თვის (საბარდი ჯამით) შედეგების გასხილვისას, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების 10 პროცენტის ან მეტის შეუსრულებლობის ან გადაჭარბების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა წარუდგინოს ბიუჯეტში ცვლილების პროექტი.

თავი IV

გამოთანაბრებითი ტრანსფერი

მუხლი 18. გამოთანაბრებითი ტრანსფერის მიზანი

1. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გამოთანაბრებითი ტრანსფერი.

2. გამოთანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გამოთანაბრება.

3. გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. გამოთანაბრებითი ტრანსფერი უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაბალი შემოსულობების გამოთანაბრებას ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლამდე. *(29.12.2006 N 4239)*

5. ქალაქი თბილისი, სპეციფიკური უფლებამოსილებების გათვალისწინებით, გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს.

მუხლი 19. გამოთანაბრებითი ტრანსფერი

1. სახელმწიფო ბიუჯეტში ცენტრალური ხელისუფლება ყოველწლიურად გამოყოფს გამოთანაბრებით ტრანსფერს.

2. გამოთანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა გამოიანგარიშება ამ კანონით განსაზღვრული წესით და ფორმულის მეშვეობით.

მუხლი 20. გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების კრიტერიუმები

გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების კრიტერიუმებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების პოტენციური მოცულობა, მათ შორის, ერთ სულ მოსახლეზე;

ბ) საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების საკუთარი შემოსულობების პოტენციური მოცულობა, მათ შორის, ერთ სულ მოსახლეზე;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნობა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით;

დ) საქართველოს ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნობა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით.

მუხლი 21. გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესი

1. გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით, გარდა ქალაქ თბილისისა.

2. განისაზღვრება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიხედვით პოტენციური შემოსულობები ერთ სულ მოსახლეზე.

3. განისაზღვრება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების მიხედვით საშუალო პოტენციური შემოსულობები ერთ სულ მოსახლეზე.

4. იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის შემოსულობები ერთ სულ მოსახლეზე აღემატება ქვეყანაში არსებულ ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს, გამოთანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა და იგი გაანგარიშების მომდევნო ეტაპზე არ მოსაწილეობს.

5. გაანგარიშების მეორე ეტაპზე გამოითვლება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების უკმარისობის ოდენობა, რომელიც მიიღება ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსულობასა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსულობას შორის მიღებული სხვაობის გამრავლებით მოცემული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შემასწორებელ კოეფიციენტებსა და მოსახლეობის რაოდენობაზე.

6. გამოთანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს მიღებული შემოსულობების უკმარისობის ოდენობის არანაკლებ 70 პროცენტს.

7. გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრის ფორმულაში გამოიყენება 2 შემასწორებელი კოეფიციენტი, მათ შორის:

ა) მაღალმთიანობის კოეფიციენტი (K_1), რომლის გამოსათვლელად აიღება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რაოდენობა და „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, ტერიტორიულ ერთეულებში დასახლებული მოსახლეობის რაოდენობა. ამ მონაცემების საფუძველზე პროცენტებში გამოითვლება მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წონა მოცემული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან, ხოლო მიღებული სიდიდე დიფერენცირდება მისი ზრდადობის მიხედვით;

ბ) მცირემოსახლეობიანი ტერიტორიული ერთეულის კოეფიციენტი (K_2), რომელიც განისაზღვრება მოსახლეობის სიმცირის მიხედვით. უპირატესობა ენიჭება მცირედ დასახლებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით გაანგარიშებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების უკმარისობის საერთო თანხის დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური დახმარება აღნიშნული თანხის არანაკლებ 70 პროცენტის ოდენობით.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემასწორებელ კოეფიციენტებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

10. საჭიროების შემთხვევაში ფორმულაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კოეფიციენტებიც, რომლებიც დადგინდება ყოველ წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

11. გამოთანაბრებითი ტრანსფერი ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს გადაეცემა ყოველთვიურად, წლიური მოცულობის 1/12-ის ოდენობით.

12. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოთანაბრებითი ტრანსფერი გამოიყოფა უპირატესი წესით.

მუხლი 22. გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრის ფორმულა

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$T_i=(R-R_i) \times P_i \times K \times 70\%$$

რომელშიც:

T_i – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გამოთანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა;

R – ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური საკუთარი პოტენციური შემოსულობები;

R_i – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე წლიური საკუთარი პოტენციური შემოსულობები;

P_i – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობა;

K – შემასწორებელი კოეფიციენტი, $K= K_1 \times K_2$;

K_1 – მაღალმთიანობის კოეფიციენტი;

K_2 – მცირემოსახლეობიანი ტერიტორიული ერთეულის კოეფიციენტი.

თავი V

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სესხი

მუხლი 23. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის აღების უფლება

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს შეუძლია აიღოს სესხი მხოლოდ საქართველოს მთავრობისაგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI

აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 24. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კონტროლი, აუდიტი, შეფასება და შესრულების ანგარიშის დამტკიცება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ახდენენ დამტკიცებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების შეფასებას კვარტალში ერთხელ მაინც.

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვისა განსახილველად წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განსხილვის დაწყებამდე 1 თვით ადრე მაინც უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში უნდა აისახოს:

ა) შემოსულობების შესრულება სახეობების მიხედვით, დაგეგმილთან შედარებით მეტობის ან ნაკლებობის მითითებით;

ბ) საბიუჯეტო პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების შედეგების ანალიზი მათში დასახულ ამოცანებთან მიმართებით; პროგრამებისა და ღონისძიებების რეალიზებისას გამოვლენილი დაგეგმვის ნაკლოვანებები;

გ) სარეზერვო ფონდის გამოყენების ანგარიში;

დ) სხვა მონაცემები, რომლებსაც ითვალისწინებს საკრებულოს დებულება (რეგლამენტი).

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ერთობლივად მიღებული (გამოცემული) შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ამტკიცებენ შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე შიდა აუდიტის განხორციელების პროცედურებს. შიდა აუდიტი ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უშუალო ზედამხედველობით.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან გამომდინარე, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით საჯაროდ ისმენს და აფასებს ბიუჯეტის შესრულებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი საბიუჯეტო წლისათვის.

7. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების ანგარიში ეგზავნება საქართველოს კონტროლის პალატას.

8. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

მუხლი 25. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კონტროლი საქართველოს კონტროლის პალატის მიერ

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გადაცემული მიზნობრივი ტრანსფერის, აგრეთვე სხვა ნებისმიერი დელეგირებული ფუნქციის განსახორციელებლად გადაცემული სახსრების გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.

თავი VII

დასკვნითი დებულება

მუხლი 26. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2006 წლის 24 მაისი.
N 3091Ს

საქართველოს კანონი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს.

2. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების გარდა.

3. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესს შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესაძლებელია გამოიყენონ მსოფლიო ბანკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები. (18.07.2006 N3481)

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა)სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში – შესყიდვა) – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით (თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული):

ა.ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;

ა.ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;

ა.გ) ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით;

ა.დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;

ა.ე) უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონი კოლიზიაში შედის შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, ან საგრანტო და საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრულია შესყიდვების განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული, ამ კანონისაგან განსხვავებული წესები);

ა.ე) სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;

ა.ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს პიუხელაად;

ა.თ) იმ საწარმოს სახსრებით, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაცია – ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი;

გ) შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო;

დ) შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები – არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე, ურთიერთშენაცვლებადი შესყიდვის ობიექტები;

ე) ლოტი – ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოცალკევებული შესყიდვის ობიექტი, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება. პრეტენდენტმა საგენდერო წინადადება შეიძლება წარადგინოს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე;

ვ) საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის საგანი (მათ შორის, ნედლეული, ნაკეთობა, მოწყობილობა, შენობა, ნაგებობა, წარმოების სხვა საშუალება, მოხმარების საგანი) როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე ელექტროენერგია, საქონლის მიწოდების თანამდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას;

ზ) სამშენებლო სამუშაო (შემდგომში – სამუშაო) – შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის, სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება-აშენება, აღჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანამდევი მომსახურება, როგორიცაა ბურღვა, გეოდეზიური საძუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კელევა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას;

თ) მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა. ამასთანავე, ამ კანონის მიზნებისათვის, ტერმინი „მომსახურება" მოიცავს იჯარას, ქირაგნობასა და ლიზინგს;

ი) პრეტენდენტი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გადაიხადა საგენდერო მოსაკრებელი;

კ) მიმწოდებელი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

ლ) გადაუდებელი აუცილებლობა – ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას, ან შეზღუდოს საწარმოს კონკურენტუნარიანობა;

მ) ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა – განსაკუთრებული სახის შესყიდვა, რომლის ობიექტია ინტელექტუალური და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება – მომსახურება სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში, მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მომსახურება ტელე- და რადიომაუწყებლობის სფეროში, მომსახურება არქიტექტურის, საინჟინრო გამოკვლევისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დარგების სფეროში, მმართველობითი მომსახურება, მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტები, საპროექტო სამუშაოები და სხვა საქმიანობის სახეები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალურ მომსახურებას;

ნ) ფასთა კოტირება – გამარტივებული საშუალება საქონლის, მომსახურებისა და მცირე სახის სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის დროსაც განმსაზღვრელია ფასის კრიტერიუმი.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ შესყიდვებზე:

ა) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე;

ბ) საჯარო სამართლის იმ იურიდიული პირების სახსრებით განსახორციელებელ შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად.

ვ) ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის შესყიდვებზე. (2.03.2006 N2719)

დ) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის სხვა სახელმწიფოში შენობისა და აეტოსატრანსპორტო სამუალების შესყიდვაზე; (26.12.2006 N 4095)

ე) საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს პრეზიდენტის ან/და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრებისა და ვიზიტების, ასევე საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ შესყიდვებზე. (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

მუხლი 4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (18.07.2006 N3481)

1. შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომლის თავმჯდომარესაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

2. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და მათ შესაბამისად შემუშავებული სააგენტოს დებულება.

3. სააგენტოს სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.(2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

4. სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა. (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

5. სააგენტო ფინანსდება:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით.

6. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) ამ კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე შესყიდვების სფერომი ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად; (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

გ) სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლო-მეთოდიკური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

დ) განხორციელებული შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება და სრულყოფა;

ე) შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;

ვ) პოტენციურ მიმწოდებელთა რეესტრის წარმოება (პოტენციურ მიმწოდებელთა რეესტრი იქმნება შემსყიდველთა საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით და იგი არავის არ ანიჭებს უპირატესობას);

ზ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებათა შესყიდვების სისტემაში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;

თ) შესყიდვების საჯაროობისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ანგარიშგებითი ინფორმაციის გამოქვეყნება, სპეციალური პერიოდული ბიულეტენის გამოცემა;

ი) შესყიდვების დროს წარმოქმნილი დავის ადმინისტრაციული წესით განხილვა;

კ) შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა.

მუხლი 5. სააგენტოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები

1. სააგენტოს თავმჯდომარე:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ნორმატიულ აქტებს (ბრძანებებს), რომელთა შესრულება სავალდებულოა შემსყიდველი ორგანიზაციებისა და შესყიდვების მონაწილე სხვა პირებისათვის;

ბ) შიდაორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს განკარგულებებს;

გ) აწესრიგებს სააგენტოს გამგებლობისთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) თვალყურს ადევნებს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, დადგენილი წესით აკონტროლებს თანამშრომელთა საქმიანობას;

ე) თაეისი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;

ვ) განკარგავს სააგენტოს სასსრებს და აკონტროლებს მათ გამოყენებას;

ზ) სააგენტოს გამგებლობისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე საქართველოს მთავრობას დადგენილი წესით წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად. (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

2. სააგენტოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით პასუხს აგებს სააგენტოს საქმიანობისთვის.

მუხლი 6. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო (18.07.2006 N3481)

1. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის, სააგენტოს მუშაობის საჯაროობისა და დემოკრატიული პრინციპებით მართვის მიზნით სააგენტოსთან იქმნება სამეთვალყურეო საბჭო 7 წევრის შემადგენლობით (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ჩათვლით), რომელთაც 4 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს მთავრობა. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სამეთვალყურეო საბჭო კომპლექტდება მწართველობისა და მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირებისაგან (საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები), ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებისაგან. სამეთვალყურეო საბჭო ფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე. (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

2. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო:

ა) თავის სხდომებზე განიხილავს სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოსაცემი ნორმატიული აქტების პროექტებს, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს და მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგებს;

ბ) შესყიდვებთან დაკავშირებით ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და თაეის სხდომებზე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, დაუბრკოლებლად წარმოადგინონ თაეიანთი ინტერესები;

გ) თავისი საქმიანობის შესახებ ადგენს წლიურ ანგარიშს და ყოველი მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენს საქართველოს მთავრობას. ანგარიში ხელმისაწედომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის; (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს შესყიდვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას და ამოწმებს მის სისწორეს.

3. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა საჯაროა და მისი გადაწყვეტილებები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამეთვალყურეო საბჭოში არსებული ინფორმაციის საიდუმლოობის დაცვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით.

მუხლი 7. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

ა) ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) ამ კანონით დადგენილი წესით მოახდინოს პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;

გ) ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

დ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით;

ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებამდე დაიცვას პრეტენდენტთა მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

გ) სააგენტოს წარუდგინოს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშები ამ კანონის 22-ე მუხლით დადგენილ ვადებში; (18.07.2006 N3481)

დ) საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისთანავე აუნაზღაუროს მიმწოდებლებს საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების ღირებულება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად შესყიდვის შეწყვეტის შემთხვევაში განახორციელოს ეს შესყიდვა მხოლოდ შეწყვეტილი პროცედურის გაგრძელების მეშვეობით;

ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა აცნობოს ეს გადაწყვეტილება და მისი საფუძველი სააგენტოსა და პრეტენდენტებს. ამასთანავე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, აგრეთვე აუნაზღაუროს მათ შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა საგენდერო მოსაკრებლისა.

3. პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები ეხება შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

ა) შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები, შესყიდვის ობიექტის მახასიათებლებისა და საეარაუდო ღირებულების დადგენის ჩათვლით;

ბ) საგენდერო კომისიის წევრების, შესყიდვის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სხვა პირების შერჩევა;

გ) ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების, საგენდერო დოკუმენტაციისა და სხვა მასალების მომზადება;

დ) საკვალიფიკაციო მონაცემებისა და საგენდერო წინადადებების განხილვა და შეფასება;

ე) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვა;

ვ) ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა;

ზ) შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

2. დაუშვებელია, შესყიდვისას მასში მონაწილეობის მსურველმა ან/და მონაწილე პირმა შემსყიდველ ორგანიზაციას (მის ხელმძღვანელს, თანამშრომელს) ან სახელმწიფო მართვის სტრუქტურებს და მათ წარმომადგენლებს მიმართოს თხოვნით შუამდგომლობის შესახებ, ან მოახდინოს მათზე პირდაპირი ან ფარული ზეგავლენა ნებისმიერი გზით, რათა მოიპოვოს მისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულების დადების უფლება.

3. დაუშვებელია, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის მომზადება, განხორციელება ან/და მასზე ზედამხედველობა დააკისროს პირს ან კონსულტანტად (ექსპერტად) მოიწვიოს პირი, თუ იგი:

ა) ფიზიკური პირია და არის შესყიდვის მონაწილე რომელიმე იურიდიული პირის ხელმძღვანელის, თანამშრომლის ან უშუალო მონაწილის ახლო ნათესავი;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მუშაობდა შესყიდვის მონაწილე ორგანიზაციაში;

გ) პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებულია ან ასეთი კავშირის დასამყარებლად მოლაპარაკებას აწარმოებს შესყიდვის მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან.

4. დაუშვებელია, შესყიდვაში მონაწილეობა მიიღონ იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ შესყიდვის მოსამზადებელ სამუშაოებში.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები აგრეთვე ერცელდება:

ა) ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მონაწილეებზე;

ბ) ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვის განხორციელების თაობაზე მოლაპარაკების მონაწილეებზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე სატენდერო კომისიის ყველა წევრი, მოწვეული კონსულტანტი (ექსპერტი) და შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა ის თანამშრომელი, რომელიც დაკავმირებულია ამ შესყიდვის განხორციელებასთან, ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ მისი მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

7. ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის დროს გასათვალისწინებელია, რომ:

ა) კონსულტანტმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა ან/და მისმა ფილიალმა) მონაწილეობა არ უნდა მიიღოს შესყიდვის ისეთ პროცედურებში, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ამ კონსულტანტის სხვა დავალებას;

ბ) კონსულტანტმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა) უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის პროფესიული, ობიექტური და მიუკერძოებელი რჩევის მიცემა ამ ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 9. შესყიდვების დაგეგმვა

1. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად. მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელების საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ან/და შესაბამისი ადგილობრივი საფინანსო ორგანოს თანხმობის მიღების შემდეგ უნდა შეუთანხმდეს სააგენტოს. მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად აისახება შესაბამისი საბიუჯეტო (საფინანსო) წლის შესყიდვების გეგმაში. (2.03.2007 N4408 ძალაშია 2007 წლის 1 მაისიდან)

2. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების წესი უნდა შეესაბამებოდეს „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონს, გარდა იმ საწარმოს მიერ განხორციელებული შესყიდვებისა, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო. (18.07.2006 N3481)

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ იგი ფინანსდება ერთი წყაროდან.

4. შესყიდვების წლიურ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს სააგენტოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ზ" და „ა.თ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვების განმახორციელებელი პირებისა, რომლებიც შესყიდვების წლიურ გეგმას სააგენტოს წარუდგენენ არა უგვიანეს 20 თებერვლისა.

5. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იქმნება (ფუძნდება), ანდა სახელმწიფო გარანტიით კრედიტი ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გრანტი ან კრედიტი გაიცემა კალენდარული წლის განმავლობაში, შესყიდვების წლიური გეგმა სააგენტოს წარედგინება შემსყიდველი ორგანიზაციის შექმნის (დაფუძნების) ან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ამოქმედების მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა.

6. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) შესყიდვის განსორციელების აუცილებლობა;

ბ) შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება და მათი ლოტებად დაყოფის შესაძლებლობა;

გ) მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება;

დ) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა (საქონელი, სამუშაო, მომსახურება), მათი ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა ხარისხი, ფუნქციონირება, უსაფრთხოება, ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და მარკირება, წარმოების მეთოდები და პროცესები, სიმბოლოები, ტერმინოლოგია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნები და ა. შ.), ასევე მიწოდების ვადები და ადგილი;

ე) პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;

ვ) შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები;

ზ) მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით;

თ) შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება;

ი) შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები;

კ) გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ან წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის;

ლ) დასადები ხელშეკრულების შესრულების სავარაუდო ვადები;

მ) შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

თავი II

შესყიდვის საშუალებები

მუხლი 10. შესყიდვის საშუალებები

1. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით.

2. ფასთა კოტირება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმ საქონლის ან მომსახურების (გარდა ინტელექტუალური მომსახურებისა) შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება საკლებია 50. 000 ლარზე, აგრეთვე იმ სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 120. 000 ლარზე. (18.07.2006 N3481)

3. შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, თუ:

ა) შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 20.000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 50.000 ლარს;

ბ)საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;

გ) არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, ამასთანავე, ასეთ შემთხვევებში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს;

დ) მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უბრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა იმავე მიმწოდებლისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველი მიწოდების ღირებულებას.

ე) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში მეუფერხებლად გატარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვების განხორციელება. (18.07.2006 N3481)

4. ერთ პირთან მოლაპარაკებისა და ფასთა კოტირების პროცედურებს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირი (პირები). (18.07.2006 N3481)

5. დაუშვებელია შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია ამ მუხლით. სამუშაოს შესყიდვისას ხელოვნურ დაყოფად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც შესყიდვის თითოეული ერთგვაროვანი ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 120.000 ლარს და თითოეული ამ ობიექტის შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით.

6. ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

თავი III

ტენდერი

მუხლი 11. სატენდერო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი

1. ტენდერს აგარებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, როცა შესაბამის კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისია შეიძლება შედგებოდეს 3 წევრისაგან.

2. სატენდერო კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები, ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. იმ შემთხვევაში, როცა შესაბამის კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისიის წევრებად შეიძლება დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც.

3. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

4. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის პრეტენდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ახლო ნათესავი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არსებული პრეტენდენტი იურიდიული პირის დამფუძნებელი ან წევრი, ანდა წევრი, რომელსაც აქვს წილი პრეტენდენტი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში.(14.12.2006 N3978)

5. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

6. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ამ ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება სატენდერო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

7. სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

მუხლი 12. განცხადება ტენდერის შესახებ

1. ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს:

ა) შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებებში;

ბ) ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე, უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, და ამ განცხადებას უგზავნის საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების საავარაუდო ღირებულება აღემატება 600.000 ლარს, ხოლო სამუშაოს საავარაუდო ღირებულება – 8.000.000 ლარს.

2. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები განცხადებას ტენდერის ჩატარების შესახებ აქვეყნებენ უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, ან/და ამ დიპლომატიური დაწესებულების ინტერნეტ-გვერდზე.

3. ტენდერის ჩატარებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, სატენდერო კომისია იყენებს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გავრცელების დამატებით საშუალებებს.

4. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტები;

ბ) შესასყიდი მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ხარისხი, მიწოდების ადგილი და ფორმა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სახეობა და შესრულების ან გაწევის ადგილი, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომელთა მითითებას შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროდ ჩათვლის შესყიდვის ობიექტის აღწერის მიზნით;

გ) შესასყიდი საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის სასურველი ან სავალდებულო ვადები;

დ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადა, ადგილი და ენა;

ე) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) სატენდერო დოკუმენტაციის გატანის წესი, ვადა, ადგილი და ენა; (18.07.2006 N3481)

ზ) სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი.

5. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას ამტკიცებს სატენდერო კომისია.

6. სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღისა. (18.07.2006 N3481)

7. სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ეს ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

8. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

მუხლი 13. საკვალიფიკაციო მონაცემები

მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისადმი წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი, არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

მუხლი 14. სატენდერო დოკუმენტაცია

1. სატენდერო კომისია სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებამდე.

2. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მოსაკრებლის არსებობის შემთხვევაში) სატენდერო კომისია პრეტენდენტის მოთხოვნისთანავე გადასცემს მას სატენდერო დოკუმენტაციას.

3. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ პრეტენდენტები შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) ინსტრუქციას პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შედგენის შესახებ;

გ) პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასების წესებსა და კრიტერიუმებს, ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის მითითებით;

დ) შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის სასურველ ან სავალდებულო ვადებს და ადგილს, აგრეთვე სხვა მონაცემებს, რომელთა მითითებას შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროდ ჩათვლის შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით;

ე) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის ალტერნატიულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, თუ ამას დაუშვებს შემსყიდველი ორგანიზაცია;

ვ) ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე;

ზ) მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება,

ის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების ვარდა სხვა ხარჯებს (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასასადები და სხვა);

თ) მითითებას იმ ვალუტის შესახებ, რომელშიც უნდა იყოს გაანგარიშებული საგენდერო წინადადების ღირებულება;

ი) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და საგენდერო წინადადებების წარდგენის ვადას, ადგილსა და ენას;

კ) პრეტენდენტების მიერ საგენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის სამუალებებსა და პროცედურას, სოლო ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში – აგრეთვე პრეტენდენტებთან მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობას;

ლ) პრეტენდენტთა საგენდერო წინადადებების კონვერტების გახსნის დროს, ადგილსა და წესს;

მ) საგენდერო კომისიის აპარატის იმ თანამდებობის პირთა ეინაობას და საკონტაქტო მისამართს, რომელთაც უფლება აქვთ იქონიონ კავშირი პრეტენდენტებთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ.

4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს. შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება.

5. საგენდერო კომისია პრეტენდენტის წერილობითი თხოვნით ან საკუთარი ინიციატიეით განმარტავს ან/და აზუსტებს საგენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის პროცედურებთან და ობიექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც ფორმდება საგენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ერთდროულად ეგზავნება ყველა პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და საგენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა. საგენდერო დოკუმენტაციის დამატება არ უნდა ცვლიდეს ამ დოკუმენტაციის შინაარსს.

მუხლი 15. პრეტენდენტთა საგენდერო წინადადებების წარდგენისა და განხილვის წესი

1. საგენდერო წინადადებები საგენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით. კონვერტები იხსნება ერთობლივად, პრეტენდენტთა თანდასწრებით, საგენდერო კომისიის სხდომაზე, საგენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე. კონვერტების გახსნის შემდეგ კომისია ადგენს საკვალიფიკაციო შერჩევის, საგენდერო წინადადებების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადებს.

2. პრეტენდენტებს უფლება აქვთ კონვერტების გასსნამდე ნებისმიერ დროს წერილობით გამოითხოვონ ან შეცვალონ საგენდერო წინადადება.

3. კონვერტების გახსნის შემდეგ, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს შერჩევა. შერჩევის მიზანია წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების, საგენდერო წინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების საგენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და საგენდერო წინადადება არ შეესაბამება საგენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, საგენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

4. საგენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი საგენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებითად არ ეწინააღმდეგება საგენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით გასსაზღვრულ მოთხოვნებს ან რომელთა გამოსწორება შესაძლებელია საგენდერო წინადადების შინაარსის შეუცვლელად.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს საგენდერო წინადადების დაზუსტების მოთხოვნით.

6. საგენდერო წინადადებები შეფასდება საგენდერო დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმების და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

7. სატენდერო კომისია გადაწყვეტილებას ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ იღებს კომისიის წევრთა მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შეფასების კრიტერიუმების და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით წარდგენილი წერილობითი დასკვნების საფუძველზე.

8. სატენდერო კომისიის წევრის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ის პრეტენდენტი, რომელსაც კომისიის წევრი ანიჭებს უპირატესობას, აგრეთვე უპირატესობის მინიჭების საფუძვლები.

9. პრეტენდენტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის დასკვნებით მიენიჭება უპირატესობა. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის დასკვნა.

10. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა დასკვნები. ოქმში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია სატენდერო წინადადებების განხილვაში მონაწილე პირებისა და პრეტენდენტების შესახებ, აგრეთვე მოკლედ უნდა იყოს აღწერილი პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებები.

11. პრეტენდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ტენდერის ჩაგარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი.

მუხლი 16. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის იდება ხელშეკრულება.

2. ამოღებულია (18.07.2006 N3481)

3. სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ამ სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

4. გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის ან მის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში სატენდერო კომისია მიმართავს ტენდერში მონაწილე დანარჩენ პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებათა ხელახალ განხილვაში მონაწილეობის თაობაზე. თუ არც ერთმა პრეტენდენტმა არ გამოთქვა თანხმობა სატენდერო წინადადებათა ხელახალ განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, ტარდება ახალი ტენდერი. თუ სატენდერო წინადადებათა ხელახალ განხილვაში მონაწილეობაზე თანხმობა გამოთქვა ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა, ხდება მათი სატენდერო წინადადებების ხელახალი განხილვა და შეფასება.

5. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ობიექტური მიზეზებით, ვერ დასრულდა სბიუჯეტო (საფინანსო) წლის ბოლომდე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გააგრძელოს ხელ-შეკრულების მოქმედების ვადა ამ სამუშაოს დასრულებამდე.

მუხლი 17. ხელახალი ტენდერი

1. თუ ტენდერის გამოცხადების შემდეგ არც ერთი საკვალიფიკაციო მონაცემი ან/და სატენდერო წინადადება არ იქნა წარდგენილი ან პრეტენდენტთა მიერ წარდგენილი არც ერთი საკვალიფიკაციო მონაცემი ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩაგარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, ან/და სატენდერო წინადადებათა ხელახალი განხილვისა და შეფასების პროცესში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, სატენდერო კომისია აგენს ახალ სატენდერო დოკუმენტაციას და აგარებს ხელახალ ტენდერს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შექმნას ახალი სატენდერო კომისია ან შეცვალოს მისი შემადგენლობა.

მუხლი 18. ტენდერის მიმდინარეობის დროს მოლაპარაკების გამართვის დაუშვებლობა

სატენდერო კომისიას უფლება არა აქვს გამართოს მოლაპარაკება ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებთან და პრეტენდენტებთან, გარდა ორეტაპიანი ტენდერის ჩაგარების შემთხვევისა.

მუხლი 19. სატენდერო მოსაკრებელი

1. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის წესდება სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით შესყიდვების განსორციელებისას სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაწესდეს ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი, რომლის განაკვეთიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთს.

მუხლი 20. ორეტაპიანი ტენდერი

1. ორეტაპიანი ტენდერი ტარდება იმ შემთხვევაში, როცა:

ა) შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ეკონომიკური და ტექნიკური პირობის წინასწარ განსაზღვრა და შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებთან მოლაპარაკება ტექნიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით;

ბ) შესყიდვის ობიექტია ინტელექტუალური მომსახურება.

2. ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტები წარადგენენ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და პირველად სატენდერო წინადადებებს ღირებულების მითითების გარეშე.

3. ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამართოს მოლაპარაკებები პრეტენდენტებთან პირველადი სატენდერო წინადადებების ნებისმიერი პირობის დაზუსტების და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით.

4. პირველადი სატენდერო წინადადების განხილვის შედეგად სატენდერო კომისია აგენს სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს და გადასცემს მას პრეტენდენტს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

5. დანარჩენ შემთხვევებში ორეტაპიანი ტენდერის ჩატარებისას გამოიყენება ამ კანონის მე-11–მე-19 მუხლებით დადგენილი წესები.

თავი IV (18.07.2006 N3481)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები და მათი გადასინჯვის წესი

მუხლი 21. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები და მათი გადასინჯვის წესი

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ან დაზღვევის მოთხოვნა.

3. ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ან დაზღვევის მოთხოვნა საჯალდებულოა, თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება;

ბ) ხელშეკრულების საერთო ღირებულება საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში აღემატება 200.000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 1.000.000 ლარს.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების აუცილებელ პირობებსა და გარანტირების მექანიზმისა და დაზღვევის მოთხოვნის გამოყენების წესს განსაზღვრავს შესაბამისი ნორმატიული აქტი.

5. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V

შესყიდვების მონიტორინგი და კონტროლი

მუხლი 22. შესყიდვის შესახებ ანგარიში

1. შესყიდვის პროცესი აისახება შესყიდვის შესახებ ანგარიშში, რომლის შედგენის, წარდგენისა და შენახვის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

2. ტენდერის ჩატარების შემთხვევაში შესყიდვის შესახებ ანგარიშს უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის სხდომების ოქმები, ტენდერში მონაწილე ექსპერტებისა და კონსულტანტების დასკვნები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტით.

3. შესყიდვის შესახებ ანგარიში წარედგინება სააგენტოს შემდეგ ვადებში:

ა) ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვისას –ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა;

ბ) ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვისას – თუ საქონლის ან მომსახურების ღირებულება აღემატება 50.000 ლარს, ხოლო სამუშაოს შესყიდვის ღირებულება – 120.000 ლარს, – ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა;

გ) 50.000 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონლის ან მომსახურების, ანდა 120.000 ლარზე ნაკლები სამუშაოს შესყიდვისას – ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 20 რიცხვისა;

დ) ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში – ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 20 რიცხვისა;

ე) ამოღებულია (18.07.2006 N3481)

4. შესყიდვის შესახებ ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო ამ ანგარიშების მოკლე მიმოხილვა რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებებში.

5. 2. 000. 000 ლარზე მეტი ღირებულების ობიექტის შესყიდვის შესახებ ანგარიშს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წერილობითი ფორმით წარუდგენს საქართველოს მთავრობას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან 20 დღის ვადაში. (18.07.2006 N3481)

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები ფინანსების სფეროში და ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველკვარტალურად მიაწოდონ სააგენტოს ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფაქტობრივად გამოყოფილი სახსრების შესახებ.

7. სააგენტო უფლებამოსილია შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციებსა და შესყიდვების მონაწილეებს შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია, ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით.

8. შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. (18.07.2006 N3481)

თავი VI

შესყიდვებთან დაკავშირებული ქმედების გასაჩივრებისა და დავის განხილვის წესი

მუხლი 23. გასაჩივრებისა და დავის განხილვის წესი

1. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ, პრეტენდენტ და მიმწოდებელ იურიდიულ და ფიზიკურ

პირებს შეუძლიათ გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საგენდერო კომისიის ქმედებები შემსყიდველ ორგანიზაციაში, სააგენტოში ან სასამართლოში, თუ მიაჩნიათ, რომ შესყიდვისას დარღვეა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა უფლებები.

2. ხელშეკრულების დადებამდე პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში პრეტენზიის მქონე პირს შეუძლია შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართოს თხოვნით, გადასინჯოს საგენდერო კომისიის ან შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილება ან/და განისილოს წარმოქმნილი დავა.

3. პრეტენზიის მქონე პირი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს შემსყიდველ ორგანიზაციას არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა იმ გარემოების შეგყობის ან იმ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, რომელმაც გამოიწვია პრეტენზია. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე იმ პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება ან შეიძლება შეეხოს წარმოქმნილი დავა.

4. ხელშეკრულების დადებამდე შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ და პრეტენდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შესყიდვასთან დაკავშირებული დავის განხილვის მიზნით შეუძლიათ მიმართონ სააგენტოს.

5. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ და პრეტენდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სააგენტოში საჩივრის შეგანა შეუძლიათ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საჩივართან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება მათ არ დააკმაყოფილებთ. (18.07.2006 N3481)

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა გამოაქვს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება და აცნობებს მას მომჩივანს და შემსყიდველ ორგანიზაციას.

7. თუ სააგენტოს მიერ საჩივრის და მასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად დადასტურდება საჩივრის სამართლიანობა, სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ ქმედებაზე და მოსთხოვოს შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა ან გაუქმება;

გ) ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შესყიდვის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასელის, აგრეთვე ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერი საჩივრის განხილვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო წესით.

9. გასაჩივრებას არ ექვემდებარება ქმედება, თუ პრეტენზია ეხება:

ა) ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შესყიდვის საშუალების შერჩევას;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიღებულია ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

10. საჩივარს უნდა ჰქონდეს სერიოზული საფუძველი და ახლდეს მომჩივნის დასაბუთებული განმარტება იმის შესახებ, რომ მისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იგი მნიშვნელოვნად დაზარალდება.

11. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში საჩივრის შეგანის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შეაჩეროს შესყიდვა საჩივრის განხილვის პროცედურების შესაბამისი ვადით. შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სააგენტოს გადაწყვეტილებით შესყიდვის შეჩერების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მისი საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.(18.07.2006 N3481)

12. შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ, პრეტენდენტ და მიმწოდებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ შემსყიდველი ორგანიზაციისა და სააგენტოს მიერ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები გაასაჩივრონ სასამართლო წესით. (18.07.2006 N3481)

13. გარალი, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული განხილვის შედეგად შეიძლება აუნაზღაურდეს მომჩივანს, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებით და არ უნდა ითვალისწინებდეს სავარაუდო მოგების ანაზღაურებას.

თავი VII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 24. ამ კანონის ამოქმედებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ამოღებულია (18.07.2006 N3481)

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ".

3. ამ კანონის მოქმედება 2008 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სექტორის საწარმოების მიერ იმ ქონების სარეაბილიტაციოდ ან შესაკეთებლად განსახორციელებელ შესყიდვებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ელექტროენერგიის წარმოებასთან, გადაცემასთან, დისპეტჩერიზაციასთან, განაწილებასთან, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებასთან, განაწილებასთან, აგრეთვე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის აღრიცხვიანობის მოწესრიგებასთან. (29.12.2006 N4333)

მუხლი 25. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 1998 წლის 9 დეკემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, B, 1998 წელი, მუს. 52);

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის B ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე".

მუხლი 26. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2005 წლის 20 აპრილი.
N 1388 –Iს

თავი VII
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნები

საქართველოს საარჩევნო კოდექსი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი (23.12.2005 N 2441)

ეს კანონი ადგენს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავის განხილვის წესს.

მუხლი 2. არჩევნების სამართლებრივი საფუძვლები *(23.12.2005 N 2441)*

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ეს კანონი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* არჩევნები – ამ კანონის მიზნებისთვის არჩევნები არის საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა საყოველთაო არჩევნებით;

ბ) პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე;

გ) მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით; *(23.12.2005 N 2441)*

დ) საარჩევნო უფლება – აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება;

ე) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* აქტიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში;

ვ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* პასიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად;

ზ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო რეგისტრაცია – შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ პარტიების, საარჩევნო ბლოკების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და კანდიდატთა რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით;

თ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო სუბიექტი – საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი;

ი) საარჩევნო აღმინისტრაცია – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;

კ) პარტია – „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მოქმედი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ;

ლ) საარჩევნო ბლოკი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 2 ან მეტი პარტიის გაერთიანება;

მ) წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

ნ) წინასაარჩევნო აგიტაცია – საქართველოს მოქალაქეებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ;

ო) საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული, პარტიის ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საქართველოს მოქალაქე;

პ) პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატი – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიულ სიაში შეყვანილი საქართველოს მოქალაქე;

ჟ) მაჟორიტარი კანდიდატი – საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული, პარტიის/საარჩევნო ბლოკის, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აგრეთვე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს მოქალაქე; *(23.12.2005 N 2441)*

ჟ[1]) ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი – ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების მაჟორიტარული წესით ასარჩევად; *(23.06.2006 N3400)*

ჟ[2]) მრავალმანდატიანი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი – საარჩევნო ოლქი, რომელიც იქმნება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს წევრების მაჟორიტარული წესით ასარჩევად; *(23.06.2006 N3400)*

რ) ამოღებულია *(23.12.2005 N 2441)*

ს) ამოღებულია *(23.12.2005 N 2441)*

ტ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საერთო არჩევნები – მორიგი ან რიგგარეშე საყოველთაო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის ასარჩევად, და რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს შესაბამისად ამ წარმომადგენლობითი ორგანოს ან თანამდებობის პირის ამ კანონით დადგენილ ყველა ამომრჩეველს;

უ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* მორიგი არჩევნები – საერთო არჩევნები, რომელიც იმართება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და სათანადო კანონებით დადგენილ ვადებში;

ფ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* რიგგარეშე არჩევნები – საერთო არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო;

ფ[1]) საარჩევნო ოლქი – საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიების სამოქმედო ტერიტორია/ტერიტორიები, რომელიც/რომლებიც განისაზღვრება აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით; *(23.06.2006 N3400)*

ქ) ამოღებულია *(23.12.2005 N 2414)*

ღ) ხელახალი არჩევნები – არჩევნები, რომლებიც მორიგი არჩევნებისათვის დადგენილი წესით ხელახლა ტარდება:

ღ.ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შემთხვევაში, თუ ისინი არჩატარებულად გამოცხადდა და კანონი აღარ ითვალისწინებს განმეორებითი კენჭისყრის გამართვის შესაძლებლობას;

ღ.ბ) ბოელ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემთხვევაში, თუ ისინი არჩატარებულად გამოცხადდა, ან შედგა, მაგრამ ასარჩევი პირი ვერ აირჩა და კანონი აღარ ითვალისწინებს არჩევნების მეორე ტურის გამართვის შესაძლებლობას;

ღ.გ) თუ არჩეულმა პირმა ამ კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს არ წარუდგინა სარკოლოგიური შემოწმების ცნობა და არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი ცესკოს მესაბამისი გადაწყვეტილებით;

ღ.დ) თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით; *(12.10.2004. N488)*

ყ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* განმეორებითი კენჭისყრა – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში (უბნებში), რომელშიც (რომლებშიც) ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი, ან მთელ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიხედვით, როდესაც მანდატი არც ერთ პარტიას/საარჩევნო ბლოკს არ მიეკუთვნა;

შ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* არჩევნების მეორე ტური – კენჭისყრა, რომელიც იმართება ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადებში, როდესაც არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა;

შ[1]) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* არჩევნების დასასრული – შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული არჩევნების საბოლოო შედეგების (არჩევნების მეორე ტურისა და განმეორებითი კენჭისყრის ჩათვლით) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების თარიღი;

შ[2]) არჩევნების დღე – საერთო ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე; *(23.12.2005 N 2414)*

შ[3]) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის დღე – არჩევნების ჩატარების, განმეორებითი კენჭისყრის ან არჩევნების მეორე ტურის გამართვის დღე;

ჩ) საარჩევნო დოკუმენტაცია – საარჩევნო კომისიებში შემოსული და საარჩევნო კომისიებიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები, საკონტროლო ფურცლები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველის ბარათები და სხვა დოკუმენტაცია; *(12.10.2004. N488)*

ჩ[1]) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საბუთების შეფუთვა – საბუთების იმგვარად შეკერა ან ყუთში ჩაწყობა, რომ შეკვრის/ყუთის დალუქვის შემდეგ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან/ყუთიდან რაიმეს ამოღება ან მასში რაიმეს ჩადება;

ჩ[2]) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ლუქი – საარჩევნო მოწყობილობის, საბუთების შესაფუთი ყუთის, საბუთების შეკერის, სარეგისტრაციო ჟურნალის, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის გახსნის ადგილებზე დაწებებული ქაღალდის ზოლი, რომელზედაც იწერება დალუქვის თარიღი და დრო და ხელს აწერენ ამ კანონით განსაზღვრული პირები;

ც) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო; საქართველოს დედაქალაქის – თბილისის, მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის საკრებულო; *(23.12.2005 N 2441)*

ძ) პარლამენტის მრავალმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი – საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი მრავალმანდატიანი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, რომელიც მოიცავს რამდენიმე საარჩევნო ოლქს; *(23.06.2006 N3400)*

წ) პოლიტიკური თანამდებობის პირი – ამ კანონის მიზნებისათვის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, აგრეთვე მინისტრის მოადგილე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 3[1]. ამ კანონით დადგენილი ვადების ათვლა *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ამ კანონით დადგენილი ყველა ვადა, მათ შორის, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე სასამართლოსთვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით).

2. გამოთქმაში „არჩევნებიდან N დღის ვადაში" ტერმინი „არჩევნებიდან" გულისხმობს დღეთა ათვლას არჩევნების დასასრულიდან.

3. გამოთქმები „მოცემული დღიდან N დღეში", „მოცემული დღიდან N დღის ეადაში", „მოცემული დღიდან არა უადრეს/არა უგვიანეს N დღისა", „მოცემული დღიდან არა უადრეს/არა უგვიანეს მე-N დღისა" გულისხმობს დღეთა ათვლას მითითებული დღის მომდევნო დღიდან.

4. გამოთქმები „მოცემულ დღემდე N დღით ადრე", „მოცემულ დღემდე არა უადრეს/არა უგვიანეს N დღისა", „მოცემულ დღემდე არა უადრეს/არა უგვიანეს მე-N დღისა" გულისხმობს დღეთა ათვლას უკან, მითითებული დღის წინა დღიდან.

მუხლი 4. არჩევნების ძირითადი პრინციპები

საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

მუხლი 5. საყოველთაო საარჩევნო უფლება*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ამ კანონით გათვალისწინებული არჩევნები საყოველთაოა:

ა) აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად ამ კანონით (მუხლები: 10, 56, 110) შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება;

ბ) პასიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად ამ კანონით (მუხლები: 73, 76, 78, 80, 92, 94, 98, 110) შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება.

მუხლი 6. თანასწორი საარჩევნო უფლება

1. არჩევნებში ამომრჩეველები თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

2. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყოველ ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.

მუხლი 7. პირდაპირი საარჩევნო უფლება

1. საქართველოში არჩევნები პირდაპირია.

2. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვით-მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრებს ამომრჩეველები ირჩევენ უშუალოდ. *(23.12.2005 N 2441)*

მუხლი 8. კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა

1. საქართველოში არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით.

2. აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველის ნების თავისუფალ გამოვლენას, და კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.

მუხლი 8[1]. არჩევნების საჯაროობა*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საარჩევნო პროცესი, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, არჩევნების მონაწილეთა დაფინანსების წყაროები და ოდენობა, არჩევნებისთვის გაწეული ხარჯი ღია და საჯაროა.

2. არჩევნების ღიად და საჯაროდ ჩატარება უზრუნველყოფილია საარჩევნო კანონმდებლობით.

მუხლი 8[2]. საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის გარანტიები*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. აკრძალულია ისეთი ნორმატიული აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველის ნების თავისუფალ გამოვლინებას ან არღვევს არჩევნების მონაწილეთა თანასწორობას. ასეთი ნორმატიული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ვადებში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოში.

3. საარჩევნო კანონმდებლობის დამრღვევ პირს ეკისრება ადმინისტრაციული ან სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 8³. არჩევნების დღის უქმე დღედ გამოცხადება *(23.06.2006 N3400)*

მორიგი არჩევნები, გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა, შეიძლება ჩატარდეს კვირის ნებისმიერ დღეს. არჩევნების დღე უქმე დღედ ცხადდება.

თავი II

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

მუხლი 9. ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი ფორმირების წესი *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

2. ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამომრჩეველის შემდეგი მონაცემები:

ა) გვარი, სახელი, *(12.10.2004. N488)*

ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

გ) რეგისტრაციის ადგილი (მუდმივი საცხოვრებლის მისამართი);

დ) საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; *(23.06.2006 N3400)*

ე) ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (იძულებით გადაადგილებული პირისთვის აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი; სხვა სახელმწიფოში მყოფი პირისთვის მიეთითება: „საკონსულო აღრიცხვაზეა" (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისა), ხოლო თუ ასეთი პირი არ დგას საკონსულო აღრიცხვაზე – „იმყოფება უცხოეთში"); *(23.06.2006 N3400)*

ვ) ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი. *(23.06.2006 N3400)*

3. ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. იძულებით გადაადგილებული პირები ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. *(22.04.2005 N 1427)*

4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერულ დამუშავებასა და მისი საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირისათვის – აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი) ინტერნეტში განთავსებაზე.

5. ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება: *(23.06.2006 N3400)*

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა, მათ შორის, იმ პირთა შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, აგრეთვე გარდაცვლილთა, წინასწარ პატიმრობაში და პატიმრობაში მყოფ პირთა შესახებ მონაცემების საფუძველზე;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ან/და მმართველობის ორგანოთა მონაცემების საფუძველზე;

გ) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ან/და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე;

დ) საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საგარეო დაზვერვის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების მიერ საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების იმ ვადიან და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე, რომელთა სამსახურის პირობები მოითხოვს მათ ცხოვრებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა დასახლებულ პუნქტს და იმავდროულად სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება;

ე) საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ იმ ამომრჩეველთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისა);

ვ) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ამომრჩეველთა რეგისტრაციის, აგრეთვე სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების საფუძველზე.

6. ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში მითითებული დაწესებულებები ყოველი წლის 1 თებერვალსა და 1 აგვისტოს საარჩევნო უფლების მქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს გადასცემენ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლებას. *(23.06.2006 N3400)*

7. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, ამ კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციასა და ამომრჩეველს უფლება აქვთ გაეცნონ საქართველოს ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ვერსიას (ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მის და მის ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა) და უბუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 23-ე დღისა, მოითხოვონ ამომრჩეველთა მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. მონაცემების გაცნობა და ასლის გაცემა ხდება საჯარო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. საარჩევნო ადმინისტრაცია ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს. შემოწმების შედეგებს განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. ამ კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და განკარგულების გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე, უნდა გადაეცეს განმცხადებელს. *(23.06.2006 N3400)*

9. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანის შესახებ 2 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

10. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-13 დღისა, უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში. *(23.06.2006 N3400)*

11. საუბნო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს მისი პირველი შეკრების დღისა გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა ერთიანი სიების, ბოლო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა – დაბუსტებული სიების საბოლოო ვერსიის 2 ეგზემპლარი (საარჩევნო კომისიისთვის და საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსიები). ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

11[1]. იმ ამომრჩეველის რეგისტრაციის საკითხს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების (პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების ცნობა) წარდგენის შემთხვევაში წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით. ამომრჩეველის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ. უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავს კენჭისყრის დღეს, მას რეგისტრაციაში აგარებს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს. *(23.06.2006 N3400)*

11². აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 12 დღის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის 11¹ პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, ხოლო არჩევნების დღემდე მე-19-დან მე-12 დღემდე ცვლილება შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. *(23.06.2006 N3400)*

12. ამოღებულია *(საკონსტიტუციო სასამართლოს 24. 12. 2005 N 1/1/257,268 გადაწყვეტილებით)*

13. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და შესაბამისი საარჩევნო კომისიები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მუხლი 9¹. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრა და გამოქვეყნება *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის (გარდა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნებისა), აგრეთვე რეფერენდუმისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება არჩევნების/რეფერენდუმის თარიღის გამოცხადებისას არსებული ბოლო ინფორმაციის შესაბამისი მდგომარეობით, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნებისთვის – ამ არჩევნების წლის 1 მარტისთვის არსებული ბოლო ინფორმაციის შესაბამისი მდგომარეობით.

2. საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს საერთო არჩევნების (გარდა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნებისა) ჩატარებისას, აგრეთვე რეფერენდუმის გამართვისას არჩევნების/რეფერენდუმის თარიღის გამოცხადებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების ჩატარებისას – არა უგვიანეს ამ არჩევნების წლის 10 მარტისა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში, ხოლო მომდევნო 10 დღეში საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას – აგრეთვე ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში) და მის ყოველ საარჩევნო უბანში. *(23.06.2006 N3400)*

3. ამოღებულია *(23. 12.2005 N 2414)*

4. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის საერთო არჩევნების ჩატარებისას, აგრეთვე რეფერენდუმის გამართვისას არჩევნების/რეფერენდუმის დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას საქართველოში და საქართველოს ყოველ საარჩევნო ოლქში, ხოლო იმავე ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში და მის ყოველ საარჩევნო უბანში. *(23.06.2006 N3400)*

5. ამოღებულია *(23.12.2005 N 2414)*

6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებისას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ინტერნეტით აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქებში, რომლებიც არ შეიცავენ ადგილობრივ საარჩევნო ოლქებს, და ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებებით იმავე ვადაში აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში, თუ იგი არ შეიცავს ადგილობრივ საარჩევნო ოლქებს, ან საარჩევნო ოლქის ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში, აგრეთვე ყოველ საარჩევნო უბანში.

მუხლი 10. ამომრჩეველთა სპეციალური სია *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ (სიაში შეაქვთ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემები):

ა) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (ისინი სიაში შეჰყავთ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბანში); *(12.10.2004. N488)*

ბ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამკურნალოდ წყანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში;

გ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან;

g^1) საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები; *(12.10.2004. N488)*

დ) კენჭისყრის დღეს ნაოსნობაში მყოფი ამომრჩეველები (ისინი სიაში შეჰყავთ გემის მიწერის ნავსადგურის მიხედვით);

ე) კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩეველები, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან, აგრეთვე ამომრჩეველები, რომლებიც არ დგანან საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაიელიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

ვ) ამ კანონის მე-9 მუხლის 11^1 პუნქტით განსაზღვრული პირები. *(23.06.2006 N3400)*

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. *(12.10.2004. N488)*

3. ამ მუხლის პირეელი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. *(12.10.2004. N488)*

4. ამ მუხლის პირეელი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. *(12.10.2004. N488)*

4^1. ამ მუხლის პირეელი პუნქტის „g^1" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაური და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. *(12.10.2004. N488)*

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი გემის კაპიტანი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-15 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა სიას ადგენს შესაბამისი საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-20 დღისა გადასცემს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 21-ე დღისა, ამომრჩეველი თავისუფლდება საკონსულო აღრიცხვისთვის დაწესებული საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან.

7. სპეციალურ სიაში შეტანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი ხელმოწერით.

8. ამ მუხლის მე-2–მე-6 პუნქტებში აღნიშნულ პირთა, აგრეთვე საკუთარი მონაცემების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა ადგენს, განკარგულებით ამტკიცებს სპეციალურ სიებს და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. *(23.06.2006 N3400)*

9. სპეციალურ სიაში ამომრჩეველის შეყვანის შემთხვევაში საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიან სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით.

10. სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს:

ა) როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ადგილსამყოფელს იცვლის ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის, ხოლო ადგილობრივი თვით-მმართველობის არჩევნებისას – ერთი და იმავე ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე;

ბ) პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებსა და რეფერენდუმში, თუ იგი ხმას აძლევს სხვა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

მუხლი 11. ამომრჩეველთა სიის დანართი (გადასატანი საარჩევნო ყუთის სია) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ამომრჩეველთა სიის დანართი (შემდგომ – დანართი) დგება ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:

ა) აპიმრჩეველს შეზღუდული შესაძლებლობის ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა;

ბ) ამომრჩეველი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში;

გ) ამომრჩეველი სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;

დ) ამომრჩეველი სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული, და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;

ე) იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.

2. დანართში შეიყვანება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მხოლოდ ის ამომრჩეველი, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია საარჩევნო კომისიაში მისვლა.

3. დანართში ამომრჩეველის შეყვანის შემთხვევაში ამომრჩეველთა ერთიან და სპეციალურ სიებში აღინიშნება დანართში მისი შეყვანის მიზეზი და დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

4. დანართში შეიტანება ამომრჩევლის იგივე მონაცემები, რაც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში, და დამატებით აღინიშნება მისი რიგითი ნომერი ერთიან ან სპეციალურ სიაში.

მუხლი 12. ამოღებულია*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

მუხლი 13. ამომრჩეველთა სიებისა და დანართის გამოქვეყნება *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი კომისიის პირველივე შეკრების დღეს, ხოლო დანართი – მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ სიებში, ამ კანონით დადგენილ ვადაში სიებში შეტანილი მონაცემების შემოწმების საფუძველზე, გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“, იმ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ, რომელიც:

ა) სხვა სახელმწიფოში დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აღინიშნება „საკონსულო აღრიცხვაზეა“;

ბ) იმყოფება სხვა სახელმწიფოში, მაგრამ არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აღინიშნება „იმყოფება უცხოეთში“;

ბ[1]) იმყოფება საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიან და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში, აღინიშნება „სამხედრო სამსახურშია“; *(12.10.2004. N488)*

გ) შეყვანილია სპეციალურ სიაში, აღინიშნება „კომისიის წევრია“, „საავადმყოფოშია“, „წინასწარ პატიმრობაშია“ ან „ნაოსნობაშია“;

დ) შეყვანილია დანართში, აღინიშნება „შეყვანილია დანართში“.

მუხლი 14. ამომრჩევლის ბარათი

1. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა გადასცეს ამომრჩეველის ბარათი, რომელშიც მითითებული იქნება:

ა) კენჭისყრის თარიღი და დრო;

ბ) კენჭისყრის შენობის მისამართი, სართულისა და ოთახის ნომრები;

გ) ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში;

დ) ამომრჩევლის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით კენჭისყრაში გადასაგანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მონაწილეობის მიღების თაობაზე განცხადების ან განაცხადის გაკეთების წესი, საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონის (ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები.

ე) საარჩევნო უბნის ნომერი; *(12.10.2004. N488)*

ვ) ამომრჩევლის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი); *(12.10.2004. N488)*

8) ამომრჩეველის რეგისტრაციის ადგილი. *(12.10.2004. N488)*

2. ამომრჩეველის ბარათის მიუღებლობა არ წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.

თავი III

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

მუხლი 15. საარჩევნო ოლქები

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის იქმნება 19 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი: *(23.12.2005 N 2414)*

ოლქის N	ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც მოიცავს საარჩევნო ოლქი	მანდატების რაოდენობა
1.	ქალაქი თბილისი	5
2.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა – ქალაქი სოხუმი, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონები	5
3.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – ქალაქი ბათუმი, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის და ხულოს რაიონები	5
4.	ცხინვალის და ჯავის რაიონები, ლიახვის ხეობა	3
5.	ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონები	2
6.	ქალაქი ქუთაისი, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, წყალტუბოს და ხონის რაიონები	3
7.	ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, საჩხერის, ტყიბულის და ჭიათურის რაიონები	2
8.	ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონები	2
9.	გურჯაანის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს და სიღნაღის რაიონები	2
10.	ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის რაიონები	2
11.	ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის რაიონები	3
12.	ქალაქი ფოთი, აბაშის, მარტვილის და სენაკის რაიონები	2
13.	ადიგენის, ასპინძის, ახალციხის და ბორჯომის რაიონები	2
14.	ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები	2
15.	ქალაქი რუსთავი, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონები	2
16.	გარდაბნის და მარნეულის რაიონები	2
17.	გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის რაიონები	2
18.	ლენტეხის და მესტიის რაიონები	2
19.	ამბროლაურის, ონის და ცაგერის რაიონები	2

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების მიზნებისათვის ყოველი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს დამოუკიდებელ საარჩევნო ოლქს. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე იქმნება ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქები ამ კანონით განსაზღვრული წესით. *(23.06.2006 N3400)*

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არჩევნებისათვის ქალაქ თბილისის საარჩევნო ოლქების შექმნის წესი განისაზღვრება ამ კანონის XVII[1] თავით. *(9.12.2005 N 2208)*

4. ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

5. ამოღებულია*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

6. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო ოლქებს ქმნის, მათ საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს აგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასელამდე არა უგვიანეს 105 დღისა და სათანადო ინფორმაციას 5 დღის ვადაში აქვეყნებს ოლქების საზღვრების მითითებით. საარჩევნო ოლქის საზღვრების დაზუსტება ხდება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასელამდე არა უგვიანეს 75 დღისა და სათანადო ინფორმაცია ქვეყნდება დაზუსტების დასრულებიდან 3 დღის ვადაში.

მუხლი 16. საარჩევნო უბნები

1. კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქი იყოფა საარჩევნო უბნებად.

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 2000 ამომრჩეველისთვის. საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებსა და ნომრებს აგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასელამდე არა უგვიანეს 75-ე დღისა და სათანადო ინფორმაციას 5 დღის ვადაში აქვეყნებს უბნების საზღვრების მითითებით. საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მონაცემების საფუძველზე აგენს და აზუსტებს საარჩევნო უბანში შემავალი ყველა საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ნუსხასა და მისამართს, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ნუსხასა და მისამართს, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საარჩევნო მიზნებისთვის.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* გამონაკლის შემთხვევებში (სამხედრო ნაწილი, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია (სამხედრო მოსამსახურე), საავადმყოფო და სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია, კენჭისყრის დღეს ნაოსნობაში მყოფი გემი და სხვ.) საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-15 დღისა. საავადმყოფო (სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება), სამხედრო ნაწილი (შენაერთი), რომელშიც ამომრჩეველთა (ავადმყოფთა, სამხედრო მოსამსახურეთა) რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საოლქო საარჩევნო კომისის განკარგულებით მიემაგრება მასთან არსებულ უახლოეს საარჩევნო .უბანს. შესაბამისი სამხედრო უწყების ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით საარჩევნო უბანი შესაძლებელია შეიქმნას ისეთ სამხედრო ნაწილში (შენაერთში), რომელშიც ამომრჩეველთა (სამხედრო მოსამსახურეთა) რაოდენობა 50-ს არ აღემატება.

4. შექმნილი საარჩევნო უბნის საზღვრებს, ასევე საარჩევნო უბანში შემავალ შენობა-ნაგებობათა ნუსხას და მისამართებს აზუსტებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 50-ე დღისა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას – არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 38-ე დღისა, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მონაცემებისა და შემოწმების საფუძველზე. საარჩევნო უბნების დაზუსტებული საზღვრები დაუყოვნებლივ ქვეყნდება. *(23.06.2006 N3400)*

5. კენჭისყრის დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, აგრეთვე სამხედრო ნაწილებში საარჩევნო უბნები იქმნება ამ კანონით დადგენილი წესით, შესაბამისად გემის მიწერის ნავსადგურისა და სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

6. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე. ეს საარჩევნო უბნები მიეკუთვნება N 01 საარჩევნო ოლქს.

7. საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის შექმნიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – 2 დღის ვადაში, პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს.

თავი IV

საარჩევნო ადმინისტრაცია

მუხლი 17. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც იქმნება ამ კანონის შესაბამისად და ამავე კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას.

2. საარჩევნო ადმინისტრაცია ასრულებს საარჩევნო კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას და ამ კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვას, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა ასარჩევად საყოველთაო არჩევნების ჩატარებას, არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელებას. საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას. *(22.04.2005 N 1427)*

3. საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან.

4. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც შედგება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემოკლებით – ცესკო), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიებისა და ამ კომისიათა აპარატებისაგან, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. *(22.04.2005 N 1427)*

5. საარჩევნო კომისიების (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების გარდა) შექმნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების შექმნის წესი განისაზღვრება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, ხოლო უფლებამოსილება – ამ კანონითა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონით. *(16.09.2004 N 420)*

6. ცესკო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. ყოველი არჩევნების დასრულებიდან 60 დღის ვადაში ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს არჩევნების მიმდინარეობისას საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების, დამრღვევ საჯარო მოსამსახურეთა, ცესკოსა და საქართველოს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ პროკურატურისთვის გადაცემულ საქმეთა, ამ კომისიების მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელთა და სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებათა შესახებ.

7. ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 18. საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა *(22.04.2005 N 1427)*

1. საარჩევნო კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და სხვა წევრებისაგან.

2. საარჩევნო კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები არიან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები.

3. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს უფლება არა აქვს შევიდეს პარტიაში, ხოლო თუ იგი პარტიის წევრი იყო, ვალდებულია გავიდეს პარტიიდან.

4. საქართველოს ცენტრალური, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიების წევრები, მათი აპარატების თანამშრომლები და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, გარდა დამხმარე და მტატგარეშე მოსამსახურეებისა, არიან საჯარო მოხელეები. მათზე ერცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 61-ე და 64-ე მუხლებითა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 – მე-9 პუნქტებით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს უფლება არა აქვს იყოს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან დაწესებულების მოსამსახურე.

5. ცენტრალური, საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ამომრჩეველი, გარდა:

ა) პირისა, რომელსაც არა აქვს მინიჭებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი (გარდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისა); *23.06.2006 N3400)*

ბ) პირისა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიის ან სასამართლოს მიერ განთავისუფლდა საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან;

გ) პირისა, რომლის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ;

დ) პირისა, რომელიც ნასამართლევია დანაშაულისათვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა) და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ე) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში შემავალი დეპარტამენტების/სამმართველოების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისა;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისა;

ზ) საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;

თ) მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეებისა;

ი) პროკურატურის თანამშრომლებისა;

კ) საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლებისა;

ლ) ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისა.

5[1]. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სპეციალური სწავლების წესსა და პირობებს დადგენილებით განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია. *(23.06.2006 N3400)*

6. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელედ არჩევის შემთხვევაში პირივალდებულია 7 დღის ვადაში შეასრულოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

მუხლი 19. საარჩევნო კომისიის წევრის უფლება-მოვალეობანი

1. საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია შესაბამისი კომისიის წევრად დანიშვნის (არჩევის) დღიდან მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში.

2. საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის ან არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ იგი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე მიუთითოს ხელმოწერის გასწვრივ და განსხვავებული აზრი წერილობით დაურთოს ოქმს.

3. *(14.08.2003წ. N2965-რს)* საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

მუხლი 20. საარჩევნო კომისიის წევრის/ხელმძღვანელი პირის უფლება-მოსილების ვადა *(22.04.2005 N 1427)*

1. ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 6 წლით.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საარჩევნო უბანში ამ კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე.

3. საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება მისი ადგილმონაცვლე კომისიის წევრის არჩევისთანავე.

4. ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება საერთო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 34-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში და სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბანში საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება კომისიის შექმნიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. გამონაკლისია სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია, რომლის პირველ სხდომასაც იწვევს ცესკოს თავმჯდომარე. *(23.06.2006 N3400)*

5. ერთი და იგივე პირი ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ/წევრად არ შეიძლება აირჩეს უფლებამოსილების შეწყვეტიდან 6 წლის განმავლობაში.

მუხლი 21. საარჩევნო კომისიის წევრის/ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა *(22.04.2005 N 1427)*

1. ცესკოს თავმჯდომარეს/წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს – ზემდგომი საარჩევნო კომისიის განკარგულებით. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, ასევე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები, მოადგილეები და მდივნები თანამდებობებიდან ვადამდე თავისუფლდებიან შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით:

ა) თანამდებობიდან გადადგომისას:

ა.ა) ცესკოს თავმჯდომარის გადადგომის, ცესკოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე განცხადება წარედგინება საქართველოს პარლამენტს;

ა.ბ) ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის გადადგომის თაობაზე განცხადება წარედგინება ცესკოს;

ა.გ) საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/ მდივნის გადადგომის თაობაზე განცხადება წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას;

ა.დ) საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე განცხადება წარედგინება ზემდგომ საარჩევნო კომისიას;

ბ) თუ საარჩევნო კომისიის წევრმა არჩევის შემთხვევაში 7 დღის ვადაში არ შეწყვიტა მეუთავსებელი საქმიანობა ან/და სამსახური;

გ) თუ საარჩევნო კომისიის წევრმა დაიკავა ამ კანონით განსაზღვრული, მის სტატუსთან მეუთავსებელი თანამდებობა;

დ) თუ გამოვლინდა საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის ფაქტი;

ე) თუ გამოვლინდა, რომ არასწორია ამ კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტში, 33-ე მუხლის მე-7 პუნქტში და 37-ე მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულ განცხადებებში, გადაწყვეტილებებსა და მათ დასართებში მითითებული მონაცემები – ამ ფაქტის გამოვლენის დღიდან;

ვ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 2 თვის განმავლობაში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 3-ჯერ გაცდენის შემთხვევაში;

ზ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას ან თუ კომისიის წევრის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

თ) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დამნიშვნელი პარტიის აკრძალვისას ან ლიკვიდაციისას (თუ ლიკვიდაცია არ მოხდა ისეთ პარტიასთან გაერთიანების გამო, რომელსაც არ ჰქონდა კომისიის წევრის დანიშვნის უფლება; ამ შემთხვევაში ლიკვიდირებული პარტიის უფლებამონაცვლედ ჩაითვლება პარტია, რომელსაც იგი შეუერთდა), რომელმაც დანიშნა საარჩევნო კომისიის წევრი – პარტიის აკრძალვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, ხოლო პარტიის ლიკვიდაციისას – ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;

ი) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დამნიშვნელი პარტიის მიერ მისი გამოწვევისას -- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოწვევის შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში;

კ) თუ გაუქმდა საარჩევნო კომისიის წევრის, როგორც ამომრჩეველის, სტატუსი;

ლ) საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის სისტემატურად ან

უხეშად დარღვევისას, ან „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.

2. ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/ მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის 6 თვის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ დაყენება აკრძალულია.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი საფუძველის არსებობისას, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის გადადგომის, საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს და წყვეტს: საქართველოს პარლამენტი – 15 დღის ვადაში ან უფლებამოსილი საარჩევნო კომისია – 5 დღის ვადაში. გადაწყვეტილება მიიღება იმავე წესით, როგორითაც მოხდა მათი არჩევა.

4. თუ გადადგომის/უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე განცხადება ამ მუხლით დადგენილ ვადებში არ დაკმაყოფილდა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი თანამდებობიდან გადამდგარად ჩაითვლება, საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება ამ ვადის გასვლის მომდევნო დღიდან.

5. აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 22. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი

1. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და შესაბამისი კომისიის რეგლამენტით, რომელსაც დადგენილებით იღებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. ამოღებულია*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თავმჯდომარის დავალებით მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საარჩევნო კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს შესაბამისი კომისია. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მოთხოვნით მოიწვევა რიგგარეშე სხდომა.

6. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. *(22.04.2005 N 1427)*

7. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მსარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა (თუ ამ კანონით უფრო მაღალი კვორუმი არაა დადგენილი), მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. *(22.04.2005 N 1427)*

8. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. სხდომაზე საკადრო საკითხები წყდება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. *(22.04.2005 N 1427)*

10. სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

11. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 2 დღის ვადაში.

12. საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს. ამასთან, განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მას არა აქვს უფლება, თავისი ქმედებით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

13. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

14. ამოღებულია *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

15. საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16. განცხადების (საჩივრის) მიღებისას საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და განმცხადებლისთვის (მომჩივნისთვის) გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი მიღების თარიღი და დრო. კომისია განიხილავს განცხადებას (საჩივარს) და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

16[1]. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კომისიისგან რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.

17. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება (საჩივარი), თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

მუხლი 22[1]. საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირთა/წევრთა არჩევა *(22.04.2005 N 1427)*

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს (გარდა ცესკოს თავმჯდომარისა), თავმჯდომარის მოადგილეს/მდივანს, შესაბამისი ეაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს შესაბამისი კომისია.

2. საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. *(23.06.2006 N3400)*

3. ერთი და იმავე კანდიდატის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

4. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

5. თუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს ერთდროულად ან კომისიის მდივანს დროებით არ შუძლიათ ამ კანონით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება, ამავე კანონის თანახმად კი, ამ დროს შესასრულებელია ისეთი მოქმედება, რომელიც კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, კომისია თავისი შემადგენლობიდან ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ირჩევს კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას, ხოლო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი მდივანი შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

6. თუ საარჩევნო კომისიას არ ჰყავს არც თავმჯდომარე და არც თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის სხდომას თავმჯდომარის ასარჩევად იწვევს და მის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის მდივანი, ხოლო თუ კომისიას არ ჰყავს არც მდივანი, კომისიის სხდომას იწვევს და თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომისიის უხუცესი წევრი.

მუხლი 23. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და სხვა წევრებს უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენიშნებათ ხელფასი.

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ცესკოს საშტატო განრიგს მისი თავმჯდომარის წარდგინებით დადგენილებით ამტკიცებს ცესკო, ხოლო ხარჯთაღრიცხვას ცესკოს წარდგინებით – საქართველოს პარლამენტი.

3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში (3 თვის განმავლობაში), ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 24. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შრომის ანაზღაურება

1. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და სხვა წევრებს უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენიშნებათ ხელფასი. *(22.04.2005 N 1427)*

2. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

3. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს (ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით) არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან 32 დღის (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას – არჩევნების დღემდე 34-ე დღიდან 36 დღის) განმავლობაში და განმეორებითი

კენჭისყრის ან/და არჩევნების მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში, აგრეთვე კენჭისყრის დღემდე მე-2 დღიდან 4 დღის განმავლობაში ენიშნებათ სელუასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. *(23.06.2006 N3400)*

4. საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სელუასის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 25. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებია:

ა) ცესკოს დადგენილება და განკარგულება, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება და განკარგულება, ცესკოს მდივნის განკარგულება; *(23.06.2006 N3400)*

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, კომისიის მდივნის განკარგულება;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.

2. ცესკოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომლის მიღებაც შეიძლება მხოლოდ ამ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. დადგენილების მიღება შეიძლება აგრეთვე გამონაკლის შემთხვევაში, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე, თუ აუცილებელი აღმოჩნდა ამ კანონით განუსაზღვრელი და არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი საკითხების გადაჭრა. დადგენილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ცალკეული საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციაც, რომელიც არ უნდა შეიცავდეს ამ კანონით დადგენილისგან განსხვავებულ ან ახალ ნორმას და რომელიც შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ამ კანონით დადგენილი პროცედურის დაწვრილებით აღწერას.

3. ცესკოს დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. დადგენილებას ხელს აწერენ ცესკოს შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. ცესკოს დადგენილება ძალაში შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნების დღის 24 საათიდან, თუ თვით ამ დადგენილებით უფრო გვიანი ვადა არ იქნა განსაზღვრული. აკრძალულია დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 4 დღისა. *(22.04.2005 N 1427)*

4. საარჩევნო კომისიის, მისი თავმჯდომარისა და მდივნის განკარგულებები არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიიღება/გამოიცემა ამ კანონითა და ცესკოს დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, სხვა განკარგულებას ხელს აწერს მისი გამომცემი პირი. თუ ამ კანონით სხვა კვორუმი არ არის დადგენილი, კომისიის განკარგულება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. *(22.04.2005 N 1427)*

4[1]. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა შიდაუწყებრივ, მათ შორის, საკადრო საკითხებთან დაკავშირებით. *(23.06.2006 N3400)*

5. საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და მათი თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა შესაბამისად საქართველოს, საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 26. საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა *(23.06.2006 N3400)*

1. ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 6 წევრისაგან. ცესკოს თავმჯდომარე, თავისი უფლებამოსილების პერიოდში, იმავდროულად არის ცესკოს წევრი. ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის შეწყვეტას.

2. საოლქო საარჩევნო კომისია შედგება 5 წევრისაგან, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია – 9

წევრისაგან, რომლებსაც ამ კანონით დადგენილ ვადაში და წესით ნიშნავენ/ირჩევენ ამავე კანონით განსაზღვრული სუბიექტები.

მუხლი 27. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა *(22.04.2005 N 1427)*

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და 6 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. ცესკოს თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით.

3. ცესკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 60 დღისა, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.

4. ცესკოს თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საზოგადოებაში სარგებლობს დადებითი რეპუტაციით, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, ამ მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღე.

6. საკონკურსოდ წარდგენილ განცხადებაში უნდა მიეთითოს: კანდიდატის სახელი, გვარი; განათლება (უმაღლესი); სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს); მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად); სამუშაო ადგილი და თანამდებობა; საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს); განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

გ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;

ე) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

7. თუ ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატის წარდგენა, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატის წარდგენა.

8. კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 2 დღის ვადაში ქვეყნდება კანდიდატთა სია.

9. კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 დღისა საკონკურსო კომისია საქართველოს პრეზიდენტს ცესკოში ასარჩევ თითო ვაკანსიაზე წარუდგენს არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კანდიდატს. საქართველოს პრეზიდენტი შეარჩევს ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატს. კანდიდატების შერჩევიდან/წარდგენიდან არა უგვიანეს 7 დღისა საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატს და ცესკოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე 2 კანდიდატს.

მუხლი 28. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის არჩევა *(22.04.2005 N 1427)*

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოს თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტში წარდგენიდან არა უგვიანეს 14 დღისა, საქართველოს პარლამენტი სასელობითი კენჭისყრით ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს/წევრებს. თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. ცესკოს თავმჯდომარე/წევრი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება მათ შორის 6 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. თუ კანდიდატების მიერ

მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეცრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენამდე.

2. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ყველა ვაკანსია, ხელახლა ეცრება კენჭი დარჩენილ კანდიდატებს. თუ ვაკანსია კვლავ არ შეივსო, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს 3 დღის ვადაში კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატებიდან თითოეულ დარჩენილ ვაკანსიაზე წარუდგენს 2 კანდიდატს. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა, არა უგვიანეს 3 დღისა დარჩენილ ვაკანსიაზე ცხადდება კონკურსი და კანდიდატების წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება.

3. ერთი და იმავე კანდიდატის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

4. ცესკოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემდეგ, კომისიის შემადგენლობის შევიდამდე შესაევსებად, საქართველოს პარლამენტის უახლოესი სასესიო კვირის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს იმ კანდიდატებს, რომლებმაც მიიღეს სიითი შემადგენლობის არანაკლებ უმრავლესობისა, ან არა უგვიანეს 3 დღისა ნიშნავს კონკურსს. იგივე წესი მოქმედებს ასეთი კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში.

5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ცესკოს თავმჯდომარის/წევრის არჩევის შესახებ წარედგინება ცესკოს მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ დადგენილებაში უნდა მიეთითოს ცესკოს თავმჯდომარედ/წევრად არჩეული პირის სახელი და გვარი. დადგენილებას უნდა დაერთოს ამ კანონის 27-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია და ზემოაღნიშნული პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 29. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას; *(22.04.2005 N 1427)*

ბ) დადგენილებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს;

გ) გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ამ კანონით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება/ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე; *(12.10.2004. N488)*

დ) დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო სამუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად და აკონტროლებს მის შესრულებას;

ე) განკარგულებით ქმნის საარჩევნო ოლქებს და აბუსტებს მათ საზღვრებს;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში, ამ კანონის 105-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხთა გადასაწყვეტად, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, შექმნას სპეციალური ჯგუფი, განსაზღვროს მისი უფლებამოსილების ფარგლები და მოქმედების ვადა; *(23.06.2006 N3400)*

ზ) თუ ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება;

თ) დადგენილებით განსაზღვრავს არჩევნებისა და რეფერენდუმის/

პლებისციტის გამართვისათვის სასელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს; *(22.04.2005 N 1427)*

ი) განკარგულებით აგენს საარჩევნო/სარეფერენდუმო/საპლებისციტო ბიულეტენების ფორმას; საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს

არჩევნებისა და სარეფერენდუმო/საპლებისციტო ბიულეტენების ტექსტებს; საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიის ბეჭდების სახეებს; ამ კანონით განუსაზღვრელი, მაჟრამ არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს; *(22.04.2005 N 1427)*

კ) უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების დამზადებასა და საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

ლ) ამ კანონით განსაზღვრული ვადების შესაბამისად განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

მ) განკარგულებით ნიშნავს რიგგარეშე, ხელახალ არჩევნებს, განმეორებით „ენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს; *(23.12.2005 N 2414)*

ნ) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ; განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების/სპეციალური კონვერტების/ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ; *(12.10.2004. N488)*

ო) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების (პარტიული სიებით), საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის შედეგებს და განკარგულებით ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმს; *(22.04.2005 N 1427)*

პ) ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

ჟ) უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭის-ყრის/არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და მათ დაუყოვნებლივ განთავსებას ინტერნეტში, ხოლო ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მის განთავსებასაც ინტერნეტში;

რ) განკარგულებით ანიჭებს არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დამკვირვებლის სტატუსს ამ კანონში აღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების ჯგუფს; *(14.12.2006 N 3990)*

ს) წარმართავს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშს;

ტ) აკონტროლებს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, საკომუნი-კაციო სამუალებებით, ტრანსპორტით; წყვეტს საარჩევნო ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

უ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას.

$უ^1$) დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების წესს და ცესკოს აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის პირობებს. *(22.04.2005 N 1427)*

ფ) უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სემინარებისა და სასწავლო კურსების გამართვას;

ქ) ამ კანონით დადგენილი წესით განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ღ) პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე, მის კომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილის მისამართი, იძულებით გადაადგილებული პირისათვის აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი) ინტერნეტში განთავსებაზე;

ყ) ასორციელებს ამ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

შ) დადგენილებით განსაზღვრავს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებით წესს და კენჭისყრის პროცედურებს. *(9.12.2005 N 2208)*

2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა დადგენილება ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა სამუალებებითაც. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება, რომელიც ეხება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“-„ზ“, „ლ“-„პ“, „რ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, აგრეთვე მისი

თავმჯდომარის განკარგულება, რომელიც ეხება ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „ქ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, ქვეყნდება მისი გამოცემიდან 3 დღის ვადაში.

3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ამ კანონით გაუთვალისწინებელ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც.

მუხლი 30. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის მდივნის უფლებამოსილება (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირია.

2. ცესკოს თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ცესკოში;

ბ) უძღვება ცესკოს სხდომას;

გ) განკარგავს ცესკოს ფინანსურ სახსრებს;

დ) საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად დაეალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს, კომისიის სხვა წევრებსა და კომისიის აპარატის მოსამსახურეებს;

ე) რეგისტრაციაში აგარებს არჩევნების მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის), მათ წარმომადგენლებს ცესკოში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

ვ) რეგისტრაციაში აგარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, პარტიულ სიებს, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატებს (პარლამენტის არჩევნებისთვის) და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს; *(23.12.2005 N 2441)*

ზ) სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრს. პარლამენტის წევრისა და თბილისის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კი — მათ უფლებამონაცელეს; *(23.12.2005 N 2441)*

თ) საქართველოს ასალარჩეული პარლამენტის დროებით სამანდატო კომისიას, ხოლო სათანადო მუდმივმოქმედი კომიტეტის შექმნის შემდეგ ამ კომიტეტს ცადასცემს პარლამენტის წევრად არჩეულ პირთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

ი) თუ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ კომისიის წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება და ამის გამო კომისიის შემადგენლობაში 7 წევრზე ნაკლები დარჩა, უფლებამოსილების შეწყვეტის მომდევნო დღეს აცნობებს პარლამენტს ამის შესახებ;

კ) ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) ასრულებს ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;

ბ) ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით და კომისიის თანხმობით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას (განკარგულებით ზუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა).

4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი:

ა) ანაწილებს ცესკოში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;

ბ) რეგისტრაციაში აგარებს საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმდგენი პარტიისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის) წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიებში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

გ) რეგისტრაციაში აგარებს არჩევნების/რეფერენდუმის დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ცესკოში დანიშნულ დამკვირვებლებს, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ წარგზავნილ დამკვირვებლებს და აძლევს მათ დამკვირვებლის მოწმობებს; *(14.12.2006 N 3990)*

დ) განკარგულებით ახორციელებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას და აძლევს მათ საakრედიტაციო ბარათებს; *(12.10.2004. N488)*

ე) ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს;

ვ) ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოსილებას.

მუხლი 31. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი

1. არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება და ფუნქციონირებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი.

2. აპარატის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტით.

3. დაუშვებელია აპარატის შემადგენლობაში ისეთი პირის მიღება, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არა აქვს მინიჭებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, გარდა დამხმარე და ტექნიკური პერსონალისა, აგრეთვე იმ სამსახურების მოხელეებისა, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ არ უკავშირდება საარჩევნო პროცედურებს. ასეთი სამსახურებისა და სამტკიცო ნუსხით გაითვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალს დადგენილებით განსაზღვრავს ცესკო. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 31[1]. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება *(16.09.2004 N 420)*

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები ამ კანონისა და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფენ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების გამართვას, არჩევნების მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელებას. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ზემოაღნიშნული არჩევნების ჩატარებისას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და მის ერთგვაროვან გამოყენებას.

2. ამ კანონის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ამ მუხლში აღნიშნული არჩევნების ჩატარებისას ექვემდებარებიან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას.

მუხლი 32. საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნა *(22.04.2005 N 1427)*

1. საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნის და კომისიის წევრებს ირჩევს ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. *(23.06.2006 N3400)*

2. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, თავისი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

3. საოლქო საარჩევნო კომისიას, არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე, უფლება აქვს დაიქირაოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი, მაგრამ არა უმეტეს ხუთი პირისა.

მუხლი 33. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის არჩევა *(22.04.2005 N 1427)*

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ცესკო ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 10 დღისა. ამავე ვადაში აირჩევიან საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები.

2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს 15 დღის ვადაში (ხოლო არჩევნების დანიშვნის შემდეგ – 7 დღის ვადაში) ირჩევს ცესკო. იგივე წესი მოქმედებს საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით.

3. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით.

4. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასელამდე არა უგვიანეს 60 დღისა ან წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 3 დღისა ცესკო გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

6. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, ამ მუხლის მე-5 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა:

ა) უფლებამოსილების ვადის გასვლისას – კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღე;

ბ) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას – კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღე, ხოლო თუ დანიშნულია არჩევნები – კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღე.

7. საკონკურსოდ წარდგენილ განცხადებაში უნდა მიეთითოს: კანდიდატის სახელი, გვარი; განათლება (უმაღლესი); სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს); მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად); სამუშაო ადგილი და თანამდებობა; საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს); საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობა; განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

გ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;

ე) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

8. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატები ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ საკონკურსო დოკუმენტაციას წარადგენენ ცესკოში.

9. თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე 2 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) კანდიდატს. შესწორებული საბუთები ცესკოს 2 დღეში უნდა დაუბრუნდეს.

10. ცესკო საბუთების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს კანდიდატთა სიას.

11. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ცესკო ირჩევს სახელობითი კენჭისყრით. თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები; თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსაცალკევებლად. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ყველა ვაკანსია, დარჩენილ კანდიდატებს კენჭი ხელახლა ეყრებათ. თუ ყველა ვაკანსია კვლავ არ შეივსო, კონკურსი დარჩენილ ვაკანსიაზე თავიდან ცხადდება.

12. ერთი და იმავე კანდიდატის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

13. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის განკარგულებაში უნდა მიეთითოს კომისიის წევრად არჩეული პირის სახელი და გვარი, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის დასახელება, რომლის თავმჯდომარედ/წევრადაც იგი აირჩა. გადაწყვეტილებას უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია და მემოარჩენილი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

14. ცესკო აქვეყნებს არჩეულ კომისიის წევრთა სიას.

მუხლი 34. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრული წესით. *(22.04.2005 N 1427)*

1[1]. საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპი, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები. საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ცესკოს მიერ განსაზღვრული ფინანსების ხარჯვაზე პასუხისმგებელი არიან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. არჩევნებისათვის გამოყოფილი ფინანსების ხარჯვის უფლება საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს ნებისმიერ კომერციულ ბანკში ან/და მის ფილიალში გახსნილი ანგარიშიდან. *(23.06.2006 N3400)*

2. საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვას, აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას; *(22.04.2005 N 1427)*

ბ) განკარგულებით ქმნის და აზუსტებს საარჩევნო უბნების საზღვრებს;

გ) თუ ქვემდგომი საუბნო საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრაველესობის გადაწ-ყვეტილებით ცესკოს წინაშე დასვას ამ კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი;

დ) განკარგულებით ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის;

ე) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე ამოწმებს საუბნო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ;

ვ) ვალდებულია განცხადების/საჩივრის საფუძველზე (თუ განცხადება/საჩივარი ამ კანონით დადგენილი წესითა და ვადაშია შეტანილი), აგრეთვე საკუთარი ინიციატივით, შეამოწმოს კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების მოქმედებისა და გადაწყვეტილებათა კანონიერება (მათ შორის, არჩევნების მონაწილეთა აღრიცხვის, საარჩევნო ბიულეტენების დათვლის სიზუსტე და სხვ.) და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება (მათ შორის, შეცვალოს საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მონაცემები შემოწმების შედეგის მესაბამისად ან ბათილად ცნოს კენჭისყრის შედეგი საარჩევნო უბანში). თუ დარღვევა იწვევს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული პირის ან არჩევნების მეორე ტურში გასული კანდიდატის შეცვლას, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეულ პირთა შეცვლას (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას), არჩევნების ჩატარებულად ან არჩატარებულად ცნობის შეცვლას (ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას) და ზემოაღნიშნული შემოწმება არ იძლევა კანონიერი შედეგის დადგენის შესაძლებლობას, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობისა და ცესკოს წინაშე განმეორებითი კენჭისყრის დანიშვნის საკითხის დასმის შესახებ;

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიების განკარგულებებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას (პარტიული სიებით), საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას, ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისას, აგრეთვე რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვისას და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს; *(22.04.2005 N 1427)*

თ) საუბნო საარჩევნო კომისიების განკარგულებებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, ადგენს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას, საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას (გარდა ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისა) და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს; *(23.12.2005 N 2414)*

ი) განკარგულებით ანიჭებს არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსს ამ კანონში აღნიშნულ ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს; *(14.12.2006 N 3990)*

კ) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშს;

ლ) უზრუნველყოფს რიგგარეშე, ხელახალი არჩევნების, განმეორებითი კენჭისყრისა და არჩევნების მეორე ტურის გამართვას; *(23.12.2005 N 2414)*

მ) აკონტროლებს საარჩევნო უბნების უზრუნველყოფას შენობებით, საკომუნიკაციო საშუალებებით, ტრანსპორტით; წყვეტს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

ნ) უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას საარჩევნო ყუთებით, კენჭისყრისთვის განკუთვნილი კონვერტებით, საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდებითა და მათთვის აუცილებელი საარჩევნო საბუთებით;

ო) ისმენს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მოქმედ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში მყოფ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინფორმაციას საარჩევნო კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და ამოწმებს ამ ვალდებულებათა შესრულებას; აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიერ საარჩევნო პლაკატების გასაკრავი და გამოსაფენი ადგილების გამოყოფას;

პ) აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ „არჩევნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის" შესრულებას;

ჟ) უზრუნველყოფს არჩევნებთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გამოქვეყნებას;

რ) ხელს უწყობს ამომრჩეველებისა და არჩევნების მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკების/კანდიდატების შეხვედრების გამართვას;

ს) განიხილავს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ტ) ამოღებულია *(23.12.2005 N 2414)*

უ) ამ კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს ამომრჩეველთა სიების ფორმირებას, უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას;

უ[1]) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფს სემინარებისა და სასწავლო კურსების გამართვას; *(23.06.2006 N3400)*

ფ) ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, რომელიც ეხება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „ე"–„ი" ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, აგრეთვე მისი თავმჯდომარის განკარგულება, რომელიც ეხება ამ კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ საკითხებს, ქვეყნდება 5 დღის ვადაში.

მუხლი 35. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის უფლებამოსილება *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საოლქო საარჩევნო კომისიაში;

ბ) უძღვება საარჩევნო კომისიის სხდომას;

გ) ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

დ) განკარგავს საოლქო საარჩევნო კომისიის ფინანსურ სახსრებს;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს, კომისიის სხვა წევრებსა და კომისიის აპარატის მოსამსახურეებს;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის (გარდა ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისა) რეგისტრაციაში აგარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, მის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიამი და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს; *(23.12.2005 N 2414)*

ზ) რეგისტრაციაში აგარებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის წარდგენილ კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს; *(23.12.2005 N 2414)*

თ) სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ საკრებულოს წევრს (გარდა თბილისის საკრებულოსი), მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კი – მის უფლებამონაცვლეს;

ი) ცესკოს გადასცემს საკრებულოს წევრად არჩეულ პირთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციასა და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საარჩევნო საბუთებს;

კ) თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მეორე დღესვე აცნობებს ამის შესახებ ცესკოს;

ლ) ასორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებას.

2. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას (განკარგულებით მუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა).

3. საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:

ა) ანაწილებს საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;

ბ) რეგისტრაციაში აგარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, აერთეთ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს საუბნო საარჩევნო კომისიებში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

გ) რეგისტრაციაში აგარებს არჩევნების/რეფერენდუმის დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებლებს და აძლევს მათ დამკვირვებლის მოწმობებს;*(14.12.2006 N 3990)*

დ) განკარგულებით ახორციელებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას და აძლევს მათ სააკრედიტაციო ბარათებს; *(12.10.2004. N488)*

ე) ადგენს საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, არჩევნებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს;

ვ) ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 36. საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნა *(22.04.2005 N 1427)*

1. საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა).

2. სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

3. 2-2 წევრს ნიშნავენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პირველ სამ ადგილზე გასული პარტიები, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად მონაწილეობდა არჩევნებში ან გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში და მის წევრთა ჩამონათვალში სხვებზე წინ იყო დასახელებული (თუ პირველად დასახელებულმა პარტიამ კომისიის წევრის დანიშვნაზე უარი განაცხადა, ეს უფლება გადადის მომდევნო პარტიაზე და ა.შ.). ამ პუნქტით განსაზღვრული პარტიები ასევე ნიშნავენ საუბნო საარჩევნო კომისიის 2-2 სარეზერვო წევრს, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობენ მხოლოდ კენჭისყრის დღეს, ამ კანონით დადგენილი წესით. *(23.06.2006 N3400)*

4. თუ ამ მუხლით უფლებამოსილმა სუბიექტმა ამ კანონის 37-ე მუხლით დადგენილ ვადამდე და დადგენილი წესით არ დანიშნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (წევრები), იგი დაკარგავს კომისიის წევრის დანიშვნის უფლებას და თუ ამის გამო კომისიაში ამ კანონით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, მისი შემადგენლობის შევსების უფლება აქვს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას ამავე კანონით დადგენილი წესით. (გამონაკლისია სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობის შევსების უფლება აქვს ცესკოს).

მუხლი 37. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნა/არჩევა *(22.04.2005 N 1427)*

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისა; ამ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს 38-ე და არა უგვიანეს 36-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ კომისიებში წევრები აირჩევიან არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-10 და არა უგვიანეს მე-9 დღისა.*(23.06.2006 N3400)*

2. ცესკო სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის 3 წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს 24-ე და არა უგვიანეს მე-20 დღისა.

3. ამ კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის (სარეზერვო წევრის) დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-60 და არა უგვიანეს 46-ე დღისა, გარდა აღგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისა; ამ მემთხვევაში უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის (სარეზერვო წევრის) დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უადრეს 39-ე და არა უგვიანეს 36-ე დღისა, გამონაკლის მემთხვევაში მექმნილ კომისიებში – არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-14 და არა უგვიანეს მე-9 დღისა, ხოლო სხვა სახელმწიფოში მექმნილ კომისიაში – ცესკოს, საარჩევნო უბნის მექმნის მემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. *(23.06.2006 N3400)*

4. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა (სარეზერვო წევრთა) სიას აქვეყნებს მესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა, გამონაკლის მემთხვევაში მექმნილი კომისიებისა – არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა, ხოლო სხვა სახელმწიფოში მექმნილი კომისიისა – ცესკო, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა. *(23.06.2006 N3400)*

5. თუ არჩევნების დღემდე 35-ე დღისათვის, გამონაკლის მემთხვევაში მექმნილი კომისიებისათვის – არჩევნების დღემდე მე-8 დღისათვის, ხოლო სხვა სახელმწიფოში მექმნილი კომისიისათვის – არჩევნების დღემდე მე-19 დღისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის მემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, 3 დღის ვადაში კომისიის წევრების არჩევის უფლება აქვს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას (პირველ ორ მემთხვევაში) და ცესკოს (მესამე მემთხვევაში) კონკურსში მონაწილე კანდიდატთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მესარჩევი კონკურსის წესს, პირობებსა და ვადებს განკარგულებით აღგენს ცესკო. *(23.06.2006 N3400)*

6. უფლებამოსილი პარტიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწევევისა და მისი უფლებამონაცვლის დანიშვნის შესახებ წარედგინება მესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიასა და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო სხვა სახელმწიფოში მექმნილი კომისიებისათვის – ცესკოს.

7. თუ კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე მეწყვეტის მემდეგ მისი უფლებამონაცვლის დანიშვნის უფლების მქონე პარტიამ არ გამოიყენა ეს უფლება, აგრეთვე თუ უფლებამოსილება ვადამდე მეუწყდა საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრს და ამის გამო კომისიის მემადგენლობაში დადგენილზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, კომისიის ახალი წევრის არჩევის უფლება მისი მემადგენლობის მესავსებად ახალი კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 დღეში აქვს მესაბამისად, საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისიას.

8. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიები ირჩევენ სახელობითი კენჭისყრით. თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული მემადგენლობის უმრავლესობა. თუ ამ პირთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ მორის უკეთესი მედეგის მქონე კანდიდატები. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ მორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ გამარჯვებული კელავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება. თუ კენჭისყრის მედეგად არ მეივსო ყველა ვაკანსია, კანდიდატების წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება.

9. კომისიის წევრის (სარეზერვო წევრის) არჩევის/დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს კომისიის წევრად (სარეზერვო წევრად) არჩეული/დანიშნული პირის სახელი და გვარი, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიის ნომერი, რომლის წევრადაც (სარეზერვო წევრადაც) იგი აირჩა/დაინიშნა. პარტიის გადაწყვეტილებას კომისიის წევრის (სარეზერვო წევრის) დანიშვნის შესახებ უნდა დაერთოს: *(23.06.2006 N3400)*

ა) ინფორმაცია, რომელშიც აღინიშნება: კომისიის წევრად (სარეზერვო წევრად) არჩეული/დანიშნული პირის განათლება (უმაღლესი, საშუალო), სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს); მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად); საარჩევნო

ოლქი და საარჩევნო უბანი, რომელშიც იგი რეგისტრირებულია ამომრჩეველად; სამუშაო ადგილი და თანამდებობა; საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს);

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

გ) ამ პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი თანახმაა იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (სარეზერვო წევრი) და აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

დ) ამოღებულია *(24.07.2006 N3489)*

10. წარდგენილი პირი კომისიის წევრად არ ჩაითვლება, თუ დაირღვა ამ მუხლში აღნიშნული საბუთების წარდგენის ვადა ანდა წარდგენილი საბუთები არასრული ან არამუსტია და ამ პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა აღმოფხვრილი საბუთებში არსებული ხარვეზები. თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის ან ცესკოს თავმჯდომარე 2 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) მას, ვინც დანიმნა/აირჩია კომისიის წევრი. შესწორებული საბუთები, შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიას ან ცესკოს 3 დღეში უნდა დაუბრუნდეს.

მუხლი 38. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება ამ კანონის 36-ე მუხლით განსაზღვრული სუბიექტებისაგან, ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ/არჩეული პირებისაგან. *(22.04.2005 N 1427)*

2. საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვას, საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, კენჭისყრის დროს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვას, ამომრჩეველთა, წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გარანტირებული უფლებების გამოყენებასა და დაცვას; *(22.04.2005 N 1427)*

ბ) ამოწმებს ამომრჩეველთა სიების სისწორეს, განიხილავს სიებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს და შეცდომებისა თუ უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში არა უგვიანეს მომდევნო დღისა მიმართავს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას სიებში ცვლილების შეტანის წინადადებით;

გ) ამომრჩეველთა განცხადებებისა და განაცხადების საფუძველზე აგგენს ამომრჩეველთა სიის დანართს (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას); *(12.10.2004.N488)*

დ) აგგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში და განკარგულებით ამგკიცებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს;

ე) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დასვას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი;

ვ) ამომრჩევლებს ურიგებს ამომრჩევლის ბარათს;

ზ) პასუხისმგებელია საარჩევნო უბანში საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული ინ-ფორმაციის გამოფენისთვის, იმ ადგილის სათანადოდ მომზადებისთვის, სადაც იმართება კენჭისყრა და ბიულეტენების დათვლა; უზრუნველყოფს საარჩევნო უბანში წესრიგის დაცვას;

თ) აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიერ საარჩევნო პლაკატების გასაკრავი და გამოსაფენი ადგილების გამოყოფას;

ი) ხელს უწყობს ამომრჩევლებისა და არჩევნების მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკების/ კანდიდატების შეხვედრების გამართვას;

კ) განიხილავს საარჩევნო პროცესთან და კენჭისყრის მომზადებასთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწ-ყვეტილებას;

ლ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების უპირობო განხორციელებას კენჭისყრის დღეს და ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მათი დაცვისთვის;

მ) აუქმებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების, ჩაკეტვის მეშვეობით შენობის გახსნის, კენჭისყრის გაგრძელების შესახებ;

ნ) ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. საუბნო საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის ყველა განკარგულება მეორე დღესვე გამოიფინება საარჩევნო უბანში.

მუხლი 39. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის უფლებამოსილება *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საუბნო საარჩევნო კომისიაში;

ბ) უძღვება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას;

გ) იღებს და ანაწილებს საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;

დ) პირადად აგებს პასუხს საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების, კომისიის ბეჭდების, შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საარჩევნო საბუთების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად დაეალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს;

ვ) კენჭისყრის დღეს ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით განაწილებას;

ზ) პასუხისმგებელია კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვისთვის;

ზ[1]) ვალდებულია კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე; *(12.10.2004. N488)*

თ) კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს ყველა საარჩევნო საბუთს;

ი) ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას (განკარგულებით ზუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა).

3. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი:

ა) ამზადებს კომისიის განკარგულებათა პროექტებს;

ბ) პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის;

გ) აგდენს საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს;

დ) ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 39[1]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

თავი V

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია და მხარდამჭერთა სიები

მუხლი 40. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად საარჩევნო სუბიექტებს ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში აგარებს შესაბამისი საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო სუბიექტები რეგისტრაციაში გაგარების მიზნით განცხადებით მიმართავენ შესაბამის საარჩევნო კომისიას და ამ კანონით დადგენილი წესით წარადგენენ სათანადო დოკუმენტაციას.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური ამ კანონით დადგენილ ვადაში ამოწმებს წარდგენილ საბუთებს და დასკვნას წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც

წყვეტს რეგისტრაციის საკითხს. თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე 2 დღის ვადაში (თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, რომელსაც ეძლევა 3 დღე (თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი) საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული საბუთების შემოწმება და რეგისტრაციის საკითხის ვადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან 2 დღეში (თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი). რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, რომელსაც უფლება აქვს მოთხოვნისთანავე მიიღოს ეს გადაწყვეტილება.

მუხლი 41. მხარდამჭერთა სიები

1. საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა ამომრჩეველებმა მხარდამჭერთა სიის ბლანკზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ.

2. მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშს განკარგულებით ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

3. მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველის:

ა) სახელი და გვარი;

ბ) დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი);

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები;

დ) რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით);

ე) ხელმოწერის თარიღი;

ვ) ხელმოწერა.

4. ბლანკში მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი (საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, აგრეთვე ბლანკის შევსების თარიღი და დადასტურებული უნდა იყოს ამ პირის ხელმოწერით.

5. ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება (სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივას მხარს უჭერს ამომრჩეველი.

მუხლი 42. მხარდამჭერთა სიების შემოწმება

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* პარტიისა და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიებს ამოწმებს ცესკო, ხოლო სხვა კანდიდატთა მხარდამჭერთა სიებს – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*საარჩევნო კომისია შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, არათანამიმდევრობით ამოწმებს მხარდამჭერთა კანონით დადგენილი რაოდენობის 20 პროცენტის ნამდვილობას. თუ გაბათილდა მისი არანაკლებ 10 პროცენტისა, კომისია იმავე წესით დამატებით ამოწმებს მხარდამჭერთა იმავე რაოდენობას. მისი არანაკლებ 10 პროცენტის გაბათილების შემთხვევაში სია მთლიანად ბათილდება და საარჩევნო სუბიექტს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით უარი ეთქმევა საარჩევნო რეგისტრაციაზე.

3. მხარდამჭერთა სიაში ამომრჩეველის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, თუ:

ა) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი;

ბ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული დაბადების თარიღი (წელი, თვე და რიცხვი);

გ) მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი (დასახლებული პუნქტი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომრები);

დ) ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის ან არ ემთხვევა ამ კანონით განსაზღვრულ მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას;

ე) არ არის ხელმოწერილი ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა;

ვ) საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მხარდამჭერად შეყვანილია სხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველი;

ზ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ხელმომწერი პირი შესაბამისი კომისიისთვის წარდგენილი განცხადებით ადასტურებს, რომ ხელმოწერა შესრულებული იყო მოტყუებით, მუქარით ან ძალადგანებით და განცხადებაზე მისი ხელმოწერა დამოწმებული იყო სანოტარო წესით;

თ) არასრულად ან არასწორად არის მითითებული საქართველოს მოქალაქის პირადობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) მოწმობისა და პირადი ნომრები.

4. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ბათილია ყველა ხელმოწერა, შესრულებული იმ ბლანკზე, რომელიც დადასტურებული არ არის ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ან რომელშიც მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული ამ კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.

5. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* მხარდამჭერთა სიის შემოწმება სდება ცესკოს მიერ დადგენილი წესით. პარტიის მხარდამჭერთა სიის შემოწმება უნდა დასრულდეს მისი წარდგენიდან 30 დღეში, მაგრამ არა უგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-10 დღისა, ხოლო კანდიდატის მხარდამჭერთა სიისა – მისი წარდგენიდან 15 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-8 დღისა.

6. მხარდამჭერთა სიის შემოწმების პროცესზე დასწრების უფლება აქვს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს.

7. მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ცენტრალური და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ცესკოს სათანადო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლოს. მხარდამჭერთა სიები ნადგურდება საარჩევნო რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის ამოწურვიდან 10 დღეში.

თავი VI

არჩევნების დაფინანსება

მუხლი 43. არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ფინანსური უზრუნველყოფა (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. არჩევნების (გარდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოთა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა არჩევნებისა) მოსამზადებლად და ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. ცესკო კანონით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის ხარჯის პროექტს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.

3. ამოღებულია *(12.10.2004. N488)*

4. თუ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრები ამ კანონით დადგენილ ვადამი არ ჩაირიცხება ცესკოს ანგარიშზე, იგი უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. *(29.12.2006 N4219)*

5. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 92[1]-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ვადები არ ერცელდება ამ კანონის 77-ე მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე. ცესკოსთვის ფულადი სახსრების გამოყოფის თაობაზე იძულებითი აღსრულება არ ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდიდან.

6. საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს სახით, უფლება აქვს მიიღოს გრანტი კანონით უფლებამოსილი პირისაგან. გრანტი გამოიყენება ცესკოსა და უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. *(12.10.2004. N488)*

მუხლი 44. არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრები

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 55 დღისა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე.

3. საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს დადგენილებით აგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.

მუხლი 45. არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განკარგვა

1. საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს კომისიის სახელით განკარგავენ და მათ მართლზომიერად გამოყენებაზე პასუხისმგებელნი არიან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი.

2. საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და 10 დღის ვადაში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენს საფინანსო ანგარიშს.

3. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აგენს განკარგულებით.

4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ნაერთ საფინანსო ანგარიშს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

5. არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებს საქართველოს კონტროლის პალატა.

მუხლი 46. საარჩევნო კამპანიის ფონდი

1. საარჩევნო კამპანიის ფონდი არის საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა.

2. საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა საგალდებულოა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის. სოფლისა და თემის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატები საარჩევნო კამპანიის ფონდს ხსნიან ნებაყოფლობით. *(16.12.2005 N 2263)*

3. საარჩევნო სუბიექტის მიერ მოზიდული ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ეროვნულ ან კომერციულ ბანკში ან მის შესაბამის განყოფილებაში შესაბამის საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში. ანგარიში იხსნება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

3[1]. საერთო ან ხელახალი არჩევნების დროს რეგისტრირებულმა პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის შემთხვევაში ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობისას საარჩევნო კამპანიის ფონდი უნდა გახსნან კენჭისყრამდე არა უგვიანეს 35 დღისა. *(23.12.2005 N 2414)*

4. საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის გახსნიდან 2 დღის ვადაში შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენს ბანკის მიერ გაცემულ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის გახსნის დამადასტურებელ დოკუმენტსა და ანგარიშის ნომერს, აგრეთვე აცნობებს საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის ვინაობასა და კოორდინატებს.

5. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის, პარტიის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ან მაჟორიტარი კანდიდატის პირადი ანგარიში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშად. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის ფონდისათვის ერთზე მეტი ანგარიშის გახსნა. *(12.10.2004. N488)*

6. პარტიას საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის გახსნისას და ბანკთან ურთიერთობისას უფლება აქვს ისარგებლოს პარტიის ბეჭდით, ხოლო საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების შეთანხმებით – მასში შემავალი ერთ-ერთი პარტიის ბეჭდით, რაც განსაზღვრულია საარჩევნო ბლოკის წესდებით.

7. საარჩევნო კამპანიის ფონდში მოზიდულ სასსრებად ითვლება როგორც საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სასსრები, ასეეე უსასყიდლოდ მიღებული ყველა საქონელი და მომსახურება (საბაზრო ფასებით).

მუხლი 47. საარჩევნო შემოწირულობები საარჩევნო კამპანიის ფონდში

1. საარჩევნო კამპანიის ფონდში საარჩევნო შემოწირულობებად ითვლება მის ანგარიშზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჩარიცხული ფულადი სასსრები, აგრეთვე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის მატერიალური ფასეულობა და მომსახურება.

2. საარჩევნო კამპანიის ფონდში საარჩევნო შემოწირულობების შემტანი იურიდიული პირი ვალდებულია მიუთითოს თავისი სახელწოდება და იურიდიული მისამართი, ხოლო ფიზიკურმა პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტი) და პირადი ნომრები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ანონიმური შემოწირულობები დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. *(16.12.2005 N2263)*

4. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის ფონდის სახსრების გარდა სხვა სასსრების გამოყენება.

5. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის ფონდში შემოწირულობების მიღება:

ა) სხვა სახელმწიფოსაგან;

ბ) სხვა სახელმწიფოს იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან;

გ) მოქალაქეობის არმქონე პირისაგან;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციისა და მოძრაობისაგან;

ე) არასამეწარმეო იურიდიული პირის და რელიგიური ორგანიზაციისაგან;

ვ) საქართველოს სამეწარმეო იურიდიული პირისაგან, რომელშიც არის სახელმწიფოს წილი.

მუხლი 48. საარჩევნო კამპანიის ფონდის განკარგვის წესი

1. საარჩევნო კამპანიის ფონდის ეფექტურად გამოყენებისა და განკარგვის მიზნით საარჩევნო სუბიექტი ნიშნავს (ირჩევს) საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველსა და ბუღალტერს.

2. საარჩევნო კამპანიის ფონდს საარჩევნო სუბიექტის მითითებით განკარგავენ ფონდის მმართველი და ბუღალტერი. ისინი პასუხისმგებელნი არიან საარჩევნო კამპანიის ფონდის მიზნობრივ გამოყენებაზე.

3. საარჩევნო ბლოკის მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის (არჩევის) წესი განისაზღვრება საარჩევნო ბლოკის წესდებით.

4. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი ვალდებულია უკანონოდ მიღებული შემოწირულობები გადარიცხოს სასელმწიფო ბიუჯეტში, ამასთანავე, საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნიდან თვეში ერთხელ შესაბამის საარჩევნო კომისიას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმების მეშვეობით აცნობოს შემოწირულობის წყარო, ოდენობა და მიღების თარიღი, ხოლო არჩევნების შემდგომ კანონით დადგენილ ვადებში წარუდგინოს ფონდის ანგარიში. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის პასუხისმგებლობა ამ კანონით განსაზღვრული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მიღებისა და შემოწირულობათა დამალვისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. *(16.12.2005 N2263)*

5. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი ყველა სახის ოპერაციას აფორმებს დოკუმენტურად. თუ რომელიმე ხარჯი ვერ ფორმდება, იგი უნდა გაფორმდეს ორმხრივი აქტით.

6. საარჩევნო სუბიექტები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცემებით მიიღებენ ამ კანონით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 8 დღისა შესაბამის საარჩევნო კომისიას აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების წყაროს მითითებით. აუდიტორული შემოწმების ჩატარების უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას). *(16.12.2005 N2263)*

7. საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, შესაბამისი მომავალი არჩევნების ჩათვლით ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

8. საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მიიღებენ ამ კანონით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას და დადგენილ ვადაში არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ან დადასტურდება ამ კანონის 46-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტების, ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა შესაბამისი რაიონული/საქალაქო სასამართლო იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად არჩევნების შედეგების შეჯამების თაობაზე. საარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის არასწორი მონაცემებით წარდგენისას მისი და საარჩევნო კამპანიის ფონდის განმკარგველი პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. *(16.12.2005 N 2263)*

9. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს 20 დღისა დახუროს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში. ანგარიშზე არსებული ნაშთი უბრუნდება შემტან პირებს შეტანილი ფულადი სახსრების პროპორციულად.

10. არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს განკარგულებით.

10[1]. საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშების მონიტორინგის მიზნით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არჩევნების პერიოდში ცესკოს განკარგულებით იქმნება საზოგადოებრივი წარმომადგენლებით, იურისტებითა და ლიცენზირებული აუდიტორებით დაკომპლექტებული ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. *(16.12.2005 N2263)*

11. ინფორმაცია საარჩევნო შემოწირულებების შესახებ არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდში არსებული ფულადი სახსრების ოდენობის, წყაროსა და ჩარიცხვის თარიღის შესახებ მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, აგრეთვე უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება შესაბამის ვებ-გვერდზე. *(23.06.2006 N3400)*

თავი VII

კენჭისყრა

მუხლი 49. კენჭისყრის დრო და ადგილი

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრა იმართება კენჭისყრის შენობაში არჩევნების (კენჭისყრის) დღის 8 საათიდან 20 საათამდე.

2. საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის ჩატარების დროსა და ადგილს ამომრჩეველებს აცნობებს კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა მათთვის ამომრჩევლის ბარათის გადაცემით.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინების უზრუნველყოფა. კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების (ისევე, როგორც შემდგომ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების) გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. შენობის დროებით ჩაკეტვისა თუ კენჭისყრის შეჩერებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების დადასტურების ან მისი გაუქმების შესახებ. კომისია უფლებამოსილია კენჭისყრის შეჩერების შემდეგ მიიღოს კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება განკარგულებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს კენჭისყრის შენობის დროებითი ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების ან მისი შეწყვეტის მიზეზი და დრო. შენობის ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით იხსნება შენობა/განახლდება კენჭისყრა. თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება. საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია თავისი განკარგულებით შეცვალოს კომისიის თავმჯდომარის ამ პუნქტით გათვალისწინებული განკარგულებები.

4. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

5. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის დღეს სამხედრო ნაწილებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ნაოსნობაში მყოფ გემებსა და ძნელად მისაღწევ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა.

6. აკრძალულია კენჭისყრის ჩატარება კენჭისყრის დღემდე ან კენჭისყრის დღის შემდეგ, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. კენჭისყრის პროცედურა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით იწყება კენჭისყრის დღის 9 საათზე და სრულდება 19 საათზე. (*12.10 2004 N488)*

მუხლი 50. კენჭისყრის შენობის მოწყობა

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს გადასცემენ დროებით, უსასყიდლოდ.

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია პარტია (პარტიები). არ შეიძლება საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსება და კენჭისყრის ადგილის გამოყოფა იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა-ნაგებობა ამ კანონის შესაბამისად კენჭისყრის ჩასატარებლად. სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია. კენჭისყრის ადგილი ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, უნდა გამოიყოს შენობის პირველ სართულზე. საუბნო საარჩევნო კომისიის მოთხოვნით ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ორგანოები ვალდებულნი არიან (თუ კომისიის სათანადო განკარგულება მათ გადაეცათ კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა), უზრუნველყონ კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარგივი ადაპტაცია, თუ საარჩევნო უბანში არიან ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველები და მათ სათანადო განცხადებით მიმართეს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

2[1]. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კენჭისყრის შენობაში:

ა) ფარული კენჭისყრისთვის უნდა მოეწყოს კაბინები. კაბინის ერთი მსარე ღია უნდა იყოს მისი სიმაღლის ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით უნდა იყოს დაფარული. ყოველი 500 ამომრჩეველისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი კაბინისა და ერთი სარეგისტრაციო მაგიდისა. ყოველ კაბინაში უნდა იყოს ერთი კალმისტარი; *(23.06.2006 N3400)*

ბ) უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და სპეციალური კონვერტების განთავსებისათვის; *(23.06.2006 N3400)*

გ) თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;

დ) თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიები, პარტიული სიები, კანდიდატთა სიები, ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი, აგრეთვე ამ კანონიდან ამონარიდი, თუ რა შემთხვევაშია ბათილი ბიულეტენი და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი/ოქმები (სადემონსტრაციო ოქმი არის A2 ფორმატის ფურცელი, რომელშიც შეიტანება იგივე მონაცემები, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში). *(23.06.2006 N3400)*

4. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას, როგორც საარჩევნო უბანში, ასევე ფარული კენჭისყრის კაბინაში (ოთახში).

5. პასუხისმგებლობა კენჭისყრის მომზადების, ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და კენჭისყრის შენობის ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 51. საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით, ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ სხვა ენაზეც.

2. საარჩევნო უბნებისთვის, სადაც არიან მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველები, ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ამ ამომრჩეველებს მისცემს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას. *(23.06.2006 N3400)*

3. საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვასა და საარჩევნო ყუთების (ძირითადის და გადასაგანის) დამზადებას უზრუნველყოფს ცესკო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს (გარდა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოსი) არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენებში შესატანი მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. ბიულეტენები იბეჭდება ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილ პირთა და დამკვირვებელთა მუდმივი მეთვალყურეობით. ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ (მათი დამზადების თითოეულ ადგილზე) შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დანიშნულ კომისიის 2 წევრსა და ამ კანონის საფუძველზე რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე წარადგენენ არა უმეტეს 3 დამკვირვებლისა. *(23.06.2006 N3400)*

4. სათანადო განკარგულების მიღებიდან 2 დღის ვადამი შესაბამისი საარჩევნო კომისია აქვეყნებს მონაცემებს საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვისა და საარჩევნო ყუთების დამზადების ადგილის შესახებ, აგრეთვე ბიულეტენების დაბეჭდვასა და ყუთების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირების თაობაზე.

5. ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, რომ დაბეჭდილი და შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს დაკვეთილ რაოდენობას, რომ მასთან არ დაიბეჭდოს და არ გავრცელდეს ზედმეტი ბიულეტენები.

6. საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

7. საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენი თანამიმდევრობით ინომრება (ნომერი აღინიშნება ბიულეტენის ყუაზე; ბიულეტენი და მისი ყუა ერთმანეთისაგან პერფორირებული ხაზითაა გამოყოფილი) და 50-50 ცალად იკინძება ბლოკნოტების სახით. ბლოკნოტები, ცალ-ცალკე თითოეული სახის ბიულეტენისათვის, თანამიმდევრობით ინომრება. ყოველ ბლოკნოტს აქვს თავფურცელი, რომელზედაც მითითებულია ბიულეტენის სახე, დაბეჭდილია ერაფები ბლოკნოტის ნომრის, ბლოკნოტში არსებული ბიულეტენების ნომრების, საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომრებისა და დასახელებებისათვის, გრაფები საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის იმ წევრის (ამომრჩეველთა რეგისტრატორის) ხელმოწერებისათვის, რომელსაც გადაეცემა ეს ბლოკნოტი, აგრეთვე გრაფა გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობის აღნიშვნისათვის. *(23.06.2006 N3400)*

8. თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობა ტოლია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტების რაოდენობა – საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50-ის ჯერადი (მეტობით დამრგვალებული) რიცხვისა. *(23.06.2006 N3400)*

9. ცესკო კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს. თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.

10. საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა ზუსტად აღირიცხება. ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისთვის და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემისას ორ ცალად დგება აქტი, რომელშიც აღინიშნება მათი გადამცემი და მიმღები კომისიების დასახელება, სპეციალური კონვერტების რაოდენობა, ბიულეტენთა სახეობა, ბიულეტენთა ბლოკნოტების რაოდენობა (მათი ნომრებისა და ბიულეტენების ნომრების მითითებით), მათი გამცემი და მიმღები პირების ვინაობა. აქტს ხელს აწერენ ამ საბუთების გამცემი და მიმღები პირები (აქტის ერთი ცალი რჩება სპეციალური

კონვერტებისა და ბიულეტენების ვადამცემ კომისიაში, ხოლო მეორე ცალი გადაეცემა ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების მიმღებს). საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, რომელსაც გადაეცემა სპეციალური კონვერტები და ბიულეტენები, ვალდებულია მოითხოვოს მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ცალი მესაბამისი საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადასაცემად. მიღება-ჩაბარების აქტი საჯარო ინფორმაციაა.

11. საარჩევნო ბიულეტენის წინა გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) არჩევნების დასახელება და არჩევნების ჩატარების თარიღი;

ბ) საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი (ბიულეტენის ყუასა და საკუთრივ საარჩევნო ბიულეტენზე);

დ) პროპორციული სისტემით არჩევნებისას – არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის რიგითი ნომერი და სახელწოდება (საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში აღინიშნება მასში გაერთიანებული პარტიებიც); მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას – კანდიდატის (სარეზერვო კანდიდატების ჩათვლით) რიგითი ნომერი, გვარი, სახელი, წარმდგენი პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, ხოლო თუ იგი წარდგენილია ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ, მიეთითება „დამოუკიდებელი"; *(23.06.2006 N3400)*

ე) საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.

12. საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის – რეგისტრატორის – ხელმოწერის ადგილი;

„ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის – ამომრჩეველთა რეგისტრატორის სპეციალური ბეჭდით დამოწმების ადგილი; *(23.06.2006 N3400)*

გ) ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

13. საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში, სუბიექტის სახელის გასწვრივ დაისმება შტამპი „არჩევნებიდან მოხსნილია".

14. საარჩევნო ბიულეტენი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. კენჭისყრის დღეს აკრძალულია კენჭისყრის შენობიდან მისი გატანა, წაღება ან განადგურება.

15. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე, რომლის დაკეთისა და შესყიდვის უფლება აქვს მხოლოდ ცესკოს.

16. ამ მუხლის მე-14 პუნქტით დადგენილი აკრძალვის დარღვევა, აგრეთვე ყალბი საარჩევნო ბიულეტენისა და ამ მუხლის მე-15 პუნქტში აღნიშნული სპეციალური ქაღალდის დამზადება, გავრცელება და გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 51[1]. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები აისახება საუბნო საარჩევნო კომისიის, საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

2. შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი სამართლებრივი აქტი. ოქმის ყველა ეგზემპლარს და ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ საუბნო საარჩევნო კომისიის N02 შემაჯამებელი ოქმის ამავე კანონით დადგენილი წესით დამოწმებულ ქსეროასლს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს. *(23.06.2006 N3400)*

3. აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. ასეთი ოქმი ბათილია. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში, შესაბამისი მონაცემის გასწვრივ, მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია" და საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. ამ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება სხდომას, ოქმს დაესმება კომისიის ბეჭედი, გატარდება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში და დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელში შეტანილი მონაცემებიც იქნა შესწორებული.

4. თითოეული სახის შემაჯამებელი ოქმები (საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები) იკინძება ბლოკნოტების სახით. ბლოკნოტები, ცალ-ცალკე თითოეული სახის ოქმისათვის, თანამიმდევრობით ინომრება, დაწყებული 00001-დან საუბნო საარჩევნო კომისიის

ოქმებისათვის და 001-დან საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმებისათვის. ოქმი და მისი ყუა ერთმანეთისაგან პერფორირებული ხაზითაა გამოყოფილი. თითოეული ბლოკნოტის ფურცლები თანამიმდევრობით ნომრრება, დაწყებული 01-დან. ბლოკნოტს აქვს ყდა, რომლის თავფურცელზედაც დაბეჭდილია არჩევნების დასახელება, საერთო არჩევნების ჩატარების წელი, ოქმების სახე, ბლოკნოტის ნომერი, გრაფები საარჩევნო ოლქის ნომრისა და დასახელების, საარჩევნო უბნის ნომრის, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ბლოკნოტის მიღების თარიღის აღნიშვნისა და ბლოკნოტის გამცემი და მიმღები უფლებამოსილი პირების ხელმოწერებისათვის. ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელი წარმოადგენს საუბნო/საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმს, რომელიც ყდის თავფურცელთან, გამოუყენებელ ოქმებთან და საარჩევნო კომისიის სხვა საბუთებთან ერთად ილუქება მესაბამისად საარჩევნო უბანში/საარჩევნო ოლქში კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ. *(12.10.2004. N488)*

5. შემაჯამებელი ოქმები ზუსტად აღირიცხება. მათ დაბეჭდვას უზრუნველყოფს ცესკო. ოქმები იბეჭდება ცესკოს მიერ უფლებამოსილ პირთა და დამკვირვებელთა მუდმივი მეთვალყურეობით. ოქმების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, რომ დაბეჭდილი და ცესკოსთვის გადაცემული ოქმების რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს დაკვეთილ რაოდენობას, რომ მასთან არ დაიბეჭდოს და არ გავრცელდეს ზედმეტი ოქმები.

6. საარჩევნო კომისიაში ოქმების შენახვასა და დანიშნულებისამებრ გაცემაზე პასუხისმგებელია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. *(23.06.2006 N3400)*

7. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიას გაღასცემს საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელი ოქმების ბლოკნოტებს. ბლოკნოტი შედგება 2 ფურცლისაგან (N01, N02) და საუბნო საარჩევნო კომისიის კუთვნილი ოქმისაგან. *(23.06.2006 N3400)*

8. ამოღებულია (*12.10.2004. N488)*

9. შემაჯამებელი ოქმები იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე, რომლის დაკვეთისა და შესყიდვის უფლება აქვს მხოლოდ ცესკოს.

მუხლი 51². კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი და კენჭისყრის ბიმდინარეობის თაობამე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში (შემდგომ – ჩანაწერთა წიგნი).

2. ჩანაწერთა წიგნის თითო ცალი საარჩევნო ბიულეტენებთან ერთად გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიებს.

3. ჩანაწერთა წიგნი წარმოადგენს ე.წ. ზონარგაყრილ წიგნს. ზონარი ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი და დაესმევა საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭედი. ჩანაწერთა წიგნის ყველა გვერდი დანომრილი უნდა იყოს და თითოეულ გვერდზე უნდა აღინიშნოს საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის ნომერი.

4. საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერს მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი. *(12.10.2004. N488)*

4¹. ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს კომისიის წევრთა შორის წილისყრით ფუნქციების განაწილების შედეგები. *(12.10.2004. N488)*

4². ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს გადასაგანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისათვის გაგანებული, კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთში არსებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა. *(12.10.2004. N488)*

4³. ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს ინფორმაცია კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის კომისიის სხვა წევრისთვის დროებით გადაცემის შესახებ. *(12.10.2004. N488)*

5. ჩანაწერთა წიგნი გადაეცემა კომისიის მდივანს, რომელიც ვალდებულია წიგნში აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო.

6. ამოღებულია (*12.10.2004. N488)*

7. კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას შემაჯამებელ ოქმში შესაგანი თითოეული მონაცემის დადგენისთანავე კომისიის მდივანს იგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნში (ამისათვის გამოიყენება წიგნის მე-6–მე-9 გვერდები) და სადემონსტრაციო ოქმში. *(12.10.2004. N488)*

8. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უფლებამოსილია კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში (ამისათვის გამოიყენება წიგნის მე-10 და მომდევნო გვერდები), მიუთითოს მოწმეები (მათი არსებობის შემთხვევაში). ჩანაწერის შემტანი პირი ვალდებულია ჩანაწერთა წიგნში მიუთითოს თავისი გვარი, სახელი და პისამართი რეგისტრაციის მოწმობის მისედვით. *(12.10.2004. N488)*

9. არაკის აქვს უფლება ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირს ჩანაწერი შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში.

10. ჩანაწერთა წიგნი კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა დალუქულ საბუთებთან ერთად გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 52. საარჩევნო უბნის გახსნა

1. საარჩევნო უბანი ისსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე, რაც გახსნისთანავე უნდა ეცნობოს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო კენჭისყრა იწყება 8 საათზე. უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოაელენს (წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომიისიის მდივანი): *(23.06.2006 N3400)*

ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს, რომელიც აერთვე ამოწმებს ამომრჩეველთა მარკირებას;

ბ) ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს (სულ ცოტა ერთ წევრს ყოველი 500 ამომრჩეველისთვის), რომლებიც აგრეთვე გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებს ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო ადგილას ხელის მოწერის და ბეჭდის დასმის შემდეგ;

გ) საარჩევნო ყუთისა და კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს;

დ) გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრს (აუცილებლობის შემთხვევაში).

1[1]. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, შრომითი ანაზღაურების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს – საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრს, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიაში არ გამოცხადდება კენჭისყრის დღეს, შეიძლება ჩაენაცვლოს ამ წევრის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კომისიის სარეზერვო წევრი. სარეზერვო წევრზე ვრცელდება კომისიის წევრისათვის ფუნქციის მინიჭების ამ პუნქტით დადგენილი წესი. ზემოაღნიშნულ წევრთა შრომითი ანაზღაურების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია. *(23.06.2006 N3400)*

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* წილისყრის ჩატარებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს იმ დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭედი, და ხსნის მას. ამის შემდეგ ერთსაირ ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი სამუალებით წერს კომისიის წევრთა ამ მუსლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ფუნქციებს. ფურცელი უნდა დამოწმდეს კომისიის სპეციალური ბეჭდით. ფურცელი იმგვარად იკეცება, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა. კომისიის ბეჭდით დამოწმებულ შევსებულ და ცარიელ ფურცლებს კომისიის თავმჯდომარე ათავსებს გადასატან საარჩევნო ყუთში და ურევს მათ. ცარიელი და შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს. წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები ყუთიდან სათითაოდ იღებენ თითო ფურცელს. წილისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში ჩაწერს წილისყრით ფუნქციათა განაწილების შედეგებს.

3. თუ კენჭისყრის დღეს კომისიის წევრთა რაოდენობა ერთით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის მდივანი ასრულებს ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციას. თუ კომისიის წევრთა რაოდენობა ორით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას. თუ კომისიის წევრთა რაოდენობა სამით ნაკლები აღმოჩნდა, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას. თუ კომისიის წევრთა რაოდენობა ოთხით ნაკლები აღმოჩნდა, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა. კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისათვის

შეიძლება მსოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რაც უნდა აღინიშნოს ჩანაწერთა წიგნში (დროის მითითებით). *(23.06.2006 N3400)*

3[1]. თუ კომისიის წევრთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, საარჩევნო უბანი არ იხსნება. *(23.06.2006 N3400)*

4. წილისყრის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ა) აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ერთიანი და სპეციალური სიების, აგრეთვე ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის) მიხედვით; *(12.10.2004. N488)*

ბ) ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას და აცხადებს მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობას;

გ) ამოღებულია*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

დ) ამოწმებს და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით – ინდივიდუალური ნომრის მქონე ზონარით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს. *(28.11.2003 N 3124)*

5. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემები საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში, სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

6. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები ილუქება და მათში საკონტროლო ფურცლები იყრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ პირველი ამომრჩევლის მისვლის შემდეგ. საკონტროლო ფურცელი ივსება სამ ცალად და მათ ხელს აწერენ პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკონტროლო ფურცლებზე აღინიშნება საარჩევნო ყუთებში მათი ჩაგდების ზუსტი დრო და პირველი ამომრჩეველის გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და პირადი ნომრები. საკონტროლო ფურცლის ერთი ცალი ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ მათში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით.

6[1]. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ინახავს და პასუხისმგებელია შედარების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახული საკონტროლო ფურცლის დაცვასა და ნამდვილობაზე. *(23.06.2006 N3400)*

7. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ამომრჩეველთა ყოველ რეგისტრატორს გადაეცემა ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტი, რაც დასტურდება მის თავფურცელზე კომისიის თავმჯდომარისა და რეგისტრატორის ხელმოწერებით. ბლოკნოტიდან ყველა ბიულეტენის გაცემის შემდეგ რეგისტრატორს გადაეცემა მეორე ბლოკნოტი და ა.შ.

8. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თითოეულ რეგისტრატორს გადასცემს წილისყრით გამოვლენილ სპეციალურ ბეჭედს, რომლის კოდი შეიტანება ჩანაწერთა წიგნში. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 52[1]. ამომრჩეველთა მარკირება *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ყველა საარჩევნო უბანში ხორციელდება ამომრჩეველთა მარკირება, რაც ითვალისწინებს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე (აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში - მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას - ასეთივე წესით მარცხენა ხელზე). *(28.11.2003 N 3124)*

2. მარკირების შემოწმების პროცედურას ამომრჩეველი გადის კენჭისყრის ოთახში შესვლისას კომისიის შესაბამის წევრთან, რომელიც სპეციალური ხელსაწყოთი ამუქებს მარკირების ადგილს და მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნება, აძლევს მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა და მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნში.

3. ამომრჩეველი, რომელიც გაივლის მარკირების შემოწმების პროცედურას, გადაინაცვლებს სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც რეგისტრატორი განახორციელებს მის მარკირებას და იგი მიიღებს საარჩევნო ბიულეტენს (ბიულეტენებს). მარკირების პროცედურის გავლაზე უარის თქმის შემთხვევაში ამომრჩეველს არა აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და მასზე ბიულეტენი (ბიულეტენები) არ გაიცემა. *(23.06.2006 N3400)*

4. თუ საარჩევნო კომისიის წევრს, უბანზე მყოფ დამკვირვებელს ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ეჭვი გაუჩნდა მარკირების ან მისი შემოწმების პროცედურის გამო, იგი

უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლის მე-2 ან და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის ხელახლა ჩატარება. ამ პირებს უფლება აქვთ სათანადო რეაგირება მოითხოვონ მარკირების პროცედურის დარღვევის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ გამოყენებაზე.

5. მარკირება არ გამოიყენება ნაოსნობაში მყოფ გემებზე, წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში (ავადმყოფების მიმართ), აგრეთვე ადასტატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრის მონაწილეთა მიმართ.

6. ამომრჩეველს, რომელმაც გაიარა მარკირების პროცედურა და მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში, უფლება არა აქვს იმავე ან სხვა საარჩევნო უბანში ხელახლა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა.

6[1]. ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დამრღვევ პირს ეკისრება საქართველოს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

მუხლი 53. საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური კონვერტის გაცემა

1. *(14.08.2003წ. N2965-რს)* საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენსა (ბიულეტენებსა) და სპეციალურ კონვერტებს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) წარდგენის შემთხვევაში.

2. კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი სპეციალური კონვერტი და შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი.

3. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში შეიტანება საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი. ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემას რეგისტრატორი კომისიის წევრი ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს. *(23.06.2006 N3400)*

4. ამოღებულია *(14.08.2003წ. N2965-რს)*

5. *(14.08.2003წ. N2965-რს)* ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს.

6. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი, შესაბამისი დროის მინიშნებით, შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო და შემაჯამებელ ოქმებსა და ჩანაწერთა წიგნში.

მუხლი 54. კენჭისყრის ჩატარება

1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

2. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით: *(23.06.2006 N3400)*

ა) კენჭისყრის ოთახში შესვლამდე ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას;

ბ) თუ ამომრჩეველი არ იქნება მარკირებული, მას მისცემენ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება;

გ) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო, და რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს). რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას, რის შემდეგაც ამომრჩეველთა სიაში მისი პირადი ნომრის შეტანის შემდეგ ამომრჩეველი ხელის მოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას. ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას რეგისტრატორი ხელს აწერს მის (მათ) უკანა გვერდზე სათანადო გრაფასა და ამომრჩეველთა სიაში და ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამოწმებს სპეციალური ბეჭდით;

დ) საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) დამოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონის შესაბამისად დადგენილი წესით. ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი (ისინი) ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა;

ე) დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით (ბიულეტენებით) ამომრჩეველი მიდის განცალკეეებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს, და მასში ათავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს). მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი, ბიულეტენი (ბიულეტენები) სპეციალურ კონვერტში მოათავსოს; კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შეესებული ბიულეტენი (ბიულეტენები) ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა;

ვ) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩეველის მისვლა არ შეიძლება;

ზ) საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთისა და კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს;

თ) კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო ბიულეტენების შეესებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:

ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ბ) კანდიდატისა;

გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;

დ) დამკვირვებლისა.

4. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩეველის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

5. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის (ბიულეტენების) ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელთ აქვს მხოლოდ ამ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

6. თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.

7. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩეველებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომი ამომრჩეველების გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გამოაცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩეველებს შეუძლიათ. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 55. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვა

1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩეველისათვის.

3. დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა.

4. თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები. სამოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიას.

მუხლი 56. გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის უფლება აქვთ აქ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ პირებს.

2. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე. ინფორმაციას კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა. ამომრჩეველი ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში) შეპყავთ მას შემდეგ, რაც: *(23.06.2006 N3400)*

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს და ხელმოწერით დააადასტურებს ამომრჩეველის წერილობით განცხადებას ან სატელეფონო ზეპირ განცხადებას, სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დროის და შესაბამისი ტელეფონის ნომრის მითითებით;

ბ) ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში აღინიშნება ამომრჩეველის გადაყვანა ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში), რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.

3. კენჭისყრის დღის 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრს გადასცემს ამომრჩეველთა სიის დანართს (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას), რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს. *(23.06.2006 N3400)*

3[1]. ამოღებულია *(12.10.2004.N488)*

4. ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის წილისყრით გამოვლენილი წევრი და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები თავიანთი სურვილისამებრ.*(23.06.2006 N3400)*

4[1]. გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ეალდებულია გამოყოს ადგილი ავტომანქანაში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის. *(23.06.2006 N3400)*

5. ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით კენჭისყრის გასამართად გამოიყენება ერთი გადასატანი ვამჭვირვალე ყუთი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საარჩევნო კომისიის წევრებს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთში არსებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა შეჯამდება შეღარების მიზნით. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ დარჩენილ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება. (12.10.2004.N488)

6. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამომრჩეველის რეგისტრაციის ადგილი და ამომრჩეველის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქშია, ამომრჩეველს ეძლევა პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და მასზე გაიცემა შესაბამისი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩეველს ეძლევა მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. კენჭისყრის პროცედურას ატარებს საუბნო საარჩევნო კომისია, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს ის სამსედრო ნაწილი, საავადმყოფო ან სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება ან თავისუფლების აღკვეთის ადგილი, რომელშიც იმყოფება ამომრჩეველი.

7. გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა მთავრდება კენჭისყრის დღის 19 *(25.04. 2002 N1380 საკანონმდებლო მაცნე N9)*საათზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა. დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს კენჭისყრის დღის 20 *(25.04. 2002 N1380 საკანონმდებლო მაცნე N9)* საათისა, დაბრუნებულ უნდა იქნეს საუბნო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 57. საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამ კანონის 52-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წილისყრის მონაწილე კომისიის წევრებისგან იმავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთელელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს (თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდნენ, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოაელენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* მთელელები თანამიმდევრულად ითვლიან ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიებისა და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას. შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში, სადემონტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში, რის შემდეგაც ცალ-ცალკე შეუთავსებს და დალუქავს ერთიან და სპეციალურ სიებსა და ამომრჩეველთა სიის დანართს.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* მთელელები შემდეგი თანამიმდევრობით ითვლიან და პაკეტებად კრავენ:

ა) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს, რომელთა რაოდენობას საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელზე), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. პაკეტზე მიეთითება გამოუყენებელ ბიულეტენთა რაოდენობა; *(23.06.2006 N3400)*

ბ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს, რომელთა რაოდენობას საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელზე), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. პაკეტზე მიეთითება გაფუჭებულ ბიულეტენთა რაოდენობა. *(23.06.2006 N3400)*

4. თითოეულ პაკეტზე უნდა მიეთითოს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა. *(23.06.2006 N3400)*

5. პაკეტები უნდა დაილუქოს და მათ ხელი უნდა მოაწერონ მთელელებმა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

6. სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთს, ამომრჩეველთა სიას, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს. საარჩევნო ყუთი, ამომრჩეველთა სია და დალუქული გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საუბნო საარჩევნო კომისიას, რომელიც შემდგომ პროცედურებს ასრულებს გადასაგანი საარჩევნო ყუთისათვის დადგენილი წესით. ამ ორი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ერთი ოქმით.

მუხლი 58. საარჩევნო ყუთის გახსნა

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.

2. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება და დალუქული საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* მთელელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ერთი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები. ამ მთელელების გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე.

4. საუბნო საარჩევნო კომისია თავდაპირველად ხსნის გადასაგან საარჩევნო ყუთს. მთელელები საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს ათავსებენ მაგიდაზე, ამოწმებენ გადასაგან ყუთში

საკონტროლო ფურცლის არსებობას და ძას უდარებენ საუბნო საარჩევნო კომისიაში შედარების მიზნით შესახულ საკონტროლო ფურცელს. ამ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავების არარსებობის შემთხვევაში მთვლელები ითვლიან იმ სპეციალურ კონვერტებს, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები. სპეციალური კონვერტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში) ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას. თუ იმ სპეციალური კონვერტების რაოდენობა, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები, მეტი აღმოჩნდება ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის) მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკერება პაკეტად, დაეწერება „ბათილია" და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ მთვლელები ხსნიან ძირითად საარჩევნო ყუთს. (12.10.2004. N488)

5. მთვლელები ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ განცალკევებით მდგომ მაგიდაზე, ამოწმებენ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მას უდარებენ საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, მთვლელები ერთმანეთში ურევენ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. (12.10.2004. N488)

მუხლი 59. ხმის დათვლა

1. საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:

ა) პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მეორე მთვლელს, მეორე სახისას – მესამე მთვლელს და ა.შ., ხოლო სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე. მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს აწყობენ ცალ-ცალკე, თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების შესაბამისად;

ბ) ცალკე ეწყობა დადგენილი ნიმუშის და მთვლელების მიერ ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები, ცალკე – საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული;

გ) ამოღებულია (12.10.2004.N488)

დ) ამოღებულია (12.10.2004.N488)

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ერთი მეთვალყურე დგება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნულ მეორე მთვლელთან, ხოლო მეორე მეთვალყურე – იმავე ქვეპუნქტში აღნიშნულ მესამე მთვლელთან. მათ უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება, ხოლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაასაჩიერონს საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, შემდეგ კი – სასამართლოში. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ მიუთითონ მთვლელს, ცალკე გადადოს ის საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული. მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

3. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით; (*23.06.2006 N3400)*

ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

გ) სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;

დ) სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშისა;

ე) საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;

ვ) საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისათვის.

8) ამოღებულია (*23.06.2006 N3400)*

4. ყველა საარჩევნო ბიულეტენის დახარისხების შემდეგ მოწმდება ის საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული. თითოეული საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობის საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენი ეშტება ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტას, ხოლო ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენი – ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები და მათ ეწერება „ბათილია", რასაც ხელს აწერენ მთელელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ეს ბიულეტენები პაკეტად იკერება და მათ რაოდენობას საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელზე), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში; სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკერება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში. (12.10. 2004. N488)

6. ამოღებულია (12.10.2004. N488)

7. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო ბიულეტენების ყოველი პაკეტი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეკერას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე და რაოდენობა.

8. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა და საარჩევნო ბიულეტენები იკერება ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღწერილი წესით. თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი ბიულეტენების დასტა ცალ-ცალკე უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამის შემაჯამებელ ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელში), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

9. ყოველი 10 *(25.04. 2002 N1380 საკანონმდებლო მაცნე N9)* საარჩევნო ბიულეტენი იკერება ლითონის შემკერით და ყოველ შეკერას, როგორც სრულს, ისე არასრულს ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. ეს შეკერები, თავის მხრივ, იკერება ცალკე დასტად. საარჩევნო ბიულეტენების დასტას უნდა ეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო სუბიექტის (სუბიექტების), მონაცემები (დასახელება, სახელი და გვარი) და მის (მათ) მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, აგრეთვე ამ დასტაში ჩადებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

მუხლი 60. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

1. ამ კანონის 57-ე–59-ე მუხლებში აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ავსებს ოქმის 2 ეგზემპლარს (NN01-02).(*23.06.2006 N3400)*

2. საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს დგება 2 შემაჯამებელი ოქმი. ერთი ოქმი დგება პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების, ხოლო მეორე ოქმი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს დგება 1 შემაჯამებელი ოქმი. (*23.06.2006 N3400)*

3. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი;

ბ) არჩევნების დასახელება;

გ) კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდისა და რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები; (*23.06.2006 N3400)*

ე) ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა; (*23.06.2006 N3400)*

ვ) ამომრჩეველთა რაოდენობა სპეციალურ სიაში;

ზ) ამოღებულია (*23.06.2006 N3400)*

თ) ამოღებულია (*23.06.2006 N3400)*

ი) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ერთიან და სპეციალურ სიებში ამომრჩეველთა რაოდენობების ჯამი) (*23.06.2006 N3400)*

კ) არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 12 და 17 საათზე;

ლ) არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);

მ) მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ნ) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ო) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

პ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ჟ) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა;

რ) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა (საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობისა და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი);

ს) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;

ტ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი" და ხელს აწერს მას);

უ) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას);(*23.06.2006 N3400)*

ფ) საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისთვის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება საარჩევნო სუბიექტის წარმდგენი პარტიის/საარჩევნო ბლოკის დასახელება და რიგითი ნომერი. (*23.06.2006 N3400)*

[31]. საუბნო საარჩევნო კომისია განკარგულებით, რომელიც მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, ამტკიცებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს. (12.10.2004. N488)

4. საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

5. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

6. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

7. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის N01 და N02 ეგზემპლარები (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიების დალუქულ პაკეტთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც N01 ოქმს საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმთან ერთად გადასცემს ცესკოს. (*23.06.2006 N3400)*

8. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ოქმის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის. საუბნო საარჩევნო კომისია N02 შემაჯამებელი ოქმის ქსეროასლს (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) მათი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცემს პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ქსეროასლი უნდა დამოწმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც NN01-02 ოქმებისა). ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საუბნო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით ადასტურებს. კენჭისყრის დღის მეორე დღიდან საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმის ქსეროასლებს გასცემს საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისია გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის N02 შემაჯამებელი ოქმის ქსეროასლს, დამოწმებულს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც NN01-02 ოქმებისა). ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს. (*23.06.2006 N3400)*

9. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან ერთად საოლქო საარჩევნო კომისიას ეგზავნება ამომრჩეველთა სიები კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა

ხელმოწერებით. საოლქო საარჩევნო კომისია, თავის მხრივ, აღნიშნულ სიებს უგზავნის ცესკოს, რომელიც ახარისხებს მათ და ინახავს არქივში.

მუხლი 61. განცხადებები და საჩივრები კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე

1. *(14.08.2003წ. N2965-რს)* განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს ამ კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

2. განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება:

ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;

ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი, გვარი და მისამართი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;

დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;

ე) მოწმის არსებობის შემთხვევაში მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი;

ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა; *(28.11.2003 N3124)*

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

3. *(14.08.2003წ. N2965-რს)* განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ საარჩევნო ყუთის გახსნამდე უნდა გადაეცეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს, რომელიც რეგისტრაციაში გააგარებს მას ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს ამ კანონის 22-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

4. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, განმცხადებელს/მომჩივანს, ხოლო უფლებამოსილი ორგანიზაციის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში– ასევე მის წარმომადგენელს, უფლება აქვს ანალოგიური განცხადება/ საჩივარი დაუყოვნებლივ წარუდგინოს ზემდგომ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. (12.10.2004. N488)

5. *(14.08.2003წ. N2965-რს)* განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცებამდე და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღი და დრო;

ბ) განმცხადებლის/მომჩივნის გვარი, სახელი და მისამართი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;

დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;

ე) მოწმის (თუ არის) გვარი, სახელი და მისამართი;

ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა; *(28.11.2003 N3124)*

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (თუ არის);

თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

6. *(14.08.2003წ. N2965-რს)* ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება ჩანაწერთა წიგნში და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე, ხოლო თუ შედეგების შეჯამება ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება, – შემაჯამებელი ოქმის შედგენის მომდევნო დღის 18 საათამდე. განცხადება/საჩივარი ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.

7. საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალი იხურება კომისიის მდივნისა და კომისიის წევრთა ხელმოწერით და მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

8. საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალი და შემოსული განცხადებები (საჩივრები) ილუქება ცალ-ცალკე და იკვრება ერთ პაკეტად.

9. საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი ილუქება ცალკე პაკეტში. პაკეტს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის სხვა წევრები.

მუხლი 62. ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული განცხადების/საჩივრის განხილვა *(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. ამ კანონის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება/საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში მიღებისთანავე საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება საოლქო საარჩევნო კომისიის ჟურნალში. კომისია მას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით.

2. ამ კანონის 61-ე მუხლის 1-ლი – მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი პროცედურის დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება.

მუხლი 63. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში*(14.08. 2003წ. N 2965-რს)*

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-4 დღისა აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების (პარტიული სიებით), საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების და ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნების კენჭისყრის შედეგებს, ადგენს საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს. *(23.12.2005 N 2441)*

2. საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება;

ბ) არჩევნების დასახელება;

გ) კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);

დ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში;

ე) არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში;

ვ) მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ზ) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

თ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

ი) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;

კ) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტე- ბისათვის და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა;

ლ) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა (საარჩევნო სუბიექტე- ბისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობისა და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი);

მ) იმ საარჩევნო უბნის ნომერი, რომელშიც კენჭისყრის შედეგები საოლქო საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში და კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველი;

ნ) გაცემულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;

ო) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;

პ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი" და ხელს აწერს მას);

ჟ) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი (აღინიშნება ოქმის გაცემისას). (12.10.2004. N488)

„2[1]. საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით ამტკიცებს კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. (12.10.2004. N488)

3. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი მონაცემები, ასევე არჩეული პირის (არჩეულ პირთა) ვინაობა, მეორე ტურში გასულთა ვინაობა, მეორე ტურში არჩეული პირის ვინაობა. (12.10.2004. N488)

4. თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო კენჭისყრის შედეგები საარჩევნო უბანში/უბნებში და ამ უბანში/უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ისეთია, რომ განმეორებითი კენჭისყრა გავლენას ვერ მოახდენს არჩევნების ჩატარებულად ცნობაზე ან საარჩევნო ოლქში არჩეული თუ მეორე ტურში გასული პირის/პირების გამოვლენაზე, საოლქო საარჩევნო კომისია არჩეულ თუ მეორე ტურში გასულ პირს/პირებს დაადგენს ამ უბნის/უბნების გაუთვალისწინებლად.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი დამოწმდება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

6. თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება, და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

7. საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს ამ მუხლში აღნიშნული მონაცემები მათი დადგენისთანავე შეაქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო და ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოკრულ სადემონსტრაციო ოქმში.

8. საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის N01 ფურცელი (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუ ასეთი ცვლილებები იქნა შეტანილი) დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს. (12.10.2004. N488)

9. საოლქო საარჩევნო კომისიის N02 შემაჯამებელი ოქმის ქსეროასლი (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) მათი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაეცემა პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ქსეროასლი უნდა დამოწმდეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც NN01-02 ოქმებისა). ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით აღასტურებს. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 64. არჩევნების შედეგების შეჯამება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-18 დღისა თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს და განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

1[1]. აკრძალულია ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება საერთო სასამართლოებში არსებული შესაბამისი საარჩევნო დავების დასრულებამდე და ამ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გათვალისწინების გარეშე. *(28.11.2003 N 3124)*

2. განცხადების (საჩივრის) ან/და საარჩევნო კომისიის წევრის განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნების შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე შეაჯამოს.

3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აჯამებს არჩევნების შედეგებს და აღგენს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას;

ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას;

გ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობას;

დ) საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობას; *(12.10.2004. N488)*

ე) ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობას. *(12.10.2004. N488)*

3[1]. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ცესკო, საარჩევნო უბნებიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შემოსვლის პარალელურად, უზრუნველყოფს ამ ოქმების მონაცემთა ინტერნეტში განთავსებას.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ინტერნეტში.

4. ამოღებულია*(14.08. 2003წ. N2965-რს)*

5. ამოღებულია*(14.08. 2003წ. N2965-რს)*

6. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. ოქმის ერთი ცალი ინახება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა ამ კანონით გათვალისწინებულ ორგანოებს. ოქმის ასლები გადაეცემა ყველა დაინტერესებულ პირს.

7. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო ინტერნეტით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ თითოეული უბნის მიხედვით და არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს მას პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს. *(23.06.2006 N3400)*

თავი VIII

საჯაროობა არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას

მუხლი 65. არჩევნების საჯაროობა

1. საქართველოში არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესი საჯაროა.

2. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, საარჩევნო კომისიების, საარჩევნო სუბიექტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობა ხორციელდება ღიად და საჯაროდ. *(14.12.2006 N3990)*

3. საარჩევნო სუბიექტების, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ კენჭისყრის დღეს იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობებში და დააკვირდნენ კენჭისყრის პროცესს.

მუხლი 66. საჯაროობა არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას

1. არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიები აქვეყნებენ ინფორმაციას:

ა) თავისი საქმიანობის შესახებ;

ბ) საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნის შესახებ;

გ) საარჩევნო კომისიების შემადგენლობის, ადგილსამყოფლისა და სამუშაო საათების შესახებ;

დ) საარჩევნო სუბიექტების შესახებ.

2. საარჩევნო კომისიები მათთვის განკუთვნილ შენობებში თვალსაჩინო ადგილას აკრავენ:

ა) ამომრჩეველთა სიებს და ამ სიებში უზუსტობების გასაჩივრების წესსა და ვადებს;

ბ) საარჩევნო სუბიექტების სიებს;

გ) საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს (ასეთის წარდგენის შემთხვევაში), რომლებიც ჩამოიხსნება კენჭისყრის დღის წინა დღის 24 საათამდე;

დ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხება მოცემული კომისიის საქმიანობას.

3. შესაბამისი საარჩევნო კომისიები პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებენ:

ა) არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიებს;

ბ) ამოღებულია*(14.08. 2003წ. N2965-რს)*

გ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებს;

დ) არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

4. საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს, ხოლო ასლების მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შეიძლება დაწესდეს საფასური ასლების გადაღებისათვის საჭირო თანხის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. საბოგადოებრივი მაუწყებლის (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) მეშვეობით ამ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებისას სმენის გამო შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის ბეჭერითი ინფორმაციის გადასაცემად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გამოიყენოს ყესტების ენა ან/და სათანადო სპეციალური ტექნოლოგიები. *(23.06.2006 N3400)*

მუხლი 67. საარჩევნო კომისიის სხდომის საჯაროობა. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები

1. საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საარჩეენო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიების აპარატის თანამშრომლებს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, აგრეთვე შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის და ცესკომი რეგისტრირებულ საერთაშორისო ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად, თუ შენობის ფართობი არ იძლევა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მეტი რაოდენობის დასწრების შესაძლებლობას. წესრიგის დარღვევისა და საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შემლის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი სხდომიდან გააძევოს, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში. *(23.06.2006 N3400)*

2. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს;

ბ) საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს;

გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს;

დ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს;

ე) დამკვირვებლებს.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას), რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი და სტატუსი: ცესკოს, N...საოლქო საარჩევნო კომისიის ან N ...საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი/წევრი, ან ცესკოს/ N...საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, ან პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება და სიტყვა „წარმომადგენელი", ან კანდიდატის გვარი, სახელი და სიტყვა „წარმომადგენელი", ან ორგანიზაციის სახელწოდება და სიტყვა „დამკვირვებელი", ან მასობრივი ინფორმაციის სამუალების სახელწოდება და სიტყვა „წარმომადგენელი".

მუხლი 68. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციამი გაგარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. *(14.12.2006 N 3990)*

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – ადგილობრივი დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

4. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრისა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა;

დ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისა;

ე) მოსამართლისა;

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საგარეო დაზვერვისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების თანამშრომლებისა; (*23.06.2006 N3400)*

ზ) პროკურატურის თანამდებობის პირისა;

თ) საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;

ი) საარჩევნო კომისიის წევრისა.

5. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებელი დოკუმენტი ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

6. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის 2 წარმომადგენლის – საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით. (*23.06.2006 N3400)*

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ საერთაშორისო დამკვირვებლებს შეიძლება ახლდეს თარჯიმანი, რომელიც მათთან ერთად გადის რეგისტრაციას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. (*23.06.2006 N3400)*

მუხლი 69. დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

1. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას, აგრეთვე იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა და წარუდგინოს თავისი წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების) დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

4. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა და წარუდგინოს დამფუძნებელი დოკუმენტის ასლი. თუ დამკვირვებელი (დამკვირვებელთა ჯგუფი) სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელია, მან უნდა წარადგინოს მხოლოდ განცხადება და რწმუნების დამადასტურებელი საბუთი. ცესკო განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში წყვეტს ამ პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს.

5. საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 2 დღის ვადაში. (*23.06.2006 N3400)*

6. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა სია მათი ვინაობის (გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი) და იმ საარჩევნო ოლქების მითითებით, სადაც ისინი დააკვირდებიან არჩევნებს.

7. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ცესკოში დანიშნულ, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს – საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ამავე ვადაში საოლქო საარჩევნო

კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის ვინაობა (გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი) და ის საარჩევნო ოლქი და საარჩევნო უბანი (უბნები), სადაც იგი დააკვირდება არჩევნებს.

8. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია, დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.

9. დამკვირვებლის მოწმობაში მითითებული უნდა იყოს:

ა) დამკვირვებლის გვარი, სახელი;

ბ) წარმდგენი ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის სახელწოდება;

გ) იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების)/უბნის (უბნების) ნომერი (ნომრები) და დასახელება (დასახელებები), სადაც უნდა განახორციელოს დაკვირვება. (12.10.2004. N488)

მუხლი 70. დამკვირვებლის უფლებები

1. დამკვირვებელს უფლება აქვს:

ა) დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;

ბ) კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან; (12.10.2004. N488)

გ) კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;

ე) დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემასა და მათ დამოწმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელშეუმლელად;

ვ) დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;

ზ) დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის პროცესს;

თ) დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;

ი) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;

კ) განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოითხოვს რეაგირებას;

ლ) *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;

მ) გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის ქმედება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში;

ნ) დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;

ო) გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

2. დამკვირვებელს არა აქვს უფლება:

ა) ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;

ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;

გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

დ) ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;

დ[1]) კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;(12.10.2004. N488)

ე) დაარღვიოს ამ კანონის სხვა მოთხოვნები.

მუხლი 71. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი და მისი უფლებამოსილება (14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი, სოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საარჩევნო კომისიებში. *(23.12.2005 N 2414)*

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტმა წარმომადგე-ნლის დანიშვნის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის ამ კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს წარმომადგენელი და მისცეს მას წარმომადგენლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.

4. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).

5. საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ 1 წარმომადგენელს აქვს უფლება, დესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, ასევე ისარგებლოს ამ კანონით დადგენილი სხვა უფლებებით. წარმომადგენელი კენჭისყრის დღეს შეუზღუდავად სარგებლობს ამ კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით. (12.10.2004. N488)

6. საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზეც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

მუხლი 72. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები

1. საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

2. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

3. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა. *(12.10.2004. N488)*

4. განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს). (12.10.2004. N488)

5. კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენლისა.

მუხლი 73. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)(14.08. 2003წ. N 2965-რს)

1. წინასაარჩევნო აგიტაცია იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან. საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები ამ დღიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით.

2. წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. *(23.06.2006 N3400)*

3. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* კენჭისყრის წინა დღის 24 საათის შემდეგ აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

4. არჩევნების მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) განახლდება მისი (მათი) დანიშვნის დღიდან. *(23.12.2005 N2414)*

5. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიების წევრებს;

ბ) ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

გ) მოსამართლეს;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, საგარეო დაზვერვისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების საჯარო მოსელეებს; *(23.06.2006 N3400)*

ე) ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს;

ზ) საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს;

თ) სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს, როდესაც ისინი ასრულებენ თანამდებობრივ და სამსახურებრივ მოვალეობებს.

6. წინასაარჩევნო აგიტაცია შეიძლება განხორციელდეს ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები მოქალაქეებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები, შეკრებები და მანიფესტაციები) ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, ხმის გამაძლიერებელ საშუალებათა გამოყენებით ან სხვა ფორმით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს უფლება აქვს დაამზადოს წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების აეროსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისთვის ხელის შეშლა.

8. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* სამხედრო ნაწილის მეთაურები ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის სამხედრო ნაწილის საზღვრებში უზრუნველყოფენ სამხედრო ნაწილში მყოფ ამომრჩეველებთან შეხვედრების გამართვის თანაბარ პირობებს. აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საარჩევნო კამპანიის ჩატარება ცალკეულ სამხედრო ნაწილებში, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს, რომელმაც ეს ინფორმაცია 2 დღის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს და გადასცეს ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას.

9. არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია: *(23.06.2006 N3400)*

ა) საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით ამომრჩეველებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე ამომრჩეველების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო კამპანიის ფონდის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

9[1]. საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში. (*23.06.2006 N3400*)

10. აკრძალულია საარჩევნო კამპანიის ჩატარება შემდეგი დაწესებულებების შენობებში:

ა) ამოღებულია (*23.06.2006 N3400*)

ბ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებები;

გ) სასამართლოები და პროკურატურის ორგანოები.

11. *(14.08. 2003წ. N 2965-რს)* აკრძალულია ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

12. არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა მიუთითოს გამოკითხვის დამკვეთი (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია), გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო, ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით, იურიდიული მისამართი), გამოკითხვის თარიღი, გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება, შესაძლო ცდომილების ფარგლები. არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა, არ შეიძლება კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე. (*23.06.2006 N3400*)

13. საზოგადოებრივი მაუწყებელი (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) ვალდებულია წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით ყოველდღიურად, საერთო არჩევნების დღემდე სულ ცოტა ბოლო 30 დღის განმავლობაში, უსასყიდლოდ გამოყოს ტელევიზიისა და რადიოს საეთერო დროის 2-2 საათი, რომელიც განაწილდება საარჩევნო სუბიექტებს შორის ამ კანონით დადგენილი წესით. (*23.06.2006 N3400*)

14. არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელნი და საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი პირობები: *(16. 12.2005 N 2263)*

ა) მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (რეგიონალურმა ტელერადიომაუწყებლობებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას) ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი, გაწეული მომსახურება;

ბ) ტელე- ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი;

გ) პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

დ) ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში არ დაუშვას პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა.

15. არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე გაზეთები, გარდა პოლიტიკური პარტიის გაზეთისა, ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) გაზეთის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (რეგიონალურმა გაზეთებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას) ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობითა და რა დრომდეა

გამოყოფილი გაზეთის ფართობი, გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე, უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე, ფართობის ტარიფი, გაწეული მომსახურება;

ბ) არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი;

ე) ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს;

დ) სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა" ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა";

ე) ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში არ გამოაქვეყნონ პოლიტიკური რეკლამა ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით. *(16.12.2005 N 2263)*

15[1]. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტების „ა" ქვეპუნქტებით საარჩევნო კომისიამი წარსადგენი ინფორმაციის ფორმებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აღგენს განკარგულებით. *(16.12.2005 N 2263)*

16. გაზეთს უფლება აქვს ამ მუხლის მე-15 პუნქტით დადგენილი პირობების დაცვით, წინასაარჩევნო რეკლამისთვის უფასო ფართობი გამოუყოს საარჩევნო სუბიექტს. *(24.12.2004 N 789)*

17. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელს, აგრეთვე საზოგადოებრივ მაუწყებელს და გაზეთს უფლება აქვთ ეს დრო ან ფართობი თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს. *(24.12.2004 N 789)*

18. თუ საარჩევნო სუბიექტი გამოიყენებს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლში და ამ მუხლის მე-16 პუნქტში აღნიშნულ უფასო დროს, ფართობს, იგი ვალდებულია ეს ასახოს საარჩევნო ფონდის ანგარიშში მაუწყებლის, გაზეთის მხრიდან შემოწირულობის სახით, იმ ოდენობით, რაც ღირს შესაბამისი დროის, ფართობის ფასიანი გამოყენება. *(24.12.2004 N 789)*

19. ამ მუხლის მე-3, მე-5, მე-7, მე-9–მე-15 და მე-18 პუნქტების დამრღვევ პირს ეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. *(16.12.2005 N 2263)*

მუხლი 73[1]. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა *(23.06.2006 N3400)*

1. ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით და მხოლოდ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მაუწყებლებზე.

2. საერთო მაუწყებელი, აგრეთვე მაუწყებელი, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად გამოყოს დრო არანაკლებ 3 საათში 90 წამის ოდენობით თითოეული კვალიფიციური სუბიექტისათვის.

3. საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებელი, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია საკუთარ ეთერში განათავსოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო რეკლამა არანაკლებ საათში 60 წამის ოდენობით.

4. მაუწყებელი ვალდებულია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია ან ბლოკი:

ა) რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით;

ბ) რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა.

5. მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე ერთი თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ სოციოლოგიური კვლევის შედეგების დისკრიმინაციული გამოყენება.

6. ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია/ბლოკი:

ა) რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) რომლის კანდიდატმა (კანდიდატებმა) მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მეორე ტურში გავიდა ან მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა;

გ) რომელმაც აღვილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა.

7. ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც მისი მომსახურების ზონაში შემავალ ტერიტორიაზე ჩატარებული, ამ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 4 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25%-ის მხარდაჭერით.

8. ამ კანონის მიზნებისათვის, საზოგადოებრივი აზრის კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა ეფუძნებოდეს წარმომადგენლობითი შემთხვევითი შერჩევის აღიარებულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების არანაკლებ 95%-იან საიმედოობას და რომლის ცდომილების ფარგლები 3%-ს არ აღემატება;

ბ) უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების შემდეგ;

გ) იმავე ან სხვა შესადარებელი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავებების ან ცვლილებების არსებობისას შესაძლებელი უნდა იყოს ამ განსხვავებების ან ცვლილებების დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა;

დ) არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ან თანხის მოზიდვის საშუალება, არ უნდა იქნეს ჩატარებული ტელეფონის, ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით;

ე) უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელიც იძლევა შედეგების დამოუკიდებელი გადამოწმების შესაძლებლობას;

ვ) შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა მიეთითოს:

ვ.ა) ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;

ვ.ბ) საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;

ვ.გ) კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და მიმდევრობა;

ვ.დ) საველე კვლევის ჩატარების დრო;

ვ.ე) გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;

ვ.ვ) რა არეალში ან რა კატეგორიის აღამიანებში ჩატარდა შერჩევა;

ვ.ზ) ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს;

ვ.თ) იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;

ვ.ი) შერჩევის ზომა;

ვ.კ) ცდომილების ფარგლები;

ვ.ლ) ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

9. თუ საპარლამენტო ფრაქცია შედგება რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებისაგან და შესაბამისი სუბიექტები არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას გადაწყვეტენ, მათზე არ გავრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებები.

10. საზოგადოებრივი მაუწყებელი (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) ვალდებულია, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოყოს დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება ამ სუბიექტებს შორის.

მუხლი 74. წინასაარჩევნო შეკრებები და მანიფესტაციები

1. წინასაარჩევნო პერიოდში შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება რეგულირდება ამ კანონით.

2. წინასაარჩევნო პერიოდში შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებისას, თუ ისინი ხელს შეუშლიან ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობას, ორგანიზატორები ვალდებულნი არიან მესაბამის

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობისა ორგანოებს წინასწარ, ორი დღით ადრე წერილობით აცნობონ აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ. ისინი, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ დაგეგმილი ღონისძიების უსაფრთხოებას.

3. დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის აკრძალვა და შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მოწოდებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და დარღვევისაკენ, ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური და სოციალური შუღლის გაღვივებისაკენ, კონსტიტუციური წყობილების დამხობის და ძალადობით შეცვლისაკენ, აგრეთვე ომისა და ძალადობის პროპაგანდას.

4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩეველებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება.

5. მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს.

6. *(14.08.2003წ. N2965-რს)* საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტებისთვის, მათთან შეთანხმებით, ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგს (თუ მოხდა ღონისძიებათა გადაფარვა და სუბიექტთა შეთანხმება ვერ მოხერხდა, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება).

7. ამოღებულია *(14.08.2003წ. N2965-რს)*

8. ამოღებულია *(14.08.2003წ. N2965-რს)*

9. ამოღებულია *(14.08.2003წ. N2965-რს)*

10. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე იკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა. *(28.09.2001 N 1074)*

მუხლი 75. სააგიტაციო მასალა

1. *(14.08.2003წ. N2965-რს)* საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა, ხოლო განმეორებითი კენჭისყრისას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიების საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას. პარტიული სიებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა სიების გავრცელება საკალდებულოა.

2. საარჩევნო სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას.

3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

4. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე. სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის საკრებულოებმა შეიძლება აკრძალონ საარჩევნო პლაკატების გაკვრა ცალკეულ შენობებზე მხოლოდ არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე. ასეთ შენობათა ჩამონათვალი ქვეყნდება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან გამოყონ ადგილები ან/და დადგან სტენდები საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი უნდა იყოს იმ ზომის, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო პლაკატების გამოფენისას უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობებით. დაუშვებელია და კანონით ისჯება საარჩევნო

პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოსევა, დაფარეა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის ვაკრული.

5. ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და ვიპოშვების თარიღის შესახებ. იკრძალება ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის პითითების გარეშე. ბეჭდვით სარეგისტრაციო მასალაზე რიგითი ნომრის აღნიშვნა საარჩევნო სუბიექტს ეკალება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიენიჭება აღნიშნული ნომერი. *(16.12.2005 N2263)*

6. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.

7. არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 76. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას

თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

1. აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისათვის იმ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს, რომლებსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავიათ თანამდებობები, უფლება არა აქვთ წინასაარჩევნო პერიოდში გამოიყენონ თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობა რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის), კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

3. თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება გულისხმობს:

ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების სამუშაო დროის განმავლობაში ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენებას საქმიანობისათვის, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას, იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებების ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენებას ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენებას ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მოხელეების მიერ სამსახურებრივი (სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებულ) მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას.

3[1]. დაუშვებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ რომელიმე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირთათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. *(23.06.2006 N3400)*

4. რეგისტრირებულ კანდიდატს, რომელიც არის სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს თანამშრომელი და რომელზედაც არ ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან თანამდებობრივი შეუთავსებლობა, არა აქვს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის უპირატესობის გამოყენების უფლება, კერძოდ, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის უფლება მას მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფალ დროს აქვს. ეს შეზღუდვა არ მოქმედებს ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი

დროის გამოყენებისას. ამ პუნქტით დადგენილი შემღუდეა არ ვრცელდება პოლიტიკური თანამდებობის პირებზე. *(23.06.2006 N3400)*

5. რეგისტრირებულ კანდიდატს, ამ მუხლის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, თუ დარღვევა კენჭისყრამდე დადასტურდა, შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რომელიც მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უუქმდება საარჩევნო რეგისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატისა და პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატის (თუ იგი იმავდროულად მაჟორიტარი კანდიდატია) საკითხს წყვეტს ცესკო, ხოლო საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის საკითხს – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს (თუ ეს კანდიდატი პარტიულ სიაშიც იყო შეყვანილი, იგი ამ სიიდანაც ამოიღება). თუ ამ მუხლის დებულებათა დარღვევის შესახებ განცხადება საარჩევნო კომისიაში შევიდა არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა ან თუ იმავე პერიოდში თავად კომისიამ გამოაელინა ეს დარღვევა, კომისიის განკარგულებით პირს აეკრძალება იმავე სახის მომდევნო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობა. საარჩევნო კომისიის განკარგულება პირისთვის მომდევნო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის აკრძალვისა და საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ან შემოაღნიშნული დარღვევის დაუდასტურებლობის შესახებ განკარგულების გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. *(23.06.2006 N3400)*

თავი IX

დავის განხილვა

მუხლი 77. დავის განხილვის ვადა და წესი *(23.06.2006 N3400)*

1. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში ან საერთო სასამართლოში, ხოლო თუ დავა არჩევნების კონსტიტუციურობას ეხება – აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში, ხოლო ცესკოს გადაწყვეტილება – სასამართლოში, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლო განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. აკრძალულია ამ კანონით დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება.

3. ამ მუხლით გაუთვალისწინებელ საარჩევნო დავებზე მიღებული სასამართლო გადაწ-ყვეტილებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების ვადაა 2 დღე.

4. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

5. განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება შესაბამის საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში რეგისტრაციის მომენტიდან.

6. სასამართლოში დავის განხილვისას მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

7. ამ მუხლის მე-8–მე-13 პუნქტების „ა" ქვეპუნქტებით, მე-14 პუნქტით, მე-15–28-ე პუნქტების „ა" ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი განუხილველი რჩება.

8. საარჩევნო კომისიაში არჩევნებთან დაკავშირებული განცხადების/საჩივრის შეტანის, საარჩევნო კომისიის მიერ მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა და წესი განისაზღვრება ამ კანონითა და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტით, ხოლო ამ კანონით განუსაზღვრელი საკითხები – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. თუ შემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით განცხადების/საჩივრის შეტანის ვადა განსაზღვრული არ არის, მისი შეტანა შეიძლება ნებისმიერ დროს, მაგრამ შესაბამისი არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო საარჩევნო კომისიამ იგი უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს 10 კალენდარული დღის ვადაში.

9. სასამართლოში საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრების ვადა და წესი, სარჩელის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა,

ასევე პოსარჩელეთა წრე განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით, თუ ამ კანონით სხვა ვადა ან/და წესი არ არის დადგენილი.

10. ამ კანონით განსაზღვრული არჩევნების დანიშვნის ან არდანიშვნის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანისა და განხილვის ვადები განისაზღვრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონით. არჩევნების კონსტიტუციურობის გასაჩივრების ვადაა შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 10 დღე, ხოლო კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა განისაზღვრება ამ პუნქტში აღნიშნული კანონებით.

11. აბომრჩეველთა სიების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის და აბომრჩეველთა საინიციაციო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, აგრეთვე მოქალაქეს, რომლის განცხადება ამომრჩეველთა სიაში შეყვანის შესახებ არ დაკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. თუ სააპელაციო სასამართლომ დაკმაყოფილა სარჩელი, მან ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს საარჩევნო ადმინისტრაციას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

12. საარჩევნო ოლქების შექმნის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ცესკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ცესკოს წევრს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

13. საარჩევნო უბნების შექმნის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

14. საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის/არჩევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2

კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

15. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

16. საარჩევნო კომისიის წევრის ან საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო (ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას):

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი ან ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

17. ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცესკოს განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს ცესკოს წევრს, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ცესკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, იმ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

18. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ამ კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს ანგარიშზე ჩაურიცხველობის გამო, ამ ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს ცესკოს. სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

19. პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაციისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:

ა.ა) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციაციო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), თუ ცესკომ რეგისტრაციაში არ გააგარა ეს პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მათი წარმომადგენლები ან გააუქმა მათი რეგისტრაცია;

ა.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გააგარა ეს საინიციატივო ჯგუფი ან მისი წარმომადგენელი ანდა გააუქმა მათი რეგისტრაცია;

ა.გ) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ ცესკოში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ა.დ) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების გამო შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში, თუ საქმე ეხება პარტიის, საარჩევნო ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის ან მათი წარმომადგენლების რეგისტრაციას. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სარჩელი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო შეიტანება მესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

20. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა.ა) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), თუ ცესკომ რეგისტრაციაში არ გააგარა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გააგარა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატები ანდა ამ კომისიებმა გააუქმეს მათი რეგისტრაცია;

ა.ბ) მაჟორიტარ კანდიდატს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში

არ გაატარა ამომრჩეველთა საინიციატიო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი ან გააუქმა მისი რეგისტრაცია;

ა.ე) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატიო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ ცესკოში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ ცესკომ პარტიული/საარჩევნო ბლოკის სია, მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე თუ მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან მათ მიერ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოხდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით;

ა.დ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატიო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ პარტიული/საარჩევნო ბლოკის სია, მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე თუ მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან მათ მიერ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოხდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით;

ბ) სარჩელი ცესკოს თავმჯდომარის ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

21. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ ცესკოს განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ ცესკომ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატიო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე რეგისტრირებულ ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გაატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

22. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატიო ჯგუფის წარმომადგენელს ამ საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე რეგისტრირებულ ორგანიზაციას, თუ

მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

23. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენელს, რომლის განცხადება აკრედიტაციის თაობაზე არ დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ამ საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი ცესკოს მდივნის ან საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების გამო შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

24. ამ კანონის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს:

ა.ა) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ საქმე ეხება პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას;

ა.ბ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ სარჩელი ეხება ერთ- ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას. რაიონული/საქალაქო სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება ერთ- ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას. რაიონული/საქალაქო სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

25. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მიერ ამ კანონის 73-ე მუხლის მე-11 და მე-13–მე-17 პუნქტების დებულებათა დარღვევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

26. ამ კანონის 76-ე მუხლის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: კანდიდატის წარმდგენ პარტიას და თვით კანდიდატს, რომლის შესახებაც გამოიცა განკარგულება; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე სხვა პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (თუ საქმე ეხება მაჟორიტარ კანდიდატს), თუ კომისიამ არ დაადასტურა ზემოაღნიშნული დარღვევა;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

27. კენჭისყრის დღის განმავლობაში და კენჭისყრის შედეგების შეჯამების დროს საუბნო საარჩევნო კომისიისა და მის ცალკეულ წევრთა მოქმედებებისა და გადაწყვეტილებათა (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისა და დამტკიცებისა) გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, ზემდგომ საარჩევნო კომისიას და მის თავმჯდომარეს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში არა უგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

28. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულების (ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში მისი გასაჩივრების შემდეგ), აგრეთვე ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

29. საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე ცესკოს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

30. არჩევნების ჩაგარებულად ან არჩაგარებულად გამოცხადების შესახებ ცესკოს განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (თუ საქმე ეხება საარჩევნო ოლქს), მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცესკოს სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

31. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში, მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკოს სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

32. ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ ცესკოს განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო

საარჩევნო კომისიაში, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), მაჟორიტარ კანდიდატსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სააპელაციო სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცესკოს სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

თავი XV *(23.12.2005 N 2441)*

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები

მუხლი 108. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დანიშვნა

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება 4 წლიწადში ერთხელ.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 40 დღისა. *(23.06.2006 N3400)*

3. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები არ ტარდება. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არა უადრეს 40 და არა უგვიანეს 60 დღისა. *(23.06.2006 N3400)*

4. ცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შესახებ ქვეყნდება პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

5. საკრებულოს უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში 45 დღის ვადაში ტარდება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები.

მუხლი 109. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე. საკრებულოს წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში.

2. საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ არჩევნების დანიშვნის დღისათვის საქართველოს საზღვრებს გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები და ის ამომრჩეველები, რომლებიც არიან ნაოსნობაში მყოფ გემებზე.

4. ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

მუხლი 110. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს უფლებამოსილების ვადები

საკრებულოს ახალი შემადგენლობის უფლებამოსილება იწყება, ხოლო ძველისა წყდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე.

მუხლი 111. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

1. საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილება უწყდებათ: *(23.06.2006 N3400)*

ა) საქართველოს პრეზიდენტს;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრებს;

გ) საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს;

დ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს;

ვ) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს;

ზ) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს;

თ) საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს;

ი) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საგარეო დაზვერვისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების ოფიცრებს;

კ) მოსამართლეებს;

ლ) საქართველოს სახალხო დამცველს და მის მოადგილეს;

მ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრებს (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები);

ნ) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეებს;

ო) აუდიტორული საქმიანობის საბჭოს წევრებს;

პ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრებს;

ჟ) თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს;

რ) პროკურორებს, მათ მოადგილეებს, თანაშემწეებს და გამომძიებლებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ თანამდებობის პირებს სამსახურებრივი უფლებამოსილება უწყდებათ შესაბამის საარჩევნო კომისიაში კანდიდატად წარდგენამდე.

3. ამოღებულია *(23.06.2006 N3400)*

თავი XVI (23.12.2005 N 2441)

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

მუხლი 112. საარჩევნო ოლქები *(23.06.2006 N3400)*

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათ საზღვრებს აზუსტებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში, შესაბამისი

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული და ადმინისტრაციული თავისებურებების გათვალისწინებით.

4. საოლქო საარჩევნო კომისიები ცნობას აღგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 დღის ვადაში.

თავი XVII (23.12.2005 N 2441)

მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნები

მუხლი 113. საარჩევნო სისტემა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

მუხლი 114. საარჩევნო ხმის უფლება

მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

მუხლი 115. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომელიც შედის ამ რაიონის შენადგენლობაში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

2. თვითმმართველი ქალაქის საკრებულო შედგება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან. თვითმართველი ქალაქი იყოფა ხუთ ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქად. თვითმმართველი ქალაქის 5 ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქად დაყოფის შესახებ ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით გადაწყვეტილებას იღებს ცესკო.

მუხლი 116. საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 117. პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია (23.06.2006 N3400)

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა, რომელიც რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს თავისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 35-ე დღისა.

2. ის პარტიები, რომლებსაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში არ გაუვლიათ საარჩევნო რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართავენ არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 38-ე დღისა.

3. პარტიას, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე გადასცემს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 38-ე დღისა. პარტია ვალდებულია 50000 მხარდამჭერის ხელმოწერა ცენტრალურ

საარჩევნო კომისიას წარუდგინოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 33-ე დღისა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური წარდგენიდან 2 დღის ვადაში ამოწმებს მხარდამჭერთა სიებს და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

4. განცხადებას უნდა დაერთოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

5. განცხადებაში უნდა აღინიშნოს პარტიის:

ა) სახელწოდება და, თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში;

ბ) ხელმძღვანელი პირის (პირების) გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), ტელეფონის ნომერი და მისი (მათი) ხელმოწერის ნიმუში;

გ) წარმომადგენლის გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), ტელეფონის ნომერი და უფლებამოსილების ფარგლები;

დ) რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას – საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სახელწოდება, მისი შემოკლებული ფორმა და აბრევიატურა არ უნდა ემთხვეოდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სხვა პარტიის ოფიციალურ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას (თუ ემთხვევა, პარტიას არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

ბ) საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, თუ ამ ბლოკის განცხადება ცესკოს უფრო ადრე წარედგინა (თუ ემთხვევა, პარტიას არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

გ) ბოლო საპარლამენტო არჩევნებში სხვა პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა.

7. ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს განცხადებასა და თანდართულ საბუთებს და კომისიაში განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა ცესკოს თავმჯდომარე:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას 2 დღე ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის;

გ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარე პარტიის საბოლოო რეგისტრაციის საკითხს წყვეტს მხოლოდ მხარდამჭერთა სიების შემოწმების შემდეგ.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიას და მის წარმომადგენელს (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა). წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. აღნიშნული პროცედურები მთავრდება არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

10. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადება და თანდართული საბუთები (ან შესწორებული განცხადება და საბუთები) და მხარდამჭერთა სიები წარდგენილია ამ კანონით დადგენილ ვადაში და აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე ცესკოს სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიას და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა

დაუმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

11. ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკი და გავიდნენ ბლოკიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 28-ე დღისა ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება.

12. განცხადებაში უნდა აღინიშნოს საარჩევნო ბლოკის:

ა) სახელწოდება და, თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, და ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ჩამონათვალი;

ბ) ხელმძღვანელი პირის (პირების) გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

გ) წარმომადგენლის გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), ტელეფონის ნომერი და უფლებამოსილების ფარგლები;

დ) რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას – საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, მისი შემოკლებული ფორმა და აბრევიატურა არ უნდა ემთხვეოდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული პარტიის (გარდა ამავე ბლოკში გაერთიანებული პარტიისა) ოფიციალურ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას (თუ ემთხვევა, პარტიას არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

ბ) სხვა საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, თუ ამ ბლოკის განცხადება ცესკოს უფრო ადრე წარედგინა (თუ ემთხვევა, ბლოკს არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

გ) ბოლო საპარლამენტო არჩევნებში სხვა საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა.

14. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილ საარჩევნო ბლოკის წესდებაში აღინიშნება:

ა) საარჩევნო ბლოკის სახელწოდება და, თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში;

ბ) საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ჩამონათვალი;

გ) საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო (თუ არსებობს), ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილება;

დ) საარჩევნო ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასელისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესები;

ე) პირი, რომელსაც აქვს საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება;

ვ) საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პარტიის ბეჭდის გამოყენების წესი;

ზ) საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის წესი;

თ) საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილების შეტანის წესი.

15. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი არჩევნებისას არ შეიძლება იმავდროულად შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში ან დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

16. ამ მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნული განცხადებისა და წესდების მიღებისთანავე ცესკო საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს აძლევს ცნობას მათი მიღების შესახებ.

17. ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს ამ მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნულ განცხადებასა და წესდებას და კომისიაში განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს. ცესკოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ გაატარებს რეგისტრაციაში საარჩევნო ბლოკს და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება ამ მუხლის მე-12–მე-15 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს – წერილობით შეატყობინებს ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით). შესწორებული საბუთები ცესკოს უნდა დაუბრუნდეს შეტყობინებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. რეგისტრაციის თაობაზე

საბოლოო გადაწყვეტილებას ცესკოს თავმჯდომარე იღებს შესწორებული საბუთების მიღებისთანავე: თუ შესწორებული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში გააგარებს საარჩევნო ბლოკს და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაპოსცემს განკარგულებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. ამ პუნქტში აღწერილი რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 26-ე დღეს.

18. პარტიას, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია, უფლება აქვს საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გაერთიანდეს რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკში, რისთვისაც ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს სათანადო განცხადება და საარჩევნო ბლოკის თანხმობა.

19. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უფლებამოსილება უწყდებათ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლებს ყველა საარჩევნო კომისიაში, ხოლო საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 2 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.

20. პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და მასში აღრე შემავალ პარტიებს უფლება ექნებათ გააგრძელონ არჩევნებში მონაწილეობა.

21. პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და დარჩენილი პარტია ხდება ბლოკის უფლებამონაცვლე.

22. არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა, და ამის მიზეზებს.

მუხლი 118. პარტიული სიის წარდგენა

1. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიულ სიებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები და საარჩევნო ბლოკები კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 24 დღისა. *(23.06.2006 N3400)*

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს თითო პარტიული სია.

3. წარდგენილ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.

4. პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი, ხოლო საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში – მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი.

5. პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით.

6. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს თითოეული კანდიდატის:

ა) სახელი, გვარი;

ბ) დაბადების თარიღი;

ე) პროფესია;

დ) თანამდებობა (საქმიანობა);

ე) სამუშაო ადგილი (თუ უმუშევარია, მიეთითება – „უმუშევარი");

ვ) პარტიულობა (პარტიის წევრობის შემთხვევაში, ხოლო თუ უპარტიოა, მიეთითება – „უპარტიო");

ზ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები;

თ) რეგისტრაციის ადგილი.

ი) ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება (თუ წარდგენილია). *(23.06.2006 N3400)*

7. პარტიული სია დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიული სია – ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელთა ხელმოწერებით.

8. პარტიულ სიას თან უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის ორი ფოტოსურათი, მის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბარათი (ორ ცალად) შევსების თარიღის მითითებით, სადაც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები, რეგისტრაციის ადგილი, დაბადების თარიღი) ერთად მითითებული უნდა იყოს მისი საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრების ფაქტი და თანხმობა ამ პარტიული სიით კენჭისყრაზე.

9. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს საარჩევნო ბარათებს წინასწარ გადასცემს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. საბუთების მიღებისთანავე პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღების შესახებ.

მუხლი 119. საკრებულოს წევრობის კანდიდატთა წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის არჩევნებში შესაბამის საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ:

ა) ამომრჩეველთა არანაკლებ 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს;

ბ) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;

გ) საარჩევნო ბლოკს.

2. პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები არანაკლებ 50 ამომრჩევლისა.*(23.06.2006 N3400)*

3. საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 24 დღისა და უნდა წარადგინონ მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. *(23.06.2006 N3400)*

4. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მაჟორიტარი კანდიდატის:

ა) სახელი, გვარი;

ბ) დაბადების თარიღი;

გ) პროფესია;

დ) თანამდებობა (საქმიანობა);

ე) სამუშაო ადგილი (უმუშევრობის შემთხვევაში, მიეთითება – „უმუშევარი");

ვ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები;

ზ) რეგისტრაციის ადგილი;

თ) საარჩევნო ოლქის დასახელება, რომელშიც იგი წარდგენილია მაჟორიტარ კანდიდატად;

ი) პარტიულობა (პარტიის წევრობის შემთხვევაში, ხოლო თუ უპარტიოა, მიეთითება – „უპარტიო").

5. განცხადება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატთა წარდგენის თაობაზე გადაეცემა შესაბამის საარჩევნო კომისიას.

იგი დაბეჭდილი უნდა იყოს პარტიის ან საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ამ ჯგუფის წევრთა და წარმომადგენლის სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები, რეგისტრაციის ადგილი, ტელეფონის ნომერი.

6. განცხადებას თან უნდა ერთოლეს კანდიდატის ორი ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი ორ ცალად, რომელშიც მის საანკეტო მონაცემებთან ერთად (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტი) და პირადი ნომრები, რეგისტრაციის ადგილი და თარიღი, დაბადების თარიღი) მითითებული უნდა იყოს მისი საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრების ფაქტი და თანხმობა მოცემულ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე.

7. ხელმოწერების შეგროვება ხდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

8. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ საარჩევნო ოლქში დასახელებული მაჟორიტარი კანდიდატი იმავდროულად შეიძლება იყოს შესაბამისი პარტიის/საარჩევნო ბლოკის პარტიულ სიაში.

მუხლი 120. პარტიული სიებისა და ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია (23.06.2006 N3400)

1. პარტიულ სიას მისი წარდგენიდან 2 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2. ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატებს მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისის თავმჯდომარე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 21 დღისა.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ 3 დღის ვადაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები მათ ეადასტემენ კანდიდატის მოწმობებს.

5. საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი რეგისტრაციაში გატარდება, თუ წარდგენილია:

ა) კანდიდატის სააღრიცხვო ბარათი საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრების ფაქტის მითითებით;

ბ) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება;

გ) პარტიის/საარჩევნო ბლოკის განცხადება;

დ) მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია;

ე) 2 ფოტოსურათი;

ვ) კანდიდატის თანხმობა კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

6. პარტიული სია ან პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატი რეგისტრაციაში არ ეატარდება, თუ სააღრიცხვო ბარათში მითითებული არ არის ან არასრულად არის მითითებული:

ა) სახელი, გვარი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები;

გ) დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

დ) რეგისტრაციის ადგილი;

ე) კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება, რომელიც დამოწმებულია პარტიების/საარჩევნო ბლოკების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერებით;

ვ) პარტიულობა (პარტიის წევრობის შემთხვევაში, ხოლო თუ უპარტიოა, მიეთითება „უპარტიო“);

ზ) თანამდებობა და სამუშაო ადგილი (უმუშევრობის შემთხვევაში მიეთითება „უმუშევარი“);

თ) საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრების ფაქტი;

ი) კანდიდატის თანხმობა კენჭისყრაში მონაწილეობაზე;

კ) იმ ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი, რომელშიც იგი წარდგენილია მაჟორიტარ კანდიდატად;

ლ) სააღრიცხვო ბარათის შევსების თარიღი.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევისას კანდიდატს საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში არ ატარებს.

8. პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მოითხოვოს არჩევნებში მონაწილეობა იმ სიითი ნომრით, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა წინა საპარლამენტო არჩევნებში, რისთვისაც განცხადება უნდა წარუდგინოს ცესკოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 22-ე დღისა. თუ წინა საპარლამენტო არჩევნებში რიგითი ნომერი მინიჭებული ჰქონდა საარჩევნო ბლოკს, ამ ნომრის გამოყენების უფლება ეძლევა ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველად დასახელებულ პარტიას, ხოლო თუ იგი წერილობით უარს განაცხადებს, აღნიშნული ნომრის გამოყენების უფლება გადადის ბლოკის წევრთა ჩამონათვალში მომდევნოზე და ა.შ. თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლება არ იქნა გამოყენებული პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს—საკრებულოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რიგითობა განისაზღვრება ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მათი შედეგების შესაბამისი თანამიმდევრობით. თუ საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკი, მისი რიგითი ნომრით სარგებლობის უფლება ეძლევა ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველად დასახელებულ პარტიას, ხოლო თუ იგი უარს განაცხადებს — მომდევნოს და ა.შ. თუ საკრებულოს არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკი შექმნეს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებმა, ბლოკის წესდებაში მათ უნდა მიუთითონ, რომელი პარტიის რიგითი ნომრით ისარგებლებენ. თუ რომელიმე პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა არ გამოიყენა რიგითი ნომრით სარგებლობის უფლება, მისი მომდევნო პარტიები/საარჩევნო ბლოკები წინ გადაინაცვლებენ.

9. პარტიების/საარჩევნო ბლოკების (გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულებისა) რიგითობა განისაზღვრება წილისყრით, რომელიც იმართება ამ კანონის 99-ე მუხლის მე-2—მე-6 პუნქტებით დადგენილი წესით, არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს მე-15 დღისა. ამ პარტიების/საარჩევნო ბლოკების რიგითი ნომერი იწყება რიცხვით, რომელიც ერთით მეტია ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტების ბოლო რიგით ნომერზე.

10. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ კანდიდატებს ენიჭებათ იგივე რიგითი ნომერი, რაც მათ წარმდგენ საარჩევნო სუბიექტებს. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატების რიგითი ნომრები განისაზღვრება ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით.

11. თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია გაუქმდა მისთვის რიგითი ნომრის მიკუთვნების შემდეგ, დარჩენილი პარტიები/საარჩევნო ბლოკები ინარჩუნებენ აღრე მიკუთვნებულ რიგით ნომრებს.

12. ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რიგითობის თაობაზე ქვეყნდება პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 დღისა. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ სუბიექტთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.

მუხლი 121. კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

1. პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. (*23.06.2006 N3400)*

2. კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. (*23.06.2006 N3400)*

3. ცნობას კანდიდატის რეგისტრაციის, კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს დაუყოვნებლივ.

მუხლი 122. საარჩევნო ბიულეტენი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.

2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნებისთვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ პარტიების/საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები) დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

3. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარული ოლქში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის (სარეზერვო კანდიდატების ჩათვლით) რიგითი ნომერი, სახელი და გვარი. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვართან მიეთითება „დამოუკიდებელი", ხოლო პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატის/კანდიდატების გვართან – შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელწოდება. კანდიდატის თაობაზე მოსაცემები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით განსაზღვრული მისი რიგითობის შესაბამისად, არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-18 და არა უგვიანეს მე-14 დღისა. (*23.06.2006 N3400*)

4. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისთვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში ამომრჩეველი შემოხაზავს არა უმეტეს 1 პარტიის/საარჩევნო ბლოკის რიგით ნომერს.

5. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების თაობაზე, ამომრჩეველი შემოხაზავს არა უმეტეს 1 კანდიდატის რიგით ნომერს.

მუხლი 123. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენა

1. ამოღებულია (*23.06.2006 N3400*)

2. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობაზე და გაიყოს იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე რომლებმაც მიიღეს არჩევნების მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5%-ისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

3. თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი თანამიმდევრულად მიეკუთვნებათ პირველ რიგში იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ეერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მოაგროვეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი, ხოლო შემდეგ იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც, ამ შემთხვევაში თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს.

3[1]. თუ ათზე მეტმა საარჩევნო სუბიექტმა მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5% ან მეტი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი განაწილების წესი არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში თითო მანდატი მიეკუთვნება იმ ათ საარჩევნო სუბიექტს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. (*23.06.2006 N3400*)

4. თუ 2 ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება იმას, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

5. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

6. თუ საკრებულოს წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქიდან ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება საარჩევნო ოლქიდან, ამოიღება პარტიული სიიდან და სიაში ხდება მისი მომდევნო კანდიდატის წანაცვლება სიის დასაწყისისაკენ.

მუხლი 124. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენა

1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს.

2. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 125. საკრებულოს არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში

1. საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრის შედეგები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბანში, სადაც უხეშად დაირღვა ეს კანონი. იმ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა საფუძველზედაც შესაძლოა უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა, დაუშვებელია საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების შეჯამება.

2. საარჩევნო ოლქში არჩევნები ბათილად იქნება ცნობილი, თუ აღნიშნულ ოლქში ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა ამ ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია.

3. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ადგენს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს ოქმს.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას;

ბ) არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას;

გ) გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას; *(23.06.2006 N3400)*

დ) ნამდვილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას;

ე) ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას;

ვ) დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას;

ზ) საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან N01 გადაეცემა ცესკოს, N02 რჩება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო N03 გადაეცემა შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიას. *(23.06.2006 N3400)*

6. ოქმის პირველი ეგზემპლარი კენჭისყრის დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა ეგზავნება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მეორე ინახება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, მესამე გადაეცემა საკრებულოს სამანდატო კომისიას, დანარჩენი – პარტიების, საარჩევნო ბლოკების, მაჟორიტარი კანდიდატების წარმომადგენლებს.

7. საოლქო საარჩევნო კომისია ეალდებულია არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის N02 ეგზემპლარის ქსეროასლი შედეგების შეჯამებისთანავე, დაუყოვნებლივ გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას საყოველთაო გაცნობისათვის. *(23.06.2006 N3400)*

8. არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას შესაბამის ოლქში საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე არჩეული საკრებულოს წევრების პარტიულობა (პარტიის წევრობის შემთხვევაში, ხოლო თუ უპარტიოა, მიეთითება – „უპარტიო"), დაბადების წელი, პროფესია, ძირითადი საქმიანობა, სამუშაო ადგილი.

მუხლი 125[1]. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა (23.06.2006 N3400)

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.

მუხლი 126. განმეორებითი და ხელახალი კენჭისყრები (23.06.2006 N3400)

1. თუ საარჩევნო უბანში ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს განმეორებით კენჭისყრას, რომელიც უნდა გაიმართოს საერთო არჩევნებიდან 2 კვირის ვადაში. განმეორებითი კენჭისყრა იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში – საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატსა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატს შორის სხვაობა ნაკლებია ამ უბნის ან გაბათილებული უბნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე.

2. განმეორებითი კენჭისყრისას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების გაბათილების შემთხვევაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს ამ უბნების გათვალისწინებლად.

3. თუ საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები, 2 კვირის ვადაში იმართება ხელახალი კენჭისყრა.

მუხლი 126[1]. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეულთა რეგისტრაცია

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს. *(23.12.2005. N2441)*

მუხლი 126[2]. საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე (23.12.2005. N2441)

1. თუ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში 2 კვირის ვადაში მის ადგილს იკავებს მისი ადგილმონაცვლე:

ა) პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული წევრის გამოკლების შემთხვევაში – იმავე პარტიულ სიაში რიგით მიმდევნო კანდიდატი, თუ იგი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის მანდატი უქმდება;

ბ) მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული წევრის გამოკლების შემთხვევაში – შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით საკრებულოს წევრად აურჩეველ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, თუ იგი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სიიდან ამოიღება და ვაკანტურ ადგილს იკავებს მისი მომდევნო კანდიდატი. ასეთი კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატი უქმდება.

თავი XVII[1] (9.12.2005 N 2208)

საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულოს არჩევნები

მუხლი 126[3]. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნების ჩატარების ზოგადი წესები (23.06.2006 N3400)

1. საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს (შემდეგომში – თბილისის საკრებულო) არჩევნების ჩატარებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თბილისის საკრებულოს არჩევნები ტარდება შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

3. თბილისის საკრებულო შედგება 37 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა მაჟორიტარული წესით მრავალმანდატიან ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო 12 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე 10 ოლქში მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამების შედეგად.

მუხლი 126[4]. საარჩევნო ხმის უფლება

თბილისის საკრებულოს არჩევნებში თითოეულ ამომრჩეველს აქვს 1 ხმის უფლება.

მუხლი 126[5]. საარჩევნო ოლქები

1. თბილისის საკრებულოს არჩევნებისათვის იქმნება 10 მრავალმანდატიანი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი:

ა) მთაწმინდის;

ბ) ვაკის;

გ) საბურთალოს;
დ) კრწანისის;
ე) ისნის;
ვ) სამგორის;
ზ) ჩუღურეთის;
თ) დიდუბის;
ი) ნაძალადევის;
კ) გლდანის.

2. თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების პროპორციული წესით განაწილების უზრუნველყოფის მიზნით შემაჯამებელი საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 126⁶. თბილისის საკრებულოს არჩევნებისას შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის განსაზღვრა

1. შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობა განისაზღვრება არჩევნების წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად.

2. თითოეულ ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად, ისე, რომ 5 ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქი იყოს 3-მანდატიანი, ხოლო 5 – 2-მანდატიანი.

3. მანდატების რაოდენობას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია განსაზღვრავს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

მუხლი 126⁷. თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და რეგისტრაცია

1. თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატებს, ამ მუხლით განსაზღვრული საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციის შემთხვევაში.

2. პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობისა და თბილისის საკრებულოს წევრის მანდატის მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ პარტიებს და საარჩევნო ბლოკებს.

3. ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ კანდიდატებს, იმ პირობით, რომ 1 სუბიექტად წარდგენილი უნდა იქნეს იმდენი კანდიდატი, რამდენი მანდატიცაა შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში.

4. მაჟორიტარი კანდიდატების მხარდამჭერთა სიებს ამოწმებს და დასკვნას წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა ცესკოს წარუდგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა და პარტიული სიების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. *(23.12.2005. N2441)*

მუხლი 126⁸. პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიული სიების წარდგენა

1. პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიულ სიებს პარტია, საარჩევნო ბლოკი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 24 დღისა. *(23.12.2005. N2441)*

2. თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია უნდა შედგებოდეს არა უმეტეს 50 კანდიდატისაგან. *(23.12.2005. N2441)*

3. პარტიულ სიაში შეყვანილი უნდა იქნენ ის კანდიდატები, რომლებიც წარდგენილი არიან მაჟორიტარულ არჩევნებში. პარტიის პარტიული სია შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ამ პარტიის წევრთაგან ან იმ პირთაგან, რომლებიც არ არიან არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიული სია – მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წევრთაგან ან

იმ პირთაგან, რომლებიც არ არიან არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები. პირი შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ 1 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

4. პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება სიის დასაწყისიდან თანამიმდევრობით.

5. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს თითოეული კანდიდატის:

ა) სახელი, გვარი;

ბ) დაბადების თარიღი;

გ) პროფესია;

დ) თანამდებობა (საქმიანობა);

ე) სამუშაო ადგილი (თუ უმუშევარია, მიეთითება „უმუშევარი");

ვ) პარტიულობა (პარტიის წევრობის შემთხვევაში, ხოლო თუ უპარტიოა, მიეთითება „უპარტიო");

ზ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები;

თ) რეგისტრაციის ადგილი.

ი) ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის დასახელება, რომელშიც იგი წარდგენილია ძირითად/სარეზერვო მაჟორიტარ კანდიდატად; *(23.12.2005. N2441)*

6. პარტიის პარტიული სია დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიული სია – ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელთა ხელმოწერებით.

7. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს თითოეული კანდიდატის 2 ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (2 ცალად) შევსების თარიღის მითითებით. ბარათში კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები, რეგისტრაციის ადგილი) ერთად მითითებული უნდა იყოს მისი საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტი და თანხმობა ამ პარტიული სიით კენჭისყრაზე. *(23.12.2005. N2441)*

მუხლი 126[9]. თბილისის საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატთა წარდგენა

1. თბილისის საკრებულოში მაჟორიტარული წესით ასარჩევ კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს:

ა) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;

ბ) საარჩევნო ბლოკს.

2. პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მცხოვრები არანაკლებ 200 ამომრჩეველისა. ამასთანავე, ერთ საარჩევნო სუბიექტად წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე ორჯერ მეტი კანდიდატი, რომლის პირველ ნახევარს შეადგენენ ძირითადი კანდიდატები, ხოლო მეორე ნახევარს – სარეზერვო კანდიდატები. *(23.12.2005. N2441)*

მუხლი 126[10]. საარჩევნო ბიულეტენი

1. თბილისის საკრებულოს არჩევნებისას თითოეული ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქისათვის მზადდება 1 ბიულეტენი.

2. საარჩევნო ბიულეტენში მითითებული უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი, შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების (სარეზერვო კანდიდატების ჩათვლით) სახელები და გვარები, აგრეთვე წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდება.

3. საარჩევნო ბიულეტენში შესატანი კანდიდატების რიგითობა განისაზღვრება ამ კანონის 120-ე მუხლით დადგენილი წესით. *(23.12.2005. N2441)*

4. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზავს მხოლოდ 1 რიგით ნომერს.

მუხლი 126[11]. ადგილობრივ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული არჩევნების შედეგების დადგენა

1. ამოღებულია *(23.12.2005. N2441)*

2. თბილისის საკრებულოს არჩევნებში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში 1 სუბიექტად მონაწილეობდნენ და მიიღეს სხვებზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 30%-ისა.

მუხლი 126[12]. არჩევნების მეორე ტური

1. თუ ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ვერც ერთმა სუბიექტმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

2. არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნების მეორე ტური ტარდება საერთო არჩევნებიდან (პირველი ტურიდან) ერთი თვის ვადაში. *(24.07.2006 N3489)*

3. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 სუბიექტს.

4. არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლებიან 1 სუბიექტად მონაწილე ის კანდიდატები, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს.

მუხლი 126[13]. პროპორციული სისტემით მანდატების განაწილების წესი

1. პროპორციული სისტემით მანდატები ნაწილდება მაჟორიტარული წესით არჩევნების პირველი ტურის ჩატარების შემდეგ, საარჩევნო სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების შესაბამისად. *(23.12.2005. N2441)*

2. პროპორციული სისტემით მანდატების განაწილების მიზნით ჯამდება ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატთა მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობები.

3. პროპორციული სისტემით გასანაწილებელი თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა.

4. საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 12-ზე და გაიყოს ასეთი სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა.

5. თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამი 12-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმები მიიღეს.

6. თუ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 4% ან მეტი მიიღო 12 საარჩევნო სუბიექტზე მეტმა, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი განაწილების წესი არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმები მიიღეს.

მუხლი 126[14]. თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირთა რეგისტრაცია

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს თბილისის საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.

მუხლი 126[15]. თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი

1. თუ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, 2 კვირის ვადაში მის ადგილს იკავებს პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილი სარეზერვო კანდიდატი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი მანდატი უქმდება. *(23.12.2005. N2441)*

2. თუ უფლებამოსილება შეუწყდა თბილისის საკრებულოს წევრს, რომელიც არჩეული იქნა პროპორციული წესით, მის ადგილს იკავებს შესაბამისი პარტიის, საარჩევნო ბლოკის პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი.

3. თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცელე ვალდებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში თანხმობა განაცხადოს საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს იკავებს რიგით მომდევნო კანდიდატი ამ მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით.

თავი XVIII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 127 ამოღებულია *(16.09.2004 N 420)*

მუხლი 127[1]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[1]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[2]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[3]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[4]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[5]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[6]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[7]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[8]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[9]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[10]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[11]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[12]. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 128[13]. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის ვადები *(22.04.2005 N 1427)*

1. საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული დაკომპლექტების წესზე გადასვლასთან დაკავშირებით, ამ კანონის ?V თავში განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესითა და ვადებში იქმნება საარჩევნო კომისიები.

2. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნის მიზნით 2005 წლის 10 მაისამდე განკარგულებით აცხადებს კონკურსს.

3. ცესკოს თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატების შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით.

4. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

5. კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 2 დღის ვადაში ქვეყნდება კანდიდატთა სია.

6. თუ ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატის წარდგენა, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ 2 კანდიდატის წარდგენა.

7. კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 დღისა, საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარის ერთ კანდიდატს და ცესკოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე 2 კანდიდატს.

8. საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ცესკოს თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატების არჩევა ხორციელდება ამ კანონის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

9. არჩევიდან 3 დღის ვადაში ქვეყნდება არჩეულ პირთა სია.

10. ცესკოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი ცესკოს წევრების არჩევიდან 10 დღის ვადაში.

11. საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნის მიზნით ცესკო მისი პირველი შეკრებიდან 10 დღის ვადაში გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩაგარების შესახებ.

12. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატები შეირჩევიან ღია კონკურსის წესით.

13. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატები ცესკოს წარედგინება ცესკოს ახალი შემადგენლობის პირველი შეკრებიდან ერთი თვის ვადაში.

14. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ირჩევს მათი წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 20 დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ აირჩია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, წევრების არჩევა ხდება ამ კანონის 33-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით. *(9.12.2005 N2208)*

15. საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას იწვევს ცესკოს თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევიდან 10 დღის ვადაში.

16. ამ კანონის შესაბამისად და ამავე მუხლის ვადებში შექმნილი საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების პირველი შეკრებისთანავე უფლებამოსილება შეუწყდებათ ამ მუხლის ამოქმედებამდე არსებული შესაბამისი საარჩევნო კომისიების წევრებს. საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან საქმეები გადააბარონ კომისიების ახალ შემადგენლობას.

მუხლი 128[14]. 2005 წელს ჩასატარებელი შუალედური და ხელახალი არჩევნების დანიშვნის ვადა *(22.04.2005 N 1427)*

საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული დაკომპლექტების წესზე გადასვლასთან დაკავშირებით, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში 2005 წელს ჩასატარებელი შუალედური და ხელახალი არჩევნები გაიმართოს 2005 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

მუხლი 129

1. *(14.08.2003წ. N2965-რს)* ამ კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ქართული ენის ცოდნის ვალდებულება ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლებიც შეეხება საარჩევნო კომისიისა და მისი აპარატის შემადგენლობაში მხოლოდ იმ პირის დანიშვნის/არჩევის შესაძლებლობას, რომელსაც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, ცესკოს აპარატის თანამშრომლებისათვის და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის – 2006 წლის 1 იელისიდან. თუ აღნიშნული ვადის გასვლამდე ცესკოს აპარატის თანამშრომლები და საოლქო კომისიის წევრები ვერ მიიღებენ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატს, ამ ვადის გასელისთანავე, მათ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით შეუწყდებათ უფლებამოსილება. ცესკომ დაადგინოს სერტიფიცირების წესი და 2006 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ცესკოს აპარატის თანამშრომლების და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, ხოლო 2006 წლის 1 იელისამდე – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სერტიფიცირება. *(22.04.2005 N 1427)*

3. ამოღებულია *(22.04.2005 N 1427)*

4. *(14.08.2003 წ. N2965-რს)* საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის წინადადების საფუძველზე, ცესკო უზრუნველყოფს ამ კომისიებისთვის სათანადო კვალიფიკაციის თარჯიმნის გამოყოფას.

5. ამ კანონით დადგენილი საკალდებულო სერტიფიცირების მოთხოვნა არ ვრცელდება 2005 წელს არჩეულ ცესკოს წევრებზე. *(22.04.2005 N 1427)*

მუხლი 129[1]. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2006 წლის არჩევნები და არჩევნებამდე გასატარებელი ღონისძიებები *(23.12.2005 N 2441)*

1. 2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე 40 დღით ადრე. *(23.12.2005. N2441)*

1[1]. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის, თვითმმართველი ქალაქებისა და რაიონების (მუნიციპალიტეტების), ასევე ერედვის, ქურთის, თიღვის და აჟარის თემთა საკრებულოების არჩევის მიზნით. *(23.12.2005. N2441)*

1[2]. ერედვის, ქურთის, თიღვის და აჟარის თემთა საკრებულოების შემადგენლობა განისაზღვრება 14–14 წევრით, რომელთაგან 10 აირჩევა პროპორციული წესით, ხოლო 4 – მაჟორიტარული წესით.*(23.12.2005. N2441)*

2. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების ტერიტორიას განსაზღვრავს ცესკო. მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებად განისაზღვრება ის ადმინისტრაციული ერთეული (ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანება), რომელიც 2006 წლის 1 იანვრამდე წარმოადგენდა დამოუკიდებელ თვითმმართველ ერთეულს, ხოლო თვითმმართველ ქალაქებში ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის ტერიტორიის განსაზღვრისას ძირითადი კრიტერიუმია ამომრჩეველთა რაოდენობისა და თვითმმართველი ქალაქის საერთო ტერიტორიის თანაბარზომიერი განაწილება. *(23.12.2005. N2441)*

3. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის დაკომპლექტებული საოლქო საარჩევნო კომისიები ასრულებენ ამ კანონით განსაზღვრული საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს. *(23.12.2005. N2441)*

4. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის თანამდებობიდან უნდა გადადგნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ის თანამდებობის პირები, რომლებიც აპირებენ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და რომელთა თანამდებობების არსებობა არ არის გათვალისწინებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით. *(23.12.2005. N2441)*

5. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ თბილისის მერისა და თბილისის საკრებულოს წევრების მიმართ არ ვრცელდება სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის მოთხოვნა. *(23.12.2005. N2441)*

მუხლი 129[2]. საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე გასატარებელი ღონისძიება *(23.12.2005. N2441)*

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკომ უზრუნველყოს 1500 ამომრჩეველზე გათვლილი საარჩევნო უბნების შექმნა.

მუხლი 129[3]. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ *(24.07.2006 N3489)*

1. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს –

საკრებულოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის სრულყოფის მიზნით (ერთიან სიაში არსებულ ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმება/შესწორება, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოებში არარეგისტრირებული გარდაცვლილი ამომრჩეველების სიიდან ამოღება და ა.შ.), ამ კანონით საუბნო საარჩევნო კომისიისათვის დადგენილი წესის თანახმად, 2006 წლის 23 აგვისტოდან იქმნება სპეციალური ჯგუფები.

2. საოლქო საარჩევნო კომისია სპეციალური ჯგუფის სამი წევრის არჩევის მიზნით, არა უგვიანეს 2006 წლის 7 აგვისტოსი აცხადებს კონკურსს.

3. კონკურსის ჩატარების წესს, ვადებსა და პირობებს არა უგვიანეს 2006 წლის 1 აგვისტოსი დადგენილებით განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტები გადაწყვეტილებას და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დასანიშნად ამავე კანონით დადგენილ დოკუმენტაციას სპეციალური ჯგუფების წევრთა დანიშვნის შესახებ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არა უგვიანეს 2006 წლის 17 აგვისტოსი.

5. თუ ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტმა ამ მუხლით განსაზღერულ ვადამი და დადგენილი წესით არ დანიშნა სპეციალური ჯგუფის წევრი (წევრები), იგი დაკარგავს წევრის დანიშვნის უფლებას, და თუ ამის გამო კომისიაში 2006 წლის 18 აგვისტოს ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, მისი შემადგენლობის სპეციალური ჯგუფების შესაქმნელ კონკურსში მონაწილე პირთაგან შევსების უფლება აქვს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. სპეციალური ჯგუფის თავმჯდომარის, მოადგილის ან მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სპეციალური ჯგუფის არანაკლებ ორ წევრს. ხელმძღვანელი პირი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სპეციალური ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად, საარჩევნო უბნის საზღვრებს ამ კანონით დადგენილი წესით, არა უგვიანეს 2006 წლის 4 აგვისტოსი განკარგულებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია.

8. სპეციალური ჯგუფების პირველ სხდომას განკარგულებით ნიშნავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არა უგვიანეს 2006 წლის 21 აგვისტოსი.

9. სპეციალური ჯგუფების პირველი სხდომა იმართება არა უგვიანეს 2006 წლის 23 აგვისტოსი.

10. ამ მუხლის თანახმად შექმნილი სპეციალური ჯგუფების წევრთა მრომის ანაზღაურებას დადგენილებით განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

11. ამ მუხლის თანახმად შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფებმა, კარდაკარ სიარულის პრინციპით გადაამოწმონ ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩეველების თითოეული მონაცემი და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის შესაბამისად შეიტანონ შესწორებები.

12. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშაოს სპეციალური ფორმა, რომლის მეშვეობითაც სპეციალური ჯგუფები უზრუნველყოფენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოებში არარეგისტრირებული გარდაცვლილი ამომრჩეველების ერთიანი სიიდან ამოღებას. სპეციალურ ფორმას განკარგულებით ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

13. ამ მუხლის თანახმად შექმნილი სპეციალური ჯგუფების მიერ გადამოწმებულ და შესწორებულ სიას ხელს აწერენ შესაბამისი სპეციალური ჯგუფის თავმჯდომარე და მდივანი.

14. სპეციალური ჯგუფების მიერ შეტანილ შესწორებებს სამოქალაქო რეესტრის რაიონულ სამსახურებში გადამოწმების შემდეგ განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია.

15. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ სპეციალურ ჯგუფებს შესაბამისი შენობებით.

16. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ხარჯთაღრიცხვას (განაწილებისა და გამოყენების წესს) განსაზღვრავს დადგენილებით არა უგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბრისა. აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვაში აგრეთვე შეიტანება ამ დადგენილების მიღებამდე წინასაარჩევნო მზადებისათვის ცესკოს მიერ გაწეული ხარჯები.

17. კენჭისყრამდე არა უგვიანეს 20 დღისა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.

18. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონების (ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული და გარდაბანი) ამომრჩეველთათვის სიაში საკუთარი თავის გადამოწმების მიზნით ამომრჩეველთა ერთიანი სიის და საარჩევნო ბიულეტენების თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

19. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა სამუალებების წარმომადგენელთათვის სემინარებისა და ტრენინგების გამართვა.

20. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებზე დაკვირვების მსურველმა ადგილობრიემა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაიარონ ხელახალი რეგისტრაცია.

21. ამ კანონის VIII თავით განსაზღვრულისაგან განსხვავებულ წესსა და ვადებს, არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, არა უგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბრისა განკარგულებით ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

თავი XIX

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 130

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წელი, N31-33).

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წელი, N31-33).

გ) საქართველოს კანონი „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების შესახებ" (პარლამენტის უწყებანი, 1998 წელი, N27-28).

მუხლი 131. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,
2001 წლის 2 აგვისტო.
N 1047 - რს

თავი VIII
საერთაშორისო აქტები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

რატიფიცირებულია საქართველოს
პარლამენტის 26.10.2004 წლის
N 515 – IIს დადგენილებით

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

სტრასბურგი, 15.X.1985

პრეამბულა

ქვემორე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მმართველობის სფეროში ხელშეკრულებების დადება;

ითვალისწინებენ რა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს;

ითვალისწინებენ რა, რომ მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის;

ითვალისწინებენ რა, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა;

აცნობიერებენ რა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის;

ამტკიცებენ რა, რომ ეს გულისხმობს ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე, დემოკრატიული გზით შექმნილი ორგანოების მიერ, და რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის, ამ კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიჩნიონ თავი ვალდებულად ქვემოთ მოცემული მუხლებით ამ ქარტიის მე-12 მუხლით დადგენილი წესითა და ზომით.

ნაწილი I

მუხლი 2 – ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველი

ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული იქნება შიდა კანონმდებლობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით.

მუხლი 3 – ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

2. ამ უფლების განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს მოქალაქეთა მონაწილეობაზე ასამბლეებში, რეფერენდუმებში და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ, სადაც ეს კანონით ნებადართულია.

მუხლი 4 – ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფერო

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძირითადი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება კონსტიტუციით ან კანონით. ამასთან, ეს დებულება ხელს არ შეუშლის კანონის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დამატებითი უფლება-მოსილებებისა და მოვალეობების მინიჭებას სპეციალური მიზნებით.

2. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.

3. როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. მოვალეობების გადანაწილება სხვა ორგანოსათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ამოცანების მოცულობისა და ბუნების, ასევე ეკონომიკისა და ეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც წესი, იქნება სრული და ექსკლუზიური. იგი არ შეიძლება იქნას შეზღუდული სხვა ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

5. ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების მიერ უფლებამოსილებათა დელეგირების შემთხვევაში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავისუფლება მოახდინონ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ადგილობრივ პირობებთან მისაგებით.

6. რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უნდა გაეწიოთ კონსულტაციები სათანადო დროს და შესაბამისი გზებით ყველა იმ საკითხის დაგეგმვასა და მათზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც მათ პირდაპირ ეხებათ.

მუხლი 5 – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციული საზღვრების დაცვა

ცვლილებები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციულ საზღვრებში არ იქნება შეტანილი შესაბამის ადგილობრივ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით იქ, სადაც კანონით ეს ნებადართულია.

მუხლი 6 – შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ამოცანების წყარო

1. უფრო ზოგადი საკანონმდებლო დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილი იქნას ეფექტური მართვა.

2. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა სამსახურის პირობები უნდა იძლეოდნენ იმის საშუალებას, რომ მოხდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის დაქირავება დამსახურებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე; ამ მხრივ უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული მომზადების ადეკვატური საშუალებები, ანაზღაურება და სამსახურებრივი დაწინაურების საშუალებები.

მუხლი 7 – პირობები, რომელთა მიხედვითაც ხდება უფლებამოსილებათა განხორციელება ადგილობრივ დონეზე

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების სამსახურის პირობებით უზრუნველყოფილი იქნება მათი ფუნქციების თავისუფალი განხორციელება.

2. ამ პირობებით უზრუნველყოფილი იქნება სასახურებრივი მოვალეობების განხორცილების დროს გაწეული ხარჯების შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, ისევე როგორც, სათანადო შემთხვევებში, კომპენსაცია სახსრების დაკარგვის შემთხვევაში ან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და შესაბამისი სოციალური დაცვა.

3. ნებისმიერი ფუნქცია ან საქმიანობა, რომელიც განიხილება, როგორც შეუთავსებელი ადგილობრივ არჩევით თანამდებობასთან, განისაზღვრება კანონით ან ძირითადი სამართლებრივი პრინციპებით.

მუხლი 8 – ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაზე

1. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე შეიძლება განხორციელდეს კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და მათ მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე, როგორც წესი, მიზნად უნდა ისახავდეს კანონსა და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევას. ამასთან, ადმინისტრაციული ზედამხედველობა განხორციელდეს მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც მათ დელეგირებული აქვთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის.

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობა განხორციელდება ისეთი გზით, რომ მაკონტროლებელი ხელისუფლების ორგანოს ჩარევა პროპორციაში იყოს იმ ინტერესების მნიშვნელობასთან, რომელთა დაცვაც არის განზრახული.

მუხლი 9 – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური სახსრები

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური სახსრები, რომელთა განკარგვაც მათ შეეძლებათ მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები თანაზომიერნი უნდა იყვნენ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლებამოვალეობებთან.

3. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროების თუნდაც ნაწილი უნდა შემოდიოდეს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომელთა ოდენობის დადგენაც შეუძლიათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კანონის ფარგლებში.

4. ფინანსური სისტემები, რომლებსაც ეფუძნებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა სახსრები, უნდა იყოს საკმარისად მრავალფეროვანი და მოქნილი, რათა ამ ორგანოებს საშუალება ჰქონდეთ, იმდენად რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, გაითვალისწინონ მათი ამოცანების შესრულებისას გაწეული რეალური ხარჯების ბალანსი.

5. ფინანსურად სუსტ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა დაცვა მოითხოვს ფინანსური გათანასწორების პროცედურების ან სხვა შესაბამისი ზომების გატარებას, რომელთა დანიშნულებაა გამოასწორონ ფინანსების პოტენციური წყაროებისა და ფინანსური ვალდებულებების არაადეკვატური განაწილების შედეგები. ამაგვარი პროცედურები ან ზომები არ შეზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

6. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან სათანადო წესით უნდა გაიმართოს კონსულტაციები იმ გზების შესახებ, რომლებითაც უნდა მოხდეს მათთვის გათვალისწინებული სახსრების გადანაწილება.

7. იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუბსიდიები არ იქნება გამოყენებული სპეციალური პროექტების დასაფინანსებლად. სუბსიდირება არ ზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

8. კაპიტალური ინვესტიციების მიღების მიზნით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის კანონის ფარგლებში ხელმისაწვდომი იქნება კაპიტალის ეროვნული ბაზარი.

მუხლი 10 – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება გაერთიანებაზე

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, მათი უფლებამოსილების განხორციელებისას, უფლება აქვთ ითანამშრომლონ და კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან, რათა შეასრულონ საერთო ინტერესებში შემავალი ამოცანები.

2. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლება ეკუთვნოდნენ გაერთიანებას მათი საერთო ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთაშორისო გაერთიანებას, აღიარებული იქნება თითოეულ სახელმწიფოში.

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი პირობების დაცვით, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან.

მუხლი 11 – ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი დაცვა

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ სამართლებრივი ზომები მათი უფლებამოსილებების თავისუფალი განხორციელების და ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი პრინციპების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, რომლებიც დაცულნი არიან კონსტიტუციითა ან მიდა კანონმდებლობით.

ნაწილი II – სხვადასხვა დებულებები

მუხლი 12 – ვალდებულებები

1. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს აღიაროს, რომ იგი ვალდებულია ქარტიის 1-ლი თავის სულ მცირე 20 პუნქტით, რომელთაგანაც არანაკლებ ათი არჩეულ უნდა იქნეს ქვემო პუნქტებიდან:

- მუხლი 2,
- მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები,
- მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტები,
- მე-5 მუხლი,
- მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი,
- მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი,
- მე-9 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები,
- მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი,
- მე-11 მუხლი,

2. თითოეული ხელშემკერელი სახელმწიფო, მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობებს იმ პუნქტებს, რომელთა შერჩევაც მოხდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

3. ნებისმიერ მხარეს, მოგვიანებით ნებისმიერ დროს, შეუძლია შეატყობინოს გენერალურ მდივანს, რომ იგი თვს მიიჩნევს ვალდებულად ამ ქარტიის ნებისმიერი პუნქტით, რომელიც მანამდე არ იქნა მიღბული ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შესაბამისად. შემდგომში აღებული ამგვარი ვალდებულებები განიხილება, როგორც მხარის მიერ რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შემადგენელი ნაწილი და ძალამ შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 13 - ხელისუფლების ორგანოები, რომელთა მიმართც გამოიყენება ქარტია

წინამდებარე ქარტიამი განსაზღვრული თვითმმართველობის პრინციპები გამოიყენება თითოეული მხარის ტერიტორიაზე არსებული ყველა კატეგორიის თვითმმართველების ორგანოების მიმართ. ამასთან, თითოეულ მხარეს მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განსაზღვროს ადგილობრივი ან რეგიონალური ორგანოების კატეგორიები, რომლებითაც იგი აპირებს შემღუდოს ქარტიის გამოყენების სფერო ან რომლებსაც იგი გამორიცხავს

მისი გამოყენების სფეროდან. მას ასევე შეუძლია ჩართოს ხელისუფების სხვა ადგილობრივ ან რეგიონალურ ორგანოთა კატეგორიები ქარტიის გამოყენების სფეროში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 14 – ინფორმაციის მიწოდება

თითოეული მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნის ნებისმიერ სათანადო ინფორმაციას საკანონმდებლო დებულებების ამოქმედებისა და ამ ქარტიის პირობების შესრულების მიზნით მის მიერ მიღებული სხვა ზომების შესახებ.

ნაწილი III

მუხლი 15 – ხელმოწერა, რატიფიკაცია და ძალაში შესვლა

1. ეს ქარტია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ეს ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ ღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ოთხი წევრი სახელმწიფო წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად განაცხადებს თვის თანხმობას იყოს ვალდებული ქარტიით.

3. ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში განაცხადებს თვის თანხმობას იყოს ვალდებული ქარტიით, იგი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 16 – ტერიტორიული დათქმა

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ქარტიის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით შეუძლია გაავრცელოს ამ ქარტიის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ექვსთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

მუხლი 17 – დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ხუთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ქარტიის ძალაში შესვლის თარიღიდან. ექვსი თვით ადრე გენერალურ მდივანს ეგზავნება შეტყობინება დენონსაციის შესახებ. ამგვარი დენონსაცია არ მოახდენს ზეგავლენას ქარტიის მოქმედებაზე სხვა მხარეთ მიმართ, იმ პირობით, რომ მათი რიცხვი არ უნდა იყოს ოთხზე ნაკლები.

2. ნებისმიერ მხარეს, წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს მის მიერ მიღებულ ქარტიის 1-ლი ნაწილის ნებისმიერ პუნქტს, იმ პირობით, რომ მხარე ვალდებული იქნება მე-12 მუხლში განსაზღვრული პუნქტების რაოდენობითა და სახით. ნებისმიერი მხარე, რომელიც რომელიმე პუნქტის დენონსაციის შემდეგ, ვერ აკმაყოფილებს მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, განიხილება, როგორც მხარე, რომელმაც მოახდინა ქარტიის დენონსაცია.

მუხლი 18 – შეტყობინებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

a) ხელმოწერის შესახებ;

b) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

c) ამ ქარტიის მე-15 მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის შესახებ;

d) მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;

e) მე-13 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;

f) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება ამ ქარტიას.

ამის დასტურად, ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ქარტიას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1985 წლის ოქტომბრის მე -15 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.